94(4)"05/18"(075.8)
ბ-45

იზოლდა ბელთაძე-ხინიკაძე

შუა საუკუნეების ისტორია



94(4)05/18"(075.8)
Ш-45

იზოლდა ბელთაძე-ხინიკაძე

შუა საუკუნეების ისტორია

(V-XVII საუკუნის პირველი ნახევარი)

დამხმარე სახელმძღვანელო

ბიბლიოთეკა
№ 62846

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2020

UDC(უაკ) 94(100)„04/15“
ბ-453

წიგნი აღიარებულია დამხმარე სახელმძღანელოდ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერიტეტის აკადემიური სამჭოს მიერ (დადგენილება №44, 14.04.2014)

დამხმარე სახელმძღვანელო – „შუა საუკუნეების ისტორია“ – მოიცავს დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურის ისტორიის ძირითად საკითხებს V-XVII საუკუნის პირველ ნახევარში.

წიგნი განკუთვნილია ისტორიის, უცხო ენების, საერთაშორისო ურთიერთობათა და ევროპისმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტებისათვის, აგრეთვე, ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი პროფ. **გ.კუტალია**

რეცენზენტები: პროფ. **ბ.ჯავახია**
პროფ. **კ. სურგულაძე**

© ი. ბელთაძე-ხინიკაძე, 2020

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-667-6

რეცენზია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ იზოლდა ბელთაძეს მდიდარი მეცნიერული და პედაგოგიური ბიოგრაფია აქვს. დამხმარე სახელმძღვანელოდ წარმოდგენილ მის ნაშრომში – „შუა საუკუნეების ისტორია" (ორ ნაწილად) გათვალისწინებულია ის 30-წლიანი სალექციო გამოცდილება, რომელიც ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეუძენია. სახელმძღვანელოში დიდძალი ფაქტოლოგიური მასალის მოხმობით და ახალი თვალთახედვით გაშუქებულია დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების ისტორია V საუკუნიდან XVII საუკუნის პირველ ნახევრამდე. ესაა კაცობრიობის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი, ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვის, ჩამოყალიბების, გაფურჩქვნის და რღვევის, ხალხებისა და ერების წარმოშობის, თანამედროვე ევროპის სახელმწიფოების აღმოცენებისა და ფორმირების დრო, რომელმაც ჩვენ მემკვიდრეობით დაგვიტოვა არა მხოლოდ მწვავე სოციალური კონფლიქტები, სასტიკი ომები და ძალმომრეობა, გამჩანაგებელი ეპიდემიები, ინკვიზიცია და თავისუფალი აზროვნების ჩახშობა, მას თან ახლავს მნიშვნელოვანი წინსვლა პროგრესის გზაზე. საფუძველი ეყრება ახალი დროის ევროპულ პარლამენტარიზმს, დემოკრატიულ და სამართლებრივ საზოგადოებას, მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარებას. შენდება რომაული და გოთური სტილის შესანიშნავი ტაძრები. არსდება პირველი უნივერსიტეტები, ყალიბდება ჰუმანისტური მსოფლმხედველობა, ამობრწყინდება გამოჩენილი პოეტების და მწერლების – დანტეს, პეტრარკას, ბოკაჩოს, შექსპერის, მხატვრების -ჯოტოს, რაფაელის, ლეონარდო და ვინჩის, მიქელანჯელოს, ტიციანის და სხვათა სახელები. შუა საუკუნეებში იწყება დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებიც, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საოკეანო ცივი-

ლიზაციას, გააფართოვა ევროპელთა თვალსაწიერი. ტალღასავით გადაურა ევროპას რეფორმაციულმა მოძრაობამ, რომელმაც მნიშვნელოვნად დააჩქარა ეროვნული ეკლესიებისა და ეროვნული სახელმწიფოების წარმოშობა.

შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ყველა ეს ისტორიული პროცესი დამხმარე სახელმძღვანელოში ყოველმხრივ გაანალიზებულია და დამაჯერებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ამდენად მას დიდი შემეცნებითი მნიშვნელობაც აქვს. ამ ნაშრომში ერთმანეთს ერწყმის პროფესიონალი ისტორიკოსი და პედაგოგი, ლექტორი, რომელმაც ჩინებულად იცის რა არის მთავარი და როგორ მიიტანოს სათქმელი სტუდენტამდე.

რა თქმა უნდა, იზოლდა ბელთაძე პირველი არ არის, ვისაც შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოზე უმუშავია, მაგრამ სამწუხაროდ, ადრე შექმნილი სახელმძღვანელოები დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, მათთვის სტუდენტებს ძნელად მიუწვდებათ ხელი. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილ დამხმარე სახელმძვანელოს გამოცემა დიდ სასარგებლო საქმედ მიმაჩნია და ამიტომ ჩემთვის სასიამოვნო მოვალეობა იყო საკუთარ თავზე ამეღო მისი რედაქტორობა.

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი გურამ კუტალია

წინასიტყვაობა

უნივერსიტეტებისა და ჰუმანიტარული პროფილის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის განკუთვნილი წინამდებარე „შუა საუკუნეების ისტორია" (ორ ნაწილად) დამხმარე სახელმძღვანელოა, რომელიც მოიცავს დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების ისტორიის ძირითად საკითხებს V საუკუნიდან XVII საუკუნის პირველ ნახევრამდე.

წიგნში განხილულია დასავლეთ ევროპის ისტორიის მნიშვნელოვანი პრობლემები: ძველი გერმანელები და ხალხთა დიდი გადასახლება, დასავლეთ ევროპის ფეოდალური სახელმწიფოების ფორმირება, ფრანკთა სამეფო მეროვინგებისა და კაროლინგების ეპოქაში, გერმანია, იტალია და პაპობა IX-XI საუკუნეებში, ინგლისი ადრეულ შუა საუკუნეებში, დასავლეთ ევროპის ფეოდალური ქალაქების წარმოშობა, ჯვაროსნული ლაშქრობანი, ასწლიანი ომი, ალისფერი და თეთრი ვარდების ომი, ინგლისი და საფრანგეთი ასწლიანი ომის პერიოდში, შუა საუკუნეების კულტურა, განათლება და აზროვნება XIII–XV საუკუნეებში, რენესანსი და ჰუმანიზმი, კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვა დასავლეთ ევროპაში. აქ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ინგლისზე, ვინაიდან სწორედ ინგლისში ჩაისახა კაპიტალიზმი კლასიკური ფორმით, დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებზე საუბარია ჰუმანისტების: იოჰან როიხლინის, ერაზმ როტერდამელის, სებასტიან ბრანტის, ულრიხ ფონ ჰუტენის, რეფორმატორების მარტინ ლუთერის, ჰულრაიხ ცვინგლის შეხედულებანი გაშუქებულია და გლეხთა ომი გერმანიაში, რეფორმაცია შვეიცარიაში და კონტრრეფორმაცია, იტალია და საფრანგეთი XVI-XVII საუკუნის პირველ ნახევარში, ნიდერლანდების ბურჟუაზიული რევოლუცია, ინგლისი XVI-XVII საუკუნის დასაწყისში, გერმანია აუგსბურგის ზავიდან 30–წლიანი ომის ბოლომდე, დასავლეთ ევროპის კულტურა XVI-XVII საუკუნის პირველ ნახევარში და ა. შ..

შუა საუკუნეების ეპოქამ მემკვიდრეობით დაგვიტოვა მწვავე სოციალური კონფლიქტები, სასტიკი ომები და ძალ-

მომრეობა, ეპიდემიები, ინკვიზიცია და თავისუფალი აზრის ჩახშობა. ეს წიგნი ამ საკითხებსაც მოიცავს.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლას ართულებს ქართულ ენაზე სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის ნაკლებობა. 1967-1969 წლებში გამოვიდა პროფ. გიორგი ტივაძის სახელმძღვანელო „შუა საუკუნეების ისტორია" (ორ ტომად), რომელიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. 1987 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტამბა პროფ. გივი ჟორდანიას მიერ ტივაძის საფუძვლიანად გადამუშავებული სახელმძღვანელოს პირველი ტომი, მაგრამ ისიც მცირე ტირაჟით. რაც შეეხება მეორე ტომს, მისი გამოცემა ვერ მოხერხდა. 2004 წელს პროფესორ გურამ კუტალიას რედაქციით ასევე მცირე ტირაჟით გამოვიდა შუა საუკუნეების ისტორიის პირველი ნაწილი. ამიტომ 2005 წელს ხელახლა გამოიცა ეს წიგნი, მაგრამ დღეისათვის ეს გამოცემანი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. 2015 წელს გამოიცა „შუა საუკუნეების ისტორიის" მეორე ტომიც გ.კუტალიას, ე. მამისთვალიშვილის და ნ. კალანდიას ავტორობით. 2015 წელს გამოიცა აგრეთვე „დასავლეთ ევროპის ისტორია (XVI საუკუნე)", სახელმძღვანელო მ. პაპაშვილის რედაქტორობით. მაგრამ ყველა ეს სახელმძღვანელო მცირე ტირაჟით გამოვიდა. ამით არის განპირობებული ჩვენი დამხმარე სახელმძღვანელოს ხელმეორე შევსებული გამოცემაც.

წიგნის გამოცემა გაგვაბედვინა უმაღლეს სასწავლებელში ოცდაათწლიანმა პედაგოგიურმა და სამეცნიერო მოღვაწეობამ. გამოსაცემად ვამზადებთ აგრეთვე, მსოფლიო ისტორიის წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის დამხმარე სახელმძღვანელოს. ავტორი მადლიერების გრძნობით გაიზიარებს ნაშრომის მიმართ გამოთქმულ ყველა მართებულ შენიშვნასა და სურვილს.

ნაწილი პირველი

თემა პირველი

შესავალი

საეკლესიო პერიოდიზაცია

კაცობრიობის მიერ დასაბამიდან დღემდე განვლილ პერიოდს, როცა ადამიანებმა მნიშვნელოვან შრომით და კულტურულ წარმატებებს მიაღწიეს, სწავლობს მსოფლიო ისტორია, რომელსაც დღეს ძველ, შუა და ახალ ისტორიებად ყოფენ. ამას წინ უსწრებდა ისტორიის დაყოფა მსოფლიო მონარქიებად: ასურულ-ბაბილონელთა, მიდიელ-სპარსთა, ბერძენ-მაკედონელთა და რომის მონარქიად. ეს დაყოფა ებრაელი ისტორიკოსის იოსებ ფლავიუსისა (დაახ. 37-100 წწ) და ცნობილი ალექსანდრიელი სწავლულის (წარმოშობით ბერძენის) კლავდიუს პტოლემაიოსის (დაახ.90-160 წწ) სახელებს უკავშირდება. მოგვიანებით ეს პერიოდიზაცია გაიზიარა ცნობილმა ქრისტიანმა ღვთისმეტყველმა და ფილოსოფოსმა ნეტარი ავგუსტინემაც (354-430 წწ) და ამიტომ მას საეკლესიო პერიოდიზაციის სახელითაც მოიხსენიებენ. საეკლესიო პერიოდიზაცია ერთი მთლიანი ისტორიის მომხრედ გამოდიოდა და განვითარების იდეას უგულებელყოფდა; ღმერთი თანმიმდევრობით ანიჭებდა მსოფლიო ბატონობას ამა თუ იმ ხალხს. რომის იმპერია წარმოდგენილი ჰქონდათ უკანასკნელ, მონარქიად: მას უცვლელად უნდა ეარსება „ქვეყნის დასასრულამდე“

ისტორიის სამწევროვანი პერიოდიზაცია და ტერმინი შუა საუკუნეების გაჩენა

მსოფლიო ისტორიის თეოლოგიურმა კონცეფციამ XV-XVI საუკუნეებამდე იარსება, იგი იტალიელმა ჰუმანისტებმა უარყვეს და მოგვცეს ისტორიის სრულიად ახალი პერიოდი-

ზაცია, მისი დაყოფა ძველ, შუა და ახალ ისტორიად. ჰუმანისტები თავიანთ ეპოქას გამოყოფდნენ როგორც „ახალს“,უპირისპირებდნენ, რა მას წინამორბედ ეპოქას, ე.ი. შუა საუკუნეებს, თავიანთ ეპოქას უახლოებდნენ ანტიკურობას. ასე ჩაუყარეს მათ საფუძველი ისტორიის“ სამწევროვან“ პერიოდიზაციას.

ტერმინი „შუა საუკუნეები“ წარმოდგება ლათინური სიტყვა „medium aevum-დან, საიდანაც მომდინარეობს შუა საუკუნეების ისტორიის შემსწავლელი მეცნიერების მედიევისტიკის სახელწოდებაც. ტერმინი“შუა საუკუნეები“ სრულიად შემთხვევით, ზეპირი გამოსვლისას გაჩნდა:1469 წელს ცნობილი საეკლესიო მოღვაწისა დ ფილოსოფოსის ნიკოლოზ კუზანელის პარაკლისზე სიტყვა წარმოთქვა ასევე საეკლესიო პირმა, ეპისკოპოსმა ჯოვანი ანდრეამ, ბრომელმაც თქვა: „განსვენებულმა კარგად იცოდა ისტორია როგორც ძველი, ისე შუა საუკუნეებისა“. ჯოვანი ანდრეა ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ამ სიტყვების შემდეგ მისი სახელი შევიდოდა ისტორიაში.

ეს ტერმინი კიდევ უფრო დააკანონეს ფილოლოგებმა, სახელდობრ XVII საუკუნის ფრანგმა მკვლევარმა დიუკანჟიმ. მან შეადგინა ლექსიკონი, რომელსაც გაფუჭებული, ანუ შუა საუკუნეების ლათინურის ლექსიკონი უწოდა.

პირველი წიგნი, რომელიც შუა საუკუნეების ეპოქას ასახავს, ეკუთვნის რომაელ ისტორიკოსს ფლავიო ბიონდის (1388-1463). მის წიგნს ჰქვია „ისტორია რომის დაცემიდან 1410 წლამდე“, თუმცა ტერმინი „შუა საუკუნეები“ აქ არ გვხვდება.

შუა საუკუნეებზე მოდის ფეოდალური საზოგადოებრივი წყობა. მისი ძირითადი ნიშნებია:

1. ტექნიკის ჩამორჩენილობა, ნატურალური კარჩაკეტილი მეურნეობის არსებობა, სადაც სასოფლო და სამრეწველო შრომა ნატურალურ მეურნეობაშია თავმოყრილი.

2. უშუალო მწარმოებლის მიმაგრება მიწაზე. იგი თვითონ ფლობს წარმოების იარაღებს.

3. მუშას არა აქვს წარმოების იარაღი. იგი იძულებულია დაუქირავდეს. ეს არის ეკონომიკური იძულება.

აღნიშნულ პერიოდში ისახებოდა ეროვნებები, ხოლო კაპიტალიზმის დროს კი – ერი.

ერი არის ადამიანთა ისტორიული ერთობა ტერიტორიული, ენის, მყარი ეკონომიკურ-სამეურნეო, ფსიქიკურ ნაყოფზე დაფუძნებული. ერი, როგორც აღვნიშნეთ, იქმნება, ისახება კაპიტალიზმის პირობებში.

ეროვნებები ისახება სხვა ფორმაციებში. ეროვნება – ეს არის ერთობა ტერიტორიული /ზშირად არამყარი/ ეკონომიკური და კულტურული ნიშნებისა. ეროვნებას არ ახასიათებს მხოლოდ ერთი ენა, შეიძლება 2-3 ჰქონდეს. ბრეტანში კელტურ ენაზე, ბასკოში-ბასკურ ენაზე საუბრობენ. შვეიცარია 3-ენოვანია: გერმანული, ჟენევა – ფრანგული, სამხრეთი – იტალიური. აშშ მრავალეროვანია – ინგლისურ ენაზე საუბრობს უმრავლესობა. ასევე, ესპანურზეც, ფრანგულზეც, ორი მლნ უკრაინულ და რუსულ ენაზე საუბრობს.

ეროვნული სახელმწიფოს შექმნის ტენდენცია კი პროგრესის ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი იყო.

ისტორიის სამნაწილოვანი კლასიფიკაცია

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ (1789 წ.) საბოლოოდ შეიცვალა ისტორიის დაყოფა ოთხ მსოფლიო მონარქიად. ამ დროიდან შემოიღეს დაყოფა ძველ, შუა და ახალ ისტორიად, შემდეგ დაემატა უახლესი პერიოდი. დადგინდა ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის პერიოდიზაცია შემდეგი სახით:

1. ძველი პერიოდი – V ს. 410-476 წ-მდე

2. შუა საუკუნეების პერიოდი – V-XV- ს. ან XVI ს. დამდეგამდე (1453,1492,1517)

3. ახალი პერიოდი – XV-XVIII სს- 1789 წ-მდე

4. უახლესი პერიოდი- 1789 წლიდან დღემდე.

საბჭოთა ისტორიოგრაფიის პერიოდიზაცია

საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიხედვით, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1. ძველი მსოფლიო ისტორია – V ს-მდე.

2. შუა საუკუნეების ისტორია – V- XVII ს შუა ხანებამდე.

3. ახალი პერიოდის ისტორია – მე-17 ს. შუა ხანებიდან 1917 წ-მდე კაპიტალიზმის ხანა.

4. უახლესი ისტორია – 1917 წ-დან დღემდე.

ისტორიკოსებს შორის იყო დიდი კამათი შუა საუკუნეების ისტორიის დასასრულისა და ახალი ისტორიის დაწყების თარიღის თაობაზე. მიიჩნიეს სხვადასხვა თარიღი – 1410 წ, 1453 წ. (კონსტანტინეპოლის დაცემა),1492 წ (დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები), 1498 წ. (ვასკო დე გამას მიერ ინდოეთისაკენ გზის გაკვლევა), 1519-1522 წწ. (ფერნანდო მაგელანის მოგზაურობა დედამიწის ირგვლივ), 1517 წ (მარტინ ლუთერის მიერ ვიტენბერგის ეკლესიის კარზე 95 თეზისის გამოქვეყნება).

დასავლეთ რომის იმპერიის დამხობა (476 წ) მოასწავებდა ძველი ისტორიის დასასრულს. თანამედროვე ისტორიის დასაწყისად მიაჩნდათ 1870 წელი. შუა და ახალ ისტორიას შორის მიჯნად მიაჩნდათ სამი თარიღი: 1453, 1492, 1517.

ქართველი ისტორიკოსები: კ. ანთაძე, კ. მეშველიანი, მ.კალანდაძე უპირატესობას ანიჭებდნენ 1492 წელს და მიაჩნდათ, რომ შუა და ახალ ისტორიას შორის მიჯნად უნდა ყოფილიყო ეს თარიღი. ამას ასაბუთებენ იმ სერიოზული მოვ-

ლენებით, რომლებიც წინ უსწრებდა დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს. 1480 წელს რუსეთი განთავისუფლდა ოქროს ურდოს ბატონობისაგან, 1483 წელს ლუი XI-ის მეფობით დასრულდა საფრანგეთის გაერთიანება და მომზადდა ნიადაგი იტალიური ომებისათვის (1494-1558 წწ). 1485 წელს ჰენრი VII - ის გამეფებამ ბოლო მოუღო თეთრი და ალისფერი ვარდების ომს ინგლისში. 1492 წელს დამთავრდა რეკონკისტა.

სხვა ისტორიკოსები: ს. კარპოვი, გ. ჟორდანია, ა. გეთიაშვილი, გ. კუტალია, ე. ჯაჭვაძე, ნ. გომართელი, ი. ბელთაძე მიიჩნევენ, რომ გარდამავალი პერიოდი შუა საუკენეებისა და ახალი ისტორიისა არის XVI-XVII ს-ის დასაწყისი.

კარლ ბლიუხერმა მოგვცა ისტორიის პეროდიზაციის სქემა. 1493 წ. დაწერა წიგნი სახალხო მეურნეობის წარმოშობა. მსოფლიოს ისტორია დაიყო მეურნეობის თვალსაზრისით.

1. კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობა – X ს-მდე
2. საქალაქო მეურნეობა – XII-XIII სს. ამ დროს ქალაქის მცხოვრებნი პროდუქტს გადასცემს სოფლებს. საქალაქო მეურნეობის სქემაში არ შედის ვენეცია, დიდი ვაჭრობა. კარლ ბლიუხერის დაყოფა სქემატური იყო.

ედუარდ მაიერს ეკუთვნის ციკლური თეორია. იგი XX ს. ისტორიკოსია. მისი აზრით, ყოველი ციკლი არის წრეხაზური მოძრაობა. დაბალი საფეხური ბარბაროსული – მაღალი კაპიტალისტური. შემდეგ დაბრუნება ბარბაროსულისაკენ.

ავსტრიელი მეცნიერის, ალფონს დოპშის აზრით, არავითარი საფეხურები არ არის.

პეტრუშევსკი მისი მიმდევარია. შუა სს-ში არის აგრარული კაპიტალი. არ არსებობს არავითარი კატასტროფა, ერთი ფორმაციის გაგრძელებაა მეორე. ის გერმანელებს მაღალი კულტურის ხალხად მიჩნევდა, კაპიტალიზმს კი ხედავდა იქ, სადაც იყო ვაჭრობა.

თემა მეორე

ძველი გერმანელები. ხალხთა დიდი გადასახლება და ბარბაროსული სამეფოების წარმოშობა

თეორიები. არსებობს მოსაზრება, რომ დასალეთ ევროპის ფეოდალური სახელმწიფო ორი ელემენტის- ძველი რომის მონათმფლობელური და ძველი გერმანელების პირველყოფილი თემური წყობილების შერწყმის შედეგია. ასე ჰქონდათ წარმოდგენილი ისტორიკოსებს ფეოდალიზმის წარმოშობა.

ჯერ კიდევ XIX ს-ის დამდეგს წარმოიშვა ორი მიმდინარეობა: გერმანისტული და რომანისტული. გერმანისტების აზრით, ფეოდალიზმს საწყისი მისცა ძველ გერმანულმა საზოგადოებამ, ხოლო რომანისტების მიხედვით კი რომმა. რომ გერმანელები იყვნენ უკულტურო, განვითარების დაბალ დონეზე მყოფნი. ისინი უარყოფდნენ კატასტროფის თეორიას.

გერმანისტული თეორიის მიმდევრები იყვნენ: ბულენ ვილიე, ფრანსუა გიზო.

რომანისტულის – დიუბო, მონტესკიე, ფიუსტელ დე კულანჟი, ალფონს დოპში, ოვგუსტენ ტიერი.

ფრანგმა ისტორიკოსმა ბულემ ვილიემ 1727 წელს დაწერა პირველი წიგნი. საფრანგეთი წარმოიშვა გერმანელების მიერ გალიის დაპყრობის შედეგად. დამპყრობელი რასა – გერმანელები, დაპყრობილი – გალები, დაპყრობა აძლევს უფლებას თავადაზნაურობას იბატონოს ყმა-გლეხებზე. ამ თეორიამ საფუძველი ჩაუყარა გერმანისტების მიმდინარეობას. მის წინააღმდეგ გამოვიდა აბატი დიუბო. მისი აზრით, ბულენ ვილიეს თეორია არ შეესაბამება სინამდვილეს. გერმანელები მოვიდნენ, როგორც მეგობრები, დაქირავებულები

და არა დამპყრობლები. არავითარი სიახლე არ შეუქმნიათ. დიუბო არის რომანისტების ფუძემდებელი.

მონტესკიეს კანონთა არსი /წიგნი/ – მიხედვით, გერმანელებმა დაანგრიეს იმპერია. მან გაიზიარა ჰუმანისტების მოსაზრება. ბრძოლა რომანისტებსა და გერმანისტებს შორის გაიშალა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ.

ოგგუსტენ ტიერი ღებულობს ბულენ ვილიეს თეორიას დაპყრობილი რასის შესახებ, მაგრამ ბურჟუაზიის სასარგებლოდ. ტიერი თანაუგრძნობს დაპყრობილ რასას. ბულენ ვილიე კი დამპყრობელს. ტიერი მიდის დასკვნამდე კლასთა ბრძოლა გრძელდება დამპყრობელსა და დაპყრობილს შორის. კარლ მარქსმა ტიერს უწოდა კლასთა ბრძოლის თეორიის მამა. ტიერი თავისი მიმდინარეობით რომანისტია.

ფრანსუა გიზო იზიარებს კლასთა ბრძოლის ისტორიას, მაგრამ იგი გერმანისტია. მისი აზრით, ფეოდალიზმი გერმანული დაწესებულებიდან მომდინარეობს.

ფიუსტელ დე კულანჟი „საფრანგეთის ძველი პერიოდის ისტორიაში" ყურადღებას აქცევს ფეოდალური ინსტიტუტების განვითარებას რომის წიაღში. იგი რომანისტების პოზიციაზე დგას. არავითარ დაპყრობას ადგილი არ ჰქონდა. ისინი მოდიოდნენ კოლონიების, მოხელეების, დაქირავებულთა სახით. დადგა დრო და მათ აიღეს ხელისუფლება. მისი აზრით, გერმანელები დაბალი განვითარების იყვნენ. მან უარყო კატასტროფის თეორია. მე-19 ს. მეტი ნაწილი ისტორიკოსებისა (მაგალითად კ. ლამპრეხტი) არ იზიარებს ამ აზრს და ავითარებენ დებულებებს კატასტროფის და გერმანელების დაბალი კულტურის შესახებ.

ალფონს დოპში (ავსტრიელი მეცნიერი) არის ავტორი შემდეგი წიგნებისა: „კაროლინგების ეპოქის განვითარება" (1912 წ), „ევროპის კულტურის განვითარების სამეურნეო და

სოციალური საფუძველი" 2 ტომად (1922 წ), „სათემო მარკის შესახებ".

ის არის ფართო მასშტაბის მკვლევარი, მტრულად განწყობილი მარქსიზმის მიმართ. მას მიაჩნია აუცილებლად დაამხოს ძველი სკოლის შეხედულება. იგი ემხრობა დიუბოს და ფიუსტელ დე კულანჟს, რომ არავითარ ნგრევას, კატასტროფას ადგილი არ ჰქონდა. მას არ მოსწონს ის დებულება, რომ გერმანელები არის უკულტურო ხალხი. კელტებს, ბერძნებს უხდებოდათ გერმანელებთან ურთიერთობა. არსებობდა რომის და გერმანელების მაღალი კულტურა და მოხდა მათი მშვიდობიანი შეერთება. სამეურნეო განვითარებაში არავითარი კატასტროფა არ ხდება. პოლოტიკაში კი ხდება მეფეების გადაყენება. მას ზედმეტად მიაჩნია ეპოქის დაყოფა. ცხოვრება მიდის ევოლუციის გზით. საფუძველი განვითარებისა არის კაპიტალიზმი. ვაჭრობას, კრედიტს სადაც ხედავს, იქ ხედავს კაპიტალიზმს. კაპიტალიზმი იცვლის სახეს. იყო ანტიკური კაპიტალიზმი და შეიცვალა სამამულო კაპიტალიზმით.

პეტრუშევსკიმ და ალ. ნეუსიხინმა გაიზიარეს დოპშის თეორია. ნეუსიხინი მარქსიზმის პოზიციაზე დადგა გვიან. დოპშის კვლევის მეთოდი მისაბაძია. მან ნუმიზმატიკა და წყაროები შეისწავლა. მარქსისტული თეორია მოცემულია უმთავრესად ენგელსის ნაშრომში: „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა". ამ წიგნის მე-7 თავში ვკითხულობთ: „მარკა- სამეზობლო თემი არსებობდა ფრანკებში".

ძველი გერმანელები

წყაროები. ძველი გერმანელების შესახებ არსებობს სხვადასხვა წყაროები: ფოლკლორული, არქეოლოგიური, წერილობითი და სხვა. იაკობ გრინის სკოლამ დიდი როლი შე-

ასრულა ფოლკლორში. ის წერდა წარმართობის შესახებ, რაზედაც აქვს გამოკვლევები და ახდენდა შედარებას სკანდინავიურ მითებთან.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წერილობითი წყაროები:

პირველი წერილობითი ძეგლი ეკუთვნის მასილიიდან პითეასს. ცხოვრობდა ძველი წ.აღ-ით IV ს-ში (მარსელი-ბერძნული ახალშენი სამხრეთში – გალიაში IX-VIII ს. ჩვ.წ. აღ. მდე) ის მოგზაურობდა და აღწერა ბალტიისპირეთი, მოიხსენიებს ხალხს, სადაც მოიპოვებოდა ქარვა და იყო ნისლით მოცული ქვეყანა, ეს არის ბუნდოვანი ცნობა. ის მოიხსენიებს ტევტონების და გუტონების ტომებს.

ძველი გერმანელების ისტორიის შესასწავლად ფასდაუდებელია ორი წერილობითი წყარო:

1. გალიუს იულიუს ცეზარის (8 წელი აწარმოა ომები გალიაში) წიგნი "კომენტარები გალებთან ომების შესახებ", დაახლ. 53-52 წწ. ძვ.წ.აღ-ით, 7 წიგნად არის დაწერილი.

2. პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსის თხზულება „გერმანელების წარმოშობისა და განსახლების შესახებ"(98-99 წწ ჩვ. წ. აღ-ით.)

58 წ. ცეზარი სვევების ტომს შეეჯახა, მისი ჯარი არიოვისტის მეთაურობით აწარმოებდა ომს. მან გალია დაიპყრო არა მარტო იარაღით, არამედ დიპლომატიით, ტომებს წაჰკიდებდა ერთმანეთს. მოგვიანებით რაინი გადმოლახეს ტენკტერებმა. ცეზარმა გერმანიის მიწაზეც დაადგა ფეხი, მაგრამ აქ დიდხანს არ დარჩენილა. ჰქონდა შეტაკებები ზოგიერთ გერმანულ ტომთან, ასევე გაიჩინა მათგან დაქირავებული მხედრები. ის მოიხსენიებს შემდეგ გერმანულ ტომებს: უზიპიებს, ტენკტერებს, უბიებს.

ტაციტუსი და მისი ცნობები. ტაციტუსი იყო იმპერატორ ტრაიანეს მეგობარი და აგრიკოლას სიძე. აგრიკოლამ ბრიტანეთი აქცია რომის პროვინციად. ის გერმანიაში არ

ყოფილა, მაგრამ მასთან მიჰქონდათ გერმანიაში ნამყოფ ვაჭრებს თუ სხვა ადამიანებს სარწმუნო ცნობები გერმანელთა შესახებ. რომში გაზეთი გამოდიოდა "აქტები", რომელსაც ტაციტუსი იყენებდა. მან დაწერა აგრიკოლას ბიოგრაფია, ისტორიები, ანალები /მატიანე/. თუ ცეზარი ცალკეულ ტომებს აღწერს, ტაციტუსი საერთოდ აღწერს ყველა ტომს. მათ შორის ძევს პერიოდი –150 წელი.

ტაციტუსის ცნობებიდან ირკვევა, რომ ძველ გერმანელებს დასავლეთით ესაზღვრებოდა მდინარე რაინი, სამხრეთით – დუნაის ზედა და შუა დინება, აღმოსავლეთით-ოდერი, ვისლა, ჩრდილოეთით – ჩრდილოეთის ზღვა, გერმანული ზღვა, იუტლანდია, დანია, სკანდინავიის სამხრეთი, დღევანდელი შვედეთი.

ტაციტუსის აზრით, გერმანელები არიან მკვიდრი მცხოვრებნი, რომლებიც უმნიშვნელოდ შეერევნენ მოსულ სხვა ხალხებს, იმ გადმოსახლებულებს, რომელთაც გაუნიეს მასპინძლობა. ის ეყრდნობოდა იმ გარემოებას, რომ ხდებოდა ნაკლები მიგრაცია ზღვაზე. თუნდაც იმიტომ, რომ მიუხედავად ხომალდების დაღუპვის საშიშროებისა უცნობ ზღვაში, აზიის, აფრიკის, იტალიის, მიწიდან მოსული ხალხისთვის საცხოვრებლად და შესახედად ნაკლებად მიმზიდველი იყო გერმანიის არანაყოფიერი მიწა.

ძველ სიმღერებში, ასევე, ბილებსა და ქრონიკებში (ისტორიული შინაარსის ნაწარმოები) გერმანელების შესახებ ცნობილია,რომ მათ ჰყავდათ განდიდებული, მიწისაგან შობილი ღმერთი ტუისკონი. მისი შვილი მანნა იყო წინაპარი მათი ხალხისა. მანნას ჰყავდა 3 ვაჟი:

1. ოკეანის ახლოს მცხოვრებნი იწოდებოდნენ ინგვეონებად.
2. შუა ნაწილში მცხოვრებნი-ჰერმიონებად.
3. სამხრეთში მცხოვრებნი – ისტვეონებად.

აქედან წარმოიშვა სამი შტო:

ბიბლიოთეკა
№ ____

1.ინგვას – ინგეევონენ

2.ჰერმნას – ჰერმინონენ

3.ისტვას – ისტეევონენ

ტაციტუსი ეთანხმება იმ აზრს, რომ გერმანელი ხალხი არ შეერია არც ერთ სხვა ტომებს და რომ მათი ტომები არის საკუთარი, ბუნებრივი და არავის, გარდა საკუთარი თავისა არ ჰგავს. რატომ არის, რომ მიუხედავად მისი მრავალრიცხოვნებისა ყველას აქვს ერთნაირი ნათელი და ცისფერი თვალები, ქერა თმები, მაღალი ტანი და ძლიერი კუნთები. მიისწრაფვიან სულ ბრძოლისა და თავდასხმისაკენ. შრომისა და სიძნელეებისადმი არ აქვთ ნებისყოფა, ძნელად გადააქვთ წყურვილი და პაპანაქება სიცხე, რისი მიზეზიც არის მათი მიწის თავისებურება და კლიმატი, ამასთან ერთად ისინი კარგად უძლებენ სიცივეს და შიმშილს.

ტაციტუსი ახასიათებს შემდეგ ცალკეულ ტომებს. ბატავები, დასახლებული იყვნენ მდინარე რაინსა და მის შენაკადებს შორის. მცირე ნაწილი დასახლებულან მდინარე რაინზე, ისინი შემდეგ მოქცეულან რომაელების ბატონობის ქვეშ. მაგრამ მათ ძველებურად პატივს სცემდნენ, ცხოვრებდნენ რომაელების მოკავშირეებად. განთავისუფლებული იყვნენ გადასახადებების ვალდებულებისაგან, მათ იყენებდნენ მხოლოდ სამხედრო საქმისათვის.

ტაციტუსი გადმოგვცემს: ჩვენი დამჯერი ტომებია მატიაკები, რომლებიც მდინარე რაინზე ცხოვრობდნენ. მათი საცხოვრებელი ადგილი და კლიმატი განაპირობებდა მათ მოძრაობას და სიცოცხლის უნარიანობას. მათთან ერთად გერცინის ტყის მიდამოებში დასახლებულან ხატები. ეს ხალხი გამოირჩევა მკვრივი ფიზიკური აღნაგობით, სულიერი სიმტკიცით, წინდახედულობით და ჭკუით. თავიანთ სამხედრო მეთაურებს ისინი ირჩევენ, აქვთ შემოღებული სამხედრო წესები, შეუძლიათ დროულად თავის შეკავება თავდასხმაზე, რომაელებისათვის მისაღები და მოსაწონია მათი სამხედრო

დისციპლინა. მათ ძირითად ძალას შეადგენს ქვეითი არმია, რომელიც გარდა ბრძოლისა, აწარმოებს იარაღს და ჰყიდის მას. თუ სხვა გერმანელი ტომები მიისწრაფვიან დაპყრობისაკენ, მაშინ ხატები ეწევიან თავდაცვით ბრძოლას. ისინი იშვიათად ესხმიან თავს. თავს არიდებენ მოულოდნელ ბრძოლას.

ხატებს, სხვა გერმანული ტომებისაგან განსხვავებით, აქვს შემდეგი ადათი: როგორც კი დავაჟკაცდებიან, დაიწყებენ თმის გაზრდას, წვერის მოშვებას, და არ იკვეცენ თმას, არ იპარსავენ წვერს მანამ, სანამ არ მოკლავენ მტერს და მხოლოდ მის ცხედარზე ნადავლის აღების შემდეგ ისინი იხსნიან სახეს. ამის შემდეგ მათ მიაჩნიათ, რომ გადაიხადეს ვალი თავისი მამულისა, და მშობლების წინაშე. ხოლო მხდალები, არაბრძოლისუნარიანები ასეთ სახეს მთელი სიცოცხლე ატარებენ, უძლიერესნი კი ატარებენ რკინის ჯაჭვს. მათ მშვიდობიან პირობებშიც აქვთ ველური გარეგნობა. მათ არა აქვთ არც მინდორი, არც სახლი, რისთვისაც სრულებითაც არ ზრუნავენ. ვისთანაც არ უნდა მივიდნენ, იმათთან ერთად ჭამენ, ანიავებენ სხვისას, არ ეჭირნებათ მისი.

უახლოესი მეზობელი ხატებისა, რომლებიც ცხოვრობდნენ რაინის გასწრივ, რომის სამფლობელოების საზღვარზე, რაინის მარცხენა ნაპირზე იყვნენ უზიპები და ტენკტერები. ტენკტერების ცხენოსანი ჯარი არ ჩამორჩება ხატების ქვეითს. მონები, სახლის ქონება, ცხენები მემკვიდრეობით გადაეცემა არა შვილებს შორის უფროს ვაჟს, არამედ მას, ვინც თავს გამოიჩენდა ბრძოლაში სიმამაცითა და სიმარდით.

ტენკტერების ახლოს ცხოვრობდნენ ბრუკტერები. ეხლა როგორც გვაცნობენ გადასახლდნენ ხამავები და ანგივარები, მას შემდეგ, რაც ბრუკტერები განდევნეს და მთლიანად ამოხოცეს. ტაციტის ეს ცნობა ბრუკტერების სრული ამოხოცვის შესახებ არ შეეფერება სინამდვილეს, ვინაიდან დამარცხების შემდეგ (მეზობელი ტომების მიერ) ბრუკტერები

გადავიდნენ სამხრეთ-დასავლეთით. გვიან კი დაიძრნენ რაინისაკენ. დაეცა სისხლისღვრის დროს 6 ათას გერმანელზე მეტი არა რომაული იარაღით, არამედ გლადიატორთა სანახაობის დროს. (რომაული სანახაობა).

ანგივარების, ხამავების აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ დულგუბინები და ხაზუარები, ასევე სხვა ნაკლებად ცნობილი ტომები. ჩრდილო-დასავლეთით კი დასახლებული იყვნენ ფრიზები. ფრიზებს თავიანთი სიძლიერის მიხედვით ასახელებენ დიდი და პატარა ფრიზების სახელწოდებით. ორივე ეს მოსახლეობა ცხოვრობდა რაინის გასწრივ ოკეანემდე, ასევე დიდი ტბების გარშემო (ამ ტბებიდან წარმოიშვა სრუტე ზაიდერ-ზენის) რომელზედაც დაცურავდა რომის ფლოტი.

იუტლანდიის ნახევარკუნძულზე, ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ ხავკები. ემეზობლებოდნენ ჩრდილოეთით ფრიზებს, სხვადასხვა გერმანელ ტომებს სამხრეთით და ასევე ხერუსკებს. გერმანელებს შორის ესენი იყვნენ ყველაზე დიდებული ხალხი, რომელიც თავის ძლიერებას მხოლოდ სიმართლით აღნევდნენ. ისინი არ იწყებდნენ ბრძოლას, არავის არბევდნენ ძარცვით და ბრძოლით. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ ისინი თავიანთ დიდებას იარაღით არ იცავდნენ. მაგრამ ამასთან მათ ყოველთვის მზად ჰქონდათ იარაღი, თუ გარემოება მოითხოვდა, მაშინ ჯარი, მხედრები და ცხენოსანთა არმიაც ბრძოლისათვის მზად იყო.

ხერუსკები – რომელთაც იხსენიებდნენ, როგორც კეთილ და სამართლიან ტომებად, ეხლა უწოდებენ ზარმაცსა და სულელებს. ხოლო მათი დასუსტების მიზეზი იყო შეჯახება და ბრძოლა ხავკებთან, ლანგობარდებთან და ხატებთან.

ოკეანესთან ახლოს ცხოვრობდნენ კიმვრები ეხლა უმნიშვნელო რაოდენობით. წინათ კი ცნობილი ტომები იყვნენ. II ს. ჩვ.წ.აღ-მდე კიმვრების ნაწილმა ტაციტის ცნობით ტევ-

ტონებთან ერთად დატოვა თავისი საცხოვრებელი ადგილი და დაიძრა სამხრეთით. მეორე საუკუნეში ტევტონები და კიმვრები საშიშ ძალას წარმოადგენდნენ რომისათვის, მაგრამ დაამარცხა ისინი მარიუსმა. მარტო 200 ათასი მონად აქცია. დახოცილი იმდენი იყო, რომ მათი ძვლებისაგან მასირიელები ლობეს აშენებდნენ და ლეშისაგან მიწას ანოყიერებდნენ კარგა ხანს.

საჭიროა ვისაუბროთ სვევების შესახებ. ეს ხალხი არ წარმოადგენდა ერთიან ტომს, როგორც ხატები და ტენკტერები, მაგრამ ეჭირათ დიდი ნაწილი გერმანიისა და იყოფოდნენ სხვადასხვა სახელწოდების ხალხებად, თუმცაღა ყველა ისინი იწოდებოდა სვევებად. მათი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი თმებს იწევდნენ მაღლა და იხვევდნენ მრგვალად. ასეთ ვარცხნილობას იკეთებდნენ არა სილამაზისათვის, არამედ იმისათვის, რომ თავისთვის მიეცათ უფრო დიდებული და მრისხანე სახე; მიდიოდნენ რა საბრძოლველად, შიშის ზარს სცემდნენ მტერს.

სვევებს შორის, სემნონები იყვნენ ყველაზე ძველი და ყველაზე განთქმულნი. მათი წარმოშობა რომ იყო ძველი, ეს მტკიცდება საღმრთო მოქმედებით. დადგენილ დღეს ყველა ნათესაური ტომი თავს იყრიდა ტყეში, ეწევოდა ლოცვას, მსხვერპლად სწირავდნენ ადამიანს.

ლანგობარდები იყვნენ მცირერიცხოვანნი, მათთან ერთად რევდინები და ავიონები, ანგლები და ვარიანები, ევდოსები, სვარდინები, ნუტონები გარშემორტყმულია მდინარეებით და ტყეებით, ისინი ყველანი ქედს იხრიდნენ ნერტეს (დედამიწის ღმერთი) წინაშე, ვინაიდან მათი აზრით ის ერეოდა ადამიანთა საქმეებში და ნახულობდა მათ ტომებს. ოკეანეებს შორის იყო კუნძული (კოპენჰაგენი ან რომელიმე კუნძული შლევიზგ-ჰოლშტეინის მახლობლად) ე.წ. წმინდა ჭალაკი, როდესაც გაიგებდნენ რომ ღმერთი მოვიდა თავის წმინდა სამყოფელში, მაშინ იმართებოდა დღესასწაულები იმ

ადგილებში, სადაც გამოჩნდებოდა ღმერთი. მისი შეხება შეეძლო მხოლოდ ქურუმს. ამ დღეებში ისინი არ ეწეოდნენ ბრძოლას, არ იღებედნენ ხელში იარაღს, მაშინ უნდა ყოფილიყო მხოლოდ მშვიდობა და დასვენება.

გერმანიის სიღრმეში მდ. დუნაის გაყოლებით და მდ. რაინზე ცხოვრობდნენ გერმუნდურები, რომაელების ერთგულები. ამიტომაც მათთან ვაჭრობას აწარმოებდნენ გერმანელები არა მარტო ნაპირზე, არამედ ქვეყნის შიგნითაც. ისინი ყველა მიმართულებით თავისუფლად გადაადგილდებოდნენ. „თუ ჩვენ სხვა ტომებს ვხვდებით იარაღით, ამათ კი ვუღებთ კარს და ვაძლევთ საცხოვრებელს", – წერდა ტაციტუსი.

გერმუნდურების გვერდით ცხოვრობდნენ ნარისტები, მარკომანები და კვადები. სიძლიერით განსაკუთრებით განთქმული იყვნენ მარკომანები, რომლებმაც დაიკავეს ის მიწები, რომელიც ბოიებს ეჭირათ. ისინი თავიანთ დიდებას უნდა უმადლოდნენ რომის მხარდაჭერას. იშვიათად ისინი იღებდნენ ჩვენთან იარაღს, ხშირად ფულს, მაგრამ ეს არაფრით არ ამცირებდა მათ ხელისუფლებას.

მარკომანების და კვადების აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ მარსიგნები, კოტინები. მათ შორის მარსიგნები გავდნენ სვევებს.

ლუგიების მეზობლად ცხოვრობდნენ გოთები, რომელსაც მართავდა მეფე და ისინი რამდენადმე ძლიერები იყვნენ, ვიდრე სხვა გერმანელი ხალხი.

ოკეანის მახლობლად ცხოვრობდნენ სვიონები. მათ ჰყავდათ ძლიერი ფლოტი და ჰქონდათ კარგი საბრძოლო იარაღი.

შეიძლება თუ არა გერმანელებს მივაკუთვნოთ პევკინები, ვენედები და ფენები. თუმცა პევკინებს, რომელთაც ზოგიერთი უწოდებდა ბასტარნებს, ცხოვრების წესით, ბინადრობით, საცხოვრებელით ჰგავდნენ გერმანელებს. შერეული ქორწინების გამო ხდებოდა სისხლის აღრევა და იღებდნენ სარმატების ნიშნებს. პევკინები და ფენები შეიძლება მივა-

კუთვნოთ გერმანელებს, რადგანაც ისინი აშენებდნენ სახლს, ატარებდნენ ფარს, ჰყავდათ ცხენოსანი არმია და ამასთან დიდი სისწრაფე ჰქონდათ. ყოველივე ეს განასხვავებს მათ სარმატებისაგან, რომლებიც თავის ცხოვრებას ატარებენ მომთაბარეობაში და ცხენზე ჯდომაში.

ფენებს ახასიათებდა დიდი ველურობა, სიღარიბე, სიღატაკე. მათ არ ჰქონდათ თავდაცვითი იარაღი, არც ცხენი, არც მუდმივი თავშესაფარი. მათი საჭმელი იყო ბალახი, ტანსაცმელი ტყავი, საწოლი მიწა. მათ ჰქონდათ მშვილდისრები. რკინის უკმარისობის გამო ისრებად ძვალს ხმარობდნენ. ნადირობდნენ, როგორც მამაკაცები, ისე ქალები, რომლებიც თან დაყვებოდნენ თავიანთ ქმრებს. პატარა ბავშვებსაც არ ჰქონდათ თავშესაფარი, რომ დაეცვათ თავი ნადირისა და უამინდობისაგან, გარდა ხის ტოტებისაგან შეკრული შალაშისა (კარავი), სადაც ცხოვრობდნენ მოზრდილი ასაკის წარმომადგენლები და მოხუცები.

ტაციტუსის ნაშრომში „გერმანია" მე-5 თავში მოხსენებულია ბუნება. მათი მიწა აქ ძირითადად იყო ტყიანი და ჭაობიანი. უფრო ტენიანი იყო ის მხარე, რომელიც გალიას ესაზღვრებოდა. ხოლო შედარებით მშრალი კი ნორიკისა და პანონიის მოსაზღვრე მხარე, რომელიც საკმაოდ ნაყოფიერი იყო, მაგრამ მისი ნიადაგი უვარგისი იყო ხეხილისათვის.

გერმანელები არ წარმოადგენდნენ სუფთა, მაღალ რასას, როგორც ფაშისტური იდეოლოგია ამტკიცებდა. არ არსებობს ცნება გერმანელები. გერმანელები წარმოსდგება ტევტონებისაგან-ტოიჩ-შემდეგ დოიჩი. ფრანგები მათ ალემანებს უწოდებდა. სლავები უწოდებდნენ ნემცებს. მდ. ნემანიდან წარმოიშვა ზოგის აზრით ხალხი, რომელიც არ ლაპარაკობს ჩვენს ენაზე.

მათი მეზობლები იბერიელები დასახლებული იყვნენ აღმოსავლეთში. ჰიბერია ეწოდება პირენეის ნახევარკუნძულს. არსებობს ორი ჰიპოტეზა:

1. ნათესაობა ჩვენსა და იბერიელებს შორის

2. არავითარი ნათესაობა, არამედ უბრალოდ დამთხვევა.

ჩვენს წინაპრებს სწამდათ, რომ ესპანელი იბერიელები წასული არიან ჩვენგან (იოანე, გიორგი, ექვთიმე მთაწმინდელი).

ბედრი ჰროზნის მიხედვით, იბერიელები თავდაპირველად ცხოვრობდნენ სამხრეთ კავკასიაში, შემდეგ ზოგი წავიდა ჩრდილოეთით, ზოგი აფრიკით წამოვიდა და გადავიდნენ ესპანეთში. მათი მემკვიდრეები არიან ჩრდ. ესპანეთის და სამხრეთ საფრანგეთში მცხოვრები ბასკები.

ესპანელი ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ იბერიელები გალიაში შევიდნენ და აქვიტანია იბერული მოდგმისა იყო.

ინგლისელი მეცნიერის – მორტონის – "ინგლისის ისტორიაში" ვკითხულობთ, რომ ინგლისში პირველი კულტურული ფენა იყო იბერიელები.

მეორე დიდი ხალხი, რომელთანაც ურთიერთობა ჰქონდათ გერმანელებს, ეს იყო კელტები, რომლებიც სამხრეთ გერმანიაში ცხოვრობდნენ. კელტები ასევე შვეიცარიის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და იწოდებოდნენ ჰერვერტებად. ამიტომ შვეიცარიას ჰელვეციას უწოდებენ.

გაელებიც კელტები არიან, რაინის აღმოსავლეთით მცხოვრებლებს ბელგები ეწოდებოდა. სიტყვა გერმანია კელტური წარმოშობისაა. გერმანია ნიშნავს მეზობელს კელტურად. ტაციტუსმა შემოიტანა ხმარებაში ეს სიტყვა.

იულიუს ცეზარის ცნობები ძველი გერმანელების შესახებ

იულიუს ცეზარი იძლევა გერმანული ტომების აღწერას წიგნში –"კომენტარები გალებთან ომების შესახებ". მისი ექსკურსიები შეტანილია მე-4 და მე-6 წიგნებში.

მე-4 წიგნის პირველ თავში ცეზარი წერს: „ისინი მცირე-

ოდენად იკვებებიან პურით, უმთავრესად, რძით, მომეტებულად ხორცით და ბევრს ნადირობენ". მე-6 წიგნის 24-ე თავი: „ისინი არ არიან მეცადინენი მიწათმოქმედებაში და მეტწილად იკვებებიან რძით, ყველით, ხორცით". წინა 23-ე თავში აღნიშნავს, რომ გერმანელები ბევრს ნადირობენ, იცვამენ ბეწვთა სამოსელს.

მიწათმოქმედებას ცეზარის დროს აქვს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა. მიწათმოქმედებამ გაიარა სხვადასხვა საფეხურები. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ცეზარის დროს იყო სამმინდვრიანი სისტემა. ცეზარი მე-6 წიგნის მე-3 თავში წერს: "ისინი ხალხის უდიდეს დიდებად თვლიან, როცა მისი საზღვრის გარშემო მიწის უდიდესი ფართობი უკაცრიელი და დაუმუშავებელია." ასეთივე დახასიათება მოცემულია მე-6 და 23-ე თავში: "თავისსა გარშემო შემოირტყამს უკაცრიელ ადგილებს". ცეზარი ამას ხსნის სამხედრო – სტრატეგიული მიზეზით. ისტორიკოსები კი ამაში ხედავენ სამეურნეო წყობილების ასახვას. ამუშავებენ მიწის მხოლოდ მცირე ნაწილს. უმეტესი ნაწილი აქვთ მარაგში. ერთი ადგილიდან გადადიან მეორეზე. ეს იყო ექსცენსიური – ნაკლებ შრომატევადი სისტემა მიწათმოქმედებისა. ამ სისტემას სამინდვრე-საბალახე სისტემა ეწოდება. გერმანულად, переложная რუსულად, ანუ სახნავ-ცვლითი, ადგილ-ცვლითი სისტემა.

ვინ ამუშავებს მიწას?

მე-6 წიგნის 22-ე თავში ვკითხულობთ: „ისინი მიწათმოქმედებას მაინცდამაინც არ მისდევენ და არცერთ მათგანს არ აქვს ზუსტი ოდენობის და განსაზღვრული მიწის ნაკვეთები. მეფენი და უხუცესები ყოველწლიურად მიუზომავენ მიწას ერთ მცხოვრებ საგვარეულო კავშირს და ერთი წლის შემდეგ აიძულებენ სხვაგან გადავიდნენ. მათ არა აქვთ კერძო და გამოყოფილი მიწა".

მიწა არის საგვარეულო საკუთრება. ისტორიკოსი ფიუსტელ დე კულანჟი ასაბუთებს, რომ არავითარი საგვარეულო

წყობილება გერმანელებს არ ჰქონდათ. ალფონს დოპში კი მიიჩნევს: გერმანელებს ჰქონიათ მიწის საგვარეულო საკუთრება. ხდებოდა სახნავის ცვლა, გვარის მიერ მიწის დამუშავება.

ცეზარის მე-6 წიგნის 23-ე თავი გადმოგვცემს: „როდესაც ტომი ომს აწარმოებს აირჩევენ თანამდებობის პირებს, რომლებიც სარდლობის მოვალეობას ასრულებენ, მშვიდობის დროს გვარს მთავრობა არ ჰყავს. მათთვის სტუმართმოყვარეობა არის დამახასიათებელი. სტუმრის შეურაცხყოფას გერმანელები ცოდვად თვლიან. თავიანთ სახლში უცხოდ არ აგრძნობინებენ თავს."

ცეზარი იხსენებს კერძო რაზმებს 23-ე თავში. მშვიდობის დროს ტომს საერთო მთავრობა არ ჰყავდა. ბელადს მიჰყვებოდა კერძო რაზმი. ცეზარის დროს, მაგალითად, არიოვისტს 12 ათასი კაცი ჰყავდა თავის რაზმში.

დაქირავების სისტემა შემოიღო ცეზარმა და შემდეგ იგი გავრცელდა. ცეზარის დროს რომაელები გერმანელების ხელით იცავდნენ გერმანელებისაგან საზღვარს. რომაელები ქირაობდნენ გერმანელებს.

ცეზარს სურდა გერმანიის დაპყრობა. ორჯერ სცადა, გადავიდა საზღვარზე, მაგრამ მობრუნდა, რადგან ემუქრებოდა გალების აჯანყება. ცეზარი მოკლული იქნა ბრუტუსის და კასიუსის შეთქმულებით. კასიუსი ოდესღაც ცეზარის მომხრე იყო, ბრუტუსი კი პომპეუსის მომხრე.

ოქტავიანეს ჰყავდა ორი გერი: დრუზუსი და ტიბერიუსი. დრუზუსმა დაიპყრო გერმანია მდინარე ელბამდე. შემდეგ ტიბერიუსმა. პირველი საუკუნის დამლევისთვის მდინარე ვეზერიის ნაპირზე ალიზოს ციხესიმაგრე ააშენეს. დაიპყრეს გერმანია. 5 წელს ოქტავიანემ დანიშნა გერმანიის მმართველად რომაელი პუბლიუს კვინტილიუს ვარუს. ის იყო მომხვეჭი. პროკონსულზე (პროკონსული – ძვ. რომში პროვინციის მმართველი) საჩივარი არ შეიძლებოდა. ის მანამდე იყო

სირიის პროკონსული. ღარიბმა დაიწყო მდიდარი პროვინციის მართვა და გამდიდრებულმა დატოვა გაღატაკებული ქვეყანა. მან შემოიღო რომაული სამართალი, სამხედრო ბეგარა, სხეულებრივი სასჯელები. ეს კი იწვევდა გერმანელების ყრუ უკმაყოფილებას.

არმინიუსმა (ჰერმანი) ხერუსკების ტომის ბელადის შვილმა მიიღო ცენტერიონის (ცენტერიონი-უფროსი, მეთაური) წოდება და რომის დაქირავებულ არმიას მეთაურობდა. 9 წელს დაბრუნდა სამშობლოში, სადაც დახვდა მოსახლეობის უკმაყოფილება. ის სათავეში ჩაუდგა შეთქმულებას.

ვარუსს ჰყავდა სამხედრო საბჭო, მასში გერმანელი ბელადებიც შედიოდა. სექტემბრის დამდეგი იყო. გერმანელების საზაფხულო ბანაკი განლაგებული იყო ელბას იქეთ. მას 3 ლეგიონი ჰყავდა. ლეგიონში 5 ათასი კაცი შედიოდა. კავალერია, საინჟინრო ნაწილები, სულ 20 ათასი კაცი. ვარუსი აპირებდა საზამთროდ გადმოსვლას. მის ზურგს უკან ერთ-ერთი ტომი აჯანყდა. საბჭომ გადაწყვიტა მისი ჩახშობა. 9 წლის სექტემბრის დამდეგს ვარუსი დაიძრა პირდაპირი გზით, რომელიც გადიოდა უღრან ტევტობურგის ტყეში. ვარუსი როცა ტყეში შევიდა იგი გერმანელთა ალყაში აღმოჩნდა. დაიწყო უთანასწორო ბრძოლა. უღრანი ტყის პირობები არ აძლევდა შესაძლებლობას ვარუსს გაეშალა თავისი ბრძოლა. ხეებს ამოფარებული გერმანელები ხოცავდნენ ვარუსის არმიას. ამას ემატებოდა წვიმა, ქარბუქი. მე-3 დღეს გერმანელებმა დაამარცხეს რომაელები. ვარუსმა და საუკეთესო მებრძოლებმა თავი მოიკლა. დანარჩენი ტყვედ წაიყვანეს და რა ბედი ეწიათ მათ არ არის ცნობილი.

ტაციტუსი წერს: „ჯერ კიდევ შორიდან მთვარის კაშკაშა შუქზე მოჩანდა თეთრი ლაპლაპა ნიადაგი. ეს იყო ადამიანის და ცხენის ძვლები“.

გამწარებული იმპერატორი გაიძახოდა: „ვარუსს დამიბრუნე ჩემი ლეგიონი“. გერმანელების წინააღმდეგობა იმდე-

ნად ძლიერი იყო, რომ რომაელებმა ვერ აღადგინეს ბატონობა.

არმინიუსი დაილუპა. გერმანელებს შორის იყო შუღლი. ააგეს კედელი რომის საზღვარზე 500 კმ. სიგრძეზე. ციხეები შეერთებული იყო ღობით, თხრილით, მიწაყრილით.

ტაციტუსის ცნობით, გერმანელები ამზადებდნენ სასმელს pluds-ს, რომაელებმა კი შეასწავლეს ღვინის დამზადება. რომაელები ღვინოს ბოროტად იყენებდნენ გერმანელების წინააღმდეგ, ათრობდნენ მათ და შემდეგ ადვილი იყო მათი დამარცხება.

მეცხოველეობა მათი მნიშვნელოვანი დარგია, მაგრამ მიწათმოქმედებაც იჭერს გარკვეულ ადგილს. მიწას ინაწილებს ოჯახები. Famillafam ლათინურად ოჯახს ნიშნავს. ეს არის დიდი პატრიარქალური ოჯახი, რომელიც განსხვავდება დღევანდელი ოჯახისგან. პატრიარქალური ოჯახი რამოდენიმე თაობისგან შედგება, მას სათავეში უდგას ბელადი.

ხეხილს არ რგავდნენ, მხოლოდ პურს თესდნენ.

გერმანიის 26-ე თავში ვკითხულობთ: გერმანელები არ ცდილობდნენ შრომით გაადიდონ მიწის ნაყოფიერება, რაოდენობა. ისინი ამუშავებენ მიწას პურის დასათესად". ე.ი. ერთწლიან კულტურას მისდევდნენ.

მიწები დამმუშავებელთა რიცხვის მიხედვით რიგრიგობით არის დაკავებული. სახნავს ყოველწლიურად ცვლიან და ბლომად რჩება მიწები. ღირსების მიხედვით არის განაწილებული მიწები.

ალფონს დოპში ფიქრობს, რომ ღირსების მიხედვით დიდი ღირსების ადამიანი თვისობრივად და რაოდენობრივად იღებს მეტ მიწებს. ე.ი. ჩასახულია საგვარეულო არისტოკრატია. მათი ქონება არის შინაური პირუტყვი, უკეთესი სახლები, ავეჯი, მეტი მუშახელი-მონები.

ძველ გერმანელთა საზოგადოება იცნობს მონებს.

24-ე თავი: „მონის შეძენის საშუალება არის ომი. აზარტული თამაშით შეიძლება ადამიანი მონად ექციათ.

როგორ იყენებენ მონას?

ისე არა როგორც ჩვენ. ისინი არიან ყმა-გლეხები ჩვენი კოლონიების მსგავსად. თითოეულ მონას აქვს თავისი განსაკუთრებული ბინა".

გერმანელებს შორის გაჩენილია მიწების განანილებაში უთანასწორობა, ღირსების მიხედვით ხდება მიწების გადანაწილება. დიდი გავლენით სარგებლობს საგვარეულო წყობილება. მე-20, 21-ე თავში წერს ამის შესახებ ტაციტუსი: "დისწული თავის ბიძასთან ისეთივე პატივშია, როგორც საკუთარ მამასთან. (ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით აქ მატრიარქატის ნაშთია). მემკვიდრეობა გადის ვაჟიშვილებზე. თუ არა ჰყავს შვილები, გადის გვერდით ნათესაობის ხელში. ეს მოწმობს საგვარეულო წყობილების სიძლიერეზე. მე-7 თავი გადმოგვცემს: "ქვეითი ჯარი ისე როგორც ცხენოსანი შედგენილია ოჯახებისა და გვარებისაგან. მათთვის საყვარელი ადამიანები გვერდით ჰყავთ"

რა ეწოდება რაზმებს? ეს არის ასეული Centera- handred – ცენტერა. იკრიბება ასეულის კრება.

გავრცელებულია სისხლის აღების წესი. რას ნიშნავს სისხლის აღება? თუ მოკლეს მამა ან ძმა, უნდა მოკლან იმ გვარის წევრი, რომლის წევრმაც ჩაიდინა დანაშაული. შეიძლება გვარის ნათესავი წევრი მოკლულ იქნას. გაჩნდა სისხლის გამოსყიდვის წესი. Vergeld,Vira,Kompozicio -სისხლის საფასური.

უმაღლესი ორგანო არის სახალხო კრება, მოგვიანებით შემოდის წარმომადგენლობითი კრება. სახალხო კრება იკრიბება პერიოდულად, სავსე და ნახევარ მთვარე დღეს. ქურუმებს უხუცესებთან ერთად დიდი ძალა ჰქონდათ. კრება ირჩევდა მეფეს, ბელადებს. მეფეს ირჩევდნენ წარჩინების, ბელადებს-მამაცობის მიხედვით. კრება თანხმობის ნიშნად

იარაღს ააჟღარუნებდა, დაწუნების შემთვევაში იწყებდნენ ხმაურს. უხუცესთა საბჭოს სათავეში მეფე უდგას. დიდმნიშვნელოვანი საკითხები გააქვთ სახალხო კრებაზე- CONCILIUM-ზე. სახალხო კრებას სასამართლო უფლებებიც აქვს. ასეულის კრება ფრანკებში 43 დღეში ერთხელ იკრიბებოდა. სახალხო მსაჯული უნდა ყოფილიყო ხანდაზმული, პატიოსანი, უნდა სცოდნოდა კარგად ადათ-წესები, მოსარჩელე, მოპასუხე. რახინბურგების სასამართლოს ის ღირსება ჰქონდა, რომ დაკვირვებულად ეწარმოებინათ პროცესი. გამოცდა 4 წესით წარმოებდა:

1. მოწმის ჩვენება
2. ფიცი
3. ორდალი – ღვთის სამართალი (მდუღრით, შანთით, ცივი წყლით გამოცდა).
4. ორთაბრძოლა – დუელი.

ძველი გერმანელების კულტურა

პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსის "გერმანია" წარმოადგენს გერმანელთა საზოგადოებრივი ცხოვრების, ყოფის და ადათების აღწერას. ასეული წლის განმავლობაში რომაელები მიიჩნევდნენ ამ ტომებს, როგორც თავისებური წარმოშობის, ველურ, არაცივილიზირებულ ხალხად. სიტყვა "გერმანელები და "ბარბაროსები" სინონიმებად მიაჩნდა ტაციტუსს.

გერმანელთა თავისებურება ტაციტუსის აზრით იყო სიღარიბე. ისინი ცხოვრობდნენ მიწურებში, ხოლო ზამთარში ორმოებში, რომლის ზემოთ აყრიდნენ დიდი რაოდენობით ნაკელს (თავი მე-16). სიღარიბეში მიდის მთელი მათი ცხოვრება. ბავშვები არიან "შიშველი" და "ბინძური". (თავი მე-20), მოზარდებს არაფერი აცვიათ გარდა მოსასხამისა, მთელ დღეებს შუა ცეცხლის წინ ატარებენ. (თავი მე-17). დაკრძალვა ცხედრის ყოველგვარ ფუფუნებას მოკლებულია. მიწისგან

ღებულობენ მხოლოდ პურის მოსავალს. ერთადერთი და საყვარელი საქმიანობა არის მეცხოველეობა. შესაბამისად გადასახადებს იხდიდნენ ნატურალური ფორმით-საჩუქრის სახით. ტომის ბელადს ან საბჭოს გადასცემდნენ საქონელს ან მიწათმოქმედების ნაყოფს. ფულის აღება ვასწავლეთ ჩვენ-წერს ტაციტუსი.

გერმანელებში არავითარი სკოლა არ იყო ბავშვებისა და მოზრდილებისათვის. ძირითადი საკვები იყო მცენარის ფესვები, ნანადირევი, ხორცი და მუავე რძე.

მართალია გერმანელები ფიზიკურად ძლიერნი იყვნენ და ხშირად უხდებოდათ ბრძოლა, მაგრამ მაინც არ იცოდნენ ბრძოლის წესები, არ იყვნენ ორგანიზებული ერთ მთლიან ძალად, არმიად.

გერმანელებსა და რომაელებს შორის ბრძოლამ გასტანა ორას წელზე მეტ ხანს. ერთმანეთს დაეჯახა იმპერია-სახელმწიფო ორგანიზმი, რომელიც ეყრდნობოდა სამხედრო ძალებს და ექვემდებარებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას და იყო "გერმანული" თავისუფლება, ეგოისტური თავისუფლება.

რელიგია

ძველი გერმანელები იყვნენ სხვადასხვა მოვლენების თაყვანისმცემელნი: მრავალი ღმერთის მოწამენი-წარმართები.

მთავარი ღმერთი იყო:

1. ვოდანი (სკანდინავიაში ოდინი) – ღმერთების მამა. ბერძნებთან ზევსი, რომაელებთან-იუპიტერი.იგი ომის ღმერთი იყო.

2. ციუ ანუ ტიუ ტაციტუსი მას მარსს უწოდებს. ბერძნებში-არესი. ეს იყო თანაშემწე ომის საქმეებში. ციუ პირქუში დაჰქრის ბრძოლის ველზე, მისი შეხედვა სიკვდილს უდრიდა.

3. დონარი – ჭექა-ქუხილის და მიწათმოქმედების ღმერთი. უზარმაზარი, მხარბეჭიანი, წითელ თმიანი, უამინდობის დროს ცაზე დარბოდა ეტლებით, რომელშიც თხები იყო შებმული.

4. ფრაია – ქალღმერთი, კეთილი ქალღმერთი, ოჯახის, მძიმე მშობიარობის, ბავშვების მფარველი.(ბერძნებთან-ჰერა).

ძალიან ბევრი სახელწოდება წარმოსდგება წარმართული ღმერთების სახელებიდან. მაგ. გერმანიაში არის მთა დონარსბერკი-დონას მთა. ფრაუ (ქალბატონი) წარმოსდგება ფრაიდან. ასევე კვირის დღეები წარმოსდგება წარმართული ღმერთების სახელისაგან:

Sonday მზისა კვირა (კვირა)

Monday მთვარისა კვირა (ორშაბათი)

Tuesday ციუს, ომის დღე (სამშაბათი)

Wednesday ვოდანის დღე (ოთხშაბათი)

Thursday დონარის, ჭექა-ქუხილის (ხუთშაბათი)

Friday ფრაია-ქალის (პარასკევი)

Saturday შაბათი

საქართველოშიც ყველა დღეს წარმართული სახელები ჰქონდა. ებრაული შაბათები შემოიღეს ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ.

ქურუმები დიდი გავლენით სარგებლობდნენ. ისინი იყვნენ ორივე სქესის. ტაძრებში წარმოებდა მათი კულტი. გავრცელებული იყო მკითხაობა ჩხირებით. ზედ იყო ნიშნები და ამის მიხედვით მკითხაობდნენ. მკითხაობდნენ ცხენის ჭიხვინის მიხედვით, ფრინველებით, რამდენი გაფრინდებოდა, როგორ ჩხაოდა. აგრეთვე ომის წინ დაატყვევებდნენ მტრის რიგებიდან რომელიმეს, იარაღს მისცემდნენ და აომებდნენ თავის კაცთან, თუ დამარცხდდებოდა ტყვე, ომს არ დაიწყებდნენ და დადებდნენ ზავს.

ყოველდღიური წვრთნა ავითარებდა ფიზიკურ ძალებს, გამოიმუშავეს სისწრაფე და ბრძოლისუნარიანობა. ამის მაგალითია ტევტონთა მეფე – ტევტობოგი, რომელიც 4 და 6 ცხენზე ხტებოდა. საქართველოშიც იყო ნაბადზე ხტომა. ურარტუს მეფე 12 ნაბადზე ხტებოდა.

ძველი გერმანელები ვაჟს აქორწინებდნენ ქალზე, როცა მათი ფიზიკური ძალები არ იყო დახარჯული. ახალგაზრდა ვაჟისათვის ცოლი იყო პირველი ქალი. ასევე დიდ პატივს სცემდნენ ქალის პატიოსნებას. გერმანელების აზრით, ქალში იყო რაღაც ღვთაებრივი ძალა. ბრძოლის წინ მკითხაობა ევალებოდა ოჯახის დედებს.

განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ ისინი ბავშვებს და გონებრივად დაავადებულებს.

ქალს უყურებდნენ ასევე, როგორც სუსტ არსებას, რომელიც დამოკიდებული იყო მამაკაცზე. მას მზითევში მიყვებოდა იარაღი და საქონელი (პირუტყვი). როგორც მუსლიმან ხალხში ასევე გერმანელებში რამდენიმე ცოლი ჰყავდა მდიდრებს და წარჩინებულებს.

გერმანელებთან ერთ-ერთ ფეოდალურ ელემენტს წარმოადგენდა კერძო რაზმი. ცეზარი მოგვითხრობს, რომ "რაზმი დახარისხებულია იმისდა მიხედვით თუ ვის მიჰყვებიან". ბელადი და რაზმები ურთიერთ ერთგულნი არიან. ეს არის ფეოდალური ვასალიტეტის ჩანასახი. ბრიუნერმა წამოაყენა დებულება, რომ მეურნეობას ქალები ეწევიან. ისტორიკოსი ვიტიხის აზრით გერმანელები ეწევიან მონების ექსპლოატაციას. ალფონს დოპში მიუთითებს, რომ მონათმფლობელობა კი არ არის განვითარებული, არამედ არის პატრიარქალური მონობა. შეუძლებელია რომ მამაკაცები არ მუშაობდნენ. მუშაობდა ყველა. ქალებს თავიანთი საქმე ჰქონდათ, ხოლო უსაქმურობა ეხებათ მხოლოდ ბელადებს. უძლიერესნი და ყველაზე დიდი მებრძოლები არაფერს აკეთებდნენ.

თემა მესამე

ხალხთა დიდი გადასახლება. დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა და ბარბაროსული სამეფოების წარმოშობა

II-III სს-ში. მიმდინარეობდა გადასვლა გერმანელი ტომებისა აღმოსავლეთ და ცენტრალურ რაიონებში. ისინი არღვევდნენ რომის იმპერიის საზღვრებს. მთავარი მიზეზი მათი გადაადგილებისა იყო მოსახლეობის რიცხვის ზრდა, შეუძლებელი იყო ჭარბი მოსახლეობის გამოკვება. მათ იზიდავდა რომაული სოფლებისა და ქალაქების სიმდიდრე. ასევე ხშირი იყო მეზობელი ტომების თავდასხმები გერმანელ ტომებზე, რაც, უბიძგებდა მათ გადაადგილებისკენ რომის იმპერიის საზღვრებში.

ყველაზე გრძელი გზა გადასახლების დროს გაიარა აღმოსავლეთის გერმანელმა ტომებმა – გოთებმა. ჯერ კიდევ II ს-ში ისინი გადაადგილდნენ ბალტიის ზღვისპირეთის რაიონებიდან შავი ზღვისპირეთში, ისინი დასახლდნენ დნესტრის და ქვედა დუნაის ნაპირებზე, რომელსაც შემდეგ ვესტგოთები (ანუ ტყის გოთები) ეწოდათ. ხოლო გოთებს, დასახლებულებს დნესტრის აღმოსავლეთიდან შავი და აზოვის ნაპირებამდე, ეწოდათ ოსტგოთები (ველის გოთები). აქედან გამომდინარე, გოთები ხშირად ესხმოდნენ თავს რომის იმპერიას.

გერმანელებში ამ დროს წარმოიშვა ახალი მსხვილი ტომთა კავშირები:

1. ალემანების ტომთა კავშირი. მასში შედიოდა სემნონები, კვადები და ზოგიერთი სხვა ტომები, რომლებიც რაინის ზედა ნაპირზე ცხოვრობდნენ.

2. საქსების ტომთა კავშირი შედგებოდა მდ. ელბის ქვედა დინების, მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე მცხოვრები ტომებისგან: ხერუსკები, ხავკები და სხვა.

3. ფრანკების ტომთა კავშირი მოიცავდა შუა და ქვედა რაინზე მცხოვრებ ტომებს. ესენია: ხამავები, ბატავები, სუგამბრები, მარსები, ხატები, სალიები, რიპუარები და სხვა.

4. ვესტგოთების ტომთა კავშირი.

5. ოსტგოთების ტომთა კავშირი.

6. ლანგობარდების ტომთა კავშირი.

7. ვანდალების ტომთა კავშირი. მასში შედიოდა: ვანდალები, ალანები.

8. ბურგუნდების ტომთა კავშირი, რომელშიც შედიოდა: ვანდალები, ალანები, სვევები.

III-IV საუკუნეებში დასავლეთ ალემანებმა დაიპყრეს მიწები რაინს, დუნაისა და ნეკარს შორის, სამკუთხედი მიწებისა. გერმანელემა შექმნეს პლაცდარმი რომის ტერიტორიაზე შემდეგი თავდასხმებისათვის.

საზოგადოებრივი წყობის შეცვლა ძველ გერმანელებში

საწარმოო ძალების ზრდამ გერმანელებში გამოხატულება ჰპოვა იარაღის წარმოების გაუმჯობესებაში, ხელოსნობის, ვაჭრობის, მრეწველობის განვითარებაში. გაფართოვდა დამუშავებული მიწების რაოდენობა ტყეების განმენდით. გაუმჯობესდა ცხოველთა ჯიშები.

წარმატებები იქნა მიღწეული ხელოსნობაში და მრეწველობაში, ამაღლდა ხარისხი გერმანელების მიერ დამზადებული იარაღებისა: შუბის, ფარის, საბრძოლო ნაჯახების, საოჯახო ნივთების, ლითონის სამკაულების, ტყავის ნაწარმისა და ქსოვილის. ასევე დაეუფლნენ გემთმშენებლობას, შენდებოდა დიდი გემები. გაფართოვდა ვაჭრობა. რომის ვაჭრები აქ ხშირად ჩამოდიოდნენ. ამავე დროს გერმანელებში მეურნეობა კვლავ ნატურალური რჩებოდა.

იმპერიასთან მჭიდრო დაკავშირებამ განანაპირობა გვაროვნული წყობილების რღვევა გერმანელებში. ასევე საწარმოო ძალების განუხრელმა ზრდამ პირველ რიგში გამოხატვა ჰპოვა შემდგომ ქონებრივ დაყოფაში, ცალკეულ გვარებს შორის უთანასწორობის წარმოშობაში. ზოგიერთ გერმანულ ტომებში მოისპო მიწების თანაბარი განაწილება თემის წევრებს შორის.

გვარებს შორის და გვარის შიგნით უთანასწორობის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ გერმანულ ტომებში წარმოიშვა ნახევრად თავისუფალი ხალხი – ლიტები-ფრანკებში და საქსებში, ლეტები-იუტებში, ალდები კი ლანგობარდებში. ისინი ფლობდნენ მიწებს თავისუფალი მიწათმფლობელებისა, რომლებიც იმყოფებოდნენ პირად და ნაწილობრივ მატერიალურ დამოკიდებულებაში თავიანთ ბატონებთან. ამავე დროს, მონებისაგან განსხვავდებოდნენ სამართლებრივი უფლებით, მათი სიცოცხლე იყო დაცული ვერგელდით. შეეძლოთ დაედოთ ქონებრივი ხელშეკრულება, გარიგება.

გერმანელების მმართველობის სისტემას ისევ შეადგენდა სამხედრო დემოკრატია, მაგრამ ამ დროისათვის წარმოიშობიან დიდგვაროვნები და იზრდება მათი როლი, შემცირდა თავისუფალი მეთემეების რიცხვი და წარმოიშვა სახელმწიფო სამეფო უფლებით, რომელიც ეყრდნობოდა სამხედრო ძალებს.

სოციალურ ეკონომიკური ცხოვრების ცვლილებამ განაპირობა გარდუვალად ცვლილებები კულტურასა და იდეოლოგიაში, გერმანელებში წარმოიშვა დამწერლობა, რომელშიც გამოიყენებოდა ბერძნული და რომაული ასოები, მაგრამ გამოსახავდნენ რელიგიური კულტს და აკეთებდნენ მოკლე წარწერებს იარაღზე და ჭურჭელზე.

IV ს-ში გერმანულ ტომებში: გოთებში, ვანდალებში, ბურგუნდებში და სხვა ტომებში გავრცელდა ქრისტიანობა არიანობის ფორმით. პირველი გამავრცელებელი ქრისტია-

ნობისა გოთებში იყო ვულფილა, რომელმაც ბიბლია თარგმნა გოთურ ენაზე, გოთებს შეუქმნია ანბანიც, მაგრამ ეს ცვლილებანი ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ძირეულ ცვლილებას. მიწაზე კერძო საკუთრების პრინციპი ჯერ არ განმტკიცებულა და კლასობრივი საზოგადოება გერმანელებში ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა.

ხალხთა დიდი გადასახლება

IV ს-ში დაიწყო განსაკუთრებით მასობრივი გადასახლება გერმანული ტომებისა და შეჭრა იმპერიის ტერიტორიაზე, რომელიც ცნობილია ე.წ ხალხთა დიდი გადასახლების სახელწოდებით. გერმანული ტომების თავდასხმა რომის იმპერიაზე გამოწვეული იყო, პირველ რიგში, ქონებრივი და სოციალური უთანასწორობის წარმოშობით მათ რიგებში და მეორე ქონების გაზრდისაკენ მისწრაფებით. მიწების დაპყრობისა და სამხედრო ნადავლის მოპოვებისათვის. ომი გერმანელი ტომებისათვის ამ დროს გახდა ჩვეულებრივი მოვლენა. რომის იმპერია თავისი კარგად დამუშავებული მიწებით და მდიდარი ქალაქებით იზიდავდა გერმანელ ტომებს. ასევე მოსახლეობის ზრდა, როგორც შედეგი საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილებებისა, იყო ერთ-ერთი მიზეზი ხალხთა დიდი გადასახლებისა.

ამავე დროს, მომთაბარე ტომები ესხმოდა თავს გერმანელებს აზიიდან, რომლებიც მათში მეცხოველეობის განვითარების შედეგად მიისწრაფოდნენ საძოვრების, მიწების დაპყრობისკენ. მიწათმოქმედი ტომები უძლური იყვნენ გამკლავებოდნენ მოძალებულ მტერს და ტოვებდნენ თავიანთ მიწებს, თავად კი ესხმოდნენ სხვა ტომებს და რომის ტერიტორიას მათთვის ვარგისი მიწების ხელში ჩაგდებისათვის.

გადასახლება IV საუკუნის ბოლოსა და VI ს დასაწყისში განსხვავდებოდა წინა პერიოდის გადასახლებისაგან. როგორც თავისი მასშტაბით, ასევე თავისი ხასიათით, მასში მონაწილეობას იღებდა ბარბაროსთა დიდი რაოდენობა, რომლებიც გადიოდნენ ათასობით კმ-ს, ევროპის ტერიტორიისკენ, ბარბაროსები არ კმაყოფილდებოდნენ რომის საზღვრების დარბევით, არამედ იჭრებოდნენ იმპერიის შიდა რაიონებში. რომის იმპერია, რომელიც განიცდიდა წყობილების ღრმა კრიზისს, ვერ უწევდა სათანადო წინააღმდეგობას ბარბაროსებს.

გადამწყვეტი ბიძგი ხალხთა დიდ გადასახლებას მისცა ჰუნების თავდასხმებმა. IV ს-ის I ნახევარში ვოლგისა და დონის ტერიტორიებს შორის წარმოიშვა ტომთა კავშირი, რომელშიც შედიოდა აზიიდან გადმოსული ტომები, გვაროვნული წყობილების საფეხურზე მცხოვრებნი. მკვლევართა ერთი ნაწილი მათ მიაკუთვნებს თურქულ წარმოშობას, მეორე კი მონღოლურს. ჰუნები იყვნენ მომთაბარე მესაქონლე ტომები, არ იცოდნენ მიწათმოქმედება. მიწები მთელი ტომის საკუთრება იყო. ყველა ძირითადი საკითხები წყდებოდა სახალხო კრებებზე. ცხენებზე შემჯდარნი სამხედრო მოქმედების დროს ირჩევდნენ სამხედრო ბელადებს. მუდმივი სამეფო ხელისუფლება მეოთხე საუკუნეში ჰუნებში არ იყო.

IV საუკუნის მეორე ნახევარში, გადავიდნენ რა დასავლეთით, ჰუნებმა დაამარცხეს დონის აუზში ალანების ტომები და შეიყვანა ისინი თავის ტომთა კავშირში. შემდეგ 375 წ. ჰუნები თავს დაესხნენ შავისზღვისპირეთში, გოთების ტომთა კავშირს, რომლის დამოკიდებულების ქვეშ იყო ბევრი მეზობელი ტომი და დაიმორჩილეს ის. ამდენად, ნაწილი ოსტგოთებისა შევიდა ჰუნების შემადგენლობაში, ხოლო დანარჩენი დაიძრა დასავლეთისაკენ.

ვესტგოთების სამეფოს წარმოშობა

ვესტგოთები, რომლებიც ცხოვრობდნენ ოსტგოთების მეზობლად, ჰუნების თავდასხმისთანავე აიყარნენ ოჯახებით და მდ. დუნაიზე გავლით გადავიდნენ რომის იმპერიის ტერიტორიაზე მეზიაში (დღევანდელი ბულგარეთის ნაწილი) და დასახლდნენ ფედერატების, იმპერიის მოკავშირეების უფლებით. ვესტგოთებმა შეინარჩუნეს თავიანთი მმართველობა და ადათები. მათ ევალებოდათ ქვეყნის საზღვრის დაცვა. რომაელები, თავის მხრივ, იმის ვალდებულებას კისრულობდნენ, რომ ვესტგოთებს მოამარაგებდნენ სურსათ-სანოვაგით. მაგრამ, რომაელებმა არ შეასრულეს დანაპირები და არ დააკმაყოფილეს ვესტგოთების მოთხოვნები. შიმშილი, მექრთამეობა და ძალმომრეობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა რომაელი მოხელეებისაგან, განაპირობებდა ვესტგოთების აჯანყებას. აჯანყებულებს შეუერთდა სხვა გერმანელი ტომები. 378 წ. ანდრიანოპოლთან რომის არმია დამარცხდა, ხოლო იმპერატორი ვალენტი მოკლეს.

382 წ. რომის იმპერატორმა თეოდოსმა ჩაახშო აჯანყება, ვესტგოთები ისევ ფედერატების სახით დაასახლეს მეზიაში, თრაკიაში და მაკედონიაში, მაგრამ 395 წ. ისევ აჯანყდნენ მათი სამხედრო ბელადის ალარიხის მეთაურობით, რომელიც ბალთას გვარის ჩამომავალი იყო, იგი აირჩიეს მეფედ. იმპერატორი იძულებული გახდა მათთვის დაეთმო დიდი პროვინცია ილირიის და ბალკანეთის ნახევარკუნძულის დასავლეთით.

ვესტგოთების შემდგომმა ბრძოლამ გადაინაცვლა დასავლეთ იმპერიაში. ვესტგოთებს ძალიან იზიდავდა იტალია და V ს. დასაწყისში ისინი შეიჭრნენ იქ, რამდენიმე წლის მანძილზე საომარი მოქმედება პერიოდულად იცვლებოდა ხელშეკრულებით, მაგრამ 408 წლიდან, რომის არმიის მეთაურის – სტილიხონის არჩევის შემდეგ, რომელმაც რამოდენიმე-

ჯერ გაიმარჯვა ვესტგოთებზე, ალარიხის მხარეზე გადავიდა ბევრი გერმანელი ბარბაროსი. სტილიხონის არმიიდან ასევე დიდი რაოდენობით გადავიდნენ რომაელი მონები. ალარიხი რამდენჯერმე შეიჭრა რომში და ქალაქი ალყაში მოაქცია. 410 წ რომი აიღეს ვესტგოთებმა და გაძარცვეს.

მსოფლიო იმპერიის დედაქალაქის დაცემამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თანამედროვეებზე. ანტიკური კულტურის ბევრ წარმომადგენელს მიაჩნდა, რომ რომის დაცემასთან ერთად დაეცემა მთელი ქვეყანა, მაგრამ ბრძოლა ბარბაროსებსა და რომს შორის გრძელდებოდა იტალიის გაძარცვის შემდეგ. ვესტგოთებს არ შეეძლოთ დასახლება აქ პროდუქტების სინაკლების გამო და ალარიხის მემკვიდრის ატაულფის დროს სცადეს გადასვლა სიცილიაში, მაგრამ ეს ცდა მარცხით დამთავრდა და გადასახლდნენ სამხრეთ გალიაში

ვესტგოთების ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ იმპერიის მთავრობის თანხმობით დასახლდნენ ფედერატების სახით სამხრეთ გალიაში (აქვიტანია). აქ 418 წელს წარმოიშვა პირველი ბარბაროსული სახელმწიფო რომის ტერიტორიაზე – ვესტგოთების სამეფო დედაქალაქი ტულუზით (თანამედროვე ტულუზა), მალე აქვიტაინიაში დასახლების შემდეგ ვესტგოთებმა გაიყვესადგილობრივი მოსახლეობის მიწები. მათ ხელში გადავიდა 2/3 სახნავი მიწებისა და ნახევარი სხვა მინდვრებისა, რომლებიც ეკუთვნოდა რომაელ მიწათმფლობელებს.

V ს. II ნახევარში ვესტგოთებმა დაიპყრეს მთელი გალია მდინარე ლუარის და დუნაის სამხრეთით. ასევე ესპანეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი. VI ს. დასაწყისში კი ფრანკებმა დაამხეს ვესტგოთების ტულუზის სამეფო და აქვიტანია 507 წ. შევიდა ფრანკთა სამეფოს შემადგენლობაში. ვესტგოთების სახელმწიფოს შემადგენლობაში გარდა ესპანური მიწებისა შედიოდა გალიის სამხრეთი ოლქი სეპტიმანია. მან იარსება VIII ს. დასაწყისამდე, არაბების დაპყრობამდე.

ვანდალების სამეფო აფრიკაში

ვესტგოთების კვალდაკვალ თავისი სამეფო რომის ტერიტორიაზე შექმნა ვანდალების ტომებმა. ისინი გადმოვიდნენ გერმანიის შიდა რაიონებიდან მდინარე დუნაიზე IV ს დასაწყისში პანონიაში, ხოლო შემდეგ ჰუნების მოწოლის გამო გადავიდნენ დასავლეთში. სხვა ტომებთან ერთად ვანდალებმა V ს-ის დასაწყისში გადალახეს რომის საზღვარი. შეიჭრნენ გალიაში, გალიიდან ვანდალები და ალანები სვევებთან ერთად შევიდნენ ესპანეთში, სადაც რამდენჯერმე შეეჯახნენ ვესტგოთებს.

429 წ ვანდალები ალანებთან ერთად სრუტის გავლით (ეხლანდელი გიბრალტარი) გადავიდნენ ჩრდ. აფრიკაში მათ ხელმძღვანელობდა მეფე გეიზერიხი. მან დაიპყრო დიდი ნაწილი ჩრდ. აფრიკისა, სადაც წარმოიშვა დამოუკიდებელი ვანდალების სამეფო დედაქალაქ კართაგენით. ვანდალები, რომლებიც იყვნენ არიანები დაიპყრეს მიწები და ქონება ჩრდ. აფრიკის იმ ნაწილში, სადაც დასახლდნენ (დღევანდელი ტუნისი და ლიბანი). შემდეგ დაიპყრეს ბალერიის კუნძული კორსიკა, სარდინია, სიცილია. გეიზერიხი 455 წელს დაესხა თავს ზღვიდან რომს, ვანდალებმა ქალაქი დაარბიეს საშინლად, გააცამტვერეს, გაანადგურეს კულტურის ძეგლები ხელოვნების ნიმუშები. აქედან წარმოიშვა ტერმინი (ვანდალიზმი), რითაც აღინიშნება ველური განადგურება კულტურული ღირებულებებისა.

ვანდალების სამეფომ იარსება 534 წლამდე, როცა იმპერატორ იუსტინიანეს არმიამ გაანადგურა ვანდალები და როცა ჩრ აფრიკა შეუერთეს ბიზანტიას.

ბურგუნდიის სამეფოს წარმოშობა

სამხრეთ-აღმოსავლეთ გალიაში V ს-ში წარმოიშვა ბურგუნდიის სამეფო. ვანდალებთან, ალანებთან და სვევებთან ერთად ბურგუნდები V ს-ის დასაწყისში რაინის გავლით დასახლდნენ შუა რაინზე და შექმნეს თავისი სამეფო ვორმსის ცენტრით. 435 წ. ბურგუნდიის სამეფო დაამხეს ჰუნებმა და გადარჩენილი ბურგუნდები დასახლდნენ რომში ფედერატების სახით. საბაუდიაში (თანამედროვე სავოია) სამხრეთ დასავლეთით ჟენევის ტბიდან გვიან ბურგუნდები დასახლდნენ რაინის ზემო და შუა დინებაზე და სენაზე (თავისი შენაკადებით) და 457 წ. შეიქმნა ახალი ბურგუნდის სამეფო დედაქალაქ ლიონით.

ბურგუნდებმა დაიწყეს ადგილობრივი მოსახლეობის მიწების მიტაცება. მათ ხელთ იგდეს ნახევარი ტყეები, ველების და საძოვრების 1/3. ბურგუნდები სახლდებოდნენ სისხლით ნათესაური კავშირებით (დიდი ოჯახებით). ბურგუნდები როგორც ვესტგოთები არ ხვდებოდნენ წინააღმდეგობას გალიის მოსახლეობისაგან, რომლებიც მიისწარაფოდნენ თავი დაეღწიათ რომის ბატონობისაგან. ზედმეტი გადასახადების გამო, რომის პლებსმა ერთსულოვნად განაცხადა იმის შესახებ, რომ მათთვის მიეცათ ნება ეცხოვრათ ბარბაროსებთან. ზოგიერთი წარმომადგენელი ადგილობრივი დიდკაცობისა იწყებს სამსახურს ბარბაროს მეფეებთან. 534 წ. ბურგუნდიის სამეფო დაიმორჩილა ფრანკებმა.

ჰუნთა ტომობრივი კავშირი

ჰუნებმა დაარბიეს რა ოსტგოთები, იწყებენ რომის ტერიტორიაზე შეჭრას. V ს. დასაწყისში მათ დაიკავეს პანონია (დას. ნაწილი თანამედროვე უნგრეთისა) და შექმნეს აქ ფართო გაერთიანება, რომელშიც შევიდა მათ მიერ დამარცხებული გერ-

მანული და არაგერმანული ტომები (ოსტგოთები, კვადები, მარკომანები, გეპიდები და სხვა). ჰუნებში ამ დროს იწყება სოციალური დიფერენციაცია, გაჩნდა მონები, რომელთაც იყენებდნენ უმთავრესად საოჯახო მეურნეობაში. დაიწყო სამემკვიდრეო მეფის ხელისუფლების ჩამოყალიბება, მაგრამ ძირითადი მასა იყო მომთაბარეები, ამიტომაც ჰუნებს სჭირდებოდათ საძოვრები ცხოველებისათვის და აგრძელებდნენ დაპყრობას. ამასთან ისინი დაუნდობლად ანადგურებდნენ სოფლებს და ქალაქებს, ართმევდნენ ქონებას მოსახლეობას V ს-ის 40-იანი წლების შუა ხანებში ჰუნებს სათავეში ჩაუდგა ენერგიული მეთაური ატილა, რომლის მეთაურობით მათ გაანადგურეს ევროპის მნიშვნელოვანი ნაწილი.

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების უფრო დაბალი დონე მომთაბარე ჰუნებში, აძნელებდა მოქმედებას რომსა და ბარბაროსებთან, რომელთაც ჰქონდათ სამეფოები: გალიაში, ესპანეთში, და იტალიაში.

50-იანი წლების დასაწყისში ატილა გადავიდა რაინზე და შეიჭრა გალიაში, 451 წ. შამპანში კატალაუნის ველებზე მოხდა ერთი ძლიერი ბრძოლა. რომის მხარეზე, რომელსაც მეთაურობდა აეციუსი, გამოდიოდნენ ვესტგოთები, ფრანკები, ბურგუნდები. ჰუნების მხარეზე-ოსტგოთები, გეპიდები. ჰუნებმა ამ ბრძოლაში დიდი დანაკლისი განიცადეს და დაიხიეს უკან რაინისაკენ. ატილას სიკვდილის შემდეგ ჰუნთა ტომთა კავშირი დაიშალა (454 წ), საპნის ბუშტივით გაქრა. ბრძოლის დროს ვესტგოთების მეფე თეოდორიხი მოკვდა. მის ადგილს იკავებს მისი შვილი ტორიზმუნდი.

ოსტგოთების სამეფოს წარმოშობა

ჰუნთა ტომთა კავშირის დაშლის შემდეგ ოსტგოთები ცხოვრობდნენ დუნაისპირეთში, პანონიაში, ასევე თრაკიაში და გახდნენ ფედერატები-მოკავშირეები აღმოსავლეთ რო-

მის იმპერიისა. ოსტგოთების ბელადი იყო თეოდორიხი. ჰქონდა რომის პატრიციის და კონსულის წოდება.

488 წ გააერთიანა რა თავისი ხელისუფლების ქვეშ მნიშვნელოვანი ნაწილი მიწებისა, ოსტგოთების ბელადმა თეოდორიხმა დადო შეთანხმება ბიზანტიის იმპერატორ ზენონთან, იტალიაში ლაშქრობის ჩატარების შესახებ, რომელსაც მართავდა ოდოაკრი.

ოსტგოთების მიერ რამდენჯერმე მათი დამარცხების შემდეგ, ოდოაკრმა დადო თეოდორიხთან ხელშეკრულება და შეთანხმება იტალიის დაყოფის შესახებ, მაგრამ მალე ოდოაკრი მოკლულ იქნა თეოდორიხის მიერ და 493 წელს იტალიაში შეიქმნა ოსტგოთების სამეფო დედაქალაქი რავენათი. მასში შედიოდა მიწები იტალიის ჩრდილოეთიდან დუნაიმდე-ეხლანდელი ტიროლი, შვეიცარია ბავარიის ნაწილი, ავსტრია, უნგრეთი და ილირია, ადრიატიკის ზღვის აღმოსავლეთი ნაპირი.

ძირითადი მასა ოსტგოთებისა დასახლდა ჩრ. და შუა იტალიაში. სამხრ. იტალიაში იმყოფებოდა მხოლოდ გოთების გარნიზონები. მიწების განაწილება მოხდა რომაელთა მიწების 2/3-ის გოთებზე გადაცემით. იმ მიწების ხარჯზე, რომელიც ადრე იმყოფებოდა ოდოაკრის შთამომავლების ხელში. ოსტგოთების სამეფომ იარსება 555 წ-მდე, როცა ხანგრძლივი ომის შედეგად ბიზანტიის იმპერიამ თავის ხელისუფლებას დაუმორჩილა იტალია.

იტალიის დაპყრობა ლანგობარდების მიერ

ბიზანტიამ ვერ შეძლო დიდხანს შეენარჩუნებინა თავისი ბატონობა იტალიაზე. 568 წლიდან ლანგობარდები (გერმანული ტომები), რომლებიც ცხოვრობდნენ ელბის მარცხენა მხარეზე და შემდეგ დასახლდნენ დუნაიზე, მეფე ალბიონის მეთაურობით შეიჭრნენ იტალიაში

VII ს-ის დასაწყისში ლანგობარდებმა შეძლეს დაეპყროთ

მნიშვნელოვანი ნაწილი იტალიისა. ისინი დასახლდნენ ქვეყნის ჩრდილოეთ და შუა ნაწილში (ლომბარდია და ტოსკანია) და სამხრეთ იტალიის მთიან რაიონში, სადაც შეიქმნა ლანგობარდების სამეფო. მოგვიანებით მას ლომბარდია ეწოდა. მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვაო ნავსადგურებისა ბიზანტიის ხელში დარჩა. ლანგობარდების სამეფოში არ შედიოდა ვენეცია, რავენის მიწები, ე.წ რავენის საეგზარხოსო, ასევე პაპის ოლქი.

ლანგობარდები სახლდებოდნენ იტალიაში სისხლით ნათესაური კავშირებით (დიდი ოჯახებით), რომელნიც როგორც ბურგუნდები, იწოდებოდნენ ფედერატებად და არ მოუხდენიათ დაყოფა რომაელთა მიწებისა, როგორც ეს მოახდინა ბურგუნდებმა ან ვესტგოთებმა. დაზარალდა ნაწილი გლეხებისა და მონებისა, რომლებიც იყვნენ მიწაზე მიჯაჭვული. რომის მონებისა და კოლონების ძირითადი მასა შეერია ლანგობარდების მონებსა და ნახევრად თავისუფალ მასებს (ალდიებს).

ლანგობარდების სამეფომ იარსება VIII ს-ის 70-იან წლებამდე, როცა ისინი დაიმორჩილეს ფრანკებმა.

ფრანკთა სამეფოს წარმოშობა

ფრანკებმა დაიპყრეს დიდი ნაწილი დასავლეთ და ცენტრალური ევროპისა. იტალია, ბელგია, ავსტრია, უნგრეთი, ესპანეთი, ბულგარეთი წარმოშობილია ფრანკთა სახელმწიფოსაგან. ამიტომ მათი ისტორიის შესწავლა საყურადღებოა. ვინ არიან ფრანკები?

ფრანკები იყვნენ გერმანული ტომები, რომლებიც სახლობდნენ მდინარე რაინის მარჯვენა სანაპიროზე. ესენია: ხამავები, ბატავები, სუგამბრები, ხატები, სალიები, რიპუარები, მარსები, ისტეონები, ინგეონები. ტაციტუსი იხსენიებს ხავკებს, ბატავებს, სუგამბრებს, უბიებს, რომლებიც რაინის მახლობლად ან რაინის მარჯვენა ნაპირზე ცხოვრობდნენ.

ფრანკი, ფრაიტი (თავისუფალი ადმიანი) ორივეს ერთნაირი ფუძე აქვს თითქოს. პირველი ფორმა უნდა იყოს ფრაკ, რაც ბარბაროსას ნიშნავს.

III-ს-ში ფრანკებმა გადმოლახეს რაინი და დღევანდელი ბელგიის ტერიტორიაზე ტოკსანდრია დაიკავეს. ისინი ფედერატების (მოკავშირეების) სახით დასახლდნენ. ტოკსანდრია დატოვა რომაელებმა და იგი ფრანკებს დარჩათ.

ამიანე მარცელინუსი გადმოგვცემს, რომ 358 წელს იულიანე აპოსტსტას ჰქონდა ბრძოლა იმ ფრანკებთან, რომელნიც თავის თავს სალიელებს ეძახიან. ისინი იყოფიან ორ შტოდ:

1. რიპუარები– ჩრდ. რაინის ნაპირზე მცხოვრებნი.
2. სალიელები– სამხრეთ რაინის ნაპირზე მცხოვრებნი.

სალიელის წარმოშობის შესახებ არსებობს ორი მოსაზრება:

1. სალიელი წარმოსდგება მდინარე სალასაგან, რომელსაც ძველად ისალა ეწოდებოდა, იგი მდინარე რაინის ტოტია. (ჰოლანდიას დღეს მდ. ისალას, ეისელის სახელი აქვს).

2.სალიელი წარმოსდგება კელტური სიტყვა სალი-საგან, რაც ზღვისპირა ფრანკს ნიშნავს. ეს ჰიპოთეზა უფრო მიღებულია.

სალიელი ფრანკები იყოფოდა ტომებად. ყოველ ტომს ჰყავდა მეფე. ისინი წარმოშობილი იყვნენ ერთი წინაპრისაგან- მერორეისაგან. მეფეს თმები არ უნდა შეეჭრა დაბადებიდან. როცა ჩამოაგდებდნენ ტახტიდან, მაშინ გაკრეჭდნენ.

ისინი ხშირად თავს ესხმოდნენ რომაულ გალიას, ახალი მიწების ხელში ჩასაგდებად. IV საუკუნის მეორე ნახევარში მათ დაიკავეს ტოკსანდრია (ტერიტორა მაასსა და შელდას შორის) დასახლდნენ აქ ფედერატების სახით. V ს-ის შუა ხანებში ფრანკები ავრცელებს თავის ხელისუფლებას სამხრეთით და დასვლეთით.

ფრანკთა ტომის ერთ-ერთი ბელადი ხლოდვიგი (481-511 წწ) რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, იწყებს დაპყრობას

ჩრდილო აღმოსავლეთ გალიაში, რომელსაც მართავდა რომის მაგნატი სიაგრიუსი. 486 წ. ხლოდვიგმა სუასონის მახლობლად დაამარცხა სიაგრიუსის ჯარი. დაიპყრო მიწები სენამდე, ხოლო შემდეგ გააფართოვა გალიის მიწები. ხლოდვიგმა გააძევა სალიელი ფრანკების მეფე,ასევე სხვა ფრანკთა ტომები და გაერთიანა თავისი ხელისუფლების ქვეშ.

თავისი ხელისუფლების განმტკიცებისათვის ხლოდვიგმა 496 წ. თავის არმიასთან ერთად მიიღო ქრისტიანობა ვესტგოთების ორთოდოქსალურ ეკლესიაში. ოსტგოთების, ვანდალების, ბურგუნდების, ლანგობარდებისაგან, განსხვავებით, რომლებიც იყვნენ არიანული ქრისტიანები. ეს იყო მოქნილი პოლიტიკური ნაბიჯი, რომელმაც უზრუნველყო ხლოდვიგისათვის პაპის მხარდაჭერა შემდგომ დაპყრობებში.

წყაროები არ გვაძლევს ცნობას მიწების რეგულარული დაყოფის შესახებ ფრანკებსა და ადგილობრივ გალო-რომაულ მოსახლეობას შორის. შესაძლოა, რომ ფრანკებმა გაინაწილეს უმთავრესად თავისუფალი ცარიელი მიწები, ნაწილობრივ ადგილობრივი მოსახლეობისაგან წართმეული მიწები. დაპყრობილ მიწებზე ფრანკები სახლდებოდნენ სისხლით ნათესაური კავშირის საფუძველზე დიდი ოჯახებით.

დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა და ბარბაროსული დაპყრობების საერთო შედეგები

ბარბაროსების დაპყრობებმა განაპირობა რომის იმპერიის ღრმა კრიზისი და რომის ძალაუფლების ქვეშ დარჩა მხოლოდ იტალია, მაგრამ აქაც ხელისუფლება ფაქტიურად იყო ბარბაროსების ხელში 476 წ. უკანასკნელი იმპერატორი დასავლეთ რომის იმპერიისა რომულ ავგუსტუსი ჩამოგდებული იქნა ბარბაროს ოდოაკრის მიერ, რომელმაც თავის მებრძოლებს გადასცა იტალიელ მიწათმფლობელთა მიწების 1/3 ნაწილი. ეს წელი მიღებულია რომის იმპერიის დაცემის

თარიღად. მიუხედავად იმისა, რომ მისი დაცემა დაიწყო დიდი ხნით ადრე. ოდოაკრის მიერ ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ დასავლეთით საიმპერატორო ხელისუფლება მოისპო და ამ ტერიტორიაზე წარმოშობილმა ბარბაროსულმა სამეფოებმა მოიპოვეს დამოუკიდებლობა

ბარბაროსულ დაპყრობებს ჰქონდა დიდი მნიშვნელობა ევროპის ისტორიისათვის, მისი შედეგი იყო რომის მონათმფლობელური წყობილების მოსპობა, რაც გამოწვეული იყო ასევე შინა პოლიტიკური წინააღმდეგობებით. ევროპის სურათი შეიცვალა. ტერიტორიაზე, სადაც იმყოფებოდა რომის იმპერია V საუკუნის ბოლოს და VI ს. დასაწყისში ბარბაროსული სამეფოები წარმოიშვა, რომელშიც იქმნებოდა აუცილებელი პირობები ახალი, სხვა საზოგადოებრივი წყობილების ფეოდალიზმის განვითარებისათვის.

დასავლეთ ევროპის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხორებაში ღრმა ცვლილებები მოხდა. ნაწილობრივი თუ სრული ექსპროპრიაცია რომაული მიწათმფლობელობისა ბარბაროსების მიერ, წარმოადგენდა დიდ დარტყმას მონათმფლობელურ მეურნეობაზე, რამაც დააჩქარა ადრე დაწყებული მისი დაშლა. შეიცვალა საზოგადოების სტრუქტურა. დასავლეთ რომის ტერიტორიაზე გერმანელი ტომების დასახლების შედეგად მთავარ მწარმოებელ ძალას წარმოადგენდა მეთემეები. რომის მონათმფლობელური სახელმწიფო, რომელიც წარმოადგენდა ძლიერ შემფერხებელს ფეოდალურ წყობილებაზე გადასვლაში, დაემხო.

დასავლეთ რომის იმპერიის დაცემამ, ბარბაროსული სამეფოების წარმოშობამ მის ტერიტორიაზე და ცვლილებებმა სოციალურ ურთიერთობაში, განაპირობა რომის მონათმფლობელური წყობილების შეცვლა ფეოდალური წყობილებით.

თემა მეოთხე

ფრანკთა სამეფო მეროვინგების მმართველობისა და პიპინიანთა მაიორდომების ხანაში

ფრანკთა სამეფო წარმოიშვა ფრანკთა ტომთა კავშირისაგან, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ შემდეგი გერმანული ტომები: ბატავები, ხამავები, სუგამბრები, მარსები, უბიები, ისტეონები, ინგეონები. ისინი დასახლებული იყვნენ ძირითადად რაინის მახლობლად ან მის მარჯვენა სანაპიროზე.

ფრანკთა ისტორიის შესასწავლად ვიყენებთ ორ მნიშვნელოვან წყაროს:

1. ნარატიული – მატიანე
2. წერილობითი – კანონმდებლობითი ძეგლი.

ადრეული ხანის ისტორიკოსთა შორის, აღსანიშნავია ფრანკთა ისტორიის მამა გრ. ტურელი, რომელმაც დაგვიტოვა ფრანკთა საეკლესიო ისტორიის 10 წიგნი. ის მოღვაწეობდა VI ს-ის მეორე ნახევარში (540-594 წწ). ეს იყო ფრანკთა მეფის ხლოდვიგის შვილიშვილების ეპოქა. ის იყო ძველი რომაული ოჯახიდან გამოსული სასულიერო პირი. იგი შეეგუა ფრანკების ბატონობას. წერდა კარგი ლათინურით. მოვლენებს ხსნიდა ღვთის განგებით, ამიტომაც მის ნაშრომს ახასიათებს პროვიდენციალიზმი. მან მატიანე მიიყვანა 591 წლამდე, რომელიც განაგრძო ფრედეგარიუს სქოლასტიკოსმა. ამ უკანასკნელმა გამოსცა 4 წიგნი და მოვლენები მიიყვანა VII ს-ის დამლევამდე. მისი თხრობა მშრალია. მან აღწერა პირველი კაროლინგების ეპოქის მოვლენები.

გრიგოლ ტურელი საინტერესოდ აღწერს ფრანკთა ისტორიას. „ფრანკთა ისტორიის" მეორე წიგნში ვკითხულობთ, რომ ჰუნები დაიძრნენ პანონიიდან და მიადგნენ ქალაქ მეცს.

გზადაგზა ისინი ყველაფერს სპობდნენ და ანადგურებდნენ. ქალაქი ცეცხლს მისცეს და ხალხი ბასრი ხმლებით ამოხოცეს, ხოლო ღვთის მორწმუნენი დახოცეს წმინდა საკურთხეველთან.

ჰუნების ბელადმა ატილამ დატოვა რა ქალაქი მეცი, შემდეგში გაანადგურა გალიის კიდევ ბევრი ქალაქი. ალყა შემოარტყა ქალაქ ორლეანსაც, მაგრამ აქ ფრანკებს დამხმარედ გამოუჩნდა რომაელი აეციუსის ჯარები და გოთების მეფე თეოდორიხი თავის ვაჟთან ტორიზმუნდთან ერთად. მათ მტერი შეავიწროვეს და უკან დაახევინეს. ატილა ემზადებოდა გადამწყვეტი იერიშისათვის. ბრძოლა უნდა მომხდარიყო შამპანში, კატალაუნის ველზე 451 წელს. აეციუსი, როგორც აღვნიშნეთ ფრანკების და გოთების მხარეზე იბრძოდა და მათ გაიმარჯვეს. აქ თავი გამოიჩინა ფრანკების ბელადმა მეროვეიმ, რომელიც იბრძოდა ატილას წინააღმდეგ. მის სახელს უკავშირდება მეროვინგთა სამეფო დინასტიის წარმოშობა. დამარცხებული ატილა გაიქცა. ბრძოლის დროს თეოდორიხი დაილუპა. ის ცხენიდან გადმოვარდა და გათელეს. ბრძოლის დამთავრების შემდეგ აეციუსმა განუცხადა ტორიზმუნდს:"იჩქარე სამშობლოში დაბრუნება, რომ ძმებმა არ წაგართვან ტახტიო". ტორიზმუნდი (გოთი), მართლაც სწრაფად გაემგზავრა. ასევე მოატყუა ფრანკებიც, მათი ბელადის სახელი როგორც ვთქვით, არის მეროვეი. როცა ისინი წავიდნენ აეციუსმა შეაგროვა ნადავლი ბრძოლის ველიდან და დატვირთული დაბრუნდა სამშობლოში.

ატილა დაბრუნდა თავისი დარჩენილი მეომრებით და ცეცხლს მისცა ქალაქი აქვილეა. შემდეგ ბრძოლით გადავიდა იტალიაში და დაარბია. ხოლო ტორიზმუნდმა დაამარცხა ალანები, მაგრამ ხანგრძლივი შინაომისა და ბრძოლის შემდეგ ის შეიპყრეს ძმებმა და დაახრჩვეს.

გრ. ტურელის მიხედვით, მეროვეის შვილი ხილდერიკი იყო ფრანკების მეფე (457- 481 წწ). ის გარდაიცვალა ტურნე-

ში 481 თუ 482 წელს 40 წლის ასაკში. ის იყო უზნეო, რის გამოც შეიძულეს და ჩამოართვეს სამეფო ხელისუფლება. ხოლო როცა გაიგო, რომ მოკვლას უპირებდნენ გაემგზავრა ტიურინგიაში. აქ მან თავი შეაფარა ტიურინგიის მეფეს ბიზინს და მის ცოლს ბაზინს. (ბაზინა ქართულად იხსენიება, როგორც ვაზინდა). ფრანკებმა განდევნეს რა ხილდერიკი, ერთხმად მეფედ ეგიდიუსი (რომაელი) გამოაცხადეს, რომელიც 8 წელი მართავდა ფრანკთა სამეფოს. ხილდერიკმა ფრანკებთან დატოვა თავისი ერთგული კაცი სახელად ვიომადომი, რომელიც ხილდერიკს და მის დედას ჰუნების ტყვეობიდან დახსნაში დახმარებია და ამის შემდეგ დამეგობრებულან. მათ ოქროს ზოდი გაიყვეს შუაზე, როცა ზოდის ნახევარს გაუგზავნიდა ხილდერიკს, ეს იქნებოდა ნიშანი იმისა, რომ შეეძლო დაბრუნებულიყო სამშობლოში. ვიომადომმა შეძლო ფრანკების გადმობირება და ხილდერიკს ტიურინგიაში ჩამოსვლის ნიშანი გაუგზავნა. ხილდერიკი ჩამოვიდა და აღადგინა თავისი ხელისუფლება. ბაზინამ- ტიურინგიის მეფის ცოლმა მიატოვა ქმარი და ცოლად გაყვა ხილდერიკს. მათი ქორწინებრივი კავშირიდან დაიბადა ხლოდვიგი.

463 წელს ხილდერიკი აწაროებს ომს ორლეანთან, სადაც ეგიდიუსმა დაამარცხა ვესტგოთები. ხოლო ოდოაკრი (ბარბაროსა) საქსებთან ერთად აწარმოებდა ბრძოლას ანჟერთან. დაიკავეს მიწები მდ. ლუარაზე და იქიდან ესხმოდნენ თავს რომაელებს. ხილდერიკი იყო რომაელების მოკავშირე. ამ დროს გაჩნდა შავი ჭირი, რომელმაც მუსრი გაავლო ხალხს. მოკვდა ეგიდიუსი, რომელსაც დარჩა შვილი სიაგრიუსი. ეგიდიუსის სიკვდილის შემდეგ ოდოაკრმა შეიკედლა გოთების მიერ გაძევებულები ბრეტანიდან, ანჟერიდან და სხვა ადგილებიდან. ამ დროს რომაელი სარდალი პავლე ფრანკების დახმარებით გამოდის გოთების წინააღმდეგ და ბრძოლის ველიდან მიაქვს დიდი ნადავლი. ოდოაკრის შემ-

დეგ ქალაქ ანჟერში ჩადის ხილდერიკი, რომელიც სრულად დაეუფლა ქალაქს.

ამ ამბების შემდეგ საქსებსა და რომაელებს შორის დაიწყო ომი. საქსები უკან გაიქცნენ. ბრძოლის ველზე ბევრი დაიღუპა. ფრანკებმა დაიპყრეს საქსები, ამასთან ბევრი დახოცეს. იმავე წელს მოხდა მიწისძვრა. ოდოაკრმა კავშირი დადო ხილდერიკთან და ერთად დაამარცხეს ალემანები და დაიპყრეს იტალიის ნაწილი.

ხლოდვიგი მეფობს 481-511 წლებში. ტურელის მიხედვით ის მართავდა ფრანკთა სახელმწიფოს 30 წელი. ის იყო შესანიშნავი მხედართმთავარი, კარგი დიპლომატი, გაუტანელი, ცბიერი. მან სათანადოდ გაწვრთნა ჯარი.

486 წელს რომაელთა მთავარსარდალი, ეგიდიუსის ვაჟი სიაგრიუსი თავის ძალებს თავს უყრის სუასონთან. სიაგრიუსის წინააღმდეგ იბრძვის ხლოდვიგი. მას მხარს უჭერდა მისი ნათესავი რაგნახარი, რომელსაც ჰქონდა სამეფო კამბრე ჩრდ. გალიაში. ბრძოლის დროს სიაგრიუსი დამარცხდა და გაიქცა ტულუზაში, სადაც თავი შეაფარა ვესტგოთების მეფეს ალარიხ II-ს. ხლოდვიგმა გამოიყენა შემდეგი პოლიტიკა, შეუთვალა ალარიხს, რომ თუ არ გამოუშვებდა სიაგრიუსს, მაშინ დაიწყებდა ომს მის წინააღმდეგ. ალარიხი შეშინდა და ტყვე გაუგზავნა. ხლოდვიგმა სიაგრიუსი დააპატიმრა და ასე ჰყავდა მანამ, სანამ არ დაეუფლა მის სამფლობელოებს, ხოლო შემდეგ მის ხალხს ფარულად მოაკვლევინა.

ამ დროისთვის ხლოდვიგის ჯარმა გაძარცვა ბევრი ეკლესია, მათ შორის რეიმსის ეკლესია, საიდანაც სხვა საეკლესიო ქონებასთან ერთად გაიტაცეს ოქროს ბარძიმი. რეიმსის ეპისკოპოსმა რემიგიუსმა ხლოდვიგს გაუგზავნა ელჩები და სთხოვდა ეს თასი დაებრუნებინათ. მეფემ მოუსმინა ელჩებს და უბრძანა მათ:" წადით სუასონთან, იქ უნდა გაყონ მთელი სამხედრო ნადავლი და თუ კენჭისყრით ის საეკლესიო ნადავლი მე მომიწევს, მაშინ შევასრულებ რემიგიუსის თხოვ-

ნასო". როდესაც მთელი ნადავლი გაიყვეს მეფემ ბრძანა:"მამაცო მეომრებო, მე გთხოვთ მომცეთ გარდა ჩემი წილისა ეს თასი. ვინც ჭკვიანი იყო მეფეს უპასუხა, რომ ყველაფერს, რასაც აქ ვხედავთ თქვენია და ჩვენც თქვენს დამოკიდებულებაში ვართო. მოიქეცით ისე, როგორც თქვენ გსურთ". მართლაც ვერავის ვერ უნდა გაებედა მეფისათვის წინააღმდეგობის გაწევა. მაგრამ როგორც კი ეს წარმოთქვეს, ერთერთმა ფიცხმა და არა გონიერმა მეომარმა ხმამაღლა დაიძახა:"შენ მიიღებ აქედან მხოლოდ იმას, რაც კენჭისყრით გეკუთვნისო და საბრძოლო ნაჯახით გააპო ოქროს ბარძიმი". ყველა გაოცდა ასეთი საქციელით. მეფემ ეს შეურაცხყოფა მოითმინა, მაგრამ გულში ჩაიხვია წყენა. ერთი წლის შემდეგ ხლოდვიგმა ყველა მეომარი დაიბარა – მარტის მინდორზე, სადაც ყოველი წლის 1 მარტს ფრანკი მეომრები იკრიბებოდნენ მეფის წინაშე, რათა მეფეს მოეხდინა სამხედრო აღჭურვილობის დათვალიერება. ეს იყო სახალხო კრების გადმონაშთი და მას ეწოდებოდა მარტის მინდორი. ის გაუქმდა ხლოდვიგის სიკვდილის შემდეგ 511 წელს. ავსტრაზიაში კი ის შემდეგაც აგრძელებდა არსებობას.

და აი, 487 წელს, როცა მარტის მინდორზე ხლოდვიგმა დაიწყო სამხედრო აღჭურვილობის დათვალიერება, ის მიუახლოვდა იმ არა გონიერ მეომარს და დაუწუნა შეიარაღება. იქვე დასძინა :"არავის არა აქვს ასეთი ცუდი აღჭურვილობა, როგორც თქვენო" და გადაუგდო საბრძოლო ნაჯახი. მეომარი ოდნავ დაიხარა იარაღის ასაღებად, ხლოდვიგმა მას თავი შუაზე გაუპო და წარმოთქვა:" აი ასე მოექეცი შენ იმ ბარძიმს სუასონთანო". დანარჩენებს უბრძანა დაშლილიყვნენ. თავისი მოქმედებით მან შეაშინა მეომრები, აგრძნობინა სამეფო ხელისუფლების ძლიერება.

ხლოდვიგმა ჩაატარა ბევრი ლაშქრობა და გამარჯვებებიც მოიპოვა. 491 წელს ილაშქრა მდ. რაინის აღმოსავლეთით და დაიპყრო ტიურინგიის ოლქი.

ხლოდვიგი ასევე იბრძვის ბურგუნდიის წინააღმდეგ, რომელსაც განაგებდა გუნდეკეხი. ბურგუნდიის მეფეს ჰყავდა ოთხი ვაჟი: გუნდობადი, გოდიგიზილი, ხილპერიკი და გოდომარი. გუნდობადმა მოკლა თავისი ძმა ხილპერიკი, ხოლო მისი ცოლი მდინარეში დაახრჩო. ორ მის ასულს უპირებდა ქვეყნიდან გაძევებას. უფროსი ასული, რომელიც მონაზონი იყო ერქვა ხრონა, ხოლო უმცროსს კი ხროდეხილდი. ხლოდვიგი ხშირად აგზავნიდა ელჩებს ბურგუნდიაში და ერთხელ მათ თვალი მოკრეს ხროდეხილდს, რომლის სილამაზემ მოხიბლა ისინი. ამის შესახებ მოახსენეს ხლოდვიგს, რომელმაც გაუგზავნა ელჩები გუნდობადს თხოვნით, რომ მიეთხოვათ მისთვის ხროდეხილდი ცოლად. გუნდობადს შეეშინდა ხლოდვიგის და გაუგზავნა ეს ქალი მეფეს. ხლოდვიგმა როგორც კი ნახა ხროდეხილდი, მაშინვე შეუყვარდა და დაქორწინდა მასზე. ამ დროს მას უკვე საყვარლისაგან ჰყავდა ვაჟი თეოდორიხი.

493-496 წლებში ხლოდვიგი აწარმოებდა ბრძოლას მდ. რაინისა და დუნაის ნაპირზე მცხოვრები ტომების ალემანების ანუ შვაბების წინააღმდეგ. მას ეხმარებოდა რიპუარების მოხუცი მეფე სიგებერტი. ის ბრძოლაში დაიჭრა ფეხში და უწოდეს სიგებერტ კოჭლი. ხლოდვიგმა დაიმორჩილა ალემანები. ამ ბრძოლასთან არის დაკავშირებული თქმულება ფრანკების მოქცევის შესახებ. ფრანკები მანამდე იყვნენ წარმართები. თავდაპირველად გამარჯვება ალემანების მხარეზე იყო. ხლოდვიგმა შესთხოვა, მომანიჭე გამარჯვება და ვინამებ ღმერთსო. მართლაც გაიმარჯვა და ამის შემდეგ მან მიიღო ქრისტიანობა და თავის მეომრებსაც შთააგონა მიეღოთ ქრისტიანობა. ეს მოხდა 496 წელს. ხლოდვიგი შეიქნა კათოლიკური ეკლესიის მოკავშირე.

507 წელს ხლოდვიგმა ილაშქრა ვესტგოთების წინააღმდეგ, რომლის მეფე იყო ალარიხ II. გადამწყვეტი ბრძოლა ქალაქ პუატიედან 10 მილის დაშორებით მოხდა. ხლოდვიგს

ეხმარებოდა რიპუარების მეფის სიგებერტის ვაჟი ხლოდერიხი. ხლოდვიგმა გაიმარჯვა, ალარიხი დაიღუპა, ვესტგოთებმა კი უკან დაიხიეს. ბრძოლას აგრძელებს ალარიხის ვაჟი ამალარიხი, რომელიც დაეპატრონა მამის სამეფოს. ხლოდვიგმა გაგზავნა თავისი ვაჟი თეოდორიხი ქალაქ კლერმონში (508 თუ 510 წელს), რომელმაც დაიპყრო ქალაქები და მიწები პირენეის გასწვრივ ბურგუნდიის სამეფომდე. ხლოდვიგმა მთელი ზამთარი გაატარა ქალაქ ბორდოში და დაეპატრონა ალარიხის განძეულს ტულუზში და ამის შემდეგ ჩავიდა ქალაქ ანგულემში. ბოლოს დაბრუნდა ქალაქ ტურში, სადაც წმინდა მარტინის ეკლესიას საჩუქრები შესწირა.

ხლოდვიგმა ბიზანტიის იმპერატორ ანასტასისაგან მიიღო სიგელი კონსულის ტიტულის მინიჭების შესახებ. მას წმინდა მარტინის ეკლესიაში ჩააცვეს წითელი სამეფო მოსასხამი, ოქროს გვირგვინი დაადგეს თავზე და ცხენზე შემჯდარმა მოიარა სოფლები, მას ოქრო და ვერცხლი მიაყარეს. ამ დღიდან ის იწოდებოდა კონსულად ანუ ავგუსტოს-იმპერატორად. მან ქალაქი პარიზი გადააქცია სამეფო რეზიდენციად. ეს მოხდა 510 წელს.

ხლოდვიგი როცა იყო პარიზში, მან საიდუმლოდ გაუგზავნა კაცი რიპუარების მეფის სიგიბერტის ვაჟს და შეუთვალა:"შენი მამა მოხუცდა, მას ფეხი სტკივა და კოჭლია. ის თუ მოკვდება ჩვენი მხარდაჭერით მისი სამეფო შენ დაგრჩება". შვილმა გადაწყვიტა მამის მოკვლა. ერთხელ სიგიბერტმა დატოვა ქალაქი კელნი და მდინარე რეინის გავლით გადავიდა ბუკონის ტყეში სასეირნოდ. შუადღეზე დაეძინა თავის კარავში, სადაც შვილის მიერ გაგზავნილმა კაცებმა მოკლეს.

ამის შემდეგ რიპუარების მეფემ ხლოდერიხმა აცნობა ხლოდვიგს: "მამაჩემი მოკვდა, მისი სამეფო და სიმდიდრე ჩემს ხელთაა. გამომიგზავნე შენი კაცები და მე გამოგიგზავ-

ნი ძვირფასეულობიდან იმას, რაც მათ მოეწონებათ. ხლოდ-ვიგმა შეუთვალა:"მადლობელი ვარ კეთილი სურვილებისათ-ვის, მაგრამ მე არაფერს გთხოვ გარდა იმისა, რომ ჩემს ხალხს აჩვენო მამის მიერ დატოვებული განძი". როდესაც ხლოდვიგის ხალხი ათვალიერებდა ნივთებს, ხლოდერიხმა უთხრა, რომ აი, ამ ყუთში მამამისი მხოლოდ ოქროს ფულს ინახავდა. მას უნდა ჩაეყო ხელი ფსკერამდე, რომ ეჩვენებინა თუ რა რაოდენობის ოქრო იყო შიგ. როცა ხლოდერიხმა თავი დახარა, მაშინ მას კეფაში ჩასცეს მახვილი და მოკლეს.

ამრიგად, ხლოდვიგმა გააერთიანა ფრანკთა სამეფო. მან დახოცა ნათესავები. გრ. ტურელი გადმოგვცემს, რომ რო-დესაც ხლოდვიგი მოხუცდა ის წუწუნებდა, რომ დარჩა მარ-ტო, აღარ ჰყავდა ნათესავები, მოგზაურობდა როგორც ობო-ლი უცხოეთში, მაგრამ ამას ამბობდა არა სინანულით, არა-მედ ეშმაკობით- ხომ არ აღმოჩნდებოდა კიდევ ვინმე ნათე-სავი,რომელიც იქნებოდა მისი ტახტის მოცილე, რათა ისიც მოეკლა.

ხლოდვიგი მოკვდა პარიზში 511 წელს. ის დაკრძალეს წმ. აპოსტოლეს ეკლესიაში, რომელიც თვითონ ააშენა- ეხლან-დელი წმ. ჟენევიევი. ის იყო 45 წლის და იმეფა 30 წელი. ხო-ლო დედოფალი ხლოდეხილდი მეუღლის სიკვდილის შემდეგ ჩავიდა ქალაქ ტურში და მსახურობდა წმ. მარტინის ეკლესი-აში, სადაც იცხოვრა კეთილად, პატიოსნად და იშვიათად ჩა-დიოდა პარიზში.

მეორე წყარო, რომელიც შეისწავლის ფრანკთა ისტორი-ას, არის სალიკური სამართალი-საკანონმდებლო კრებული Lex Salica. სალიკურ სამართალს აქვს პროლოგო და ეპილო-გიც. ის ჩაინერა ხლოდვიგის მეფობის ბოლო წლებში. ზოგი-ერთი ისტორიკოსის აზრით იგი ჩაიწერა 507-510 წლებში.

ვიზოგასტი-ვიდოხამე,
ბოდოგასტი-ბოდოხამე,
სალეგასტი-სალხამე,

ვიდოგასტი-ვიდოხამე,
შეიკრიბნენ და შეადგინეს კანონები.

ფრანკები დასახლდნენ დიდ ოჯახებად, რომელიც განსხვავდება პატარა ოჯახებისაგან. მცირე ოჯახი შეიცავს: მშობლებს, ბავშვებს, ზოგჯერ მოხუცებს. დიდი ოჯახი სამი თაობისაგან შედგება: დედ-მამა, მათი მოზრდილი შვილები ოჯახებით. ტიტული 58, 44, 59-ით მტკიცდება ეს აზრი. სალიკური სამართალი ასახავს ფრანკების ცხოვრებას საზოგადოების იმ სტადიაზე, როცა ქონებრივი დიფერენციაცია იწყება. მასში ჯერ არ არის ფიქსირებული უთანასწორობა.

მოვიყვანთ ზოგიერთ ტიტულს (მუხლს) სალიკური სამართლიდან.

ტიტული. 59 ალოდების შესახებ

§1.უკეთუ ვინმე მოკვდება და შვილებს არ დატოვებს და თუ დედა ცოცხალი დარჩება, იგი დაეუფლოს მემკვიდრეობას.

§2.უკეთუ დედა არ აღმოჩნდება და თუ მას დარჩება ძმა ან და, დაე დაეუფლონ მემკვიდრეობას.

§3.იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ იქნებიან, დეიდა დაეუფლოს მემკვიდრეობას.

დამატება1. უკეთუ არ იქნება დეიდა, მამიდებმა მიიღონ მემკვიდრეობა.

§4.უკეთუ შემდეგ აღმოჩნდება უფრო მახლობელი ამ თაობათაგანი, იგი დაეუფლოს მემკვიდრეობას.

§5.ხოლო ადგილ-მამული არავითარ შემთვევევაში არ უნდა დარჩეს ქალს მემკვიდრეობად, არამედ მიწა გადავიდეს მამაკაცების ე.ი. ძმების ხელში ტიტული 58 მუჭა მიწის შესახებ

§1.უკეთუ ვინმე მოკლავს კაცს და მთელი ქონების გაღების მიუხედავად ვერ შეძლებს კანონით კუთვნილის გადახდას, მან უნდა წარმოადგინოს 12 თანამოფიცარი, რომ

არც მიწაზე, არც მიწის ქვეშ მას არა აქვს იმაზე მეტი ქონება, რაც უკვე გაიღო და შემდეგ იგი უნდა შევიდეს თავის სახლში, 4 კუთხიდან მუჭად შეაგროვოს მიწა, დადგეს ზღურბლზე, შიგ სახლისაკენ პირშებრუნებული, და ეს მიწა, მარცხენა ხელით თავის მხრებზე გადატანით, ესროლოს იმას, ვისაც იგი თვლის თავის უახლოეს ნათესავად. უკეთუ მამამ და ძმებმა უკვე გადაიხადეს, მაშინ მან იგივე მიწა უნდა ესროლოს თავისიანებს. ე. ი. სამ უახლოეს დედისეულ და მამისეულ ნათესავს. შემდეგ პერანგით, უქამროდ, უფეხსაცმლოდ, სარით ხელში, უნდა გადახტეს ღობეზე, ხოლო ამ სამმა (დედისეულმა ნათესავმა) უნდა გადაიხადოს იმის ნახევარი, რამდენიც კანონით კუთვნილი კომპოზიციიდან არ არის გადახდილი. ასევე უნდა მოიქცნენ სამნი დანარჩენნიც, მამისეული ნათესავნი, ხოლო თუ რომელიმე მათგანი ძალიან ღარიბი აღმოჩნდება, რომ თავისი წილი ვერ გადაიხადოს, მან თავის მხრივ მუჭა მიწა უნდა ესროლოს რომელიმე უფრო შეძლებულს, რათა მან სულ გადაიხადოს კანონის მიხედვით. უკეთუ მასაც არ ექნება, რომ მთლად გადაიხადოს, მაშინ იმან, ვინც მკვლელის თავდებობა იკისრა წარადგინოს იგი სასამართლო სხდომაზე და იქ შემდეგ 4 სხდომის განმავლობაში (16 დღე) თავდებად დაუდგეს მას. უკეთუ არავინ ითავდებებს კომპოზიციის გადახდას, ე.ი. იმის ანაზღაურებას, რაც მას არ გადაუხდია, მაშინ კომპოზიცია თავისი სიცოცხლით უნდა ზღოს.

დამატებაI. ამჟამად, თუ მას არაფერი არ ექნება, რომ თავისი საკუთარი ნივთებიდან გადაიხადოს, ან თუ ვერ შეძლებს დაიცვას თავი კანონის მიხედვით, უნდა აღასრულოს ყოველივე ზემოთქმული თავის სიკვდილამდე.

ფრანკთა სამეურნეო წყობილება

ფრანკთა მთავარი დარგი იყო მიწათმოქმედება. ყოველი ოჯახი ფლობდა მიწის ნაკვეთს სხვადასხვა ადგილას. ეს განპირობებული იყო იმით, რომ სოფელს ჰქონდა სხვადასხვა ხარისხის მიწა. თემი ცდილობდა, რომ ყოველი ოჯახი ერთნაირი ღირსების მიწით დააკმაყოფილოს. მიწები დაყოფილი იყო კომპლექსებად-გევანებად, რომელიც შეიცავდა ერთი ხარისხის, ერთი თვისების მიწას. სამთაობიანი ოჯახები ფლობდნენ მიწებს ყოველ კომპლექსში. ყოველ სახლს ჰქონდა სამეურნეო ნაგებობანი: ბოსელი, თავლა ცხენისთვის, ფარეხი, საქათმე, შენობა ძაღლისთვის. ყოველი ოჯახი გევანში ფლობდა მიწას ე.ი. მიწები დაქსაქსული იყო. ერთი თემი იჭრება მეორეში. სალიკურ სამართალში მოიხსენიება: ბოსტანი, ჭაობი, ტყე, სათიბი, რაც იყო თემის საკუთრება. ყოველი მიწა უნდა დაემუშავებინათ ერთი წესით-იძულებითი თესვა ბრუნვით, რაც დაკავშირებული იყო მიწების დაქსაქსულობასთან. იულიუს ცეზარის დროს მიწათმოქმედებას მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. იყო სახნავ-ცვლითი მიწათმოქმედება (როცა მოსახლეობა მცირე იყო, მიწას ზერელედ ხნავდნენ).

სალიკური სამართალი იცნობს გამწევ ძალას: ცხენს, ჯორს, ხარს, სახედარს. სახნავ-ცვლითი სისტემა იცვლება ორმინდვრიანი სისტემით. შემდეგ იგი შეიცვალა სამმინდვრიანი სისტემით. ორმინდვრიანი სისტემა: ნახევარი მიწები იხვნება, ნახევარი ისვენებს. სამმინდვრიანი: მინდორი სამად იყოფა: საშემოდგომო, საგაზაფხულო მესამე ისვენებს. სახნავ მიწას შემოვლებული ჰქონდა ღობე. ღობე გადაჰქონდათ როცა მიწას ასვენებდნენ. ასეთ სისტემას უწოდებდნენ ღია მინდვრების სისტემას.

კულტურები: ჭვავი, ხორბალი (შავი, თეთრი პური), შვრია, ქერი. ხორბლიდან ლუდს ხდიდნენ შემდეგ არაყსაც.

ბოსტნეული: თალგამი, მუხუდო, კომბოსტო. პამიდორი, კარტოფილი, სიმინდი ჩნდება ამერიკის აღმოჩენის შემდეგ.

მეცხოველეობიდან განვითარებული იყო მეღორეობა, რომელიც პირველ ადგილზეა. სალიკურ სამართალში დაფიქსირებულია ღორის მოპარვის 21, ცხენის-16, ცხვრის-5, თხის-4 შემთხვევა.

სასჯელის ფორმა იყო ზარალის ანაზღაურება და ჯარიმა. ნადირობა გარკვეულ როლს ასრულებდა ფრანკთა სამეფოში. მოიხსენიება ფრინველზე და პირუტყვზე ნადირობა. მწევარი იყო ქორი და მიმინო, ხოლო ცხოველებზე ნადირობისას ეხმარებოდა ძაღლი. განვითარებული იყო მეთევზეობა. გვხვდება სამგვარი ბადე: სამყურა, ტომრისებური და გველთევზაზე სათევზაო ბადე. მოიხსენიება ნავი. განვითარებული ყოფილა მეფუტკრეობა, რასაც ადასტურებს სალიკურ სამართალში მოცემული სკის ქურდობის შემთხვევა.

როგორია საკუთრების ფორმები:

არის საგვარეულო საკუთრება. მიწა გადადის გარკვეული წესის მიხედვით. მემკვიდრეობით მიწის გადაცემას ალოდი ეწოდებოდა, სალიკური სამართალის მიხედვით ყოველგვარ სამემკვიდრეო საკუთრებას ალოდი ერქვა.

სოციალური ფენა

ძირითად ფენას თავისუფალნი შეადგენდნენ. მათი სისხლი 200 სოლიდი ღირდა. მისი უფლებები, ქონება დაცული იყო კანონებით. სალიკურ სამართალში მოხსენიებულია მათი შრომის, ქონების, ბინის ხელშეუხლებლობის დაცვა.

ჩასახულია სოციალური უთანასწორობა, მაგრამ სოციალური განსხვავება კანონით არ არის ფიქსირებული.

ნახევრად თავისუფალნი იწოდებოდა ლიტებად. არ არის გამორკვეული საიდან წარმოსდგა ლიტის სახელწოდება. მი-

სი სისხლი 100 სოლიდს შეადგენდა. სალიკური სამართალის მონა სერვი არ შეიძლება შევადაროთ ანტიკურ მონას. ის უფრო ყმა-გლეხს მოგვაგონებს. მას ჰქონდა გარკვეული მოვალეობა თავისუფალის მიმართ. მონა გარკვეული თანხით შეიძლება განთავისუფლებულიყო. შემდეგი სოციალური ფენა იყო მინისტერიალი – მსახურეული მონა, რომელიც უფრო პრივილიგირებულ მდგომარეობაში იყო. განსაკუთრებით პრივილიგირებული იყვნენ მეფის მინისტერიები. მეფის რაზმელები – ლეიტები, ანტრუსტიონები. ისინი თავისუფალ ადამიანებთან შედარებით უფრო მაღლა იდგნენ. მათი სისხლი 600 სოლიდს შეადგენდა. მათგან მეფე ნიშნავდა ოლქის მმართველს, გრაფებს. რომაელი პოსესორის სისხლი იყო 100 სოლიდი, ხოლო კონვივა რეგის 300 სოლიდი. მოიხსენიება ტრიბუტარიუს – მოხარკე. რუსი მეცნიერის ნეუსიხინის აზრით ეს იყო იგივე რომაელი მოხარკე.

სად არის საგვარეულო არისტოკრატია?

სალიკურ სამართალში არ იხსენიება საგვარეულო არისტოკრატია. ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით ხლოდვიგმა ამოხოცა საგვარეულო არისტოკრატია. ეს მოსაზრება კრიტიკას ვერ უძლებს. ხლოდვიგმა ამოხოცა ნათესავები. მეორე ჰიპოთეზა: საგვარეულო არისტოკრატია შეერწყა მსახურეულ არისტოკრატიას. ეს ჰიპოთეზა უფრო მისაღებია.

ხლოდვიგმა დაიმორჩილა თითქმის მთელი გალია. ბურგუნდია მოხარკე იყო. პროვანსი კი ოსტგოთებს ეკუთვნოდა. 511 წელს მისი სამეფო გაიყო მისმა ვაჟიშვილებმა. ხლოდვიგს 4 ვაჟი ჰყავდა. ამიტომაც სამეფო ოთხად გაიყო. 532-534 წწ-ში დასავლეთით გამეფებულმა შვილებმა ბურგუნდია დაიპყრეს. 537 წელს პროვანსიც გაერთიანდა მეროვინგების მიერ. შემდეგ იწყებენ გერმანელების დაპყრობას, მაგრამ მეფეებს შორის დაიწყო სამოქალაქო ომი. ბრძოლის დროს დაიღუპა სამი ძმა, დარჩა ხლოტარ პირველი. მან 538 წელს გააერთიანა სამეფო, ხოლო 561 წელს გარდაიცვალა.

ხლოტარ I (538-561)

გუნტრამი **სიგიბერტი** **ხარიბერტი** **ხილპერიკი**

სამეფო მისმა ოთხმა ვაჟმა გაიყო. ამდენად ფრანკთა სამეფო 4 ნაწილად დაიყო.

უფროს ვაჟს გუნტრამს გადაეცა ბურგუნდიის ყოფილი სამეფო მიწა, პროვანსის ჩათვლით და დაერქვა **ბურგუნდია.**

შუათანა ძმას სიგიბერტს-ზიგიბერტს წილად ხვდა ფრანკული რიპუარების მიწა-წყალი, ჩრდილოეთ რაინის ორივე სანაპირო. ხოლო სამეფოს ეწოდა **ავსტრაზია.**

მესამე ძმას – ხარიბერტს ერგო **აქვიტანია** მდ. ლუარის სამხრეთით მდებარე მიწები ანუ გალიის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი.

მეოთხე ძმას – ხილპერიკს ერგო სამხრეთი მიწები და სამეფოს **ნეისტრია** ეწოდა.

ხარიბერტი გარდაიცვალა. ავსტრაზია, ნეისტრია და ბურგუნდია ეთნიკური და სოციალური თვალსაზრისით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. ნეისტრიაში უმრავლესობა გალო–რომაელები იყვნენ. მოხდა მათი ასიმილაცია. სწრაფად ვითარდებოდა კერძო საკუთრება. გაჩნდა მსხვილი მიწათმოქმედება.

ავსტრაზია უმთავრესად გერმანულ მიწა-წყალს მოიცავდა. შემოიერთა ტიურინგია, ბავარია. ხარკი დადეს საქსებთან– გერმანულ ტომებთან. სათემო წყობილება მკვდარია. რომაული წყობილების გავლენა სუსტია. ე. ი. ფეოდალიზაციის პროცესი შენელებულია. ბურგუნდიაში, აქვიტანიაში ძლიერია სათემო წყობილება. იზრდება საეკლესიო მიწათმფლობელობა.

გრ. ტურელი და ფრედეგარიუსი აგვიწერენ, რომ სიგიბერტმა იქორწინა ვიზიგოთების ასულზე ბრუნხილდეზე.

ხილპერიკმა კი ცოლად შეირთო ბრუნხილდეს და გალესვინ-ტა. ხილპერიკი გაიტაცა ფრედეგუნდას მხევალმა ქალმა. მოაქცია მისი გავლენის ქვეშ, მოაკვლევინა ცოლი და შვი-ლები. ამის შედეგად დაიწყო ომი ხილპერიკსა და სიგი-ბერტს, ბრუნხილდას შორის. ჯერ სიგიბერტმა გაიმარჯვა, აიძულა მისი ქვეშევრდომნი გამოეცხადებინათ მეფედ. ამ დროს ის დაჭრეს მოწამლული ხანჯლით და გარდაიცვალა. ბრძოლას განაგრძობს მისი ცოლი ბრუნხილდა. სამოქალაქო ომი 52 წელი გაგრძელდა ფრანკთა სამეფოში. შემდეგ ბრუნ-ხილდას უღალატა ბურგუნდიის დიდკაცობამ. მას ცილი დასწამეს სამეფო კარის 10 მოხელის მკვლელობაში. იგი შე-იპყრეს და 80 წლის ქალი ცხენის ძუაზე გამოაბეს და ნაფლე-თებად აქციეს. ეს მოხდა 613 წელს.

613 წელს მეფე გახდა ხლოტარ მეორე. ის მეფობდა 629 წლამდე. 614 წელს ხლოტარმა გამოსცა ედიქტი, რომლითაც იგი საერო და სასულიერო მაგნატების მოთხოვნებს ასრუ-ლებდა. გრაფის თანამდებობა ადგილობრივ მაგნატებს გა-დაეცა. დადასტურებულ იქნა ეპისკოპოსთა არჩევნების თა-ვისუფლება. მართალია მთელი სამეფო გაერთიანებული იყო ხლოტარ მეორის ხელში, მაგრამ თითოეული (სამი ნაწილი) ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, რომელსაც სათავეში სა-კუთარი მაიორდომი ედგა. ავსტრაზიას მართავდა მაიორ-დომი პიპინი და მეცის ეპისკოპოსი არნულფი. არნულფის შვილმა ცოლად შეირთო პიპინის ქალიშვილი და ამ ქორწინე-ბიდან წარმოიშვა კაროლინგთა დინასტიის დამაარსებელი პიპინიდების ანუ არნულფინგების ოჯახი.

ხლოტარ მეორის შვილმა დაგობერტმა (629-639 წწ) და-არღვია 614 წლის ედიქტი. მის დროს აღწერეს ეკლესიისა და მაგნატებისთვის მეფის მიერ ბოძებული მიწები, მოახდინეს ნაწილის ჩამორთმევა და ხაზინაზე გადაცემა. დაგობერტი ერეოდა ვესტგოთების, ლანგობარდების საშინაო საქმეებში. მან სამუდამო ზავი დადო ბიზანტიასთან, რათა მათთან ერ-

თად ეწარმოებინათ ბრძოლა დუნაისპირა ტომების წინააღ-მდეგ. მაგრამ ეს ცდა მარცხით დამთავრდა.

დაგობერტის სიკვდილის შემდეგ მისი შვილები მაიორ-დომთა მეშვეობით მართავენ სამეფოს. 639 წლიდან იწყება მაიორდომების ხანა. ავსტრაზიის მაიორდომებმა პიპინიან-თა გვარეულობიდან შეძლეს გაერთიანება. იწყება ზარმაცი მეფეების პერიოდი. საინტერესოა როგორ აღწერს ამ პერი-ოდს ეინჰარდი: "მეროვინგთა გვარს უკვე დიდი ხანია არ გა-აჩნია არც ძალა, არც ხელისუფლება გარდა მეფის ცარიელი ტიტულისა. სამეფოს მთელი სიმდიდრე და მთელი ძალა იმ-ყოფებოდა სასახლის უფროსთა ხელში, რომელნიც მაიორ-დომებად იწოდებოდნენ. მათ ეკუთვნოდა უზენაესი ხელი-სუფლება, მეფეს ისღა დარჩენოდა, რომ სამეფო ტიტულით კმაყოფილი, თავისი მორთულ- მოკაზმული თმებით, გრძელი წვერით მჯდარიყო ტახტზე და სახელმწიფოს გამოსახულე-ბად ყოფილიყო: იგი მიიღებდა და მოუსმენდა ელჩებს, აძ-ლევდა მათ თითქოს თავისი უფლებით პასუხს, რომელსაც მას უკარნახებდნენ და თავს ახვევდნენ კიდეც. მეფეს უსარ-გებლო სახელისა და ფულის გარდა, რასაც მისი სურვილისა-მებრ აძლევდა მას მაიორდომი, მას არაფერი თავისი არ გა-აჩნდა, ერთადერთი მცირე შემოსავლიანი ვილის გარდა. იგი მასში ცხოვრობდა მსახურთა მცირე რიცხვით... თუ მას სად-მე წასვლა დასჭირდებოდა, იგი ჯდებოდა ეტლში, რომელ-შიც სოფლის სურვილისამებრ შებმული იყო ხარები, ამ უკა-ნასკნელთ მეხრე ერეკებოდა. ასე მიდიოდა ის სასახლეში და სახალხო კრებაზე, რომელსაც ყოველწლიურად იწვევდნენ სამეფოს საჭიროებისათვის, ასე ბრუნდებოდა იგი თავის ბი-ნაში. მაგრამ სამეფოს მთელ მართვა-გამგეობას საგარეო და საშინაო საქმეებს მაიორდომი აწარმოებდა".

714 წელს მიიცვალა პიპინ ჰერისტალელი. ერთი წელი იყო არეულობა. ეს დაკავშირებულია ორ ქალთან. მას ჰყავ-და ორი ცოლი: პლექტრუდე და ხალკაიდა. პლექტრუდესა-

გან ჰყავდა ორი შვილი: დროგო და გრიმილი, ხალკაიდასაგან კარლოსი.

პიპინის სიკვდილის შემდეგ მაიორდომი გახდა კარლოსი. მას ორი ვაჟი ჰყავდა. პლექტრუდემ თერდუალდი გამოაცხადა მაიორდომად, ხოლო კარლოსი ციხეში ჩასვა. დაიწყო არეულობა. ნეისტრია აჯანყდა და გამოიყო ცალკე. დიდკაცობამ საჭიროდ ჩათვალა კარლოსის დაბრუნება სამეფო ტახტზე, გააპარეს ციხიდან. მან შეკრიბა ჯარი და გაილაშქრა ნეისტრიის წინააღმდეგ, მოიგერია მტრები, დაბრუნდა ჩამოართვა მმართველობა პლექტრუდეს და თვითონ გახდა მაიორდომი (714-715-741 წწ). იგი იწოდა კარლოს მარტელად. მისი მეფობა აღინიშნა ომებით. თანამედროვეებმა მას ურო (ლათინურად მარტელი) შეარქვეს, რომელსაც გამანადგურებელი დარტყმა მოჰქონდა. ის ეომებოდა გერმანელ ტომებს, რომლებიც შედიოდნენ მეროვინგების ბატონობაში. მაგრამ პლექტრუდეს დროს მოიპოვეს დამოუკიდებლობა. კარლოსმა ალემანები (შვაბები), ფრიზები, ბავარები, ტიურინგები დაიმორჩილა. საქსები ვერ დაიმორჩილა. ისინი მხოლოდ მისმა შვილიშვილმა კარლოს დიდმა დაიმორჩილა.

კარლოს მარტელი ავრცელებს ქრისტიანობას მიწების მტკიცედ შემოერთებისათვის. იგი ხელს უწყობდა მისიონერების მოღვაწეობას. მისიონერები იყვნენ: ფრანკები, გერმანელები, ინგლისელები, ირლანდიელები. ბონიფაციუსმა დიდი ღვაწლი გასწია გერმანელების გაქრისტიანებაში. ქალაქ მაინცი (მდებარეობდა მდ.მაინის და რაინის შესართავზე) იყო გერმანელი მისიონერების რეზიდენცია. პაპმა იგი აკურთხა არქიეპისკოპოსად. ე. ი. ბონიფაციუსი გახდა გერმანიის პრიმასი – მაინცის არქიეპისკოპოსი. მან დაიწყო მიწების დარიგება მეომრებზე პირობითი მფლობელობის უფლებით, რომელთაც უნდა ჰყოლოდათ ცხენი და მოეხადათ სამხედრო სამსახური, მათ რაინდები ეწოდათ. მიწა ეძლეოდათ პირობითად. მეროვინგი მეფეები არიგებდნენ მიწის ნაკვე-

თებს, როგორც ალოდს. კარლოს მარტელმა კი მიწები გასცა პირობით ე. წ. ბენეფიციუმი-სამხედრო სამსახურისათვის ნაწყალობევი მიწა. ბენეფიციუმი გაიცემოდა სენიორის ან ვასალის სიკვდილამდე. მოგვიანებით ბენეფიციუმი მემკვიდრეობით ხასიათს იღებს და ეწოდა ფეოდი.

ბენეფიციუმის მიმღები უნდა აღჭურვილიყო. უნდა ჰყოლოდა 2 ცხენი: საბრძოლო და სამგზავრო. უნდა ჰქონოდა ჯაჭვის პერანგი, მუზარადი, სამკლავეები. მოგვიანებით ცხენზე დაიწყეს ჯაჭვის პერანგის გადაფარება. ეს აღჭურვილობა ძვირი ღირდა.

რიპუარების სამართლის 36 ტიტულის §11-ში მოცემულია ცხენის ფასი, რაც შეადგენდა 12 სოლიდს, ჭაკი ცხენის – 3 სოლიდს, ჯავშანი – 12 სოლიდს, მუზარადი – 6 სოლიდს, შუბი ფარით – 2 სოლიდს, ქარქაშიანი მახვილი – 7 სოლიდს, საბარგული – 6 სოლიდს. ასეთი შეიარაღება შეეძლო მხოლოდ რაინდს. ბენეფიციუმი ხელს უწყობდა ფეოდალიზმის განვითარებას.

საიდან იპოვა მიწები კარლოსმა?

იგი აჯანყებულ დიდკაცებს ართმევდა ალოდებს. დაიპყრო მიწები უმთავრესად ავსტრაზიაში. ნეისტრიაში და აქვიტანიაში არ იყო მიწები. კარლოს მარტელმა ასევე მიმართა მიწების სეკულარიზაციას. (სეკულუს ნიშნავს საეროს, სპირიტუს – სასულიეროს). ხდება ეკლესიაზე მიწების ჩამორთმევა და საერო ხელისუფლებისათვის გადაცემა. ნეისტრიაში მიწების მესამედი ეკუთვნოდა სამღვდელოებას. კარლოსმა დაიწყო მიწების ჩამორთმევა და მათი გადაცემა ბენეფიციუმებად რაინდებზე. ამ ღონისძიებით ის აღწევდა შედეგს:

1. აძლიერებდა სამხედრო ძალას.

2. იზრდებოდა მაიორდომის გავლენა, რომელზეც რაინდი იყო დამოკიდებული. მას შეეძლო მისთვის მიწის ჩამორთმევა.

ამ ღონისძიებამ გამოიწვია ეკლესიის უკმაყოფილება. დაიწყეს მათთვის საძულველ პირებზე ჭორების გავრცელება. მაგ. კარლოს მარტელი წარმართია და ქრისტიანობის მოსპობა სურსო.

ბიზანტიაში ადგილი ჰქონდა ხატმებრძოლეობას, ხატების თაყვანისცემაზე უარის თქმა და მიწების ჩამორთმევას. დასავლეთში კი ხატმებრძოლეობა არ მომხდარა, დაიწყეს პირდაპირ მიწების ჩამორთმევა.

განმტკიცდა მაიორდომის ხელისუფლება. მისი დასაყრდენი იყო საშუალო და წვრილი ფეოდალები – რაინდები.

არაბთა დაპყრობები

არაბების სახელმწიფო წარმოიშვა ისლამის დროშის ქვეშ, მუჰამედის, ანუ მაჰმადის მიერ. მუჰამედის მოძღვრებით შეიქმნა ახალი რელიგიური მოძღვრება – ისლამი. არაბებმა შექმნეს კარგი არმია. მათ მეფეს ხალიფა ეწოდებოდა. მექა იყო მათი წმინდა ადგილი, შემდეგ დამასკო. დაიწყო მათი სწრაფი დაპყრობები. არაბები ქმნიან დიდ სახელმწიფოს. ირანი და ბიზანტია იყო წინა აზიაში დიდი სახელმწიფოები. არაბებმა დაიპყრეს ირანი და ბიზანტიას წაართვეს გარკვეული ნაწილი მიწებისა. შემდეგ წარიმართა არაბთა დაპყრობები 3 მიმართულებით:

1. აღმოსავლეთით: შუა აზია, ინდოეთი, ინდის მიდამოები.

2. ჩრდილოეთით ამიერკავკასია, ჩრდ. კავკასია დარუბანდამდე.

3. სამხრეთით: ეგვიპტე (ტრიპოლი, ტუნისი, ალჟირი, მაროკო)

შექმნეს უდიდესი სახელმწიფო, ეს აფრიკული ტომები ადვილად ღებულობდნენ ისლამს და მათთან ერთად იბ-

რძოდნენ. შემდეგ გაავრცელეს ხარაჯა-გადასახადი (ხარკი აქედან წარმოსდგება).

არაბების ჯარი უმთავრესად მავრებისგან შედგებოდა. სარაცინი –სარკინოზი ერთ-ერთი ტომის სახელწოდება მიიღეს ევროპაში.

711 წელს არაბებმა გადალახეს გიბრალტარის სრუტე ე.წ ჰერაკლეს სვეტი ბერძნების მიხედვით. დაიწყეს ესპანეთის დაპყრობა. გიბრალტარი არაბული სახელია და წარმოსდგება არაბი სარდლის ტარიკის მიხედვით, რომელმაც გადალახა ტარიკის კლდე. მთელი გიბრალტარი დაიპყრეს ცენტრით კორდოვოთი. X საუკუნეში კორდოვოს ამირატმა ხალიფას სახელწოდება მიიღო. მეორე იყო სარაგოსას საამირო, რომელშიც შედიოდა ჩრდილოეთ ესპანეთის პირენეის მიდამოები, სადაც ბასკური ტომები სახლობდა. 720 წელს არაბებმა გადალახეს პირენეი და დაიწყეს აქვიტანიის დაპყრობა (ფრანკთა სამეფოში). უშუალო ბიძგი დაპყრობებს მისცა აქვიტანიის ჰერცოგმა ოდომ. ის ურჩი ჰერცოგი იყო. კარლოს მარტელთან (715-741) დამარცხდა. დახმარებისათვის ოდომ მიმართა არაბებს. აბდალ რახმანმა – არაბმა სარდალმა გადალახა პირენეი და მიაღწია ქ. პუატიემდე. ბრძოლის წინ ოდომ დაინახა, რომ საქმე წააგო, რადგან არაბებმა აწიოკება მოიტანეს, ახლა შეეევედრა კარლოს მარტელს დახმარებაზე. 7 დღე არც ერთი ჯარი არ იწყებდა ბრძოლას.

ბრძოლაში დიდი როლი შეასრულა ახლად შექმნილმა ჯარმა. მთავარი ზარალი განიცადეს არაბებმა. პუატიეს ბრძოლა თავდაცვითი იყო. მან შეაჩერა არაბების ექსპანსია. წარმოიშვა 3 სახელმწიფო:

1. ბაღდადის სახალიფო (აზიის სახელმწიფოები)
2. კაირო (ეგვიპტე, არაბული სახელმწიფო)
3. კორდოვო (ესპანეთი, ჩრდ. მავრიტანული აფრიკის მნიშვნელოვანი ნაწილი)

კარლოს მარტელმა წაართვა აქვიტანია. გალიაში შერჩათ სეპტიმანია (სანაპირო ოლქი). კარლოს მარტელი აგრძელებს მამის პოლიტიკას, თვითონ ნიშნავს მეფეებს. 741 წელს გარდაიცვალა იგი. სახელმწიფო ორად გაიყო:

აღმოსავლეთს – განაგებდა კარლომანი

დასავლეთს – პიპინ მოკლე 741-768

ისინი თავდაპირველად ერთად მართავდნენ სამეფოს, მაგრამ 747 წ. კარლომანი ბერად აღიკვეცა პიპინ მოკლე დარჩა ერთმმართველი, იგი კარლოს მარტელის პოლიტიკას აგრძელებდა. განაგრძო ომი არაბებთან და გააძევა ისინი. პირინეის ქედი იქცა საზღვრად არაბებისა და ფრანკთა სახელმწიფოსი. მისი შვილი კი კარლოსი გადადის შეტევაზე ესპანეთის არაბების წინააღმდეგ.

პიპინმა დაიწყო მოლაპარაკება ეკლესიასთან, დაიდო კომპრომისი-ორმხრივი შეთანხმება. ეკლესიას დაუბრუნდა მიწები იმ პირობით, რომ ეკლესია არ შეეხებოდა ბენეფიციუმის მფლობელებს. VIII საუკუნეში იმარჯვებს ბენეფიციალური სისტემა. პაპმა მიანიჭა პიპინს მეფის წოდება. 751 წელს პიპინს გაუგზავნია თავისი ელჩები რომის პაპთან ზაქარიასთან, რომელიც იყო ბერძენი. ელჩები იყვნენ: ვიუცბერგის ეპისკოპოსი (გერმანელი.) სენდენის აბატი (ფრანგი).

მემატიანე გადმოგვცემს: „მათ უკითხავთ პაპისთვის მოსწონს თუ არა მეფის ისეთი ხელისუფლება, როცა მეფე არ სარგებლობს მეფური ხელისუფლებით. სჯობია მეფე იყოს ის ვინც მეფურ ხელისუფლებას ფლობსო. ასეთი იყო პაპის პასუხი. 751 წელს აკურთხეს მეფედ პიპინ მოკლე. სამეფო გვირგვინი აკურთხა ბონიფაციუსმა – მაინცის არქიეპისკოპოსმა.

მეროვინგების დინასტია შეცვალა კაროლინგების ანუ პიპინიდების დინასტიამ. პაპი ზაქარია შეცვალა სტეფანე II-მ. მან დახმარებისათვის მიმართა პიპინს, რადგან იგი დავალებული იყო პაპისგან. სთხოვა ლანგობარდების წინააღ-

მდეგ დახმარება. პაპი იტალიიდან გაიქცა. 1 იანვარს დაიდო ხელშეკრულება პიპინსა და პაპს შორის. პიპინი აცხადებს თავს პაპის მოკავშირედ, თანაშემწედ ხოლო პაპს ქრისტიანული ეკლესიის უფროს შვილად. ის დაუბრუნებდა მიწებს, რომელიც ლანგობარდებმა წაართვეს პაპს. პიპინი ცხენიდან ჩამოვიდა, პაპის ცხენის სადავეს ხელი მოჰკიდა და ისე შეიყვანა სასახლეში – ეს დიდი პატივი იყო.

754 წ. პიპინმა გადალახა ალპები და შეიჭრა ჩრდილოეთ იტალიაში. 757 წელს რომის ოლქზე, შუა იტალიაზე უარი თქვეს ლანგობარდებმა. შუა იტალიაში პიპინმა საფუძველი ჩაუყარა პაპების საერო ხელისუფლებას. ამ ოლქში 22 ქალაქი შედიოდა, მისი გასაღებები ჩააბარეს პაპს სტეფანე მეორეს. ამ სამფლობელოს დაერქვა წმინდა პეტრეს მამული, ამ აქტს სჭირდებოდა დოკუმენტაცია, სიგელი, დასაბუთება. დაიწერა დოკუმენტი ე.წ.„კონსტანტინეს ნაბოძვარი" პაპი სილიბისტროსათვის. პაპებმა იმთავითვე იწყეს თავიანთი უფლებების თეორიული დასაბუთება და იმის მტკიცება, რომ ეს საჩუქარი მომდინარეობდა არა პიპინ მოკლესაგან, არამედ იმპერატორ კონსტანტინე დიდისაგან (306-337 წწ) ასე ჩაეყარა საფუძველი ყალბ დოკუმენტს, ე.წ.„კონსტანტინეს ნაბოძვარს"

პაპები კონსტანტინეზე შემთხვევით არ შეჩერებულან, ის იყო პირველი იმპერატორი, რომელიც ქრისტიანული წესით მოინათლა და ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადა. დოკუმენტში წერია: იმპერატორის განკურნება საშინელი სენისაგან (კეთრისაგან) შეუძლებელი გახდა, სანამ საქმეში არ ჩაერია პაპი სილვესტრი (სილიბისტრო). პაპმა 323 თუ 324 წელს იმპერატორი მონათლა და იგი განიკურნა. სამაგიეროდ იმპერატორმა პაპს უბოძა„ქალაქი რომი, იტალიისა და მთელი დასავლეთის ქვეყნები და ქალაქები".

„კონსტანტინეს ნაბოძვარს" საუკუნეების განმავლობაში ეფუძნებოდა პაპობის თეოკრატიული პრეტენზიები, ამ

დოკუმენტის სიმართლეში ეჭვი არავის შეუტანია. პირველი, ვინც მეცნიერულად დაასაბუთა„ კონსტანტინეს ნაბოძვარის" სიყალბე, იყო იტალიელი ჰუმანისტი ლორენცო ვალა (1407-1457 წწ). მისი აზრით, თუ დოკუმენტი დაწერილი იყო IV საუკუნეში. იგი აუცილებლად კლასიკურ ლათინურზე უნდა ყოფილიყო დაწერილი, სიგელის ავტორი კი წერს განსხვავებული ლათინურით ე.წ ბარბაროსული ლათინურით.

პიპინი თავისი მეფობის ბოლო პერიოდში იბრძოდა ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ, მის წინააღმდეგ აჯანყდა აქვიტანიის ჰერცოგი ჰუნალდი, შემდეგ მისი შვილი ვაიფარი. პიპინ მოკლეს 10 წელი დასჭირდა, რათა აქვიტანია დაემორჩილებინა.

თემა მეხუთე

ფრანკთა სამეფო კაროლინგების ხანაში

კარლოს დიდი ფრანკთა სამეფოს გამორჩეული მეფე იყო. მან 46 წელი იმეფა (768-814 წწ). ჯერ ძმასთან კარლომანთან ერთად გაიყო ხელისუფლება. შემდეგ ძმებს შორის დაიწყო შუღლი. სამი წლის შემდეგ კარლომანი მოკვდა, კარლოსმა მისი მიწების ნაწილი შემოიერთა და ფრანკთა სამეფო გააერთიანა. ამდენად იგი 771 წლიდან ერთპიროვნულად მართავდა სახელმწიფოს.

კარლოს დიდის შესახებ ჩვენამდე მოაღწია სხვადასხვა დოკუმენტებმა: ლორსის, მაისენის მონასტრებში იწერებოდა მატიანეები. ასევე კაპიტულარები. მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა კარის ისტორიკოსის ეინჰარდის თხზულება „კარლოს დიდის ცხოვრება"-(VITA CAROLI MAGNI). ეინჰარდი გერმანელი იყო. ჯერ კიდევ ახალგაზრდა შეიქნა

კარის მეცნიერი. მისი მოვალეობა იყო აღეწერა კარლოს დიდის ცხოვრება. მან გამოიყენა რომაელი ისტორიკოსის სვეტონიუსის თხზულება „12 კეისრის ცხოვრება". ეგინჰარდმა თავისი წიგნის 22-25-ე თავებში შემდეგნაირად დაახასიათა კარლოსი: "ის იყო მხარბეჭიანი, მაღალი, 2 მ სიმაღლის, ჰქონდა გამომეტყველი სახე, დიდი თვალები, მომღიმარი სახე. ის იყო ენერგიული, რომელიც არაჩვეულებრივად ჯანმრთელი იყო. ამას ხელს უწყობდა ფიზიკური ვარჯიში, იყო მოსიარულე, ცხენოსანი, მოცურავე. იგი ზომიერი იყო სმაჭამაში და ჩასაცმელში. ჩვეულებრივ დროს უბრალო ხალხისაგან არ განსხვავდებოდა მისი ჩაცმულობა: სელის ჩასაცმელი, პერანგი აბრეშუმის კანტით, ტუნიკა, ფეხსახვევები. ზამთარში ძვირფასი ბეწვეული: თახვის, სიასამურის ჩასაცმელი, ცისფერი წამოსასხამი, მახვილი ვერცხლის ან ოქროს ტარით. განსაკუთრებულად იმოსებოდა თვალ-მარგალიტით, ოქროს გვირგვინს იკეთებდა უცხოს ჩამოსვლის დროს. ჭამა უყვარდა, სმა ზომიერი. ვერავინ ბედავდა მის დათრობას. მისი სუფრა 4 თავისგან შედგებოდა: უყვარდა მწვადი, ბოლო დროს მოხარშულ ხორცს ურჩევდნენ. სადილის დროს გალობდნენ ან უკითხავდნენ რაიმე წიგნს".

კარლოს დიდი იყო განათლებული. ტახტზე როცა ავიდა იყო გაუნათლებელი. ვერ დაეუფლა წერის ტექნიკას, ვინაიდან გვიან დაიწყო სწავლა.

მის მიერ ჩატარებული ომები იყო ორგვარი. აქრობდა აჯანყებებს მისი წინაპრების მიერ დაპყრობილ მიწებზე, სადაც დიდკაცები აწყობდნენ შეთქმულებას და ასევე იპყრობდა სხვის მიწებს. კარლოსმა მოაწყო 53 ლაშქრობა. ნახევარი უშუალოდ მისი სარდლობით მოხდა. მიმართულების მიხედვით ომები იყოფა რამდენიმე ჯგუფად.

I ჯგუფი – ომი აქვიტანიაში. მას ჰერცოგი ვაიფარი განაგებდა, შემდეგ ჰუნალდი. 769 წელს კარლოსი იბრძვის აქვიტანიის აჯანყების ჩასაქრობად. ეს ბრძოლა 10 წ გაგრძელ-

და. აქვიტანია დაიპყრეს. ააშენა ციხე-სიმაგრეები, სადაც თავისი მეციხოვნეები ჩააყენა. 781 წ მეფედ აქ მისი შვილი ლუდოვიკო დააყენა. ის მცირეწლოვანი იყო და ამიტომ საჰერცოგოს მისი კაცები მართავდა. ჰუნალდი ტყვედ ჩაიგდეს ან გაიქცა და ლანგობარდებს შეაფარა თავი.

II ჯგუფი ლაშქრობებისა ჩატარდა იტალიაში. ჯერ კიდევ ადრე პიპინმა ორი ლაშქრობა მოაწყო ლანგობარდების წინააღმდეგ. ჩამოართვა სამფლობელოები შუა იტალიაში და პაპს აჩუქა. ფრანგ დიდკაცებში იყო ორი პარტია:

1. ანტილანგობარდული, რომელსაც კარლოსი ედგა სათავეში

2. ლანგობარდული, რომელსაც მეთაურობდა კარლომანი კარლოს დიდის ძმა და დედა.

კარლოსი ჯერ გადაიხარა ლანგობარდების მხარეზე, შეირთო ცოლად ლანგობარდების მეფის დეზიდერიუსის ასული – დეზიდერატა. შემდეგ შეიცვალა მისი დამოკიდებულება და გადაიხარა პაპის მხარეზე. ამის გამოვლენა იყო ის, რომ გაეყარა დეზიდერატს. ამან გაამწვავა ურთიერთობა ლანგობარდებთან. პავია, დეზიდერიუსის კარი გახდა თავშესაფარი კარლოს დიდის მტრების: ჰუნალდის, კარლომანის და მისი შვილების. პაპი იყო ადრიანე I, დეზიდერიუსმა მიმართა მას, რომ ეკურთხებინა კარლომანის შვილები მეფედ. პაპმა კი მიმართა დახმარებისათვის კარლოსს. 773 წელს კარლოსმა გაილაშქრა იტალიაში. ერთი წელი გაგრძელდა ბრძოლა. დეზიდერიუსი დამარცხდა, დანებდა კარლოს დიდს და ბერად აღკვეცეს. ლანგობარდების ტახტის მემკვიდრე ადალგიზი გააძევეს. იტალია დაიყო საგრაფოებად. კარლოსმა გამოაცხადა თავი ლანგობარდების მეფედ. 781 წელს იტალიის მეფედ დამტკიცდა პიპინი (საშუალო ვაჟი). ეს სამეფო იყო ვასალური კარლოს დიდის მიმართ. სამხრეთ იტალია კი ეკუთვნოდა ბიზანტიას, ასევე ვენეციაც. კარლოსს მოუხდა ომები ბიზანტიასთან. საბოლოოდ დაიდო შეთანხმე-

ბა, რომლითაც ბიზანტიელებმა შეინარჩუნეს თავიანთი სამფლობელოები.

III ჯგუფის ლაშქრობები იყო ესპანეთში. ომის საბაბი იყო სარაგოსას ამირას მიმართვა დახმარებისათვის კარლოსისადმი. პირენეის ნახევარკუნძულს განაგებდნენ ამირები. უზენაესი იყო კორდოვას ამირა სამხრეთში. ჩრდილოეთით სარაგოსას ამირა განაგებდა. სარაგოსას ამირას აუჯანყდა კორდოვოს ამირა. სარაგოსას ამირამ მიმართა კარლოსს, 773 წელს და მიაღწია მდინარე ებროსს, ვერ მოიკიდა ფეხი, ხელცარიელი დაბრუნდა. ამ დროს ადგილი ჰქონდა არიერგარდის დაღუპვას რონსევალის ხეობაში (ბასკების მიწაზე). ბასკები დამოუკიდებელი ქრისტიანი ხალხი იყო. ფრანკებმა ააწიოკეს ბასკები და როცა უკან ბრუნდებოდნენ ბასკებმა შური იძიეს მათზე. მთის ხეობაში ჩასაფრებული ბასკები დაესხნენ და ერთიანად გაანადგურეს. დაიღუპნენ ანსელმი (სასახლის გრაფი), ეგინპარდი, როლანდი-ბრეტანის ჰერცოგი. როლანდის შესახებ თქმულებები დადიოდა ხალხში. დაიწერა„სიმღერა როლანდზე", რომელიც გვაძლევს XI ს-ის. საფრანგეთის ისტორიის შესახებ ცნობებს. ვარდოშვილის, გვეტაძის, აბაშელის თარგმანით არის გამოსული „სიმღერა როლანდზე". შემდგომი ლაშქრობებით მან დაიპყრო ქ. ბარსელონა კატალონიის დედაქალაქი და დაარსა ესპანური მარკა.

რა არის მარკა?

მარკა – ფულს ნიშნავს, არის საფოსტო ნიშანი, სასოფლო თემი. ამ შემთხვევაში საზღვარზე მდებარე გამაგრებულ ოლქს ნიშნავს. მარკაზე იგებოდა ციხეები. მარკგრაფად ინიშნებოდა ყველაზე ერთგული კაცი. დაარსდა აქ ესპანური მარკა. მას საზღვრის დაცვა ევალებოდა.

IV ჯგუფი ლაშქრობებისა იყო ომები საქსების წინააღმდეგ. ძველი საქსონია მდებარეობდა მდ. რაინსა და ელბას

შორის (თანამედროვე ჰოლშტაინი შედიოდა მასში) და დასახლებული იყო საქსებით, რომლებიც იყოფოდნენ 4 ტომად:

1. ოსტფალები
2. ვესტფალები
3. ვეზერის ნაპირზე მცხოვრები ანგარიები
4. ნორდალბინგები ელბას ჩრდ. მცხოვრებნი.

ისინი პირველყოფილი თემური წყობილების სტადიაზე იდგნენ, დაახლოებით ისე, როგორც გერმანელები ტაციტუსის აღწერით. ძირითადი ფენა: გლეხები- ფრილინგები ყმები- ლაცი (ლიტი ფრანკებთან). საგვარეულო არისტოკრატიას ეწოდებოდა ედელინგები, კეთილშობილები. გაბატონებული იყო ედელინგები. ისინი ეწოდნენ ლაცის და მონების ექსპლოატაციას. აქ ჯერ არ იყო სამეფო ხელისუფლება. რელიგიით იყვნენ წარმართნი. ჰყავდათ ვოდანი და სხვა ღმერთები. საქსები მოუსვენარი მეზობლები იყვნენ. მიწათმოქმედება ექსტენსიურია. განვითარებული იყო მეცხოველეობა. ამიტომ მეზობელ ფრანკების მიწებს არ ჰქონდა მოსვენება მათი გაუთავებელი თარეშისაგან. მაგრამ მთავარი მაინც იყო კარლოსის აგრესია. ფეოდალის და მეფის შემოსავალი ნელა იზრდებოდა, მისი სწრაფი განვითარებისათვის საჭირო იყო ომი. ეს იყო რეგულარული შემოსავლის წყარო. საქსების მეზობლად იყო სლავი ხალხი. კარლოსი თუ საქსების ტერიტორიას არ დაიპყრობდა შეუძლებელი იყო სლავების დაპყრობა. სკანდინავიიდან, კერძოდ, შვედეთიდან შემოდიოდა რკინის მადანი, რასაც ფრანკებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი დაპყრობებისა.

772 წელს დაიწყო ომი საქსონიის სამხრეთი ოლქის წინააღმდეგ. აიღეს ერესბურგი. საქსებს ხელმძღვანელობდა ვესტფალიის ჰერცოგი ვიდუკინგი. საქსებმა დაიბრუნეს ერესბურგი. ასე დაიწყო დიდი ლაშქრობები. იგი ატარებდა სოციალურ, რელიგიურ ხასიათს. სოციალური ხასიათი ლაშქრობებისა იმაში გამოიხატებოდა, რომ კარლოს დიდი ნერ-

გავდა ფეოდალურ წყობილებას. თავისუფალ საქსებს უმორჩილებდა ფეოდალებს. საქსებს შორის მოღალატეებს, ვინც კარლოსის მხარეზე გადავიდოდა დიდძალი მიწებით აჯილდოვებდნენ. ხოლო რელიგიური ხასიათი იმაში გამოიხატებოდა, რომ ავრცელებდნენ ქრისტიანობას. კარლოსი აშენებდა მონასტრებს, საყდრებს, ნიშნავდა თავის მღვდლებს. აჯანყებული საქსები, როცა კარგავდნენ მიწებს, თავს ესხმოდნენ ეკლესიებს და წვავდნენ მას.

772-774-776-778 წლებში კარლოსმა ჩაატარა ოთხი ლაშქრობა. მას არაერთხელ თავიდან უხდებოდა მიწების დაპყრობა. 782 წელს ვეზერის ნაპირზე მოხდა ბრძოლა. 4500 მძევალი დახოცეს. მეფემ გამოსცა „საქსონიის საქმეთა კაპიტულარი", რომლითაც დაწესებული იყო ყველაფრისათვის სიკვდილი. სიკვდილით ისჯებოდა აჯანყებულები, ეკლესიის დამარბეველნი, ვინც მარხვას არ ინახავდა. ამ კაპიტულარმა ძალა 18 წელი შეინარჩუნა.

საქსონიაში მალე შეიცვალა ვითარება. არისტოკრატიამ დაიწყო ღალატი და კარლოსის მხარეზე გადასვლა. საქსებს უღალატა ვიდუკინგმა. მან მიიღო ქრისტიანობა და მისი მემკვიდრეებიც კარლოსის ერთგულნი იყვნენ. 785 წელს დასრულდა ელბას გაღმა საქსონიის დამორჩილება. 90–იან წლებში ნორდალბინგების დამორჩილება დაიწყეს. კარლოსი მიმართავდა კოლონიზაციას. 10 ათასი კაცი აყარეს და ფრანკთა ტერიტორიაზე ჩამოასახლეს. ეს მიწები ობოდრიტებით დასახლდა. 804 წელს 32 წლის ომის შედეგად დასრულდა საქსების დამორჩილება ფეოდალიზაციისა და ქრისტიანიზაციის გზით.

ამის შემდეგ კარლოსი აწარმოებს ომს ავარების წინააღმდეგ. ავარები თურქული მოდგმის ტომებია. VI ს-ში დაიკავეს პანონია (უნგრეთი). მათ დაიმორჩილეს მეზობელი სლავი ტომები. მდ. ტისაზე მდებარეობდა მეფის ჰაკანის რინგი. ავარები ცხენოსნები იყვნენ. წინ მიერეკებოდნენ ქვეით სლა-

ვებს. ავარების თარეშით მოსვენება არ იყო ფრანკთა სამეფოშიც, კარლოსმა 7-ჯერ ილაშქრა მათ წინააღმდეგ. ავარების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო 788 წელს და გაგრძელდა 803 წლამდე. კარლოსს გაუჭირდა მათი დათრგუნვა. გადამწყვეტი როლი შეასრულეს სლავებმა, კერძოდ ხორუტანელები დაეხმარნენ ფრანკებს ავარების წინააღმდეგ ბრძოლაში. საბოლოოდ ავარები დამარცხდნენ. ისინი დაიღუპნენ, გაქრნენ. როდესაც რომელიმე ხალხის მოსპობაზე არის საუბარი ამბობენ: "დაიღუპნენ, როგორც ავარები". მათ ტერიტორიაზე დაარსდა პანონური მარკა იგივე აღმოსავლეთის მარკა.

787 წელს კარლოსმა ომი დაიწყო ბავარიის მმართველის ტასილოს წინააღმდეგ. მანამდე კარლოსს შემომტკიცებული ჰქონდა ბავარიის მიწები. ტასილოსი დააპატიმრეს და ბრალი დასდეს სახელმწიფოს, კერძოდ პიპინ მოკლეს ღალატი. ბრალმდებელი იყო კარლოსი. ის დაადანაშაულეს და ბერად აღკვეცეს. ბავარია დაიყო საგრაფოებად.

სხვა სლავური ტომები, ბოდრიჩები იყვნენ კარლოსის მოკავშირეები, ხოლო ლუტიჩები, ჩეხები, მორავიელები ეომებოდნენ კარლოსს. საბოლოოდ მათ ცნეს ვასალობა. ისინი იხდიდნენ ხარკს და მეფეს მაშველ რაზმებს აძლევდნენ.

დანიელები ხშირად თავს ესხმოდნენ ფრანკებს. კარლოსმა აწარმოა ბრძოლა მათ წინააღმდეგ. წაართვა მდ. ეიდერის ტერიტორია და აქ დააარსა დანიური მარკა.

ამრიგად, კარლოსმა თავისი სამეფოს საზღვრების ტერიტორიაზე დაარსა შემდეგი მარკები: ესპანური, პანონური და დანიური. ეს გამაგრებული პუნქტები უზრუნველყოფდა ქვეყნის დაცვას გარეშე მტრისაგან.

კარლოსის დაპყრობების შედეგები

კარლოსმა შექმნა უზარმაზარი ტერიტორია, რომელშიც შედიოდა: დასავლეთ გერმანია, ჩრდილო და შუა იტალია, ავსტრია, უნგრეთი, იუგოსლავიის ნაწილი, ჰოლანდია, ბელგია, ლუქსემბურგი, სარდინია, კორსიკა, ესპანეთის ჩრდილოეთი ნაწილი.

მისი მმართველობის დროს მოხდა სოციალური ცვლილებები. ყოველი გლეხი, რომელიც ფლობდა მიწის ნაკვეთს მანსს, მოვალე იყო მონაწილეობა მიეღო ლაშქრობაში საკუთარი ხარჯით: უნდა ჰქონოდა საჭმელი სამი თვის მარგის, ტანსაცმელი, იარაღი. ყოველი ლაშქრობისას ადგილი ჰქონდა მარაჯორობას- ძარცვას. ხშირად ლაშქრობა დიდხანს გრძელდებოდა, ამიტომ ხალხი გაურბოდა სამხედრო სამსახურს. მიმართავდნენ ქრთამს. გრაფები მექრთამეები იყვნენ. ხალხი სასულიერო წოდებაში შედიოდა, რომ თავი აერიდებინა ომში წასვლაზე. ამიტომ კარლოს დიდმა 805 წლის კაპიტულარით აკრძალა სასულიერო წოდებაში გადასვლა მისი თანხმობის გარეშე. 808, 811 წლის კაპიტულარები აწესებდა ჯარიმას 60 სოლიდის ოდენობით იმათზე, ვინც გააცდენდა ლაშქრობას. ეს ჯარიმა უდრიდა 30 ხარის ფასს. ამ ჯარიმას ჰეიბალი ეწოდებოდა.

ლაშქრობების შედეგი იყო კომენდაციის სისტემის შემოღება,მფარველობაში შესვლა. სამხედრო სამსახურის შიში აჩქარებდა კომენდაციას. ვინც უარს იტყოდა ის მიჰყავდათ ომში. 808 წლის კაპიტულარით, ვისაც ჰქონდა 4 მანსი მიწა უნდა მოეხადა სამხედრო სამსახური. თავისუფალი გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოშორდა სამხედრო სამსახურს. 4 მანსის მფლობელი იყო საშუალო, წვრილი მიწათმფლობელი. კარლოს დიდის ომებმა, რომელთა მიზანი იყო ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება, პირიქით შეასუსტა ცენტრალური ხელისუფლება და გაზარდა მსხვილი

მიწათმფლობელობა. სამხედრო რეფორმა მოწმობს თუ როგორ წავიდა ფეოდალიზაციის პროცესი. მანამდე ასეულის კრებებზე წყდებოდა სასამართლო საქმეები. კრებას განაგებდა მსაჯულები. კარლოსმა ისინი შეცვალა დანიშნული მსაჯულებით-სკაბინებით. ესენი იყვნენ მიწათმფლობელები, რომელთაც აღნიშნულ თანამდებობაზე ნიშნავდა მეფე.

ამრიგად, სასამართლოში მონაწილეობის უფლება დაკარგა თავისუფალმა გლეხობამ, ისევე როგორც ჯარში მონაწილეობის უფლება. მსხვილი ფეოდალები აძლიერებდა გლეხთა ექსპლუატაციას. აქა იქ იწყებოდა მათი აჯანყებები, რომელსაც ხელმძღვანელობდა ფარული, თავდაცვითი კავშირები-გილდები.-. მისი მიზანი იყო ჩაგვრისა და დაყმევის წინააღმდეგ ბრძოლა.

779 წლის კაპიტულარით მეფემ აკრძალა გილდიები, მაგრამ ისინი მაინც განაგრძობდნენ არსებობას. გლეხთა აჯანყებები ლოკალურ ხასიათს ატარებდა. გლეხთა დიდი აჯანყებები დაიწყო მოგვიანებით XIV ს-ში ფეოდალიზაციის აყვავების ხანაში.

როგორი იყო კარლოს დიდის მმართველობის სისტემა?

კარლოსმა შექმნა უდიდესი სახელმწიფო. დიდკაცების ასალაგმავად დიდ ერთეულს შლიდა. მაგალითად, აქვიტანია დაშალა საგრაფოებად. ასევე ბავარია, იტალია. მოსპო დიდი საჰერცოგოები. მისი სამეფო შედგებოდა სამასი საგრაფოსაგან, გრაფები იყვნენ მეფის მოხელეები. მეფე თუ შეატყობდა გრაფს ურჩობას, გადააყენებდა და მის ვასალს დანიშნავდა. მეფემ გამოსცა რამოდენიმე კაპიტულარი, რომელიც უკრძალავდა მათ მეფის ქონების მითვისებას და ქრთამის აღებას. მაგრამ გრაფები მაინც ეწეოდნენ თვითნებობას. კონტროლის გაძლიერების მიზნით კარლოს დიდმა შემოიღო შიკრიკის თანამდებობა. მეფე განუსაზღვრელი ვადით გზავნიდა ორ შიკრიკს. მათი გაგზავნისას იწერებოდა სპეციალური კაპიტულარი, რომელიც მათ განკარგულებას აძლევდა.

უნდა მოეწვიათ სახალხო კრება, განეხილათ საჩივრები, რომ არ ჰქონოდა ადგილი მექრთამეობას, არ უნდა მიეთვისებინათ მეფის ქონება. მაგრამ შიკრიკები ითვისებდნენ მეფის ხაზინას, გრაფებისაგან იღებდნენ ქრთამს, მოსახლეობისაგან კი ჯარიმას. ისინი ყვლეფდნენ ხალხს.

როგორი იყო ცენტრალური ადმინისტრაცია?

სამეფო კარი იყო ცენტრი. კარლოს დიდს არ ჰქონდა საატახტო ქალაქი. ომების გამო გადადიოდა ერთი ვილადან მეორეში. მოხუცებულობისას აირჩია ქალაქი აახენი. იგი ფაქტიურად იქცა სატახტო ქალაქად. სახელმწიფოს მართავდნენ მოხელეები. ეინჰარდს მოხსენიებული ჰყავს ანსელნი, რომელიც დაილუპა. კანცელარიუსს ებარა სახელმწიფო ბეჭედი. სასახლეს გააჩნდა საკუთარი ეკლესიები-კაპელები.

კარლოს დიდის დროს გამოიცა უამრავი კაპიტულარი. წელიწადში ორჯერ იკრიბებოდა დიდკაცების კრება. კაპიტულარები სამ ჯგუფად იყოფოდა:

1.PER- SE SORILENDA – ჩვეულებრივი კაპიტულარი-769, 803, 808 წლების კაპიტულრები.

2.LEGIBUS ADDENDA – ბარბაროსული კანონები. კარლოს დიდის სამეფოში მრავალი ტომი ცხოვრობდა და მოქმედებდა მათი საკუთარი ბარბაროსული სამართლები: სალიკური, რიპუარული, ტიურინგების, ბავარების და სხვა. კარლოს დიდს დროდადრო ბარბაროსულ სამართალში ცვლილებები შეჰქონდა.

3.MISSATICA – ინსტრუქციები. 800 წელს გამოქვეყნდა ეს კაპიტულარი.

კარლოს დიდმა გადაწყვიტა თავისი ტიტულის შეცვლა. შუა საუკუნეებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რომაულ ტიტულებს. მან გადაწყვიტა მიეღო იმპერატორის ტიტული, რაც გაზრდიდა მის ავტორიტეტს. მაგრამ ვისგან უნდა მიეღო?. თავის ტოლად ის მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორს თვლიდა, თავისზე უფრო მაღლა კი ღმერთს. დაიწყეს მოლა-

პარაკება, რომ კარლოს დიდისთვის ებოძებინათ ბასილეუსის (ბიზანტიის) ტიტული. რომის პაპმა ლეონ III –მ და 800 წლის 25 დეკემბერს ის აკურთხა იმპერატორად. კარლოსმა პაპს მფარველობა გაუწია რომის დიდკაცების წინააღმდეგ ბრძოლაში. ბიზანტიის იმპერატორმა მიხეილმა მხოლოდ 812 წელს დაუმტკიცა მას ბასილეუსის ტიტული.

საერთაშორისო ურთიერთობა

კარლოსის ურთიერთობა რომის პაპთან განისაზღვრა შემდეგნაირად. კარლოსის დახმარებით მან განიმტკიცა თავისი ხელისუფლება და გახდა მისი ვასალი. მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა ანგლო-საქსების მეფეებთან. მერსიის მეფე ოფა იყო კარლოსის მოკავშირე. მას დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა სლავებთან. აფასებდა ურთიერთობას ბიზანტიასთან, ამიტომაც შეისწავლა ბერძნული ენა. მან გადაწყვიტა ბიზანტიის იმპერატორის ასული ირინა შეერთო ცოლად, მაგრამ ირინა ტახტიდან ჩამოაგდეს და ეს ქორწინება ჩაიშალა. კარლოსს 4 ცოლი ჰყავდა. დეზიდერტასთან არ ჰყავდა შვილი. 3 ცოლისაგან 15 შვილი ჰყავდა: 6 ვაჟი და 9 ასული.

კარლოს დიდმა დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა არაბთა ხალიფა ჰარუნ არ რაშიდთან. ის ელჩებს აგზავნიდა. ებრაელი ისაკი მოხსენიებულია მატიანეში, რომელიც კარლოსმა გააგზავნა ჰარუნ არ რაშიდთან. მოხსენიებულია ასევე საჩუქრები, რომელიც ხალიფამ კარლოსს გამოუგზავნა: ძვირფასი ქსოვილები, საღებავები, სანელებლები, მექანიკური საათი, სპილო.

როგორი იყო განათლება და კულტურა?

VIII ს-ში იტალიაში და ინგლისში განათლება უფრო მაღლა იდგა, ვიდრე ფრანკთა სამეფოში. როდესაც კარლოს დიდმა ილაშქრა იტალიაში, გაეცნო იმ დროის განმანათლებ-

ლებს და შეაფასა თუ რა სარგებლობა შეეძლო მოეტანა განათლების გადმოტანას ანგლო-საქსებიდან და იტალიიდან მის სამეფოში. მან მოიწვია ინგლისელი ალკუინი, გრამატიკოსი პეტრე პიზელი, ლანგობარდელი პავლე დიაკონი, გოთი თეოდულფი. ასევე მოიწვია განმანათლებლები ირლანდიიდან და ბავარიიდან. მათი მოღვაწეობის ცენტრი იყო ალკუინის სკოლა, რომელიც ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა. კარლოს დიდი მეფობის ბოლოს დამკვიდრდა აახენში. თვით კარლოსი, მისი შვილები აქ ღებულობდნენ განათლებას. მას აინტერესებდა ასტრონომია, რიტორიკა, დიალექტოლოგია. ალკუინმა მისთვის დაწერა სახელმძღვანოლოები იმ საგნებში, რომელსაც საუბრის ფორმა ჰქონდა. საინტერესოა ჩვენამდე შემორჩენილი ასეთი ფორმის ერთ-ერთი სახელმძღვანელოს ნიმუში, სადაც გადმოცემულია საუბარი ალკუინსა და კარლოს დიდის ვაჟს პიპინს შორის, რომელიც 15 წლის იყო იმ დროს. აი ზოგიერთი საუბარი ამ წიგნიდან:

პიპინი სვამს კითხვას და პასუხობს ალკუინი.

"რა არის სიტყვა ? –სულის გამომხატველი.

რა წარმოთქვამს სიტყვას ? –ენა.

რა არის ენა ?– ჰაერის მათრახი.

რა არის ჰაერი?– სიცოცხლის წყარო.

რა არის სიცოცხლე ?–ბედნიერთათვის სიხარული, უბედურთათვის სინანული, სიკვდილის მოლოდინი.

რა არის სიკვდილი– გარდუვალი კანონზომიერება, უბედურების გზა, ცოცხალთათვის ცრემლები, ადამიანის მომტაცებელი.

შემდეგ მოდის შეკითხვები ადამიანზე.

რა არის ადამიანი?–სიკვდილის მონა, სტუმარი თავის სახლში.

სად დგას იგი?–ექვს კედელს შორის.

რომელია ესენი?–ზედა, ქვედა, წინა, უკანა, მარჯვენა და მარცხენა.

რამდენი გამოცდა ელის ადამიანს ცხოვრებაში? – ექვსი.

რომელია ესენი – შიმშილი და მაძღრობა, სიმშვიდე და შრომა, სიფხიზლე და ძილი.

რა არის ძილი?– სიკვდილის მიმსგავსება.

რა არის ადამიანის თავისუფლება?– სიმართლე.

რა არის თავი? – სხეულის დაბოლოება(კენწერო).

რა არის სული? – სულის საბუდარი.

შემდეგ საუბარი შეეხება ბუნებას.

რა არის ცა? – განუზომელი სივრცე.

რა არის სინათლე? – ყველა საგნის სახე.

რა არის დღე? – შრომისადმი გამოღვიძება.

რა არის მზე? – ბუნების მშვენიერება, დროის გამანაწილებელი.

რა არის დედამიწა? – მცენარეთა მასაზრდოებელი, ცხოველთა მკვებავი, სიცოცხლის დამცველი, ყველაფრის მშთანთქმელი".

კარლოს დიდის დროს დაარსდა სასახლის აკადემია. იქ სწავლობდნენ ქალებიც. მისი წევრები ატარებდნენ განსაკუთრებულ სახელებს. კარლოსს უწოდებდნენ დავითს, მის დას ლუციას, ქალიშვილებს: დელიუსს და კოლუმბიას. პოეტი თეოდულფი ერთ-ერთ ლექსში შემდეგნაირად აღწერს კარლოსის სამეფოში დღეს: ჯერ სასახლეში მიმდინარეობს თათბირი, შემდეგ ყველანი მიემართება ეკლესიაში. დაბრუნებისას კარლოსს მოაცილებს დიდი ჯგუფი ადამიანებისა, მაგრამ სასახლეში შედიან მხოლოდ მსახურნი. კარლოსს ეგებება შვილები. უფროსი ვაჟი ართმევს მას მოსასხამს და თეთრ ხელთათმანს, უმცროსი-მახვილს. მეფე ჯდება და ასულებს მისთვის მოაქვთ ყვავილები, ხილი, პური და ღვინო. ის მადლობას უხდის მათ კოცნით და ტკბილი სიტყვებით. საუზმის შემდეგ იწყება მუშაობა. სასახლის კართან ირევა ხალხი საჩივრებითა და სათხოვარით. მათ ჯერ მიიღებს კამერგერი სახელად ტირსისი, ნაწილს უშვებს სახლში,

ნაწილს კი მიაცილებს მეფესთან. ამასობაში მოდის სადილის დრო.

კარლოს დიდი ალკუინის მოწაფე იყო. ის კარგად დაეუფლა ენებს. მშობლიურის გარდა ის თავისუფლად საუბრობდა ლათინურად, კარგად ესმოდა ბერძნული. თავისუფალი მეცნიერებიდან ის განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ასტრონომიით. მან ვერ ისწავლა წერა. ის კითხულობდა საღვთო წერილს, თუ რაიმე გაუგებარი იქნებოდა ის მიმართავდა თავის მეცნიერებს, ხოლო თუ ვერ დაიკმაყოფილებდა პასუხს, მაშინ მიმართავდა პაპს. ზოგჯერ იგი შეკითხვებით მიმართავდა ეპისკოპოსებს, რათა დარწმუნებულიყო მათ ცოდნაში ან დაეკმაყოფილებინა თავისი ინტერესი. მისი სამაგიდო წიგნი იყო ნეტარი ავგუსტინეს „De civitate dei (ღვთაებრივი სახელმწიფოს შესახებ)".

კარლოსი დიდ პატივს სცემდა დედას. მხოლოდ ერთხელ მოუვიდა მასთან უკმაყოფილება, როცა კარლოსი გაეყარა თავის ცოლს დეზიდერატს-ლანგობარდების მეფის დეზიდერიუსის შვილს. დედამისი გარდაიცვალა მაშინ, როცა მას ჰყავდა 3 ვაჟი და 3 ქალი. დაასაფლავა დიდი პატივით წმ. დიონისეს ეკლესიაში, სადაც დაკრძალული იყო მისი მამაც. მას ჰყავდა ერთადერთი და გიზელა, რომელიც ბავშვობიდანვე მონასტერში აღიკვეცა, უყვარდა იგი ისე, როგორც თავისი დედა.

ბავშვებს ის ზრდიდა შემდეგნაირად. თავდაპირველად თავის ვაჟებს და ქალიშვილებს ასწავლიდა თავისუფალ მეცნიერებას. როცა წამოიზარდნენ ვაჟები ეუფლებოდნენ ცხენზე ჯდომას, სამხედრო ვარჯიშს, ნადირობას, ხოლო ქალიშვილები კერვას და ქარგვას. როცა კარლოსს მოუკვდა შვილი პიპინი, მან შვილიშვილს გადასცა მამის მემკვიდრეობა, ხოლო ქალიშვილებს ზრდიდა თავის შვილებთან ერთად. მიუხედავად მისი დიდსულოვნებისა მან ძნელად გადაიტანა შვილის სიკვდილი. თურმე იგი ცრემლებსაც კი ღვრიდა. როცა

გაიგო, რომ მისი მეგობარი პაპი ადრიანე მოკვდა, კარლოსი ისე ატირებულა თითქოს დაეკარგა ძმა ან საკუთარი შვილი. იგი სამეგობროდაც კარგი ყოფილა. იგი თუ კაცს დაუმეგობრდებოდა ბოლომდე მისი ერთგული რჩებოდა. კარლოსი ისე ზრუნავდა თავისი ვაჟებისა და ქალიშვილების აღზრდაზე, რომ როცა სახლში იყო არასოდეს არ სადილობდა და არსად არ მიდიოდა მათ გარეშე. ვაჟები გვერდით მიყვებოდა, ხოლო ასულები უკან მოდიოდნენ ცხენზე ამხედრებულნი, მათ მოჰყვებოდა აგრეთვე მცველებიც. მისი ქალიშვილები ყოფილან მეტად ლამაზები და ძალიან ჰყვარებია. მას არ სურდა ისინი მიეთხოვებინა თავის თანამემამულეზე ან უცხოელზე. ყველანი ჰყავდა სახლში მის სიკვდილამდე. ამბობდნენ, რომ მას არ შეეძლო მათ გარეშე ყოფნა.

ის იყო ჯანმრთელი, მხოლოდ ბოლო 4 წელი ავადმყოფობდა ციებ-ცხელებით, შემდეგ დაკოჭლდა. მას ექიმები უკრძალავდნენ შემწვარი კერძის ჭამას, რაც ძალიან უყვარდა. იგი ბევრს ვარჯიშობდა ცხენზე სიარულში და ნადირობაში. უყვარდა ორთქლის აბაზანები, კარგად იცოდა ცურვა. წყლების სიყვარულით მან ააშენა აახენის სასახლე და იცხოვრა იქ სიკვდილამდე. თავშეკავებული იყო სმაში, არ უყვარდა სიმთვრალე. მისი სადილი 4 კერძისაგან შედგებოდა. მონადირეებს მოჰქონდათ მისთვის ნანადირევი. ჭამის დროს უსმენდა მუსიკას ან ლოცვას. ზაფხულში სადილის შემდეგ შუადღეზე მიირთმევდა რამოდენიმე ცალ ვაშლს, იხდიდა ტანსაცმელს და იძინებდა 2-3 საათს. სამაგიეროდ ღამეს ტეხდა 4-5 ჯერ. არა მარტო იღვიძებდა, არამედ დგებოდა და ბევრ გადაუდებელ საკითხებს წყვეტდა ღამითაც. მას ძალიან უყვარდა უცხოელები და დიდი პატივით ღებულობდა მათ სამეფო კარზე.

საინტერესოა ხალხის გადმოცემა იმის შესახებ თუ როგორ იწინასწარმეტყველა კარლოსმა ნორმანების თავდასხმები ფრანკთა სამეფოზე. ერთხელ კარლოსი გაჩერებულა

სამხრეთ გალიის ერთ-ერთ საზღვაო ქალაქში. იმ დროს, როცა ის მოემზადა სადილისათვის მაშინ ნავსადგურის შესასვლელში დაინახა ნორმანი ზღვაოსნები. კარლოსის თანამგზავრებმა ჩათვალეს როგოც სავაჭრო გემები, მაგრამ ბრძენმა კარლოსმა გარეგნობით კარგად შეიცნო ისინი არა როგორც ვაჭრები, არამედ როგორც მტერი და თვის მხლებლებს განუცხადა:" ამ გემებს მოაქვთ არა საქონელი, არამედ მოჰყავთ უსასტიკესი მტერი. მოისმინეს რა ეს, ფრანკები გაემართნენ მათი გემებისაკენ. მაგრამ ნორმანებმა გაიგეს რა კარლოსის იქ ყოფნა, შეშინდნენ და თავი აარიდეს ბრძოლას. ამის შემდეგ კარლოსი მივიდა ფანჯარასთან და მწარედ ატირდა. არცერთ მის მეომარს არასოდეს არ დაუნახავთ კარლოსის თვალზე მსგავსი ცრემლები, ეხლა კი მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ ვერავინ გაბედა შეკითხვა. „ბოლოს მან თავად აუხსნა მისი წყენის მიზეზი:"ჩემო ერთგულო მეომრებო! იცით რატომ ვტირი ასე მწარედ? მე არ მაშინებს ის, რომ ეს მტერი მე რაიმეს დამაკლებს, არამედ ის მაღელვებს, რომ ჯერ ჩემ სიცოცხლეში მათ გაბედეს ამ ნაპირთან მოსვლა, ხოლო ჩემს შემდეგ რამდენი ზიანის მოტანა შეუძლიათ მათ ჩემი ხალხისათვის."

კარლოსის წინასწარმეტყველება მართლაც გამართლდა. ნორმანები იწყებენ თავდასხმებს X საუკუნიდან.

თემა მეექვსე

საფრანგეთი IX-XI საუკუნეებში

ამ პერიოდში საფრანგეთი იყო ყველაზე ტიპიური ფეოდალური სახელმწიფო. 843 წლის ვერდენის ხელშეკრულებით დასავლეთ ფრანკთა სამეფო, რომელსაც მოგვიანებით საფრანგეთი ეწოდა, წილად ხვდა ლუდოვიკოს უმცროს შვილს შარლ მელოტს (840-877 წწ). მეფის ხელისუფლება იყო სუსტი. ამას მოწმობს კაპიტულარები. მათ შორის ტიპიური 847 წელს გამოცემული მერსენის კაპიტულარი. 877 წელს კერსის კაპიტულარი. ეს სახელწოდებები მათ მიეცა ქალაქების მიხედვით.

მერსენის კაპიტულარი აკანონებს შექმნილ მდგომარეობას. ასევე კერსის კაპიტულარიც. მეფე ბრძანებს ყოველმა თავისუფალმა კაცმა იყოლიოს სენიორი. ე.ი მეფის ხელისუფლება დასუსტდა და აკისრებდა მოვალეობას სენიორს. დაკანონდა, რომ არ არსებობს მიწა სენიორის გარეშე. მოხდა ფეოდალიზაცია სახელმწიფო თანამდებობის. სახელმწიფო თანამდებობა იქცა მემკვიდრეობად.

შარლ მელოტის შემდეგ მეფობს მისი ვაჟი ლუი II ბლუ (877-885წწ). კაროლინგების დინასტიის გერმანული შტო მეფობს 888 წლამდე. ლუი II შემდეგ მეფობს შარლ სქელი (885-887 წწ). მოსახლეობის უმრავლესობა მხარს არ უჭერდა კაროლინგებს. ჩამოაგდეს შარლ სქელი. ტახტზე უნდა ასულიყო მისი ვაჟი შარლ მიამიტი, მაგრამ მოსახლეობამ მეფედ აირჩია პარიზის დაცვის გმირი გრაფი ედი რობერის ვაჟი.

ედი მართავდა ქვეყანას 888-898 წწ-ში. იწყება ბრძოლა შარლ მიამიტსა და ედის შორის. 898 წელს გარდაიცვალა ედი და დინასტიას დაეპატრონა შარლ მიამიტი. ეხლა ბრძოლას იწყებს ჩრდილოეთ საფრანგეთის მოსახლეობა მეფის წინააღმდეგ, რომელსაც სათავეში უდგას პარიზის გრაფი ჰუგო.

მან ნორმანები გადმოიბირა თავის მხარეზე და 945 წელს დაამარცხა შარლ მიამიტის შვილი ლუი ზღვისმიღმელი, მაგრამ საბოლოოდ ჩამოიშორა იგი, როცა ლუი ზღვისმიღმელი გარდაიცვალა 954 წელს. შემდეგ გამეფდა ლუის შვილი ლოტარი. მის დროს 954-986 წწ-ში ოპოზიციას არ ჰქონია ადგილი, არც აჯანყებებს. მან კავშირი გაწყვიტა გერმანულ სამფლობელოებთან. ლოტარის ავტორიტეტი დაცემული იყო. მიუხედავად ამისა ფაქტიურად მეფე იყო პარიზის გრაფის ჰიუგოს ვაჟი უგო. ის იყო ერთდროულად საფრანგეთის ტერიტორიაზე მდებარე იდ-დე-ფრანსის ჰერცოგი, პარიზის (გრაფი), ორლეანის (გრაფი).

986 წელს გარდაიცვალა ლოტარი და მეფედ აირჩიეს 987 წელს ჰუგო კაპეტი. ასე დაიწყო კაპეტინგების დინასტია (987-1328 წწ).

ჰუგო კაპეტი 987-996 წწ. მან თავისივე სიცოცხლეში გაამეფა თავისი შვილი რობერ II. შემდგომში საფრანგეთის ისტორიისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ მეფეები თავიანთ სიცოცხლეში ტახტზე სვამდა თავის შვილს და თანამმართველობდნენ.

რობერ II 996-1031 წწ.
ანრი I 1031-1060 წწ.
ფილიპე I 1060-1108 წწ.
ლუი VI 1108-1137 წწ.
ლუი VII 1137-1180 წწ.
ფილიპე II 1180-1223 წწ.

საინტერესოა ფილიპე I-ის მეფობა. ისტორიოგრაფიაში ცნობილი იყო, რომ იაროსლავ ბრძენის (1019-1054) ასული თითქოს საფრანგეთის მეფეზე ანრიზე (1031-1060 წწ) იყო დაქორწინებული. საფრანგეთი რუსეთისგან საკმაოდ შორს იყო და ამდენად ეს არ არის სწორი.

ჩრდილოეთით ნორმანდიის საჰერცოგო დაარსდა. IX საუკუნეში ამ საჰერცოგომ უდიდესი როლი შეასრულა. IX საუკუნის II ნახევარში ნორმანები შემოესივნენ სენას. დანიის მეფე ზიგფრიდი მიადგა პარიზს. ედმა მოიგერია ნორმანების შემოსევა. ამ დამსახურებისათვის ის მეფედ აირჩიეს. ნორმანებმა დაიპყრეს მდინარე სენას შესართავი. 911 წელს შარლ მიამიტსა და ნორმანების ბელადს როლოს შორის დაიდო ხელშეკრულება ე.წ სენკლერის ხელშეკრულება, რომლის ძალით საფრანგეთის მეფე შარლ მიამიტმა დაუთმო მიწები და უბოძა ჰერცოგობა. როლომ თავი საფრანგეთის მეფის ვასალად გამოაცხადა. 1066 წელს ნორმანდია პოლიტიკურად შეუერთდა ინგლისს. რიჩარდ II-ის დროს 1377-1399 ნორმანდიის საჰერცოგომ მიიღო ჩამოყალიბებული სახე. ნორმანები აითქვიფნენ ადგილობრივ მოსახლეობაში. სათემო მიწები, საძოვრები ჰერცოგმა გამოაცხადა თავის საკუთრებად. 996 წელს მოხდა გლეხთა აჯანყება. მოითხოვეს, რომ აღედგინათ მამა-პაპათა უფლებები. ჰერცოგმა გაგზავნა გრაფი რაული, რომ ჩაექრო ეს აჯანყება. რაულმა მიიტყუა გლეხთა დელეგატები და აჯანყება ჩააქრო. ეს იყო ერთ-ერთი პირველი გლეხთა ადრეული აჯანყება. აქ ძლიერი იყო ფეოდალური ექსპლუატაცია.

ბრეტანის საჰერცოგო წარმოიშვა X საუკუნეში. ჰერცოგი დამოუკიდებელი იყო. იგი ერთგულებასაც კი არ ფიცულობდა. ჩრდილო აღმოსავლეთით დაარსდა ფლანდრიის საგრაფო. საუბრობდნენ ფლანდრიულ და გერმანულ ენაზე. ის დაარსდა გრაფი ბალდუინის მიერ. მან შარლ მელოტს მოსტაცა ასული ივდითი. თვითონაც მელოტი დაირქვა, რომ სიმამრთან ერთნაირი ყოფილიყო.

შამპანის საგრაფოში იყო საუკეთესო ჯიშის ყურძენი: იგი მდებარეობდა საფრანგეთსა და გერმანიის შორის დიდ სავაჭრო გზაზე. შამპანის გრაფი დამოუკიდებელი იყო.

სამხრეთით ჩამოყალიბდა ბურგონის საჰერცოგო, ქვემო ბურგუნდია-ალემანია და 1030 წლამდე დამოუკიდებელი იყო. ზემო ბურგუნდია- თავისუფალი ბურგუნდია- ფრანგული ბურგონი. აქ ყვაოდა მევენახეობა, ღვინო როლანე-წითელი, თეთრი, აქ აღმოცენდა კლუნის მონასტერი.

დასავლეთით მდ. ლუარას გაყოლებით აღმოცენდა რამდენიმე საგრაფო: ანჟუ, მენი, პუატიე, აქვიტანიის საჰერცოგო, გასკონის, ნანტის.

ასევე წარმოიშვა ტულუზის საგრაფო, ოვერნის საგრაფო. იყო 30-მდე სამთავრო. ვასალები საფრანგეთის მეფისგან დამოუკიდებელნი იყვნენ. არსებობდა გამოთქმა: ჩემი ვასალის ვასალი, არ არის ჩემი ვასალი.

საფრანგეთი არ იყო ერთიანი ეკონომიურად. გასკონიის საგრაფო პირენეისთან იყო დაკავშირებული, ტულუზი კი ხმელთაშუა ზღვის ვაჭრობასთან, ნორმანდიის საჰერცოგო ინგლისთან. არ იყო ენობრივი მთლიანობა. ბარსელონაში ცხოვრობდნენ ბასკები, ესპანელები, რომლებიც თავიანთ ენაზე საუბრობდნენ. ერთი ენა არ არსებობდა ჯერ საფრანგეთში. ის მხოლოდ ყალიბდებოდა. იყო ჩრდილო საფრანგეთის და სამხრეთ საფრანგეთის ეროვნებები.

თემა მეშვიდე

საფრანგეთი XII-XIV საუკუნეებში

საფრანგეთი XII საუკუნეში იყო ფეოდალური დაქუცმაცებული სახელმწიფო. ამ დროს ტახტზე ადის ლუი VI, თავისი კომპლექციის გამო მას სქელი შეარქვეს (1108-1137 წწ). მისი ძირითადი დასაყრდენი იყო სამღვდელოება. იგი 27 წლის განმავლობაში იბრძოდა ილ-დე-ფრანსის, ლანის, ორლეანის და სხვა დომენის ავაზაკი, ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ. ამ დროს ინგლისის მეფე იყო ჰენრი I (რომელთანაც ნათესაური კავშირი ჰქონდა). ლუი VI-მ მიაღწია ძირითად მიზანს, შემოიმტკიცა თავისი დომენი. მან თავის შვილს ლუი VII-(1137-1180 წწ)-ს ცოლად შერთო აქვიტანიის ჰერცოგის ასული ალიენორი, რითაც აქვიტანია, პუატიესა და სენტ ონჟის საგრაფოები მზითევის სახით შემოუერთდა საფრანგეთს. 1152 წელს ლუი VII გაეყარა ალიენორას, ხოლო ეს უკანასკნელი მისთხოვდა ანჟუს (დასავლეთ საფრანგეთის ერთ-ერთი ოლქი) გრაფს ანრი პლანტაგენეტს. 1154 წელს ანრი პლანტაგენეტი, ჰენრი II სახელით გახდა ინგლისის მეფე და ამდენად აქვიტანია ხელიდან გამოეცალა საფრანგეთს, ასევე პუატიე, სენტ-ონჟი. ინგლისის მეფეთა სამფლობელოები საფრანგეთის მიწაზე ექვსჯერ აღემატებოდა საფრანგეთის სამეფო დომენს. დაისვა საკითხი, თუ ვის უნდა გადაეწყვიტა საფრანგეთის მიწების გაერთიანება – ფრანგებს თუ ინგლისელებს? შეიქმნა წინააღმდეგობათა კვანძი პლანტაგენეტებსა (ინგლისი) და კაპეტინგებს (საფრანგეთი) შორის, რომელიც უნდა გადაეწყვიტა ომს.

გამწვავდა ბრძოლა, როცა სამეფო ტახტზე ავიდა ფილიპ-ოგიუსტი, ფილიპე II (1180-1223 წწ). მან დაიწყო ბრძოლა ინგლისის მეფის ჯონ უმიწაწყლოს წინააღმდეგ, რომე-

ლიც იყო ყოვლად უნიჭო, ავტორიტეტს მოკლებული პიროვ-ნება და სუსტი მონინააღმდეგე. 1202-1204 წლებში ფილიპე ოგიუსტი აწარმოებს ბრძოლას ნორმანდიის წინააღმდეგ და ამარცხებს საბოლოოდ ინგლისელებს. ამრიგად, ნორმანდია, ანჟუ, პუატიე შემოიერთა საფრანგეთმა. ინგლისელებს კონ-ტინენტზე შერჩათ მხოლოდ გიიენი და გასკონი.

1214 წელს შეიქმნა კოალიცია ფილიპე II–ის წინააღმდეგ შემდეგი შემადგენლობით: ფლანდრიის გრაფის, ლოთარინგი-ის ჰერცოგის და გერმანიის იმპერატორის ოტო IV-ის მონაწი-ლეობით. იმავე წელს ფილიპე II თავს ესხმის მისგან განდგო-მილ ფლანდრიას. ჯონ უმიწაწყლო დაიძრა ფრანგების წინა-ააღმდეგ, მაგრამ ბუვინთან გამართულ გადამწყვეტ ბრძოლა-ში საფრანგეთი იმარჯვებს. ამდენად ფლანდრიაც შემოიმ-ტკიცა ფილიპე II-მ. მისმა ჯვაროსნულმა ლაშქრობამ ალბი-გოელთა წინააღმდეგ მისცა ლანგედოკი. ტულუზის საგრა-ფო, ანუ ლანგედოკი უშუალოდ ხმელთაშუა ზღვასთან მდება-რეობდა და მდინარე გარონათი დაკავშირებული იყო ატლან-ტიკის ოკეანესთან. ლანგედოკი თავისი ქალაქებითა და წამ-ყვანი ვაჭრობით საფრანგეთის სხვა რაიონებთან შედარებით იდგა განვითარების მაღალ საფეხურზე. სწორედ აქ აღმო-ცენდა -ერესი (მწვალებლობა). ეს იდეოლოგია მტრულად იყო განწყობილი ფეოდალურ-კათოლიკური ეკლესიის მიმართ. ერესის მიმდევრებს ლანგედოკში ალბიგოელებს (ფრანგუ-ლად ალბიჟუა) უწოდებდნენ. ეს იყო სამხრეთ საფრანგეთის კათარების ანუ ალბიგოელების მწვალებლობა. მათი მთავარი ეპისკოპოსი იმყოფებოდა საფრანგეთის ქალაქ ალბიში, საი-დანაც წარმოდგება ალბიგოელი. მათ შექმნეს საკუთარი ეკ-ლესია. ჰყავდათ საკუთარი სამღვდელოება, რომელთაც ჰქვი-ოდა სრულყოფილები-ჰერფექტი-კრედენტეს.

ალბიგოელთა აზრით, არსებობს ორი საწყისი: ღმერთი და ეშმაკი.

ღმერთისგან მომდინარეობს წმინდა, ეშმაკისგან –

ცოდვილი, ყველაფერი მატერიალური. ნუგეშის გარეშე არ შეიძლება სულის არსებობა. მოითხოვდნენ პირვანდელი ეკლესიის აღდგენას. უარყოფდნენ საეკლესიო წესებს. მათ მიემხრნენ ფეოდალები. მათი დასაყრდენი იყო ტულუზის გრაფი რაიმუნდ VI, მისმა წინაპარმა რაიმუნდ IV-მ ეკლესიას ჩამოართვა მიწები, ასეთივე სეკულარიზაციას ეწეოდა ლანგედოკის სხვა გრაფები. პაპმა ინოკენტ III-მ სცადა მშვიდობის ქადაგებით მწვალებლობის მობრუნება. მან ლანგედოეკში გაგზავნა ორი ბერი, შეუერთდა ესპანელი ბერი. ქადაგება 10 წელი გაგრძელდა. მწვალებლებს ხალხი თანაუგრძნობდა. პაპს ორი საშუალება ჰქონდა ბრძოლის, სისხლიანი და მშვიდობიანი. ინოკენტ III ორივე მეთოდი გამოიყენა. 10 წელი იქადაგა, შემდეგ მუქარაზე გადავიდნენ, პაპის ლეგატმა მოთხოვა მიწების დაბრუნება. გრაფმა უარი თქვა, მაშინ ის განკვეთეს. შემდეგ ამას მოჰყვა პაპის ლეგატის მკვლელობა. გამოცხადდა ჯვაროსნული ლაშქრობა მწვალებლების წინააღმდეგ. საფრანგეთის მეფემ ფილიპე II-მ უარი თქვა ბელადობაზე, მაგრამ მისი მთავრები მონაწილეობდნენ. ლაშქრობის მეთაური იყო სიმონ დე მონფორი. მათი მიზანი იყო ძარცვა. დაიწყო დაუნდობელი ბრძოლა. მათ შეუერთდა ბერები, მლოცველები. ამ ლაშქრობის მთავარი იდეოლოგი იყო პაპის ლეგატი. მას მიმართეს კითხვით: „ჩვენ შევიპყარით მტერი, მწვალებლები, ისინი აცხადებენ ჩვენ არა ვართ მწვალებლები, როგორ მოვიქცეთ? დაწვით ყველანი და იქ გაარჩევენ ვინ უნდა მოხვდეს სამოთხეშიო."-ასეთი იყო პასუხი.

სიმონ დე მონფორმა დაიპყრო ლანგედოკი, მაგრამ აქ დაიწყო სამხრეთ საფრანგეთის ფეოდალთა ბრძოლა ჩრდილოეთ საფრანგეთის წინააღმდეგ. სამხრეთ საფრანგეთს გამოექომაგა ესპანეთის მეფე პედრო. პედრო მოკლეს. რამდენიმე წლის შემდეგ განახლდა ბრძოლა, რომელიც 20 წელი გაგრძელდა. სიმონ დე მონფორის სიკვდილის შემდეგ (1218 წ) სამხრეთის მიწების დაპყრობისათვის ბრძოლაში ჩაება საფ-

რანგეთის მეფე ლუი VIII (1223-1226 წწ), საბოლოო ჯამში 1224-1226 წლებში მან სამეფოს შემოუერთა ტულუზის საგრაფო, ხოლო აქვიტანია დარჩა პლანტაგენეტებს. ჭეშმარიტი დამწყები საფრანგეთის გაერთიანებისა იყო ფილიპე ოიგუსტი. მის დროს შემოიღეს ბაი და სენეშალი- მეფის დომენის მმართველები. ოლქს, რომელსაც ბაი განაგებდა ეწოდებოდა ბაიაჟი, ხოლო მეორეს სასეშენალო. მათ დიდი როლი შეასრულეს ცენტრალიზაციის საქმეში. ისინი კრებდნენ ლაშქარს, გადასახადს. წელიწადში 3-ჯერ ჩადიოდნენ პარიზში და ჩაჰქონდათ აკრეფილი თანხა. ფილიპე ოიგუსტის შემდეგ მეფობდა ლუი VIII, მან 3 წელი იმეფა. 1226-1270 წწ მეფობს ლუი IX. სანამ ის იყო მცირეწლოვანი, რეგენტი მართავდა. რეგენტი იყო მეფის დედა -ესპანეთის მეფის ასული ბლანკა კასტილიელი. ბლანკა კასტილიელის დროს ხელშეკრულება დაიდო, რითაც ლანგედოკი შეუერთდა საფრანგეთს. მას წმინდა ლუი შეარქვეს, რადგან ეკლესიას მფარველობდა. მას არ უყვარდა ომები, ცდილობდა დიპლომატიის გზით საქმის მოგვარებას. მან ისარგებლა იმ გარემოებით, რომ 50-იან წლებში გამწვავდა ბრძოლა ჰენრი III-სა და ბარონებს შორის. მან შესთავაზა ინგლისის მეფეს ზავი და 1258 წელს დაიდო ხანგრძლივი ზავი, რომლის ძალით ჰენრი III-მ უარი თქვა ყველა იმ მიწებზე, რომელიც ჯონ უმიწაწყლომ დაკარგა.

მისი მეფობის დროს ჩატარდა სასამართლო რეფორმა. ადრე მას განაგებდა ბაი და სენეშალი (მეფის მოხელეები), ეხლა შემოიღო ლეგისტების თანამდებობა, მათ იცოდნენ რომაული სამართალი. ლეგისტებმა გააუქმეს დუელი, შემოიღეს გამოძიება, საქმის ძიება. მათ გააუქმეს„ორდალები": ეს წესი თემური წყობილების გადმონაშთია და იმაში მდგომარეობს, რომ დანაშაულის დადგენისათვის ბრალდებულს გარკვეული დროის განმავლობაში ხელი უნდა მოეკიდა გახურებული რკინისათვის ან მდუღარე წყლიდან ხელით უნდა ამოეღო რაიმე და თუ ხელი დაეწვებოდა, იგი დამნაშავედ ცხადდებოდა. სხვა

შემთხვევაში ბრალდებულს ხელებს გაუკრავდნენ და წყალში ჩააგდებდნენ, თუ იგი ჩაიძირებოდა, ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ როგორც უცოდველი წყალმა (წყალი წმინდათა წმინდად ითვლებოდა) მიიღო და მაშასადამე, არ იყო დამნაშავე. ორდალების სახესხვაობა იყო შემდეგში დუელი, რომელშიც გამარჯვებული მართალ კაცად ითვლებოდა. ღალატი, სისხლის დანაშაული, კაცკვლა, სახლის დაწვა, ყალბი ფულის მოჭრა, არ შეეძლო გაერჩია ფეოდალურ სასამართლოს, ამას განაგებდა ლეგისტები.

ლუი IX ებრძოდა ანარქიას. მან დაადგინა, რომ სამეფო დომენში არ შეიძლებოდა კერძო ომის წარმოება. მეფის 40 დღე იქნა შემოღებული. რას ნიშნავდა ეს? თუ ვინმე დააპირებდა ომს, თავისი მოწინააღმდეგისათვის 40 დღით ადრე უნდა ეცნობებინა ამის შესახებ. მეფეს უნდა მიეცა თანხმობა და ამის შემდეგ შეიძლებოდა ომის დაწყება. მეფის 40 დღეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფეოდალთა ანარქიის ალაგმვისათვის. მეფეს უყვარდა მოსამართლეობა. ის პირადად არჩევდა საქმეებს.

ადმინისტრაციული რეფორმა წააგავს ჰენრი პლანტაგენეტის რეფორმას. მეფე თვითონ ნიშნავდა თავის მრჩევლებს, თანამდებობის პირებს. შემოიღო დიდი საბჭო-GRAND CONSEIL. შეიზღუდა ფეოდალური ანარქია და ხელი შეუწყო ქვეყნის კულტურულ აყვავებას. პარიზში ააგეს შესანიშნავი ნაგებობანი, ეკლესია. მფარველობდა საუნივერსიტეტო განათლებას. მან დაარსა სორბონის უნივერსიტეტი. ლუი IX -მ თავისი პოლიტიკით საერთაშორისო სახელი მოიხვეჭა. ჰენრი III -მ (ინგლისის მეფე) მიმართა ლუის ბარონების შეთქმულების წინააღმდეგ დახმარებისათვის. ის შეგნებულად არ ჩაერია პაპისა და გერმანიის საქმეებში. მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა პაპ ინოკენტ III-თან. ლუი IX-მ სიცილიის სამეფოში ფრანგული დინასტიის დამკვიდრებას ხელი შეუწყო. იგი მეშვიდე და მერვე ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზატორი

იყო. მან 1259 წელს ზავი დადო ინგლისის მეფესთან, რომლის მიხედვით ჰენრი მესამის მფლობელობაში რჩებოდა გიენი და ერთგულების ფიცს აძლევდა საფრანგეთის მეფეს.

მის პოლიტიკას აგრძელებს მისი შვილი ფილიპე III გულადი (1270-1285 წწ). იგი მონაწილეობას ღებულობდა მერვე ჯვაროსნულ ლაშქრობაში. მის მეფობაში რაიმე მნიშვნელოვანი არ მომხდარა. სამაგიეროდ განსხვავებული მეფობა ჰქონდა ლუი IX- ის შვილიშვილს ფილიპე IV ლამაზს (1285-1314 წწ). მემატიანე წერს:"მეფე იყო ყველაზე მშვენიერი გარეგნობის". იგი განაგრძობს სამეფო დომენის გაფართოებას და თავისი ხელისუფლების განმტკიცებას. შეიძინა შამპანის საგრაფო- ევროპის ვაჭრობის გული. შამპანი გადაეცა მას 1284 წელს გრაფის ასულზე ქორწინებრივი კავშირით. შამპანის საგრაფოსთან იყო დაკავშირებული ნავარის სამეფო, რომელიც მდებარეობდა ჩრდ. საფრანგეთსა და კასტილიას შორის. მისი ორიენტაცია იყო საფრანგეთზე. ამიტომაც ნავარის ტახტზე იყო ფრანგი მეფეები. 1307 წელს ქალაქი ლიონი თავისი ოლქით შემოერთებულ იქნა, რომელიც რომის საღმრთო იმპერიის საკუთრებას წარმოადგენდა. ფილიპე IV- მ გადაწყვიტა ფლანდრიის დამორჩილება. სამხრეთით მდებარეობდა ქალაქი ლილი, ჩრდილოეთი ბელგიის საზღვრებში შედის. ქალაქ ლილის ჩრდილოეთით მოსახლეობა ფლამანდრულ, ჰოლანდიის მონათესავე ენაზე საუბრობდნენ. ჩრდილოეთით კი – ფრანგულად. ფლანდრიას გრაფი განაგებდა. ეკონომიკურად ის ინგლისთან იყო დაკავშირებული. ბრიუგეში, გენტში, იპრში, არასში, ლილში და სხვა ქალაქებში განვითარებული იყო შალის, მაუდის მრეწველობა. ესპანური მაღალ ხარისხოვანი მატყლი- მირინოსი და ინგლისური-კოსვოლდის ჯიში იყო ყველაზე განთქმული. ინგლისური მატყლი გამოირჩეოდა სიგრძითა და სითხელით. ინგლისი წარმოადგენდა მატყლის ნედლეულის მთავარ მიმწოდებელს ფლანდრიისათვის. ფლანდრიის ქალაქებმა მოიპოვა დამოუკიდებლობა. კომუნებს სა-

თავეში ედგა პატრიციატი. გრაფი იბრძოდა ქალაქების დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ამიტომ წინააღმდეგობა იყო გრაფსა და პატრიციატს შორის. ქალაქებში დაიწყო ღარიბი ქალაქელების, ხელოსნების ბრძოლა უფლებებისათვის. ამ ბრძოლაში ერევა გრაფი, რათა დაიმორჩილოს ქალაქები. ის დემაგოგიურად უკავშირდება ხელოსნებს. XIII ს-ის 80-იან წლებში შეიკრა კავშირი გრაფი გი დე დამპიერსა და ამქრებს შორის. პატრიციატმა კი მიმართა დახმარებისათვის საფრანგეთის მეფეს ფილიპე IV- ს. გეი დე დამპიერიმ კავშირი ინგლისთან დადო.

1300 წელს ფილიპემ დიდი ჯარი გააგზავნა თავისი ძმის შარლ ვალუას ხელმძღვანელობით. პატრიციები სიხარულით ხვდებოდნენ ფრანგებს, ამიტომაც მოკლე ხანში მოახდინეს ფლანდრიის ოკუპაცია. ფილიპე ლამაზმა ერთი წლის შემდეგ ზეიმით მოიარა ფლანდრია. ფრანგული გარნიზონები ავიწროებდა მოსახლეობას, ასევე პატრიციატიც ავიწროებს მოსახლეობას. იზრდება ეროვნული და სოციალური უკმაყოფილება. 1302 წლის 18 მაისს ქალაქ ბრიუგეში დაიწყო ხელოსანთა აჯანყება მაუდის ოსტატის პეტრ კენედის ხელმძღვანელობით 3 ათასი კაცის მონაწილეობით. აჯანყებას უწოდეს ბრიუგეს ცისკარი, ვინაიდან დილაადრიან დაიწყო აჯანყება, ამოხოცეს ფრანგი მეციხოვნეები. ფილიპე IV-მ გაგზავნა ჯარი მათ დასასჯელად 12 ათასი კაცის შემადგენლობით. 7 ათასი მძიმედ შეიარაღებული ცხენოსანი, ქვეითი ჯარი სუსტი იყო და ქირაობდნენ: გენუელ მეარბალეტეებს, ესპანელ შუბოსნებს. ბრძოლა მოხდა 1302 წლის 11 ივნისს კურტრესთან. დაამარცხეს ფრანგები, 700-მდე დეზი ჩამოჰკიდეს კურტრეს ეკლესიაზე. ამ გამარჯვებამ უზრუნველყო ფლანდრიის დამოუკიდებლობა.

ფილიპე IV-მ შეკრიბა ჯარი, ფლოტი და ხელახლა შეუტია ფლანდრიას. მან ხელში ჩაიგდო ფლანდრიის სამხრეთი ნაწილი. 1305 წელს ფილიპე ლამაზი იძულებული იყო დაედო ზავი

გრაფ რობერთან (გეის შვილი). ხელშეკრულება დაიდო ატიში. ფლანდრიამ მიიღო დამოუკიდებლობა, ხოლო სამხრეთი ნაწილი ქ. ლილით დარჩა საფრანგეთს. კურტრესთან გამარჯვება ეს იყო ხელოსნების გამარჯვება. ერთდროულად ჩრდილოეთ საფრანგეთში დაიწყო გლეხთა აჯანყება. აჯანყება ჩააქრეს. ლუი ნავარელი გახდა ფლანდრიის გრაფი.

ფილიპე IV-ს ესაჭიროებოდა ფულადი სახსრები: სამხედრო ხარჯების დასაფარად, ბიუროკრატიული აპარატის შესანახად, ამიტომ ის ატარებდა ფისკალურ-სახაზინო პოლიტიკას. მან გაზარდა გადასახადები, შემოიღო ჯარიმები, გააყალბა ფული (ლითონის შემცველობა ნაკლებია). აწარმოებდა ებრაელი მევახშეების ქონების კონფისკაციას, რადგან მეფეს ემართა მათგან ბლომად ფული.

პაპი იყო ბონიფაციუს VIII 1294 წ-დან. ის ეკუთვნოდა დიდგვაროვანი ბარონების ოჯახს, ორსინის გვარს. ძლიერი იყო ორი გვარი: ორსინისა და კოლონის. პაპის პოლიტიკა მდგომარეობდა იმაში, რომ განემტკიცებინა ორსინის გვარი. ავიწროებდა კოლონის მომხრეებს. 1300 წლის დამლევს მოეწყო ბონიფაციუსის იუბილე. რომში ჯერ მართავდნენ იუბილეს 50 წლისთავზე, შემდეგ 25 და შემდეგ ყოველ წელს. 1296 წელს პაპმა გამოსცა ბულა, ბრძანება, სადაც ბრალს სდებდა ფილიპე ლამაზს გადასახადებების თვითნებურად დანესებაში, აუკრძალა სასულიერო პირებზე გადასახადებები. ფილიპემ ამის პასუხად აკრძალა ფულის გაგზავნა რომის კარზე. 1301 წელს პაპმა გაუგზავნა ბულა:„მისმინე შვილო.... ღმერთმა ჩვენ სამოციქულო მსახურება დაგვაკისრა, რითაც მეფეებზე და იმპერატორებზე უფრო მაღლა დაგვაყენაო". იგი შეიცავდა მძიმე ბრალდებებს. პაპი ჩაერია საფრანგეთის საშინაო საქმეებში. ფილიპე გამოაცხადა, როგორც ცუდი მმართველი, ცუდი ფულის მომჭრელი, სამღვდელოების მიმართ უპატივცემელი.

ამის პასუხად ფილიპე ლამაზმა 1302 წელს მოიწვია კრება-გენერალური შტატები, რომელმაც მას მხარი დაუჭირა. მეფემ

მოიწვია სამღვდელოების კრებაც, მან გაასამართლა ბონიფაციუსი VIII, გამოაცხადა, რომ ის არ არის ღირსი ატაროს პაპის წოდება. პაპმა გაგზავნა ლეგატი. თავად კი იმყოფებოდა ქ. ანანიში, სადაც უნდა მოეხდინა მეფის განკვეთა. ფილიპე IV-მ გაგზავნა 4 აგენტი მათ შორის ერთი იყო გიიომ ნოგარე- საფრანგეთის კანცლერი. ინკოგნიტო – ფარულად ჩავიდნენ რომში, შეკრიბეს ბონიფაციუს VIII-ის მტრები, კოლონას გვარი. 1303 წლის 20 სექტემბერი იყო, როცა მოულოდნელად თავს დაესხნენ პაპს, მძიმე შეურაცხყოფა მიაყენეს, იგი ფსიქიურად დაავადდა, უკანასკნელი დღეები სიბნელეში იმყოფებოდა და 11 ოქტომბერს სული განუტევა. 1305 წელს საფრანგეთის ქალაქ ლიონში აირჩიეს ფრანგი ეპისკოპოსი ბერნარდ დე მო, რომელმაც კლიმენტ V-ის სახელი მიიღო. 1309 წელს პაპმა ადგილსამყოფელად აირჩია ქალაქი ავინიონი, სადაც დაჰყო 1378 წლამდე. პაპი ფაქტიურად ტყვეობაში იყო, იმყოფებოდა საფრანგეთის სახელმწიფოს გავლენის ქვეშ. მართალია ის იურიდიულად დამოუკიდებელი იყო, მაგრამ მაინც უწოდეს ავინიონის ტყვეობა.

ფილიპე ლამაზს ემართა ტამპლიერთა ორდენის ვალი. 1308 წელს გააუქმა ეს ორდენი, ხოლო მისი მიწები მეფემ მიჰყიდა ჰოსპიტალიერების ორდენს. 1309 წელს ყველა ტამპლიერი კოცონზე დაწვეს, მათი ქონება ხელთ იგდო სამეფო ხაზინამ. 1314 წელს ორდენის მეთაური ჟაკ დე მოლე კოცონზე დაწვეს. გენერალური შტატები იკრიბებოდა ჩრდილოეთ საფრანგეთში და სამხრეთში. სამი წოდება იყო წარმოდგენილი გენერალურ შტატებში: სამღვდელოება, თავადაზნაურობა და ქალაქელები.

პირველი შტატები 1302 წელს 11 აპრილს მოიწვიეს, სადაც დააწესეს ახალი გადასახადი. 1308 წელს მეორედ, ხოლო 1314 წელს მესამედ მოიწვიეს გენერალური შტატები. მას იწვევდნენ გადასახადებების დაწესების გამო.

თემა მერვე

ინგლისი ადრეულ შუა საუკუნეებში (IX-XI სს.)

ინგლისის ისტორია თავისებურია, რადგან მისი მოსახლეობის წინაპრები ცხოვრობდნენ არა ინგლისის, არამედ გერმანიისა და დანიის ტერიტორიაზე. მათ მოსვლამდე ბრიტანეთი დასახლებული იყო იბერიელებით, კელტებით და ბრიტებით.

ინგლისის ისტორია იყოფა ოთხ პერიოდად:

1. 43 წლამდე – იბერულ-კელტური პერიოდი
2. 43-407 წლამდე – რომაული პერიოდი
3. 407-449 წლამდე – კელტური აღორძინების ხანა
4. 449 -VIII ს-მდე – ანგლო-საქსური პერიოდი.

თანამედროვე მეცნიერების საფუძველზე კელტები არ ყოფილა ბრიტანეთის პირველი მოსახლეები. ინგლისელი მკვლევარის ა. მორტონის მიხედვით ("ინგლისელი ხალხის ისტორია") პირველი კულტურული ფენა ინგლისისა იყო იბერიელები.

არსებობს ორი ჰიპოთეზა:

1. ქართველებს და ესპანელ იბერიელებს არავითარი საერთო არ აქვთ.

2. იბერიელები ესპანეთში მისული არიან საქართველოდან.

ბელრიხ ხროზნეს მიხედვით, მათი პირველი საცხოვრისი იყო სამხრეთში ვანისა და ურვის ტბის მიდამოებში. მოთხრობითი ბრუნვა ურარტუელებს და ქართველებს აქვთ. ასევე, ივანე ჯავახიშვილის აზრით, პირველი საცხოვრისი ქართველებისა იყო სამხრეთში.

ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელის„ცხოვრება იოანისა და ექვთიმესი'' გადმოცემულია, რომ ათონის მთაზე ცხოვრობდნენ იოანე და ექვთიმე.„იოანე ბერძნებმა გააბრაზეს

და წაიყვანა ექვთიმე ესპანეთში რამეთუ სმენოდა, რომ იქ ქართველები ცხოვრობდნენ", რომ ქართველების ნაშთები იყვნენ ბასკები. იბერიელები დასავლეთ და ჩრდილოეთ ინგლისში დასახლებულან. კელტები ორი ჯგუფის იყვნენ:

1. გალიაში მცხოვრები კელტები

2. ინგლისის ტერიტორიაზე მცხოვრები კელტები,თუმცა გადმოსულები გალიიდან.

ძვ. წ. აღ-ით 1000 წლიდან იწყება სხვადასხვა ტომის შემოჭრა ბრიტანეთში, კერძოდ კელტების პირველი ტალღის. კელტები დასახლებულან გერმანიის ოლქში. ბავარია, ჩეხეთი –ბოჰემია (ბოია სამშობლო, ჰაია სახლი). 700 წელს გაელი კელტები შეიჭრნენ ბრიტანეთში, დაიკავეს ჩრდ. და დასავლეთი ნაწილი და მოხდა იბერიელებთან ასიმილაცია. 200 წ. შემდეგ ჩვ.წ. აღ-ით 500 წელს მეორე ტალღა შემოიჭრა კელტების–ბრიტები და დაერქვა ბრიტების ქვეყანა. ბრიტები საბრძოლო და სამუშაო იარაღს რკინისაგან ამზადებდნენ, ხოლო გაელები კი ბრინჯაოსაგან.

ბრიტების შესახებ წერილობითი ცნობები მოგვცა ცეზარმა „კომენტარები გალიის ომის შესახებ"შვიდ წიგნად. ცეზარმა გადაწყვიტა ლაშქრობა ბრიტანეთზე. ძვ.წ. აღ-ით 55 წელს გაიგზავნა პირველი ექსპედიცია სამხრეთ ბრიტანეთში. ეს იყო დაზვერვითი ლაშქრობა. მან წაიყვანა ორი ლეგიონი,10 ათასი კაცი, დაქირავებული გერმანელები. ლეგიონში 5 ათასი კაცი შედიოდა. სამხრეთ ბრიტანეთს განაგებდა კასილენაონი. აქ იყო ქალაქები: კამულოტონი (კოლჩესტერი), დოლოვერნი-ბელოვერნი (კენტენბერი). ცეზარმა კასილენაონი დაამარცხა, მან მეორედ ილაშქრა ბრიტანეთში, ეს მოხდა 54 წელს, ამჯერად მისი ლაშქარი ორჯერ მეტი იყო და წარმატებასაც მიაღწია, თუმცა ბრიტების დაპყრობა მთლიანად ვერ შეძლო. ამ დროს გალიაში დიდი აჯანყება მზადდებოდა და ცეზარი დაბრუნდა რომში. ბრიტებს ხარკი

დააკისრა. 8 კვირა ზეიმი იყო რომში იმის გამო, რომ რომაელებმა ფეხი დადგეს ბრიტანეთის მიწაზე.

ბრიტანეთის ნამდვილი დაპყრობა იწყება ცეზარის ლაშქრობიდან 90 წლის შემდეგ, 43 წ. ახალი წ. აღ-ით კლავდიუსის დროს. იულიუს აგრიკოლა მართავდა ბრიტანეთს რამოდენიმე ხანს. ტაციტუსმა დაწერა მისი სიმამრის აგრიკოლას ისტორია.

რომაელებმა შექმნეს ახალშენები. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიიღო მდ. ტემზას ნაპირზე ქ. ლონდონმა, რომელიც ეკონომიკურ ცენტრად იქცა. აშენდა გზატკეცილები, ხიდები. ბრიტანეთის ზედა ფენამ განიცადა რომანიზაცია. ხალხმა შეინარჩუნა ენა.

V საუკუნიდან რომაელებს გაუჭირდა ვესტგოთების ბელადის ალარიხის შეკავება. 407 წელს რომაელმა მთავარსარდალმა სტილიხონმა ყველა ლეგიონი გამოიყვანა ბრიტანეთიდან. 449 წლამდე მშვიდობიანი გზით მიიღეს თავისუფლება და აღმოიფხვრა რომაული კულტურის ელემენტები ბრიტანეთში.

449 წლიდან ჩრდილოეთიდან ესხმიან კალედონელები (შოტლანდიელები), ანგლები, იუტები და საქსები (ჩრდ. გერმანია). ქრისტიანობა კუნძულ ირლანდიიდან იწყება და ვრცელდება. ირლანდიელი ბერი პატრიკუსი (389-461წწ) ქადაგებდა ქრისტიანობას ბრიტებში.

ბრიტების მეფე ვორტიგერს (VORTIGER) 449 წელს მიუმართავს საქსებისთვის დახმარებაზე. ისინი კუნძულ თანეთზე გადავიდნენ და შევიდნენ როგორც მოკავშირეები. ბრიტები წინააღმდეგობას უწევდნენ დამპყრობლებს. პატარ-პატარა ნავებით, ხომალდებით გადაჰყავდათ ჯარები. დაპყრობებმა გასტანა მთელ საუკუნეს. ბოლოს ერთიანი სახელმწიფო ვერ შეიქმნა. არსებობს ჰიპოთეზა, რომ ბრიტანეთში 40-მდე სახელმწიფო იყო. VI ს. დამლევს და VII ს. დასაწყისში წარმოიშვა 7 სამეფო- „ჰეპტარქია“.

1. კენტის სამეფო (იუტებმა დააარსეს)

2. ესექსი -აღმ. საქსონია (საქსებმა დააარსეს)

3. სასექსი, სუსექსი-სამხრ. საქსონია (საქსებმა დააარსეს)

4. უესექსი-დას. საქსონია (საქსებმა დააარსეს)

5. აღმოსავლეთ ინგლისი ისტ-ინგლენდ (ანგლებმა დაა-არსეს)

6. მერსია (ანგლებმა დააარსეს)

7. ნორტუმბრია (ანგლებმა დააარსეს)

სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა სამეფო იყო ჰეგემონი.

VI-VII სს. მიჯნაზე ჰეგემონი იყო კენტი, VII ს-ის მეორე მეოთხედში – ნორტუმბრია. VIII-ში მერსიის, IX- ს დამდეგს უესექსი.

ქრისტიანული რელიგიის გავრცელება ანგლო-საქსებში იწყება VI ს-დან. გრიგოლ I-ის დროს, 590-604 წლებში ხდება ქრისტიანობის დამკვიდრება. გაიგზავნა 40 ბერი ავგუსტი-ნის ხელმძღვანელობით. მათ ფრანკების დედოფალი ბრუნ-ჰილდა დაეხმარა, მისცა თარჯიმნები და წერილი გააგზავნა კენტის დედოფალ ბერტასთან, მეფე ეთელბერტის მეუღ-ლესთან. მდინარე ტემზა, სადაც ზღვას ერთვის, იქედან ქრისტიანები გადავიდნენ კუნძულ თენექსზე. 597 წელს ეთელბერტმა მიიღო მისიონერები და უბოძა ხის ეკლესია, რომელიც მოქმედებდა ანგლო-საქსების დაპყრობამდე. დო-ლოვერნში (კენტერბერში) დაარსდა საეპისკოპოსო და საერ-ქიეპისკოპოსო. პაპი წერს ნუ დაანგრევ ძველ ეკლესიას, შე-მოიღე ახალი წესები. მეფე ედვინის დროს ქრისტიანობა ნორტუმბრიაში ვრცელდება. VII საუკუნეში ქრისტიანობამ გაიმარჯვა მთელს ბრიტანეთში. პაპი გრიგოლ I (დიდი) მოქ-ნილ პოლიტიკას ატარებდა. ავგუსტინისადმი მიწერილ წე-რილებში უბრძანებს, ხელი არ ახლონ წარმართულ წესებს ე.ი ხდება შეგუება.

საზოგადოებრივი წყობილება

არსებობს სხვადასხვა წყარო:

1. ნარატიული ძეგლი – მატიანე, რომელიც ეკუთვნის ბედა პატივცემულს, მან დაწერა 700 წელს მატიანე„ინგლისელი ხალხის საეკლესიო ისტორია", იგი 36 ნაშრომს ითვლიდა.

2. ბარბაროსული სამართალი, ძველი ადათები ჩაწერილი მეფის მიერ. პირველი სამართალი ჩაიწერა კენტში, სადაც გავრცელდა ქრისტიანობა 600 წელს მეფე ეთელბერგის ბრძანებით. შემდეგ ჩაიწერა მერსიის, უესექსის სამართალი.

3. მეფეების მიერ გამოცემული კანონები.

4. თქმულებები. მაგალითად თქმულება ბეოვულფზე. ბეოვულფი იყო გეატების შთამომავალი, სკანდინავიის ნახევარკუნძულზე ნახევარი საუკუნე იყო ბელადი. აღწერილია როგორ ებრძვის დრაკონს, აქ ასახულია ურთიერთობანი, კერძოდ, VI-VII სს-ის ამბებია გადმოცემული.

ბრიტანეთში იყო სათემო წყობილება. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიკოსი სიბომი ამტკიცებს, რომ თემი არის ბატონყმური, რომელიც განაგრძობდა არსებობას ანგლოსაქსონურ პერიოდში. ეს თეორია მიიღო დოპშმა. ბრიტანეთის დაპყრობამდე კონტინენტზე მაცხოვრებლებმა განიცადეს რომანიზაცია. ნახტომებს, რევოლუციურ გარდაქმნებს არ აქვს ადგილი. მოხდა მშვიდობიანი შერწყმა გერმანული და ინგლისური კულტურისა.

ვინოგრადოვმა დაწერა:„ინგლისის სასოფლო თემი". მან მრავალი ფაქტებით დაამტკიცა, რომ სიბომის კონცეფცია არ არის სწორი. რომაული ელემენტები რომის ხანაში ბრიტანეთში სუსტი იყო. ანგლო-საქსებს და იუტებს არ განუცდიათ რომაული გავლენა. მათ გაანადგურეს თუ რაიმე დარჩა რომაული კულტურისა. ნეუსიხინის აზრით, სამეზობლო თემს უსწრებდა სამინათმოქმედო თემი. კარგა ხანს არსე-

ბობდა თავისუფალი თემი. კელტური ეთნიკური ელემენტი გაანადგურეს. ლონდონი კელტური წარმოშობისაა და შეინარჩუნა სახელწოდება. სხვა ქალაქებმა მაგალითად ლინდმა (ლინკოლნი), დოლოვერნმა (კენტერბერი), კამულოტონმა (კოლჩესტერი) სახელები შეიცვალა.

ნიუსიხინის აზრით, საგვარეული თემი მარკაში უცებ არ გადადის, არის:

1. საგვარეულო
2. სამინათმოქმედო
3. სამეზობლო თემი – მარკა
4. ბატონყმურ თემი.

ძირითადი ფენა იყო თავისუფალი ხალხი – კერლები (CEORL), ვერგელდი 200 შილინგი იყო. იგივე ფრანკების სოლიდი. მას ჰქონდა ერთი ჰაიტი, რაც 48 ჰექტარს შეადგენდა ან ნაკლებს და 4 უღელი ხარი.

ერლი (EORL) – საგვარეულო არისტოკრატიის წარმომადგენლები. მისი ვერგელდი 600 შილინგი იყო. ერლი მოგვიანებით ინგლისში ფეოდალიზმის დროს გრაფს ნიშნავდა.

ლიტის (LEAT) ვერგელდი – 40-80 შილინგს შეადგენდა. ეს იყო ყმა, დამონებული მოსახლეობა.

THEOW – ეს ფენა პირუტყვთან იყო შედარებული. მისი ვერგელდი პირუტყვის ფასს შეადგენდა.

სათემო წყობილება დიდ როლს ასრულებდა ანგლო-საქსებთან. რამდენიმე საფეხური არსებობდა. ყველაზე დაბალი საფეხური იყო ტუნ-სასოფლო თემი, რომელიც აერთიანებდა ამ სოფელში მცხოვრებ მოსახლეობას. იკრიბებოდა კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა TUNGEREFA. არ იყო ზუსტად დადგენილი კრების მოწვევა. ტუნი წყვეტდა სოფლის ცხოვრების საკითხებს, მორწყვის, სასამართლო საქმეებს, წვრილ-წვრილ დანაშაულებს. თვეში ერთხელ იყო მალუსები. ყოველ კვირას ინვევდნენ ასეულის კრებას. ის რამ-

დენიმე ტუნს აერთიანებდა. მას მეთაურობდა HUNDRED MAN. HUNDRED MOT–ზე ირჩეოდა სოფლის მეურნეობის დავის საკითხები. სასამართლოს განაგებდა 12 კაცი. ფოლ-კლედი- მიწა ითვლებოდა სახალხოდ. არ შეიძლებოდა მისი გაყიდვა, გაჩუქება, მისი გადაცემა ხდებოდა ასეულის კრებებზე. ასეულის კრებას ესწრებოდა თავდაპირველად მთელი მოსახლეობა, ხოლო შემდეგ შემოიღეს წარმომადგენლობა. TUNGEREFA მოხელე, სოფლის მღვდელი. რამდენიმე ასული იყო შაირი SHIRE. მას საგრაფოსთან არაფერი საერთო არ ჰქონდა. წელიწადში ორჯერ იკრიბებოდა შაირის კრება. შაირს სათავეში ედგა ელდორმენი- EALDORMAN. შაირები იყო ყოფილი სამეფოები. ესექსი და კენტი იყო სამეფოები და შემდეგ იქცა შაირად. ინგლისი თავდაპირველად შედგებოდა 40 სამეფოსაგან, რადგან 40 შაირი იყო.

იხდიდნენ სახელმწიფო გადასახადს, ე. წ. ფირმას. ის არ იყო დიდი. იზრდებოდა მაშინ, როცა მეფე მოგზაურობდა. მეფეს უხდიდნენ ბაჟებს, ჯარიმების გარკვეულ ნაწილს. ერთ-ერთი ვალდებულება იყო თავისი იარაღით სალაშქროდ წასვლა. შემდეგ ხიდების შეკეთება, მონაწილეობის მიღება ციხეების აგებაში.

ინგლისის მეფეს ჰყავდა თავისი რაზმი. ანგლო-საქსების რაზმებს ტენები ეწოდებოდა. VII ს-ის დამლევს მეფის ტენის სისხლი 1200 შილინგი იყო, 6-ჯერ მეტი კერლის სისხლზე და 2-ჯერ აღემატებოდა ერლის სისხლს. უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა ე. წ. ბრძენთა საბჭო - უიტენაგენოტი- უიტენ ბრძენი, გენოტი-საბჭო. მის შემადგენლობას, თავისი დაახლოებული პირებისაგან მეფე ადგენდა. მათი რიცხვი არ იყო განსაზღვრული. ეს იყო სათათბირო ორგანო, რომელიც წყვეტდა ომის, ზავის, დიპლომატიური ურთიერთობის საკითხებს. ტახტის მემკვიდრეს უიტენაგენოტი ამტკიცებდა. უკიდურეს შემთხვევაში მეფეს შეეძლო გადაეყენებინა. სოკა ნიშნავს იმუნიტეტს, შეუვალობას. თავისუფალი კაცი, რომე-

ლიც სოკას ტერიტორიაზე ცხოვრობდა სოკმენად იწოდებოდა. სანამ ის სოკას ტერიტორიაზე ცხოვრობდა ადგილობრივი სენიორის, ლორდის ძალაუფლებას ექვემდებარებოდა.

მეფის ხელისუფლება, ეკლესია ხელს უწყობდა ფეოდალური ურთიერთობის დამკვიდრებას. შემოიღეს ე. წ. ფოკლენდი. ფოკ ნიშნავს სიგელს, ლენდ კი მიწას. მიწის სიგელს საერო და სასულიერო დიდკაცებს აძლევდა მეფე. ფოკლენდი არ იყო მარტო კერძო საკუთრების მიწა. ფოკლენდის მიწა მეფის კუთვნილება იყო. აქ შეერთებული იყო სოკას უფლებებიც.

პოლიტიკური ვითარება

VIII ს-დან ინგლისის ისტორიაში იწყება ე. წ. დანიური პერიოდი. ანგლო-საქსების მატიანეში დანიელების შემოსევა პირველად ფიქსირებულია 793 წლის 18 ივნისს. ბრიტანეთი სამი საუკუნე განიცდიდა დანიელებისა და ნორვეგიელების ვიკინგების შემოსევებს. მდგომარეობა გაუარესდა ნორთუმბრიის მმართველის ეთელრედ I-ის (858-871 წწ) დროს. ჩრდილოეთით ნორთუმბრიაში 866 წელს იყო ძლიერი შემოსევა. ინგლისელები დამარცხდნენ. დანიელებმა დაიპყრეს ნორთუმბრია, გადავიდნენ მერსიაში და აფართოებენ თავიანთ სამფლობელოებს. მათ მთელი ინგლისი დაიმორჩილეს. სამეფო ტახტზე ავიდა ეთელრედ I-ის ძმა ალფრედი (871-901 წწ). იგი ტახტზე ავიდა ძალიან ახალგაზრდა 21 წლის. მისი სამეფო იჯახი ტყეში იმალებოდა. ის გამოირჩეოდა თავისი ხასიათის სიმტკიცით. 866 წლის ბრძოლაში ძმასთან ერთად მან აქტიური მონაწილეობა მიიღო. 872 წელს ალფრედიმ ზავი დადო დანიელებთან. ის ყოველ წელს უხდიდა მათ ხარკს. მან ეს პერიოდი გამოიყენა სამხედრო მომზადებისათვის. მან განახორციელა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი. ინგლისს არ გააჩნდა ძლიერი საზღვაო ფლოტი. 876 წლიდან დაიწყო დიდი

სამხედრო ხომალდების მშენებლობა. მათ 100-მდე ხომალდი ააგეს. გაწვრთნეს მეძღვაურები. ასევე არ ჰყავდათ ცხენოსანი ჯარი. სწორედ ალფრედის სახელთან არის დაკავშირებული ქვეითი ჯარის შემოღება. მან გამოსცა კანონი, რომლის მიხედვით სალაშქროდ წასვლის უფლება ჰქონდა იმას, ვისაც 5 ჰაიტი მიწა ჰქონდა. ამით იზრდებოდა რაინდების რიცხვი. უფრო ადრე, ფრანკთა მეფის კარლოს დიდის დროს 808 წელს გამოიცა კაპიტულარი, რომლის მიხედვით სალაშქროდ მიდიოდა 4 მანსის მიწის მქონე, რაც ჩამოგავდა ალფრედ დიდის მიერ გატარებულ ღონისძიებას.

878 წელს ამოიწურა ზავის ვადა. ცენტრალურ ინგლისში უოლშირში მოხდა დიდი ბრძოლა ედინგტონთან, სადაც ახალმა არმიამ დანიელების წინააღმდეგ პირველად გაიმარჯვა და დანიელების მეფე გუტრუმი დამარცხდა. უოლშირში დაიდო ზავი, რითაც გაიყვეს ინგლისი. დანიელებს დარჩა: ჩრდილო-აღმოსავლეთი ინგლისი- ნორთუმბრია, ისტლანდია, მერსიის ჩრდილო აღმოსავლეთი ნაწილი, ესექსი ქალაქ ლონდონით. საზღვარი მდინარე ტემზაზე გადიოდა. ალფრედს გადაეცა: უესექსი, სუსექსი, კენტი, სამხრეთ-დასავლეთი მერსია.

ამდენად, წარმოიშვა ორი სამეფო: უესექსის და დანლოუს (DANLOW) ანუ დანიური სამართლის სახელმწიფო. მტერთან ბრძოლამ განამტკიცა უესექსის მეფის ხელისუფლება. ჩატარდა სამხედრო რეფორმა. დანიელებმა გავლენა მოახდინეს ინგლისელებზე, გადმოიღეს დანიური ნაჯახი, როგორც საბრძოლო იარაღი. ფეოდალიზაციის პროცესი დაჩქარდა უესექსში. დანლოუს ოლქში თავისუფლება უფრო ძლიერი იყო ვიდრე უესექსში.

886 წელს გუთრუმმა (დანიელების მეფემ) დაარღვია ხელშეკრულება და შეიჭრა უესექსში. ალფრედმა გადაწყვიტა წაერთმია მიწები დანიელებისათვის. ბრძოლა გაგრძელდა ეთელსტან ოქროს კულულებიანის მეფობაში(901-959 წწ).

X ს-ის მე-3 მეოთხედში მთელი დანელო შეიერთა. მეფე ედგარის დროს (959-975 წწ) გამოქვეყნდა კანონი, რითაც ანგლო- საქსები და დანიელები გაუთანაბრდნენ ერთმანეთს. ეს იყო ანგლო- საქსონური სახელმწიფოს არამყარი გაერთიანება.

ალფრედ დიდი აშენებდა ქალაქებს, სოფლებს და ხელს უწყობდა ვაჭრობის, ზღვაოსნობის განვითარებას. ასევე განახორციელა კულტურული ღონისძიებანი. კონტინენტიდან განათლებული ადამიანები მოიწვია და დაარსა ახალი სკოლები. საფუძველი ჩაუყარა მთარგმნელობით საქმიანობას. თარგმნიდნენ ლათინურიდან ინგლისურზე. თარგმნიდნენ სხვადასხვა დოკუმენტებს. გადათარგმნეს გრიგოლ პირველის, ბოეციუსის წერილები, ბედა ლათინურიდან გადაითარგმნა ინგლისურად.

ასევე ის გამოირჩეოდა სამართლებრივი საქმიანობით. მან შეკრიბა ანგლო-საქსონური სამართალი: კენტის, მერსიის, უესექსის. გამოაქვეყნა სისტემატური კრებულები ე. წ. კოდექსები.

X საუკუნიდან დაიწყო დანიელების გაძლიერებული ტალღის შემოჭრა. ამ დროს დანიის მეფე იყო სვენი (991-1014 წწ). ინგლისში კი გამეფდა ეთელრედ II (978-1016 წწ). სვენი ცდილობდა ინგლისის ხელმეორე დაპყრობას. ეთელრედი წარუმატებლობას განიცდის. იმისათვის, რომ ჰქონოდა გამაგრებული ზურგი ეთელრედი დაუკავშირდა ნორმანდიის ჰერცოგს რიჩარდ II კეთილს (996-1026 წწ). რიჩარდის და ემა მისთხოვდა ეთელრედ II-ს, რომელთაც შეეძინათ ედუარდი (ედუარდ აღმსარებელი). სვენმა დააწესა ხარკი, ვერცხლის ფული DANELE GELT დანელების ფული. მის მეფობაში შვიდჯერ შეიკრიბა დანეგელდი, რაც შეადგენდა 158 გირვანქა სტერლინგს. აქ სასაქონლო ფულადი ურთიერთობა მნიშვნელოვნად იყო განვითარებული.

დანიის მეფის ხელისუფლება გაძლიერდა სვენის მემკვიდრის კნუდის (1017-1035 წწ) დროს. კნუდმა მიიღო ქრისტიანობა. მან ძალაში დატოვა მეფე ედგარის კანონმდებლობა. ანგლოსაქსების და დანიელების ასიმილაცია გრძელდება კნუდის დროს. მან ინგლისი ოთხ ადმინისტრაციულ ერთეულად (საოლდერმენოდ) დაჰყო: უესექსი (სამხრეთი ინგლისი), ისტლანდიის, მერსიის, ნორთუმბრიის. ეს იყო საოლდერმენოები.

კნუდმა გაატარა სამხედრო რეფორმა. მან შექმნა მეფის გვარდია სანდო პირებისაგან. საბრძოლო იარაღი იყო ჩუგლუგი HOUSEAR. უესექსის უკანასკნელი წარმომადგენელი იზრდებოდა ნორმანდიაში. კნუდის გარდაცვალების შემდეგ იყო ჰაროლდი. 1042 წლიდან აღარ დარჩა დანიური დინასტიის წარმომადგენელი, ამიტომ მოიწვიეს ნორმანდიიდან ედუარდი, რომელმაც თან ჩამოიყვანა თავისი ხალხი და დაურიგა მიწები. ასევე დაურიგა მათ საერო და საეკლესიო თანამდებობები. დაიწყო ორი პარტიის დაპირისპირება. ერთში შედიოდა ნორმანდიული დიდკაცობა- მეფე ედუარდი, ხოლო მეორეში ინგლისელი ლორდები, უესექსის ელდორმენის გოდვინის მეთაურობით. მეფე ედუარდ „აღმსარებელი" (1042-1066 წწ) იყო უნებისყოფო და ემორჩილებოდა ეკლესიას. ის წააგავდა კარლოს დიდის შვილს ლუდოვიკო ღვთისმოსავს. მან ცოლად შეირთო გოდვინის ქალიშვილი. ჩამოვარდა უკმაყოფილება მეფესა და გოდვინს შორის, რაც გამოწვეული იყო ნორმანდიელთა საქციელით. 1051 წელს გოდვინი შერისხეს და გაიქცა ფლანდრიაში. გოდვინი ფლოტით გამოცხადდა ინგლისში და აიღო ძალაუფლება. ედუარდ აღმსარებელი აიძულეს, რომ ნორმანდიელები გაესტუმრებინა საფრანგეთში. ისინი შურისძიების მუქარით წავიდნენ.

1053 წელს გოდვინი გარდაიცვალა. ნორტუმბრიის ოლდერმენი გახდა ჰაროლდის ძმა. ხოლო უესექსის ელდორმენი

ჰაროლდი. 1066 წლის 6 იანვარს ედუარდ აღმსარებელი გარდაიცვალა. მეფედ გამოაცხადეს გოდვინის ძე ჰაროლდი. სამეფო ტახტზე პრეტენზიას აცხადებს ნორმანდიის ჰერცოგი გიიომი მისი პაპა იყო რიჩარდ II (996-1026 წწ), რომლის ვაჟს რობერტ II (1028-1035 წწ) შეუყვარდა უბრალო წარმოშობის ქალი და შეირთო ცოლად 1027 წელს. სწორედ მათი შვილი იყო გიიომი, რომელსაც გიიომ ბუში, გიიომ უკანონო უწოდეს. ის იყო ბუმბერაზული აღნაგობის, კარგი მებრძოლი, გულადი, ამავე დროს ფიცხი, შურისმაძიებელი. როცა ჰერცოგი განრისხებული იყო მაშინ დუმდა. ბრძოლაში ქუხილივით გაისმოდა მისი ხმა. მოგვიანებით მას უილიამ დამპყრობელი უწოდეს. გიიომი აცხადებს პრეტენზიას ინგლისის სამეფო ტახტზე.

გიიომმა მიმართა რომის პაპს ალექსანდრე II-ს. არქიდიაკონმა გროგოლ ჰილდებრანდმა პაპს ურჩია მხარი დაეჭირა გიიომისათვის. პაპმა ჰაროლდი უზურპატორად (პირი, რომელმაც უკანონოდ ჩაიგდო ხელში ძალაუფლება) გამოაცხადა. მეფედ აკურთხეს გიიომი. გადასცეს მას დროშა და ბეჭედი, რომელშიც ჩაყოლებული იყო ერთი ღერი თმა წმინდა პეტრესი.

ჩრდილოეთში ამ დროს ჰაროლდს აუჯანყდა ძმა ტოსტიგი. ჰაროლდმა მთავარ საშიშროებად ჩათვალა ჩრდილეთი,აქ დაუშვა შეცდომა და ძმის წინააღმდეგ ილაშქრა, ამით ისარგებლა გიიომმა და თავისი ჯარი გადასხა ინგლისში. ჰაროლდი დაღლილი ჯარით გაეშურა ახალი მტრის წინააღმდეგ. 1066 წლის 14 ოქტომბერს ბრძოლა მოხდა სენლაკის მაღლობზე ჰასტინგთან. აქ ორჯერ დაახევინეს მტერს, მაგრამ გიიომმა იხმარა სკვითების ტაქტიკა, ჯერ მიიტანა იერიში ცხენოსნებით და უკან დაიხია, რომ მოწინააღმდეგეს თავისი ადგილი დაეტოვებინა. ჰაროლდი ჩამოიტყუა მაღალი ადგილებიდან ვაკეზე და აქ დაამარცხეს იგი, ჰაროლდი მოკლეს. ჰასტინგთან ნორმანდიელებმა გამარჯვება მოიპოვეს.

ამდენად, ინგლისის ერთიანი სამეფოს მეფე გახდა ნორმანდიელი უილიამ დამპყრობელი (1066-1087 წწ), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ნორმანდიულ დინასტიას.



თემა მეცხრე

გერმანია, იტალია და პაპობა IX-XI საუკუნეებში

გერმანიაში იყო ოთხი ტომობრივი საჰერცოგო:

1. საქსონია–ჩრდილოეთით (საქსებით დასახლებული).

2. ფრანკონია საქსონიის სამხრეთით მდ. რაინის და მაინის მიდამოებში.

3. შვაბია (ალემანების) შვაბიის ტომით დასახლებული.

4. ბავარია–სამხ. აღმოსავლეთით, შუა დუნაიზე და მის შენაკადებზე.

ჰერცოგები მიისწრაფოდნენ დამოუკიდებლობისკენ. პირველი მეფე იყო ლუდვიგ გერმანელი (ლუდოვიკო ღვთისმოსავის ვაჟი) 840 წლიდან, მამამისის ლუდოვიკო ღვთისმოსავის სიკვდილის შემდეგ, იურიდიულად გერმანიის დამოუ-

კიდებლობა 843 წლიდან ითვლება,როცა გერმანიის მეფედ გამოცხადდა ლუდვიგ გერმანელი (840-876 წწ).

ერი ყალიბდება ეროვნების საფუძველზე, ეროვნება ხალხის საფუძველზე, ხალხი ტომის საფუძველზე. გერმანულ ერზე საუბარი იმ დროს არ შეიძლებოდა.

ლუდვიგ გერმანელს უხდებოდა ბრძოლა ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ. აგრეთვე იბრძოდა გარეშე მტრების, ჩრდილოეთიდან ნორმანების წინააღმდეგ. აღმოსავლეთიდან ებრძოდა სლავების ტომებს, რომელთაც გერმანიის აღმოსავლეთ საზღვარზე შექმნეს ე.წ დიდი მორავიის სახელმწიფო. იგი გაფართოვდა IX საუკუნის 40-იანი წლებიდან მისი მთავრის როსტისლავის დროს. მაშინ სლავებმა მიიღეს ქრისტიანობა კირილესა და მეთოდეს ქადაგების წყალობით და ჩაისახა სლავური ეკლესია. ლუდვიგ გერმანელმა ისარგებლა შუღლით, როსტისლავსა და თავადებს შორის და 870 წელს როსტისლავი შეიპყრო და დასვა მისი ძმა სვეტაპოლკი. ეს უკანასკნელიც გერმანელებმა მალე დააპატიმრეს. სვეტაპოლკი კი გადავიდა მეამბოხეების მხარეზე და მორავიამ კვლავ დამოუკიდებლობა მოიპოვა.

876 წელს გარდაიცვალა ლუდვიგ გერმანელი და ძმებს შორის დაიწყო შინაომები. ბოლოს კარლ სქელი დარჩა ცოცხალი. მან გააერთიანა გერმანია 880 წელს. ის ცნეს მეფედ იტალიაშიც, ხოლო 885 წელს საფრანგეთშიც. მცირე ხანს აღსდგა კაროლინგების იმპერიის ძლიერება. (მასში შედიოდა საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ბურგუნდია). 888 წელს მეფედ სცნეს კარლომანი, რომელიც მეფობდა 899 წლამდე. მას უხდებოდა ბრძოლა შინა და გარე მტრების წინააღმდეგ. მას დარჩა 6 წლის ლუდვიგ ყრმა (899-911 წწ). ეს სახელი მას სიკვდილამდე დარჩა. მის დროს გერმანიამ განიცადა ახალი შემოსევები. 907 წელს გამოჩდნენ მადიარები, რომლებიც აოხრებდნენ გერმანიას, ვინაიდან სარგებლობდნენ გერმანიის შიდა სისუსტით. გერმანიაში არ იყო ცხენოსანთა ჯარი,

გერმანიაში არ იყო გამაგრებული ქალაქები, რომელიც იქნებოდა დასაყრდენი მტრის მოსაგერიებლად.

911 წელს ლუდვიგ ყრმა გარდაიცვალა. ჰერცოგებმა მეფედ სცნეს ფრანკონიის ჰერცოგი კონრად I. ტახტზე ავიდა ფრანკონული დინასტია. მისი მეფობა იყო ხანმოკლე (911-919 წწ). კონრად I-ის მიზანი იყო ბრძოლა გარეშე და შინა მტრების წინააღმდეგ. ძლიერი იყო საქსონიის ჰერცოგი ჰაინრიხი, რომელსაც საქსონიის გარდა ეპყრა ტიურინგიის ოლქი. 919 წლის გაზაფხულზე გარდაიცვალა კონდრად I. თავის ძმას ეგინჰარდს დაუბარა სიკვდილის წინ მეფის ტიტული შეეთავაზებინა ჰაინრიხისათვის. ფრანკონელები ეგინჰარდის მეთაურობით მივიდნენ ჰაინრიხთან, მიართვეს სამეფო გვირგვინი, მანტია (მოსასხამი), და შუბი. 919 წლის მაისში აირჩიეს ჰაინრიხ I და მართვდა გერმანიას 936 წლამდე. მას ზედმეტ სახელად შეარქვეს ფოგლერი-ფრინველთმჭერელი. მის მიერ დაარსებულმა საქსონურმა დინასტიამ გასტანა 1024 წლამდე.

919 წელს მან შვაბია დაიმორჩილა. 921 წელს კი ბავარია. ის იყო ბრგე ვაჟკაცი, აუღელვებელი. მისი სახე აისახა ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში და ზღაპრებში. ჰაინრიხ ფოგლერი ფუძემდებელია გერმანული ფეოდალური სახელმწიფოსი. მან ქვეყნის შიგნით დაამყარა წესრიგი. დაიმორჩილა ჰერცოგები. ამის შემდეგ პირველი საზრუნავი იყო გარეშე მტრების მადიარების მოგერიება. მტრის თარეშს, მათ მიერ გერმანიის აწიოკებას საზღვარი არ ჰქონდა. 924 წელს ჰაინრიხმა ზავი დადო მადიარებთან 936 წლამდე. ამ პერიოდში მან დაიწყო რაინდების ჩამოაყალიბება. ასევე საფუძველი ჩაუყარა მძიმე კავალერიას. საქსონიაში შეიქმნა გამაგრებები. ჰაინრიხი აწარმოებდა დროდადრო ლაშქრობებს. ჰაინრიხმა აირჩია სლავური ტომები. საზღვარზე მან აღადგინა და დაარსა ახალი მარკები: ლაუზისის, მაისენის მარკა, რომლისგანაც წარმოიშვა მოგვიანებით ახალი საქსონია. ჩრდი-

ლოეთით ობოდრიტების წინააღმდეგ ნორდ-ჩრდილოეთის მარკა, საიდანაც წარმოიშვა პრუსიის სახელმწიფო, მან აღადგინა ის მარკები, რომელიც კარლოს დიდის დროს არსებობდა.

ჩეხეთის მთავრებმა სვიტინგებმა აღიარეს თავი გერმანიის ვასალებად. ნიშნად ერთგულებისა, უხდიდნენ 500 გირვანქა ვერცხლს, 120 ხარს, ასევე უნდა მიეცათ მაშველი რაზმებიც. საფუძველი ჩაეყარა პროცესს ე. წ. „შეტევა აღმოსავლეთით." ამოიწურა ზავის ვადა მადიარებთან. 933 წელს მერზებურგის მახლობლად მადიარები დაამარცხეს გერმანელებმა. დაიდო ახალი ზავი 22 წლის ვადით. მადიარების თარეშისაგან დაისვენა გერმანიამ.

ჰაინრიხ I-ის გარდაცვალების შემდეგ, ოტო I (936-973წწ) გამეფდა. მისი მეფობა დაიწყო ურჩი ჰერცოგების დამორჩილებით, საეჭვო იყო ლოტარინგიის ჰერცოგის დამოკიდებულება, ის თავდაპირველად ოტოს ემორჩილებოდა, მაგრამ მორჩილება დიდხანს არ გაგრძელებულა.

939 წელს ადგილი აქვს შეთქმულებას ოტოს წინააღმდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ გიზელბერგი, ლოთარინგიის ჰერცოგი და ეგინჰარდი ფრანკონის ჰერცოგი, რომელმაც მამამისის ჰაინრიხის გამეფებაში დიდი როლი ითამაშა. მათ გადაიბირეს უმცროსი ძმა ჰაინრიხი, შთააგონეს, რომ მას ეკუთვნოდა ტახტი. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა მდ. რაინთან. ორივე ჰერცოგი დაიღუპა. ოტომ გაიმარჯვა. ძმამ კი გაქცევით უშველა თავს. ოტომ გადაწყვიტა ნათესავები დაეყენებინა მმართველად. კონრად წითური (თავისი სიძე, მისი ასული ლიუდგარი ჰყავდა ცოლად) დანიშნა ლოტარინგიის ჰერცოგად. შვაბიას-უფროსი ვაჟი რუდოლფი მართავდა, ბავარიას-უმცროსი ძმა ჰაინრიხი (რომელმაც დაიჩოქა მის წინაშე და შეირიგა).

ოტო ამის შემდეგ აგრძელებს სლავების დამორჩილებას, მიმართავს ქრისტიანიზაციას. ეს პოლიტიკა დაიწყო ჯერ კი-

დევ კარლოს მარტელის დროიდან და აგრძელებს კარლოს დიდი და ოტო I. მან ააგო მერზერბურგის, ჰაველბურგის, ბრანდენბურგის საეპისკოპოსოები, რომლის მთავარი ცენტრი იყო მაგდენბურგი. მამამისი ეროვნულ პოლიტიკას ატარებდა არ სცილდებოდა გერმანიას. ოტოს ყურადგება მიიქცია ორმა სამეფომ სამხრეთში:

1.ბურგუნდიის (არელატის სამეფო)

2.იტალია (ჩრდ. და შუა იტალია)

ცნება ბურგუნდია შედგება 3 პოლიტიკური ერთეულისგან: ბურგუნდიის სამეფო, ბურგუნდიის საჰერცოგო და ბურგუნდიის საგრაფო.(ფრანშ– კონტე)

ბურგუნდიის ჰერცოგი რუდოლფ II და მისი შვილები:



ბურგუნდიის ჰერცოგის ვაჟი კორნადი გახდა ოტოს ვასალი. ის ოტომ ჯერ დააპატიმრა შემდეგ აიძულა დამორჩილებოდა. ხოლო რუდოლფის ასული ადელჰაიდი დანიშნული იყო იტალიის მეფის უგოს ვაჟზე ლოტარზე. იტალიის მეფეს ტახტს ეცილებოდა ლომბარდიის მმართველი ბერენგარი. ოტო I ჩაერია იტალიის საქმეებში. მან დაამყარა კავშირი ბერენგართან დაამარცხა უგო, რომელიც გააძევეს იტალიიდან. ბერენგარმა მოინდომა ოტოსგან დამოუკიდებობა. 950 წელს ლოტარი გარდაიცვალა. ბერენგარმა დაატყვევა ადელჰაიდი და თხოვდა მის ვაჟზე ადელბერტზე დაქორწინებას. 951 წელს ადელჰაიდმა სთხოვა დახმარება ოტო I-ს და ცოლობა აღუთქვა. ოტო I სიხარულით ტოვებს თავის ცოლს, მიდის იტალიაში ამარცხებს ბურგუნდიის ჰერცოგს და ცოლად მოჰყავს ადელჰაიდი. 951 წლის შემოდგომაზე პავიაში

იგი აკურთხეს იტალიის მეფედ. ოტოს სურდა რომზე ლაშქრობა, ოცნებობდა იმპერატორის გვირგვინზე, მაგრამ მისი მთავარი მოწინააგმდეგე იყო რუდოლფ შვაბელი (უფროსი ვაჟი), რომელსაც არ მოეწონა მამის მეორედ დაქორწინება, ეშინოდა რომ მეორე ცოლისგან შეძენილი შვილები, მისი მტრები იქნებოდნენ, მიწებს შეეცილებონენ. არც სიძე კონრად წითური იყო კმაყოფილი მიცემული მიწებით, ფიქრობდა რომ სათანადოდ არ დააჯილდოვა მეფემ.

953 წელს მოეწყო აჯანყება ოტო I-ის წინააღმდეგ შვაბიის (რუდოლფ შვაბელი) და ლოთარინგიის (კონრად წითური) მონაწილეობით. 3 აპრილს ოტო დააპატიმრეს, ჩამოართვეს პირობა და ამის შემდეგ გაანთავისუფლეს, მაგრამ განთავისუფლების შემდეგ ოტომ უარი განაცხადა მორჩილებაზე. მოსახლეობა აჯანყდა, ბავარიაშიც აჯანყდნენ. მოულოდნელად გამოჩნდა მადიარები, რომლებიც X ს-დან იკლებდნენ გერმნიას. (ჰაინრიხ ფოგლერმა 933 წელს მერზერბურგის ბრძოლის დროს გაანადგურა ისინი და 22 წლის დასვენებული იყო გერმანია მათი თარეშისაგან). სამხრეთი და დასავლეთი გერმანია გაეხვია ხალხის აჯანყების ალში. ჰერცოგებმა დადეს ხელშეკრულება მადიარებთან, ქვეყანა მისცეს საძარცვავად მტერს და თვითონ ხარკის გადახდას დაპირდნენ. ყოველივე ამის შედეგად, ოტოს მიმართ ხალხის სიმპატიები გაიზარდა.

954 წ 17 დეკემბერს მოხდა ბრძოლა ოტო I-სა და მეამბოხეებს შორის, ოტომ დაამარცხა ისინი. რუდოლფ შვაბელი და კონრად წითური ერთგულებას შეჰპირდნენ ოტოს.

ამბოხების ჩახშობის შემდეგ ოტომ გაილაშქრა მადიარების წინააღმდეგ მდინარე ლეხის ველზე ქალაქ აუგსბურგის მახლობლად და 955 წ 10 აგვსტოს დასრულდა მადიარების თარეში, ეს იყო უკანასკნელი ბრძოლა მის წინააღმდეგ. ამის შემდეგ მადიარები გადადიან მკვიდრ ცხოვრებაზე. 1000

წელს იშტვანმა მიიღო ქრისტიანობა და უნგრეთი იქცა ქრისტიანულ-ფეოდალურ სახელმწიფოდ.

ოტომ ჩაატარა ღონისძიებები, რითაც განამტკიცა თავისი ხელისუფლება, მან ყურადგება მიაქცია ლოტარინგიას, რომ შეესუსტებინა ქვეყანაში სეპარატიზმი ლოტარინგია დაჰყო: ზემო ლოტარინგიად და ქვემო ლოტარინგიად.

ოტო ნიშნავდა ჰერცოგებს, რომელთა თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა. ოტო ასევე მფარველობდა ეკლესიას. ეკლესია დიდძალ მიწებს ფლობდა. საეპისკოსოები და მონასტრები მეფისათვის მთავარ შემოსავალს წარმოადგენდა.

ოტომ ლათინური საერთოდ არ იცოდა, ლაპარაკობდა გერმანულ ენაზე. მეფის მოხელეებს ესაჭირეობოდა ლათინური, ეს კი მხოლოდ სამღვდელოებამ იცოდა, ამიტომ ოტო აწინაურებდა სასულიერო პირებს. სასულიერო პირები წესით თავისუფლდებოდა სამხედრო სამსახურისგან, ეკლესიაზე დაყრდნობით მან განამტკიცა თავისი ხელისუფლება.

ოტოს ყურადღებას იპყრობდა იტალია შემდეგი გარემოებების გამო:

1. იტალია იყო მდიდარი ქვეყანა. მისი ქალაქები ხმელთაშუაზღვის ვაჭრობაში იყო ჩაბმული და ეკონომიკურად დაწინაურებული იყო.

2. ოტო ოცნებობდა საიმპერატორო გვირგვინზე. ბერენგარის (იტალიის მეფის) შემდეგ ეს გვირგვინი არავის დაუდგამს.

3. ოტო ეყრდნობოდა რა ეკლესიას, მას სურდა რომის პაპი თავისი გავლენის ქვეშ მოექცია.

ამ დროს პაპის მდგომარეობა არ იყო მტკიცე. ეს პერიოდი X საუკუნე არის პაპობის დაცემის ხანა. ამ დროს პაპი იყო იოანე XII, რომელიც იყო უზნეო პიროვნება, ზრუნავდა მხოლოდ პირად ინტერესებზე. იგი ცემით მოკლა მისი ერთერთი საყვარლის განრისხებულმა ქმარმა. სწორედ იოანე

XII-მ დახმარებისათვის მიმართა ოტოს, როგორც თავის დროზე პიპინს მიმართა პაპმა სტეფანე II-მ.

961 წელს ოტომ მეორედ ილაშქრა იტალიაში, ადვილად დაიმორჩილა ის და შევიდა რომში. 962 წელს იოანე XII-მ იგი აკურთხა იმპერატორად და თავზე დაადგა გვირგვინი.

პაპები იშვიათად კვდებოდნენ თავისი სიკვდილით. ასე მაგალითად:

იოანე VIII მოწამლეს, შემდეგ ჩაქუჩით მოკლეს,

იოანე XII მოკლა საყვარლის ქმარმა,

იოანე X ბალიშებით დაახრჩვეს,

იოანე XIV საპყრობილეში ამოხდა სული შიმშილისგან,

იოანე XVI სიკვდილის წინ დათხარეს თვალები, მოაჭრეს ცხვირი და ყურები.

ოტოს იმპერიას ეწოდა რომის იმპერია, გვიან კი „რომის საღვთო იმპერია". იმპერიამ იარსება 962-1806 წლებში. იმპერატორის გვირგვინკურთხევა აუცილებლად უნდა მომხდარიყო რომში. გერმანიაში იყო სულ სამი იმპერია:

პირველი იმპერია არსებობდა 962-1806 წლებში (ნაპოლეონ ბონაპარტმა მოსპო, როცა გერმანია გაანადგურა).

მეორე იმპერია იყო ბისმარკის იმპერია 1871-1918 წწ.

მესამე იმპერია კი იყო ჰიტლერელთა იმპერია 1933-1945 წწ.

იმპერატორის და პაპის უფლებები თანაბარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს ასე არ დარჩა. იმპერატორმა ჩაიგდო რა ხელში ძალაუფლება, იოანე XI-ს ჩამოართვა პირობა, რომ დათმობდა მიწებს შუა იტალიაში, გაზრდიდა პაპის საეკლესიო მიწებს. პაპი მოტყუვდა იგი გერმანიის მეფის გავლენის ქვეშ მოექცა.

963 წელს მან მესამედ ილაშქრა იტალიაში. გადააყენა იოანე XII და პაპად დანიშნა ლეო VII (ანტიპაპი).

ოტო ბაძავდა კარლოს დიდს, უნდოდა მეგობრობის დამყარება ბიზანტიასთან. ოტომ მეოთხე ლაშქრობა მოაწყო იტალიაში, რადგან იქ მოხდა აჯანყება. დააწესა სიკვდილით სასჯელი, გადასახადები, ქონების ჩამორთმევა. გერმანელების მბრძანებლობა ულმობელი იყო, მიცვალებული იოანე XII ამოთხარეს მინიდან და დაწვეს. მის მიმართ ჰქონდათ დიდი ზიზღი. ოტომ გადაწყვიტა მთელი იტალიის დაპყრობა. იტალიელები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ოტოს, ქირაობდნენ არაბებსაც კი.

ოტომ გადაწყვიტა დამოყვრება ბიზანტიის საიმპერატორო ოჯახის წევრზე. იოანე ციმისხოსსა და ოტო I შორის დაიდო შეთანხმება. იმპერატორის ძმისწული, 15 წლის თეოფანა გააყოლეს ოტოს ვაჟს ოტო II-ს. 973 წელს ოტო I გარდაიცვალა,

ოტო II (973-983 წწ) მმართველობის ხანა არის საღვთო იმპერიის აღმავლობის ხანა. კულტურის ცენტრი იყო არა მეფის სასახლეები, არამედ ეკლესიები.

ჰროსვიტა (932-1002 წწ) იყო შუა საუკუნეების პირველი მწერალი ქალი. წერდა ლათინურად ლექსებს, პოემებს. მან დაწერა თხზულება "GERTA ODONIS MAGNUS" – ოტო I-ის მოღვაწეობა. ოტო ბევრს მოგზაურობდა კორდოვის სამეფოში, ის მაჰმადიანურ კულტურას უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე ქრისტიანულს. მან მოაწყო ორი ლაშქრობა იტალიაში, სადაც ეომებოდა ბიზანტიელებს. მისი ვაჟის ოტო III (983-1002 წწ)დროს მოეწყო ლაშქრობები იტალიაში. მის დროს იფეთქა სლავების აჯანყებამ და ლაბისპირა მინა-წყალი დაკარგეს გერმანელებმა,

გერმანიის მბრძანებლებს იზიდავდა იტალია და იმპერატორის გვირგვინი. ეს მისწრაფება არ შეიძლება ჩაითვალოს პროგრესულად. ეს ლაშქრობები ხელს უშლიდა ერების ჩამოყალიბებას იტალიაში, შემდეგ საფრანგეთში, გერმანია-

შიც. იმპერატორის ყურადღება მიპყრობილი იყო ქვეყნის გარეთ, ეს ზრდიდა ცენტრიდანულ ძალებს.

დაპყრობითი ლაშქრობები იყო რეგრესული იმ ქვეყნების მიმართ, რომელშიც ნაციონალური სახელმწიფოს შექმნის ტენდენცია იყო, ამიტომ არც გერმანიისთვის იყო პროგრესული ეს დაპყრობითი ომები, რამაც ცენტრიდანული ძალების გაზრდა განაპირობა გერმანიაში.

1002 წ-ს გარდაიცვალა ოტო III და საქსონური დინასტიის პირდაპირი შტო მოისპო. გერმანელმა მთავრებმა მეფედ აირჩია გვერდითი შტოს წარმომადგენელი –ჰაინრიხ II. ჰაინრიხ II (1002-1024 წწ) იყო უკანსაკნელი წარმომადგენელი საქსონური დინასტიისა. მან ილაშქრა იტალიაში 1013-1014 წლებში. 1014 წელს კი იტალიაში იმპერატორის გვირგვინი მიიღო.

1021-1022 წლებში ილაშქრა მოერეჯერ. თავისი აღზრდით, ის ახლოს იყო სასულიერო წოდებასთან. სამღვდელოება მისი აზრით, მთავარი დასაყრდენი უნდა ყოფილიყო საიმპერატორო ხელიუფლების.

ჰაინრიხ II დროს ნორმანდიელები სახლდებიან სამხრეთ იტალიაში. 1016 წ ნორმანდიელი რაინდები სალოცავად იყვნენ წასული პალესტინაში სულ 40 კაცი. უკან დაბრუნებისას გაჩერდნენ სალერმოში, რომელსაც ჰერცოგი ვაიმარი განაგებდა. ის აწარმოებდა ბრძოლას სარკინოზების (არაბების) და ბიზანტიელების წინააღმდეგ. ჰერცოგმა ვაიმარმა დაიქირავა ისინი, სთხოვა დარჩენილიყვნენ სალერმოში. ნორმანდიელები სახლდებიან სამხრეთ იტალიაში –აპულია, კალამბრია ივსება ბედის მაძიებლებით.

ჰაინრიხ II ხედავდა ეკლესიის უარყოფით მხარეებს: ეკლესიის გამდიდრება, ბერების უზნეობა, უვიცობა. მას ეკლესიაში რეფორმების ჩატარება აუცილებლად მიაჩნდა. ამ დროს იწყება კლუნიური მოძრაობა (X საუკუნე), რომლის სახელწოდება წარმოსდგება კლუნის მონასტრიდან. საფ-

რანგეთში სამხრეთ ბურგონში 910 წ დაარსდა კლუნის მონასტერი. ამ მონასტერმა დიდი როლი შეასრულა ევროპის ისტორიაში. იგი რომის პაპის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. აბატი ოდოს დროს მიიღეს კლუნის მონასტრის წესდება გერმანიაში, იტალიაში, ინგლისში, საფრანგეთში. ყველა მონასტერმა შეადგინა სამონასტრო ორგანიზაცია კლუნიური ორდენი, რომელსაც სათავეში ედგა კლუნის აბატი. კლუნიურმა ორდენმა აყვავებას მიაღწია XI ს-ში ჰუგოს და ოდილოს დროს.

რა მიზნები ჰქონდათ კლუნიელებს?

საეკლესიო რეფორმის ჩატარება, რათა სამღვდელოების განათლების დონე აემაღლებინათ და აარსებდნენ სკოლებს. მთავარი იყო ბერების ასკეტური აღზრდა. კლუნიური ასკეტიზმი გამოიხატებოდა უფროსებისადმი უმცროსების მორჩილებაში. აბატს განსაზღვრული უფლებები ჰქონდა, თვითონ ნიშნავდა თავის შემცვლელს. ყოველი ბერი უნდა დამორჩილებოდა უფროსის ბრძანებებს. სასჯელი იყო: საჯარო გაწკეპლვა, ხანგრძლივი ლოცვების მისჯა, სხეულის გვემა, საპყრობილე, როცა მოიხდიდა სასჯელს შეწყალება უნდა ეთხოვა უფროსისგან. აკრძალული იყო ხმამაღალი სიცილი, მხიარულება, ტირილი უნდა ყოფილიყო ჩუმი. კლუნიელები ხასიათდებიან ასკეტიზმით. ისინი სვამდნენ ორი ხელისუფლების სასულიერო და საეროს ურთიერთობის საკითხს.

ასკეტიზმი ეს არის რელიგიური მოძღვრება, რომელიც ქადაგებს უკიდურეს თავშეკავებას, სხეულის დათრგუნვას. არ ხედავდნენ განსხვავებას ეპისკოპოსსა და მეფეს შორის. მათი შეხედულებით ორივე ღმერთს ემსახურებოდა. საერო ხელისუფლება იმდენად არის მიზანშეწონილი თუ იგი მფარველობს ეკლესიას. იყვნენ კლუნიელები, რომლებიც ეკლესიის თავისუფლებას მოითხოვდნენ, საერო ხელისუფლების დამორჩილებას სასულიეროსადმი.

ჰაინრიხ II მფარველობდა კლუნიელებს. 1024 წ ჰაინრიხ II გარდაიცვალა და მოისპო საქსონური დინასტია, ვინაიდან ის ასკეტი იყო და არ ჰყავდა ოჯახი, მემკვიდრე.

ხელისუფლების წინაშე დაისვა დინასტიის საკითხი. ცნეს საქსონური დინასტიის ნათესავები, ფრანკონელი კონრადინების ჩამომავალი- კონრად II და 1024-1125 წწ-ში ბატონობს ფრანკონული დინასტია

1024-1039 წწ-ში მეფობს კონრად II, რომელიც უმთავრესად ეყრდნობოდა სამღვდელობას, რაინდობას. მან შემოიღო ლენების მემკვიდრეობითობა. კონრადმა 1026 წელს ილაშქრა იტალიაში. მისი მიზანი იყო გვირგვინკურთხევა და 1028 წ. პაპმა იოანე XIX-მ ის აკურთხა რომის საღვთო იმპერატორად. კურთხევას ესწრებოდა ინგლისისა და დანიის მეფე კნუდ დიდი, არელატის მეფე რუდოლფ III, რომელსაც კავშირი ჰქონდა გერმანიის მბრძანებლებთან. მისი მტერი კი იყო საფრანგეთის მეფე რობერ II (996-1031) და შამპანის გრაფი, რომლებსაც მიწების წაგლეჯა სურდათ. რუდოლფ III კავშირი დაამყარა გერმანიის მბრძანებლებთან. მან გერმანიის იმპერატორის ვასალად გამოაცხადა თავი. 1032 წლის საქტემბერში გარდაიცვალა რუდოლფ III. კონრად II, როგორც სუზერენმა გამოაცხადა ბურგუნდია შეერთებულად გერმანიასთან და თვითონ დაიდგა ბურგუნდიის მეფის გვირგვინი. შამპანის გრაფი იწყებს ბრძოლას ბურგუნდიისათვის. გერმანია დაუკავშირდა საფრანგეთის მეფე ანრი I-ს და 1035 წელს შემოიერთა ბურგონი საბოლოოდ, მაგრამ ის სუსტად იყო შეერთებული გერმანიასთან. მან იტალიის მომიჯნავე ოლქი შეიერთა. საფრანგეთი მოწყვეტილი აღმოჩნდა იტალიისაგან.

რომის საღვთო იმპერია შედგებოდა :

1. გერმანია
2. ზემო იტალია (ჩრდილო და შუა)

3. არელატის (ბურგუნდიის) სამეფო

ჰაინრიხ II-ის მეუღლე გიზელა მორწმუნე იყო და ასევე აღზარდა მან თავისი ვაჟი ჰაინრიხ III (1039-1056), რომელიც ისტორიაში შევიდა ჰაინრიხ შავის სახელწოდებით. მის მეფობაში ფრანკონურმა დანასტიამ მიაღწია მწვერვალს. იგი მხარს უჭერდა კლუნიური მოძრაობის მოთხოვნებს. კლუნიელები შორს წავიდნენ, ისინი ილაშქრებდნენ ეპისკოპოსთა დანიშვნის წინააღმეგ. მათი აზრით, მეფეებს არ უნდა ჰქონდეს უფლება ჩაერიონ საეკლესიო თანამდებობების დანიშვნაში.

ინვესტიტურა – ინვესტირე – ჩაცმა, შემოსვა, თანამდებობა. ეპისკოპოსის (ინვესტიტურის) დანიშვნის უფლება უნდა ჰქონდეს პაპს და არა მეფეს, იმპერატორებს. სიმონია – ეს იყო საეკლესიო თანამდებობით ვაჭრობა. სახარების მე-8 თავში მოთხრობილია, რომ სამაიაში არის მოგვი (ქურუმი), რომელიც ცეცხლმსახურებას ეწევა, სახელად სიმონი. პეტრე და იოანე სამაიაში ჩავიდა მოციქულებად. სიმონიმ შესთავაზა პეტრეს და იოანეს ფული, მომეცით სულიწმნდის გადაცემის უფლება, რათა სულიწმინდა გადავცეო. პეტრე დაემუქრა წარწმენდით და უთხრა:"შენ გინდა ღვთის წყალობა იყიდოო" მან მოინანია ეს ცოდვა. აქედან მოდის სიმონია-საეკლესიო ღირებულებებით ვაჭრობა. კლუნიელები მოითხოვდნენ სიმონიის მოსპობას, სამღვდელოებაზე ცელიბატის-(ოჯახზე უარის თქმა) გავრცელებას.ბერები ხშირად იყვნენ ცოლიანები, ეპისკოპოსებსაც ჰყავდათ ცოლ-შვილი, ხოლო ცოლ შვილზე ზრუნვა მას ართმევდა დროს, ამიტომ ცელიებატი უნდა გავრცელებულიყო მთელ სამღვდელოებაზე.

გრიგოლ VI-ის კარზე დაიწყო მსახური ჰილდებრანმა (გრიგოლ VII). მან დიდი როლი შესრულა კლუნიური მოძრაობის განმტკიცებაში. 1076 წ. რომს დაეუფლა ჰაინრის III. მან რომაელებს გამოსტაცა პატრიციუსის წოდება. მას შეეძ-

ლო გადამწყვეტი როლი ეთამაშა პაპების არჩევაში. ყოველ წელს მისი ინიციატივით 3 საეკლესიო კრება ჩატარდა. 1046 წ გადააყენეს სამივე პაპი (ბენედიქტე IX, სილიბისტრო III, გრიგოლ VI) აირჩიეს ბამბერნის ეპისკოპოსი კლიმენტ II, გერმანელი პრელატი.

ჰაინრიხ III-მ დანიშნა ეპისკოპოსი ლეო IX, რომელიც მომხრე იყო კლუნიური მოძრაობის. ამ დროს გაძლიერდნენ ნორმანები. მან მოაწყო ლაშქრობა ნორმანების წინააღმდეგ. პაპი დამარცხდა. ლეო IX გარდაიცვალა 1055 წელს.

ჰაინრიხ III-მ დანიშნა მე-4 გერმანელი ეპისკოპოსი ვიქტორი II, რომელიც მომხრეა კლუნიური მოძრაობის. ჰაინრიხ III –ის დროს იმპერატორი ბატონობს ეკლესიაზე. ჰაინრიხ III 1056 წელს 39 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას დარჩა პატარა ვაჟიშვილი სახელად ჰაინრიხი, რომელიც გამოაცხადეს ჰაინრიხ IV სახელით (1056-1106 წწ). რაიხსტაგმა დანიშნა რეგენტი დედა აგნესა, ჰაინრიხ III-ის მეუღლე, რომელიც მორწმუნე იყო და სუსტი ხასიათის. მის დროს თავი აიშვეს დიდკაცებმა. გერმანიაში მალე დაიწყო არეულობა. ამან შექმნა საუკეთესო პირობები კლუნიური მოძრაობის მომხრეებისთვის და მათ დაიწყეს რეფორმების გატარება.

ჰილდებრანდმა (შემდეგ გრიგოლ VII 1020-1085 წწ) დიდი როლი შეასრულა კლუნიურ მოძრაობაში. ის იყო ტოსკანელი გლეხის შვილი. ახალგაზრდობაში ბერად აღიკვეცა და შეიქმნა სანტა-მარია ავენ ტინის მონასტრის ბერი. ის იყო შეუხედავი კაცი, გამხდარი, დაბალი, მაგრამ სუსტ სხეულში ძლიერი სული იყო. იგი იბრძოდა კლუნიური იდეების გასამტკიცებლად.

ჰილდებრანდი კლუნის მონასტერში გაემგზავრა და ლეო IX-ის დროს დაბრუნდა იტალიაში აქ მიიღო პირველი წოდება კარდინალ სუბ დიაკონის. კარდინალები ეწოდებოდა რომის სამღვდელოებას, რომელიც პაპის ეკლესიას ემსახუ-

რებოდა. მათი ტანსაცმელი ღია წითელი ფერის იყო. 1051 წელს გარდაიცვალა ვიქტორ II. 1055-1057 წლებში პაპი იყო ლეო IX, ხოლო 1059 წელს კი ნიკოლოზ II კლუნიური მოძრაობის მომხრე (იტალიელი პაპი). ჰილდებრანდმა გადაწყვიტა განემტკიცებინა პაპების ხელისუფლება, შეიძინა მოკავშირეები ნორმანდების სახით. ლეო IX მტრობდა ნორმანებს, მაგრამ შემდეგი პაპები რწმუნდებიან, რომ ნორმანები შეიძლება გამოიყენონ მოკავშირედ. რობერი იყო სამხრეთ იტალიაში აპულიის ჰერცოგი, ზედმეტსახელად გვისკარი (ცბიერი), რომელიც იყო პირველი ხარისხის პოლიტიკოსი და დაინტერესებული პაპთან კავშირით. გვისკარმა დადო ხელშეკრულება ჰილდებრანდთან.

მეორე მოკავშირე იყო ტოსკანიის მარკგრაფი გოტფრიდი. როცა გარდაიცვალა მარკგრაფი ბონიფაციუსი, მას დარჩა ქვრივი ბიატრიჩა და ასული მატილდე. ქვრივი მისთხოვდა ქვემო ლოტარინგიის ჰერცოგს გოლფრიდს. გოლფრიდ ტოსკანელი მტრულად იყო განწყობილი გერმანიის მბრძანებლებთან. ჰილდებრანდმა გამონახა მასთან საერთო ენა და შეიძინა მოკავშირე შუა იტალიაში.

მესამე მოკავშირე იყო ჩრდილო იტალიაში პატარიის სახით. პატარია სოციალურ პოლიტიკური მოძრაობა იყო, რომელიც მიმდინარეობდა ლომბარდიაში. მისი ცენტრი იყო მილანი, რომელიც გამოირჩეოდა ლითონის მრეწველობის განვითარებით. მილანის კვარტალის სახელი იყო პატარია.

1073 წელს პაპი გახდა ჰილდებრანდი (გრიგოლVII 1056-1085). იწყება ბრძოლა ჰაინრიხ IV და გრიგოლ VII-ს შორის.

1073-1075 წლებში ადგილი აქვს საქსონიის გლეხთა აჯანყებას. ჰაინრიხ IV –მ ჩაახშო აჯანყება. იქაურმა ეპისკოპოსებმა აღძრეს საჩივარი ჰაინრიხ მეოთხეზე პაპის წინაშე. ეპისკოპოსებად თავისი ხალხი აირჩია ჰაინრიხ IV-მ. პაპმა მოითხოვა საეკლესიო კრების მოწვევა და ამ საკითხის განხილვა, მაგრამ მიიღო უარი.

1075 წლის იანვარში იმპერატორმა მოიწვია საეკლესიო კრება და პაპი გადაყენებულად გამოაცხადა. გაუგზავნა წერილი მუქარით გაეცალე, გაეცალე. იმავე წლის თებერვალში პაპმა მოიწვია კრება და იმპერატორი ეკლესიიდან განკვეთილად გამოაცხადა. 1075 წელს ფეოდალური დიდკაცობა გერმანიისა შეიკრიბა და მოთხოვეს ჰაინრიხ IV-ს პაპთან შერიგება.

1077 წელს ჰაინრიხ IV ჩავიდა იტალიაში, დაიჩოქა მის წინაშე და პატიება ითხოვა.

1106-1125 წლებში გერმანიას მართავდა ჰაინრიხ V. 1122 წელს დაიდო ვორმსის კონკორდატი (შეთანხმება). პაპი იყო კალიქტე. კონკორდატი იყო კომპრომისული: თუ გერმანიაში ხდებოდა ეპისკოპოსის არჩევა, მას ესწრებოდა იმპერატორის წარმომადგენელი. თუ იტალიასა და საფრანგეთში ხდებოდა ეპისკოპოსის არჩევა, მას ესწრებოდა პაპის წარმომადგენელი. დარჩა სასულიერო ინვესტიტურა- ბეჭედი, კვერთხი და საერო ინვესტიტურა – სკიპტრი (სამეფო კვერთხი).

თემა მეათე

ევროპის ეკონომიკური განვითარება XI საუკუნეში, ქალაქების წარმოშობა და განვითარება

ადრეულ შუა საუკუნეებში ქალაქი არ იყო ეკონომიკური ცენტრი. ის იყო გრაფის, ეპისკოპოსის რეზიდენცია. ქალაქის მოსახლეობის საქმიანობა არ განსხვავდებოდა სოფლის მოსახლეობისაგან. ქალაქების წარმოშობის მიზეზი იყო საზოგადოებრივი შრომის განვითარება, მოსახლეობის დაყოფა, რასაც მოჰყვა საზოგადოებრივი მოთხოვნილების გაზრდა, ბაზრის გაფართოება. დღევანდელ მრეწველობაში წამყვანია მძიმე მრეწველობა, ადრეულ შუა საუკუნეებში კი წამყვანი იყო მსუბუქი მრეწველობა. კარლოს დიდის ბიოგრაფიიდან ჩანს, რომ განვითარებული იყო მსუბუქი მრეწველობა. ზაფხულში ის იცვამდა ტილოსაგან შეკერილ ტუნიკას, ზამთარში ბეწვს. ტუნიკა შეკერილი იყო სავის და სიასამურის ბეწვისაგან. უბრალო ადმიანისათვის ტუნიკა იკერებოდა ცხვრის ტყავისაგან.

შალის ქსოვილი მატყლისაგან მზადდებოდა. სანამ ის სამოსელი გახდებოდა მას უნდა გაევლო დამუშავების პროცესი: ცხვრის გაკრეჭა, გარეცხვა, დაპენტვა, დაჩეჩვა, ძაფის დართვა, მოქსოვა, მოთელვა, ბეწვის მოპარსვა, შეღებვა. მაგალითად ფლორენციაში არსებობდა მატყლის დამუშავების 20 პროცესი.

გაუმჯობესდა ლითონის დამუშავება, იარაღის წარმოება. ისწავლეს აგურის გამოწვა, ორსართულიანი სახლის, ტაძრის აშენება. ხდებოდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, მისი დაყოფა ცალკეულ დარგებად.

მოხეტიალე გლეხები, იგივე საშოვარზე წასულები ხელს ჰკიდებდნენ ხელოსნობას. ისინი სახლდებოდნენ სახელოსნოებთან ახლოს. ასევე აქვე სახლდებოდნენ მოხეტიალე

ვაჭრებიც. წარმოიშვა ქალაქები ციხე-სიმაგრის გვერდით, ბაზრის ახლოს, პორტში, მდინარის ნაპირზე. ქალაქები ეს იყო ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრი. ქალაქის გენეზისი არის ქალაქის გამოყოფა სოფლისაგან, სასოფლო შრომის სამრეწველოსაგან გამოყოფა. ქალაქები წარმოიშვა გზაჯვარედინებზე და მდინარეთა სანაპიროებზე. იმ სავაჭრო გზების გაყოლებით, რომელიც იწყებოდა ხმელთაშუა ზღვიდან იტალიაზე გავლით, რაინის ნაპირზე, ბალტიის და ჩრდილოეთის ზღვის ნაპირებზე.

რას წარმოადგენდა ქალაქი?

როდესაც ვსაუბრობთ შუა საუკუნეების ქალაქზე უნდა დავივიწყოთ დღევანდელი ქალაქი. ქალაქი გარედან იყო ციხე, რომელსაც ჰქონდა ჯერ ხის, ხოლო შემდეგ არტილერიის გაჩენასთან ერთად აგებდნენ ქვითკირის გალავანს. ქალაქში შესვლა შეიძლებოდა ასაწევი ხიდის და ჭიშკრის საშუალებით. ქალაქებს უხდებოდა ბრძოლა მტრის წინააღმდეგ, ამიტომ აუცილებელი იყო გალავანი, რომელსაც თავდაცვის დანიშნულებაც ჰქონდა. ასეთი რამ სოფელს არ ჰქონდა. მას უარყოფითი მნიშვნელობაც ჰქონდა ქალაქს გაფართოების საშუალებას არ აძლევდა. მოსახლეობა როცა იზრდებოდა სახლდებოდნენ გალავანს გარეთ. იქმნებოდა გარეუბანი. ქალაქი იყო ლაბირინთი, არავითარი ნომერაცია არ არსებობდა. იყო ებრაელების ქუჩა და ა. შ. ქუჩები არ ნათდებოდა. სახლს აჩირაღდნებდნენ, როცა მეფე ან სტუმარი ჩამოდიოდა. არ იყო ქუჩებში ქვაფენილი. ქალაქი ატარებდა ნახევრად სასოფლო –სამეურნეო ხასიათს. ასევე არ იყო კანალიზაცია. ქალაქი შემოვლებული იყო სახნავ-სათიბი მიწებით. ქალაქის ყოველ მოსახლეს ჰყავდა ძროხები, ღორები, ფრინველები. ყოველ დილით ნახირის ხმაზე იღებოდა ქალაქის ჭიშკარი და ნახირს ერეკებოდნენ. ქალაქში რჩებოდა ღორები, ქათმები, რომლებიც „სანიტრის" როლს ასრულებდა, მაგრამ ტრანსპორტის გადაადგილებას ხელს უშლიდნენ. ქალაქის საბჭო

ილებდა გადაწყვეტილებას ღორების მოშენების შეზღუდვის შესახებ. ლონდონში XIV ს-ში გამოსცემდნენ ბრძანებებს ღორების მოძრაობის შეზღუდვის შესახებ. XV ს-ში გერმანულ ქალაქ ნიურნბერგში მგზავრი ვერ გაივლიდა, რადგან ცხენი შემხვედრს ტალახს შეასხამდა.

გზები იმდენად ვიწრო იყო, რომ ორი ურემი ერთმანეთს თავისუფლად გვერდს ვერ აუვლიდა. ეს მხოლოდ საფრანგეთში ე. წ სამეფო გზებზე შეიძლებოდა. იდეალურად ითვლებოდა ის გზა, სადაც სამი ცხენი ერთდროულად გვერდი – გვერდ გაივლიდა. ცნობილია, რომ გერმანიის იმპერატორი ფრიდრიხ III როცა თავისი ამალით მიემგზავრებოდა ქალაქ რეიტლინგენში, ის ცხენიანად ჩაეფლო ტალახში და ძლივს გადარჩა დახრჩობას. გვალვის დროს ქალაქში საშინელი მტვერი იყო, ხოლო ჭუჭყი და მტვერი ავრცელებდა სხვადასხვა მწერებს: ბუზებს, მკბენარებს, რომელიც ავრცელებდა დაავადებებს. აქედან გამომდინარე შავი ჭირის გავრცელებით გამოწვეული სიკვდილიანობა ერთი-ორად მეტი იყო. 1348 წელს ფლორენციიდან შავი ჭირი გავრცელდა მთელს ევროპაში.

ქალაქის ქუჩები იყო უთანასწორო, რომელთაც ჰქონდა რადიალური მიმართულება და ერთდებოდა ბაზრის ცენტრში. აქ იყო განლაგებული ქარვასლა, შენობები, სასტუმრო. ქალაქის ბაზარი იყო ეკონომიური ურთიერთობის ცენტრი. არსებობდა მეორე სახის ცენტრი, ისეთი ადგილი, სადაც ბაზრობები იმართებოდა ყოველ წლიურად. ლათინურად FEIRIGA, გერმანულად MARK, აქედან წარმოსდგება იარმარკა ქართულად. შენობებს აგებდნენ ხისაგან. ხე ისე გამოშრებოდა, რომ ადვილი შესაძლებელი იყო ხანძრის გაჩენა. XIII ს-ში ხშირი იყო ხანძარი. მხოლოდ XIV ს-ში დაიწყეს ქვის შენობების აშენება. ხანძრის ჩაქრობა ძნელი იყო. არ არსებობდა წყალგაყვანილობა, არ ჰყავდათ მეხანძრეები. ევროპაში ხშირად ქალაქში ხანძრის გაჩენის შემთხვევაში ან-

გრევდნენ მეზობელ სახლს. ქვისაგან აგებდნენ დიდ შენობებს, სასტუმროებს, ქარვასლას, რომელიც ორი სართულისაგან შედგებოდა. პირველზე იაფი საქონელი იყიდებოდა, მეორეზე უფრო ძვირფასი. აქვე იძინებდნენ ვაჭრები. საპყრობილე და აბანოც ქვისაგან იყო აგებული.

როგორი იყო მოსახლეობის რაოდენობა?

ქალაქში ცხოვრობდა 2-3 ათასი ადამიანი. საქსონიის ქალაქებში – დრეზდენში, ლაიფციგში ცხოვრობდა 4 ათასი კაცი. ქალაქი, სადაც 10 ათასი კაცი ცხოვრობდა, იშვიათი იყო. ასეთი იყო მაინის-ფრანკფურტი გერმანიაში, ბრისტოლი ინგლისში. 20-25 ათასი კაცით დასახლებული ქალაქი დიდ ქალაქად ითვლებოდა. ასეთებს მიეკუთვნებოდა გერმანიაში: აუგსბურგი, ჰამბურგი, ბრემენი, ლიუბეკი, ულმი და სხვა. ხოლო ქალაქი, სადაც 40-50, 100 ათასი ადამიანი ცხოვრობდა უფრო დიდ ქალაქად ითვლებოდა. ასეთი ქალაქები იყო იტალიაში: ფლორენცია, მილანო, ვენეცია, ნეაპოლი, პიზა, გენუა. ფლანდრიაში: ბრიუგე, გენტი, ლილი, არასი. ქალაქი ლონდონი XIV ს-ში 40 ათას კაცს ითვლიდა. დასავლეთ ევროპაში ყველაზე დიდი ქალაქი იყო პარიზი (100 თუ 200 ათასი მოსახლე).

აღმოსავლეთის ქალაქები მაგ. სირიაში ანტიოქია ითვლიდა 100 ათასს, ალექსანდრიაც 100 ათასს, სამარყანდი 200 ათასს მოსახლეს. კონსტანტინეპოლი ითვლიდა ნახევარ მილიონს. ინგლისში „საშინელი სამსჯავროს წიგნის" მიხედვით იყო 80-მდე ქალაქი,ხოლო გერმანიაში 3 ათასი. XV ს-ში ქალაქი კელნი 37-38 ათას მოქალაქეს მოითვლიდა.

ადრეული შუა საუკუნეების ქალაქი იყო ჩამორჩენილი კულტურით, განათლებით. მექანიკური საათი ევროპის ქალაქებში XIII ს-მდე არ არსებობდა. საფრანგეთის მეფე ლუი IX (1214-1270 წწ) ღამ-ღამობით დროის დინებას სანთლის სიმაღლით განსაზღვრავდა. პირველი საზღვაო რუკა მოიხსე-

ნიება საფრანგეთის მეფე ლუი IX-ის საზღვაო ლაშქრობასთან დაკავშირებით. შემდეგ საუკუნეში უკვე რეგულარულად სარგებლობდნენ საზღვაო რუკებით. კომპასი ევროპაში აღმოსავლეთიდან შემოვიდა. მან ფართო გავრცელება ჰპოვა XIV ს-დან. 1189 წლის ივნისში მე-3 ჯვაროსნული ლაშქრობაში მყოფმა იმპერატორმა ფრიდრიხ ბარბაროსამ პირველი წერილი 19 ნოემბერს გამოაგზავნა ადრიანოპოლიდან. ეს წერილი მისმა ვაჟიშვილმა და მემკვიდრემ ჰენრიხმა მხოლოდ მომდევნო 1190 წლის მარტში მიიღო. ხოლო 1190 წლის 10 ივნისს კილიკიაში, მთის მდინარე სალეფაში ფრიდრიხის დაღუპვის ამბებმა გერმანიაში ოთხი თუ ხუთი თვის შემდეგ ჩააღწია.

კარლოს დიდის ბიოგრაფი ეინჰარდი მოგვითხრობს, რომ იმპერატორს მხოლოდ სიცოცხლის ბოლო წლებში დაუწყია წერის შესწავლა. უძილობის ჟამს ჯიუტად და მონდომებით გამოჰყავდა თურმე ასოები, მაგრამ მაინც ისე მოკვდა,რომ წერა ვერ ისწავლა. ხოლო გერმანიის იმპერატორის ჰაინრიხ IV-ის ისტორიკოსი უკვე XI ს-ში სიამაყით წერდა, რომ იმპერატორი იმდენად წიგნიერი იყო, რომ შეეძლო თვითონვე წაეკითხა და გაეგო მისადმი მიწერილი წერილები. წიგნის ბეჭდვა მხოლოდ XV ს-ში დაიწყეს.

როგორი იყო ქალაქის შიგნით ცხოვრება?

შუა საუკუნეების ქალაქი და სახელოსნო წარმოება იყო ფეოდალური ხასიათის. საფრანგეთში ბატონობდა პრინციპი, რომლის მიხედვით მიწა სენიორს ეკუთვნოდა, ხოლო ქალაქი სამღვდელოებას ან მეფეს. ყველაზე მეტი ქალაქი ეკუთვნოდა სამღვდელოებას.

საფრანგეთის ჩრდილოეთის ქალაქი ამიენი იმყოფებოდა ოთხი სენიორის ბატონობის ქვეშ. ესენი იყვნენ: გრაფი, ეპისკოპოსი, ვიდამი (ეპისკოპოსის თანაშემწე) და კასტელანი (ციხის გამგე). სენიორები ეწოდნენ ქალაქების ექსპლუატაციას, ამიტომ ქალაქები ცდილობდნენ დამოუკიდებლობა

მიეღოთ. სენიორი კი ცდილობდა მეტი შემოსავალი მიეღო ქალაქისაგან.

XI ს-დან დაიწყო საქალაქო მოძრაობა. იმისათვის, რომ წარმატებით ებრძოლათ, ერთიანდებოდნენ კავშირებად. აარსებდნენ ქალაქის თემს– COMMUNE ლათინურად, იტალიურად COMUNE რა არის კომუნა? ეს არის ქალაქის თემი, რომლის მიზანი იყო ერთობლივი ძალით თავისუფლების და თვითმმართველობის მიღწევა. საქალაქო მოძრაობა დაიწყო ქალაქებში იმის მიხედვით, თუ როგორ იყო განვითარებული ქალაქი. განსაკუთრებით დიდ წარმატებებს აღწევს ეს მოძრაობა საფრანგეთში. ამის მიზეზი იყო შემდეგი:

1.აქ იყო ძლიერი ქალაქები.

2. ხშირად სენიორები ექიშპებოდნენ ერთმანეთს.

3. რაინდობა იბრძოდა ქალაქელების მხარეზე.

4. ცენტრალიზებული ხელისუფლება სუსტი იყო.

მწვავე ხასიათს იღებს ბრძოლა ჩრდილოეთ საფრანგეთში. აქ სენიორები და ეპისკოპოსები ქალაქების დაუძინებელი მტრები იყვნენ. XII ს-ის ისტორიკოსი ვაბატი წერდა: „კომუნა არის ახალი საზიზღარი სახელწოდება, რომლის მეშვეობით გუშინდელი ჩვენი ყმები დამოუკიდებლობას აღწევენ“. მეფე ქალაქელების ბრძოლას თავისი ინტერესებისათვის იყენებდა და შეჰქონდა ამ მოძრაობაში გართულება.

პირველი ისტორიკოსი, რომელმაც კომუნის საკითხი შეისწავლა, იყო ტიერი. მისი აზრით, ყველაზე მეტ დამოუკიდებლობას მიაღწია იმ ქალაქებმა, რომლებიც აწარმოებდნენ ბრძოლას სენიორის წინააღმდეგ. ქალაქების განთავისუფლება ხდებოდა ორი გზით: მშვიდობიანი და ბრძოლის გზით. ქალაქელები თავდაპირველად ირჩევდნენ მშვიდობიან გზას და ფულის საშუალებით აღწევდნენ თავისუფლების გამოსყიდვას.

პირველი ბრძოლის დროშა ააფრიალეს ფლანდრიის ქალაქ კამბრეში, 1077 წელს, გერმანიის იმპერატორის ჰაინრიხ

IV- ის დროს. ქალაქი კამბრე ეკუთვნოდა ეპისკოპოსს გერ-ჰარდს, რომლის ავტორიტეტი დაცემული იყო ქალაქელების თვალში. 1108 წელს ქალაქებმა მანსიმ, ნუაიონმა და სენტ-კანტენმა მოიპოვეს კომუნა.

საინტერესოა ქალაქ ლანის ისტორია, რომელიც კარგად არის შესწავლილი. ეს ქალაქი იყო მნიშვნელოვანი თავისი სავაჭრო და სახელოსნო ცენტრით. ის ეკუთვნოდა ნორმან-დიელ ეპისკოპოსს გოდრის, რომელიც დაახლოებული იყო ინგლისის მეფესთან და გადასახადებით ძარცვავდა მოსახ-ლეობას. გარდა ამისა ის ეწეოდა გამოძალვას, ვინმეს მოს-ტაცებდა შვილს და ჰყავდა ციხეში, სანამ გამოსასყიდს არ გადაიხდიდნენ. ერთ-ერთი აბატი გვიბერ ნოუანელი წერ-და:"გოდრის არ აინტერესებდა სასულიერო საქმე. მას უყ-ვარდა უფრო საუბარი იარაღზე, ცხენებზე, ნადირობაზე, ვიდრე სასულიეროზე." ის სჯიდა ყველას, ვინც ოდნავ აი-მაღლებდა ხმას მის წინააღმდეგ. ის მონა ზანგის- ჯალათის ხელით აწამებდა ლანის მოქალაქეებს. უსჯიდა თვალების დათხრასა და ჩამოხრჩობას. ლანის მოსახლეობის უკმაყო-ფილება უსაზღვრო გახდა, როდესაც გავრცელდა ხმა ქალა-ქების სენტ-კანტენის და ნუაიონის თავისუფლების მოპოვე-ბის შესახებ ფულადი გამოსყიდვის გზით და ლანის მოსახ-ლეობაც იწყებს ბრძოლას.

1109 წელს, როდესაც გოდრი გაემგზავრა ინგლისის მე-ფესთან, ამით ისარგებლეს ლანის მოქალაქეებმა და დაიწყეს ბრძოლა განთავისუფლებისათვის. მათ დიდძალი თანხა შეს-თავაზეს ლანის დროებით მმართველებს და მიიღეს კომუნის სიგელი. როდესაც გოდრი დაბრუნდა ქალაქში მას მოსთხო-ვეს ფიცი. განრისხებულმა გოდრიმ არ ცნო არავითარი კო-მუნა. მან მხოლოდ ფულის აღების შემდეგ დაამტკიცა კომუ-ნა. ამის შემდეგ ლანის მოქალაქეებმა საფრანგეთის მეფეს ლუი VI-ს (ზედმეტი სახელი სქელი) გაუგზავნეს ქარტია და ფული, რომელმაც დიდი სამეფო ბეჭდით დაამტკიცა ქარ-

ტია, მაგრამ ყოველ წელს მეფისათვის მათ უნდა ეხადათ 20 ლივრი. ლანის კომუნამ იარსება მხოლოდ 3 წელი. გოდრიმ და მისმა ვასალებმა გაფლანგეს ფული და დაიწყეს სინანული გადასახადების დაკარგვის გამო.

გოდრიმ დაპატიჟა ლუი VI (21 აპრილს) 1112 წელს ქალაქ ლანში. მან დაიწყო მოლაპარაკება კომუნის გაუქმებისათვის. მეფე ყოყმანობდა. მოსახლეობამ მეფეს 400 ლივრი შესთავაზა, ხოლო გოდრი 700 ლივრს სთავაზობდა. მას ეს ფული არ ჰქონდა, მაგრამ მოსახლეობისაგან გადასახადებით ამოიღებდა. გოდრიმ დაიბარა მერი და გამოუცხადა, რომ დაებრუნებინა უფლებები ეპისკოპოსისათვის. მან მოსპო კომუნა, რასაც მოჰყვა ლანის მოსახლეობის აჯანყება. ეპისკოპოსი, ვასალები მოკლეს. გოდრი გაიქცა საყდარში, ჩაძვრა კასრში და ხუფი დაიხურა თავზე, მაგრამ მაინც იპოვეს აჯანყებულებმა, სცემეს და მოკლეს. ის მხოლოდ ერთმა დიაკონმა დაასაფლავა ქალაქგარეთ უკურთხებელ მიწაზე. ლანმა გაიმარჯვა. მეფე დასჯიდა ლანის მოქალაქეებს, ამიტომ ისინი ეძებდნენ მოკავშირეს. ეს მოკავშირე აღმოჩნდა ბარონი ტომას დე მარლი, რომელიც იყო თვითნება ფეოდალი და არ ეპუებოდა მეფეს. მას ჰქონდა კრეისის ციხე და ქალაქი ნუაიონი. ის პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობდა. სწორედ ამ ბარონს სთხოვეს დახმარება.

ქალაქ ამიენს ჰყავდა 4 სენიორი. ძლიერი იყო გრაფი ტომას დე მარლის მამა, ეპისკოპოსი ჟოფრუა, მისი თანაშემწე იყო ვიდამი (კასტელანი) ციხის თავი. ამიენის მოქალაქეებმა მიმართეს ეპისკოპოს ჟოფრუას. ის დათანხმდა მოქალაქეებს, დაამტკიცა მათი ქარტია და დაითანხმა ვიდამი. ლუი VI-მ დაამტკიცა ამიენის კომ'უნა.მეფის დამოუკიდებლობა არ იყო ერთგვაროვანი. ის მოქმედებდა შეთანხმებით. მას ეპისკოპოსი, გრაფი ემტერებოდა. ლანი დაუკავშირდა ეპისკოპოსს. ტომას დე მარლიმ შეიფარა ლანის მოქალაქეები. მეფემ ის დაგმო, როგორც გოდრის მკვლელების შემფა-

რავი. მან ალყა შემოარტყა ქალაქს და წაუყენა პირობა: გოდრის მკვლელების გაცემა. მარლიმ გასცა ისინი. მეფე შევიდა ქალაქ ლანში, დასაჯა მოქალაქეები და კომუნა გააუქმეს. გვიბერ ნოჟანელი არ წერს ახალი ეპისკოპოსის სახელს, რომელიც ფრთხილად მართავდა ლანს.

სხვა ბედი ეწია ამიენს. მეფე მიადგა ამიენს. მოქალაქეების დახმარებით მეფემ სძლია მარლის მამას.

კაპეტინგების დინასტიის მიზანი იყო თავისი ხელისუფლების განმტკიცება, მაგრამ ანგარიში უნდა გაეწიათ კომუნისათვის. მეფე იყო სენიორი, მას ჰქონდა ქალაქები მაგალითად, ორლეანი. აქაც ადგილი აქვს კომუნალურ მოძრაობას. ბუნებრივია ის არ დაუჭერდა მხარს კომუნალურ მოძრაობას.

მოქალაქეებმა, როცა მოკლეს ეპისკოპოსი, უნდა დაესაჯათ მკვლელები, რადგან სამღვდელოება განუდგებოდა. მაგრამ მეფისთვის სასარგებლო იყო კომუნალური მოძრაობა, ეს ასუსტებდა მის მტრებს. სხვა ქალაქებში მეფე მერყეობდა, ფული თამაშობდა როლს. თავის ქალაქში კი უცებ ახშობდა.

ლუი VII უფრო თანმიმდევრულ პოლიტიკას ატარებდა. მისი პოლიტიკა საბოლოოდ ჩამოყალიბდა ფილიპე ოიგუსტის შვილიშვილის დროს. როცა ჩამოყალიბდა პოლიტიკური კავშირი, დაამარცხა სენიორები, ეს იყო ლუი IX-ს დროსაც, კომუნების დახმარებით. შემდეგ კომუნების დამოუკიდებლობაც მოსპეს.

ლანის კომუნამ დადო ვასალური დამოკიდებულება მეფესთან. მატიანეში მოხსენებულია კომუნის გაუქმება. საბოლოოდ ლანის კომუნის გაუქმება 1112 წელს მოიხსენიება და გადააქციეს ის სამეფო ქალაქად.

ამდენად კომუნალურმა მოძრაობამ გააძლიერა მეფის ხელისუფლება. ზოგიერთ შემთხვევაში სენიორი ძლიერი იყო. პატარა ქალაქი რჩებოდა სენიორის გამგებლობაში.

ასეთ ქალაქებს ბურჟუაზიულს უწოდებდნენ. ეს იყო ნახევრად დამოუკიდებული, რომელიც ეკუთვნოდა სენიორს, მაგრამ სარგებლობდა საგადასახადო, სასამართლო უფლებით, უმაღლესი იურისდიქცია ეკუთვნოდა სენიორს, დაბალი იურისდიქცია ქალაქებს. პარიზი ასეთი ქალაქი იყო.

იყო ახალი ქალაქი ნოიბურგი. მეფე და დიდკაცები აარსებდნენ თვითონ ქალაქებს. ლაროშელი – დაბა ადგილი იყო. შემდეგ ის აყვავდა და ძლიერ ქალაქად იქცა.

ეს მოძრაობა გავრცელდა სოფლებზეც. ერთ-ერთი შედეგი იყო ამისა პირადი თავისუფლების მიღება. ერთი შედეგი ჰქონდა ყველას. ქალაქის მცხოვრები გახდა პირადად თავისუფალი ადამიანი. ამ მოძრაობამ შედეგს მიაღწია უფრო ქალაქად, ვიდრე სოფლად.

კომუნა თვითონ შედიოდა იერარქიაში. ღებულობდა ფეოდალურ უფლებას. ე.ი ვისიმე ვასალი უნდა ყოფილიყო. კომუნა ხდება სენიორი.

ქ. ლანი 1128 წ შეიქმნა მეფის ვასალად. ქალაქს შეიძლება ჰყავდეს ვასალები. გერმანიაში ქალაქის ვასალებს ედერბიურგებს უწოდებდნენ. კომუნის უფლებები იყო შემდეგი:

1. ქალაქს შეეძლო თვითგამაგრება, ჯარის ყოლა. ქალაქის ჯარი იყო მილიცია. მილიცია იქმნებოდა ორი გზით: ა) ყოველი მოქალაქე ვალდებული იყო ემსახურა ქალაქის არმიაში. ბ) მოქალაქე იხდიდა სამხედრო გადასახადს, ხოლო ამ ფულით ქირაობდნენ სპეციალურად მეომრებს. მოქალაქეების მოვალეობა იყო გუშაგობა.
2. პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადის გადახდა.
3. ბაჟების აკრეფა.
4. ქალაქს ჰქონდა ციხე-სიმაგრე რამდენიმე სართულიანი.

5. ფულის მოჭრის უფლება. ვენეციამ მოჭრა ფული დუკატი, ფლორენციამ- ფლორინი, ინგლისმა- როზენობლი.
6. დიპლომატიური ურთიერთობის უფლება სხვა ქვეყნის ქალაქებთან.
7. გააჩნდა დამოუკიდებლობის სიმბოლო ბეჭედი. იყო დიდი ბეჭედი, რითაც საზეიმო და განსაკუთრებულ აქტებს ბეჭდავდნენ.
8. უფლება ჰქონდა თვითმმართველობის, რომელშიც შედიოდა: ქალაქის თავი, საბჭო და კრება.

მთავარი იყო ქალაქის საბჭო. მაგალითად. ჩრდილოეთ საფრანგეთში ბოვეში (უაკერიის ცენტრი) 13 წევრი იყო. ამიენში- 24 წევრი, ლანში- 36 წევრი. სამხრეთ საფრანგეთში ბორდოში-50, რუანში- 100, ვენეციაში- 480.

ქალაქის თავის რაოდენობა სხვადასხვა იყო. იტალიაში რამდენიმე კონსული იყო 12 ან მეტი. ვენეციის მეთაურს დოჟი ეწოდებოდა. საბჭოს თავმჯდომარე, მერი ხელმძღვანელობდა კრებას. იგი იყო სარდალი კომუნის, მილიციის. ის იყო ასევე კომუნის ბეჭდის შემნახველი. მერი იყო დიპლომატიური წარმომადგენელი მოლაპარაკების დროს სხვა ქვეყნებში.

მაგნატები ნაწილობრივ გადასახადისაგან თავისუფლდებოდა. წვეულებები იმართებოდა მათ პატივსაცემად. ხელფასს არ უხდიდნენ. ისინი დიდგვაროვნები იყვნენ. არსებობდა კოოპტაცია-ზემოდან დანიშვნა. ზოგჯერ ერთი და იმავე ოჯახის ხელში იყო ქალაქის თვითმმართველობა. ამ ოჯახებს პატრიციატი დაარქვეს. იტალიაში ისინი ნობილები იყვნენ. გერმანიაში კი რიხირცეხე-მაგნატები-კეთილშობილები. რომელი სოციალური ფენაა ეს? ეს იყო მდიდარი მოქალაქეები, მდიდარი ვაჭრები, მევახშეები, დიდი სახლის მეპატრონეები, პრივილიგირებული ფენა. როცა ქალაქი იმარჯვებდა, მაშინ პატრიციატი ეუფლებოდა ძალაუფლებას. ბავარიის ქალაქ

ნიურნბერგში მოსახლეობა შეადგენდა 25 ათასს და მას განაგებდა პატრიციატის 37 გვარი. ქალაქ კელნში XIV ს-ში იყო 35 ათასი მოსახლე, რომელსაც პატრიციატის 15 გვარი განაგებდა. ვენეციაში კი იყო 400 პატრიციული გვარი. ქალაქელები კი მცირე როლს ასრულებდა. პატრიციატი ბეგრავდა მოსახლეობას გადასახადებით. XIII ს-ის იურისტი წერდა:" დიდ არეულობებს იწვევდა ის, რომ მდიდრები თავს გადასახადებებისაგან ითავისუფლებდნენ და ბეგრავდნენ ხალხს. ხელოსნები დიდ უმრავლესობას შეადგენდა".კ. ბრიუხერმა შეისწავლა ქალაქი მაინის ფრანქფურტი. აქ XIV ს-ის 40-იან წლებში მოსახლეობის 60% შეადგენდა ხელოსნები ე. ი. 3\5-დი. XIII ს-ში პარიზში საგადასახადო სიებში 6 ათასამდე ხელოსანი იყო დაბეგრილი. ეს იყო მოსახლეობის 30%.

ოსტატი-ხელოსანი- წვრილი მრეწველი, განსხვავდებოდა გლეხისაგან. ის ეწეოდა სამრეწველო შრომას, რომელიც იყო მარტივი საქონლის მწარმოებელი. ხელოსნები იწყებდნენ გაერთიანებას კავშირებში პროფესიების მიხედვით. ლათინურად ეწოდებოდა ოქიციუმ, იტალიურად არტე, ფრანგულად მეტიე, გერმანულად ცეხე, რუსულად ცეხი, ქართულად ამქარი. სიტყვა ამჰარი- (ამქარი) სპარსული წარმოშობისაა. ამქარი ეს იყო ხელოსანთა კავშირი ანუ ერთი ქალაქის, ერთი პროფესიის, ოსტატი-ხელოსნების კავშირი, რომელსაც ჰქონდა თვითმმართველობა და სტატუსი. ის სარგებლობდა ეკონომიკური დამოუკიდებლობით და გააჩნდა სამხედრო, სასამართლო და რელიგიური უფლებები.

ამქარის შექმნის პირობა იყო ორი:

1. წვრილი წარმოება, როცა სახელოსნოში არ იყო შრომის დანაწილება, როცა ერთი კაცი აწარმოებდა. ის როგორც ხელოვანი, ისე უყურებდა თავის საქმეს. ზოგჯერ იარაღსაც ამზადებდა.

2. შრომის საზოგადოებრივი დანაწილება ე. ი. ხდებოდა შრომის დარგებად დანაწილება.

პარიზში იყო მხოლოდ მაუდის ოსტატები, შემდეგ მჩეჩავები, ფეიქრები, ძაფის დამრთველები, მთელავები, მკრეჭელები, მღებავები. შემდეგ გამრავლდა პროფესიები. ყოველ ქალაქში ათეულობით და დიდ ქალაქებში ასეულობით იყო ამქრები. მაგალითად გდანსკში იყო 60 ამქარი, მაინის ფრანკფურტში 151 ამქარი. ამქარის სახელოსნო წარმოება ფეოდალურ ხასიათს ატარებდა, სადაც გაჩნდა იერარქია. ზედა საფეხურზე იდგა სრულყოფილი, სახელოსნოს პატრონი-ოსტატი. უსტაზ-სპარსული სიტყვაა და მასწავლებელს ნიშნავს. თურქულად უსტა (ოსტატი) აქედან წარმოსდგება. ოსტატი MAGISTER (ლათინურად), MAISTRE (ფრანგულად), MASTER (ინგლისურად), MAESTRO (იტალიურად), MEISTER (გერმანულად)

მეორე საფეხურზე იდგა ქარგალი- დაქირავებული მუშა, ხოლო მესამეზე შეგირდი. შეგირდის მშობლებსა და ოსტატებს შორის იდებოდა ხელშეკრულება, რომელიც მამასახლისების მიერ მოწმდებოდა. ყოველ ამქარს ჰქონდა თავისი სტატუსი და განზრახვა. პარიზში შეგირდობის ვადა 2-დან 12 წლამდე იყო გათვალისწინებული. მაგალითად ფეიქრის შეგირდობის ვადა 4 წელი იყო. უფრო მეტი იყო ოქრომჭედლების, კრიალოსნების- 12 წელი. სტაჟის ხანგრძლივობა განისაზღვრებოდა პირველ რიგში წარმოების შესწავლის სირთულით და მეორე შეგირდის მიერ სწავლის ქირის გადახდით. მხოლოდ საშუალო შეძლების ოჯახს შეძლო სწავლის საფასურის მიცემა. ოსტატი ვალდებული იყო შეგირდი ერჩინა, მისთვის ხელობა ესწავლებინა და ზნეობრივად აღეზარდა იგი. ეს უკანასკნელი უნდა დამორჩილებოდა ოსტატს. ქარგლობა არ იყო სავალდებულო. მდგომარეობა აიძულებდა შეგირდს ქარგალი გამხდარიყო. მას არ ჰქონდა საშუალება სახელოსნო გაეხსნა. ქარგალს ოსტატი ქირაობდა. დაქირავების ვადა ნებაყოფლობითი იყო და განისაზღვრებოდა ერთი კვირით, ერთი თვით, ერთი წლით.

ოსტატის მიერ შეგირდის ექსპლუატაციის საშუალება იყო ხანგრძლივი სტაჟი. ოსტატს შეეძლო შეგირდობის ვადის გაგრძელებით მისი ექსპლოატაცია. პარიზში შეგირდობის სტაჟი 4 წელი იყო. ზოგიერთს არ ჰქონდა ამის გადახდის საშუალებაც და ტოვებდნენ 5 წელი. თუ 7 წელი დარჩებოდა, მაშინ არაფერს არ იხდიდა. შეგირდს შეეძლო თავი გამოესყიდა ოსტატისაგან, თუ გადაიხდიდა ფულს. ასევე ოსტატს შეეძლო შეგირდი გადაეცა სხვა ოსტატისათვის, რაშიც ფულს იღებდა. ექსპლუატაციას განიცდიდა ქარგალიც. ზოგჯერ ფულის ნაცვლად მათ ნატურით ისტუმრებდნენ. მას არ შეეძლო ვადაზე ადრე წასულიყო, თუ წავიდოდა დაჯარიმდებოდა სასამართლო წესით.

შეგირდი დიპლომის მიღების შემდეგ ხდებოდა ოსტატი. მთავარი პირობა იყო შეგირდობის სტაჟი, ფული სახელოსნოს გახსნისათვის, გამოცდის ჩაბარება: სიტყვიერი, პრაქტიკული. ზოგიერთ პრაქტიკულ გამოცდას თვეები სჭირდებოდა. მაგალითად ოქროს მჭედელს მაშინ მოათავსებდნენ სპეციალურ შენობაში, რომ არავის არ ესწავლებინა მისთვის და ითვლებოდა სანიმუშო გამოცდად.

ქარგალის ნამდვილი პატრონები იყვნენ ოსტატები.

კრება ადგენდა სტატუსს, წესდებას, შეჰქონდა შესწორებები და ირჩევდა მამასახლისებს. უსტაბაში (თურქულად)-ოსტატების თავი-მამასახლისი. მას ევალებოდა წარმოების ზედამხედველობა. სამი თვის შემდეგ მას საერთო კრებისათვის ანგარიში უნდა ჩაებარებინა. ამქარი თვალს ადევნებდა, რომ სახელოსნო გაეხსნა მხოლოდ ამქრის წევრებს და არა გლეხებს. ამქარი იყო რელიგიური ძმობა. ჰქონდათ ხატი, საღმრთო დროშა, რომელზეც გამოსახული იყო საწარმოო იარაღი, ბრუნდებოდნენ საამქრო სახლში და სუფრას იხდიდნენ საერთო ხარჯით, ასევე ქელეხსაც საერთო ხარჯით იხდიდნენ. როცა ოსტატი ავად გახდებოდა მას პენსიას აძლევდნენ. გარდაცვალების შემდეგ უვლიდნენ მის

ოჯახს. ქალიშვილს ამზითვებდნენ. ამქარს ჰყავდა ბევრი მტერი: სენიორი, ყაჩაღი. ამქარი იყო საპატიო მოკავშირე და ამავე დროს საშიში მტერი.

თემა მეთერთმეტე

ჯვაროსნული ლაშქრობანი (1096-1270 წწ)

რა არის ჯვაროსნული ლაშქრობა?

ჯვაროსნული ლაშქრობა არის ფეოდალური ევროპის სამხედრო კოლონიზატორული მოძრაობა, რომელმაც რელიგიური ელფერი მიიღო. ყოველ ეპოქას აქვს თავისი კოლონიზაცია. შუა სს-ში ყოველი მოძრაობა რელიგიურ ელფერს ღებულობდა. ჯვაროსნული ლაშქრობის მიზეზები უნდა ვეძებოთ იმ ცვლილებებში, რომელიც ევროპაში მოხდა. მთავარი მიზეზი იყო ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გამომდინარე ორი დიდი მოვლენა:

1. ფეოდალიზაციის დასასრული. დასრულდა გლეხობის ყმებად გადაქცევა. ეს პროცესი ზოგან შენელებული ტემპით მიმდინარეობდა მაგალითად გერმანიაში, ინგლისში. ხოლო ზოგან კი უფრო ინტენსიურად მაგალითად საფრანგეთში.

2. ქალაქების წარმოშობა. ქალაქი იყო ხელოსნობის და ვაჭრობის ცენტრი. ეს გარემოება კი იწვევდა კავშირს ქალაქსა და სოფელს შორის. ვენეციასა და გენუას სურდათ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით გაბატონება. მათ კი ხელს უშლიდა ბიზანტია, რომელიც იყო შუამავალი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ვაჭრობის სფეროში.

ადრე ბატონობდა ნატურალური კარჩაკეტილი მეურნეობა. „ფეოდალის კუჭი" განსაზღვრავდა ფეოდალურ რენტას. სოფლის პროდუქტს ქალაქის ბაზარი გაუჩნდა. XI საუკუნისათვის ამას ერთვის სასოფლო ტექნიკის დაბალი დონე.

ფრანგი მემატიანეები ხატავენ შიმშილობის სურათებს. გლეხობა იბრძოდა განთავისუფლებისათვის.

პირველ ყოვლისა გლეხობა გაეშურა ჯვაროსნულ ლაშქრობაში იმის იმედით, რომ იქ მიიღებდნენ თავისუფლებას და მიწას. მთავარი კონტიგენტი იყო ფეოდალთა კლასი:

1. ზედაფენა – მთავრები, გრაფები, ჰერცოგები, მარკიზები.

2. წვრილი რაინდობა (მემკვიდრეობით მიწა მამიდან უფროს ვაჟზე (ე.წ.მაიორატის წესით) გადადიოდა სხვა შვილებზე კი არა) ამან წარმოშვა მიწის არ მქონე წვრილი რაინდები.

ევროპაში გამოილია თავისუფალი მიწის ფონდები. ესპანეთში მავრების ხარჯზე შეიძინეს მიწები, გერმანელებმა კი სლავების ხარჯზე. მაგრამ დასავლეთის ქვეყნებში ეს შესაძლებლობა არ იყო. ფეოდალის შემოსავალი მცირე იყო და არ იზრდებოდა. წვრილი რაინდები შევიწროებული იყვნენ. ჯვაროსნული ლაშქრობებით დაინტერესებული იყო ქალაქები. XI საუკუნეში ვენეცია, გენუა, პიზა ცნობილია, როგორც სავაჭრო ცენტრები, ბარსელონა ესპანეთში, მარსელი სამხრეთ საფრანგეთში. ისინი დაინტერესებული იყვნენ ხმელთაშუაზღვისპირეთის ვაჭრობით. ევროპის ვაჭრობა აქტიურდებოდა.

ამ დროს მოხდა განხეთქილება მსოფლიო ეკლესიებს შორის. ეს მოხდა ჯერ კიდევ ადრე. ბიზანტიაში იმპერატორის ხელისუფლება ძლიერი იყო. ეკლესია აღმოსავლეთში ემორჩილებოდა საერო ხელისუფლებას. აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობა უხსოვარი დროიდან არსებობდა. ბიზანტია იყო ქრისტიანული ქვეყანა. იტალიის ქალაქების დაწინაურება დაიწყო ბიზანტიის მეშვეობით. როცა ქალაქები დაწინაურდა ბიზანტია მათი კონკურენტი გახდა.

განხეთქილება დასავლეთის და აღმოსავლეთის ქრისტიანობას შორის მოხდა 1054 წელს. დასავლეთის ეკლესიას სა-

თავეში ედგა რომის პაპი, ხოლო აღმოსავლეთის ეკლესიას კონსტანტინეპოლის პატრიარქი. აღმოსავლეთის ეკლესია ცნობდა მორჩილებას საერო ხელისუფლებისადმი. დასავლეთის ეკლესია მიისწრაფოდა თეოკრატიისაკენ. თეოკრატია ეს არის მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც პოლიტიკური ძალაუფლება სამღვდელოებას ეკუთვნის. 1054 წელს საბოლოოდ გაითიშა აღმოსავლეთის და დასავლეთის ეკლესიები, როცა რომის პაპმა ლეო IX-მ თავისი კანდიდატი აკურთხა სიცილიის არქიეპისკოპოსად, რითაც კონსტანტინეპოლის პატრიარქის მიხეილ კერულარიოსის უფლებები შელახა. ამის საპასუხოდ მიხეილ კერულარიოსმა ბიზანტიაში ყველა ის მონასტერი და ეკლესია დახურა, რომელიც კათოლიკური იყო. პავლე VI-მ მოხსნა ეკლესიების განკვეთა. საეკლესიო გათიშვამ გარკვეული როლი ითამაშა ჯვაროსნულ ლაშქრობაში. პაპები გახდნენ ჯვაროსნული ლაშქრობის ინიციატორები. პაპების მოქიშპე იყო რომის საღმრთო იმპერატორები. ინვესტიტურისათვის ბრძოლა გადახლართული იყო ჯვაროსნულ ლაშქრობაში. ინვესტიტურა ნიშნავს სასულიერი პირის დანიშვნას ეპისკოპოსად და მისთვის საეკლესიო მიწის გადაცემას.

წმინდა ადგილი იყო პალესტინაში, სადაც მოღვაწეობდა იესო ქრისტე. იესოს ცხოვრების შემსწავლელია სახარების წიგნები, რომლებიც შუქს ჰფენენ წმინდა ადგილებს. სხვადასხვა ბერებმა ააშენეს აქ ტაძრები და მონასტრები. პალესტინა იყო კულტურული ცენტრი იმ დროინდელი სამყაროსი. ქართველ ბერებს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ აქ. გრ. ფერაძის წიგნი- „ქართველი ბერებისა და წმინდა ადგილების შესახებ“, 1937 წელს ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა. ქართველებს 20-მდე წმინდა ადგილი ჰქონდათ. დღეს საქართველოს არა აქვს წმინდა მიწაზე ეკლესიები. იგი ბერძნების, სირიელების ხელშია. გავრცელებული იყო აზრი, რომ ვინც წმინდა ადგილას მივა, განკურნებულია ცოდვებისაგან. პალესტინა

იმყოფებოდა ბიზანტიის ხელში. ცვალებადი იყო წმინდა ადგილების ბედი. VII საუკუნეში ეს ადგილები დაიპყრო არაბეთმა. არაბები არ ავიწროებდა ევროპელების ვაჭრობას. პილიგრიმები იყვნენ ვაჭრები. არაბთა ხალიფები მფარველობდნენ პილიგრიმებს. კარლოს დიდი ცხადდებოდა პილიგრიმების მფარველად.

გამოჩნდნენ ახალი დამპყრობლები თურქები. ერთ-ერთი მოდგმა ოღუზების სირდარიის, ამურდარიის ნაპირზე მოთავსდნენ. დუკაკის შვილი იყო სელჩუკი. 1037 წელს დუკაკი გარდაიცვალა. 1038 წელს თოღრულ ბეგმა თავი გამოაცხადა სულთანად. ამ ხალხს თურქ-სელჩუკები ეწოდა. ალფ- არსლანმა გააგრძელა მისი საქმე, აიღო ქალაქი ბაღდადი. ხალიფამ შეინარჩუნა რელიგიური უფლებები 1062-1072 წლამდე. მის დროს პირველად თურქები შეიჭრნენ ბიზანტიის ტერიტორიაზე. 1071 წელს ვანის ტბის ჩრდილოეთით მოხდა მანასკერტის ბრძოლა სომხეთის ტერიტორიაზე. აქ ერთმანეთს შეეჯახა რომანოზ დიოგენი და ალფ-არსლანი. ორივე გამოირჩეოდა მრავალეროვნებით. რომანოზ დიოგენი ჩავარდა ტყვედ. სომხების ღალატმაც ითამაშა გარკვეული როლი. ალფ-არსლანს ცვლის მალიქ შაჰი. ამ დროიდან იწყება დიდი თურქობა 1080 წელი. დავით აღმაშენებელმა იკისრა ხარკის შეწყვეტა 1097 წელს. წარმოიშვა რამდენიმე სასულთნო და საამირო. ერთ-ერთი სასულთნო მცირე აზიაში იკონია იყო. სულთანის რეზიდენცია. იყო რუმი (ურუმი), ანტიოქიის საამირო, დამასკოს საამირო სირიაში. იერუსალიმიც სულთანს ეკუთვნოდა. ბიზანტიის იმპერატორები ხედავდნენ სარკმლიდან მიწა წყალს, სადაც უკვე თურქები იყვნენ. იყო მცირე სომხეთი კილიკიაში, სადაც შეინარჩუნეს დამოუკიდებლობა. ალექსი კომნენოსმა სახელმწიფო გადატრიალებით ხელში ჩაიგდო ძალაუფლება. ანა კომნინა წერს: ბიზანტია იყო მძიმე მდგომარეობაში. მთელი სასულთნო რუმის ხელში იყო. ჩრდილოეთიდან იყო პაჭანიკების შემოსევა,

ესენი იყვნენ იგივე თურქები მხოლოდ სხვა შტო. ე.ი ბიზანტია თურქეთის რკალში მოექცა. ალექსი კომნენოსმა გამოიყენა სამხრეთის ქრისტიანული ძალები. პაპმა გრიგოლ VII მიმართა თხოვნით, რომელმაც დაიწყო ინვენტიტურისათვის ბრძოლა. 1095 წლის 18 ნოემბერს სამხრეთ საფრანგეთში ქ. კლერმონში ჩატარდა საეკლესიო კრება, რომელზედაც რომის პაპმა ურბან II-მ წარმოთქვა სიტყვა, ამ სიტყვით ჩვეულებრივ იწყებენ პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ისტორიას. სელჩუკებთან ხანგრძლივი ომებით დასუსტებულ ბიზანტიას ძალა არ შესწევდა შეეჩერებინა თურქთა მოწოლა და დაეცვა ქრისტეს საფლავი. რომის კათოლიკური ეკლესია თავის თავზე იღებდა ამ საპატიო მისიის შესრულებას. ეს იყო ოფიციალური მიზეზი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში რაზმების მოგროვებისა და მცირე აზიაში თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ჯვაროსნული ომებისა. მაგრამ ჯვაროსნებს იმდენად ქრისტეს საფლავის დახსნა არ აინტერესებდათ, რამდენადაც მდიდარი აღმოსავლეთის ხელში ჩაგდება. რუსი მეცნიერის უსპენსკის სამართლიანი შენიშვნით: „არც იერუსალიმი და არც ქრისტეს საფლავის განთავისუფლება აინტერესებდათ ჯვაროსანთა ბელადებს, არამედ დამოუკიდებელი სამთავროების შექმნა აღმოსავლეთში, ბიზანტიის დაპყრობა და ბოლოს სავაჭრო უპირატესობის მოპოვება ბიზანტიის და მუსლიმთა მხარეში."

ბიზანტიისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების დაპყრობა, აი რა იყო ჯვაროსანთა რაზმების, არისტოკრატი მეთაურების პოლიტიკური მიზანი. საქართველო, როგორც ბუნებრივი ნაწილი, წევრი იყო იმ აღმოსავლეთის, რომლის დაპყრობას სელჩუკები ლამობდნენ, ის საკუთარ, თავისებურ სახლს აშენებდა.

საფრანგეთის მეფემ ფილიპე I-მა არ მიიღო პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობა. გერმანიის იმპერატორი ჰაინრიხ IV 6 ჯერ განკვეთეს ეკლესიისაგან და მასაც

არ მიუღია მონაწილეობა. მეფეები არ მონაწილეობდნენ პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში, არამედ ფეოდალები. ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღეს ფილიპეს ძმამ ბალდუინმა, ნორმანდიის ჰერცოგმა რობერმა უილიამ დამპყრობელის შვილმა. ვერმონდუას გრაფმა-ჰიუგ ვერმონდუამ, ფილიპეს უმცროსმა ძმამ ტულუზის გრაფმა რაიმუნდ IV–მ, ბოემუნდ ტარანტელმა-(რობერ გვისკარის შვილი და პაპის გრიგოლ VII-ის მოკავშირე). ამათგან ბოემუნდ ტარანტელი იყო ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე ცბიერი ბელადი.

ყოველი ჯვაროსანი არმიაში მიდიოდა თავისი ხარჯით ამიტომ მეტი დრო დასჭირდა მათ მომზადებას. გლეხები უფრო იოლად მოემზადნენ. ქურდები, ყაჩაღები შეუერთდა ჩრდ. საფრანგეთიდან. რაინის, გერმანიის გავლით მათ გერმანელი ღარიბ ღატაკნი შეუერთდნენ. ესენი იყვნენ SINE HUBERE- არაფრის მქონე, SINE PEKUNE- ფულის არ მქონე.

ისინი მიდიოდნენ მდინარე დუნაის გაყოლებით. მოსახლეობა აძლევდა მოწყალებას. უნგრეთის გავლა ძნელი გახდა. მიაღწიეს კონსტანტინეპოლს. აქ დაიწყეს ქურდობა. ჩქარობდნენ პალესტინაში მოხვედრას. ჯვაროსნები 4 მიმართულებით მიიწევდა:

პირველი ლაშქარი გაემართა სამხრეთი საფრანგეთიდან გრაფი რაიმუნდ IV ტულუზელის (ტულუზიდან) მეთაურობით. მან სამხრეთ საფრანგეთიდან გადაჭრა ალპები, გაიარა ლომბარდია, დაუყვა დალმაციას და თრაკიის გავლით დაიძრა კონსტანტინოპოლისკენ.

მეორე ლაშქარი დაიძრა ჩრდილოეთ საფრანგეთიდან და ქვემო ლოტარინგიიდან- გოტფრიდ ბულონელის მეთაურობით, მას ახლდა ბალდუინი და ასევე რაინდობა.

მესამე ლაშქარი წავიდა სამხრეთი იტალიიდან- რობერტ გვისკარის ვაჟი ბოემუნდ ტარანტელის მეთაურობით, გადაცურა ადრიატიკის ზღვა და გაიარა ბალკანეთის ნახევარკუნძული.

მეოთხე ლაშქარი ჩრდილოეთ საფრანგეთიდან დაიძრა, რომელსაც მეთაურობდა ნორმანდიის ჰერცოგი რობერი (უილიამ დამპყრობლის უმცროსი შვილი). წავიდნენ სამხრეთისაკენ, იტალია გადაკვეთეს და დაიძრნენ კონსტანტინოპოლისაკენ.

პაპის გამოთვლით ლაშქრის რაოდენობას 300 000 ათას აღწევდა. თანამედროვე მკვლევარები მიიჩნევენ ამ რიცხვებს გაზვიადებულად და ასახელებენ რამდენიმე ათასს. ეს იყო უზარმაზარი საკოლონიზაციო მოძრაობა. ბიზანტიის იმპერატორმა ალექსი კომნენოსმა შეკრიბა დიდი ჯარი და მომზადებული შეხვდა. ჯვაროსნებმა გამოავლინეს დამპყრობლური პოზიციები. ჯვაროსნები ზიზღით უყურებდნენ ბიზანტიელებს. მათ მწვალებლებად თვლიდნენ, როგორც ბარბაროსებს. ალექსი კომნენოსს ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ისინი სხვადასხვა დროს მივიდნენ კონსტანტინოპოლში. გოტფრიდ ბულონელი და ტარანტელი გვიან წავიდნენ. მათ სუზერენად აღიარეს ბიზანტიის იმპერატორი. ჯვაროსნები მიადგნენ ქალაქ ნიკეას. აქ დაიღუპა ბევრი ჯვაროსანი. ბიზანტიელები შევიდნენ ქალაქში. ჯვაროსნები არ შეუშვეს ქალაქში და ვერ გაძარცვეს. ისინი მიადგნენ ქ. დორილეოსს. ორ რაზმად გაიყო ჯვაროსნები. მარჯვენა რაზმს მეთაურობდა ბულონელი, მარცხენას კი ტარანტელი. ეს გამოიყენეს თურქებმა, თავს დაესხნენ ბოემონდ ტარანტელს და დაამარცხეს. შემდეგ ქრისტიანები გაერთიანდნენ და მარცხი მიაყენეს თურქებს. ამ უკანასკნელებმა თავი დაანებეს შეტაკებებს, ისინი მოულოდნელად ესხმოდნენ თავს ჯვაროსნებს, იტაცებდნენ აღალს. აუტანელი იყო კლიმატი. დღისით მზე, ღამით ყინვა, უწყლობა, შიმშილი. მცირე აზიის აუტანელმა ბუნებამ შეინირა ჯვაროსნების საკმაოდ დიდი რაოდენობა. ბევრი უკან გამობრუნდა. ბოლოს მიაღწიეს სამხრეთ-აღმოსავლეთ კილიკიას. აქ იყო სომხების სამფლობელო, ქალაქი ტარსოსი, მეფე ტაკავარი. სომხებმა კარგად მიიღეს ჯვაროსნები. ჯვაროსნებმა შეავსეს დანაკარგი ცხე-

ნების მხრივ. კილიკიაში შესვენებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აქ იყო ქ. ედესა, რომელსაც მართავდა ტოროსი. მას დაუმეგობრდა ბალდუინი. მან დაიპყრო მთელი ოლქი. შეიქმნა ედესის საგრაფო. 1097 წლის შემოდგომაზე მიადგნენ ანტიოქიას. ის მთის კალთებზე იყო აგებული და მიუდგომელი იყო. 1097 წლის ოქტომბერში დაიწყეს ანტიოქიის გამაგრება, მოვიდა წვიმები, გავრცელდა დაავადებანი. დიდ როლს ასრულებენ ამ დროს იტალიელები. შვიდი თვე გაგრძელდა გარემოცვა. ქალაქი გარშემოვლებული იყო გალავნით, მისი გარღვევა სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ჯვაროსნებს დაეხმარა ერთ-ერთი ციხის კომენდანტი ფირუზა, მისი დახმარებით ციხეში შეაღწიეს. მძინარე ქალაქში დაიწყო საშინელი ხოცვა–ულეტა, განსაკუთრებით კი ებრაელების. დამხმარე ძალებმა ალყა შემოარტყეს, მაგრამ ბოემონდ ტარანტელმა სძლია. შემდეგ დაიპყრეს ქალაქი ტრიპოლი. წარმოიშვა ანტიოქიის სამთავრო და ტრიპოლის საგრაფო (დღევანდელი ლიბანის ტერიტორიაზე). 1099 წლის ივლისში მიადგნენ იერუსალიმს. ქალაქის დამცველები ჯვაროსნებს აყრიდნენ ისარს, მორებს, მუგუზლებს. ჯვაროსნებმა დიდი მსხვერპლი გაიღო. იერუსალიმის წინააღმდეგ ბრძოლაში მათ დაეხმარა გენუა. გენუელების დახმარებით ჯვაროსნებმა ააგეს ურნალები, ორსართულიანი ხის კოშკები, რომელსაც ხარის ტყავი მოავლეს, რომ ცეცხლი არ მოდებოდა. აკეთებდნენ ხიდს და შედიოდნენ ქალაქში. ჯვაროსნებმა გაარღვიეს კედელი. 1099 წლის 15 ივლისს საბოლოოდ აიღეს იერუსალიმი. ისინი არ ინდობდნენ დიდსა და პატარას, ერთიანად ხოცავდნენ ყველას. მარტო სოლომონის ტაძარში, რომელსაც თავი შეაფარეს მუსლიმებმა (აქაც არ დაინდეს ისინი), ამოხოცეს. მუხლებამდე სისხლი დადგა. ისინი ძარცვაგლეჯვასაც ეწეოდნენ. ვინც პირველი შედიოდა სახლში მისი ხდებოდა იგი.

იერუსალიმის მმართველად აირჩიეს გოტფრიდ ბულონელი. მან არ იკისრა მეფის ტიტულის მიღება. ქრისტეს საფლავის დამცველის სახელი მიიღო. ის მეფობდა 1099-1100 წწ-ში. შემდეგ აირჩიეს ედესის გრაფი ბოლდუინი. ჯვაროსნები შეადგენდნენ უმცირესობას. ჩამოყალიბდა 4 სახელმწიფო: იერუსალიმის სახელმწიფო გოტფრიდის მეთაურობით, ანტიოქიის სამთავრო ბოჰემუნდის მეთაურობით, ედესის საგრაფო ბალდუინის და ტრიპოლის საგრაფო რაიმონდის მმართველობით.

ეროვნებით ჯვაროსნები უმთავრესად ფრანგები იყვნენ. მოსახლეობას ეჯავრებოდა ჯვაროსნები, მათ ლათინებს უწოდებდნენ. ლაშქრობებით მოიგო იტალიელმა ვაჭრებმა. ჯვაროსნებმა გადმოიტანეს თავიანთი წესწყობილება. ეს ჩანს იერუსალიმის ასიზებში, რომელიც არის თავისებური კონსტიტუცია.

იერუსალიმის ასიზები ასახავს XI-XII საუკუნის ჩრდილ;ოეთ საფრანგეთის ადგილობრივ ანუ კუტიუმების სამართალს -DROIT COUTUMIER. აღსანიშნავია იერუსალიმის სამეფოს სამართლის ორი თავისებურება:

1. მიწის ფეოდალები აქ მარტოოდენ სამხედროა და მათი ჭერა შეუძლიათ მარტო მხედრებს-რაინდებს, რომლებიც ვალდებული არიან მუდმივი სამხედრო სამსახურის.

2. სამეფოს ყველა ვასალი მეფის უახლოესი ვასალია და მაშასადამე არ შეუძლიათ იყვნენ სხვა სენიორების მახლობელი ვასალები.

არც პირველი და არც მეორე მდგომარეობა არ არის დამახასიათებელი მოცემული ეპოქის საფრანგეთის ფეოდალური სამართლისათვის.

როგორ ხდებოდა შესვლა სამეფოს უზენაესი სენიორის ვასალურ დამოკიდებულებაში და რა მოვალეობა აქვს ვასალს თავისი სენიორისადმი მისგან ვასალური დამოკიდებულების აღიარების ძალით.

როდესაც ვინმე მამაკაცი ან ქალი შედის სამეფოს უზენაესი სენიორის ვასალურ დამოკიდებულებაში, მან უნდა დაიჩოქოს მის წინაშე და თავისი შეერთებული ხელები ჩაუწყოს სენიორს და აღუთქვას ერთგულება, რომ დაიცავს და დაიფარავს ყველა ადამიანის წინააღმდეგ და უნდა ეამბოროს მას პირზე ერთგულების აღსანიშნავად.

ვასალს ევალება არ აიძულოს ვინმე აღმართოს ხელი სენიორის პიროვნებაზე, აგრეთვე არ მოითმინოს და შეძლებისამებრ არ დაუშვას, რომ ვინმე სხვა ჩადიოდეს ამას. ასევე არ შეიძლება აღება ან ვისიმე იძულება აიღოს და დაიჭიროს რაიმე სენიორის ქონებიდან მის უნებართვოდ და მისი ნების წინააღმდეგ,თუკი ეს არ ხდება სენიორის კურიის განაჩენით და ნებართვით... და არც ქალი და არც მამაკაცი არ უნდა მოქმედებდნენ თავიანთი სენიორის წინააღმდეგ.

სენიორმა არც თვითონ და არც სხვების მეშვეობით არ უნდა შეახოს ხელი თავისი ვასალის პიროვნებასა და ფეოდს სხვანაირად, თუ არა კურიის ბჭობითა და თანხმობით და ვალდებულია იგი დაიცვას თავისი ვასალის მიმართ, მათ შორის ერთგულების ძალით, ვინაიდან სენიორსა და ვასალს შორის არაფერია გარდა ერთგულებისა. ვასალის ვალდებულებაა მიეცა თავი მძევლად თავისი სენიორისთვის მისი საპყრობილედან დასახსნელად, თუ სენიორი სთხოვს ამის შესახებ პირადად ან რომელიმე მაუწყებლის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ მისი სენიორი აღმოჩნდება ბრძოლაში ქვეითად მტრებს შორის ან სხვაგვარად ჩავარდება სიკვდილის ან თავისუფლების აღკვეთის საფრთხეში, ვალდებულია თავისი ერთგულების ძალით პატიოსნად გამოიყენოს მთელი ძალღონე, რათა კვლავ შესვას იგი ცხენზე და იხსნას ამ საფრთხისაგან. და თუ იგი ვერ შეძლებს გააკეთოს ეს სხვაგვარად, ვალდებულია დაუთმოს მას, მისი თხოვნით, საკუთარი ცხენი ან სხვა ცხოველი, რომლითაც წავიდა სალაშქროდ, დაეხმაროს მას შეჯდეს ცხენზე და მთელი ძალ-ღონით გაუწიოს მას დახმარება მისი პიროვნების გადასარჩენად. ხოლო

ვინც არ შეასრულებს თავისი სენიორის მიმართ ზემოთხსენებულ ვალდებულებებს, იგი დაარღვევს მის მიმართ თავის ერთგულებას.

როგორ და რა მიზეზით შეუძლია მას, ვინც იმყოფება მრავალი სენიორის ვასალურ დამოკიდებულებაში, აღმართოს იარაღი თავისი სენიორის წინააღმდეგ, მის მიმართ თავისი ერთგულების დაურღვევლად.

უკეთუ ვინმე იმყოფება მრავალი სენიორის ვასალურ დამოკიდებულებაში, შეუძლია მას ერთგულების დაურღვევლად ყველა გარემოებაში და ყოველგვარი საშუალებით დაეხმაროს თავის პირველ სენიორს სხვათა წინააღმდეგ, ვინაიდან იგი გახდა სხვების ვასალი პირველისადმი ერთგულების შენარჩუნებით. სწორედ ასევე შეუძლია მას დაეხმაროს თვითოეულ დანარჩენ სენიორსაც, მაგრამ ისე, რომ არ შეეხოს პირველს და არც იმათ შეეხოს, რომელთა ვასალი იგი გახდა, იმაზე ადრე, ვისაც სურს აღმოუჩინოს დახმარება.

ისინი უნდა წავიდნენ სამსახურში მისი გამოძახებით ცხენით და იარაღით სამეფოს ყველა ადგილას, სადაც იგი მოიხმობს მათ... და დარჩნენ სამსახურში ერთ წლამდე.

არსებობს ასიზი და ადათი, რომლის თანახმად ყველა რაინდი, რომელნიც სამოცი წლის ასაკს გადაცილებულნი ან აშკარად დასახიჩრებული არიან, პირადი სამსახურისაგან თავისუფლდება.

რა არის მიზეზი ჯვაროსანთა გამარჯვებისა I ლაშქრობის დროს:

1. მტრის სისუსტე. თურქებმა ვერ შეძლეს გაერთიანება ჯვაროსნების წინააღმდეგ, ჯვაროსნები ეომებოდნენ ცალკეულ საამიროებს.

2. ჯვაროსნები მოქმედებდნენ ბიზანტიასთან შეთანხმებით.

თურქების ყურადღება მიპყრობილი იყო საქართველოსადმი. დავითის ისტორიკოსი მოგვითხრობს:„ამას ჟამსა გა-

მოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია და შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქვეყანა ქართლისა, გაძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი და არღარა მისცა სულთანსა ხარაჯა."

ქართველების მიერ სულთანისადმი ხარკის შეწყვეტა უშუალოდ დაკავშირებული იყო ჯვაროსნების გამოსვლებთან და მათ მიერ ანტიოქიისა და იერუსალიმის აღებასთან. რ. მეტრეველის მიერ დადგენილია ხარკის შეწყვეტის თარიღი 1099 წელი. აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს მიაჩნია, რომ ჯვაროსანთა და ქართველთა ურთიერთობის მაჩვენებელია, რომ დავითის რაზმები მონაწილეობდნენ იერუსალიმის განთავისუფლებაში.„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"-ს ავტორის მონათხრობის მიხედვით:„ლაშქარნი დავითისანი წყობათა დავითისათა იერუსალიმს ერთობდეს" ე.ი დავით აღმაშენებლის ჯარები იერუსალიმში დავით წინასწარმეტყველის რაზმებთან გაერთიანებული იყვნენ.

პროფ. შ. მესხიას შეფასებით როგორც ჯვაროსნებს, ასევე საქართველოსაც ერთმანეთთან კავშირი იმ დროისათვის აუცილებლად სჭირდებოდათ. ჯვაროსნებს საქართველო, როგორც ქრისტიანული ქვეყანა, სურდათ გამოეყენებინათ თურქების წინააღმდეგ, საქართველოს და მის მეფეს კი ჯვაროსნების ბრძოლა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ, მდგომარეობას უმსუბუქებდა და დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა. რადგან თურქების ყურადღება მიპყრობილი იყო საქართველოსადმი ჯვაროსნებს უფრო გაუადვილდათ გამარჯვება.

3. ჯვაროსან ფეოდალებს შორის ხშირი იყო ომები. ზოგჯერ ერთი ჯვაროსანი ფეოდალი მიმართავდა თურქებს მეორის წინააღმდეგ საბრძოლველად. ვენეციელებსა და გენუელებს შორის, პიზელებს შორის მიმდინარეობდა ბრძოლა სავაჭრო კონკურენციისათვის.

4. დენადობა ჯვაროსნების. ემიგრაცია და რეემიგრაცია.

5. კონფიგურაცია თავისებური იყო. საზღვარი ძალიან გრძელი იყო.

საჭირო შეიქნა რეგულარული სამხედრო ძალის შექმნა. ასეთი ძალები იყო სასულიერო რაინდული ორდენი. ნახევრად რაინდული, ნახევრად მონოზვნური ორდენი. მისი წევრი იყო ერთი მხრივ მონაზონი და მეორე მხრივ მახვილით ხელში ბრძოლა უხდებოდა ურჯულოთა წინააღმდეგ. ისინი ცხოვრობდნენ მონასტრებში. ორდენის სათავეში იდგა გროსმაისტერი (დიდი მაგისტრი) ცალკე პროვინციების სათავეში პროვინციის მაგისტრები, კომანდორი.

სულ იყო 3 ორდენი პალესტინაში:

1. გოტრფუა ბულონელის დროს 1099 წელს დაარსდა სამხრეთის საზღვრების დასაცავად ჰოსპიტალიერების ორდენი. ჰოსპიტალი იყო წმ. იოანეს სახელობის, რომელიც ორი ათასს ავადმყოფს იტევდა. ამ სამხედრო ძალას ეცვა აბჯარმუზარადი, მონაზვნის მოსასხამი შავი კაპიშონი ზურგზე დიდი თეთრი ჯვარით. ის ჯერ კუნძულ კვიპროსზე იყო, ხოლო შემდეგ 1125 წლამდე როდოსის კუნძულზე, შემდეგ კუნძულ მალტაზე და არსებობდნენ მალტის ორდენის სახელწოდებით. სულხან საბა ორბელიანი მოიხსენიებს მალტას ფრანგულ ორდენს, ცნობილია, რომ რუსეთის იმპერატორი, პავლე I იყო მისი გროსმაისტერი, შემდეგ ნაპოლეონ ბონაპარტი და ბოლოს ინგლისელებმა წაართვეს ფრანგებს ეს ორდენი.

2. 1119 წელს ბოდუენის დროს დააარსეს მეორე ორდენი-ტამპლიერების ორდენი. ვინაიდან იგი ტაძრის მახლობლად იყო და ეს სახელწოდებაც აქედან წარმოდგება. ააშენეს მრავალი ციხე-სიმაგრე, მამულები ჰქონდათ სირიაში, პალესტინაში. მათი ფორმა იყო თეთრი წამოსასხამი, თეთრი კაპიშონი და წითელი ჯვარი.

ტამპლიერების ორდენი იმდენად გაძლიერდა, რომ მათ 10 ათასი ეკლესია ემსახურებოდა სხვადასხვა ადგილებში, ორდენს ასევე ჰქონდა უამრავი მამული. XIV ს-ის დასაწყისში

(1307ნ) როცა საფრანგეთის მეფემ ფილიპე IVლამაზმა დაშალა ეს ორდენი, მან მისი 10 ათასი მამულის კონფისკაცია მოახდინა. ორდენს ჰყავდა საკუთარი საზღვაო ფლოტი, ბანკები. მან კუნძულ კიპროსის შესაძენად 100 ათასი ოქრო გაიღო.

3. XII ს-ის მიწურულში წარმოიშვა მე-3 ტევტონთა ორდენი, ფრიდრიხ ბარბაროსას შვილის ფილიპე შვაბიელის მიერ წმ. მარიამის სახელობის ორდენი. მასში უმთავრესად გერმანელები ღებულობდნენ მონაწილეობას. როცა ისლამის მიმდევრებმა ჯვაროსნები შეავიწროვეს, რაინდების ორდენმა ყველაზე ბოლოს დატოვეს ეს ადგილები. ტევტონთა ორდენმა თავისი მუშაობა გადაიტანა ბალტიისპირეთში. მან ფართო ვაჭრობა გაშალა ჩრდილოეთში და მალე ჰანზის სავაჭრო კავშირის ძლიერ კონკურენტად გადაიქცა. ორდენი უმთავრესად ქარვით ვაჭრობდა. მის სავაჭრო ცენტრად კენიქსბერგი ითვლებოდა. სავაჭრო ქსელი ჰქონდა გაბმული ფლანდრიასთან, ბრიუგესთან, რუსეთთან, პოლონეთთან, ლატვიასთან.

ტევტონთა ორდენმა მალე მახვილოსანთა ორდენი შეიერთა და შექმნა ძლიერი ლივონიის ორდენი. ტევტონთა ორდენს პირველად ალ. ნეველმა ჩუდის ტბაზე აგემა დარტყმა 1242 წელს, ხოლო 1410 წელს გრიუნვალდთან ბრძოლაში ტევტონთა ორდენის პოლიტიკური ძალა საბოლოოდ განადგურდა.

ჯვაროსანთა მეორე ლაშქრობა

პირველი ლაშქრობა იერუსალიმის აღებით დამთავრდა. ამ ლაშქრობას მოყვა მთელი რიგი ლაშქრობებისა, რომელთაგან მხოლოდ 8 ლაშქრობას აღნიშნავენ. თუმცა მათი რიცხვი გაცილებით მეტი იყო. მარტო პირველსა და მეორე ლაშქრობას შორის ე. ი. XII ს-ის განმავლობაში ექვსი ლაშქრობა მოეწყო, მაგრამ აქედანაც მხოლოდ ორ ლაშქრობას აღნიშნავენ, მეორე და მესამე ლაშქრობის სახელწოდებით.

მეორე ლაშქრობა 1147 წელს მოხდა და გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ მესოპოტამიის თურქებმა აიღეს ედესა და ევროპელების დანარჩენ სამფლობელოებსაც ემუქრებოდნენ. მხოლოდ ამ ლაშქრობაშიღა მიიღეს მონაწილეობა პირველად ევროპის მეფეებმა. სალაშქროდ განემზადა საფრანგეთის მეფე ლუი VII და გერმანიის მეფე კონრად III, რომლებიც თავისი ლაშქრით იმავე გზით გაემართნენ, რა გზითაც პირველი ლაშქრობა გაემართა. ბიზანტიელების ვარაუდით ლაშქარი 900 ათასი კაცისაგან შედგებოდა, მაგრამ ზუსტი ცნობები მათი რაოდენობის შესახებ არ მოგვეპოვება.

მეორე ლაშქრობის მიმართულება იწყებოდა მეციდან, სამხრეთიდან გაუვლიდა ჩეხეთს, შემდეგ უნგრეთისა და ბულგარეთის ტერიტორიაზე გადასვლითა და კონსტანტინეპოლის გავლით წარიმართებოდა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებისაკენ. ამ მიმართულებით პირველად გამოსული გერმანელების შეიარაღებული ნაწილები თურქებმა მცირე აზიაში გაანადგურეს. ფრანგები კი იტალიის ნავსადგურებიდან საზღვაო გზით პალესტინისაკენ გაემართნენ. გერმანელებმა და ფრანგებმა ერთმანეთს არ დაუცადეს. პირველად გაემართნენ გერმანელები და ვიდრე მათ ფრანგები შეუერთდებოდნენ მაჰმადიანების მიერ სრულიად განადგურებულ იქნენ დორილეასთან. გაერთიანებული ძალებით ფრანგებმა და გერმანელებმა დიდი ვაივაგლახით დამასკოს მიაღწიეს, მაგრამ აქაც საშინლად დამარცხდნენ და იძულებული იყვნენ უშედეგოდ დაბრუნებულიყვნენ ევროპაში. საჭირო გახდა ახალი ლაშქრობის მოწყობა. ამდენად ჯვაროსანთა მეორე ლაშქრობა 1149 წლამდე გაგრძელდა. რატომ დამარცხდნენ ჯვაროსნები? ისმის კითხვა. ბრძოლის დროს სირიაში უკვე დაბინავებული ბარონები მათ არავითარ დახმარებას არ უწევდნენ. ეს ბარონები შიშობდნენ, რომ გამარჯვების შემთხვევაში ახლად მოსული ჯვაროსნები

თვითონ ძველ მონაპოვარს ხელში ჩაიგდებდნენ და გაბატონდებოდნენ პირველთა ხარჯზე.

ჯვაროსანთა მესამე ლაშქრობა

ახალი ლაშქრობა საჭირო შეიქმნა უფრო მას შემდეგ, რაც სულთანმა სალადინმა თავისი მბრძანებლობის ქვეშ მოაქცია ეგვიპტისა და წინა აზიის სახალიფოები და საღვთო ომი გამოუცხადა თავის მხრივ ქრისტიანებს და 1187 წელს იერუსალიმი აიღო. ამის გამო დაიწყო მესამე ლაშქრობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამმა უძლიერესმა სახელმწიფომ: ინგლისმა,საფრანგეთმა და გერმანიამ, მაგრამ მიუხედავად ამისა ლაშქრობამ მაინც ვერ გამოიღო არსებითი შედეგები და ვერ მიაღწია თავის მიზანს. ინგლისის მეფე რიჩარდი თავისი სისასტიკის გამო, მაჰმადიანებისაგან ლომგულად წოდებული ქრისტიანულ ქალაქ მესინას აოხრებს. მან ამჟღლიტა 2 ათასი მაჰმადიანი მძევალი. გადმოცემის თანახმად, როდესაც რიჩარდი კვდებოდა, მას წინადადება მისცეს ზიარებულიყო და მოენანიებინა თავისი ცოდვები, მაგრამ მან ცივი უარი განაცხადა. იგი უშვერი სიტყვებით ლანძღავდა სარწმუნოებას და იმ სამღვდელო პირს, რომელიც მის საზიარებლად იყო მისული. აქედან ჩანს, თუ რამდენად აინტერესებდა ქრისტეს საფლავის განთავისუფლება მაჰმადიანებისაგან, მაშინ როდესაც იგი ჯვაროსანთა ლაშქრობაში მიემგზავრებოდა. მაგრამ ამ მხრივ ის მოლაშქრეთა შორის პირველსა და უკანასკნელს არ წარმოადგენდა და ამავე დროს საფრანგეთის მეფე ფილიპე II-სთან მუდმივ მეტოქეობაში, დავაში იმყოფებოდა. ისინი მალე დაბრუნდნენ ევროპაში. გერმანიის იმპერატორი, მოხუცებული ფრიდრიხ ბარბაროსა, რომელსაც შიშით მოელოდა სალადინი, კილიკიის ერთ-ერთ მდინარეში დაიხრჩო, რის შემდეგაც მისი ჯარის უმეტესი ნაწილი ევროპაში დაბრუნდა.

ევროპელებს ხელთ შერჩათ მხოლოდ სირიის ზღვისპირა ვიწრო ზოლი ტიროსიდან იაფამდე და კუნძული კიპროსი, სადაც ცალკე სამეფო დაარსდა. აღნიშნული ლაშქრობების დროს ბიზანტია ვერაგულად ეპყრობოდა ევროპელ მოლაშქრეებს, ხშირად ისინი მაჰმადიანებს შეუკავშირდებოდნენ მათ წინააღმდეგ. მაგრამ არც ევროპელები ეპყრობოდნენ ბიზანტიელებს სინდისიერად და პატიოსნად. ლაშქართა მომეტებული ნაწილი ძარცვავდა და არბევდა, როგორც კონსტანტინეპოლის მიდამოებსა და მის ახლო-მახლო მდებარე პროვინციებს, ისე თვით დედაქალაქსაც. ჯვაროსნები და ბიზანტიის ხელისუფლება ერთმანეთს ყოველთვის უნდობლობით უყურებდნენ. ეს გარემოება გახდა ერთ-ერთი მიზეზთაგანი, რის გამოც განზრახულ იქნა მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა ეგვიპტის მიმართულებით წარემართათ და არა სირიისა და ბიზანტიის.

მაგრამ როგორ მოხდა ის, რომ ეგვიპტელი მაჰმადიანების წინააღმდეგ მომზადებული ლაშქრობა ეგვიპტეში კი არ წარიმართა, არამედ კონსტანტინეპოლისაკენ გაემართა, ქრისტიანების წინააღმდეგ და ცეცხლსა და მახვილს მისცა მთელი კულტურული ბიზანტია. აქ უფრო ნათლად მოსჩანს, რომ ლაშქრობის ინიციატორებსა და ხელმძღვანელებს, დაწყებული რაინდებიდან და დამთავრებული რომის პაპით, არ აინტერესებდათ სარწმუნოებრივი საკითხები და ქრისტეს საფლავი. მათი მიზნები და მისწრაფებები სულ სხვა იყო.

მეოთხე ლაშქრობა და ლათინთა იმპერია

მე-4 ლაშქრობის მოწყობაში მონაწილეობა მიღო ცნობილმა პაპმა ინოკენტ III-მ. იგი პაპის ტახტზე ასვლისთანავე (1198 წ) მეოთხე ლაშქრობის მოწყობის თადარიგს შეუდგა და ბრძანება გასცა მთელი კათოლიკური ეკლესიის შემოსავლის მე-40 ნაწილი ლაშქრობისათვის გადაედოთ. ამ ლაშქრობაში

ევროპის მეფეებს მონაწილეობა არ მიუღიათ, ვინაიდან მათთვის ინოკენტ III უფრო მეტ საშიშროებას წარმოადგენდა, ვიდრე აღმოსავლეთის მაჰმადიანები.

ლაშქრობის მთავარ მოქმედ პირებად ვენეციელები და ევროპის ბარონები იყვნენ, რომლებსაც უმთავრესად საფრანგეთის რაინდობა გაჰყვა. ამჟამად ჯვაროსანთა მხედრობა, როგორც აღინიშნა, მიზნად ისახავდა გაელაშქრა არა სირიაში, მსგავსად პირველი ლაშქრობისა, არამედ ეგვიპტეში, ვინაიდან მაჰმადიანების მთავარი ძალები აქ იმყოფებოდა. თუ ევროპელები დაძლევდნენ ამ მთავარ ძალას, თუკი დაიპყრობდნენ ეგვიპტეს, შემდეგ თავისუფლად გადავიდოდნენ პალესტინაში და სირიაში და ამგვარად ადვილად მიაღწევდნენ თავის მიზანს.

ეგვიპტეში გადასასვლელად საჭირო იყო გემები და მოლაშქრეებმა ვენეციას მიმართეს. იგი თანახმა იყო გადაესხა ჯარი, მხოლოდ სანაცვლოდ 85 ათასი მარკა მოითხოვა.

ლაშქრობის მთავარსარდლად აირჩიეს 1201 წელს იტალიის მარკგრაფი ბონიფაციუს მონფერატელი. ერთი წლის შემდეგ ლაშქარმა ვენეციაში მოიყარა თავი, მხოლოდ მთვარსარდალი არსად ჩანდა. რადგან მთელი მხედრობა 15 ათასი კაცისაგან შედგებოდა და მათი მოთავსება თვით ვენეციაში სახიფათო იყო, ამიტომ მოლაშქრეები წმინდა ნიკოლოზის კუნძულზე განალაგეს, რომელიც ვენეციასთან ახლოს მდებარეობდა. თვით ვენეციამ იკისრა მათი მომარაგება სურსათით, ვიდრე ლაშქრობა სამგზავროდ დაიძრებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელს კარგა ხანს მოუხდა აქ ცდა. ვენეცია თავდაპირველად კარგად ამარაგებდა მოლაშქრეებს სურსათით, მაგრამ მას შემდეგ რაც ჯვაროსნებმა დაუგვიანეს ვენეციას შეპირებული თანხის დანარჩენი ნაწილის გადაცემა, ვენეციამაც სურსათის მიწოდება გააუარესა. მოლაშქრეებს შორის შიმშილი ჩამოვარდა და გადამდები სენი გავრცელდა. მაგრამ ვინ იყო მათი პატრონი. მთავარსარდალი

სადღაც შორს იმყოფებოდა და რაც უფრო საგულისხმოა, აღარც თვით პაპი აქცევდა ყურადღებას მათ უმწეო მდგომარეობას.

თვით ლაშქარი მოითხოვდა, რომ ვენეციას იგი საჩქაროდ ეგვიპტეში გაეყვანა, მაგრამ ვენეცია ამ საქმეს აბრკოლებდა. აბრკოლებდა კი იმიტომ, რომ იგი ერთი მხრივ არ თანაუგრძნობდა ლაშქრობის მოწყობას ეგვიპტელი მაჰმადიანების წინააღმდეგ, ვინაიდან ამ უკანასკნელებთან მას გაცხოველებული სავაჭრო კავშირი ჰქონდა დამყარებული და მეორეს მხრივ მას სურდა, როგორც ეს შემდეგში გამოირკვა, ჯვაროსანთა ლაშქარი თავისი საკუთარი ინტერესებისათვის გამოეყენებინა.

სად იყო ამ ლაშქრის მთავარსარდალი ბონიფაციუს მონფერატელი, რომელიც უკვე ერთი წლის განმავლობაში მთავარსარდლის სახელწოდებას ატარებდა და ჯართან კი არ იმყოფებოდა? მან ერთი წელიწადი (1201-1202) მოგზაურობას მოანდომა გერმანიასა და რომს შორის. იგი საიდუმლოდ აგვარებდა პაპთან და შვაბიის მეფესთან იმ საქმეს, რომელმაც სრულიად შეცვალა ლაშქრობის მიზანი და მიმართულება.

ამ საქმის სულის ჩამდგმელი შვაბიის მეფე ფილიპე (ფილიპე შვაბელი) იყო. ამ საიდუმლო საქმეს ნათელი რომ მოვფინოთ, საჭიროა განვიხილოთ, თუ რა პოლიტიკური ვითარება იყო ბიზანტიაში. 1195 წელს ბიზანტიაში მოხდა სასახლის კარის გადატრიალება. მეფე ისაკი ჩამოაგდო მისსავე ძმამ, რომელიც ალექსი III-ის სახელწოდებით გამეფდა. მან დააბრმავა თავისი ძმა ისაკი და ციხეში ჩასვა. ისაკს ჰყავდა ვაჟიშვილი, რომელსაც აგრეთვე ალექსი ერქვა. ისიც თავის მამასთან ერთად ციხეში ჩასვა, მაგრამ ისაკის შვილი ალექსი მალე ციხიდან გააპარეს და ის გერმანიაში გაიქცა თავის დასთან ირინესთან, რომელიც ფილიპე შვაბელს ჰყავდა ცოლად. ალექსიმ დახმარება სთხოვა ფილიპეს და ეს უკანას-

კნელიც შეეპირდა დახმარებას. მაგრამ როგორ უნდა დახმარებოდა იგი? ისაკის ან ალექსის ტახტზე აღდგენა ადვილი საქმე არ იყო. ამისათვის საჭირო იყო კონსტანტინეპოლის აღება და იმპერატორ ალექსი III-ის განდევნა. ეს კი შესაძლებელი იქნებოდა ჯვაროსანთა დახმარებით, რომელიც სალაშქროდ ეგვიპტისაკენ ემზადებოდა და თუ შეიცვლებოდა ლაშქრობის მიმართულება კონსტანტინეპოლის ასაღებად.

1201 წელს, როგორც აღვნიშნეთ, ჯვაროსანთა მთავარსარდლად ბონიფაციუს მონფერატელი აირჩიეს. ეს ბონიფაციუსი კი იმავე გიბელინების პარტიას ეკუთვნოდა, რომელსაც ფილიპე შვაბელი მეთაურობდა და ჰოჰენშტაუფენების მხარე ეჭირა. ამისათვის ბონიფაციუსს საფუძველიც ჰქონდა, ვინაიდან მისი წინაპრების მსგავსად, ისევ ჰოჰენშტაუფენებისაკენ (გიბელინებისაკენ) მიილტვოდა იმ იმედით, რომ უფრო დაწინაურებულიყო. ჩაიბარა რა მთავარსარდლობა, იგი გერმანიაში გაემგზავრა ფილიპე შვაბელთან, სადაც მას ფილიპეს ცოლის ძმა ალექსიც დახვდა. სწორედ აქ შედგა სამივეს: ფილიპე შვაბელის, ალექსის და ბონიფაციუს მონფერატელის შეთანხმება ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობის მოწყობის შესახებ. ასევე საჭირო იყო პაპის ინოკენტ III-ის თანხმობა, ხოლო ჯვაროსნებს კი დაპირებებით, მოტყუებით წარმართავდნენ კონსტანტინეპოლისაკენ. ინოკენტის თანხმობას იმ შემთხვევაში მიიღებდნენ თუ ალექსი საიმპერატორო ტახტის დაბრუნების შემდეგ, აღმოსავლეთის ეკლესიას რომის პაპს დაუქვემდებარებდა, რაზეც ალექსი თანახმა იყო. სწორედ ამ მიზნით გაემგზავრა ბონიფაციუსი რომის პაპთან. აღმოსავლეთის ეკლესიის ხელში ჩაგდება მისთვის უდიდეს საქმეს წარმოადგენდა. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება, რომ ინოკენტ III მოლაპარაკების შემდეგ თითქოს ჩამოშორდა ლაშქრობის საქმეს და განზე გადგა, რომ მის სახელს ჩირქი არ მოსცხებოდა.

ბონიფაციუსი ბრუნდება ვენეციაში, სადაც ლოდინით

შეწუხებული ჯვაროსანთა ჯარი ელოდა. ვენეციის სათავეში იდგა დოჟი ენრიკო დანდოლო, რომელიც იყო მოხუცებული და მტრულად განწყობილი ბიზანტიელების წინააღმდეგ. რაც განპირობებული იყო იმით, რომ ბიზანტიაში იმპერატორი ალექსი III კრიტიკულ ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და საქმის გამოსასწორებლად აქ მცხოვრებ ვენეციელ ვაჭრებს გაუზარდა გადასახდები, რაც ეწინააღმდეგებოდა 1187 წელს დადებულ ხელშეკრულებას ბიზანტიასა და ვენეციას შორის. ვენეციამ ამაზე პროტესტი განაცხადა. ბიზანტიამ კი ამის საპასუხოდ გენუასთან სავაჭრო ხელსეკრულება დადო. ხოლო ვენეცია და გენუა ერთმანეთის მეტოქეები და მოსისხლე მტრები იყვნენ. ვენეციას ამ ხელშეკრულების ძალით ხელიდან ეცლებოდა სავაჭრო მოგება, რომელსაც კონსტანტინეპოლთან ვაჭრობა იძლეოდა და ამიტომ იგი მზად იყო ბიზანტიის წინააღმდეგ გაელაშქრა. მხოლოდ ბონიფაციუსს ფულით ან ნატურით უნდა გადაეხადა მისთვის გემების დაქირავების თანხა. დანდოლომ დაავალა ჯვაროსნებს ვალის ანგარიშში ვენეციისათვის დაეპყროთ ქალაქი ზარა (დალმაციაში). ბონიფაციუსს ფული არ გააჩნდა და იძულებული იყო დათანხმებულიყო, მხოლოდ თვითონ სამხედრო ოპერაციებში არ მიუღია მონაწილეობა. ასევე მოიქცა პაპის ლეგატი, რომელმაც თავი აარიდა ამ ავანტურას და რომში დაბრუნდა.

სამხედრო ოპერაციებს ქალაქ ზარას წინააღმდეგ დანდოლო ხელმძღვანელობდა. მან 1202 წლის ოქტომბერში გემებში ჩასხა ჯვაროსნები და გავიდა ზღვაში თითქოს ეგვიპტის მიმართულებით, ნამდვილად კი მოტყუებით მთელი ერთი თვე 15 ათასი ჯვაროსანი ატარა ადრიატიკის ზღვაში და შემდეგ გამოუცხადა, რომ რადგან ნოემბერში საშიში იყო ზღვაზე შორეული მოგზაურობა, ამიტომ ეგვიპტის მიმართულებით ლაშქრობა დროებით უნდა გადაედოთ. ამის შემდეგ თითქოს გამოსაზამთრებლად დანდოლო ფლოტით ქა-

ლაქ ზარას მიადგა. 24 ნოემბერს ჯვაროსნებმა ეს ქალაქი აიღეს და სასტიკად გაძარცვეს. ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობა ტყვედ აიყვანეს და მონებად გაყიდეს.

აქ ქალაქ ზარაში შეიკრიბნენ ყველა მოქმედი პირები: ჯვაროსანთა მთავარსარდალი ბონიფაციუს მონფერატელი, ბიზანტიის იმპერატორის შვილი ალექსი, პაპის ლეგატი, ფილიპე შვაბელის წარმომადგენელი და ვენეციის დოჟი დანდოლო, რომელიც ჯარს ახლდა. აქ საბოლოოდ გადაწყდა კონსტანტინეპოლზე გალაშქრება.

ფილიპე შვაბელი ჯვაროსნებს შემდეგ წინადადებას სთავაზობდა: „სენიორებო! მე თქვენ გიგზავნით ჩემს ცოლის ძმას... თქვენ მიდიხართ უფლების დასაცავად და სამართლიანობის აღსადგენად. თქვენ დაუბრუნებთ კონსტანტინეპოლის ტახტს იმ პირს, რომელსაც იგი უსამართლოდ ჩამოერთვა. სამაგიეროდ თქვენი დასაჩუქრებისათვის მეფის შვილი ალექსი დადებს თქვენთან ისეთ ხელშეკრულებას, რომლის მსგავსიც არასოდეს და არავისთან არ დაუდვია იმპერიას. ამასთანავე იგი დაგეხმარებათ წმინდა ქვეყნის დაპყრობაში. თუ ღვთის წყალობა იქნება და შესძლებთ მის ტახტზე აყვანას, მაშინ იგი საბერძნეთის იმპერიას კათოლიკურ ეკლესიას დაუმორჩილებს. იგი აგინაზღაურებთ გაწეულ ხარჯებს. იგი გაიღებს თქვენთვის ერთდროული დახმარების სახით 200 ათას მარკას ვერცხლოთ და უზრუნველყოფს სურსათით თქვენს არმიას და ბოლოს იგი პირადად გაგყვებად აღმოსავლეთის დასაპყრობად ანდა მოგაშველებთ ჯარს 10 ათასი კაცისაგან შემდგარს, რომელიც ერთი წლის განმავლობაში იმპერიის ხარჯზე იქნება შენახული. გარდა ამისა იგი იკისრებს იყოლიოს მუდმივი 500 ჯარისკაცისაგან შემდგარი რაზმი აღმოსავლეთის დასაცავად."

მაშასადამე რომის პაპი მიიღებდა აღმოსავლეთის ეკლესიას, ალექსი საიმპერატორო ტახტს, ჯვაროსნები გასამრჯელოს 200 ათასი მარკის ოდენობით და შემდეგ ალექსიც

ჯვაროსნებს აღმოსავლეთის წმინდა ადგილების დაპყრობაში დაეხმარებოდა.

ჯვაროსნები 1203 წლის ივლისის დამდეგს კონსტანტინეპოლში შეიჭრნენ. ალექსი III გაიქცა კონსტანტინეპოლიდან. დაბრმავებული ისაკი კვლავ ტახტზე აიყვანეს, თანამმართველად მისი შვილი დასვეს, მაგრამ დაპირებული გასამრჯელო ვერ გადაუხადეს ჯვაროსნებს. ისაკი და ალექსი შეეცადნენ მოსახლეობის ხარჯზე შეეგროვებინათ დაპირებული თანხა, რამაც დედაქალაქის მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ისაკის გარდაცვალების შემდეგ ალექსი V მურზუფლი გამოცხადდა იმპერატორად, მაგრამ ჯვაროსნების ვალის გადახდა მაინც ვერ მოხერხდა. ჯვაროსნები ხელმეორედ 1204 წლის 13 აპრილს კონსტანტინეპოლში შეიჭრნენ და საშინლად დაარბიეს. ქრისტიანი ჯვაროსნები, რომლებიც თავისთავს ღვთის მხედრებს უწოდებდნენ, ეკლესიიდან ვერცხლისა და ოქროს სამკაულებს იტაცებდნენ, ხატებსა და სახარებას ფეხით სთელავდნენ, საღმრთო წერილის წიგნებს აგლეჯდნენ ოქროს და ვერცხლის ყდებს, ხოლო წიგნებს ზღვაში ყრიდნენ. დანგრეული და ცეცხლისაგან გადამწვარი კონსტანტინეპოლი შავად და უმწეოდ გამოიყურებოდა. დატაცებული სიმდიდრე ჯვაროსნებმა შეაგროვეს და გაიყვეს.

ამდენად, ევროპელი რაინდები დამკვიდრდნენ ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე, დაისაკუთრეს მიწები, აირჩიეს თავის მეფედ ფლანდრიელი ბალდუინი და საფუძველი ჩაუყარეს ე. წ. ლათინთა იმპერიას, რომელმაც 1261 წლამდე იარსება. ლათინთა იმპერია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე 4 სახელმწიფოსაგან შედგებოდა: ლათინა იმპერია სატახტო ქალაქ კონსტანტინეპოლით, თესალონიკის სამეფო, ახაის სამთავრო (პელოპონესში) და ათენთებეს საჰერცოგო. თითოეული მათგანი იყოფოდა თავის მხრივ ცალკეულ საგრაფოებად და სენიორებად.

ვენეციამ მიისაკუთრა ზღვის საუკეთესო ქალაქები, რომელთაც დიდი სავაჭრო მნიშვნელობა ჰქონდა. რაც შეეხება რომის პაპის ინტერესებს, აღმოსავლეთის ეკლესიის დაქვემდებარების შესახებ ეს დაუკმაყოფილებელი დარჩა.

შემდეგი ჯვაროსნული ლაშქრობანი

მეოთხე ლაშქრობის შემდეგაც იერუსალიმი ისევ თურქეთის ხელში რჩებოდა. მე-5 ლაშქრობის დაწყებამდე მოწყობილ იქნა ბავშვების ლაშქრობა უთუოდ იმ პირების მიერ, რომელთაც სურდათ გამოეყენებინათ ჯვაროსანთა ლაშქრობა თავისი მიზნებისათვის. საფრანგეთში გავრცელდა ხმა იმის შესახებ, თითქოს ევროპელი ჯვაროსნების მარცხი განპირობებული იყო იმით, რომ წმინდა ადგილების დასაცავად გაემართა მოზრდილი ადამიანები, რომელთაც უამრავი ცოდვა ჰქონდათ ჩადენილი. ამიტომ ღმერთმა არ მოისურვა ცოდვილი ადამიანებისაგან წმინდა ადგილების განთავისუფლება. ე. ი. საჭირო იყო ქრისტეს საფლავის დასახსნელად წავიდნენ უცოდველნი ე. ი. ბავშვები. მალე 30 ათასამდე ბავშვი და მოზრდილი ყოველგვარი შეიარაღების გარეშე დაიძრნენ. საფრანგეთის მეფე ფილიპე II-მ აკრძალა ეს ლაშქრობა, მაგრამ მიუხედავად ამისა ისინი გაემართნენ სამხრეთით მარსელისაკენ. მარსელიდან გაემართნენ პალესტინისაკენ, მაგრამ ამოვარდნილი ქარიშხალის გამო მათი ნაწილი დაიღუპა, ხოლო დანარჩენები გადაიყვანეს ეგვიპტეში და მონებად გაყიდეს.

გერმანიიდან და სამხრეთ იტალიიდან დაიძრა 20 ათასამდე ბავშვი. აქ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ისინი დააკავეს და უკან სამშობლოში დააბრუნეს. მაგრამ უკან დაბრუნებისას ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიღუპა.

ჯვაროსანთა მე-5 ლაშქრობა დაიწყო 1217 წელს და დამ-

თავრდა 1221 წელს. ჯვაროსნები უნდა გადასულიყვნენ ეგვიპტეში და იქედან წასულიყვნენ იერუსალიმში. მათ როგორც იქნა ბრძოლით დაიკავეს ქალაქი დამიეტა, მაგრამ შემდეგი წარუმატებლობის გამო იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ მდინარე ნილოსის მიდამოები და 1221 წელს უკან დაბრუნებულიყვნენ. ეს მარცხი განპირობებული იყო ჯვაროსანთა შორის არსებული უთანხმოებით და სამხედრო ხელმძღვანელობის უუნარობით.

ჯვაროსანთა მე-6 ლაშქრობა (1228-1229 წწ) ფრიდრიხ ბარბაროსას შვილიშვილმა ფრიდრიხ II შტაუფენმა წამოიწყო. მან ისარგებლა იმ გარემოებით, რომ ეგვიპტის სულთანი დაკავებული აღმოჩნდა შინაგანი ბრძოლებით, რის გამოც მას არ შეეძლო შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა ჯვაროსნებისათვის. იგი დათმობაზე წავიდა და ფრიდრიხ II-მ იერუსალიმი და რამდენიმე პუნქტი უბრძოლველად დაიკავა.

ფრიდრიხმა ვერ ისარგებლა მოპოვებული წარმატებით. პაპმა გრიგოლ IX-მ გადაწყვიტა ფრიდრიხი გადაეყენებინა ტახტიდან და მის ადგილას ისეთი პიროვნება გაემეფებინა, რომელიც პაპის მორჩილი და ერთგული იქნებოდა. ფრიდრიხის ლაშქრობაში ყოფნისას პაპმა კვლავ წამოიწყო ბრძოლა გერმანიაში, სადაც გაგზავნა ჯარი იოანე ბრიენელის მეთაურობით. ფრიდრიხი იძულებული გახდა მალე დაეტოვებინა აღმოსავლეთი და უკან გამობრუნებულიყო. ფრიდრიხის უკან წასვლის შემდეგ ჯვაროსნებში დაიწყო უთანხმოება. 1244 წელს მუსლიმებმა კვლავ დაიბრუნეს იერუსალიმი, ამჯერად კი საბოლოოდ.

ორი უკანასკნელი მე-7 და მე-8 ლაშქრობა საფრანგეთის მეფემ ლუი IX-მ წამოიწყო. ფრანგებს სურდათ ჩრდილოეთ აფრიკაში გაბატონება. ჯვაროსანთა მე-7 ლაშქრობა გრძელდებოდა 1248 წლიდან 1254 წლამდე. სამხედრო ოპერაციები კვლავ ეგვიპტის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, მაგრამ ეს ლაშქრობაც მარცხით დამთავრდა. თვით ლუი IX მოწინააღ-

მდეგის ხელში ტყვედ ჩავარდა, რის გამოც თავის გამოსახსნელად იძულებული იყო დიდი თანხა გაეღო. 1270 წელს იმავე ლუი IX-მ გადაწყვიტა ახალი მე-8 ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობა, მაგრამ მის მოწოდებას ბევრი არ გამოეხმაურა. მაგრამ ეს ხარვეზი მან შეავსო ფულით რაინდობის დაქირავებით. ეს ლაშქრობა ტუნისის მიმართულებით წარიმართა. ტუნისში ყოფნისას ჯვაროსნებში გავრცელდა შავი ჭირი, რის გამოც ჯვაროსნების მნიშვნელოვანი ნაწილი და თვით ლუი IX-ც დაიღუპა. დანარჩენები იძულებული გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ.

ამის შემდეგ პაპები კვლავ არ წყვეტდნენ მოწოდებას ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობისაკენ, მაგრამ მათ მოწოდებას აღარავინ გამოეხმაურა და ახალი ლაშქრობა არ შედგა. სირიაში დარჩენილი ჯვაროსანთა კოლონიები ევროპიდან აღარ ღებულობდნენ დამხმარე ძალებს. მარტო საკუთარი ძალებით კი მათ არ შეეძლოთ ისლამის მიმდევართა გახშირებული იერიშების უკუგდება, რის გამოც ჯვაროსნები ზედიზედ კარგავდნენ ქალაქებსა და გამაგრებულ პუნქტებს. 1268 წელს ჯვაროსნებმა დაკარგეს ანტიოქია, 1289 წელს ტრიპოლი, ხოლო 1291 წელს უკანასკნელი დასაყრდენი აღმოსავლეთში აკრა.

ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგები

ამრიგად, სულ ჩატარდა რვა ოფიციალური ჯვაროსნული ლაშქრობა.

პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა- 1096-1099 წლებში მიმდინარეობდა,

მეორე ლაშქრობა – 1147-1149 წწ.

მესამე ლაშქრობა – 1189-1192 წწ.

მეოთხე ლაშქრობა – 1201-1204 წწ.

მეხუთე ლაშქრობა – 1217-1221 წწ.

მეექვსე ლაშქრობა – 1228-1229 წწ.

მეშვიდე ლაშქრობა – 1248-1254 წწ.

მერვე ლაშქრობა -1270 წ.

1261 წელს მოისპო ჯვაროსანთა ბატონობა, აღდგა ბიზანტიის იმპერია. 1268 წელს ჯვაროსნებმა დაკარგეს ანტიოქია, 1289 წელს დაკარგეს ტრიპოლი, 1291 წელს კი დაკარგეს აკრა.

ჯვაროსნული ლაშქრობა სრული კრახით დამთავრდა. ევროპელებმა ვერც ერთი მნიშვნელოვანი ადილი აღმოსავლეთში ვერ შეინარჩუნეს. ამ ორი საუკუნის მანძილზე წარმოებული„უგუნური ჭიდილი'', რამაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეინირა, ფუჭი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ჯვაროსანთა ლაშქრობებმა ევროპის შემდგომი განვითრების საქმეში მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ჯვაროსნულ ლაშქრობათა შედეგად აღმოსავლეთთან ვაჭრობის საქმეში არაბებისა და ბიზანტიის მონოპოლია განადგურებულ იქნა და იტალიის, სამხრეთ საფრანგეთისა და კატალონიის ქალაქების ჰეგემონია დამყარდა. ამ ლაშქრობათა შედეგად ევროპა აღმოსავლეთს უფრო მეტად დაუახლოვდა და ლევანტთან მისი ვაჭრობა უფრო გაცხოველდა.

დასავლეთიდან პალესტინის სანაპიროებისკენ გაჰქონდათ საომარი იარაღი, მაუდი, ხორბალი, ცხენები და სხვა, ხოლო სირიიდან ეზიდებოდნენ ხილს, ღვინოს, შაქარს, ბამბას, აბრეშუმს და სხვ. მაგრამ ევროპისთვის უფრო საჭიროს წარმოადგენდა აღმოსავლური სანელებლები, საღებავები და სხვ. ბალზამით განთქმული იყო ეგვიპტე, მიხაკის მნიშვნე-

ლოვანი რაოდენობა მოლუკის კუნძულზე მოიპოვებოდა. კოჭა ინდოეთიდან მოჰქონდათ, ხოლო დარიჩინი ჩინეთიდან და ცეილონიდან. საუკეთესო საკმეველი კიპროსსა და მცირე აზიაში მზადდებოდა. ზაფრანა და შაქრის ლერწამი მოიპოვებოდა აგრეთვე სამხრეთ ევროპაში და პალესტინაში, მაგრამ უკეთესი ხარისხისა მოჰქონდათ ირანიდან და ეგვიპტიდან. ინდიგო გავრცელებული იყო ქაბულის მახლობლად ირანში, ხოლო ქაფური ჩინეთში და სუმატრაზე.

ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა დაუახლოვეს ევროპა აღმოსავლეთის ქვეყნებს. ამით ევროპა გაეცნო აღმოსავლურ კულტურას, რის შედეგადაც აღმოსავლეთის გამოცდილება სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში გადმოტანილ იქნა ევროპაში. თუმცა აღმოსავლური კულტურა მანამდეც გადმოდიოდა ევროპაში კუნძულ სიცილიისა და განსაკუთრებით კორდოვას სახალიფოს მეშვეობით, მაგრამ დასავლეთ ევროპაზე აღმოსავლური კულტურის უფრო ეფექტური გავლენა იწყება ჯვაროსანთა ლაშქრობის შემდეგ. ევროპაში ვრცელდება, საზამთრო, გარგარი, ლიმონი, წიწიბურა და სხვ. ამავე დროს ფართო ხმარებაში შემოდის შაქარი, რომელიც მზადდებოდა შაქრის ლერწმისგან.

ტექნიკის განვითარებასაც გარკვეული შედეგი მოჰყვა. ფიქრობენ, რომ ქარის წისქვილები ევროპელებმა სირიიდან გადმოიღეს. ფეოდალური ჯარებში დაიწყეს არბალეტის გამოყენება, დაფისა და ნაღარის ხმარება. ჯვაროსანთა ლაშქრობის დროს გამოყენებულ იქნა კომპასი, რამაც გააუმჯობესა ზღვაოსნობის ტექნიკური პირობები. ამავე დროს ფართოდ იქნა შემოღებული იალქნიანი გემების ხმარება. ეს იყო ახალი პერიოდის დასაწყისი ზღვაოსნობის განვითარებაში, ზღვაოსნობის სტრატეგიისა და ტაქტიკის განვითარებაში.

თემა მეთორმეტე

ინგლისი XI-XIII საუკუნეებში

ინგლისის ერთიანი სამეფოს მეფე გახდა უილიამ დამპყრობელი (1066-1087 წწ). იგი შეეცადა განემტკიცებინა მეფის ხელისუფლება ინგლისში. ანგლო-საქსთა მიწები მან დაურიგა ნორმანდიელებს, მაგრამ განდიდებული ნორმანდიელი ფეოდალები არანაკლებ საშიში იქნებოდა, ამიტომ მათ დაურიგა მიწები ცალ-ცალკე, სხვადასხვა საგრაფოში. ამით ფეოდალების ძალები დაქსაქსა. მან ფეოდალურ ეპოქაში არსებული წესი-ჩემი ვასალის ვასალი არაა ჩემი ვასალი-დაარღვია და მის ნაცვლად ყველა ვასალისაგან მეფის ხელისუფლებისადმი უშუალო დამორჩილება მოითხოვა.

1086 წელს მან სპეციალური კომისია გამოყო, რომელმაც აღწერა ყველა სოფელი, ქალაქი, დასახლებული პუნქტი ყოველ საგრაფოში. წიგნში, რომელსაც ეწოდა „საშინელი სამსჯავროს წიგნი" (Domesday book) მოცემულია აღწერა ყოველ საგრაფოში რამდენი თავისუფალი, წვრილი გლეხია, რამდენი მონა, რამდენი შემოსავალია, რომ იცოდეს რა რაოდენობით მოსთხოვოს მას გადასახადი (მონები 9%, ვილანები 38%, თავისუფალნი 12%). იგი ხელს უწყობდა გლეხთა დაყმევებას.

ნორმანდიულმა დაპყრობებმა გააუარესა გლეხთა მდგომარეობა და ხელი შეუწყო ფეოდალური წყობილების გაფორმებას.

ვილჰელმ დამპყრობელი (1066-1087)

უილიამი (1087-1100) **რობერი** **ჰენრი I (1100-1135)**

მისი მმართველობის ბოლო წელს აჯანყდა რობერი, რომელიც ნორმანდიას განაგებდა. უილიამმა აჯანყება ჩააქრო და გადაწვა ქალაქები. გადამწვარ ქალაქ ნანსში მის ცხენს ნაღვერდალში ჩაუვარდა ფეხი, წაიბორძიკა და მხედარი გადმოაგდო, უილიამი დაიღუპა. დარჩა სამი შვილი: რობერი, უილიამი და ჰენრი. რობერი როგორც ურჩი შვილი, ხალხმა მეფედ არ აირჩია. ამიტომ მომდევნო ძმამ უილიამმა თავი გამოაცხადა ინგლისის მეფედ. უილიამ მეორე (1087-1100) Rufus- უილიამ წითურის სახელით მეფობდა. მისი მმართველობის დროს ინგლისში არაფერი შეცვლილა. იგი იყო ძალიან ჭირვეული, ბევრი ფული სჭირდებოდა, ვასალების ვალდებულებებს ზრდიდა. მეფე სიძულვილით სარგებლობდა. ერთ მშვენიერ დღეს მეფე ისრით განგმირული იპოვეს ტყეში. ისარი ზურგიდან იყო ნასროლი. ვინ მოკლა ვერ გაიგეს. ვინაიდან ამ დროს რობერი ჯვაროსნულ ლაშქრობაში იმყოფებოდა, ამიტომ ტახტზე ავიდა ჰენრი I (1100-1135). იგი უკანონოდ დაეუფლა ხელისუფლებას, ამიტომ ჭირდებოდა მხარდაჭერა და გულის მოსაგებად გამოქვეყნდა სიგელი, ქარტია. ეს იყო გაბატონებული ფენების პრივილეგიების გამომხატველი. ეწოდა „თავისუფლების ქარტია"(Charta). იგი აღადგენდა ვალდებულებებს, რომლებიც იყო უილიამ პირველის დროს. ქარტია შეიცავდა ეკლესიის უფლებების განმტკიცებას. მეფე ხელს უწყობდა ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებას. განსაკუთრებით ზრუნავდა მეფე დედაქალაქის მოწყობაზე. ლონდონს განაგებდნენ ამორჩეული პირები. წარმატებული იყო მისი პოლიტიკა, მაგრამ მეფემ დაკარგა ერთადერთი ტახტის მემკვიდრე უილიამი. აჯნყდა ნორმანდია. მეფემ გაილაშქრა მის წინააღმეგ და გაიმარჯვა. როდესაც მეფე გემებით უკან ბრუნდებოდა, ზღვის შხუილში ვერ გაიგეს ხომალდის დაღუპვა, რომელიც წყალქვეშა კლდეს დაეჯახა და მისი ვაჟი დაიღუპა. მეფე ჰენრი I, როდესაც გარდაიცვალა, დარჩა ქალიშვილი მატილდა, რომელიც დაქ-

ვრივებული იყო. მისთხოვდა ფრანგ დიდებულს, ანჟუს მბრძანებელს, ჟოფრუა პლანტაგენეტს, რომელთანაც ეყოლა ვაჟი და მატილდე ორი წლის ბავშვით დარჩა. მატილდე აცხადებს პრეტენზიას, მაგრამ ინგლისში მხარი დაუჭირეს მეორე პრეტენდენტს-ეს იყო ძლიერი გრაფი სტეფანე ბლუასელი, სტივენი. დაიწყო სამოქალაქო ომი 1135 წელს, რომელმაც გასტანა 19 წელიწადს. ეს იყო ყველაზე საშინელი ომი. გამეფდა სასტიკი ანარქია. ბარონებმა მიითვისეს მეფის მიწები, მეფური უფლებები. 1153 წელს პარტიებს შორის დაიდო ზავი, რომლის ძალით სტეფანე ბლუასელის შემდეგ სამეფო ტახტი უნდა გადასცემოდა მატილდას ვაჟს ჰენრის. 1154 წელს სამეფო ტახტზე ადის ჰენრი ანჟუელი, რომელიც მეფობდა 1189 წლამდე. ამით ტახტზე ავიდა ანჟუელების, პლანტაგენეტების დინასტია 1154-1399 წწ. ჰენრი II მეფობდა 1154-1189 წლებში



ჰენრი II იყო საფრანგეთის უდიდესი ფეოდალი. მამისგან მიიღო ანჟუს, მენისა და ტურენის მიწები, დედისაგან ნორმანდიის საჰერცოგო. მის სამეფოში შედიოდა: ანჟუ, მენი, ტურენი, პუატიე. მისი სამფლობელოები საფრანგეთში გაიზარდა ქორწინების გზითაც, მას გადაეცა აქვიტანია.

საფრანგეთის სამეფო ტახტზე ამ დროს იყო ლუი VII, რომელსაც მამამ შერთო აქვიტანიის ჰერცოგის ასული ალეონორი. მაგრამ მეფე უკმაყოფილო იყო ცოლით. დედოფალთან მას ვაჟი არ ჰყავდა და 1154 წელს გაეყარა ცოლს. ეს ქალი შეირთო ჰენრი პლანტაგენეტმა. ამ გზით, როგორც აღვნიშნეთ, შეიერთა უზარმაზარი სამფლობელოები: პუატიე, სენტ-ონჟენი, აქვიტანია. ირლანდია მან 1163 წელს დაიპყრო. ჰენრის მოუხდა იმ ფეოდალური ანარქიის ალაგმვაც, რომელიც ბატონობდა სტივენის და მატილდეს ბრძოლების შემდეგ. ის მიწები, რომელიც მისთვის გამოსადეგი იყო დაიბრუნა. ჩამოართვა ფეოდალებს ფულის მოჭრის უფლება.

ჰენრი პლანტაგენეტმა ჩაატარა სასამართლო, სამხედრო, ადმინისტრაციული და საეკლესიო რეფორმა. ინგლისში არსებობდა რამდენიმე სასამართლო. ბარონებს, ეკლესიებს, ყოველ ფეოდალს ჰქონდათ საკუთარი სასამართლო. მას უარყოფითი მხარე ჰქონდა: ხელს უშლიდა სამეფოს ერთიანობას და საეკლესიო შემოსავალი ბარონების ხაზინაში შედიოდა. ჰენრიმ შემოიღო უზენაესი სასამართლო პალატა, რომელსაც ეწოდებოდა სასამართლო დარბაზი. აქ მოსამართლენი იყვნენ იურისტები, რომაული სამართლის მცოდნენი ანუ ლეგისტები. არსებობდა გასაჩივრების ორი წესი: აპელაცია-უმდაბლესი ორგანოს მიმართვა უმაღლესის მიმართ. კასაცია-მაღალი სუბსტანცია არღვევს გადაწყვეტილებას და გადასცემს უმდაბლეს სასამართლოს. ამ რეფორმამ ხელი შეუწყო სამეფო შემოსავლის გადიდებას. მეფის ავტორიტეტი განმტკიცდა. ამით მოიგო თავისუფალი მოსახლეობის შეძლებულმა ფენამ-ლეგისტებმა. გაუარესდა

ვილანების მდგომარეობა. ვილანი არის ბატონის პირადი და ქონებრივი მონა. გაჩნდა სიძულვილი ლეგისტებისადმი. ამან გამოხატულება ჰპოვა აჯანყებაში. ლეგისტებმა შეცვალეს სასამართლოში საქმის გარჩევის წესი. თანაფიცრობა, დუელი და სხვა. ლეგისტებმა ის შეცვალეს გამოძიებით. მეფის ხელისუფლებამ შემოიღო გამოძიების წესი. ჩამოყალიბდა ნაფიცთა სასამართლ;ო Jiratus (იურათუს)-ნაფიცი, მოწმე. რაც დრო გადის მით უფრო იზრდება ნაფიცთა როლი. მოსამართლე ხელმძღვანელობს მათი გადაწყვეტილებით. ფაქტიურად ნაფიცებს გამოაქვთ განაჩენი, მოსამართლე მხოლოდ მუხლს უყენებს. რუსეთში მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ნაფიც მსაჯულთა სკოლა შემოიღეს ალექსანდრე II-ს დროს. დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შეიცვალა იგი სახალხო სასამართლოთი, სამი მსაჯულით. ჰენრის II-ის სასამართლო რეფორმას მსოფლიო მნიშვნელობა ჰქონდა.

სამხედრო რეფორმა

მეფეს ჰყავდა ვასალი ბარონები, მათ კიდევ ვასალები და ამ გზით იკრიბებოდა ვასალების ლაშქარი. ის გამოუსადეგარი იყო. არ იყო მეფისთვის სანდო. მიმოსვლის უქონლობის გამო თვეები უნდებოდათ წასვლაზე. 40 დღე უნდა ემსახურათ, ხოლო ამდენი დღე მისასვლელად არ ჰყოფნიდათ. ფეოდალები იხდიდნენ გადასახადს ე.წ. Scutage-ს, მეფემ დაიწყო ამ ფულით ჯარის დაქირავება. მართალია, ამ ღონისძიებამ ვერ შექმნა ეროვნული არმია, მაგრამ ფეოდალურ ლაშქართან შედარებით ეს იყო წინგადადგმული ნაბიჯი. დაქირავებული ლაშქარი მეფისთვის უფრო საიმედო იყო. მეფეს ასეთი ლაშქარი შეეძლო წაეყვანა სადაც უნდოდა. ეს ჯარი შეეძლო გამოეყენებინა ურჩი ბარონების წინააღმდეგ.

ადმინისტრაციული რეფორმა

ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენდა ელდორმენი და შერიფები. დაიწყო შერიფების დანიშვნა წვრილი ფეოდალური რაინდების წრიდან. დიდგვაროვანი არ ინიშნებოდა ამ თანამდებობაზე. დაწესდა მკაცრი კონტროლი შერიფების თანამდებობაზე. ტივაძის წიგნში ვკითხულობთ, რომ მან ჩაატარა „შერიფების წმენდა", 20 შერიფი გადააყენა და უფრო დაბალი ფეოდალური რაინდობის წრიდან დანიშნა. მანამდე ინგლისს მეფის საბჭო- Curia regis განაგებდა. აქ შედიოდა მეფის მრჩევლები, ნათესავები. მეფე თვითონ ადგენდა ამ ორგანოს. მათი მეთაური იყო სახელმწიფო ბეჭდის შემნახველი. მან შემოიღო კანცელარიუს-წარმოსდგება გერმანული კანცლერი, რუსულად-კანცლერი, ინგლისურად ჩერნსოლი-Chernsol.აქ ინიშნებოდა სასულიერო პირები,რომლებიც იყვნენ მეფის ერთგულნი და ლათინური წიგნიერების მცოდნენი.

შემოიღო ლორდკანცლერის-ინგლისის ეკლესიის მეთაურის თანამდებობა. ინგლისის მმართველობა ჰგავს დავით აღმაშენებლის პოლიტიკას. როდესაც მწიგნობართუხუცესობა დ საეკლესიო თანამდებობა- ჭყონდიდელობა შერწყმული იყო.

შემოიღო მეფის ვასალების კრება, რომელსაც ესწრებოდა მსხვილი ფეოდალები, წვრილი ვასალები, შემდეგ დაერქვა პარლამენტი. გვიან პაერლამენტმა სხვა მნიშვნელობა მიიღო. პარლამენტი ამტკიცებდა კანონს. მეფის საბჭომ დაარსდა ორი პალატა:

1.სასამართლო დარბაზი-Chembre of justice

2.ფინანსური ორგანო, რომელიც განაგებდა ფინანსებს-Exchequez- ჭადრაკის დაფას ნიშნავს.

საიდან წარმოსდგება ეს სახელწოდება? ფინანსური მოხელეები და მეფის მოხელეები ისხდნენ მაგიდასთან, რომელზეც ჭადრაკის დაფა იყო დახატული. ფული რომ შემოდიოდა კვადრატზე აწყობდნენ. ჭადრაკის დაფის პალატა აწესებდა გადასახადებს, წარმოებდა განაწილება და ხარჯვა. იზრდებოდა ხელმძღვანელი ორგანოების როლი. დაქირავებული ჯარი არ აღმოჩნდა საკმარისი და ამიტომ 1181 წელს გამოიცა ასიზი სამხედრო მოწვევის შესახებ. მას შეეძლო გაეწვია ყოველი თავისუფალი ადამიანი. სამხედრო მოვალეობებისაგან თავისუფლდებოდნენ ვილანები და ებრაელები. დანარჩენი კი ვალდებული იყვნენ სამხედრო სამსახური მოეხადათ.

ამ რეფორმებმა განამტკიცა მეფის ხელისუფლება და დადებითი როლი შეასრულა ცენტრალიზაციის საქმეში. მეფე იყო ენერგიული, ლამაზი. მემატიანე წერს: „მეფე არასდროს არ ჯდებოდა".

მეფე შეეცადა გაეტარებინა საეკლესიო რეფორმაც. ეკლესია ამ დროს თავისუფალი იყო სამხედრო ვალდებულებებისაგან. საეკლესიო სასამართლოს ექვემდებარებოდა ყველა საქმეები. ჰენრიმ გადაწყვიტა ეკლესიაზე დაეწესებინა გადასახადებები. ინგლისის ეკლესია სარგებლობდა დიდი ძალაუფლებით. საეკლესიო სასამართლოს ექვემდებარებოდა ყველა სასულიერო პირი. ჰენრიმ გადაწყვიტა საეკლესიო სასამართლო დაექვემდებარებინა საეროსადმი. შემოიღო Skuteich- ფარი (გადასახადი) ეკლესიაზე. მას სჭირდებოდა თანაშემწე. მან იზრუნა, რათა შესაფერისი პიროვნება დაეყენებინა ამ თანამდებობაზე. ასეთი პიროვნება იყო თომას ბეკეტი მამით ფრანგი (ნორმანდიელი), დედით ინგლისელი. მამამისი ნორმანდიელი ვაჭრების წრეს ეკუთვნოდა. მას შეეძლო უდარდელი ცხოვრება ეტარებინა. ჰენრი პლანტაგენეტს ლხინში დაუმეგობრდა, შემდეგ ბეკეტის მამა გაკოტრდა, ის ბერად აღკვეცა, ერთხანს სწავლობდა პარიზის უნი-

ვერსიტეტში საეკლესიო სამართალს. შემდეგ დაბრუნდა ინ-
გლისში. მეფემ არ დაივიწყა იგი და დააწინაურა. 1154 წელს
ის დაინიშნა კენტენბერის არქიეპისკოპოს ტიბალტის მდივ-
ნად, ლორდ-კანცლერად, პირველ მინისტრად. 1162 წელს
ტიბალტის გარდაცვალების შემდეგ აირჩიეს კენტენბერის
არქიეპისკოპოსად. 1164 წლის იანვარში ერთ პატარა სო-
ფელში-KLARENDON- ში მეფემ შეკრიბა ვასალების კრება-
ე. წ. პარლამენტი. მისი ფუნქცია მდგომარეობდა კანონის
პროექტის დამტკიცებაში. აქ მან გაატარა დადგენილებანი
საეკლესიო რეფორმის შესახებ. მას ეწოდა კლარენდონის
კონსტიტუცია. იგი 16 მუხლისაგან შედგება. განსაკუთრე-
ბით მნიშვნელოვანია შემდეგი მუხლები: მე-3, მე-4, მე-7 და
მე-8.

მუხლი მე-3. თუ სასულიერო პირი ჩაიდენს სისხლის
დანაშაულს, ის უნდა გაესამართლებინა მეფის სასამარ-
თლოს. თუ საეკლესიო სასამართლო გაასამართლებდა, მა-
შინ მეფის ლეგისტი უნდა დასწრებოდა სასამართლოს. თუ
სასამართლო დაადგენდა, რომ ის დამნაშავეა, მაშინ მას
სჯიდა მეფე, როგორც საერო პირს. ეს მუხლი ეკლესიას არ-
თმევდა გასამართლების უფლებას.

მუხლი მე-4. სასულიერო პირებს უცხოეთში წასვლის
უფლება არ ჰქონდათ მეფის თანხმობის გარეშე და უნდა და-
ეფიცა, რომ არაფერს მოიმოქმედებდა მეფის წინააღმდეგ
საზღვარგარეთ.

მუხლი მე-7. ეკლესიას არ შეეძლო განეკვეთა მეფის
არცერთი ქვეშევრდომი, თუ წინასწარ არ შეუთანხმდებოდა
მეფეს.

მუხლი მე-8. შეიცვალა გასაჩივრების წესი. ვინც არ იყო კმაყოფილი კენტენბერის სასამართლოს განაჩენით, უნდა მიემართათ მეფის სასამართლოსთვის.

თომას ბეკეტმა უარი თქვა კლარენდონის კონსტიტუციის დამტკიცებაზე. მეფემ გამოიხმო სამეფო სასამართლოზე და მოღალატედ აღიარა. თომას ბეკეტმა მდივანს აუკრძალა განაჩენის წაკითხვა. „ როგორც ოქრო ძვირფასია ტყვიაზე, ისე საეკლესიო ხელისუფლება მაღლა დგას საეროზე" წამოიძახა ბეკეტმა. დაიწყო ბრძოლა. ბეკეტის მომხრეებს ბერები შეადგენდა, დანარჩენი მეფის მხარეზე იყვნენ. ბეკეტი ილაშქრებდა მეფისა და მისი მოხელეების თვითნებობის წინააღმდეგ. ის ფიქრობდა, რომ აუცილებელი იყო პაპის დახმარება. იგი საფრანგეთში მიემგზავრება, სადაც ამ დროს იმყოფებოდა პაპი. ამით ბეკეტმა დაარღვია ორი მუხლი: მუხლი მე-4 და მუხლი მე-8. გამგზავრებას არავითარი შედეგი არ მოუცია, დაკმაყოფილდა დაპირებებით. ბეკეტმა გადადგა უკანასკნელი და გადამწყვეტი ნაბიჯი. გადაწყვიტა სიცოცხლე შეეწირა. ის ბრუნდება ინგლისში და იქ აგრძელებს ბრძოლას. როცა გემი უახლოვდებოდა ინგლისის სანაპიროს, ბეკეტს უთქვამს: „შეხედეთ როგორ გვიახლოვდება სამშობლო მიწა-წყალი და მასთან ერთად მიახლოვდება სიცოცხლის აღსასრული". მეფემ გადააყენა თანამდებობიდან იორკის არქიეპისკოპოსი, ლონდონის ეპისკოპოსი ეკლესიისაგან განკვეთა. მეფეს უთქვამს: „ ნუთუ ჩემს ერთგულ ხალხს შორის არ აღმოჩნდება ისეთი, რომელიც ამ ბებერი ბერის თავს მომაშორებსო". ამას ისმენდა ოთხი რაინდი, რომლებიც მაშინვე გაემართნენ არქიეპისკოპოსის ადგილსამყოფელისაკენ. ეკლესიაში მყოფმა მღვდლებმა სთხოვეს ბეკეტს ჩაეკეტა ეკლესია, მაგრამ მან ბრძანა გაეღოთ ყველა კარები. „ეკლესია ციხე როდია, იგი ღვთის სახლია" უთქვამს მას. იარაღასხმული რაინდები შევიდნენ და საკურთხეველთან მოკლეს ბეკეტი. მთელი ინგლისის მოსახლეობა

ფეხზე დადგა. ჰენრი პლანტაგენეტმა იგრძნო, რომ მზადდება დიდი აჯანყება. მან მუხლი მოიყარა ბეკეტის ცხედარის წინაშე. ფიცი დადო, რომ ბრალი არ მიუძღოდა მის სიკვდილში. მან გააუქმა კლარენდონის კონსტიტუცია. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში არ წყდებოდა ეკლესიაში წირვა-ლოცვა ბეკეტის პატივსაცემად.

ამ ბრძოლის შედეგად დაეცა მეფის ავტორიტეტი. ბარონებმა, რომელთაც მეფის ხელისუფლების შესუსტება სურდათ 1173 წელს მოაწყვეს შეთქმულება. მათი შეთქმულება კიდევ ორჯერ განმეორდა. საინტერსო ის არის, რომ შეთქმულებაში ალეონორა აქვიტანელი და მისი სამი ვაჟი: ჰენრი, ჟოფრი და რიჩარდიც მონაწილეობდა, მაგრამ ეს შეთქმულება ჩააქრეს. უკანასკნელი აჯანყება 1189 წლის გაზაფხულზე მოხდა, რომელმაც საშიში ხასიათი მიიღო. მასში მონაწილეობდა ორი შვილი : რიჩარდი და უმცროსი ჯონი. მეფემ როცა შეიტყო, რომ მისი საყვარელი შვილი ჯონი მონაწილეობდა შეთქმულებაში, გულზე შემოეყარა და სული განუტევა. ტახტზე ავიდა რიჩარდ I (1189-1199). ეს იყო ტიპიური ავანტიურისტი. ინგლისში ჩადიოდა ფულის ამოქაჩვისათვის. ის იყო კარგი რაინდი, მეომარი. ეს ნიჭი გამოვლინდა III ჯვაროსნული ლაშქრობის დროს. ის ამავე დროს იყო წინდაუხედავი პოლიტიკოსი. რასაც იარაღით იძენდა, სულ მალე კარგავდა. ის იყო პოეტი, სასიყვარულო ლექსებს თხზავდა. ამავე დროს იყო გულქვა. მან უმიზეზოდ ქრისტიანული ქალაქი მესინა ააოხრა. აქედან უწოდეს მას რიჩარდ ლომგული. სალადინმა (თურქ-სელჩუკთა სარდალი) ჯარის გამოგზავნა დაუგვიანა, რისთვისაც ორი ათასი მძევალი ამოაწყვეტინა. როცა ქალაქი აკრა აიღო მასთან ერთად მონაწილეობდნენ ფრანგები და გერმანელები. აქ იყო ავსტრიის ჰერცოგი ლეოპოლდი, რომელმაც მოინდომა თავისი დროშის აღმართვა ქალაქ აკრაზე, რიჩარდმა ჩამოაგდო ეს დროშა და ლაფში ჩააგდო. როცა ინგლისში ბრუნდებოდა ავ-

სტრიის გავლით, იგი დააპატიმრეს. ორი წლის პატიმრობის შემდეგ გამოისყიდეს 100 ათასი ფუნტი სტერლინგის გადახდის ფასად. რიჩარდი დაილუპა საფრანგეთში ფილიპ ოგიუსტის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. ტახტზე ავიდა ჯონ (უმიწაწყლო-Jon Lackand). ის მეფობდა 1199-1216 წლებში. იგი როცა პატარა იყო მიწები განაწილებული იყო ძმებს შორის. მამამისმა ხუმრობით შეარქვა უმიწაწყლო. ჯონი იყო უღირსი პიროვნება ინგლისის სამეფო ტახტზე. იგი მოკლებული იყო ყოველგვარ ნიჭს. მას არც ტაქტი გააჩნდა, არც სამხედრო ნიჭი. ის იყო გულღვარძლიანი, ბოროტი, ხალხმა იგი ასახა ზღაპრებში, როგორც სიბოროტის განსახიერება. მემატიანე წერს:"მეფეს არ გააჩნდა არავითარი ნიჭი, გარდა ერთისა, ეს იყო მტრების შეძენის ნიჭი". მალე დაიწყო კონფლიქტი მეფესა და ბარონებს შორის. იგი უმიზეზოდ აჯარიმებდა ბარონებს ან აპატიმრებდა მათ შვილებს. ნამდვილი ვაჭრობა წარმოებდა ქალებით. ქალს არ აძლევდნენ ნებას, თვითონ ან ოჯახს ვინც სურდა იმას გაჰყოლოდა. მეფე ათხოვებდა იმაზე, ვინც დიდ თანხას გადაიხდიდა. მეფე ფულის გამოძალვის მიზნით ნიშნავდა ლაშქრობებს. შეკრებდა ფულს და ლაშქრობას არ ატარებდა.

1200 წელს კონფლიქტი დაიწყო ჯონ უმიწაწყლოსა და საფრანგეთის მეფე ფილიპე ოგიუსტს შორის. მას უნდოდა ინგლისისთვის მიწების ჩამორთმევა. საქმე შეეხო მის ოჯახს. ჯონი გაეყარა ცოლს გლოსტერის საგრაფოს მლობელ ჰადვიზას, რომ შეუღლებოდა 1200 წელს ფრანგ ქალ იზაბელას ანგულენის საგრაფოს მფლობელს. ეს ქალი დანიშნული იყო ფრანგ დიდებულზე დე-ლა მანშზე, ე. ი. თავის მტერს წაართვა საცოლე. დე-ლა მანშმა მეფესთან უჩივლა. ფილიპე ოგიუსტმა გამოიძახა ჯონ უმიწაწყლო სასამართლოზე. იგი არ გამოცხადდა. ეს გამოიყენა საფრანგეთის მეფემ საბაბად და დაიწყო ომი. ჯონი კარგავს უფლებებს ფრანგულ სამფლობელოებზე. ფრანგი ვასალები ჯონ უმი-

წაწყლოს მოძულეები იყვნენ და დაიწყეს საფრანგეთის მხარეზე გადასვლა. 1202 წლის პირველ აგვისტოს მირებოსთან (ჩრდილოეთ საფრანგეთი) დამარცხდა ჯონი. 1203 წელს ფილიპე ოგიუსტმა ხელთ იგდო ნორმანდია. ბრეტანის საპერცოგოს განაგებდა 12 წლის არტური. ბიძამ ჯონმა მოკლა ძმისწული და დაეუფლა ბრეტანს. ფრანგი ვასალები გადავიდნენ საფრანგეთის მხარეზე. ფილიპ ოგიუსტმა წაართვა მდინარე ლუარას ტერიტორიაზე მდებარე მიწები: ნორმანდია, მენი, ანჟუ, ტურენი და პუატიეს ერთი ნაწილი.

ერთი წლის შემდეგ ჯონმა შეიძინა ახალი მტერი- ინოკენტ III. მას ათი მეფე ჰყავდა ვასალად. გადაწყვიტა ინგლისზეც გაევრცელებინა თავისი უფლებები. ინოკენტ III-მ მიუთითა ინგლისში დაენიშნათ მისი მეგობარი კარდინალი- სტივენ ლენგტონი- კენტენბერის არქიეპისკოპოსად. ეს არ მოეწონა ჯონ უმიწაწყლოს. გამოაცხადა უარი მის არქიეპისკოპოსად ცნობაზე. ჩამოართვა სასულიერო პირებს მიწები, რომლებიც პაპს უჭერდნენ მხარს. ინოკენტ III-მ 1208 წელს ინტერდიქტი (დროებით აკრძალვა ყოველგვარი ღვთისმსახურებისა) გაავრცელა ინგლისზე. ხოლო 1209 წელს პაპმა შეაჩვენა ჯონ უმიწაწყლოი, გაათავისუფლა ის ერთგულების ფიცისაგან.

1213 წლის 15 მაისს ჯონიმ მუხლი მოიყარა პაპის ლეგატის წინაშე და თავი გამოაცხადა პაპის ვასალად. ეს იყო ინგლისელთა თავმოყვარეობის დამცირება. ჯონს უნდა გადაეხადა ყოველწლიურად პაპისათვის ხარკის სახით 1000 გირვანქა სტერლინგი. თითქმის იმდენი რამდენიც შემოსავალიც ჰქონდა. მოსახლეობის გადასახადები გაორკეცდა. შეიქმნა კოალიცია: გერმანია, ინგლისი, ფლანდრიის საგრაფო. საფრანგეთს მოუხდა ბრძოლა კოალიციის წინაამდეგ. მთელი ფრანგი ხალხი აღსდგა კოალიციის წინააღმდეგ საბრძოლველად. 1214 წლის 27 ივლისს ქალაქ ბუვინთან მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა. კოალიცია დამარცხდა. ჯონ უმიწაწ-

ყლომ საფრანგეთს გადაუხადა დიდი კონტრიბუცია. 1215 წლის მაისში იფეთქა ბარონების დიდმა აჯანყებამ. აჯანყდნენ ბარონები რობერტის მეთაურობით. სულ ორი ათასი კაცი. მასში მონაწილეობდა რაინდები, ქალაქელები. ლონდონმა თავისი ბჭე გახსნა. სამღვდელოება სტივენ ლენგტონის მეთაურობით გადავიდა აჯანყებულების მხარეზე. მეფე აღმოჩნდა იზოლირებული. 1215 წლის 15 ივნისს ბარონები შეიყარნენ რენიმედის ველზე (სამხრეთი ინგლისი). აქ გამოცხადდა მეფე, რომელმაც ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის შედგენაში დიდი როლი ითამაშა სტივენ ლენგტონმა. ეს იყო თავისუფლების დიდი ქარტია- MAGNA CHARTA LIBERTATUM. ის შედგება 63 მუხლისაგან. იგი იცავდა ბარონების ინტერესებს. მნიშვნელოვანია მე-12, მე-14, მე-16, მე-20 და 39-ე მუხლები.

მე-12 მუხლში საუბარია ფეოდალური გადასახადით დაბეგვრაზე. ადგენდა, რომ ამიერიდან არც ფარის გადასახადი, არც ოქსილიუმი- ვასალის ვალდებულება სენიორის წინაშე, არ შეიძლება დაწესდეს თუ არ იქნა თანხმობა სამეფო საერთო საბჭოსი-მეფის ვასალის კრება.

მე-14 მუხლი. სამეფო საერთო საბჭოს უფლება აქვს კანონების დამტკიცების.

მე-16 მუხლი. ფეოდალები არ შეიძლება დაიბეგროს ახალი გადასახადებებით.

მე-20 მუხლი. თუ ფეოდალი რასმე დააშავებს არ შეიძლება მისი ძირითადი ქონების ხელყოფა.

39-ე მუხლი ადგენდა ფეოდალის, პიროვნების ხელშეუხებლობას. არ შეიძლება არავის დაპატიმრება, საპყრობილეში ჩასმა, ქონების კონფისკაცია. შერისხვა და სხვა. თუ არ იქნა კანონიერი განაჩენი მისი პერების (ისეთივე ფეოდალი როგორიც თვითონ არის) სასამართლოზე.

პირველი და მეორე მუხლი უზრუნველყოფს ეკლესიის ხელშეუხებლობას. ბარონები ზღუდავდნენ მეფის უფლებას,

ასევე თავიანთ უფლებას ვასალების მიმართ. ე. ი. საკუთარი თავი შეზღუდეს. ეს მოწმობს კლასობრივ შეგნებულობაზე.

მე-13 მუხლი აწესებდა ლონდონის თვითმმართველობას. ინგლისში შემოიღეს წონისა და ზომის ერთი ერთეული. ვაჭარს უფლება ჰქონდა თავისუფლად წასულიყო საზღვარგარეთ საბაჟო გადასახადის გადახდის შემდეგ.

ერთ-ერთი ფენა, რომელთა შესახებ არ აისახა ქარტიაში ეს იყო ვილანები-ყმა-გლეხები. ამრიგად, ეს დოკუმენტი იყო ფეოდალური. ბარონები ირჩევდა კომისიას 25 კაცის შემადგენლობით. თუ ვინმე დაარღვევდა მუხლს, ბარონთა კომისია მისცემდა მითითებას. ორმოცი დღე ეძლეოდა ვადა დარღვევის გამოსასწორებლად. მხოლოდ ხელშეუხებელი იყო მეფე და მისი ქონება.

15 ივლისს ჯონ უმიწაწყლომ ხელი მოაწერა ფიცს. 25 აგვისტოს MAGNA CHARTA გაუქმებულად გამოაცხადა. პაპმა მხარი დაუჭირა მეფეს. ეს არის სამარცხვინო დოკუმენტიო. ბარონებმა ხელი მოკიდეს იარაღს. მიმართეს საფრანგეთის მეფე ფილიპე II ოგიუსტის შვილს ლუი IX -ს. 1216 წლის ოქტომბერში ჯონ უმიწაწყლო დამარცხდა და სულ მალე გარდაიცვალა. ტახტის მემკვიდრე დარჩა ჰენრი III. ის მეფობს 1216-1272 წლებში.

მეფე ჰენრი III იყო მეტისმეტად მხიარული, კარგი ადამიანი. უყვარდა ფუფუნება, სასახლის ზეიმები, საეკლესიო ცერემონიალები, იყო ღვთისმოსავი და ამავე დროს პირველი მეფე, რომელიც მფარველობდა ხელოვნებას, ლიტერატურას, დიდ ხარჯებს ხარჯავდა ეკლესიების და ციხე-სიმაგრეების აგებაზე. ამავე დროს მეფე იყო მეტად ქარაფშუტა, ჯიუტი, ცუდად ერკვეოდა პოლიტიკაში, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი საქმეების გადაწყვეტას ანდობდა თავის რჩეულთ, რომლებიც მომეტებულად უცხოელები იყვნენ. 1232 წლიდან ჰენრის მთავარი ფავორიტი იყო უენჩესტერის ეპისკოპოსი პიერ როში. მან ჩამოიყვანა ბრეტანიდან ავანტიუ-

რისტთა მთელი არმია და მეფის დაცვა დააკისრა. პიერი ფრანკებს შერიფებად, ციხე-სიმაგრეთა მეთაურებად, მიწების გამგებლად ნიშნავდა. გრაფი უილიამ პემბორკი გამოაცხადეს პროტექტორად (საფრანგეთში რეგენტი, მფარველი). 1216 წლის ნოემბერში ხელახლა დაამტკიცა MAGNA CHARTA. ბარონები გადავიდნენ მეფის მხარეზე. აღდგენილ იქნა სამეფო ხელისუფლება. 1219 წელს (1220 წ) გარდაიცვალა გრაფი პემბორკი. დრო და დრო ხდებოდა ხელახალი დამტკიცება MAGNA CHARTA- სი. 1227 წელს ჰენრი III სრულწლოვანი გახდა. ის იყო უნიჭო და უსუსური, ამიტომაც იგი ინგლისელი ბარონების წინააღმდეგ ბრძოლაში დასაყრდენად ცდილობდა გაეხადა თავისი ნათესავები, მეგობრები და რომის პაპი ინოკენტ IV. მეფე დაქორწინდა პროვანსის გრაფის ასულზე. მეფის ნათესავებმა-პროვანსელებმა მოიყარეს თავი სამეფო კარზე. უმრავლესობა საფრანგეთიდან იყო მოსული. ისინი ჰენრი III-ის ცოლის ნათესავები იყვნენ. ასევე რომის პაპის გავლენის ქვეშ მეფე ფართო ვაჭრობას აწარმოებდა სასულიერო თანამდებობათა გაყიდვის გზით. პაპის ლეგატები სასულიერო წოდებას უამრავ თანხას ართმევდნენ და უგზავნიდნენ პაპს ჰოჰენშტაუფენებთან ბრძოლის გასაგრძელებლად.

რომის პაპმა მეფეს მისი შვილის ედმუნდისათვის სიცილია შესთავაზა, რომელიც ჰოჰენშტაუფენების სამფლობელო იყო. პაპს უნდოდა მათი გაძევება. 1257 წელს დაიწყეს ომისათვის მზადება. საჭირო იყო სახსრები. გადასახადების საერთო რაოდენობამ 40 ათას გირვანქა სტერლინგს მიაღწია.

პაპი ხშირად ერეოდა ინგლისის საშინაო საქმეებში, რაც იწვევდა ინგლისელი პრელატების დიდ უკმაყოფილებას. ჰენრი III ატარებდა ავანტიურისტულ მოქმედებას. მან წამოიწყო ჯვაროსნული ლაშქრობა. გერმანიაში ამ დროს სუფევდა უმეფობის ხანა. ასეთმა პოლიტიკამ შექმნა ბარო-

ნების ოპოზიცია. პარლამენტზე გაისმოდა ოპოზიციის ხმა. საშიში შეიქმნა ოპოზიცია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სიმონ დე მონფორი..უმცროსი შვილი იმ სიმონ დე მონფორისა, რომელიც ალბიგოელებს ედგა სათავეში ჯვაროსნული ლაშქრობის დროს. ის მოღვაწეობდა ჯერ საფრანგეთში შემდეგ წაეჩხუბა საფრანგეთის მეფის დედას ბლანკა კასტილიელს და გადავიდა ინგლისში. ჰენრი III-მ დაიახლოვა ის და უბოძა ლეისტერის გრაფობა. თავისი და ცოლად შერთო მას. შემდეგ მოხდა განხეთქილება. სიმონს არ მოსწონდა ჰენრი III-ის პოლიტიკა. 1258 წელს ბრძოლა გამწვავდა მეფესა და ოპოზიციას შორის. 1258 წლის ივნისში სიმონ დე მონფორის მეთაურობით ქალაქ ოქსფორდში შეიკრიბა პარლამენტი. ბარონები გამოცხადდნენ შეიარაღებულები, ამიტომ ცოფიანების პარლამენტი უწოდეს. ოპოზიციამ მეფეს წაუყენა მოთხოვნები, რომელიც ზღუდავდა მეფის უფლებებს. წამოაყენეს შემდეგი მოთხოვნები:

1.მეფეს უარი ეთქვა თვითნებურ გადასახადებზე. MAGNA CHART-ის მე- 12 მუხლის მიხედვით არ შეიძლებოდა არცერთი გადასახადის დაწესება პარლამენტის გარეშე.

2.უცხოელები უნდა გაეძევებინა.

3.გამოიყო 15 კაცის შემადგენლობით ბარონების საბჭოუზენაესი ორგანო, რომლის გარეშე მეფეს არ შეეძლო არავითარი სერიოზული ნაბიჯის გადადგმა.

ჰენრი III იძულებული იყო ოქსფორდის პროვიზიებისათვის ხელი მოეწერა. დამყარდა ოლიგარქიული მმართველობა. 1262 წელს მეფემ გააუქმა ოქსფორდის პროვიზიები. ბარონებმა ხელი მოკიდეს იარაღს. ბრძოლამ გასტანა 1263-1264 წლებში. 1264 წლის 14 მაისს ქალაქ ლუისთან მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა. მეფე შეებრძოლა სიმონ დე მონფორს. ჰენრი III და მისი შვილი ედუარდი ტყვედ ჩაიგდეს. სიმონ დე მონფორი დაეყრდნო ინგლისის მოსახლეობას რაინდებს და მდიდარ ქალაქელებს. მას ეწოდა დიდი პარლამენტი. ეს იყო

პირველი შემთხვევა ისტორიაში, როცა პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 160 ქალაქმა. შეიკრიბა ნოდებათა წარმომადგენლობის კრება. დიდმა პარლამენტმა გაამართლა იმედები. ჩააყენა სამი კაცი, რომელსაც ინგლისელებმა ტრიუმვირატი უწოდეს. ფაქტიურად მთელი ძალაუფლება სიმონ დე მონფორის ხელში გადავიდა. დამყარდა ერთპიროვნული მმართველობა. პარლამენტის შემადგენლობა მოიცავდა ყველა წოდებას გარდა დაბალი ფენებისა, ამიტომ ინგლისში დაიწყო გლეხების მოძრაობა. ფეოდალური დიდკაცობა მეფის მხარეზე გადადის. ედუარდი ტყვეობიდან გააპარეს, რომელმაც შეკრიბა ჯარი. 1265 წლის 4 აგვისტოს მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა ივზემთან (ცენტრალური ინგლისი). სიმონ დე მონფორი ადრე გამოცხადდა ბრძოლის ველზე. ედუარდს მოჰყავდა მწყობრი ჯარი და გაიმარჯვა. სიმონ დე მონფორი ამ ბრძოლის დროს დაიღუპა.

1270 წელს მან მოაწყო ჯვაროსნული ლაშქრობა პალესტინაში. ოთხი წელი არ დაბრუნებულა ინგლისში. ის მოგვაგონებს ჰენრი პლანტაგენეტს. 1272 წელს მიიცვალა მამამისი. 1274 წელს იწყებს სახელმწიფოს მართვას, მაგრამ მისი მეფობის თარიღად ითვლება 1272-1307 წლები. მისმა მეფობამა ჩაიარა განუწყვეტელ ომებში.

ედუარდ I იყო ბრწყინვალე სახელმწიფო მოღვაწე, რიჩარდ ლომგულის მსგავსი ვაჟკაცი, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, მოქნილი დიპლომატი, რომელიც ხასიათის ბევრი თვისებით ჩამოგავდა სახელოვან წინაპარს- ჰენრი II-ს. მეფე გარეგნობითაც იპყრობდა ყურადღებას. იყო მეტად ახოვანი, ძლიერი, გაბედული რაინდი, იტაცებდა სამხედრო ლაშქრობანი, ნადირობა, ფიზიკური ვარჯიშები, ითვლებოდა უბადლო მშვილდოსნად. იგი ცხოვრობდა მეტისმეტად უბრალოდ, ფუფუნების გარეშე. გულმხურვალედ უყვარდა ახლობლები, ათაყვანებდა მეუღლეს კასტილიის მეფის ფერდინანდ III-ის ასულს ალეონორეს, რომელთანაც 13 შვილი ჰყავდა.

საფრანგეთის მეფე იყო ფილიპე IV (1285-1314 წწ), რომელიც ცდილობდა ინგლისათვის წაერთმია სამფლობელოები. 1276 წელს ედუარდ I შეიჭრა დასავლეთ უელსში, რომელსაც მართავდა გრაფი ლეველინი. შვიდი წელი დასჭირდა მის დაპყრობას. ამის შემდეგ ის ხდება ინგლისის საუფლისწულო. ედუარდმა გადაწყვიტა შოტლანდიის დაპყრობა. მას მმართველობის საკუთარი სისტემა ჰქონდა. ინგლისის მეფეები ცდილობდნენ შოტლანდიის დამორჩილებას. 1285 წელს გარდაიცვალა შოტალნდიის მეფე ალექსანდრე III. ტახტზე პრეტენზიას აცხადებს ორი პრეტენდენტი : რობერტ ბრუსი და ჯონ ბალიორი. ედუარდ I მხარს უჭერს ჯონ ბალიორს. ამ უკანასკნელმა თავი ინგლისის ვასალად აღიარა. მაგრამ შემდეგში ჯონ ბალიორი კავშირს ამყარებს საფრანგეთთან ინგლისის წინააღმდეგ. ამის შემდეგ ედუარდ I შეიჭრა შოტლანდიაში, შეიპყრო ჯონ ბალიორი და იქ ჩააყენა თავისი ვასალი. ერთი წლის შემდეგ შოტლანდიაში იფეთქა აჯანყებამ 1299-1305 წლებში, რომელსაც უილიამ უელესი მეთაურობდა. რვა წელი დასჭირდა აჯანყების ჩაქრობას. 1306 წელს რობერტ ბრუსი აწყობს აჯანყებას, რომელმაც რვა წელი გასტანა. საბოლოოდ 1314 წელს ინგლისელები გააძევეს შოტლანდიიდან. მეფე გახდა რობერტ ბრუსი. შოტლანდია დაუკავშირდა საფრანგეთს. ეს იქცა ასწლიანი ომის მეორე კვანძად.

ედუარდ I განუწყვეტლივ ომობდა. უმთავრესად ის იბრძოდა დაქირავებული ჯარით. მან აღადგინა ასიზა საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ. ომი მოითხოვდა ახალ სახსრებს. 1295 წელს თავისი მასწავლებლის სიმონ დე მონფორის მიბაძვით მოიწვია დიდი პარლამენტი, რომელშიც შაირების (ოლქების) და ქალაქების არჩეული დეპუტატები მონაწილეობდნენ. ამ პარლამენტს ეწოდა სანიმუშო პარლამენტი. რაც დრო გადიოდა მეფე მით უფრო ხშირად იწვევდა პარლამენტს. 1297 წელს მეფემ მიიღო კანონი „ქარტიის დამატება" ე. ი. MAGNA CHARTA-ს მე-12 მუხლის დამატება. პარ-

ლამენტი თანდათან ითვისებდა საკანონმმდებლო უფლებას. XIII ს-ში პარლამენტმა მიიღო ჩამოყალიბებული სახე. ზედა პალატა- ბარონები და მსხვილი ფეოდალები. ქვედა პალატა- თემების, შაირების, ქალაქების წარმომადგენლები. მან შექმნა მომრიგებელი მოსამართლეების ინსტიტუტი.აქ ინიშნებოდა ადგილობრივი ფეოდალების წარმომადგენლები. მათ საბოლოოდ შეცვალეს ძველი სახალხო სასამართლო.

ედუარდ II-მ (1307-1327 წწ) სამეფო ტახტი 23 წლის ასაკში დაიკავა. თანამედროვეთა გადმოცემით მას იოტისოდენა ვაჟკაცობაც არ გააჩნდა. არფრით არ ჰგავდა სახელოვან მამას. ის იყო დესპოტი, უხეში, ქარაფშუტა, ჯიუტი, არ ჰქონდა მმართველობის დამოუკიდებელი უნარი. ომს ნადირობა, გართობა და დროსტარება ერჩივნა, ეწეოდა გარყვნილ ცხოვრებას, სასახლის კარზე და მის გარშემო უხვად იყვნენ შემოკრებილნი ფავორიტები. მათ შორის გასკონელი პიერ ჰევსტონი. იგი ინგლისიდან გააძევეს. გადავიდა ირლანდიაში და ისევ დაბრუნდა ინგლისში. 1311 წელს ედუარდ II-მ ილაშქრა შოტლანდიაში, რამაც სირცხვილი და დამცირება მოუტანა. 1312 წელს ბარონებმა შეიპყრეს ჰევსტონი და სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასაჯეს. 1314 წელს ედუარდ II-მ ილაშქრა შოტლანდიაში რობერტ ბრუსის წინააღმდეგ, ეს ლაშქრობა სამარცხვინო და დამამცირებელი იყო. მეფე ტყვეობას ძლივს გადაურჩა.

ამრიგად, XIII ს-ში ინგლისში ჩამოყალიბდა პარლამენტალური წყობილება. მონარქია იწოდებოდა წოდებერივ მონარქიად, რომელმაც შეცვალა ფეოდალური მონარქიის ფორმა.

თემა მეცამეტე

გერმანია და იტალია XII-XIII საუკუნეებში

ჯვაროსნული ლაშქრობების მონაპოვარი იყო არა მარტო ქრისტეს საფლავი, არამედ ახალი სამფლობელოები. მაგალითად გენუამ მიიღო სამფლობელოები ეგეოსის ზღვაზე, მცირე აზიის, სირიის, პალესტინის სანაპიროზე. ხოლო კვიპროსი ვენეციის კუთვნილებას წარმოადგენდა.

იტალიელ ვაჭრებს ევროპაში გაჰქონდათ აღმოსავლური საქონელი ხმელთაშუა ზღვით. აღმოსავლეთიდან შემოჰქონდათ: ილი, ჯავზი, მიხაკ-დარიჩინი, სანელებლები, აბრეშუმი, ქაღალდი, ძვირფასი ქვები, სპილოს ძვალი, აღმოსავლური ხალიჩები და სხვა.

ვაჭრობის გავლენით ევროპაში ვითარდება აბრეშუმის წარმოება. ეგვიპტიდან შემოდიოდა პაპირუსი. ვაჭრობის განვითარებას ასევე საფუძვლად უდევს მრეწველობის განვითარება.

იტალიის ქალაქები ორი ტიპის იყო:

ერთი – სავაჭრო ქალაქები, რომლებიც მდებარეობდნენ ზღვისპირას: გენუა, ვენეცია.

მეორე – ქვეყნის შიგნით მდებარე სახელოსნო-სამრეწველო ქალაქები: მილანო, ფლორენცია. აქ მთავარი ხვედრითი წონა მრეწველობასა და ხელოსნობას ჰქონდა.

ფლორენციაში განვითარებული იყო მაუდის წარმოება, ხოლო მილანოში კი ლითონის წარმოება. XIII საუკუნეში ისახება კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობა.

მეორე რაიონი ეს გახლდათ ჩრდილოეთის ზღვა (გერმანიის ზღვა), ბალტიის ზღვა (აღმოსავლეთის ზღვა). ისინი ისეთივე შუამდგომლების როლს ასრულებდნენ, როგორც იტალიის ქალაქები. იწყება სლავური კოლონიზაცია, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გერმანულმა ქალაქებმა:

ლიუბეკმა (ლიუბიცა), გდანსკიმ (დანსკი), შექსიმ, როსტოკ-მა. ახალმა ქალაქებმა ბერლინმა, შტრაზლუნგმა, ლატვიე-ლების დაპყრობის შედეგად დაარსდა ქალაქი რიგა 1201 წელს. დიდ როლს ასრულებდა გერმანული ორდენები: ლი-ვონიის- მახვილოსანთა და ტევტონთა ორდენი. ჩრდილოე-თის ვაჭრობაში წამყვანი იყო სასოფლო პროდუქტები, გემ-თმშენებლობისათვის საჭირო პროდუქტები. ბალტიის ზღვით უკავშირდებოდნენ რუსეთს, პოლონეთს. რუსეთის ტყეებიდან გამოჰქონდათ ხე-ტყე, ფისი, ტყავეული, ქონი, ცვილი (სანთლის დამზადებისათვის იყენებენ), თაფლი, ბეწ-ვეული: სიასამური (სობოლის), მელა (თეთრი მელა), წავი, დათვის ტყავი. ადრე ევროპის ქვეყნებში ბეწვეული ცნობი-ლი იყო, როგორც თბილი ჩასაცმელი.

მთავარ როლს ევროპის ვაჭრობაში თამაშობდა იტალია და გერმანია. საქონელი იცვლებოდა ბაზრობებზე. ბაზარი ეს იყო ეკონომიკური ცენტრი, სადაც ხდებოდა საქონლის გაცვლა ქალაქსა და სოფელს შორის. ბაზრობა კი იყო უფრო ფართო მასშტაბის ოპერაცია, სადაც საქონელ-გაცვლა ხდე-ბოდა ქვეყნებს შორის. იმართებოდა იარმარკები-წლიური ვაჭრობა. წელიწადში ერთჯერ ან ორჯერ ეწყობოდა და გრძელდებოდა ორ-სამ კვირას.

გავრცელებული იყო მევახშეობა. ფილიპე ოიგუსტმა დააწესა მოგება. მაგალითად ფარული პროცენტი. თამასუქ-ში ჩაწერილი იყო მაგ. 100 მარკას ასესხებდა, ჩაწერდა 150 ე.ი პროცენტი ჩაწერილი იყო ფარულად. ებრაელები კონკუ-რენტები იყვნენ ეკლესიის მევახშეობისა, ამიტომ ეკლესიები აქეზებდა ებრაელთა ხოცვას ჯვაროსნული ლაშქრობების დროს.

ებრაელები შუა საუკუნეების ევროპის ქვეყნებში უმ-თავრესად იყვნენ: ექიმები, მესაათეები, ოქრომჭედლები. ებ-რაელებს არ შეეძლო დასახლებულიყვნენ, სადაც მოესურვე-ბოდათ. მათ უნდა ეცხოვრათ განსაკუთრებულ უბანში-გე-

ტოში. ტანზე უნდა ჰქონოდათ მრგვალი, ყვითელი რგოლი, უნდა ეტარებინათ ასევე განსხვავებული ქუდი. ეკლესია კრძალავდა ებრაელებზე ქორწინებას.

ბრიუხერის აზრით, თავდაპირველად იყო კარჩაკეტილი საშინაო მეურნეობა X საუკუნემდე. შემდეგ კარჩაკეტილი საქალაქო გაცვლა ქალაქსა და მისგან ეკონომიურად დამოკიდებულ სოფლებს შორის. ბრიუხერს სხვა ურთიერთობა XV საუკუნეში არ წამს. ასეთ მეურნეობას უწოდა კარჩაკეტილი საქალაქო მეურნეობა.

ბელოვმა და სხვებმა გააკრიტიკეს ბრიუხერი, რომელიც ამცირებდა ვაჭრობის მნიშვნელობას. იარმარკები ადასტურებს, რომ ბრიუხერი არ არის სწორი. მისმა კრიტიკოსებმა დაიწყეს მტკიცება, რომ იმ დროს იყო მსოფლიო ვაჭრობა, რომ ხმელთაშუა ზღვა, ბალტიის ზღვა, ჩრდილოეთის ზღვა, ნაწილობრივ ატლანტიკის ოკეანე იყო იმ დროინდელი მსოფლიო ვაჭრობა. ასე რომ ბრიუხერის კრიტიკოსები არ იყვნენ სწორი. არ შეიძლება მათ მიერ მოცემული მსოფლიო ვაჭრობა შევადაროთ დღევანდელ მსოფლიო ვაჭრობას.

გერმანია პოლიტიკურად დაშლის პროცესს განიცდიდა XII ს- დამლევისათვის. ამ დროს 8 საჰერცოგო იყო, 5 კატეგორიის გრაფი, მარკგრაფები. მაგალითად აღმოსავლეთით ბრანდენბურგის, ტიურინგიის ლანდგრაფი, ბავარიის, პფალცის გრაფი, ყველაზე პატარა იყო ბურგგრაფები, იმპერატორის ვასალები-რაიხსიგერ-საიმპერიო რაინდები. დასავლეთ გერმანიაში მათი რიცხვი დიდი იყო. რაინდების ოჯახს ახასიათებდა წვრილშვილიანობა, ამიტომ მიემართებოდნენ ისინი სალაშქროდ. ისინი გაემართნენ ჯვაროსნულ ლაშქრობაში, ბალტიისპირეთის კოლონიზაციაში და წარმოადგენდნენ დაქირავებულ ძალას. ზოგიერთი რაინდი გზებზე ყაჩაღობით ირჩენდა თავს. 1122 წელს დაიდო ვორმსის კონკორდატი გერმანიის იმპერატორსა და პაპს შორის, რითაც

გაიყო ინვესტიტურა. ეს იყო ორჭოფული და დროებითი შეთანხმება.

ჰაინრიხ V იყო უკანასკნელი იმპერატორი, რომელიც 1125 წელს გარდაიცვალა. ის დარჩა უშვილო. მისი ცოლი იყო ინგლისის მეფის ჰენრი I-ის ასული. მეფედ აირჩიეს საქსონიის ჰერცოგი ლოტარი, რომელიც იყო მოხუცი კაცი. იგი განაგრძობდა ვორმსის კონკორდატს. ამ დროისათვის ძლიერი იყო ორი სამთავრო:

1. ბავარია (გველფების დინასტია), რომლის მეთაური იყო ჰაინრიხ ამაყი.

2. შვაბია, რომლის ჰერცოგი იყო კონრადი (შტაუფენების- ჰოჰენშტაუფენების დინასტია)

პოლიტიკური კავშირის დამყარების მთავარი საშუალება იყო ქორწინებრივი კავშირი. მოხუცმა ლოტარმა თავისი ასული მიათხოვა ჰაინრიხს. 1137 წელს ლოტარი მიიცვალა. ჰაინრიხი ეხლა ფლობდა ბავარიას და საქსონიას. გერმანელი მთავრები ცდილობდნენ რომელიმე გვარი არ გაძლიერებულიყო. 1138 წელს უპირატესობა მისცეს შტაუფენების ანუ შვაბურ დინასტიას. ეს იყო რიგით მე-3 დინასტია.

საქსონური 919-1024 წწ.

|

ფრანკონული 1024-1125 წწ.

|

საქსონური 1125-1137 წწ.

|

შტაუფენების-ჰოჰენშტაუფენების-შვაბური 1138-1254 წწ.

შექმნილმა გარემოებამ ხელი შეუწყო კონრადს. ჰაინრიხი გარდაიცვალა. მას დარჩა შვილი ჰაინრიხი (შემდეგ ლომი). წაართვა მას ბავარია, მისცა ლენად ავსტრიის მარკგრაფს. ჰაინრიხის ქვრივი დაქორწინდა ავსტრიის მარკ-

გრაფზე, ასე რომ ბავარია წაართვა გველფებს. 1152 წელს კონრადი გარდაიცვალა. მეფედ აირჩიეს კონრად III-ის ძმისწული ფრიდრიხ I (1152-1190), რომელიც იყო შტაუფენების დინასტიის საუკეთესო წარმომადგენელი. მარქსი ქრონოლოგიურ ამონაწერებში აფასებს მას, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს და მხედართმთავარს. მას წვერი წითელი ჰქონდა (ბარბა-წვერი, როსა – წითელი ბარბაროსსა-წითელწვერა). ის იყო საშუალო ტანის, მოხდენილი, ზრდილობიანი, კარგი სარდალი, საუკეთესო ნიმუში გერმანული რაინდობის. ამავე დროს იგი იყო პატივმოყვარე და შეუბრალებელი. ის ამბობდა გერმანიის მბრძანებელი მსოფლიოს ბატონ-პატრონია, ოცნებობდა მსოფლიო იმპერიის შექმნაზე. საფრანგეთი და ინგლისი მისი აზრით იყო პროვინციები. თავის პროტოტიპად კარლოს დიდი მიაჩნდა. გათხარეს აახენში საფლავი და მას ხელახალი დაკრძალვა მოუწყვეს. ფრიდრიხმა თავის დედაქალაქად აახენი გამოაცხადა. მან მოიარა გერმანია და დაანგრია ურჩი ფეოდალების ციხეები. ფრიდრიხი ცდილობდა თავის დასაყრდენად რაინდობა ექცია. ის რაინდს უწოდებდა იმპერიის ვასალს RAICHSRITTER თავდაპირველად ის ვორმსის (შემთანხმებლურ) პოლიტიკას მისდევდა. 1158 წელს დადო კავშირი პაპთან. ფრიდრიხ ბარბაროსა მფარველობდა ბოლონიის უნივერსიტეტს. აქაურმა პროფესორებმა აღადგინეს იუსტინიანეს კოდექსები.

იტალია ეკონომიურად ძლიერი იყო. ის ამავე დროს პოლიტიკურად დაქუცმაცებული იყო. ჩრდილოეთ და შუა იტალიაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ქალაქები: ფლორენცია, მილანო, ადრიატიკის სანაპიროზე ვენეცია ასევე გენუა და სხვა. ამ ქალაქებს შორის წარმოებდა ბრძოლა. ლომბარდიაში შეიქმნა ორი ლიგა:

1. ზომიერები;
2. არნოლდ ბრეშიელის მომხრეები.

სხვა მდგომარეობაა სამხრეთ იტალიაში. აქ ბატონობდა რობერტ გვისკარი. მას ეკუთვნოდა აპულია და კალამბრია. იგი დაუკავშირდა ბიზანტიის იმპერატორს ალ. კომნენოსს. სიცილიას განაგებდა მისი ძმა როჟე-რუჯერო სიცილიელი. ჯვაროსნული ლაშქრობის დროს აპულიას განაგებდა გვისკარის შვილი. 1127 წელს რუჯერო II სიცილიელმა პალერმოში 1130 წელს დაიდგა სამეფო გვირგვინი. XII საუკუნეში სიცილია წარმოადგენდა დიდ პოლიტიკურ ძალას.

შუა იტალია ეკონომიურად უფრო ჩამორჩენილი იყო. ქალაქ რომში ვაჭრობა ნაკლებად იყო განვითარებული. პაპის შემოსავალი მოდიოდა მლოცველებისაგან. ხელოსნების შემოსავალი იზრდებოდა. ხვედრითი წონა ვაჭრობის, ხელოსნობის იყო მცირე. ქალაქ რომში მაგნატებს ჰქონდა სახლები. ის გარემოცული იყო 200 სიმაგრით, რომელიც მაგნატებს ეკუთვნოდა. 1153 წელს რომის მოსახლეობა: ხელოსნები, ვაჭრები, წვრილი რაინდობა აჯანყდნენ მაგნატების წინააღმდეგ. შექმნეს თავიანთი მთავრობა- სენატი. განსაკუთრებული როლი მოიხვეჭა იტალიელმა სწავლულმა არნოლდო ბრეშიელმა. ის ეკლესიის მწვალებლად ითვლება. იგი დაიბადა ქალაქ ბრეშში. მისი მოძღვრება გამოირჩეოდა რევოლუციურობით. მან მოაწყო გამოსვლა ეპისკოპოსის წინააღმდეგ. მას სურდა აღედგინა თავდაპირველი ქრისტიანობა-ეკლესიის სიმარტივე, სიღარიბე, რომელიც კმაყოფილდებოდა მხოლოდ საეკლესიო მეათედით. 1119 წელს მოეწყო საეკლესიო კრება, რომელმაც გამოაცხადა მისი დევნა. ის გაიქცა იტალიიდან და თავი შეაფარა საფრანგეთს, სადაც გახდა პიერ აბელარის მოწაფე.

1153 წელს პიერ აბელარმა დამარცხება განიცადა ეკლესიისგან. შეტევა მიიტანეს მის მოწაფეზე არნოლდზე. ის გაიქცა საფრანგეთიდან და ციურიხში დასახლდა. 1154 წელს დაბრუნდა რომში. ფაქტიურად ის შეიქნა კომუნის იდეების წარმომშობი. პაპი გაძევებული იყო იტალიიდან. ფრიდრიხ I

აწყობს ლაშქრობას იტალიაზე გვირგვინ კურთხევისათვის 1200 (საიმპერიო) რაინდით. 1154 წლის ოქტომბერში რომში მდგომარეობა რთული იყო. აქ ბატონობდა კომუნა. 1154 წელს აირჩიეს ახალი პაპი ინგლისელი ბრექსპერი-ადრიანე IV-დ წოდებული. მან გაავრცელა ინტერდიქტი. აკრძალა ღვთისმსახურება, სანამ მოღვაწეობდა არნოლდო ბრეშიელი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა რომაელებში. რომში არ იყო ერთიანობა: ზომიერები (არ მოსწონდათ ბრეშიელი) და ბრეშიელის მომხრეები.

გაიმარჯვა ზომიერებმა, ამიტომ არნოლდო გაიქცა ტოსკანაში. ამ დროს იტალიაში გამოჩნდა ფრიდრიხი. მას უნდა გაეკეთებინა არჩევანი: მიეღო გვირგვინკურთხევა ხალხისგან თუ პაპისგან. მას სძულდა ხალხი-რესპუბლიკელები. ამიტომ დადო კავშირი პაპთან. მან იკისრა, რომ დაეპატიმრებდა არნოლდო ბრეშიელს და გადასცემდა მათ. 18 ივნისს ის შევიდა რომში და წმინდა პეტრეს ტაძარში ადრიანე IV-მ დაადგა იმპერატორის გვირგვინი. ხალხი აჯანყდა მის წინააღმდეგ. ფრიდრიხი გაეცალა რომს და წავიდა ჩრდილოეთ იტალიაში. გზაზე მან შეიპყრო არნოლდო, რომელიც გადასცა რომის პაპს. ისტორიკოსები უარყოფითად აფასებდნენ მის ამ ნაბიჯს. პაპის განკარგულებით არნოლდო ჩამოახრჩვეს, დაწვეს და მისი ფერფლი მდინარე ტიბრში ჩაყარეს, რომ მისი ნეშტი არ გადაქცეულიყო თაყვანისცემის საგნად.

ფრიდრიხ ბარბაროსამ დაინახა, რომ ვორმსის კონკორდატი არ იქნებოდა მტკიცე. 1157 წლის შემოდგომაზე ფრიდრიხმა მოიწვია ქალაქ ბეზანსონში რაიხსტაგი-საიმპერიო ყრილობა. მას დაესწრო მთავრები, უცხოეთის ელჩები. ფრიდრიხს მიართვეს პაპის წერილი, რომელიც საჯაროდ წაიკითხეს. ის ფრიდრიხს ულოცავდა წარმატებებს და თავის წყალობას ჰპირდებოდა. იყო ასეთი ფრაზა: „ჩვენ ვიქნებოდით მოხარულნი თუ მიიღებ ჩვენგან უფრო ძვირფას ბენეფიციუმებს“ ეს გაიგეს, ისეთნაირად, რომ იმპერატორი იქნე-

ბოდა პაპის ვასალი. კარდინალმა წამოიძახა, რომ მაშ ვისგან მიიღო იმპერატორმა უფლებამოსილება თუ არა პაპისაგან. მხედველობაში არის წმინდა პეტრეს ტაძარში კურთხევა. გერმანელებს სურდათ მისი მოკვლა, მაგრამ შეაჩერეს სისხლისღვრა. პაპმა გამოაგზავნა მობოდიშების წერილი, სადაც განმარტავდა, რომ ბენეფიციუმი უნდა გაეგოთ, როგორც წყალობა. მაგრამ უკვე გვიანი იყო, იმავე წელს ფრიდრიხმა ილაშქრა იტალიაში. ლომბარდიაში ლონკარის ველზე მოიწვია რაიხსტაგი. გამოიძახა ქალაქების წარმომადგენლები, რომლებიც დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ. ქალაქებს უნდა წარედგინათ დამოუკიდებლობის მინიჭების სიგელები, მაგრამ მათ ეს არ ჰქონდათ, ვინაიდან დამოუკიდებლობას მიაღწიეს ფულით ან იარაღით. ფრიდრიხმა ეს ქალაქები საიმპერიო ქალაქებად გამოაცხადა. მილანო ძლიერი ქალაქი იყო. მას მხარი დაუჭირა კრემონმა, რომელიც 1159 წლის აპრილში აჯანყდა. ფრიდრიხმა ვერ აიღო ეს ქალაქი და ალყაში მოაქცია. ფიქრობდა ქალაქის მოსახლეობა შიმშილით ამოეხოცა. ლომბარდიის ქალაქები: პავია, ლოგო, კომო, პარმი და სხვა იმპერატორს მხარს უჭერდა. 1159 წელს მოხდა მეორე ფაქტი. მიიცვალა პაპი ადრიანე IV. ახალი პაპი გახდა როლანდო ბანდინელი, რომელსაც ეწოდა ალექსანდრე III, იტალიურად სანდრო. ალექსანდრეს სძულდა ფრიდრიხი.

1160 წელს ფრიდრიხი თავს დაესხა ქალაქ კრემონს. მან ბრძანა მოსახლეობის გამოსახლება. ანანისში პაპმა შეაჩვენა იმპერატორი, მაგრამ შეეშინდა სიკვდილით დასჯის და საფრანგეთში ლუი VII-მ შეიკედლა. დაიწყო ქალაქ მილანოს გარემოცვა 1162 წლის მარტში. მემატიანე შემდეგნაირად აგვიწერს მილანოს დაცემას: დილაადრიან გაიღო ქალაქის ჭიშკარი, მოსახლეობა გამოვიდა თავშიშველნი, ფეხშიშველნი, თოკით ყელზე, თავზე ნაცარწაყრილები. ეს ნიშნავდა, რომ გინდა ჩამოგვახრჩვეთ, გინდა გაგვთელეთ. ფრიდრიხის გან-

კარგულებით მილანოს მოსახლეობამ დატოვა ქალაქი. ისინი ყმებად აქციეს და სოფლებში დაასახლეს. მან გუთნის ხნული გაატარა ქალაქზე, როგორც რომაელებმა თავის დროზე ქალაქ კართაგენზე. ფრიდრიხის სისასტიკემ გამოიღო საწინააღმდეგო შედეგი. პაპის ალექსანდრე III-ის დიპლომატიის შედეგად შეიქმნა კოალიცია იმპერატორის წინააღმდეგ. ვენეციიდან სიცილიის სამეფომდე მთელი იტალია პაპის გარშემო გაერთიანდა. 1165 წელს ვენეციამ, ვერონამ, პადუამ და ვიჩენცამ ჩამოაყალიბეს ვერონას ლიგა. 1167 წელს ბერგამომ, მანტუამ, ბრეშიმ, ფერარამ და კრემონამ კიდევ ერთი ლიგა შეადგინა, რომელიც იმავე წელს ვერონას ლიგას შეუერთდა. ასე შეიქმნა ქალაქების გაერთიანება, რომელსაც მხარს უჭერდა სიცილიის სამეფოც. საერთო ძალებით აღდგენილ იქნა ქალაქი მილანო და მის მახლობლად, ვეჩელთან აშენდა ახალი ქალაქი, რომელსაც პაპის პატივსაცემად ალექსანდრია უწოდეს. ლომბარდიის ლიგაში 37 ქალაქი იყო გაერთიანებული. ლომბარდიის ლიგასთან პაპის კავშირმა განამტკიცა მისი მდგომარეობა. 1174 წელს ფრიდრიხმა 8-ათასიანი ლაშქრით დაიწყო ბრძოლა ლომბარდიის ლიგას წინააღმდეგ. ფრიდრიხს ახლდა გერმანელი მთავრები, მათ შორის ჰაინრიხ ლომი. ფრიდრიხი ცდილობდა ურთიერთობის დამყარებას გველფების პარტიასთან. ფრიდრიხის დედა იყო ჰაინრიხ ლომის მამიდა. მან ბიძაშვილს დაუბრუნა მიწები. ის მფარველობდა ქალაქებს. ქალაქი ლიუბეკი აყვავდა მისი მმართველობის დროს. 1174 წელს ფრიდრიხმა გადალახა მონსენი და იტალიის ქალაქ სუზას მიადგა, რომელიც ვერ აიღო და პავიაში დაიხია. ჰაინრიხ ლომი თვითნებურად დაბრუნდა თავის სამფლობელოში. მას ჰყავდა 3-4 ათასამდე საკუთარი ჯარი. ლომბარდიის ჯარი ძირითადად ქვეითი ნაწილებისაგან შედგებოდა. ლომბარდიელები გამაგრდნენ ქალაქ ლენიანოსთან, სადაც მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა 1176 წლის 29 მაისს. ფრიდრიხ ბარბაროსამ შეუტია სამხრეთიდან.

პირველად მან წარმატებას მიაღწია და მილანელი რაინდები დამარცხდნენ. მას უნდოდა თვითონ სიმაგრის აღება, მაგრამ აქ წააწყდნენ სასტიკ წინააღმდეგობას. საბოლოოდ ლენიანოსთან ფრიდრიხი სასტიკად დამარცხდა. ის ცხენიდან გადმოვარდა და თავს გაქცევით უშველა. მახვილი და დროშაც კი ბრძოლის ველზე დარჩა. იტალიის ქალაქებმა კი თავიანთი დამოუკიდებლობა აღიდგინეს. 1177 წელს პაპმა მოიწვია ვენეციაში კონგრესი. წმინდა მარკოზის ტაძრის წინ იმპერატორი მუხლებზე დაეცა პაპის ალექსანდრე III- ის წინაშე. ასევე 1077 წელს მისი წინაპარი ჰაინრიხ IV პაპის გრიგოლ VII-ის წინაშე მუხლებზე დაეცა. კონგრესის დარბაზში ისხდნენ: მარცხნივ სიცილიის მეფე-გვილელმო, მარჯვნივ ფრიდრიხი, პაპი კი შუაში საპატიო ადგილზე იჯდა. როდესაც ეკლესიიდან გამოვიდნენ, პაპი ცხენზე იჯდა, იმპერატორი კი ფეხით მისდევდა და მისი ცხენის სადავე ხელში ეჭირა.

ამდენად, ფრიდრიხის 22-წლიანი ბრძოლა იტალიაში მარცხით დამთავრდა, ხოლო 1183 წლის კონსტანტას ხელშეკრულებით კი მან საერთოდ უარი თქვა თავის პრეტენზიებზე ჩრდილეთ იტალიაში. სამაგიეროდ მან წარმატებებს მიაღწია გერმანიაში. შური იძია ჰაინრიხ ლომზე, რომელიც არ დაეხმარა. მას მეზობელი მთავრები მიუსია, დაამარცხა. შემდეგ გერმანიიდან გააძევა და მისი სამფლობელო სხვას გადასცა. რამდენიმე წლის შემდეგ ის მონანიების გრძნობით ეახლა თავის ბიძაშვილს და ამ უკანასკნელმა შეინდო.

მეორე წარმატებას ფრიდრიხმა მიაღწია დიპლომატიის გზით. მან ისარგებლა იმით, რომ სიცილიის მეფეს გვილელმოს არ ჰყავდა მემკვიდრე ვაჟი. ფრიდრიხმა თავისი შვილი ჰაინრიხი დააქორწინა გვილელმოს ასულზე კონსტანცაზე. ამ გზით მან ჰოჰენშტაუფენების დინასტიას მოუპოვა სამხრეთი იტალია და სიცილია. ცნობილია ქართველი ისტორიკოსის პროფ. გივი ჟორდანიას მოსაზრება იმის შესახებ, რომ

ფრიდრიხ ბარბაროსას დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონია საქართველოს სამეფო კართანაც გიორგი III-სა და თამარის მმართველობის დროს. მის ერთ-ერთ ვაჟს თამარ მეფის ცოლად შერთვა სურდა. ფრიდრიხ ბარბაროსას სიცოცხლე მძიმედ დასრულდა, მოხუცი მეფე III ჯვაროსნული ლაშქრობის დროს სირიაში 1190 წელს, მთის მდინარე კილიკალნოში დაიხრჩო (თავის დროზე ამ მდინარეში დახრჩობას ძლივს გადაურჩა ალექსანდრე მაკედონელი).

ფრიდრიხ ბარბაროსას შემდეგ მეფედ შეიქნა მისი უფროსი ვაჟი ჰაინრიხ VI (1191-1197 წწ). ის იყო ერთდროულად სიცილიის მეფე. მას აღმოუჩნდა ტახტის მეტოქე კონსტანცას ძმა ტანკრეტი. ტანკრეტის ნათესავი იყო ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგული. ჰაინრიხ VI-ს მხარი დაუჭირა საფრანგეთის მეფე ფილიპე ოიგუსტმა. ამ დროს იტალიაში, სიცილიაში იფეთქა ჯორდანოს აჯანყებამ, სადაც გერმანელებმა საშინელი სისასტიკე გამოიჩინეს. აჯანყებულებს აწამებდნენ, ნელა ხერხავდნენ შუაზე, ცოცხლად მარხავდნენ და ა.შ ამან განაპირობა სიცილიელი მოსახლეობის სიძულვილი გერმანელებისადმი, ჰაინრიხ VI-მ გადაწყვიტა ბიზანტიის დაპყრობა, მან ბიზანტიის იმპერატორის, ისაკ IV-ის ქალიშვილი ცოლად შერთო თავის შვილს ფილიპე შვაბელს. ამ დროისათვის პაპი გახდა ინოკენტ III, იტალიურად ინოჩენს (1198-1216წწ). ცნობილია მისი გამოთქმა:„როგორც მთვარე ღებულობს ბრწყინვალებას მზისაგან, ასევე მეფეც ღებულობს ბრწყინვარებას პაპისაგან". ყველა მეფე არის პაპის ვასალი. 10 მდე მეფე იყო მისი ვასალი და იხდიდა წმინდა პეტრეს დინარს, ეს ქვეყნები იყო შემდეგი: პორტუგალია, შვედეთი, დანია, სიცილია, ლათინთა იმპერია, ინგლისი. ინოკენტი შეეცადა იტალიაში განემტკიცებინა თავისი ხელისუფლება, მან ისარგებლა გერმანელების მიმართ იტალიელთა სიძულვილით და აუჯანყა ისინი გერმანელებს და ხელში ჩაიგდო რავენის ოლქი. ამ დროს გარდაიცვალა დედოფალი

კონსტანცა, დარჩა მცირეწლოვანი ფრიდრიხ II. ინოკენტ III-მ თავი მის მეურვედ გამოაცხადა, მისცა კარგი განათლება, სანამ ეს ბავშვი იზრდებოდა სიცილია პაპს ეკუთვნოდა, ასევე ლომბარდიის ქალაქები კარგ ურთიერთობაში იყო პაპთან. შეიქმნა ორი დაჯგუფება:

1. შტაუფენების, რომელშიც შედიოდა ფრიდრიხ ბარბაროსა, ფილიპე შვაბელი, ფრიდრიხ II.

2. გველფების. მასში შედიოდა ოტო ჰოჰენშტაუფენი, ჰაინრიხ ლომის ვაჟი.

ორივე აცხადებს ინოკენტ III -ის ვასალობას. ინოკენტ III-ის შემოსავალი დიდი იყო, მას ჰქონდა უზარმაზარი სამფლობელოები. ის ლაშქრობის წინ კრეფდა ჯვაროსნულ მეათედს, რომელსაც თვითონ განაგებდა. ასევე საეკლესიო სასამართლოს დიდი შემოსავალი შემოჰქონდა. სამღვდელოების: პრელატის, აბატის დამტკიცების დროს უნდა გადაეხადათ გადასახადი- ანაპტე. პაპს თავისი ბანკირები ჰყავდა, მას აწყობდა თავისუფალი ადგილი ეკლესიაში. სანამ ახალ პიროვნებას აირჩევდნენ საეკლესიო თანამდებობაზე, შემოსავალი შედიოდა პაპის ხაზინაში. ასევე ის ვაჭრობდა ინდულგენციებით, ეს თანხები იხარჯებოდა ჯვაროსნულ ლაშქრობაზე. კათოლიკური ეკლესია დაშორდა პირვანდელ ეკლესიას. წარმატებით, რომ ეწარმოებინა ეკლესიას ბრძოლა. ინოკენტ III-ის მიერ დაარსდა„ მათხოვარი ბერების ორდენი". ასევე ჯოვანი ფრანსკის ასიზელის მიერ დაარსდა ორდენი და მიიღო მისი სახელი. ის იყო მდიდარი ვაჭრის შვილი, დაიწყო მოგზაურობა და სიღარიბის ქადაგება. მან და მისმა მომხრეებმა შექმნეს ეგრეთწოდებული ფრანცისკანული ორდენი. ისინი მათხოვრულად ცხოვრობდნენ. დადიოდნენ ანაფორით, თოკით წელზე-კორდილიერები, ფეხშიშველი. მალე ფრანცისკანელებმა დააგროვეს სიმდიდრე და მევახშეობასაც ეწეოდნენ. ღარიბ- ღატაკები მათგან სესხულობდნენ ფულს. მეორე ორდენი შეიქმნა ესპანელი დომინი გრუზმანის

მიერ. მის ორდენს ეწოდა დომინიკანური, ფრანკონურად იაკობინური. ორივე ორდენის ძირითადი მიზანი იყო კათოლიკური ეკლესიის სამსახური. ფრანცისკანელები ემსახურებოდნენ ეკლესიას პროპაგანდით, ქადაგებდნენ ხალხურ ენაზე, ხოლო დომინიკანელებმა მიზნად დაისახეს სწავლული კადრების აღზრდა. ისინი გამოირჩეოდნენ თავიანთი განსწავლულობით. ამ ორდენს მიეკუთვნებოდა არაერთი სქოლასტიკოსი: გერმანელი ალბერტ მაგნუსი, იტალიელი თომა აკვინელი.

ცნობილია ვალდენსების მწვალებლობა, სამხრეთ საფრანგეთსა და ჩრდილო იტალიაში, მისი ფუძემდებელი იყო პიერ ვალდენსი. მან გაილაშქრა ეკლესიის წინაარმდეგ. უარყოფდნენ საეკლესიო წესებს, მოითხოვდნენ პირვანდელი ეკლესიის აღდგენას, ისინი ღარიბად ჩაცმული დადიოდნენ. მეორე მწვალებლობა გავრცელდა სამხრეთ საფრანგეთში, ეგრეთწოდებული კათარების ანუ ალბიგოელების. კათარი ბერძნულად სუფთას ნიშნავს. მათი მთავარი ეპისკოპოსი იმყოფებოდა საფრანგეთის ქალაქ ალბიში ამიტომ მათ მოძრაობას ალბიგოელთა მოძრაობა ეწოდა. მათ შექმნეს საკუთარი ეკლესია, ჰყავდათ საკუთარი სამღვდელოება, რომელთაც სრულყოფილები-პერფექტი-კრედენტეს ერქვა. არსებობს 2 საწყისი: ღმერთი და ეშმაკი. ღმერთისაგან მომდინარეობს წმინდა, ეშმაკისაგან ცოდვილი. ნუგეშის-კოსელემანტესის გარეშე არ შეიძლებოდა სულის არსებობა.

თემა მეთოთხმეტე

იტალია XIII-XV საუკუნეებში

რომის საღვთო იმპერია მოიცავდა შემდეგ ტერიტორიებს: გერმანიას, იტალიას, არელატს. იტალიაში მოისპო შტაუფენების დინასტია და მოიპოვა დამოუკიდებლობა. კარლ ლუქსემბურგელმა 1354 წელს ილაშქრა იტალიაში, 1368 წელს მეორედ ილაშქრა. გარდა გვირგვინკურთხევისა არაფერი მიუღიათ შტაუფენებს (კარლ IV, ფრიდრიხ III). იტალიაში გამოიყო ორი პარტია: გიბელინები- იმპერატორის მომხრეები და გველფები პაპის მომხრეები.

ამის შემდეგ გერმანელები არ აწყობენ ლაშქრობას იტალიაში. იტალია დარჩა ფეოდალურად დაქუცმაცებული. ამის მიზეზი იყო ის გარემოება, რომ იტალიაში არ იყო ისეთი სოციალური ძალა, რომელიც დაინტერესდებოდა იტალიის გაერთიანებით. მაგ. მევახშეები, ბანკირები, მრეწველები ძლიერი სოციალური ძალა იყო, მაგრამ არ იყო იტალიის გაერთიანებით დაინტერესებული. იტალიური მრეწველობა მუშაობდა საგარეო ბაზრებისათვის. იტალიის შესაბამისი ფენები არ საჭიროებდა სახელმწიფოს მხრივ დაცვას. ქალაქებს შორის იყო მუდმივი ქიშპობა. გენუა, პიზა, ვენეცია, მილანო ემტერებოდნენ ერთმანეთს. ეს შუღლი კი ხელს უშლიდა გაერთიანებას.

სამხრეთი იტალია

აქ ალმოცენდა სიცილიის სამეფო. მასში შედიოდა სიცილია და სამხრეთი იტალია. ის ნორმანებმა შექმნეს, შემდეგ იგი მიიღო შტაუფენების დინასტიამ. სამხრეთ იტალიამ დიდ აყვავებას მიაღწია ფრიდრიხ II-ის დროს. მისი დედაქალაქი

იყო ჩრდ-დას. პალერმო. 1266 წელს ფრიდრიხის შვილმა მალფრედმა განიცადა დამარცხება გრანბელას ველზე საფრანგეთის მეფე შარლ ანჟუელთან (ლუი IX ძმა). გიბელინები მხარს უჭერდნენ მალფრედს, ხოლო გველფები- შარლ ანჟუელს. მალფრედი დაილუპა ამ ბრძოლაში. 1268 წელს შეიპყრეს მისი ძმისწული კონრადინი და სიკვდილით დასაჯეს, უკანასკნელი წარმომადგენელი შტაუფენების დინასტიის. შარლ ანჟუელმა ფეოდალები აყარა მიწებიდან, სასტიკად გაუსწორდა შტაუფენების მომხრეებს. საზოგადოების ზედა ფენა შეიცვალა ფრანგულით. შარლ ანჟუელი ტიპიური ავანტიურისტი იყო. სიცილიელები უკმაყოფილო იყვნენ შარლ ანჟუელის პოლიტიკით. დაიწყო ფეოდალური არეულობები. შარლ ანჟუელმა პალერმოდან დედაქალაქი გადაიტანა ნეაპოლში. მის დროს დაიწყო აჯანყება.

1282 წლის 30 მარტს პალერმოში მოსახლეობამ მოაწყო რელიგიური დღესასწაული, სანსპირიტოს (სულიწმინდას) ეკლესიის მახლობლად. აქვე იყვნენ ფრანგი პატრულები, რათა იარაღი ჩამოერთმიათ მოსახლეობისათვის. ერთ-ერთი ჯარისკაცი აეკიდა ქალს, ბრალი დასდო რომ კაბის ქვეშ ჰქონდა იარაღი, უდიერად პირბადე ჩამოგლიჯა. ხალხმა ეს ჯარისკაცი მოკლეს. დაიწყო აჯანყება, რის შედეგადაც პალერმოში ყველა ფრანგი ამოხოცეს. მას სიცილიური მწუხრი ეწოდა. აჯანყდა მთელი სიცილია. მან მოიპოვა დამოუკიდებლობა შარლ ანჟუელისგან. სიცილიელებმა დახმარებისათვის მიმართეს ესპანელებს. ესპანეთის მეფეს ცოლად ჰყავდა მალფრედის ასული. არაგონიის მეფე პედრო არაგონელი მოინვიეს მეფედ სიცილიაში, რომლის დახმარებით სიცილიელებმა გაანადგურეს შარლ ანჟუელი. ფრანგების ფლოტი ჩაძირა და კუნძული სიცილია შემოიმტკიცა. ანჟუელებს დარჩა მხოლოდ სამხრეთი იტალია, რომელმაც მიიღო ნეაპოლის სამეფოს სახელწოდება. 1309-1343 წწ რობერ ანჟუელი მეფობდა ნეაპოლში. ის მფარველობდა ლიტერატუ-

რას, ხელოვნებას. მის დროს ფეხი აიდგა ჯოვანი ბოკაჩომ. მისი უკანონო ქალიშვილი (ფიანეტა დე კამერონში) მარია ჯოვანი ბოკაჩოს ტრფობის სიმბოლო იყო. რობერის დროს ნეაპოლის სამეფო იწყებს დაცემას, განსაკუთრებით, მისი შვილის დედოფალი ჯოვანის დროს. 1442 წელს არაბები იპყრობს მას.

შუა იტალია

პაპებს ეკუთვნოდა რომის ოლქი- წმინდა პეტრეს მამული. პაპები ზრუნავდნენ, რათა გაეფართოებინათ თავიანთი სამფლობელოები, სადაც ვაჭრობა, ხელოსნობა სუსტად იყო განვითარებული. აქ იყო ნობილების გვარი, რომელიც ხშირად ებრძოდა პაპის ხელისუფლებას. 1294 წელს პაპი შეიქნა ბონიფაციუს VIII ორსინი. მისი პოლიტიკის მიზანი იყო ორსინის გვარის გაძლიერება. მისთვის დამახასიათებელი იყო მიწების ჩამორთმევა, რეპრესიები. 1305 წელს პაპმა კლიმენტ V თავის სამყოფად აირჩია ქალაქი ავინიონი, რომელიც ეკუთვნოდა პაპს, მაგრამ საფრანგეთს ესაზღვრებოდა, ამიტომაც პაპები საფრანგეთის მეფეების გავლენის ქვეშ მოექცნენ. 1308-1377 წლებს იტალიელებმა ავინიონის ტყვეობა უწოდეს. ფაქტიურად რომს ნობილები დაეპატრონა. ჰუმანისტი კოლა დი რიენცო ჩაუდგა სათავეში აჯანყებას, რომელშიც მონაწილეობდა: ვაჭრები, ხელოსნები, გლეხები. ის მეგობრობდა ფრანჩესკო პეტრარკასთან. ის იყო უბრალო წარმოშობის. მამამისი იყო წვრილი მედუქნე, დედა მრეცხავი. მან ადრე დაკარგა მშობლები. იგი გაგზავნეს ანანიში, სადაც შეისწავლა ლათინური, რიტორიკა, მჭერმეტყველება. კოლას ჰქონდა პატრიოტული იდეები. მას აღონებდა მშობლიური ქალაქის აოხრება. ის ოცნებობდა იმ დროზე, როცა აილაგმებოდა ბარონების თვითნებობა. ოცნებობდა ძველი რომის რესპუბლიკის აღდგენაზე. გადაწყვიტეს რესპუბლი-

კის დამყარება. 1347 წლის მაისში მათ ისარგებლეს იმ გარე-
მოებით, რომ ბარონები გასული იყვნენ რომიდან და 20 მაისს
გამოვიდნენ ქუჩაში, გაეშურნენ სენატის შენობისაკენ. მათ-
მა გამოსვლამ უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა. მათ ხალხზე
დაყრდნობით რომი რესპუბლიკად გამოაცხადეს. რომის
რესპუბლიკამ 7 თვე იარსება. კოლა დი რიენცო რომის სა-
ხალხო ტრიბუნი გახდა. მისი პოლიტიკა ანტიფეოდალური
ხასიათის იყო. გააძევეს ნობილები. მათ რესპუბლიკისადმი
ერთგულების ფიცი დაადებინა. რიენცოს განკარგულებით
ხიდები, გამაგრებანი გადავიდა რესპუბლიკის ხელში. ღერ-
ბები მოხსნეს და დაამაგრეს რესპუბლიკის ღერბი-SPQR.
ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გადასახა-
დებები შეამცირეს. მოისპო სახიდო, საზღვაო საბაჟო გადა-
სახადებები. შემოიღეს ერთიანი ზომისა და წონის ერთეული.
მოიჭრა ახალი მონეტა-ROMA CAPUT MUNDI – რომი
მსოფლიოს თავია, რამაც ხელი შეუწყო ვაჭრობისა და ხე-
ლოსნობის განვითარებას. შეიქმნა მილიცია 360 მხედრისა
და 1300 ქვეითისაგან. ეს მიმართული იყო ნობილების- ბარო-
ნების წინააღმდეგ. რიენცომ მოისურვა იტალიის გაერთია-
ნება. 1347 წლის 1 აგვისტოს რომში მოიწვიეს იტალიის ქა-
ლაქების დელეგატები. მოვიდა 25 დელეგატი ფლორენციი-
დან, სიენიდან. ამ ყრილობაზე რიენცომ გამოაცხადა იტალი-
ის გაერთიანება. იტალიის ყველა მცხოვრები რომის მოქა-
ლაქედ ცხადდებოდა. რომაელ ხალხს საკანონმდებლო და
აღმასრულებელი უფლებები მიცა. ე. ი. პაპი კარგავდა თავის
წინანდელ ძალაუფლებას. ნობილები პაპის კლიმენტ V-ის
წაქეზებით აწყობს შეთქმულებას. მათი მიზანი იყო კოლა დი
რიენცოს მოკვლა და წინანდელი ხელისუფლების აღდგენა.
დაიქირავეს მკვლელი, მაგრამ ამ წამოწყებას წარმატება არ
ჰქონია. რიენცოს მომხრეებმა მკვლელი შეიპყრო. დაკით-
ხვისას მან დაასახელა შეთქმულების მონაწილენი. რიენცომ
გამართა ზეიმი, მიიწვია შეთქმული: ბარონები და ლხენის

დროს დააპატიმრეს 26 კაცი. მათ შორის კოლონა ორსინი და სხვა გავლენიანი პირები. მათ მიუსაჯეს სიკვდილი. 15 სექტემბერს გაიყვანეს მოედანზე, იქ ჯალათის ნაცვლად გამოცხადდა რიენცო, რომელმაც რესპუბლიკის ყველა მტერს შეუნდო. ეს იყო უგუნური ნაბიჯი. მტერი მან ვერ შემოირიგა. მალე გამომჟღავნდა ამ ნაბიჯის მცდარობა. კვლავ აჯანყდნენ. ხაზინა დაქირავებული ჯარის შენახვით გამოიფიტა. რიენცო იძულებული იყო გაედიდებინა გადასახადები, ჯარისკაცებს დროზე ვერ უხდიდნენ გადასახადს. ის შიშით ვერ იწვევდა სახალხო კრებებს. გარდა ამისა ის იყო ძალიან პატივმოყვარე. 19 სექტემბერს მოხდა დიდი ბრძოლა, რომელიც დასრულდა რესპუბლიკის გამარჯვებით. 80-მდე ბარონი დაიღუპა, მათ შორის კოლონის გვარის 6 კაცი მოკვდა. რიენცოს შეეძლო ამის შემდეგ ბარონების ციხეები დაენგრია, მაგრამ ეს არ გააკეთა. ბატონყმობა არ მოსპო. ეს იყო არახელსაყრელი გლეხებისათვის. ახალი გადასახადების გადახდა ხალხს არ სურდა. 15 დეკემბერს რიენცო იძულებული იყო გადამდგარიყო და 3 დღის შემდეგ ბარონები ქალაქ რომს დაეუფლა. რესპუბლიკამ იარსება 7 თვე 20 მაისიდან 15 დეკემბრამდე. რესპუბლიკის დამარცხების მიზეზი იყო იტალიის ქალაქების მოუმზადებლობა და არ იყო სოციალური ძალები, რომელიც გაერთიანებას სათავეში ჩაუდგებოდა. გარდა ამისა იყო სუბიექტური მიზეზებიც. 3 წლის განმავლობაში მან არ დაანგრია ციხეები, არ მოსპო ბატონყმობა, სიკვდილით არ დასაჯა ბარონები. 1352 წლის ზაფხულში იმპერატორმა რიენცო პაპს ავინიონში გადასცა. იგი გამოაცხადა მწვალებლად და მიესაჯა კოცონზე დაწვა. მაგრამ კლიმენტ V-მ ვერ გაბედა ამის განხორციელება. რომში ბევრი იყო რიენცოს მომხრეები. ორი წელი გაატარა რიენცომ საპყრობილეში სიკვდილის მოლოდინში. ამასობაში გარდაიცვალა პაპი კლიმენტ V, რომელიც შეცვალა ინოკენტ VI-მ. მან გაათავისუფლა რიენცო, მისცა მას ჯარი, რომის

სენატორად გამოაცხადა და რომში გაგზავნა, რათა აელაგმა ბარონების თვითნებობა და წინააღმდეგობა. გარდა ამისა მას უნდა შემოემტკიცებინა რომი. 1354 წლის 1 აპრილს რიენცო შევიდა რომში. იგი შეპირდა ხალხს წესრიგის აღდგენას, მაგრამ ეს ვერ შეძლო. დაქირავებული ჯარის შესანახად საჭირო იყო ფული. რიენცო იძულებული გახდა დაებეგრა რომაელები, ხოლო შეძლებულ მოქალაქეებს აპატიმრებდა და ფულს გამოძალავდა. ამან გამოიწვია უკმაყოფილება. 8 ოქტომბერს რომში დიდი აჯანყება მოხდა. ალყა შემოარტყეს მის სასახლეს. ხალხმა არ მოუსმინა მას, იგი დაჭრეს, ხოლო სასახლეს ცეცხლი წაუკიდეს. რიენცო გავიდა უკანა კარიდან, წვერი მოიპარსა, შეიმურა სახე, მაგრამ არ მოიხსნა სამაჯურები და არ გაიხადა აბრეშუმის წინდები, რითაც იცნეს და მოკლეს. იგი ფეხით ჩამოკიდეს, პატარა ბიჭები ქვებს უმიზნებდნენ, სამი დღის შემდეგ მისი ცხედარი ჩამოხსნეს და შემდეგ დაწვეს.

რომში ახალმა პაპმა გამოგზავნა ჯარი ესპანელი კარდინალის ხილ ალბორნოსის მეთაურობით, რომელიც ცდილობდა პაპის ხელისუფლება განემტკიცებინა. მან 10 წლის ბრძოლის შემდეგ ბარონები დაიმორჩილა და აღადგინა პაპის ხელისუფლება. პაპების ყოფნამ ავინიონში დასცა მათი ავტორიტეტი. 1377 წელს პაპი გრიგოლ XI დაბრუნდა რომში, რომელმაც ერთი წელი დაჰყო აქ, მაგრამ მეორე წელს ის გარდაიცვალა. ამის შემდეგ კარდინალები ორად გაიყო. ნაწილი წავიდა ავინიონში, ნაწილი დარჩა რომში. ორივე მხარემ აირჩია თავისი კანდიდატი. რომში აირჩიეს იტალიელი ურბან VI, ხოლო ავინიონში ეროვნებით ფრანგი, კლიმენტ VII. ევროპის სახელმწიფოები ორად გაიყო:

1. კლიმენტისტები, რომელსაც მხარს უჭერდა: ნეაპოლი, საფრანგეთი, კასტილია, შოტლანდია.

2. ურბანისტები,რომელთა მოკავშირე იყო: იტალია, გერმანია, ინგლისი.

პაპებმა ერთმანეთი შეაჩვენეს. განკვეთეს ვინც წინააღმდეგი იყო. ე.ი. ევროპის ყველა სახელმწიფო განკვეთილ იქნა. ამ კრიზისს ეწოდა განხეთქილება-SCHISMA. პაპის დაცემული ავტორიტეტი კიდევ უფრო დაეცა. ამან კი ხელი შეუწყო ანტიკათოლიკურ მოძრაობას. ჩეხეთში დაიწყო ჰუსიტური მოძრაობა, რომელთა მიმდევრები მოითხოვდნენ ეროვნული ეკლესიის შექმნას, საეკლესიო მიწების სეკულარიზაციას, საერო პირთა სასულიერო პირებთან თანასწორობას.

რომში პაპი იყო გრიგოლ XII, ავინიონში ბენედიქტ XIII. პიზას საეკლესიო კრებამ ორივე პაპი გადააყენა და აირჩია ალექსანდრე V. ის მალე მოკვდა და შეცვალეს პაპით იოანე XXIII-ით, რომელიც ვიდრე პაპი გხდებოდა კარდინალ ბალთაზარ კოსას სახელით იყო ცნობილი. ეს იყო გარყვნილი პიროვნება. მაშასდადამე, იტალიაში ერთდროულად 3 პაპი ეცილებოდა ძალაუფლებას.

კათოლიკური ეკლესიის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. პაპები ეწეოდნენ მუქთახორულ ცხოვრებას, კრეფდნენ გადასახადებს. ანატი იყო წლიური გადასახადი. ამ გადასახადს უხდიდა პაპს ეპისკოპოსი და აბატი, როცა მას თანამდებობაზე ამტკიცებდა. ეს გადასახადი თითქმის მთელი წლის შემოსავალს უდრიდა. ადგილი ჰქონდა სიმონიას-თანამდებობებით ვაჭრობას. ერთ და იმავე პიროვნებას რამდენიმე თანამდებობა ეჭირათ. ეკლესიის საქმეებში ამას საშინელი არევ-დარევა შეჰქონდა. პაპები ვაჭრობდნენ ინდულგენციებით. ბონიფაციუს VIII-თან იწყება იუბილეები. პირველი იუბილე გადაიხადეს 1300 წელს, ცოდვის შესანდობად დანესდა შეწირულობები. იუბილე ჯერ იმართებოდა ყოველ 100 წელიწადში, შემდეგ 50 წლის შემდეგ, შემდეგ 33, 10 და 5 წლის. შემდეგში იუბილეებს აწყობდნენ, როცა ფული არ ჰყოფნიდათ. ყოველივე ეს კვებავდა რეფორმაციულ მოძრაობას. 1414 წლის ნოემბერში კონსტანცაში შეიკრიბა ახალი მსოფლიო საეკლესიო კრება და დასრულდა 1418 წლის

აპრილში. მასში სამღვდელოების გარდა მონაწილეობდნენ ღვთისმეტყველების პროფესორები. საეკლესიო კრებაზე განიხილეს 3 საკითხი:

1. ჰუსიტების წინააღმდეგ ბრძოლა.
2. სქიზმის-ეკლესიის ერთიანობა.
3. ძირეული რეფორმების გატარება საეკლესიო საქმეში.

მოიწვიეს იან ჰუსი. იმპერატორმა სიგიზმუნდმა მას ხელშეუხებლობის სიგელი მისცა. ის მოტყუვდა. მას კრებამ არ მოუსმინა. მოსთხოვეს თავისი აზრების უარყოფა. კრებამ მას განუცხადა, რომ ყველაზე მაღლა დგას საეკლესიო ავტორიტეტი. იან ჰუსი გაასამართლეს, როგორც მწვალებელი და 1415 წლის ივნისში კოცონზე დაწვეს, მისი ფერფლი კი მდინარე რაინში ჩაყარეს. დაიწყო ჰუსიტური მოძრაობა. საეკლესიო კრება შეუდგა ერთიანობის აღდგენას. მან გადააყენა გრიგოლ XII და აირჩიეს მარტინ V. კრება შეუდგა ძირეული რეფორმების გატარებას საეკლესიო საქმეში. კრებამ გვერდი აუარა ძირეული რეფორმების გატარებას. აკრძალა სიმონია, საეკლესიო კრების ავტორიტეტი გამოცხადდა ყველაზე მაღლა. ამან განაპირობა კონფლიქტი პაპსა და კრებას შორის. ამიტომ საეკლესიო კრების შემდეგ არ გატარდა კონსტანცის საეკლესიო კრების ამოცანები. პაპობამ მიზნად დაისახა შემოსავლის გაზრდა. პაპისა და სიგიზმუნდის ინიციატივით 5 ჯვაროსნული ლაშქრობა ჩატარდა ჰუსიტების წინააღმდეგ. თაბორიტები განსაკუთრებით აქტივობდნენ: იან ჟიჟკა, პროკოფი დიდი. მათ მოიგერიეს და თვითონ გადავიდნენ შეტევაზე. მათ შეჰქონდათ რეფორმაციული იდეები. მარტინ ლუთერზე გავლენა მოახდინა წინა მოძრაობამ. 1431 წ ივლისში (შვეიცარიაში) ბაზელში შეიკრიბა მსოფლიო საეკლესიო კრება, გაგრძელდა მისი მუშაობა 1449 წლამდე. ის მოიწვია მარტინ V. პაპს სურდა კრება მოეწვია თავის რომელიმე ქალაქში მაგ. პავიაში (ლომბარდიაში), ბოლოს შე-

თანხმდნენ ბაზელში. ამასობაში პაპი მოკვდა. დაინიშნა ევგენი IV. კრება იყო ხალხმრავალი, დემოკრატიული ხასიათის. პრელატები, აბატები, ეპისკოპოსები ცოტა იყო. ბევრი იყო ბერ-მონაზონი და მღვდელი. ღვთისმეტყველი დოქტორები აქაც დიდ როლს ასრულებდა. განიხილეს 3 საკითხი:

1. ჰუსიტური მოძრაობის აღმოფხვრა.
2. კათოლიკური ეკლესიის ძირეული რეფორმა.
3. რომის კათოლიკური ეკლესიის მართმადიდებლურ ეკლესიასთან შეერთება.

კრებამ განაცხადა, კრებას აქვს სუპრემატია. ევგენი IV-მ ცნო ეს დებულება. მას ესაჭიროებოდა ეკლესიის ავტორიტეტი. იგი დარწმუნდა, რომ ჯვაროსნული ლაშქრობებით შეუძლებელი იყო ჰუსიტების გასრესა, ამიტომ გადაწყვიტეს გათიშვის პოლიტიკა გამოეყენებინათ.

მემარჯვენე ჰუსიტები- ბიურგერობა, შეძლებული ოსტატები.

მემარცხენე ჰუსიტები- გლეხების ინტერესებს გამოხატავდა.

ულტრაქსისტები და თაბორიტები. ულტრაქსისტები დაშინებული იყო თაბორიტებით. დაიწყო მოლაპარაკება მემარჯვენე ფრთასთან. 1433 წ 30 ნოემბერს, რომელსაც ეწოდა კომპანქტადები. ის მოასწავებდა კომპრომისს. საეკლესიო კრებამ ცნო და ნება დართო:

1. ღვთისმსახურება ყოფილიყო ჩეხურ ენაზე.
2. საეკლესიო მიწების სეკულარიზაცია.
3. დარჩენილიყო ორი სახის საიდუმლოება.

თაბორიტებმა არ ცნო ეს კომპანქტადები და დაიწყეს ბრძოლა. იგი დასრულდა თაბორიტების დამარცხებით. მარქსი წერდა: ეროვნულმა ჩეხურმა გლეხთა ომმა დამარცხება განიცადა.

სამღვდელოების ზნეობრივი გაუმჯობესებისათვის ჩატარდა ლონისძიებანი. ინტერდიქტი აიკრძალა, ე.ი მთელი

ქრისტიანული თემების განკვეთა დანაშაულისათვის რელიგიურად. უნდა მოეწვიათ კრებები. გაუქმდა ანატი და ყოველგვარი სიმონიის შემოღება.

ამ ღონისძიებამ აამხედრა ევგენი IV. საეკლესიო კრების ავტორიტეტი უკვე არ სჭირდებოდა, ვინაიდან ჰუსიტების საკითხი უკვე მოგვარებული იყო. ბოლოს განხეთქილება მოხდა მე-3 საკითხის გადაწყვეტის დროს.

ბიზანტიის იმპერატორმა იოანე VIII-მ მიმართა დასავლეთის ქრისტიანებს. დაიწყო მოლაპარაკება და ბიზანტიამ გადაწყვიტა უნიაზე წასულიყვნენ. მაგრამ სად უნდა წარმოებულიყო მოლაპარაკება?

1437 წელს პაპის მომხრეებმა დატოვეს ბაზელის კრება. მოიწვიეს საეკლესიო კრება ფერარაში 1438 წელს, ხოლო 1439 წელს ფლორენციაში. პაპმა გამოაცხადა ბაზელის კრება დაშლილად. ევგენი IV გადაყენებულად გამოცხადდა, აირჩიეს ახალი პაპი საფრანგეთის მოკავშირე, სავოიის ჰერცოგი- ამადეო VIII, მან მიიღო ფელიქს V-ის სახელი.

1439 წლის 6 ივნისს დაიდო უნია. ერთიანდებოდა მართლმადიდებლური ეკლესია კათოლიკურთან. მეთაური-რომის პაპი. ამ ახალი სქიზმით შეშფოთდა ევროპის სახელმწიფოები. ევროპულმა დიპლომატიამ მიაღწია იმას, რომ ფელიქს V-ს უარი ეთქვა პაპობაზე. 1449 წლის აპრილში საბოლოოდ მოისპო სქიზმა, ნიკოლოზ V აირჩიეს პაპად. ნიკოლოზ V-მ გააუქმა ბაზელის კრების დადგენილებები. 4 წლის შემდეგ კონსტანტინეპოლი აიღეს თურქებმა. სოფიის ტაძარი იქცა მეჩეთად.

1472 წელს კონსტანტინეპოლში შეიკრიბა საეკლესიო კრება, რომელმაც უარყო უნია. ამის შემდეგ პაპები კარგავს მისწრაფებას პრივილეგიებისაკენ. ერევიან იტალიის საშინაო საქმეებში. ვითარდება ნეპოტიზმი NEPOS-ძმისწული

(ლათინური სიტყვაა). პაპები ცდილობდნენ, რომ თანამდებობაზე მოხვედრილიყვნენ მათი ნათესავები.

იტალიის რესპუბლიკების ისტორია

იტალიაში ვაჭრობა და ხელოსნობა წამყვანი დარგები იყო. ვენეციაში გაბატონებული იყო ვაჭრობა, ფლორენციაში-ხელოსნობა. ვენეციამ ძლიერებას მიაღწია IV ჯვაროსნული ლაშქრობის დროს (1201-1204 წწ), როცა გაბატონდა ხმელთაშუა ზღვაზე. ვენეციამ დაიპყრო მიწები მის ოლქში, ადრიანოპოლის ოლქში, დალმაციის სანაპირო, კუნძულები ეგეოსის ზღვაზე, ხმელთაშუა ზღვის კუნძულები: კრეტა, კვიპროსი. ლათინთა იმპერიაში, რომელიც შეიქმნა IV ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ვენეცია. მან გააძევა გენუა.

XIII საუკუნიდან გენუამ მიიღო: ხიროსი, ლესბოსი (შავ ზღვაზე), ყირიმში კაფა, თეოდოსია, სუდაკი. 1296 წელს დიდი ბრძოლა მოხდა ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე კუნძულ კურცოვოსთან. გენუამ დაამარცხა ვენეციელები. ადრე 1284 წელს გენუელებმა დაამარცხეს პიზა, წაართვეს კუნძული კორსიკა. მე-2 კუნძული სარდინია არაგონელებმა დაიპყრეს და გენუამ ისიც წაართვა. XIII ს. დასასრულსა და XIV საუკუნის პირველ ნახევარში გენუელთა ძლიერებამ ზენიტს მიაღწია. გრძელდებოდა კლასობრივი და სოციალური ბრძოლა. ამ ბრძოლებში დიდ მონაწილეობას ღებულობდნენ ფეოდალური გვარები: სპინოლა, დორია და სხვა. ყოველივე ამან შეასუსტა გენუა და XV საუკუნეში რევანშს იღებს კვლავ ვენეცია. 1380 წელს კიოჯიოსთან დაამარცხეს გენუელები და ხმელთაშუა ზღვაზე კვლავ ბატონობს ვენეცია. ვითარდება ვაჭრობა, ხელოსნობა, მრეწველობა, იარაღის დამზადება, ოსტატობა და შუშის წარმოება, გემთმშენებლობა. 1423 წელს ვენეციის დოჟმა ტომაზო მოჩენიკომ აღნიშნა, რომ ვე-

ნეციაში ცხოვრობდა მარტო 16 ათასი ფეიქარი და 6 ათასი გემთმშენებელი მუშა. ჰქონდა 3 ათასი ხომალდი, ფლოტში მსახურობდა 40 ათასი მეზღვაური. ვენეციაში მოიჭრა ოქროს ფული დუკატი. ვენეციის წლიური შემოსავალი შეადგენდა 1 მლნ დუკატს. საფრანგეთის შემოსავალიც ამდენივე იყო. ინგლისის და ბურგუნდიის ამაზე ნაკლები. ვენეციაში პირველ ადგილზეა დიპლომატიის განვითარება. შემოიღეს ახალი ფორმა რეზიდენტობა. რეზიდენტი- მუდმივი ელჩი, დაკრედიტებულია და ცხოვრობს იმ ქვეყანაში, რომელთანაც აქვს ურთიერთობა. ადრე კი ელჩი ბრუნდებოდა თავის ქვეყანაში.

შინაგანი წყობილება

ძალაუფლება ვაჭარ-პატრიციატის ხელში იყო.მათ ხელში იყო დიდი საბჭო GRAN CONSIGLIO 480 წევრისაგან შემდგარი. აქ წარმოდგენილი იყო მსხვილი პატრიციული ვაჭრები. იგი ირჩევდა ვენეციის რესპუბლიკის მეთაურს დოჟის-DOGE.ეს თანამდებობა სიკვდილამდე რჩებოდა. თუ რაიმე მძიმე დანაშაულს ჩაიდენდა მხოლოდ მაშინ გადააყენებდნენ.

1297 წელს დოჟმა გრავენიკომ ჩაატარა მნისვნელოვანი რეფორმა. კანონით ზუსტად განსაზღვრეს ის გვარები, რომლებიც შევიდა დიდ საბჭოში. ასეთი იყო 400 გვარი. მოგვიანებით მათი სახელები შეიტანეს ოქროს წიგნში ვენეციის ისტორიისა. ფაქტიურად მთელი ძალაუფლება ჩაუვარდა დიდი საბჭოს მიერ შექმნილ კომისიებს და საბჭოებს. მნიშვნელოვანი იყო სინიორია ანუ მცირე საბჭო, ისინი ინიშნებოდა დიდი საბჭოსგან. დოჟი დამოკიდებული იყო მცირე საბჭოზე. მთელი მოსახლეობა მკაცრი კონტროლის ქვეშ იყო. შემოიღეს ფარული კენჭისყრა. თეთრი ნიშნავდა- თანხმობას, მწვანე- უარს, წითელი- თავის შეკავებას. სულ იყო 3 ფერის

ბურთი. 1310 წელს იწყება ახალი კრიზისი. მოეწყო შეთქმულება ცნობილი არისტოკრატის ბაიანო ტიეკოლოს მეთაურობით. მათი მიზანი იყო დოჟის და დიდი საბჭოს წევრების დახოცვა და გრავიანიკოს მიერ შემოღებული კონსტიტუციის მოსპობა. მაგრამ ჯაშუშების მეშვეობით ჩაახშვეს ეს შეთქმულება, ხოლო ტიეკოლო გადაასახლეს. ამის შემდეგ შეიქმნა 10-ის საბჭო, რომელიც წააგავდა ინკვიზიციას და ეწოდა ვენეციის ინკვიზიცია. მასში შედიოდა პატრიციული გვარები. ეს იყო საიდუმლო სასამართლო, რომელიც ზვერავდა მოსახლეობას. გასამართლება ზოგჯერ ბრალდებულის დაუსწრებლადაც ხდებოდა. ვენეციაში იყო რამდენიმე საბჭო. ტყვიის საპყრობილე, რომელიც ხურდებოდა და ტუსაღები იქედან ცოცხალი ვერ გამოდიოდნენ. დამკვიდრდა ტერორისტული პოლიტიკა. ვენეციის რესპუბლიკამ XIX საუკუნემდე- ნაპოლეონის დაპყრობამდე იარსება.

ფლორენციის რესპუბლიკა

ფლორენციის რესპუბლიკის ძლიერება არ ემყარებოდა მსხვილ ვაჭრობას. მისი ძლიერება ემყარებოდა: 1. საბანკო საქმეებს 2.მრეწველობას.

XII საუკუნეში ვითარდება საბანკო საქმე. პაპის კურიასთან კავშირმა ხელი შეუწყო მის განვითარებას. ისინი იქცნენ პაპის ბანკირებად. პაპის ხელისუფლების გაძლიერებასთან ერთად იზრდებოდა ბანკირებიც. აქ მოიჭრა ოქროს მონეტა- ფლორინი. აქედან წარმოსდგება ჩვენი წინაპრების სიტყვა ფლური, ფლურები. ეს იყო I ოქროს მონეტა, რომელიც მოიჭრა XIV საუკუნის ევროპაში. ვითარდება სანოტარო, საკანცელარიო საქმე. განვითარდა მედიცინა, სააფთიაქო საქმე. პერუცის ბანკი 16 განყოფილებას მოიცავდა: პარიზში, პიზაში, გენუაში, ვენეციაში, ტუნისში და სხვა. შალის მრეწველობა ორ დარგად იყოფა:

1. როცა შალი მზადდება ნახევარნედლეულისგან. მათ შემოჰქონდათ უხეში მაუდი ინგლისიდან, ფლანდრიიდან და კალიმალას ქუჩაზე ხელახლა ამზადებდნენ მაღალი ხარისხის მაუდს-CALIMALA

2. ესპანური ჯიშის მირინოსის ცხვრის მატყლისაგან ამზადებდნენ მაუდს- LANA.

ეს სახელოსნოები მანუფაქტურულ წარმოებას წარმოადგენდნენ, რომელიც პირველი სტადიაა კაპიტალისტური წარმოების.

XIV საუკუნის 30-იან წლებში ფლორენციაში იყო 30-მდე მსხვილი კაპიტალისტური წარმოება. ფლორენციაში 20 საფეხურისგან შედგებოდა ეს წარმოება: მატყლის დაჩეჩვა, განმენდა, აპრეტურა, ღებვა, გაკრეჭა, გაპარსვა და სხვა. საჩეჩელების, საფხეკების დამზადება ხდებოდა სახელოსნო საწარმოებში.

ძაფის დართვას სოფლებში გლეხები ახდენდნენ. ასეთ პროცესს ეწოდება ჰეტეგონერული მანუფაქტურა, დაფანტული წარმოება. იყვნენ პროლეტარები იმდროინდელი დღიური მუშები. მათ ჩომპის ხალხს უწოდებდნენ. ამ ტერმინის წარმოშობა ძნელი დასადგენია. ჩომპი ნისნავდა დაგლეჯილ-დაფლეთილს, მუშას.

პოლიტიკური წყობა

ძალაუფლება ეკუთვნოდა მაგნატებს. ფლორენციაში ცხოვრობდა 73 მაგნატური გვარი. მათ ჰქონდათ სახლები, ციხესიმაგრეები. ისინი ძალაუფლებისათვის აწარმოებდნენ ბრძოლას. მაგნატების ერთი ნაწილი იყო იმპერატორის მხარეზე- გიბელინები. მეორე ნაწილი კი- პაპის. ესენი იყვნენ-გველფები.

გიბელინები შეადგენდა ფეოდალურ პარტიას, რომელიც არ იყო ჩაბმული სასაქონლო მეურნეობაში. მე-2 პარტიის

წარმომადგენელნი დაუმოყვრდნენ ვაჭრებს, დიდოსტატებს. ეს შეადგენდა გველფების პარტიას.

ჩომპი – ეს იყო უორგანიზაციო მასა. უუფლებო მჩეჩავები, მპენტავები, შავი მასა. ფლორენციის ბურჟუაზია იწყებს ბრძოლას ძალაუფლებისათვის. ამისკენ მიისწრაფის ხელოსნები. ფლორენციაში შეიქმნა 21 ამქარი. ყველა ეს ამქრები არ იყვნენ ერთი მდგომარეობის. იყოფოდნენ ორ ნაწილად:

1. წვრილი ოსტატები: მპენტავები, მჩეჩავები.

2. ვაჭრები, უფროსი ამქრები-მსუქანი ხალხი: ვაჭრები, ბანკირები, ექიმები, მეაფთიაქები, ხარაზები, მჭედლები, კალატოზები, სელის ვაჭრები, მელვინეები, ზეთით მოვაჭრენი, მეტყავეები.

ასეთი უმცროსი ამქარი იყო 14. მათ ეწოდათ უმცროსი ამქრები- ARTI MEMORI მათგან განსხვავდებოდა 7 უფროსი ამქარი-მსუქანი ხალხი- ARTI MAGGIORI. აქ იყო ფლორენციის ბურჟუაზიის წარმომადგენელნი. ყველაზე ადრე წარმოიშვა CALIMALA

I. 1192 წ წარმოიშვა CALIMALA (უხეში მაუდისგან-შალის)

II 1202 წ – CAMBIO-მდიდარი ბანკირების ამქარი.

III 1212 წ – LANA- შალის წარმოების ამქარი.

LANA -საამქროს ჰქონდა სასამართლო, საპყრობილე, პოლიცია, ზედამხედველი.

IV 1218 წ – აბრეშუმის ამქარი.

V – PELLICIAN- ბეწვეულის ამქარი.

VI – MEDICH – ექიმის ამქარი.

VII – აფთიაქის ამქარი.

ყველა მათ ეწოდა ARTI MAGGIORI. წევრებს- POPOLO GRASSO POPOLO MINUTO – წვრილი ხალხი.

მიმდინარეობდა ბრძოლა წვრილ ხალხსა (უმცროს ამქარს) და მსხვილ ხალხს (უფროს ამქარს) შორის. ისინი ასუსტებდნენ ერთმანეთს. გველფების პარტია მსუქან ხალხთან იყვნენ კავშირში. გიბელინები ემყარებოდნენ გარეშე ძალას-შტაუფენების დინასტიას, ფრიდრიხ II ეხმარებოდა მათ.

ფლორენციელმა გიბელინებმა ფაინატე დე ლი უგენტიმ მოიპოვა გამარჯვება. მას იხსენიებს დანტე – ღვთაებრივ კომედიაში. 1258 წელს გველფებმა მოახდინეს გადატრიალება. 1260 წ მალფრედ-ფრიდრიხ II შვილის დახმარებით დაიბრუნეს ძალაუფლება გიბელინებმა. 1267 წელს გაიმარჯვეს ისევ გველფებმა. ამის შემდეგ გიბელინებს არ ჰქონიათ ძალაუფლება. მსუქანი ხალხი, რომელიც გველფებს ემხრობოდა კარგავს თავის უფლებებს. ჯამნო დე ლა ბელას პარტიამ 1293 წელს მიაღწია გამარჯვებას, დაამხვეს გველფების პარტია, შეადგინეს ახალი კონსტიტუცია ე.წ ORDINAMENT DI GIUSTITIA – მართლმსაჯულების წესდებანი. ამ კონსტიტუციის ძალით შემოიღეს ახალი ორგანო, სინიორია 9 წევრისაგან შემდგარი. მათ ირჩევენ ორ-ორი თვით, მაგრამ წევრთა რაოდენობა იყო უთანაბრო. 14 უმცროსი ამქრისაგან ირჩევდნენ ორს – GONFALONIERE ფლორენციის დროშა იყო თეთრი, წითელი ჯვრით. GONFALONIERE -ს ეჭირა ხელში ეს დროშა. ის იყო დიდი კაცი, ეხლანდელი ტერმინით, რომ ვთქვათ პრეზიდენტი.

ამგვარად, მთელი ძალაუფლება გადავიდა ამქრების და მსუქანი ამქრების ხელში. წვრილი ამქარი უუფლებო იყო. XIV ს–ის 30-იან წლებში ფლორენციაში ცხოვრობდა 80 ათასი მოქალაქე, აქედან მხოლოდ 3 ათასი სარგებლობდა ხმის უფლებით. ადამიანს პოლიტიკურ უფლებას ართმევდნენ. 73 მაგნატური გვარიდან 30 იყო მსუქანი ხალხი. მსუქანმა ხალხმა დაკარგა გავლენა ფლორენციაში, რომლებიც გველფებს ემხრობოდნენ. ჯამნო დე ლა ბელა იძულებული იყო გაქცეუ-

ლიყო ფლორენციიდან. მათ დატოვეს მართლმსაჯულების წესები. მაგნატებმა მოიპოვეს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება იმ პირობით, რომ ერთ-ერთი ამქრის წევრი გახდებოდნენ. ისინი გახდნენ წევრები მოსამართლეების და ნოტარიუსების ამქრის. ამდენად, მაგნატებმა მიიღეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. მაგრამ ამქარგარეშე პირები დარჩა პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული. XIII საუკუნის ბოლოდან იწყება ახალი პოლიტიკური ბრძოლა ორ პარტიას შორის:

1. გიბელინებთან შერიგების მომხრენი – თეთრი გველფები. დანტე ალიგიერი მათი წევრი იყო. ხელმძღვანელი იყო ჩელტის გვარი.

2. მე-2 გვარი ემხრობოდა პაპს. მას სათავეში უდგას დონატის გვარი- შავი გველფები.

1294 წ ძალაუფლება თეთრების ხელშია, დანტე აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ფლორენციის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1302 წელს შავმა გველფებმა გაიმარჯვეს. გაძევებულთა შორის იყო პეტრარკას მამა და დანტეც.

ამ ამბებმა არ გააუმჯობესა ხალხის მატერიალური მდგომარეობა. 1346 წელს იწყება კრიზისი. ამ დროს წარმოებდა 100 წლიანი ომი. ინგლისმა ისესხა 1 მლნ 365 000 ფლორინი. 1346 წელს უარი თქვა ბანკნოტზე, 1347 წელს ადგილი აქვს სტიქიურ უბედურებას – მოუსავლიანობას. 1348 წელს ადრე გაზაფხულზე შავი სიკვდილი მძვინვარებდა. 32 ასეთი სენი მძვინვარებდა აღმოსავლეთში. ფლორენციაში ეს სენი 5 თვეს გრძელდებოდა. ამის აღწერა მოცემულია ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონის“ შესავალში.

იწყება მწვავე ბრძოლა. ბურჟუაზია ცდილობს მიამაგროს მუშები სახელოსნოებს. მუშები აწყობენ გაფიცვებს. მძაფრი გამოძახილი ჰპოვა ჩომპის აჯანყებამ. ეს იყო პირველი ცდა იმდროინდელი მუშა პროლეტარიატისა დაემყარებინა თავისი ხელისუფლება – 1378 წელს. აჯანყება თავისი

შემადგენლობით იყო ჭრელი. თავდაპირველად მონაწილეობდა ჩომპისთან ერთად, ბურჟუაზია, მსუქანი ხალხი. გველფებს სათავეში ედგა ალბიცის გვარი, რომელნიც შეუერთდნენ ამ მოძრაობას. მედიჩი და ალბერტი იყვნენ მდიდარი ბანკირები, მაგრამ არ შედიოდნენ გველფების პარტიაში. ისინი ცდილობდნენ გველფების ბატონობა შეეცვალათ თავიანთი მომხრეების ბატონობით. მათ სურდათ გამოეყენებინათ ეს მოძრაობა თავის სასარგებლოდ.

აჯანყება დაიწყო 20 ივნისს. ხალხი ანგრევს გველფების სახლებს. ალბიცი და მისი მომხრეები გაიქცნენ. ხალხმა გაათავისუფლა პატიმრები. აირჩიეს ახალი სენიორია. მის სათავეში მოექცა ლუიჯი გვიჩარდინი (მსუქანი ხალხი). ძალაუფლება ხელში ჩაიგდო მსუქანი ხალხის იმ ნაწილმა, რომელიც ეკუთვნოდა მედიჩისა და ალბერტის პარტიას. დაემხო გველფების ბატონობა, მაგრამ არავითარი სოციალური ცვლილება ამას არ მოჰყოლია. ერთი თვის შემდეგ დაიწყო ახალი მოძრაობა, სათავეში უდგას მოძრაობას ჩომპი- ფლორენციის დღიური მუშები, მპენტავები, მჩეჩავები. 20 ივლისს დაეუფლნენ მართლმსაჯულებას. სენიორიამ გვიჩარდინის მეთაურობით წაუყენა ორი პეტიცია:

1. ერთი უმცროსი ამქრების სახელით შედგენილი.
2. მეორე ეკუთვნოდა ჩომპის.

პირველ პეტიციაში არ იყო არავითარი სოციალური მოთხოვნები. იგი ითვალისწინებდა გველფების პარტიის დამხობას. არავითარი ცვლილება არ იყო აქ გათვალისწინებული.

მეორე პეტიციაში მნიშვნელოვანი იყო შემდეგი ღონისძიებანი:

1. ახალი ამქრების დაარსებას ჩომპისთვის.
2. სენიორია უნდა აერჩია ამქრების ნაწილს.
3. საგადასახადო რეფორმა.

ფლორენციაში იყო პირდაპირი გადასახადი. ჩომპი მოითხოვს მის გაუქმებას და შეძლებულების დაბეგვრას. ეს იყო პროგრესული საშემოსავლო გადასახადი.

4. ზოგიერთი თანამდებობის მოსპობას.

5. პროცენტების გაუქმებას.

6. უმუშევრობის მოსპობას.

7. მუშის ხელფასის გაზრდას.

გვიჩარდინის სენიორიამ მიიღო ორივე პეტიცია, მაგრამ არ აპირებდნენ მის გატარებას. ჩომპი დაეუფლა სენიორიის სასახლეს, საიდანაც გაიქცნენ სენიორიის წევრები. ხალხმა აირჩია მიქელე დი ლანდოს მთავრობა. მეორე დღეს ჩატარდა ახალი სენიორიის არჩევნები. ჩომპიმ და მისმა მოკავშირეებმა მიიღეს ორი ხმა, უფროსმა ხალხმა-მსუქანმა-ორი, ე.ი მსუქანმა ხალხმა დაკარგა თავისი უფლებები.

მიქელე დი ლანდოს მთავრობამ დააარსა 3 ახალი ამქარი:

1. ჩომპის- წვრილი ხალხის ამქარი- 13 პროფესიის მუშები გაერთიანდა მასში. ესენი იყვნენ დღიური მუშები, იგივე პროლეტარები.

2. მღებავების ამქარი- აერთიანებდა 9 პროფესიის ხელოსნებს. აქ შედიოდა მაუდის მპარსველები, საპნის მხარშავები, სავარცხლების, საფხეკების დამამზადებლები.

3. მკერავების ამქარი- აერთიანებდა 7 პროფესიის ხელოსნებს: დალაქები, მკერავები და სხვა.

მომავალში სენიორიაში უნდა ყოფილიყო 9 პრიორი. აქედან 3 უნდა აერჩია უფროს ამქრებს, 3- უმცროსს, 3- ახალ დაარსებულ ამქრებს.

შეიქმნა სახალხო გვარდია 1500 მეომრისაგან, როგორც დასაყრდენი ამ მთავრობისა. შეცვალეს საგადასახადო სისტემა. შეამსუბუქეს მშრომელთა ხვედრი, დაბეგრეს შეძლებული ხალხი. მარილის ფასი 50%-ით შეამცირეს. მეწარმეებმა დატოვეს საწარმოები და გადავიდნენ თავიანთ ვილებში.

ფლორენციაში დაიკეტა სახელოსნოები, დაიწყო უმუშევრობა, შიმშილი. მიქელო დი ლანდოს მთავრობამ ვერ გაბედა ბურჟუაზიის ქონების ხელყოფა. მას არ უნდოდა შეხებოდა მსუქანი ხალხის ინტერესებს და მათ ქონებას. ეს აიხსნებოდა მათი გაუბედაობით, მაგრამ მხოლოდ ამით არა. მიქელე დი ლანდო იყო მსუქანი ხალხის აგენტი. მდგომარეობა შეიქნა სავალალო. მუშები საშინლად დაზარალდნენ. აგვისტოს დამლევს დაიწყო ჩომპის ხელახალი მოძრაობა. 25 აგვისტოს შეიკრიბა უკმაყოფილო ჩომპი ცნობილ ეკლესიაში- სანტა-მარია ნოველა-ში, იგი მოხსენიებულია დეკამერონში, აირჩიეს ხელმძღვანელად 8 კაცი. მათ უწოდეს წმინდა 8, რვათა კოლეგიას. მას დაავალეს გაეტარებინა ღონისძიება, რათა შექმნილიყო მუშური მთავრობა, მიქელე დი ლანდოს არ აძლევდნენ უფლებას თავისი პოლიტიკა გაეტარებინა. შეიქმნა ორი მთავრობა:

1. შემთანხმებლური მთავრობა მიქელე დი ლანდოს მსუქანი, სუსტი და ახალი ამქრების წარმომადგენლები.

2. რვათა კოლეგია.

წვრილი ამქრები ღალატობს ჩომპის აჯანყებას, არ უჭერს მხარს. 4 ივნისს ჩატარდა სენიორიის არჩევნები, რვათა კოლეგიის კონტროლის ქვეშ. 8 ამქარი განუდგა ჩომპის ხალხს. ამქრებს ჰყავდა ქარგლები, შეგირდები, რომელზეც ჩომპის ხალხი მოქმედებდა და ეშინოდათ მათი მოძრაობის. გაერთიანებულმა ამქრებმა დილანდოს მეთაურობით შეუტია ჩომპის. საშინელი სისხლი დაიღვარა. მათ გაუსწორდნენ ტერორისტული მეთოდებით. მუშური მთავრობა განადგურდა ამქრების მიერ. დამარცხების მიზეზი იყო სუბიექტური და ობიექტური.

ობიექტური – არ იყო მომწიფებული ფლორენცია ხალხის ხელისუფლების დამყარებისათვის. ის იყო იზოლირებული. ჩომპის უღალატა მოკავშირეებმა, წვრილმა ოსტატებმა და უმცროსმა ამქრებმა. აირჩიეს ახალი სენიორია 9 კაცის

შემადგენლობით. 5 უფროსი და 4 უმცროსი ამქრებიდან. ეს იყო დროებითი მთავრობა. უმცროსი ამქრები დიდ ძალას არ წარმოადგენდა 1382 წელს ფლორენციაში აღადგინეს ძველი რესპუბლიკა. მსუქანმა ხალხმა აღადგინა თავისი ძალაუფლება. ჩომპის აჯანყებას მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა. ბურჟუაზია შეშინებული იყო ხალხის გამოსვლებით. განმტკიცდა ფლორენციაში ალბიცის გვარის ბატონობა. ისინი იყვნენ მსხვილი მრეწველები და ვაჭრები, რომლებიც დიდი გავლენით სარგებლობდნენ. ფლორენცია აწარმოებს აგრესიულ ომებს მეზობლების წინააღმდეგ. იგი ებრძვის მილანოს, პიზას და აფართოებს თავის მიწებს. XV საუკუნის დამდეგს ფლორენციამ დაიპყრო პიზა. გენუამ წაართვა პიზას კუნძული კორსიკა. პიზას დაპყრობას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. მის ხელში გადავიდა ზღვის სანაპირო. ფლორენცია იქცა საზღვაო ქვეყნად, რაც ხელს უწყობდა ზღვაოსნობის განვითარებას. ეს მძიმე ტვირთად აწვა მშრომელ მოსახლეობას. ჩომპის აჯანყების დროს ხალხი მოითხოვდა პირდაპირი გადასახლებების მოსპობას. ეს გამოიყენა მათმა მოქიშპეებმა, მედიჩებმა. როცა დაიწყო ეს აჯანყება მედიჩი გააძევეს ფლორენციიდან. მოძრაობას ეხლა სათავეში ედგა კოზიმო მედიჩი. ისინი საბანკო კაპიტალს ფლობდნენ და არ იყვნენ დაინტერესებული გადასახადებების გაზრდით. 1430 წელს ალბიცის მომხრეებმა დაამარცხა კოზიმო მედიჩი, წავიდა ფლორენციიდან, მოიარა ევროპის ქვეყნები. 1432 წელს მოაწყვეს სახელმწიფო გადატრიალება დაამხვეს ალბიცის ბატონობა, კოზიმო დაბრუნდა ფლორენციაში 1434 წელს ფაქტიურად მთელი ძალაუფლება იმყოფებოდა მის ხელში. შეიქმნა 100-ის საბჭო – დიდი საბჭო,17-ის კოლეგია, ამ თანამდებობაზე ინიშნებოდა მედიჩის გვარის წარმომადგენლები. მედიჩების პოლიტიკას ჰქონდა ფართო დასაყრდენი. ისინი კმაყოფილი იყვნენ ახალი მთავრობით. შეუძლებლად თვლიდა ხალხის მასების გამოსვლას. მათ ანგარიში გაუწიეს

ხალხის მოთხოვნებს. ხალხი ითხოვდა პირდაპირი გადასახადების გაზრდას მდიდრებზე. ის ბეგრადვდა იმ მდიდრებს, რომლებიც მათი მტრები იყვნენ. ამას ემატებოდა მისი ტაქტიანი მოქცევა. მედიჩები მფარველობდა განათლებას, კულტურას. აყვავების ხანა მოდის კოზიმოს შვილიშვილის ლორენცო მედიჩის (1469-1492 წწ) დროს. ამ პერიოდს მედიჩების ხანა უწოდეს. დიდად ვითარდება მრეწველობაც. მუშაობდა 300-მდე მაუდის და 100-მდე აბრეშუმის საწარმო. ამგვარად, დამყარდა მონარქიული წყობილება. ასეთ მონარქიულ წყობილებას, რომელიც გარეგნულად რესპუბლიკურ მმართველობას წარმოადგენდა ტირანია უწოდეს. მოგვიანებით მედიჩებმა მიიღეს ჰერცოგების ტიტული. ასეთივე ტირანიები დამყარდა ფლორენციის სხვა ქალაქებში. ტირანები ფეოდალური გვარებიდან იყვნენ. მაგალითად ვერონაში-სკალიველრების, ფერარაში- ესტესის, მანტუაში- გონზაგების, პადუაში- კარალების და ა.შ.

მილანოს მბრძანებლები იყვნენ ვისკონტის გვარის წარმომადგენლები. თავის აყვავებას ვისკონტებმა მიაღწიეს ჯონ გალიაცოს დროს (XIV-XVსს). 1395 წელს ჯონ გალიაცომ მიიღო ჰერცოგის ტიტული. იგი მფარველობდა ჰუმანისტებს: პეტრარკას (იტალიელი პოეტი), ფრუასარს (ფრანგ ისტორიკოსს), ჩოსერს (ინგლისელ პოეტს).

იტალიის ქალაქ სახელმწიფოები და ტირანიები აწარმოებს ურთიერთშორის ომებს დაქირავებული ჯარების საშუალებით. ჯარს ქირაობდა სარდალი. სამხედრო დაქირავების ასეთ ხელშეკრულებას ეწოდა კონდოტა. აქედან წარმოსდგება კონდოტიერი- ჯარისკაცი. მათი პრინციპი იყო ფულის მიღება. ფრანჩესკო სფორცა იყო ცნობილი კონდოტიერი, ემსახურებოდა პაპს, ფლორენციას შემდეგ მილანოს. ფილიპე მარია ვისკონტი იყო მილანოს ჰერცოგი. მან თავისი ქალი შერთო სფორცას. 1347 წელს გარდაიცვალა მარია და გამოაცხადეს რესპუბლიკის აღდგენა. მაგრამ მილანოს რეს-

პუბლიკამ 3 წელი გასტანა. მას ასუსტებდა ომი მეზობელ ვენეციასთან. სფორცა დაუქირავდა მილანოელებს და ებრძოდა ვენეციელებს. შემდეგ მილანოს შეუტია, გამოაცხადა თავი მილანოს ჰერცოგად. დამყარდა სფორცას ტირანია მილანოში. იტალია დაიყო შემდეგ ტერიტორიებად: ნეაპოლის სამეფო, პაპის სამფლობელო, ფლორენციის რესპუბლიკა, მილანოს საჰერცოგო, ვენეციის რესპუბლიკა, ჩრდილო სავოია, მონფერატის მარკიზატი და სხვა საჰერცოგოები.

ამრიგად, იტალიის გაერთიანება ვერ მოხერხდა. პირიქით ტირანიის დამყარებამ განაპირობა მისთვის ხელის შეშლა. შემდეგ საფრანგეთი იწყებს აქ ომებს.

თემა მეთხუთმეტე

ასწლიანი ომი (1337-1453 წლები)

ასწლიანი ომი, ფაქტიურად იყო ომების მწკრივი, რომელიც მიმდინარეობდა 116 წელი, მაგრამ არა გაბმით, არამედ წყვეტილად. რა იყო ომის მიზეზები:

1. ფლანდრიის საკითხი.
2. პლანტაგენეტების ფრანგული სამფლობელოები
3. საფრანგეთ-შოტლანდიის კავშირი ინგლისის წინააღმდეგ
4. ტახტის მემკვიდრეობის საკითხი.





ფილიპე ლამაზის ვაჟებს არ ჰყავდათ მემკვიდრე, ხოლო ასული იზაბელა ცოლად ჰყავდა ინგლისის მეფეს ედუარდ II-ს. შესრულდა ბონიფაციუს VIII-ისა და ტამპლიერების ორდენის მაგისტრის წყევლა ფილიპე ლამაზზე, რომ უძიროდ უმემკვიდრეოდ გადაშენებულიყო კაპეტინგების დინასტია. საფრანგეთის სამეფო ტახტზე პრეტენზიას აცხადებდა ორი პრეტენდენტი:

1. შარლ ვალუა, ფილიპე IV-ის ძმა, მაგრამ ის გარდაიცვალა და პრეტენზია განაცხადა მისმა ვაჟმა ფილიპე ვალუამ.

2. იზაბელას ვაჟი ედუარდ III (1327-1377 წწ).

უპირატესობა მისცეს ფილიპე ვალუას (კაპეტინგების გვერდითი შტო – ვალუები). ხოლო ედუარდ III-ს შეუთვალეს, რომ სალიკური საამართლის 59-ე ტიტულის § 5-ის მიხედვით, ქალი არ შეიძლება იყოს ტახტის მემკვიდრე. ამრიგად, სამეფო ტახტზე ავიდა ფილიპე VI ვალუა გრძელი (1328-1350 წწ). ამ დინასტიამ გასტანა 1589 წლამდე, რელიგიურ ომამდე, შემდეგ კი მოდის ბურბონების დინასტია.

წინააღმდეგობათა კვალი იქმნებოდა ფლანდრიაში ინგლისსა და საფრანგეთს შორის. ვინც ფლანდრიაზე გაიმარჯვებდა, ის მთელ ევროპაზეც გაავრცელებდა თავის უფლებებს. ინგლისს აქ შეჰქონდა მატყლი. 1336 წელს საფრანგეთის მეფის ფილიპე VI ვალუას ბრძანებით ფლანდრიის გრაფმა რობერმა ბრძანება გასცა ფლანდრიაში მყოფი ინგლისელი ვაჭრების დაპატიმრების შესახებ. ინგლისის მეფემ ედუარდ III-მ ამის საპასუხოდ ინგლისში მყოფი ფლანდრიელი ვაჭრები დააპატიმრა. ინგლისმა ასევე ზღვის ყველა გასავალი ჩაკეტა და შეწყვიტა მატყლის შეტანა. ფლანდრიაში დაიხურა სანარმოები და დაიწყო კრიზისი. როდესაც ასწლიანი ომი დაიწყო ფლანდრიის გრაფი საფრანგეთში გაიქცა, ხოლო ფლანდრიის მოსახლეობამ მხარი ინგლისს დაუჭირა.

ინგლისი ომისათვის მომზადებული იყო. ჰყავდა მშვილდოსანთა ქვეითი რაზმები. მშვილდოსანს 350 მეტრის მანძილზე შეეძლო ადამიანის მოკვლა. საფრანგეთს მიემხრო: შოტლანდია, პაპი კლიმენტ V და ფლანდრიის გრაფი. საფრანგეთი ეყრდნობოდა გენუელებისაგან დაქირავებულ ქვეით ჯარს, რომელიც ნაკლებად სანდო იყო, ვიდრე ინგლისელები.

ინგლისმა ომი გამოუცხადა საფრანგეთს 1337 წელს. 1339 წელს კი ინგლისელებმა კონტინენტზე განახორციელეს შეტევა. მათ ქალაქ კამბრეს ალყა შემოარტყეს, მაგრამ ვერ აიღეს. 1340 წელს კი ინგლისელებმა სლეისთან გაიმარჯვეს, რის შემდეგ ბრძოლა სამი მიმართულებით წარიმართა:

1.ფლანდრიის,

2.ბრეტანის,

3.გიიენის.

მართალია, ინგლისელებმა საფრანგეთის მოსახლეობა ააწიოკეს, დაარბიეს, მაგრამ საბოლოო წარმატებას მაინც ვერ მიაღწიეს. შემდეგ დაარბიეს ნორმანდია და ფლანდრიისაკენ დაიძრნენ. ინგლისელთა ჯარი 20 ათასს შეადგენდა. 1346 წლის 26 აგვისტოს მოხდა ბრძოლა კრესისთან, სადაც ინგლისელებმა გაიმარჯვეს და ალყა შემოარტყეს ქალაქ კალეს. 1347 წელს კალეს კაპიტულაცია მოხდა, რომელიც ინგლისის საზღვაო ფლოტის ბაზად იქცა. 1356 წლის სექტემბერში პუატიესთან ფრანგები კვლავ დამარცხდნენ. ფრანგი სენიორების დამარცხებამ გამოიწვია მოსახლეობის უკმაყოფილება, რაც გამოიხატა 1357-1358 წლების აჯანყებაში და ჟაკერიის მოძრაობის დაწყებაში.

პარიზის 1358 წლის აჯანყება

ომი აფერხებდა ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას. დაიხურა სახელოსნოები და გაიზარდა უმუშევრობა. სა-

ომარი მოქმედებების შეწყვეტის დროს საფრანგეთის ხელისუფლება დროზე ვერ აძლევდა დაქირავებულ ჯარებს ხელფასს და ისინი მოსახლეობას არბევდნენ და ძარცვავდნენ.

ფილიპე VI ვალუას შვილი ჟან კეთილი (1350-1364 წწ) ტყვედ ჩავარდა. მისი შვილის შარლ V დოფინის (1364-1380 წწ) დროს მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. მას უნდა გამოეხსნა მამა ჟანი ტყვეობიდან და ომის გასაგრძელებლად გამოენახა თანხები. ამიტომ 1356 წლის ოქტომბერში მოიწვია გენერალური შტატები. აქ 800 დელეგატიდან 400 იყო მე-3 წოდების წარმომადგენელი. მათ გააკრიტიკეს მეფის ხელისუფლება და სესხის მიცემაზე უარი განუცხადეს. მე-3 წოდებამ 15 დღის თათბირის შემდეგ 50 კაცი აირჩია, მათ შორის პარიზის ვაჭართა მამასახლისი ეტიენ მარსელი, რომელთაც მეფესთან მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინათ. წამოაყენეს შემდეგი მოთხოვნები:

1.უნდა გადაეყენებინათ ის მოხელეები, რომლებსაც ისინი დაუსახელებდნენ.

2.მათთვის არა სასურველი მოხელეები უნდა დაეპატიმრებინათ და ქონება ჩამოერთმიათ.

3.მეფის მრჩევლებად უნდა დაენიშნათ მათ მიერ არჩეული დეპუტატები.

მეფემ შარლ დოფინმა უარი განაცხადა ამ მოთხოვნების შესრულებაზე. პარიზში დაიწყო მოძრაობა. 1357 წლის თებერვალში კვლავ მოიწვიეს გენერალური შტატები. მეფის ხელისუფლებამ 1357 წლის 3 მარტს გამოაქვეყნა ე. წ. „მარტის დიდი ორდონანსი", რითაც მიდიოდა დათობაზე, მაგრამ ამ დროს დაიდო ზავი ინგლისთან და გააუქმეს ეს ორდონანსი. პარიზში სწრაფად გავრცელდა ხმა, რომ გენერალურ შტატებს აღარ მოიწვევდნენ, რამაც დააჩქარა ხალხის აჯანყება.

1358 წლის 22 თებერვალს 300 შეიარღებული კაცით ეტიენ მარსელი მეფის სასახლისაკენ გაეშურა, შეიჭრა შიგ, ორი

მოხელე თვითონ მოკლა, ხოლო დოფინი სიკვდილს გადაარ-ჩინა (მისი ქუდი დაახურა) და პარიზიდან გააქცია. მალე მე-ფემ თავი მოუყარა შეიარღებულ ძალებს და დაიწყო მზადე-ბა იერიშისათვის. ეტიენ მარსელს უნდოდა მოკავშირედ ნა-ვარის მეფე შარლ ბოროტი, მაგრამ მისი იმედი არ გამარ-თლდა. ეტიენ მარსელის ნამდვილი მოკავშირე იყო გლეხობა. 1358 წლის მაისში ჩრდილო საფრანგეთის პროვინციაში ბო-ვეზში დაიწყო გლეხთა მოძრაობა-ჟაკერია. ფრანგი თავა-დაზნაურობა გლეხს „ჟაკ ბომონს", ჟაკ-მიამიტს (ტეტიას) უწოდებდა. ბოვეზიდან ისინი გაემართნენ ილ დე ფრანსში და შამპანში. აჯანყების ხელმძღვანელი იყო გიიომ კალი. გლეხთა აჯანყება ატარებდა სტიქიურ ხასიათს. ქალაქელებ-მა არ დაუჭირა მხარი ეტიენ მარსელს, ხოლო თვითონ გიიომ კალი დაეხმარა ეტიენ მარსელს პარიზის ალყის გარღვევაში. აჯანყებულთა ბანაკი განლაგდა სოფელ მელოსთან. შარლ ბოროტის მეთაურობით ფრანგები დაიძრნენ აჯანყებული გლეხებისაკენ. შარლმა შეუთვალა გიიომ კალს მოსალაპარა-კებლად გამოცხადებულიყო. გიიომი შეცდა და გამოცხადდა. იგი შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. ბელადის სიკვდილის შემდეგ აჯანყებულები პანიკამ მოიცვა და ადვილად დაა-მარცხეს. დაიწყო გლეხთა ხოცვა-ჟლეტა, რის შედეგადაც 20 ათასამდე კაცი დაიღუპა. მალე პარიზის ეტიენ მარსელის აჯანყებაც ჩააქრეს.

გლეხთა აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მას დიდი მნიშ-ვნელობა ჰქონდა. ფეოდალები დიდხანს ვერ ბედავდნენ გლეხების დაბეგვრას. გლეხთა ომებმა შეარყია ფეოდალური წყობილება.

1360 წელს დაიდო ზავი ინგლისსა და საფრანგეთს შო-რის პარიზის სამხრეთით ქალაქ ბრეტინში 9 წლის ვადით. ამ ზავით დამთავრდა ასწლიანი ომის პირველი პერიოდი, რაც მძიმე იყო საფრანგეთისათვის. მნიშვნელოვანი ოლქები გა-დაეცა ინგლისს: პუატიე, სენტ ონჟენი. სამხრეთ საფრანგე-

თის თითქმის ნახევარი გადავიდა ინგლისის ხელში. ასევე საფრანგეთს უნდა გადაეხადა თავისი მეფის გამოსასყიდად 3 მლნ ოქრო, მაგრამ 1364 წელს მეფე ტყვეობაში გარდაიცვალა. მეფე გახდა შარლ V დოფინი (1364-1380 წწ). მან ჯერ კიდევ რვა წლით ადრე დაიწყო ქვეყნის მართვა. მეფის ხელისუფლების განმტკიცებისათვის შეიქმნა ხელსაყრელი პირობები. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჟაკერიამ. მართალია ის დამარცხდა, მაგრამ მან დააშინა გაბატონებული კლასი, რომელიც არ იყო დაინტერესებული ქვეყნის განმტკიცებით. ასევე გლეხობაც დარწმუნდა, რომ ქვეყანაში წესრიგის დამყარება შეიძლება ქვეყნის განმტკიცებით და ინგლისელების გაძევებით. შარლ V-მ კარგად გამოიყენა შექმნილი მდგომარეობა. მან ისარგებლა ზავით და ჩაატარა რეფორმები.

ფინანსური რეფორმა დაკავშირებული იყო უპირველესად გადასახადების შემოღებასთან. საჭირო შეიქმნა გენერალური შტატების თანხმობა, ამიტომ 1363 წელს ამიენში და 1369 წელს პარიზში მოიწვიეს პარლამენტი. ამიენის შტატებმა დართეს ნება დაეწესებინათ ახალი გადასახადი. პარიზის შტატებმა შემოიღო არაპირდაპირი გადასახადი ღვინით და სხვა სასმელებით ვაჭრობაზე. მესამე გადასახადი იყო ჯერ კიდევ ფილიპე VI-ის დროს შემოღებული მარილის გადასახადი გაბელლა. მარილი ძვირდებოდა, მაგრამ ხელისუფლება იგებდა. მთავარი მიზანი ფინანსური რეფორმისა იყო სამხედრო საქმის მოწესრიგება. გადაიხადეს ჯარისკაცების ვალი. ამის შემდეგ ჩაატარეს სამხედრო რეფორმა. შეიქმნა ქვეითი ჯარი, საზღვაო ფლოტი და შემოიღეს ცეცხლსასროლი იარაღი. ქვეითი ჯარის შექმნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯარის ძირითადი ბირთვი იყო ხელოსნები, გლეხები. ფეოდალებიც, როგორც ვასალები ეწეოდნენ სამხედრო სამსახურს. 1368 წელს გამოსცეს კანონი სამხედრო წვრთნის შესახებ. ფრანგ ფეოდალებს არ სურდათ, რომ გლეხებს შე-

ესწავლათ იარაღის ხმარება, რომ შემდეგ ის არ აღემართათ მათ წინააღმდეგ. საფრანგეთის ჯარი არ იყო რეგულარული და ეროვნული. აქ იყვნენ დაქირავებულები: ირლანდიელები, შოტლანდიელები, ესპანელები, იტალიელები და სხვები.

1369 წელს ამოიწურა ზავის ვადა და განახლდა ომი. საფრანგეთი ერიდებოდა დიდ ბრძოლებს. ისინი მოულოდნელი თავდასხმის ტაქტიკას იყენებდნენ. 1380 წელს შარლ V-ის გარდაცვალების შემდეგ შარლ VI-ისა და რიჩარდ II-ის დროს საფრანგეთსა და ინგლისს შორის დაიდო ზავი 28 წლის ვადით. ინგლისელებმა კვლავ დაკარგეს ბრეტინის ზავით შეძენილი ტერიტორიები და საფრანგეთში დარჩათ მხოლოდ ბორდო, ბაიონა და კალე.

ასწლიანი ომი მოიცავდა ოთხ პერიოდს:

I პერიოდი – 1337-1360 წლები, რომელიც დასრულდა ბრეტინის ზავით (დაიდო 9 წლის ვადით)

II პერიოდი-1369-1380 წლები (28 წლის ვადით დაიდო ზავი)

III პერიოდი- 1415-1420 წლები, დასრულდა ტრუას ხელშეკრულებით.

IV პერიოდი-1420-1453 წლები, დამთავრდა ფრანგების მიერ ორლეანის ალყის მოხსნით და გამარჯვებით.

ასწლიანი ომის პერიოდში საფრანგეთს
მართავდნენ მეფეები:

ფილიპე VI ვალუა(1328-1350)

|

იოანე (1350-1364)

|

შარლ V (1364-2380)

|

შარლ VI (1380-1422)

|

შარლ VII (1422-1461)

1380 წელს გარდაიცვალა შარლ V, რომელსაც დარჩა მცირეწლოვანი (12 წლის) შვილი შარლ VI, ამიტომ მმართველობა მისი რეგენტების ხელში იყო. ხოლო რეგენტები იყვნენ მისი ბიძები: ბურგუნდიის ჰერცოგი, ორლეანის ჰერცოგი და არმანიაკის გრაფი.

ბურგუნდიის საჰერცოგო შარლ V- მ გადასცა უმცროს ძმას ფილიპე გულადს, რომელიც დაქორწინდა ფლანდრიის გრაფის (ვიდე მალდის) მემკვიდრე მარგარიტაზე. ფლანდრიის გრაფის გარდაცვალების შემდეგ ბურგუნდიას გადაეცა ფლანდრია და ჰენეგაუს ოლქი. 1404 წლიდან ფილიპე გულადის შემდეგ ბურგუნდიას მართავდა მისი მემკვიდრე ჟან უშიშარი. ბურგონის მიწები და ნიდერლანდები ერთმანეთისაგან გამოცალკავებული იყო. ბურგონებს სურდათ შუაში მყოფი მიწები დაეპყროთ.

1388 წელს შარლ VI სრულწლოვანი გახდა, მაგრამ იგი დროდადრო გადადიოდა ჭკუიდან და ფაქტიურად ძალაუფლება დედოფალ იზაბელას ხელში გადავიდა. ეს ქალი იყო ინტრიგების, საყვარლების მოყვარული. ამ დროს გააქტიურდნენ მსხვილი ფეოდალები: ბურბონები, არმანიაკები და და-

იწყეს ბრძოლა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. არმანიაკებს მხარს უჭერდა ფეოდალები, ხოლო ბურბონების პარტიას გარდა ფეოდალებისა ხელოსნებიც მიემხრო.

დაიწყო ომი ბურბონებსა და არმანიაკებს შორის. გაიმარჯვა ჟან უშიშარმა (ბურბონმა). მას კავშირი ჰქონდა დედოფალ იზაბელასთან. ჟან უშიშარმა გადაწყვიტა შეემუსრა არმანიაკები და დაიწყო მოწოდება ხელოსნებისადმი. მართლაც, 1413 წლის 22 მაისს ისინი აჯანყდნენ და მას კაბოშინების აჯანყება ეწოდა. კაბოშინებმა შეადგინეს ახალი კანონი ე. წ.:" დიდი ორდონანსი" და მეფე შარლ VI აიძულეს ხელი მოეწერა. 22 აგვისტოს არმანიაკის პარტიის მომხრეებმა შეძლეს დედაქალაქის ხელში ჩაგდება. ისინი შეიჭრნენ პარიზში და დაიწყეს კაბოშინების და ბურბონების ხოცვა-ულეტა. ერთი სიტყვით, მათ გაიმარჯვეს.

ამ დროს ინგლისის სამეფო ტახტზე ავიდა ჰენრი V (1413-1422 წწ). მან გამოიყენა საფრანგეთში არსებული ვითარება, როცა პარიზში გაბატონებული იყვნენ არმანიაკები, ხოლო ბურბონებმა კი თავი შეაფარეს ქალაქ ტრუას. ინგლისის მეფემ საიდუმლო მოლაპარაკება გააბა ბურბონებთან და დაიდო ხელშეკრულება მათ შორის.

1415 წელს ამოიწურა ზავის ვადა. ჰენრი V მოემზადა ომისათვის, წამოიყვანა 9 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი, რომელთაგან ერთი ათასი იყო ცხენოსანი, ხოლო დანარჩენი მშვილდოსანი. იმავე წლის 13 აგვისტოს გადმოვიდა შეტევაზე და გეზი აიღო კალესაკენ. ბრძოლა მოხდა აზენკურთან. ჰენრი V-მ თავისი ჯარი 3 მწკრივად დააყენა ორ ტყეს შორის. 1 კმ-ზე ხნული იყო და ამ ხნულზე გაჩერდნენ. ფრანგებმა ფალანგებიდან მიიტანეს იერიში. ინგლისელებმა წაიწიეს წინ და ერთბაშად ლობეებს დაეჯახნენ. მათ დაუშინეს ისარი და წინა მწკრივში მყოფმა ქვეითებმა უკან დაიხია..ამის შემდეგ ინგლისელები მთლიანად გადავიდნენ შეტევაზე და ფრანგები დაამარცხეს. საფრანგეთის დანაკარგი დიდი იყო.

დაიღუპა 10 ათასი კაცი, მათ შორის 8 ათასი თავადაზნაური. ასევე დაიღუპნენ ბელადები, ხოლო შარლ ორლეანელი ტყვედ ჩავარდა. ჰენრი ამის შემდეგ ქალაქ კალეს გავლით ჩადის ინგლისში.

ბერნარ არმანიაკი გახდა ფრანგთა ბელადი. ის სასტიკად გაუსწორდა კაბოშინებს, ბურბონებს. ის დევნიდა დედოფალ იზაბელას, რომელიც ბურბონების მოკავშირე იყო. ბურბონის ჰერცოგმა საპყრობილედან გაანთავისუფლა დედოფალი იზაბელა და მეფის სახელით ქალაქ ტრუაში მოაწყო სამეფო კარი. ხოლო 1418 წელს შეძლო პარიზის აღება. დაიწყო ეხლა არმანიაკების დევნა, მათი ბელადი ბერნარ არმანიაკი დაიღუპა, ხოლო გადარჩენილებმა თავი სამხრეთ საფრანგეთს შეაფარეს და თან წაიყვანეს დოფინი შარლ VI. ამდენად პარიზს დაეუფლა ბურბონები ჟან ბურბონელის მეთაურობით.

დაიწყო მილაპარაკება შერიგების შესახებ ჟან უშიშარსა და დოფინს შორის. 1419 წლის 10 სექტემბერს მოტერლოოს ხიდზე მოხდა მათი შეხვედრა, სადაც მოკლეს ჟან უშიშარი. ბურბონების ჰერცოგი გახდა ფილიპე კეთილი, რომელიც შეიქნა ინგლისელების მოკავშირე. 1420 წელს ქალაქ ტრუაში (შამპანში) შეიყარნენ ჰერცოგი ფილიპე კეთილი, დედოფალი იზაბელა, შარლ VI (გიჟი) და ჰენრი V. დაიდო ტრუას ხელშეკრულება, რომელიც დამღუპველი იყო საფრანგეთისათვის. ამ ხელშეკრულების ძალით ჰენრი V-მ იქორწინა შარლVI-ის და იზაბელას ასულზე ეკატერინაზე. ჰენრი V გამოცხადდა ინგლის-საფრანგეთის მეფედ. დედოფალი იზაბელა კი მხარს უჭერდა ასეთ პოლიტიკას.

1422 წელს გარდაიცვალა ჰენრი V და გამეფდა ჰენრი VI (1422-1461). დაინიშნა რეგენტებად მისი ბიძები:

ბეტფოლდის ჰერცოგი ჯონი – საფრანგეთის მმართველად,

ჰუნფი გლოსტერი კი – ინგლისის მმართველად.

ჯონ ბეტფორდი იყო კარგი მმართველი. მას ჰქონდა სამხედრო და ადმინისტრაციული მმართველობის ნიჭი. მან იქორწინა ფილიპე კეთილის დაზე, რითაც დაიახლოვა საფრანგეთის არისტოკრატიის ნაწილი. სამხრეთ საფრანგეთში დოფინი გახდა შარლ VII (1422-1461). მისი სამფლობელო შემოიფარგლებოდა ციხე შინონით და ქალაქი ბუჟით. მას გვირგვინი აკურთხეს ქალაქ პუატიეში. საერთოდ კი მეფის კურთხევა ხდებოდა რეიმსში, მაგრამ ის მტრის ხელში იყო, ამიტომაც ფრანგები შარლ VII-ს კანონიერ მეფედ არ მიიჩნევდნენ.

ჰუნფი გლოსტერი იყო განათლებული, მეტად ნიჭიერი,ბრწყინვალე რაინდი, მეცნიერების, მწერლობის მფარველი, მაგრამ როგორც პოლიტიკოსი იყო სუსტი, თუმცა სასახლეში დიდი გავლენა ჰქონდა. საფრანგეთში უკვე ვერ აგზავნიდნენ ფულს არმიის დასაქირავებლად, ამიტომ ბეტფორდი იძულებული გახდა ჯარისკაცებისათვის მიეცა საფრანგეთის ოლქები. ეს კი იყო უკანასკნელი წვეთი, რამაც ფრანგი ხალხის მოთმინების ფიალა აავსო და დაიწყო მათი სტიქიური გამოსვლები. ისინი ხედავდნენ, რომ მათი მძიმე მდგომარეობის მიზეზი იყო მეფის სუსტი ხელისუფლება და მტრის პარპაში. ქვეყნის ხსნა მაშინ იქნებოდა თუ აღსდგებოდა მეფის ხელისუფლება. ეს სახალხო, ანტიინგლისური მოძრაობა რელიგიური სამოსელით გამოვლინდა.

შუა საუკუნეების ეპოქაში, ყოველი მოძრაობა რელიგიურ ხასიათს ატარებდა. ხალხში გავრცელდა ხმები, რომ გამოვა ახალგაზრდა ასული, რომელიც ფეხქვეშ დასცემდა მშვილდოსან მამაკაცებს, საფრანგეთს დაღუპავს ქალი და იხსნის ორლეანიდან გამოსული ქალწული. ეს იყო ჟანა დარკი. მის შესახებ სუკეთესო მწერლები წერდნენ. XVII ს-ის მწერალმა შაპლენმა დაწერა პოემა „ქალწული ანუ ჟანა დარკი". XVIII ს-ში ბურჟუაზიის იუდეოლოგი ვოლტერი თვლიდა, რომ ყველაფერი დასაგმობია, რაც შუა საუკუნეებს ახა-

სიათებს, მათ შორის ჟანა დარკი. თავის წიგნში „ქალწული“ ჩირქი მოსცხო ჟანა დარკს. საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ რომანისტმა მწერლებმა: ინგლისელმა საუმმა დაწერა ლექსი ჟანაზე, გერმანელმა შილერმა დაწერა დრამა მის შესახებ, ბერნარდ შოუს უარყოფითად ჰყავს დახასიათებული ჟანა თავის წიგნში „ქალწული ჟანა დარკი“.

ჟანა დარკის ცხოვრების შესახებ ჩვენ ცოტა ვიცით. მის შესახებ ისტორიული ამბები ნახევრად ლეგენდარულ ბურუსშია გახვეული. მისი შესწავლის მთავარი წყარო არის დოკუმენტები მისი გასამართლებისა და დასჯის შესახებ.

ჟანა დარკი დაიბადა სოფელ დომრემში – მდინარე მაასის სანაპიროზე, შამპანის და ლორენის საზღვარზე. შამპანი შედიოდა საფრანგეთში, ხოლო ლორენი–რომის საღვთო იმპერიაში. იგი დაიბადა 1412 წლის 6 იანვარს. მამა ჟაკ დარკი იყო გლეხი, რომელსაც რამდენიმე შვილი ჰყოლია. ჟანა იყო ტანადი, ლამაზი, ფიზიკურად ღონიერი, ჭრიდა, კერავდა. უყვარდა ცხვრის მწყემსვა, განმარტოება და ოცნება. მას ჰქონდა რელიგიური და მეოცნებე ხასიათი. ჟანა 13 წლისა იყო, როცა 1425 წელს, ბურბონების რაზმი თავს დაესხა სოფელ დომრემს. სოფელი აიყარა და თავი შეაფარა მეზობელ მხარეს. დაბრუნებულებს სოფელი აოხრებული დახვდათ, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჟანა დარკზე. მას ჩაესმის ხმები: „წადი საფრანგეთში და აღადგინე მეფის ხელისუფლება, გადაარჩინე ფრანგი ხალხი.“ 1428 წელს ბურბონების რაზმი კვლავ თავს დაესხა სოფელ დომრემს. მოსახლეობა კვლავ გაიხიზნა. მტერმა გადაწვა სოფელი. ამან ისევ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჟანაზე. მას ევლინება წმინდანები: წმ. ეკატერინე, წმ. ბარბარე ეუბნებიან: წადი და გადაარჩინე საფრანგეთი, მიეხმარე მტრისაგან გარემოცულ ორლეანსო. 1428 წლისათვის ინგლისმა მთლიანად დაიპყრო ჩრდილოეთ საფრანგეთი. დარჩა ქალაქი ორლეანი, რომლის გარემოცვა მტერმა დაიწყო 1428 წლის 12 ოქტომბრიდან და

გაგრძელდა 8 მაისამდე ე. ი. ალყა 7 თვე გაგრძელდა. ორლეანის გათავისუფლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფრანგი ხალხისათვის. შარლ დოფინი უნებისყოფო, თავისი მრჩევლების გავლენის ქვეშ მყოფი მმართველი იყო, და ემზადებოდა შოტლანდიაში ან კასტილიაში გაქცევისათვის. საფრანგეთის სამეფო კარზე სუფევდა უიმედობა, უწესრიგობა. სახსრები უაზროდ იხარჯებოდა. შარლ VII–ს ჰყავდა კარგი გენერლები, გრაფი დიმუა, ლაპირი, კონეტაბლი რიჩმონდი, მაგრამ ისინი გავლენით ვერ სარგებლობდნენ, დატრემეი, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა. ინგლისელებმა ორლეანის აღება ჩააბარეს გრაფ სოლსბერის. სოლსბერი დაიღუპა ერთ–ერთ კოშკზე, სადაც ბავშვი შეიპარა, დაინახა თოკი, გამოქაჩა და გავარდა ზარბაზანი, რის შედაგად ეს ცნობილი მხედართმთავარი დაიღუპა. სევოლტის გრაფს დაავალეს ორლეანის აღება. მან 13 კოშკი ააგო და აქედან აწარმოებდა იერიშს. დაცემის პირას იყო მისული ეს გმირული ქალაქი ხანგრძლივი ბრძოლით. ისინი მზად იყვნენ ჩაებარებინათ ქალაქი, თუ ბურგუნდიის ჰერცოგი შემოვიდოდა. ეს არ დაუშვა შარლმა. ბურგუნდიელებმა დატოვეს ორლეანი.

ჟანა დარკს კარგად ესმოდა, რომ საფრანგეთის ბედი დამოკიდებული იყო ორლეანზე. ის მიემგზავრება მეზობელ სოფელში და თავის ბიძას სთხოვს, რათა წაიყვანოს ქალაქ ვოკულერში, რომ მივიდეს ეკლესიაში. მართლაც ბიძამ წაიყვანა ის. ვოკულერის ციხისთავი იყო რობერტ ბოდრიკური, რომელმაც არ მოუსმინა ჟანას თხოვნას, რომ მიეცილებინათ მეფემდე. ჟანა ორჯერ შეეცადა მასთან მოლაპარაკებას, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ვოკულერის მოსახლეობამ აიძულა ციხისთავი შეესრულებინა ჟანას თხოვნა. 1429 წლისათვის ჟანა გააგზავნეს ოთხი რაინდის თანხლებით. მან მოკლედ გაიკრიჭა თმები. უნდა გაევლოთ 700 კმ, რომელიც 11 დღის განმავლობაში დაფარეს. მათ დიდი სიძნელეების

დაძლევა მოუხდათ, ვინაიდან გაზაფხულის წყალდიდობისაგან გზები მოშლილი იყო. მგზავრობდნენ ღამით, ხოლო დღისით ტყეში იმალებოდნენ. ისინი მივიდნენ შინონის ციხემდე, სადაც იმყოფებოდა შარლ დოფინი. უკვე ხმა გავრცელდა ღვთის წარგზავნილის ჩამოსვლის შესახებ, რამაც დააფრთხო ლატრემუი. ჟანას ხელს უშლიდნენ, რომ მოხვედრილიყო მეფესთან. მას დაეხმარა მეფის დედინაცვალი, რეიმსის არქიეპისკოპოსი და სხვა დიდკაცები, რათა მისულიყო ჟანა მეფესთან. გადაწყდა მისი მიღება, მაგრამ მას გამოცდა მოუწყვეს. მან უცებ გამოიცნო მეფე, რომელიც არასოდეს არ ენახა. ჟანამ მეფეს მიმართა შემდეგი სიტყვებით:"მე წარმოგზავნილი ვარ ღვთის მიერ, რათა ვიხსნა თქვენი სამეფო და გიკურთხოთ გვირგვინი რეიმსშიო."

იზაბელამ გაავრცელა ხმა, რომ შარლი იყო არა შარლ VI-ის შვილი, არამედ უკანონოდ შობილი. გადაწყვიტეს გამოცდა მოეწყოთ მისთვის. ჟანა წარსდგა ქალაქ პუატიეში ღვთისმეტყველის წინაშე და უსვამდნენ კითხვებს. ბოლოს დაუსვეს უკანასკნელი კითხვა: "რით დაამტკიცებთ, რომ ხართ ღვთის მოგზავნილი?"

ჟანა პასუხობს:" მომეცით ჯარი, მე მოვხსნი ორლეანის გარემოცვას, წავიყვან მეფეს და ვუკურთხებ გვირგვინს რეიმსში".

მართლაც, ის მიდის ორლეანის გასანთავისუფლებლად. მას დაუმზადეს დროშა თეთრი ფერის, რომელზეც გამოსახული იყო შროშანები. იგი 10 ათასი ლაშქრით გაემართა ქალაქ ბლუადან ორლეანისაკენ. ჟანა მამაკაცის ტანსაცმელში ჩაცმული იჯდა ცხენზე, რამაც გასაოცარი შედეგი გამოიღო ფრანგი ჯარისკაცებისათვის. ისინი აღფრთოვანებული შეეგებნენ მას და გამარჯვების იმედი გაუნდათ. 28 აპრილს ჟანა შევიდა ორლეანში. პირველსავე ბრძოლაში დაიჭრა ის, მაგრამ მაინც აიღო ტურელის კოშკი, რომელზეც თვითონ აღ-

მართა დროშა. მე–2 და მე–3 დღეს იერიშები გაგრძელდა და 8 მაისს ბეტვოლდმა მოხსნა გარემოცვა.

პირველი დიდი გამარჯვების შემდეგ ინიციატივა გადავიდა საფრანგეთის ხელში. მან დაიწყო მდინარე ლუარის ჩრდილოეთი ქალაქების აღება, კერძოდ ქალაქი პუატიე აიღეს 18 ივნისს. ინგლისელთა ბელადი ტალვორდი ტყვედ ჩაიგდეს. ამის შემდეგ ჟანა იწყებს ლაშქრობას რეიმსზე. ერთი თვეც არ დასჭირდა ამ გზის გასავლელად. ქალაქ ტრუა ბურგონიონების რეზიდენცია ისე ძლიერად გაამაგრეს, რომ რამდენიმე თვე შეძლო თავის დაცვა. 17 ივლისს ის შევიდა ქალაქ რეიმსში. არქიეპისკოპოსმა შარლ VII-მ აკურთხა და დაადგა მეფის გვირგვინი. ამ დროს ჟანა იდგა კუთხეში თეთრი დროშით. აღსრულდა ღვთისგანგების სურვილი და მეფე გახდა კანონიერი. დაიწყო პარტრიოტული ბრძოლა. ქალაქ კომპიენი, ბუვე გადავიდა მეფის ხელში. რუანის არქიეპისკოპოსის თანამდებობა ვაკანტური იყო, ვინაიდან კოშონი, რომელიც ხალხს ეჯავრებოდა გაძევებული იყო. მან დაიფიცა, რომ შურს იძიებდა ჟანაზე. ჩრდილოეთ საფრანგეთში დაიწყო პატრიოტული მოძრაობა.

სოფელ დომრემენიდან ახლობლები ჩავიდნენ მასთან. მას უთქვამს: „მტრის მე არ მეშინია, მე მეშინია ღალატის". არისტოკრატია ეროვნულზე მაღლა თავის პირად ინტერესებს აყენებდა. შარლ VII ემორჩილებოდა ყოველგვარ გავლენას, ისეთსაც კი, რომელიც ჟანას წინააღმდეგ იყო მიმართული. ბოლოს 2 თვის ყოყმანის შემდეგ მეფე აწარმოებს შეტევას პარიზზე. სექტემბრის დამლევს ის მიადგა პარიზს, შემოუარა ჩრდილოეთიდან და აიღეს სენდენის სააბატო. ჩრდ. დასავლეთიდან შემოუარეს პარიზს და მიადგნენ სენტ–პომორეს გარეუბანს. 8 სექტემბერს შეიჭრნენ აქ. მოულოდნელად გაისმა საყვირის ხმა, გაიცა განკარგულება უკან დახევის შესახებ. ჯარმა დაიხია ლუარის სამხრეთით და ქალაქ რურში დაიზამთრა. 1430 წლის გაზაფხულზე ინიციატივა ინ-

გლისელეების ხელში გადავიდა. ერთ–ერთი გარემოცული ქალაქი გახდა კომპიენი პარიზის ჩრდ.–აღმ–ით. 22 მაისს იგი შევიდა კომპიენში და მეორე დღეს 23 მაისს თავისი პატარა რაზმით მან მოახდინა ქალაქიდან გამოხდომა. ბურბონები იყვნენ დაბანაკებული სოფელ მარინისში, რომელზეც იერიში მიიტანა ჟანამ. მტერი აღმოჩნდა ძლიერი. რაზმმა უკან დაიხია. როცა მთელი რაზმი შევიდა ციხეში, მოულოდნელად ჩაკეტეს ჭიშკარი და ასნიეს ხიდი. ჟანა ტყვედ ჩაიგდეს ბურგინიონებმა და შემდეგ გადასცეს ინგლისელებს. ხალხში დადიოდა ხმა, რომ ის მტერმა ღალატით ჩაიგდო ხელში.

რაინდმა ვანდონმა ჟანა გადასცა გრაფს. ის ჩასვეს კოშკში, სადაც 6 თვე გაატარა. მისმა დატყვევებამ გამოიწვია საშინელი გლოვა. ინგლისელებს სურდათ პროცესის მოწყობა ჟანა დარკზე. დაიწყო მოლაპარაკება, რომ ჟანა ეყიდათ ინგლისელებს. ისინი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ ჟანას კუდიანობა. ეს საქმე ითავა პიერ კოშონმა. ის წინა წელს გააგდეს ქვეშევრდომებმა ქალაქ ბოვედან, როგორც ინგლისის მოტრფიალე. ის იყო ამავე დროს გაიძვერა. რუანის არქიეპისკოპოსის თანამდებობა ვაკანტური იყო, რომლის დაკავება სურდა პიერ კოშონს. ეს კი ინგლისზე იყო დამოკიდებული. მან დაიწყო მოლაპარაკება ბურბონებთან. ის დაპირდა 10 ათას ოქროს ჟანა დარკში. ჟან ლუქსემბურგელი დახარბდა და გასცა ჟანა დარკი. ნორმანდიის შტატებმა დააწესა გადასახადი და ინგლისელებმა იყიდეს იგი ფრანგული ფულით. ამ ამბავმა ჟანა საშინელ მდგომარეობაში ჩააყენა. იგი გადადიოდა მისი ხალხის მტრის ხელში. ის იმედოვნებდა მეფეზე, მაგრამ არ დაეხმარა. ჟანა ჩამოხტა კოშკიდან, მაგრამ ვერ მოახერხა გაქცევა. ყელზე ჰქონდა რკინის საყელო, ფეხებზე ჯაჭვი და კედელზე იყო მიმაგრებული, ხოლო ღამით სარეცელზე აბამდნენ.

პიერ კოშონმა შეადგინა სასამართლო. მათ სურდათ, რომ ჟანა საფრანგეთის სამღვდელოებას გაესამართლებინა.

ჟანას აძლევდნენ კითხვებს და ცდილობდნენ მის პასუხებში ეპოვნათ რაიმე, რაზე დაყრდნობითაც მას დასჯიდნენ. ჯაშუშები იჭერდნენ მის სიტყვებს. 1431 წლის თებერვალში დაიწყო პროცესი და გაგრძელდა მაისამდე. პროცესის დროს, ჟანა მიუხედავად შევიწროებისა აძლევდა ისეთ პასუხებს, რომელსაც შეეძლო შეეცბუნა მისი მკითხველები.

კითხვები:

1.რატომ ატარებდა მამაკაცის ტანსაცმელს? პასუხი: ღმერთმა ასე მიბრძანა და იმიტომო.

2.დარწმუნებულია თუ არა იგი თავისი სულის დახსნაში? პასუხი: დარწმუნებულია. ის არ არის ეშმაკის მომხრე. ღმერთმა არ ცნო ღირსად ჩემი სული დაიხსნას, მე ვევედრები რომ დამიხსნას, რადგან ღვთის სიყვარულის გარეშე არ შეიძლია არსებობა.

3. რა ენაზე ელაპარაკებით წმინდანებს?

პასუხი: ღმერთი როგორ დამელაპარაკება ინგლისურად, როცა ინგლისელები ავიწროებენ ფრანგებს.

3. რატომ შენ აგირჩია ღმერთმა?

პასუხი: მე უბრალო გლეხის ქალის სახით იმიტომ ამირჩია, რომ გაეძლიერებინა ჩემს მიმართ სიძულვილი.

მიიღეს საბრალდებულო განაჩენი –სიკვდილის განაჩენი. ის მწვალებლად, კუდიანად გამოაცხადეს და გადასცეს საერო სასამართლოს.

1431 წლის 30 მაისს ჟანა დარკი დაწვეს ქალაქ რუანის ძველი ბაზრის მოედანზე. მღვდელმა აკურთხა იგი. როცა მიაკრეს ბოძზე, მან ჯვარი მოითხოვა, გულში ჩაიკრა და წარმოთქვა უკანასკნელი სიტყვა იესო. ინგლისელებმა ჩათვალესს, რომ მოსპეს მისი კვალი, მაგრამ პირიქით იგი დარჩა ხალხის გულში. ფრანგებმა ამის შემდეგ მიაღწიეს ახალ–ახალ გამარჯვებებს. მათი მთავარი მოკავშირე იყო ბურგუნდიის ჰერცოგი, რომელიც 1435 წელს გადავიდა საფრანგეთის მხარეზე. 1436 წელს პარიზი ჭიშკარს უღებს მეფეს.

1450 წელს გაანთავისუფლეს ნორმანდია, ხოლო 1453 წელს დასრულდა ომი ინგლისელების სრული მარცხით. მათ დაკარგეს ყველა სამფლობელოები გარდა ქალაქ კალესი.

ასეთია ასწლიანი ომი და ჟანა დარკის ეროვნული როლი თუმცა საეკლესიო სასამართლომ ჟანა მწვალებლად სცნო. შარლ VII– მ საკუთარი სახელის რეაბილიტაციისათვის 1452 წელს მიმართა რომის პაპს, რათა გადაესინჯათ ჟანას საქმე. პაპმა ნიკოლოზ V უარი თქვა საქმის გადასინჯვაზე, რადგან მისი გასამართლება ნიშნავდა ჩირქის მოცხებას საეკლესიო სასამართლოსთვის. მისი სიკვდილის შემდეგ ახალ პაპს მიმართეს თხოვნით. ნორმანდიის ქალაქ რუანში ჩატარდა სასამართლო. პიერ კოშონი არ იყო ამ დროს ცოცხალი. 1456 წლის 1 ივლისს სასამართლომ სცნო, რომ ბრალდება იყო არასწორი, გააუქმა 1431 წლის დადგენილება და იგი უდანაშაულოდ სცნო. დასრულდა ჟანას რეაბილიტაციის პროცესი. 1871 წელს საფრანგეთ–პრუსიის ომის შემდეგ დადგეს ჟანა დარკის ძეგლი. 1894 წელს იგი ნეტარად გამოაცხადეს, ხოლო 1909 წელს პაპმა პიუს X–მ დააჩქარა ჟანა დარკის კანონიზაცია. წმინდა პეტრეს ტაძარში 30 ათასი ფრანგი მლოცველის წინაშე წაიკითხეს პაპის სიგელი–ბრევე, რაც გმირ ქალწულს წმინდანად აცხადებდა. 1920 წელს 8 მაისი ორლეანის განთავისუფლების დღე გამოცხადდა ჟანა დარკის დღედ. გავიდა 500 წელი და პაპმა მოახდინა ჟანა დარკის კანონიზაცია. ეკლესიამ წმინდანად შერაცხა ქალწული, რომელიც ეკლესიამვე დაწვა. ეს იყო ერთგვარი ქედის მოხრა პროგრესის ძალების წინაშე. ჟანა დარკის გმირობას სათანადოდ პატივს მიაგებს ფრანგი ხალხი.

თავი მეთექვსმეტე

ინგლისის განვითარება ასწლიანი ომის I და II პერიოდში

ასწლიანი ომის პირველ პერიოდი (1337-1360 წწ) წარიმართა ინგლისელების წარმატებით. ინგლისელები ნადავლით ბრუნდებოდნენ უკან. ედუარდ მესამის მეფობის (1327-1377 წწ) პირველ პერიოდში ვითარდება ვაჭრობა, ხელოსნობა, ზღვაოსნობა. 1369 წელს ედუარდ მესამემ გამოაქვეყნა პირველად ინგლისის ისტორიაში სანავიგაციო აქტი. მას მოსდევს მრავალი სხვა აქტები. დაგვირგვინება იყო 1651 წლის კრომველის აქტი. ვაჭრობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ უცხოელები: ფლანდრიელები და გერმანელები. ფლანდრიელებმა ქალაქ ბრიუგეს მეთაურობით დაარსეს ჰანზა, იგი ეზიდებოდა ინგლისიდან მატყლს, ტყავს. მაუდის მრეწველობის მთავარი ნედლეული იყო ინგლისური მატყლი. ჩრდილოეთით გერმანელები აარსებენ-დიდ ჰანზას. მნიშვნელოვანი იყო ლონდონის ფაქტორია, რომელშიც 60 უბანი შედიოდა. გერმანული ჰანზის ფაქტორიიდან გამოირჩევა ნოვგოროდის ფაქტორია და ფოლადის ეზო ინგლისში. ინგლისიდან გაჰქონდათ: შალი, ტყავი, ტყვია, კალა. შემოჰქონდათ: ფეტვი, მარილი, აღ. ფუფუნების საგნები, სანელებლები. ჩრდ. ევროპიდან კი შემოჰქონდათ: ბეწვეული, სიასამური, მელა, თახვი. მე-14 ს-ის შუა ხანებიდან ინგლისელები ხელს ჰკიდებენ კონტინენტთან ვაჭრობას. ამ კომპანიის მიზანი იყო მატყლის გატანა. როცა ინგლისელებმა აიღეს ქალაქი კალე(1347 წ), მაშინ ეს საწყობი გადაიტანეს ქალაქ კალეში. ვაჭრობას თან სდევდა მაუდის მრეწველობის განვითარება. იქ იყო იაფი მატყლი და მუშახელი. ფლანდრიელები იყვნენ ინგლისელების მასწავლებლები მაუდის წარმოების საქმეში. ხელოსნობის მთავარი ცენტრი იყო ქალქაქ ლონდონი, იორ-

კი, ვინჩესტერი, ნორიჩი და სხვა. საამქრო წყობილება ზღუდავდა მრეწველობის გამსხვილებას. საშინელი სამსჯავროს წიგნის მიხედვით მოსახლეობის მესამედი იყო წვრილი გლეხობა. ინგლისში ისახება მანუფაქტურული წარმოება ნაციონალურ ნიადაგზე. მზადდებოდა მაღალი ხარისხის ქსოვილი. ამზადებდნენ ასევე უხეშ მაუდის ქსოვილს. ფლორენციაში იყო ორი ამქარი:ლანა (მატყლისაგან მაუდის დამზადება) და კალიმალა (ინგლისიდან და სხვა ქვეყნიდან შემოტანილი ნახევარფაბრიკატების, უხეში მაუდის დამუშავება. ინგლისში მაუდის შეღებვა არ ხდებოდა.

მე-14 საუკუნეში ლონდონში 35 ათასი კაცი ცხოვრობდა. ქალაქი ნახევრად აგრარულ ხასიათს ატარებდა. აქ იყო საძოვრები, ბაღები, მინდვრები. ლონდონის საბჭო აქვეყნებდა კანონებს ღორების მოძრაობის აკრძალვის შესახებ.

ვაჭრობის განვითარებამ ხელი შეუწყო ფულად რეფორმას. ედუარდ III- მ პირველმა მოსჭრა ოქროს მონეტა. XIV ს-ში ინგლისი იყო მე-3 ქვეყანა, რომელმაც ფული მოჭრა. პირველი ქვეყანა იყო ფლორენცია, სადაც მოიჭრა ფული-ფლორინი, მეორე ქვეყანა ვენეცია,სადაც ფულს დუკატი ეწოდა, რაც დოუს-სარდალს ნიშნავს. ინგლისში კი მოიჭრა როზენობლი. მათ მიერ მოჭრილ ფულს კეთილი ვარდი ეწოდა, სადაც ფულის ერთ მხარეზე იყო მეფის სახე გამოსახული, მეორეზე კი ვარდი.

ვითარდებოდა ლიტერატურა. ჩოსერს ინგლისელ მწერალს შექსპირის წინაპრად მიიჩნევდნენ მან ინგლისურ ენაზე დაწერა თავისი თხზულება „კენტერბერული მოთხრობები". ის იყო ინგლისური ლიტერატურული ენის მამამთავარი. XIV ს-მდე მატიანეები იწერებოდა ლათინურად ან ფრანგულად. ედუარდ III-ის დროს შემოიღეს ინგლისური ენა.

განვითარდა სოფლის მეურნეობა, ხდებოდა გლეხობის ქონებრივი დიფერენციაცია. მომრავლდა ღარიბ-ღატაკთა რიცხვი. კოტეჯირს ჰქონდა მიწა,პატარა კოტეჯი. სეზონუ-

რი სამუშაოების დროს უქირავდებოდა დამქირავებელს. გლეხების საბატონო ბეგარა გადაჰყავდათ ფულად გადასახადზე, რასაც ეწოდებოდა კომუტაცია. ისმის კითხვა: იყო თუ არა ხელსაყრელი ეს მოთხოვნა გლეხისათვის. ქალაქების მახლობლად მცხოვრები გლეხისათვის იყო ხელსაყრელი. ასევე წვრილი და საშუალო ლორდებისათვის. ხოლო ღარიბ-ღატაკი გლეხისათვის კი, რომლებიც ქალაქელებისაგან შორს ცხოვრობდნენ, ძალიან ძნელი იყო ამ გადასახადის გადახდა. მსხვილი ლორდები, ბარონები მდიდარ გლეხებს მინას იჯარით აძლევდნენ. ისახებოდა კაპიტალისტური ელემენტები. 1348 წელს ინგლისზე გადაიარა სტიქიურმა უბედურებამ-ჟამის ეპიდემიამ. ამოწყდა ღარიბ-ღატაკი მოსახლეობა. შემცირდა სოფლის მუშახელის რაოდენობა. გავრცელდა საქონლის ჭირი, რამაც გააძვირა პროდუქტები და მუშახელი. მუშა-ხელის ხელფასი 50%-ით გაიზარდა. 1349 წლის 18 ივნისს პარლამენტის სურვილით გამოსცეს „ორდონანსი მუშებისა და მსახურთა შესახებ". ვინაიდან ხალხის დიდი ნაწილი დაიხოცა, მუშა-ხელი შემცირდა დარჩენილი ნაწილი მაღალი ანაზღაურების მიღების გარეშე მუშაობაზე უარს აცხადებდა.ზოგიერთი ირჩევდა დროსტარებას. მოსახლეობის მე-3 იყო კოტეჯერები-ღარიბი გლეხები. მათ არ ჰყოფნიდათ მინა თავის სარჩენადაც. სამონასტრო მეურნეობა უფრო კონსერვატიული იყო. მიწისმჭერლობას ცვლის იჯარა. მიწისმჭერელს კოპიჰოლდერი ეწოდებოდა. თავისუფალ გლეხობას კი ფრიჰოლდერები. არ მომხდარა თავისუფალი გლეხობის სრული მოსპობა. სამხრეთ ინგლისში შემორჩა თავისუფალი გლეხობა. დიდი ლორდები თავს ესხმოდნენ წვრილ აზნაურებს და მუშახელს თავისკენ წამორეკავდა. 1349 წლის ორდონანსის მიხედვით დადგენილი იყო შემდეგი წესები. აი, ზოგიერთი მათგანი:

1.15-ზე მეტი წლის და 60-ზე ნაკლები ასაკის ქალი და კაცი, რომელსაც არ ჰქონდა მიწა, მოვალე იყო დაქირავებოდა იმას, ვინც მოითხოვდა.

2. არ შეიძლებოდა იმაზე მეტი ხელფასის მოთხოვნა, რაც 5-6 წლის წინათ იყო.

3. არ შეიძლებოდა მოწყალების მიცემა ჯანმრთელი მათხოვრისთვის.

4. არ შეიძლებოდა თვითნებურად ვადაზე ადრე წასვლა.

თუ მუშა არ დაემორჩილებოდა ამ წესებს სასტიკად დაისჯებოდა. მაშასადამე "მუშური კანონმდებლობა იყო სასარგებლო არა მუშებისათვის, არამედ დამქირავებლებისათვის. ამ კანონების მთავარი დამრღვევი იყვნენ დამქირავებლები

მეორე მიზეზი, რაც იწვევდა ხალხის უკმაყოფილებას, ეს იყო შემოღობვა. შემოღობვა ეს იყო სათემო მიწების მითვისება კერძო პირების მიერ. ღობავდნენ სხვადასხვა მიზეზით.

1358 წელს ედუარდ მე-3 -მ გამოსცა უესტმისტერის მეორე სტატუსი, რაც შემოღობვის ნებას რთავდა. მესამე მიზეზი ხალხის უკმაყოფილებისა იყო მუშახელის გაძვირება, რამაც აიძულა ლორდები კომუტაციაზე ხელი აეღო.

უკმაყოფილება გაიზარდა ქალაქათაც. აქ ახალი იდეოლიგიის ნიადაგზე იწყება პირველი ბრძოლა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ბიურგერობა ჯონ უიკლიფის მეთაურობით. ის დაიბადა საშუალო ჯენტლმენის ოჯახში და გარდაიცვალა 64 წლის ასაკში. ის იყო ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი საღვთისმეტყველო მეცნიერების ცოდნით. 1366 წელს ხდება მისი სარბიელზე გამოსვლა. იგი მიიწვიეს პარლამენტში, რათა თავისი აზრი გამოეხატა ხარკთან დაკავშირებით. მან დაგმო ჯონ უმიწაწყლო იმის გამო, რომ მან თავი პაპის ვასალად გამოაცხადა პაპს აღუთქვა, რომ მისცემდა ხარკს. გადასახადი, რომელიც მიდიოდა პაპ-

თან იყო არაპოპულარული. პაპი ცხოვრობდა ავინიონში, რომელიც საფრანგეთს ეკუთვნოდა და ეს ხარკი ხმარდებოდა ისევ ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლას. ჯონ ვიკლიფი ასაბუთებდა, რომ უზენაესი უფლება აქვს ხალხს. რადგან ხალხს არ მიუცია თანხმობა მეფე ჯონისათვის, რომელმაც პაპს ხარკის მიცემა აღუთქვა, ისინი არ გადაიხდიდნენ. ჯონ უიკლიფმა თავისი შეხედულებანი ჩამოაყალიბა და გაილაშქრა პაპის ხელისუფლების წინააღმდეგ. მისი მოძღვრება მდგომარეობს შემდეგში:

1.ვინ არის ეკლესიის მეთაური?– იესო ქრისტე,რომელიც ფარულია, უჩინარია, მაგრამ არის ერთადერთი მეთაური. ამიტომ არ არის საჭირო პაპის ხელისუფლება. უნდა მოისპოს მთელი იერარქია.

2.ყველა ადამიანი არის თანასწორი. ამიტომ სამღვდელოებას უნდა ჩამოერთვას მიწები და ერისკაცებს გადაეცეს.

3. იგი უარყოფდა პაპების დოგმას უცოდველობის შესახებ.

4. მოითხოვდა ეკლესიის გამარტივებას. არსებული 7 საიდუმლოდან: ზიარება, ნათლობა, მღვდლად კურთხევა, მირონცხება, ქორწინება და ზეთის კურთხევა, სინანული(აღსარება), ნათლისღება, ის უარყოფდა სინანულს და ნათლისღებას.

5. ღვთისმსახურება უნდა ყოფილიყო ხალხისათვის გასაგებ ინგლისურ ენაზე.

პაპს არ დარჩენია შეუმჩნეველი ჯონ ვიკლიფის მოძღვრება და იგი მწვალებლად გამოაცხადა. ის დასვეს საბრალდებულო სკამზე, მაგრამ ხალხმა მისი გასამართლების უფლება არ მისცა. ჯონ ვიკლიფის მოწაფეებს ლოლარდები ეწოდა. ისინი გამოსული იყვნენ სამღვდელოების დაბალი ფენიდან.გარდა ამისა ისინი სოციალურ მოთხოვნებსაც აყენებდნენ. ლოლარდები დადიოდნენ ფეხშიშველნი, მარტივად ჩაცმულნი. ცხადდებოდნენ ხალხის შეკრების ადგილას და

ქადაგებდნენ. ერთ-ერთი ლოლარდი იყო ჯონ ბოლი, რომელიც ქადაგებდა კენტერბერის არქიეპისკოპოსის და პაპის წინააღმდეგ. ის იმყოფებოდა ქალაქ მექსიკონის საპყრობილეში. მას შიშველ ხუცესს უწოდებდნენ. ის ამბობდა, როცა ადამი მიწას ხნავდა და ევა ძაფს რთავდა, სად იყვნენ მაშინ აზნაურებიო. ეხლა მოახლოვდა ჟამი, როცა ხალხს შეუძლია გადააგდოს ჩაგვრის უღელი. ლოლარდი წარმოსდგება სიტყვა ლოლინიუმი-საგან, რაც სარეველა მცენარეს, ლაყბობას ნიშნავს.

1377 წელს გარდაიცვალა ედუარდ მესამე და სამეფო ტახტზე დასვეს მისი ვაჟი რიჩარდ მეორე (1377-1399 წწ), რომელიც პლანტაგენეტების შტოს უკანასკნელი წარმომადგენელი იყო. მმართველებს უკან მიჰყავდათ ინგლისის საქმეები. ქვეყანამ დაკარგა საფრანგეთში ნავარის მეფის სახით მოკავშირე. 1360 წელს საფრანგეთთან ნავარის მეფე დამარცხდა. ინგლისელებს დარჩა ქალაქი კალე. გადასახადების აკრეფის საქმე მეფის მოხელეებმა ჩაიგდეს ხელში. 1377 წელს დაწესებული გადასახადით თითოეულისაგან აკრიფეს 4 პენსი,ხოლო 1379 წლის გადასახადით ითხოვდნენ არა ნაკლებ ერთ გროტს. 1381 წლის მეორე ნახევარში მეფის მოხელეებმა კიდევ შეკრიბეს გადასახადები, შეადგინეს სიები. აკრეფილი თანხა შეიტანეს ხაზინაში, რამაც აღაშფოთა ხელისუფლება, ვინაიდან ისინი ვარაუდობდნენ მიეღოთ უფრო მეტი, რადგან 1377 და 1379 წლებში შედგენილი საგადასახადო სიები მეტი იყო. სიების მიხედვით თანხა შემცირებული იყო 1\3-ით. მოსახლეობის რაოდენობაც შემცირებული იყო. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე არავინ არ მომკვდარა არც შავი ჭირით, არც შიმშილით. მეფის ხელისუფლებას ეს ეჩვენა საეჭვოდ და 1381 წლის 16 მარტის ბრძანებით, ცალკეულ საგრაფოში დანიშნა რამდენიმე კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც უნდა წასულიყო ყველა საგრაფოში და შეემოწმებინა წარმოდგენილი სიები. კომისია შეუდგა მუშა-

ობას. საბოლოოდ გაირკვა, რომ მოსახლეობისაგან იკრიბებოდა გადასახადი ოჯახის არა ყველა წევრის ჩვენებით, გადასახადის ამკრეფნი (მის რაოდენობას ძალზე ამცირებდნენ,) აკრეფილ თანხას თვითონ იჯიბავდნენ ასე მაგალითად ნორფოლკის საგრაფოში სიაში არ იყო შეყვანილი 8 ათასი კაცი. ხოლო სეფოლკში კი 13 ათასი. ე.ი არ უჩვენებდნენ 21 ათას კაცს.

1381 წელს გაგზავნეს მოხელე სახელად თომას ბემპტონი,რომელმაც განიზრახა თავისთან შეეკრიბა სოფელ ფობინგის მცხოვრებნი. შეკრებილთა შორის ყოფილა მეპურე თომაზი, რომელსაც ევალებოდა ამ ადგილებში გადასახადის აკრეფა. მეპურეს მიუმართავს თავისი თანასოფლელებისთვის: "მათ არ ეყოთ ის, რაც აკრიფეს, ეხლა ითხოვენ ახალ გადასახადს, მე თუ მხარს დამიჭერთ კი ვიცი როგორ გავუსწოდრდეო მათ". თომაზის აზრს ფობინგის მცხოვრებნი თანაგრძნობით შეხვდნენ. მათ განაცხადეს, რომ არ გადაიხდიდნენ არცერთ პენსს. ასევე პროტესტი გამოხატეს სხვა სოფლებმა: კენინგემმა და სემფორდმა. თომას ბემპტონი ხალხს დაპატიმრებით დაემუქრა, აღელვებული ხალხის შიშით იძულებული გამხდარა ლონდონში გაქცეულიყო. ხალხის მოძრაობა სულ უფრო ფართო ხასიათს იღებდა. აჯანყება გავრცელდა დედაქალაქის ფარგლებშიც. აჯანყებულები არბევდნენ სახლებს, წვავდნენ დოკუმენტებს.

პეტრუშევსკის ნაშრომში უოტ ტაილერის აჯანყება გადმოგვცემს ცნობებს უოტ ტაილერის შესახებ. ქალაქ დატფორდში კენტის საგრაფოში მისულა გადასახადის ამკრეფი ჯონ ტაილერის სახლში და მოუთხოვია გადასახადი, მაგრამ ცოლს უთქვამს ყველამ გადავიხადეთ გადასახადი გარდა ჩემი ქალიშვილისა, რომელიც მცირეწლოვანია და არ შეიძლება ჩაითვალოს როგორც ქალი. მოხელეს განუზრახავს შეურაცყოფის მიყენება ქალიშვილზე. ტაილერის ცოლმა მორთო კივილი, ამაზე შემოვარდნილა ჯონ ტაილერი და

დაურტყამს იარაღი ისეთი ძალით, რომ ტვინი გადმოსხმულა მისი თავიდან. სწორედ ის გამხდარა აჯანყების ერთ-ერთი ბელადი.

ხალხის დასასჯელად გამოგზავნეს სამეფო მოსამართლე ბერნაფი, რომელიც გაიქცა ლონდონში, ვინაიდან მის ხელქვეითებს გლეხებმა თავი მოჭრეს. აჯანყებამ მალე ანტიფეოდალური ხასიათი მიიღო. ანგრევდნენ ლორდების ციხე-სიმაგრეებს, მათ სახლებს ცეცხლს უკიდებდნენ. აჯანყებისათვის დამახასიათებელი იყო სტიქიურობა, ცუდი შეიარაღება. ათასში ერთს ჰქონდა შუბები, ფიწლები, თოხები, ნაჯახები. იურისტებს ხოცავდნენ. მათ სამელნე ჰქონდათ სარტყელზე გამობმული და ყურზე კი ბუმბული. აჯანყებამ შედარებით ორგანიზებული ხასიათი მიიღო კენტის, ესექსის საგრაფოებში. ესექსში წამყვანი იყო მდიდარი გლეხობა, ხოლო კენტში კი ღატაკი გლეხობა და ამიტომ აქ აჯანყებამ რადიკალური ხასიათი მიიღო. ესექსში 40-დან 20 ოლქი აჯანყების ცეცხლში გაეხვია.

კენტში აჯანყება დაიწყო 2 ივნისს, ხოლო 5 ივნისს კი მეამბოხეებმა აიღეს ქალაქი დატფორდი, მეტსტონი, როჩესტერი, კენტერბერი. გლეხებმა როჩესტერის აღების შემდეგ აირჩიეს ბელადი უოტი. მას ჰქონდა შერქმეული სახელი ტაილერი, რაც მესახურავეს ნიშნავს. ის ყოფილა ასწლიანი ომის მონაწილე, კარგი ორგანიზატორი, წერა-კითხვის მცოდნე. ყოფილა სხვა მეთაურებიც: ჯეკ სტროუ, ჯონ ბოლი.

მართალია კენტსა და ესექსში აჯანყებამ ფართო ხასიათი მიიღო, მაგრამ მას არ მიუღია ორგანიზებული ხასიათი.

მეფე გაემართა ლონდონის მთავარ ციხე ტაუერში. მის გაღმა მდებარეობდა მაი-ლენდი. ტემზას ჩრდილოეთით დასახლებული იყო ხალხი, ხოლო სამხრეთით თითქმის არა. აქ იყო ლონდონის ხიდი, რითაც გადადიოდნენ სამხრეთიდან ჩრდილოეთში. ეს იყო ასაწევი ხიდი. თუ აწეული იქნებოდა ვერ გადავიდოდნენ. ლონდონში გამორბოდნენ ასევე ლორ-

დები, რომლებიც თავს ტაუერის სასახლეს აფარებდნენ. აქ 600-მდე ლორდმა მოიყარა თავი და ტაუერს 200 მძიმედ შეიარაღებული რაინდი იცავდა.

12 ივნისს მეფემ აჯანყებულებთან გაგზავნა შიკრიკი, იმის გასარკვევად, თუ რატომ აჯანყდნენ. გლეხები თანდათან უახლოვდებოდნენ ლონდონს. კენტის გლეხები მივიდნენ ბლეფხიქსთან. მეფემ სთხოვა მათ დაშლა და დაპირდა, რომ მოსპობდა ყველა ბოროტმოქმედებას. გლეხებმა უარი განაცხადეს დაშლაზე. პირობა – ვის ემხრობით? მე ვემხრობი რიჩარდს და მის საქმესო – ასე პასუხობდნენ გლეხები. ეს მოწმობს მეფისადმი ერთგულებას. გლეხებს ეჯავრებოდათ სარეგენტო საბჭო: ბიძა – ლანკასტერის ჰერცოგი, კენტერბერის არქიეპისკოპოსი, რობერტ ჰელსი-იუანიტების ორდენის მაგისტრი და ხაზინადარი. გლეხებმა მეფეს მოსთხოვეს ლანკასტერის ჰერცოგის თავი, მაგრამ ჰერცოგი ლონდონში არ იყო და ამიტომ გადარჩა. მეფემ გლეხებს 13 ივნისს ბლეფიქსში შეხვედრა აღუთქვა. ის 5 ნავით გაეშურა მათთან შესახვედრად. ერთში თვითონ და კენტერბერის არქიეპისკოპოსი იყო, ხოლო დანარჩენ ოთხში მათი მცველები. მაი-ლენდთან 60 ათასი კაცი იდგა. ისინი შეშინდნენ და უკან შუა გზიდან დაბრუნდნენ. ერთ-ერთმა რაინდმა მეფე გააფრთხილა, რომ ისინი შეგიპყრობენ და შემდეგ თქვენი სახელით იმოქმედებენო. ერთ-ერთი გლეხის ჯეკ სტროუს აღსარებაში ვკითხულობთ:" ჩვენ, ბლეფხიქსში მეფეს და მის მხლებლებს დავხოცავდით, ხელთ ვიგდებდით მეფეს, მუსრს გავავლებდით ეპისკოპოსებს, ბერებს და ა. შ. მთელი ინგლისი ჩვენს ხელში გადავიდოდა."

მეფემ განაცხადა რა უარი, გლეხებმა დაიწყეს ლონდონის გარემოცვა. მერის უილიამ უოლორთის ბრძანებით ასწიეს ხიდი, ჯაჭვებით გადაკეტეს. ამხედრდნენ ლონდონის პლებეები და მერს სიკვდილით დაემუქრნენ. მაშინ მერი იძულებული გახდა გლეხები ქალაქში შეეშვა. 13 ივნისს გლე-

ხებმა დაამტვრიეს საპყრობილეები, გამოუშვეს ბრალდებულები, გადაწვეს რამდენიმე სასახლე. ერთ-ერთ- იყო ტამპლი-ლონდონის იურისტების სამყოფელი. გამოიტანეს დოკუმენტები და დაწვეს. ლანკასტერის ჰერცოგის სასახლე საოი დაარბიეს. ძვირფასი ნივთები გაანადგურეს, რომ ქურდობა და ყაჩაღობა არ გავრცელებულიყო მათში. დაწვეს ეს ლამაზი სასახლე. ახალგაზრდა მეფე კოშკიდან მოვლენებს ნაღვლიანად ადევნებდა თვალს.

მეფემ 14 ივნისს გადაწყვიტა ხალხთან შეხვედრა მაილენდში. აქ 100 ათასმა კაცმა თავი მოიყარა, 80 ათასი კი დარჩა ტაუერში. მემატიანე აღწერს თუ როგორ შეხვდა ხალხი მეფეს. მუხლი მოიყარეს და შესძახეს:"გაუმარჯოს მეფე რიჩარდს, ჩვენ არ გვინდა სხვა მეფე თქვენს გარდა". მეფეს წაუყენეს მოთხოვნები. რადგან აქ უფრო მეტი იყო უესექსის გლეხები, ამიტომ მათმა მოთხოვნებმა ჰპოვეს ასახვა მათ პროგრამაში და ეწოდა მაი-ლენდის პროგრამა, რომელიც გამოხატავდა შეძლებული გლეხების ინტერესებს:

1. მეფის და ხალხის მოღალატეთა დასჯა. ესენი იყვნენ მეფის მრჩევლები და მოხელეები.

2. ბატონყმობის მოსპობა ინგლისში. არ უნდა ყოფილიყო არცერთი ვილანი.

3. ფეოდალური ვალდებულებების მოსპობა და ფულად გადასახადზე გადასვლა. კომუტაციის აღდგენა.

4. მეფის ქვეშევრდომებისათვის თავისუფალი ვაჭრობის შემოღება.

5. თავისუფალი დაქირავების შემოღება.

ეს პროგრამა იყო ზომიერი. მეფემ გლეხებს პირობა მისცა, რომ ამ მოთხოვნებს შეასრულებდა. აუარებელი შეიარაღებული ხალხი შეიჭრა ტაუერის სასახლეში. შეიპყრეს კენტერბერის არქიეპისკოპოსი და დანარჩენი 8 მოხელე. ისინი გამოიყვანეს მოედანზე, თავები მოკვეთეს, წამოაცვეს სარზე და ლონდონის ხიდზე გამოფინეს ყველას რომ დაენახა.

შეძლებული გლეხები, რომელთაც მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება მიიღეს, წავიდნენ სახლებში. ღარიბი გლეხობა კი არ დაშლილა. ისინი სასტიკად უსწორდებოდნენ ლონდონელ ბურჟუებს, უცხოელებს: ფლანდრიელებს, ლომბარდიელებს. 160 უცხოელიდან 140 უნდა მოეკლათ. ვაჭარი ლაიონსი ხალხს სასტიკად ეჯავრებოდა და მოუკლავთ. რადგან გლეხები დარჩნენ ლონდონში, მეფემ ბრძანა, რომ ხალხი გადასულიყო ჩრდილო დასავლეთით, სმიტფილდის (მჭედლების) ველზე. აქვე იყო წმინდა იოანეს სახელობის ჰოსპიტალი. 15 ივნისს უამრავმა ხალხმა თავი მოიყარა. აქ გლეხები გაშლილი დროშებით იდგნენ. უოტ ტაილერი ცხენზე შემჯდარი გაეშურა მეფისაკენ. მას არავითარი შეიარაღება არ ჰქონდა გარდა ერთი ხანჯლისა. ის ჩამოვიდა ცხენიდან და მუხლი მოიყარა მეფის წინაშე. მეფე შეეკითხა თუ რატომ არ იშლებოდნენ, რა სურდათ. უოტ ტაილერმა წარუდგინა ახალი – სმითფილდის პროგრამა. ამ პროგრამაში იყო შემდეგი მოთხოვნები:

1. მთელი კანონმდებლობის გაუქმება. გლეხები გრძნობდნენ, რომ ეს კანონმდებლობა იყო ფეოდალური და უსამართლო.

2. ეკლესიისათვის მიწების ჩამორთმევა და მისი ხალხისათვის გადაცემა. უმაღლესი საეკლესიო თანამდებობის გაუქმება.

3. წოდებრივი უთანასწორობის მოსპობა.

4. ყველას უფლებრივი გათანაბრება.

სმითფილდის პროგრამა იყო უფრო რადიკალური, რადგან ის მოითხოვდა ფეოდალური წყობილების, საეკლესიო იერარქიის გაუქმებას. იგი ასახავდა კენტის საგრაფოს ღარიბი გლეხების ინტერესებს. მეფე დაპირდა მათ, რომ მიიღებდა ამ პროგრამას. მას სურდა, რომ ხალხი დაშლილიყო. მეფის მრჩევლებმა განგებ აუტეხეს სროლა გლეხებს. ქალაქის მერმა უოტ ტაილერი დაპატიმრებულად გამოაცხადა.

ტაილერმა ხანჯალი ჩასცა მერს,მაგრამ ააცდინა. სამაგიეროდ მერმა ტაილერი სასიკვდილოდ დაჭრა. ახალგაზრდა მეფემ ცხენი პირდაპირ გლეხებისაკენ გააჭენა და მიმართა:"ვის ესვრით, თქვენს მეფეს ესვრით? მე გამომყევითო". ხალხი გაყვა მეფეს. ამასობაში ლონდონის მერმა ასტეხა განგაში და 24 ოლქის ჯარი ოლდერმენების მეთაურობით დაიძრა მეფისაკენ. მომაკვდავ უოტ ტაილერს თავი მოკვეთეს და მეფეს წაულეს. ხალხმა დაიჩოქა მეფის წინაშე და დაუწყეს ვედრება. სახლებისაკენ წასულებს კი ჯარი დაედევნა და სასტიკად გაუსწორდნენ. მდინარე ტემზაზე ტივზე ამაგრებდნენ ჩამოხრჩობილ გვამებს. ლონდონის მოსამართლე ტრეზილიანი ყველას სიკვდილს უსჯიდა. ლონდონის ბაზარში დიდი ლოდი დადეს, რომელზეც თავს კვეთდნენ ხალხს. მოჭრილ თავებს კი ლონდონის ხიდზე ფენდნენ. მალე პარლამენტი შეიკრიბა და მეფის მიერ ხალხზე გაცემული ყველა სიგელი გააუქმეს.

კარგი გავლენით სარგებლობდა ნევილის გვარი. მისი წარმომადგენელი იყო რალფ ნევილი. მან ცოლად შეირთო ჯონ გონტის ასული ანნა. რიჩარდ II 14 წლის იყო, მის დროს მოხდა უოტ ტაილერის აჯანყება, ებრძოდა ფეოდალებს. მის მიერ დაარსდა ე.წ საიდუმლო საბჭო, მისი მიზანი იყო შეთქმულთა დევნა. ბარონებმა მოაწყვეს შეთქმულება, რომელსაც სათავეში ედგა მეფის ბიძაშვილი ჰენრი ლანკასტერი, რიჩარდ II იძულებული იყო დანებებულიყო შეთქმულებას. ტახტზე აიყვანეს ლანკასტერის ჰერცოგი ჰენრი IV-ის სახელით. 1399 წლიდან საფუძველი ჩაეყარა ლანკასტერთა დინასტიას. რიჩარდ II ტაუერში დაახრჩვეს მისი დავალებით. ჰენრი IV-ის დროს დაიწყო ლოლარდების დევნა. მოქმედებდა მსხვილი ბარონების ინტერესებში. ამზადებდა ახალ ომს საფრანგეთის წინააღმდეგ. ინგლისის მეფემ ცოლად შეირთო საფრანგეთის მეფის შარლ VII-ის ასული, რითაც დაიდო ხანგრძლივი ზავი რიჩარდ II-ის დროს.

შედეგები

ამრიგად, აჯანყება სისხლში ჩაახშეს. არასოდეს ასეთი დიდი სახალხო მღელვარება უკვალოდ არ იკარგება. ფაქტიურად ცხოვრებაში გატარდა მაილენდის პროგრამა, რაშიც დიდი როლი შეასრულა გლეხობამ.

შემცირდა ინგლისელი ლორდების შემოსავალი. საშუალო და წვრილი აზნაურების შემოსავალი კი გაიზარდა. მსხვილი ბარონები ვერ ეგუებოდა ახალ პირობებს. ახალი შემოსავალი არ ჰქონდათ, ძველს კი კარგავდნენ. ბარონები ცდილობდნენ გაეუმჯობესებინათ თავიანთი მდგომარეობა. იქმნებოდა ბარონთა პარტიები. მეფის ახლო ნათესავები, პრინცები გამოდიოდნენ მეფის წინააღმდეგ. მეფეები თავის უმცროსს შვილებს გადასცემდნენ საუფლისწულოებს.

თემა.მეჩვიდმეტე

საფრანგეთი ასწლიანი ომის შემდეგ

100 წლიანი ომის შემდეგ განმტკიცდა საფრანგეთის მეფის ხელისუფლება. ორლეანში მოიწვიეს მორიგი შტატები. ამიერიდან ის ფული, რომელიც მეფეს დასჭირდებოდა უნდა გამოეყო შტატებს. ასე შემოიღეს მუდმივი გადასახადი – ტაილლე. რაც დრო გადიოდა ტაილლ-ის ოდენობა მატულობდა. მან მიაღწია 1 მლნ. 200 ლივრს იხდიდნენ არაპრივილიგირებულნი. პირველი ორი წოდება გათავისუფლდა ტაილლე-სგან. ის ძირითადად დააწვა მშრომელ ხალხს. გენერალურ შტატებს იწვევდნენ იშვიათად. ნოტაბლები– სამი წოდების წარმომადგენელი. მათ მეფე თვითონ ნიშნავს და სარგებლობს იგი სათათბირო უფლებით.დაწესდა სასმელებზე

არაპირდაპირი გადასახადი და სხვა. მაგრამ მთავარი იყო ტაილლე.

ჯარის რეფორმა

შარლ – ის დროიდან საფრანგეთში მოქმედებდა დაქირავებული ჯარი, მაგრამ ის იყო არაეროვნული. ბოლოს არარეგულარული ჯარი ომის დასრულების შემდეგ ქმნიდა უმუშევარ ძალას. მაგალითად, 30 ათასი უცხოელი დარჩა ასწლიანი ომის შემდეგ ქვეყანაში. ასეთი არმია უკვე არ გამოადგებოდათ.

1445 წელს გამოიცა მეფის ორდონანსი, რომლითაც ჩატარდა სამხედრო რეფორმა. შეიქმნა რეგულარული, ეროვნული არმია. იგი შედგებოდა 100 შუბისაგან, ყოველ შუბში იყო 6 კაცი, ჯარში სულ იყო 9 ათასი კაცი. ეს იყო ეროვნული არმია, რომელსაც მშვიდობის დროსაც უხდიდნენ ჯამაგირს. ქვეითი ჯარისკაცები გამოდიოდნენ გლეხობიდან, ხელოსნებიდან. ცხენოსნები – წვრილი აზნაურობიდან. რაინდის უკან იდგა კუტილიე, მას ეხმარებოდა პაჟი, შემდეგ იდგა ორი მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსანი. 9 ათასი კაცი არ იქნა საკმარისი. შემოიღეს გაწვევა. ყოველი 50 კაცი გზავნიდა ერთ ჯარისკაცს. მიღებული იყო გერმანელების დაქირავება, შოტლანდიელების და შვეიცარიელების. ასეთი იყო სამხედრო რეფორმა. ჩატარდა ადმინისტრაციული რეფორმაც. გაიზარდა სასამართლო მოხელეების შტატი. აღმოცენდა პროვინციალური პარლამენტები. ჯერ იყო 5, შემდეგ გახდა 7. ისინი სამეფო ხელისუფლების დასაყრდენს წარმოადგენდნენ.

ფეოდალები სანდო არ იყვნენ. მათ არაერთი შეთქმულება მოაწყვეს შარლ VII-ის დროს. დიდი იყო შეთქმულება, როცა დოფინი ლუი XI იღებდა მასში მონაწილეობას. როცა შეთქმულება ჩაახშეს ის გაიქცა თავის ბიძასთან ბურგონის ჰერცოგთან. შარლ VII- მ განაცხადა: ჩემს ბიძაშვილს არ ეს-

მის, რომ როცა იფარებს მელას, შემდეგ მის ჭუჭულებს დასჭამს. 1461 წელს გამეფდა ლუი XI, რომელიც მამის წინააღმდეგ შეთქმულებაში ღებულობდა მონაწილეობას. იგი მეფობდა 1461-1483 წლებში. მან დაასრულა საფრანგეთის გაერთიანება. ის იყო უდროოდ დაბერებული, ულმობელი. მისთვის არ კმაროდა მოეკლა მოწინააღმდეგენი. მას ჰქონდა გალიები, სადაც მისჯილნი ისხდნენ მოლუნულნი. მან დატოვა პარიზი ბოლოს და გადავიდა ლუარას მიდამოებში მდებარე ციხეში–პლეშიდეტურში, რომელიც ტყით იყო გარშემორტყმული. მას უყვარდა ნადირობა. ის ეწეოდა ხელმოჭერილ ცხოვრებას. ფული იხარჯებოდა ჯარის შენახვაზე. ქირაობდა უცხოელებს–შვეიცარიელებს. ლუი XI-მ გაზარდა გადასახადები.

მისი მეფობის დროს ხაზინის შემოსავალი აღწევდა 4 მლნ. 700 ათას ლივრს. დაწესდა არაპირდაპირი გადასახადები. მან სწორად განსაზღვრა ქალაქ ლიონის მნიშვნელობა. მისი განჭვრეტით ეს ქალაქი უნდა ქცეულიყო აბრეშუმის წარმოების ცენტრად. მეფემ მოიწვია უცხოელები და აიძულა მოსახლეობა, რომ ეწარმოებინათ აბრეშუმი. ლუი XI-მ შემოიღო საფოსტო სადგურები. ყოველ 4 მილზე იყო აგებული ასეთი საფოსტო სადგური. ყოველ საფოსტო სადგურში იცვლებოდა ცხენები. ლუი XI-ს დროს იგი ემსახურებოდა მხოლოდ მეფის შიკრიკებს. ვაჭრობის განვითარებას ხელი შეუწყო საფოსტო სადგურების სისტემამ. 1469 წელს პარიზში სორბონის უნივერსიტეტთან დაარსდა პირველი სტამბა, ამისათვის მოიწვიეს გერმანელი ოსტატები. ტიპოგრაფია ისე განვითარდა, რომ საფრანგეთმა ამ საქმეში პირველი ადგილი დაიჭირა. მეფე ხელს უწყობდა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას. ის ლაგმავდა ფეოდალურ ანარქიას, ამისათვის არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა. საფრანგეთში არსებობდა რამდენიმე დინასტია: ორლეანის, ბურგონის დინასტიები. ბურგონის დინასტიამ ბრწყინვალების მწვერვალს

მიაღწია ჰერცოგი ფილიპე კეთილის დროს. ბურგონის კარი სჯობდა საფრანგეთის სამეფო კარს. მას სურდა ბურგონის მიწები გაეფართოვებინა. 1465 წელს შეადგინა კავშირი მეფის წინააღმდეგ ე.წ. საზოგადოებრივი კეთილდღეობის ლიგა. 1465 წლის შემოდგომაზე მონლერისთან მოხდა დიდი ბრძოლა. ლუი XI იძულებული შეიქნა მიწები დაეთმო ლიგის პრინცებისთვის. მთავარ როლს ასრულებდა 3 კაცი: ბურგუნდიის ჰერცოგი– ფილიპე კეთილი, ინგლისის მეფე–ედუარდ IV და ბრეტანის ჰერცოგი.

1467 წელს გარდაიცვალა ფილიპე კეთილი და ჰერცოგი გახდა შარლ თამამი. ლუი XI-ის აგენტები მოქმედებდნენ ქ. ლიეში და აუჯანყდნენ შარლ თამამს. გამარჯვება პრინცის მხარეზე იყო. შარლ თამამს არაფრად მიაჩნდა პირმოთნეობა. ვისაც არ ძალუძს პირმოთნეობა, ნუ ოცნებობს მეფობაზე. შარლ თამამის სამფლობელოში შედგა მოლაპარაკება. ლუი XI დაკავშირებული აღმოჩნდა მეამბოხეებთან. შარლ თამამმა ეს საბაბად გამოიყენა და ლუი XI დააპატიმრა. განახლდა სამოქალაქო ომი. საფრანგეთში შარლ თამამმა მიაღწია ძლიერების მწვერვალს, დაიპყრო ლორენის საჰერცოგო. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მის ხელში იყო ერთიანი ტერიტორია. ახლა შეეძლო ემოგზაურა ბურგონის საჰერცოგოდან ნიდერლანდებამდე. სატახტო ქალაქი გადაიტანა ლორენის დედაქალაქ ნანსიში. დარჩა ის, რომ მიეღო მეფის გვირგვინი.

შარლ თამამი იყო საფრანგეთის უძლიერესი მტერი. ის დაუმოყვრდა ინგლისის მეფე ედუარდ IV–ს (1461-1483 წწ). მას ცოლად ჰყავდა ედუარდის და. 1475 წელს ბურგუნდიის ჰერცოგმა შეძლო განეხორციელებინა თავისი მიზნები. ლორენის ჰერცოგი რენე გააძევა და დაიპყრო. დედაქალაქი დიჟონი გადაიტანეს ქ.ნანსიში (ლორენის დედაქალაქი). შარლ თამამი აწარმოებდა მოლაპარაკებას რომის საღვთო იმპერიასთან. 1476 წელს შეხვდა ფრიდრიხ III–ს, მაგრამ ვერ მიიღო

სასურველი შედეგი. ის მფარველობდა მეცნიერებს, მწერლებს და მისი სამეფო კარი ჯობდა საფრანგეთისას. ლუი XI იყო მისი მტერი. იგი დაუკავშირდა შვეიცარიელებს. ისინი უნდა აემხედრებინა შარლ თამამის წინააღმდეგ. ეს სახელმწიფო წარმოიშვა მდ. რაინსა და რონას სათავეებთან. 1476 წელს შარლ თამამი შეიჭრა შვეიცარიაში. ბრძოლა მოხდა 2 მარტს მერშტელის ტბის მახლობელ სოფელ გრანსონთან, ის დამარცხდა. ივნისში მურტენთან (ფრანგულად მორა) ბურგონები დამარცხდნენ. შარლ თამამი გაიქცა ბრძოლის ველიდან. შარლს თამამმა შეკრიბა ახალი ჯარი. ბრძოლა მოხდა 1477 წლის 5 იანვარს ნანსისთან–ლორენის დედაქალაქი. მან მესამედ განიცადა დამარცხება. იგი მოკლეს, ვინ მოკლა დღესაც არ არის დადგენილი. ის იყო უკანასკნელი წარმომადგენელი ბურგონთა დინასტიისა. მას დარჩა ასული მარი ბურგონელი, რომელიც იყო ლუი XI-ის ნათლული. ლუიმ გაძარცვა და დაიპყრო ბურგუნდიის საჰერცოგო. ასევე სურდა ნიდერლანდების აღება. მარი ცოლად გაჰყვა მაქსიმილიანე ჰაბსბურგს-ავსტრიის ჰერცოგს, ე.ი. ბურგონი შეუერთდა საფრანგეთს, ხოლო ნიდერლანდები–ავსტრიას.

დაიწყო ბრძოლა ავსტრიასა და საფრანგეთს შორის ბურგონის სამემკვიდროსთვის. 1484 წელს დაიდო ე.წ. არასის ზავი, რითაც ბურგუნდია შეინარჩუნა საფრანგეთმა, ნიდერლანდები კი ავსტრიამ. ლუი XI როცა გარდაიცვალა 1483 წელს თითქმის დასრულებული იყო საფრანგეთის გაერთიანება. მხოლოდ ბრეტანი და კალე (ინგლისს ეკუთვნოდა) დარჩა საფრანგეთის გარეთ. მისი შვილი შარლ VIII-ის დროს (1483-1498წწ), კერძოდ 1491 წელს ანა ბრეტანელი გააყოლეს შარლ VIII–ს და ამ წელს დასრულდა საფრანგეთის გაერთიანება. XVI ს-ის 50-იან წლებამდე ინგლისის ხელში დარჩა ქალაქი კალე.

თემა მეთვრამეტე

ინგლისი XIV- XV საუკუნეებში. ალისფერი და თეთრი ვარდების ომი

ასწლიან ომში ინგლისი დამარცხდა. დაკარგა სამფლობელოები, გარდა ქ.კალესი. საფრანგეთის ძარცვა ინგლისელი ბარონებისათვის შემოსავლის წყარო იყო. ბარონებმა შეინარჩუნეს დიდი პოლიტიკური ძალა, თავისი შეიარაღებული ძალები ე.წ. ლივრეის ხალხი (დეკლასირებული ელემენტები). ლივრეის ხალხი მიჰყავდათ საფრანგეთში, როცა ომი დამთავრდა ლივრეის ხალხი არ გაუშვიათ. მათ დაიწყეს საფრანგეთის ძარცვა. ისინი ყაჩაღობდნენ. 1455 წელს იწყება საშინელი სამოქალაქო ომი ბარონებს შორის, რომელიც 1485 წელს დასრულდა. ეს იყო ვარდების ომი. ეს იყო მე-2 სამოქალაქო ომი. I სამოქალაქო ომი იყო მატილდასა და სტეფანე ბლუასელს შორის (1135-1154 წწ), რომელიც 19 წელი გაგრძელდა. ომი დაიწყო იორკებსა და ლანკასტერებს შორის.



ლანკასტერებს ემხრობოდა სომერსედების დინასტია. ედუარდ III-ის უმცროსი შვილის კლარენსიდან წარმოსდგება

მორტიმერების გვარი, რომელმაც შეადგინა იორკთა დინასტია. რალფ ნევილი დაკავშირებული იყო ორივე დინასტიასთან. მას ცოლად ჰყავდა ჯონ გონტის და ანნა, ხოლო თავისი ასული სესილი მიათხოვა რიჩარდ მორტიმერს. მას სულ 23 შვილი ჰყავდა. 11 ვაჟი. უფროსი შვილი იყო გრაფი ვარიკი – დიდი ფეოდალი, რომელსაც კავშირი ჰქონდა ორივე დინასტიასთან, მაგრამ უფრო დაახლოებული იყო იორკებთან, რადგან სესილი ცოლად ჰყავდა რიჩარდ მორტიმერს.

ორივე დინასტია იყო ფეოდალური. ლანკასტერებს მხარს უჭერდა ბარონები. იორკებს-ფეოდალები, ქალაქელები, რაინდები და სხვა ელემენტები. ლონდონში იორკები დიდი გავლენით სარგებლობდნენ. ვარდი იყო სიმბოლო პლანტაგენეტებისა. ორივე ლანკასტერთა და იორკთა პლანტაგენეტების შტოს წარმოადგენდა, ამიტომ ვარდი იყო მათი სიმბოლო.

ლანკასტერების ბელადი იყო ჰენრი I. მათი გერბი იყო წითელი ვარდი, ხოლო იორკების ბელადი – რიჩარდ მორტიმერი, გერბი – თეთრი ვარდი.

ამ ორ დინასტიას შორის მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი, რომელიც იყო ველური, შეუბრალებელი. პირველი დიდი ბრძოლა მოხდა 1455 წლის 22 მაისს სენტ-ოლბესის მახლობლად. იორკების მხარეზე იბრძოდა გრაფი ვარიკი. დაიღუპა სომერსების ჰერცოგი. 5 წლის შემდეგ 1460 წლის ივნისში განახლდა ბრძოლა ნორტჰემპტონთან. აქ რიჩარდ მორტიმერმა და გრაფმა ვარიკმა მეორე გამარჯვება მოიპოვეს და ჰენრი VI ტყვედ ჩაიგდეს, ხოლო მისი ცოლი მარგარიტა (ანჟუს ჰერცოგის ასული) გაიქცა შოტლანდიაში. ჰენრი VI ჭკუაზე შეშლილი იყო და მარგარიტა მართავდა სახელმწიფოს. 1460 წლის 30 დეკემბერს ბრძოლა მოხდა უიგფილდის მახლობლად,სადაც ლანკასტერებმა გაიმარჯვეს. იორკების ბელადი რიჩარდ მორტიმერი დაიღუპა, ტახტზე აღადგინეს ჰენრი VI და მარგარიტა მართავდა ისევ სახელმწიფოს. პრინცი ედუარდი-იორკის ჰერცოგის რიჩარდისა და სესილის ვაჟი მერჩის გრაფის ტიტულს ატარებდა მანამდე, ეხლა ის გახდა იორკების ბელადი. იგი ლონ-

დონში შეუშვეს. 1461 წელს ედუარდმა გაიმარჯვა. ჰენრი VI და მარგარიტა გაიქცნენ შოტლანდიაში. ლონდონში მეფედ აკურთხეს ედუარდ IV (1461-1483). ედუარდ IV-ის მეფობის პირველი ათი წელი არამყარი იყო. 1461 წელს აჯანყდნენ ლანკასტერები. შოტლანდიიდან ჩამოიყვანეს ჰენრი VI, მაგრამ ლანკასტერები დამარცხდნენ. ვარიკმა გაამეფა თავისი დისწული, მას სურდა მეფე მისი მორჩილი ყოფილიყო და თვითონ ემართა ქვეყანა. ედუარდ IV-მ თავის ბიძას პრივილეგიები მიანიჭა. იგი დანიშნა ინგლისის ფლოტის ადმირალად და კალეს კომენდანტად. ვარიკი ფიქრობდა, რომ დადგა მისი დრო. იგი სასახლეში ცხადდებოდა 600 ლივრეის თანხლებით. ამიტომ ამან გამოიწვია ედუარდ IV–ის უკმაყოფილება, მეფეთა მკეთებელსა და მეფეს შორის. ამას დაემატა საგარეო ორიენტაცია: ვალუას დინასტიალური XI და ბურგუნდიის ჰერცოგი შარლ თამამი. გრაფი ვარიკი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ლუი XI თან.

ინგლისის ბურჟუაზია დაკავშირებული იყო ნიდერლანდებთან, რომელიც ბურგონის ჰერცოგს ემხრობოდა. ედუარდ IV თავისი და მარგარიტა დააქორწინა შარლ თამამზე, თვითონ დაქორწინდა ელისაბედ ვუდვილზე 1464 წელს, რომელიც იყო ჯონ გრეის ქვრივი. მათი შვილი იყო ელისაბედი შემდეგში ჰენრი VII –ის მეუღლე. მეორე შვილი ედუარდ V და რიჩარდ IV. ედუარდ IV- ის პოლიტიკით უკმაყოფილო შეიქნა მისი ძმა კლარენსი. გამოინახა საერთო ენა გრაფ ვარიკსა და კლარენს შორის. ვარიკმა თავისი ასული იზაბელა მიათხოვა მეფის ძმას კლარენს. 1469 წელს კლარენსმა და გრაფმა ვარიკმა მოაწყვეს შეთქმულება მეფის წინააღმდეგ. ეს ედუარდ IV-თვის მოულოდნელი იყო და ტყვედ ჩაიგდეს. ინგლისის მოსახლეობის გავლენიანი ფენა გამოესარჩლა მეფეს, ასევე ბერგუნდიის ჰერცოგი შარლ თამამი. რამდენიმე თვეში ედუარდ IV-მ დაიბრუნა თავისუფლება და გრაფ ვარიკთან მოხდა მისი შეთანხმება. 1470 წელს მეორე აჯანყება მოეწყო ვარიკის და კლარენსის. მეამბოხეები დამარცხდნენ. ვარიკი გაიქცა ლუი XI თან, რომლის პენსიონერი იგი იყო. ამან შეარიგა მეფის მკეთებელი (KINGMAKE)

ვარიკი ლანკასტერებთან. მან უმცროსი ქალი ანა მიათხოვა პრინც ედუარდს, რომელიც 1471 წელს მოკლეს. 1470 წელს სექტემბერში მესამე აჯანყება მოხდა ედუარდ IV-ის წინააღმდეგ. იგი დაამხვეს და ჰენრი VI-ს დაუბრუნეს ტახტი. ედუარდ IV გაიქცა ბურგუნდიის ჰერცოგთან თავის შესაფარებლად. ჰენრი VI-მ იმეფა ნახევარი წელი. 1471 წლის დამდეგს ედუარდ IV-მ მოაწყო ლაშქრობა ტახტის დასაბრუნებლად. იგი გადავიდა ინგლისის სანაპიროზე. მან დაიბრუნა ტახტი. შეიპყრო და ტაუერში ჩასვა ჰენრი VI. 1471 წელს მაისში მოხდა ტიუგსბერგის ბრძოლა, ლანკასტერები დამარცხდნენ და ედუარდ IV გამეფდა. ტაუერში იჯდა ჰენრი VI, 1471 წელს 21 მაისს ედუარდ IV-ის ბრძანებით იგი ტაუერში დაახრჩვეს. ტყვედ ჰყავდა პრინცი ედუარდი და დედოფალი მარგარიტა. ლუი XI-მ მარგარიტა ფულით გამოისყიდა. პრინცი ედუარდი მოკლეს. 1475 წელს შარლ თამამთან ერთად ედუარდ IV შეიჭრა საფრანგეთში და ლუი XI დიდი გამოსასყიდით მოიშორა. 1478 წელს ტაუერში კლარენსი მოკლეს (მეფის განკარგულებით). 1471 წელს მტკიცედ დაიკავა ტახტი ედუარდ IV–მ და მის გარდაცვალებამდე მისი ხელისუფლება იყო ძლიერი. პარლამენტებს იშვიათად იწვევდნენ. სულ მოიწვია 2-ჯერ. იგი მიმართავდა კონფისკაციებს. მფარველობდა ვაჭრობას, ზღვაოსნობას, მისი პოლიტიკა იყო ეროვნული. საბაჟო გადასახადებები ამდიდრებდა სახელმწიფო ხაზინას. ედუარდ IV –ის დროს შეწყდა ომები, რასაც მოყვა ეკონომიკური გაფურჩქვნა, კულტურული განვითარება, წიგნის ბეჭდვის დაწყება. უილიამ კეგსტონმა 1476 წელს ტაუერის სასახლეში დააარსა I სტამბა. მისი უმცროსი ძმა რიჩარდი დიდ პრივილეგიებს იძენს. იგი იყო ბოროტი სადიზმამდე, ულმობელი. ედუარდ IV-ს დარჩა სამი შვილი: ელისაბედი (ჰენრი VII ცოლი), 13 წ ედუარდი (ედუარდ V) და 9 წლის რიჩარდი. იორკის ჰერცოგი- რიჩარდ გლოსტერი გამოცხადდა ედუარდ V–ის (13წ) –პროტექტორად. რიჩარდი ფიქრობდა არა ერთგულებაზე არამედ მის დამხობაზე. 1471 წელს აპრილში, როდესაც

ტაუერში ჰენრი VI დაახრჩვეს ესპანურ ღვინოში, ის ერია. ასევე კლარენსის მკვლელობაშიც. პარლამენტმა 1483 წლის 25 ივნისს იგი ცნო ინგლისის მეფედ. 6 ივლისს გვირგვინკურთხევა მოეწყო. 1513 წელს ინგლისელმა ჰუმანისტმა ტომას მორმა დაწერა – რიჩარდ III-ის ისტორია. მორმა დაადასტურა, რომ ეს ბავშვები დახოცა მისმა ბიძამ. მორისაგან ისესხა ეს სიუჟეტი შექსპირმა და დაწერა რიჩარდ III-ის ტრაგედია. XVI-ს დამდეგს დედოფალი ელისაბედი მეფობს ინგლისში. ტაუერის სასახლის კაპიტალური რემონტის დროს მიაგნეს ჩაკირულ კარებს, საწოლზე ორი პატარა ჩონჩხი იპოვეს. დანაშაულის დამალვის მიზნით ჩაკირეს. ელისაბედი შეშინდა და ისევ ჩაკირეს. ჩარლზ II სტიუარტის დროს 100 წ შემდეგ მეფური პატივით ეს ორი ჩონჩხი დამარხეს მეფეთა საფლავში.

თავისი დესპოტური პოლიტიკით რიჩარდ III–მ აიმხედრა მთელი დიდკაცობა. ეჭვიანობა ავადმყოფობამდე იყო მისული. ბეკინჰემის ჰერცოგი- მისი მარჯვენა ხელი აჯანყდა. რის გამოც მას თავი მოკვეთეს. ისარგებლა შორეულმა ნათესავმა პლანტაგენეტების ჩამომავალმა მომავალმა ჰენრი ტიუდორმა (რიჩმონდის გრაფი) და პრეტენზია გამოაცხადა ინგლისის სამეფო ტახტზე. რიჩარდი გაეყარა თავის ცოლს ანა ნევილს, ეს ქალი მალე მოკვდა. ხმები დადიოდა, რომ ის რიჩარდმა მოაწამვლინა. მან მიზნად დაისახა ცოლად შეერთო თავისი ძმისწული. რიჩარდის წინააღმდეგ იწყებს ბრძოლას რიჩმონდის გრაფი დედით ლანკასტერების მემკვიდრე. მის მხარეზე გადავიდა იორკების მნიშვნელოვანი ნაწილი, ასევე რიჩარდ III-ის მტრები. გადამწყვეტი ბრძოლა რიჩარდსა და რიჩმონდის გრაფს შორის მოხდა 1485 წლის 22 აგვისტოს. ტახტზე აიყვანეს რიჩმონდის გრაფი ჰენრი VII ტიუდორი (1485-1509 წწ). ვარდების ომი დასრულდა. ჰენრი ტიუდორი დაქორწინდა ედუარდ IV-ის ასულზე ელისაბედზე. ამის შედეგად გაერთიანდა ორი სამეფო დინასტია, ორი ღერბი-ალისფერი და თეთრი ვარდი. სამოქალაქო ომის შედეგები მძიმე იყო ინგლისისათვის, ბევრი დაიხოცა, ჰენრი VII–მ განაგრძო ედუარდ IV-ის პოლიტიკას.

ნაწილი მეორე

თემა პირველი

შუა საუკუნეების კულტურა, განათლება და აზროვნება XIII-XV სს

ადრეულ შუა საუკუნეებში საეკლესიო იერარქია თავისი განათლებით მაღლა იდგა, ვიდრე სხვა სოციალური ფენა. ის დიდ გავლენას ახდენდა საზოგადოებაზე, ამიტომ მისი მსოფლმხედველობა გახდა გაბატონებული მთელს ევროპაში.

აღნიშნულ პერიოდში, ერთადერთი განათლებული ფენა იყო სამღვდელოება. მეფეებიდან და დიდკაცებიდან ცოტამ თუ იცოდა წერა-კითხვა. ფრანკთა მეფემ კარლოს დიდმა (768-814 წწ) წერა არ იცოდა და ვერც ისწავლა, ხოლო რომის საღმრთო იმპერატორმა ოტო დიდმა (936-973 წწ) არ იცოდა არც წერა და არც კითხვა. ხალხიც ბნელი და გაუნათლებელი იყო.

მთელი ცოდნა, რომელიც შუა საუკუნეებში ვრცელდებოდა, იყო ლათინურ-ბარბაროსული. იმ პერიოდის ენას „შუა საუკუნეების ლათინურს" უწოდებდნენ. ფრანგმა ფილოლოგმა დიუკანჟმა შეადგინა ათტომიანი ლექსიკონი საშუალო ლათინურის. ჰუმანისტებმა ააღორძინეს კლასიკური ლათინური ენა, რასაც ადასტურებს ბერძნულიდან ბიბლიის თარგმანი. იუსტინიანეს კოდექსი (527-565წწ) ევროპის ქვეყნებში ფართოდ გამოიყენებოდა. მთელი ცოდნა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამღვდელოების ხელში იყო. განათლების ძირითად ცენტრს კი წარმოადგენდა მონასტრები. აქ არსებობდა გადამწერი სახელოსნოები, ე. წ. სკრიპტორიუმები (სკრიპტო წერას ნიშნავს), სადაც მართლწერაში გავარჯიშებული ბერები ახდენდნენ გადაწერას. ჩვენამდე ვერ მოაღწევდა ანტიკური ხელნაწერები, რომ არ ყოფილიყო სკრიპ-

ტორიუმები. იმ ეპოქაში წიგნი ძალიან ძვირი ღირდა. ამასთან, ბერები დიდხანს უნდებოდნენ გადაწერას. ამავე დროს ძნელი იყო საწერი მასალის შოვნაც.

ცნობილია, რომ ჩინეთის გამოგონებაა: ქაღალდი, კომპასი, თოფის წამალი. ქაღალდი ევროპაში შემოვიდა XIII საუკუნიდან. ჩინელები ქაღალდს ხარშავდნენ მატერიისაგან. ყველაზე ძვირფასი ქაღალდი აბრეშუმისგან იხარშებოდა. ადრე იყო ჭილი და ეტრატი – პერგამენტი. ჭილი (პაპირუსი) არის წყალმცენარე, მის ღეროებს აშრობდნენ, აკრავდნენ და გამოდიოდა მოყავისფრო ვიწრო ფურცელი. ის ძნელი გასაშენებელი იყო. ევროპის მეტ ქვეყანაში გავრცელებული იყო ეტრატი. ეტრატი – პერგამენტი იყო ტყავისაგან დამზადებული საწერი მასალა. ის მზადდებოდა მცირე აზიის ჩრდილო აღმოსავლეთის ელინისტურ ქალაქ პერგამონში. ტყავი უნდა ყოფილიყო ნაზი – ცხვრის, ხბოს, ან თხის. წაშლილ და აღდგენილ ხელნაწერს ეწოდებოდა პალიმფსესტი.

შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში განათლების ცენტრს ეკლესია- მონასტერები წარმოადგენდა. იმ დროის სკოლა განსხვავდებოდა ცივილიზებული სკოლისაგან. ცივილიზებული ეპოქის სკოლას აქვს ზოგადი განათლება, შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში აღრმავებენ ამ ცოდნას. შუა საუკუნეების სკოლის მიზანი კი იყო სამღვდელოების მომზადება, ამიტომ განათლება ატარებდა შესაბამის საეკლესიო ხასიათს.

დაოჯახება სასულიერო პირისათვის არ შეიძლებოდა. პირველი შემთხვევა ავსტრიაში მოხდა, როცა პროფესორმა ცოლი შეირთო. მასზე ამბობდნენ, რომ გაუგონარი რამ ჩაიდინა. **ბენეფიციუმით** სარგებლობდა რექტორი. მასწავლებლებს თვითონ ქირაობდა. მონაფეები მომეტებულად ღარიბი ოჯახის შვილები იყვნენ, ცუდად ჩაცმული და მოუვლელი. მასწავლებლები ვერ იყვნენ კარგი აღმზრდელები. ისინი მოსწავლეებზე ახდენდნენ ფიზიკურ ზემოქმედებას. მასწავ-

ლებლები იმ დროინდელ მხატვრობაში გამოსახული იყვნენ წკეპლით ხელში.

ერაზმ როტერდამელი წერს: „გვყავდა მასწავლებელი, რომელიც როცა შემოვიდოდა, სცემდა ბავშვებს". ფრანსუა რაბლეს მიხედვით, „ზოგიერთი პედაგოგი რაიმე ღირსშესანიშნავ ამბავთან დაკავშირებით წკეპლავდა. თუ მეფე ჩამოვიდოდა ან რაიმე საზეიმო ამბავი მოხდებოდა".

ღვთისმსახურების, ეკლესიის ენა იყო ლათინური, რომელიც შეგუებული იყო შუა საუკუნეების ხალხების ენებს. ამ ენაზე იწერებოდა თხზულებები, მატიანეები, სასამართლო დადგენილებები. სკოლაში კლასებად დაყოფა არ იყო. ის მხოლოდ XVI საუკუნეში შემოიღეს. იყო დაყოფა უფროს შეგირდებად და უმცროს შეგირდებად. ეს შეიძლება შევადაროთ დაწყებით სკოლას და მაღალ კლასებს. მოსწავლეს თუ შეძლებული მშობელი ჰყავდა, ის აიყვანდა კერძო მასწავლებელს ან დედათა მონასტერში მიაბარებდა სასწავლებლად. კარლოს დიდს მზრუნველობა გამოუჩენია თავისი ასულების მიმართ, რათა მიეღოთ განათლება.

რას სწავლობდნენ?

მოსწავლეებს ლოცვები ზეპირად უნდა სცოდნოდათ, ასწავლიდნენ გალობას. სწავლების მეთოდი ყველა სკოლაში იყო ერთი. მას მიაწერენ მეხუთე საუკუნის რომაელ პედაგოგს მარკიანე კაპელას და ეწოდებოდა 7 თავისუფალი ხელოვნება. ხოლო მეექვსე საუკუნეში კასიოდორმა კი ორ ნაწილად დაჰყო ის. **ტრივიუმი,** რომელშიც შედიოდა: გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა და **კვადრიუმი:** არითმეტიკა, ასტრონომია, გეომეტრია, მუსიკა. ისწავლებოდა ელიუს დონატუსის (IVს) გრამატიკა (ე.წ.დონატი–გრამატიკის სახელმძღვანელო). ლათინურ კლასიკურ ლიტერატურას სრულად არ ასწავლიდნენ, ძირითადად გრამატიკას ასწავლიდნენ. მონაფეებს ცალკეულ გამონათქვამებს აზეპირებინებდნენ. სა-

წერი მასალის ეკონომია აძნელებდა საქმეს. ამიტომ შემოიღეს შემოკლება-ქარაგმები. ბავშვს ასობით ქარაგმა უნდა სცოდნოდა ზეპირად.

რიტორიკა-მჭევრმეტყველებას ნიშნავს. მასში შედიოდა ცოდნა საქმიანი აქტების შედგენისა. პრაქტიკულად იგი მცირე ცოდნას იძლეოდა.

დიალექტიკა არის არისტოტელეს ფორმალური ლოგიკა, დასკვნების გამოტანა. ასწავლიდნენ სწორ აზროვნებას.

არითმეტიკაში ასწავლიდნენ ოთხ მოქმედებას. მასში შედიოდა ამოცანები. ასტრონომიას პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. ასტრონომიას იყენებდნენ სააღდგომო კალენდრის შესადგენად.

საყურადღებოა ინგლისელი სწავლულის ალკუინის (იგი კარლოს დიდმა მიიწვია) პედაგოგიური მიდგომა. ის ადგენდა დიალოგებს. ამის მიხედვით იღებდნენ წარმოდგენებს. საინტერესოა მისი საუბარი პიპინთან.

პიპინი კითხვას სვამს და პასუხობს მასწავლებელი ალკუინი. აი ეს კითხვები:

რა არის ასო? -ისტორიის გუშაგი.

რა არის სიტყვა?-გულის გამცემი.

რა ბადებს სიტყვას?-ენა

რა არის ენა?-ჰაერის მათრახი.

რა არის ჰაერი?-სიცოცხლის შემნახველი.

რა არის სიცოცხლე?-ბედნიერთათვის სიხარული, უბედურთათვის მწუხარება.

რა არის სიკვდილი? – გარდაუვალი გარემოება.

რა არის ადამიანი?- მოხუცებულობის მონა, განდეგილი-მგზავრი.

რა არის ძილი? – სიკვდილის მიმსგავსება.

რა არის თავი? – სხეულის კენწერო.

რა არის თმა? – თავის სამოსელი.

რა არის თვალები? – სხეულის ბელადები,სულის მაჩვენებლები.

რა არის კბილები? -დოლაბი და ა. შ.

განვიხილოთ საუნივერსიტეტო განათლების წანამძღვრები. თანამედროვე საუნივერსიტეტო განათლების ფესვები ადრეულ და განვითარებულ შუა საუკუნეებშია გადგმული. თუმცა უფრო ადრეც არსებობდა უნივერსიტეტების პროტოტიპები: პლატონის აკადემია (ძვ. წ. აღ-ით IV საუკუნეში ათენში), ალექსანდრიის მუსეიონი (ძვ. წ. აღ-ით III საუკუნეში). ადრეულ შუა საუკუნეებში უმაღლესი სკოლები იყო ბიზანტიის იმპერიაში (კონსტანტინეპოლში), საქართველოში (ფაზისის რიტორიკული სკოლა), ხალიფატის სამფლობელოში და ჩინეთში. ევროპული სამყაროსათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო 1054 წელს მანგანის აკადემიის ბაზაზე კონსტანტინეპოლის უნივერსიტეტის დაარსება. ეს იყო საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც მოწოდებული იყო ანტიკური აზროვნების განახლებისათვის. ასევე მნიშვნელოვანი იყო ბაღდადის აკადემია, რომლის შექმნასაც ხელი შეუწყო ნიზიბინის აკადემიამ.

შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში უმაღლესი განათლების ცენტრები (უნივერსიტეტები) XI საუკუნიდან წარმოჩნდნენ. მათი აღმოცენება დაკავშირებული იყო შუა საუკუნეების ქალაქების ზრდასა და საქალაქო ცხოვრების დაწინაურებასთან, ეკონომიკისა და კულტურის ამაღლებასთან. ახალი ტიპის საერო სკოლები იტალიაში გამოჩნდა. მათ შორის უძველესია ქალაქ პალერმოს საექიმო აკადემია, სადაც IX საუკუნიდან არსებობდა ექიმთა კორპორაცია. აქ საექიმო ხელოვნებას ასწავლიდნენ და ავადმყოფსაც მკურნალობდნენ. მნიშვნელოვანი იყო ბოლონიის სკოლა, სადაც რომის სამართალი შეისწავლებოდა. მოგვიანებით XII საუკუნეში, ამ სკოლამ უნივერსიტეტის სტატუსი მიიღო. პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელიც აქ ამ უნივერსიტეტს

ეხებოდა, იყო ფრიდრიხ პირველი ბარბაროსას მიერ 1158 წლის ქარტია. 1200 წელს ანალოგიური სიგელი პარიზის სტუდენტებზე და მაგისტრებზე გასცა ფილიპე მეორე ავგუსტუსმა. 1257 წელს დაფუძნდა სორბონის უნივერსიტეტი. უმაღლესი სკოლის სტატუსი სხვადასხვა დროს მიიღეს შემდეგმა უნივერსიტეტებმა:

ოქსფორდის –1200 წ.
სალამანკის –1218 წ.
პადუას– 1222 წ.
ნეაპოლის–1224 წ.
კემბრიჯის– 1225 წ.
სალერნოს– 1280 წ.
პრაღის–1348 წ.
კრაკოვის–1364 წ.
ვენის–1365 წ.
მონპელიეს–1289 წ.
ლისაბონის–1308 წ.
ჰაილდებერგის–1385 წ.
კიოლნის– 1388 წ.
ლაიფციგის–1409 წ.
ბარსელონის–1450 წ.
კოპენჰაგენის–1479 წ.

ნიშანდობლივია, რომ შუა საუკუნეების უნივერსიტეტები იურიდიულად, ადმინისტრაციულად და ფინანსურად ავტონომიურები იყვნენ, ჰქონდათ მმართველობის ორგანოები, თავისი სასამართლო და რიგი პრივილეგიები, რომელთაც მათ უბოძებდნენ პაპები, იმპერატორები და მეფეები. ხარისხები, რომლებსაც თავის კურსდამთავრებულს ანიჭებდა უნივერსიტეტი, აღიარებული იყო მთელს ქრისტიანულ სამყაროში. მხოლოდ უნივერსიტეტები გასცემდნენ სამასწავლებლო ლიცენზიებს. შუა საუკუნეების უნივერსიტეტებ-

ში სწავლება ლათინურ ენაზე მიმდინარეობდა. უნივერსიტეტებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების რიცხვის ზრდამ დღის წესრიგში წიგნებზე მოთხოვნილება დააყენა. წიგნი ძველად, განსაკუთრებით კი იოჰან გუტენბერგის მიერ ბეჭდვის გამოგონებამდე, ფუფუნების საგანი იყო. წიგნის ფურცლები ხბოს, ცხვრის, თხის ტყავის დამუშავებით მიიღებოდა. ეს იყო პერგამენტი (მზადდებოდა მცირე აზიის ქალაქ პერგამონში ჩვენს ერამდე 180 წლიდან). შუა საუკუნეების უნივერსიტეტებში, როგორც წესი სამი ძირითადი ფაკულტეტი იყო: საღვთისმეტყველო, სამართლის (იურიდიული), და სამედიცინო. ფაკულტეტის (ლათ. Faacultas-უნარი, ცოდნა, ტალანტი) ცნება 1232 წელს პაპმა გრიგოლ IX–მ შემოიღო იმ მასწავლებელთა კოლექტივების აღსანიშნავად, რომელთაც შესწევდათ უნარი ესწავლებინათ პარიზის უნივერსიტეტში ესა თუ ის სპეციალობა. უნივერსიტეტში არსებობდა თავისუფალ ხელოვნებათა მოსამზადებელი ფაკულტეტი, სადაც შეისწავლებოდა საბაზო სასწავლო დისციპლინები. ეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყო სწავლა „ტრივიუმისა" (Trivium) და „კვადრიუმის" (qvadrivium) პრინციპით. ტრივიუმის ციკლით შეისწავლებოდა გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა. კვადრიუმის ციკლით კი მათემატიკა, გეომეტრია, ასტრონომია და მუსიკა.

უნივერსიტეტის მასწავლეებლებს სხვადასხვა ხარისხი ჰქონდათ: ბაკალავრი (ლათ.bacalaureus)– პირველი აკადემიური ხარისხი შუა საუკუნეებში, მაგისტრის (ლათ.magister)– აღმზრდელი „შვიდი თავისუფალი ხელოვნების" მასწავლებელი – მეორე აკადემიური ხარისხი, დოქტორის (ლათ.doctor)–მასწავლებელი, დამრიგებელი. XV–XVI სს–ის ევროპის უნივერსიტეტებში შემოღებულ იქნა „პროფესორის" წოდება (ლათ.professor)- რიტორი, მასწავლებელი, რომელიც ასწავლის საჯაროდ. სიტყვა სტუდენტიც ლათინურიდან მომდინარეობს (studere-სწავლა). XV ს–ში სტუდენტებად უპირატე-

სად სასულიერო პირები იყვნენ. სტუდენტების ხელმძღვანელად ფაკულტეტის თანამშრომლები ირჩევდნენ ათისთავს–დეკანს, რომელიც ფაკულტეტს თავკაცობდა. უნივერსიტეტის სათავეში რექტორი იდგა, ეს ტერმინიც ლათინურია rector–მმართველი.

XII-XIII სს–ში სწავლების ძირითადი მეთოდი დაფუძნებული იყო ფორმალურ ლოგიკაზე. ეს იყო სქოლასტიკა. პირველ ხანებში სქოლასტიკა თავისუფალი იყო ეკლესიის დოგმატების გავლენისაგან, მაგრამ XIII საუკუნიდან მეცნიერება რელიგიური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა. კლასიკური შუა საუკუნეების სქოლასტიკის ძირითადი მიმართულებანი თომა აქვინელმა (1225–1274 წწ) ჩამოაყალიბა. მას მიაჩნდა, რომ რწმენა არ ეწინააღმდეგება გონებას და ავითარებდა რწმენისა და გონების ჰარმონიულ ურთიერთობას. აქვინელს სწამდა, რომ ღმერთის რაციონალური შეცნობა მეცნიერების ყველა დარგის მიზანია. განვითარებული შუა საუკუნეების დროს დაგროვილმა ცოდნამ ჩამოაყალიბა ობიექტური წანამძღვრები აღორძინების ეპოქაში მეცნიერების განვითარებისათვის.

XV საუკუნეში იყო 65 უნივერსიტეტი. მარტო 51 უნივერსიტეტი მოდიოდა 3 ქვეყანაზე – იტალია, საფრანგეთი, გერმანია. იტალიაზე-15, საფრანგეთზე-16, გერმანიაზე-20 უნივერსიტეტი მოდიოდა. ამ დროს უნივერსიტეტი ინტერნაციონალურ ხასიათს ატარებდა. უნივერსიტეტების აღნაგობა წააგავდა ერთმანეთს. ფაკულტეტი იყო ოთხი. ყველგან მეცნიერებანი ისწავლებოდა ლათინურ ენაზე. ეს იყო საშუალო, გაფუჭებული ლათინური. უნივერსიტეტს ახასიათებდა სპეციალიზაცია. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იურიდიულ მეცნიერებას, ღვთისმეტყველებას.

უნივერსიტეტი ეს იყო კორპორაცია, თემი, რომელსაც ჰქონდა თვითმმართველობის უფლება. ზოგჯერ ვაჭართა

გილდიას უნივერსიტეტს უწოდებდნენ, რადგან თვითმმართველობის უფლება ჰქონდა.

ვის აერთიანებდა უნივერსიტეტი?

დღეს უნივერსიტეტი აერთიანებს: სტუდენტებს, ასპირანტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, კანცელარიას. მაშინ კი ყოველი ადამიანი, ვინც რითიმე დაკავშირებული იყო უნივერსიტეტთან ითვლებოდა უნივერსიტეტის წევრად: მაგისტრები, სტუდენტები, პედაგოგები, გავლენიანი პირები, მსახურები, ხელნაწერებით მოვაჭრენი, ეტრატის გამყიდველნი, ზოგჯერ მევახშეებიც კი, რომლებიც პროფესორებს ფულს ასესხებდა.

რატომ სურდათ უნივერსიტეტის წევრობა?

უნივერსიტეტს ჰქონდა პრივილეგიები. გააჩნდა საკუთარი სასამართლო, რომელიც საქალაქო სასამართლოს არ ემორჩილებოდა. აკრძალული იყო უნივერსიტეტის წევრის ჩასმა საპყრობილეში ვალის გადაუხდელობის გამო. თავისუფლდებოდნენ სამხედრო და საგუშაგო სამუშაოსაგან. უნივერსიტეტი შეუვალი იყო პოლიციისათვის. ხშირად აბეზარი სტუდენტები ჩაიდენდნენ დანაშაულს, შევარდებოდნენ უნივერსიტეტში და არ გადიოდნენ. იწყებოდა გაუთავებელი დავა ქალაქის საბჭოსა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას შორის. ბოლოს საქმე მეფის სასამართლომდე მიდიოდა.

უნივერსიტეტი დაყოფილი იყო ფაკულტეტებად. ფაკულტეტი ნიშნავდა უნარს, რომელიმე მეცნიერების, დარგის შესწავლის უნარს. ფაკულტეტების რიცხვი არ იყო დიდი. დეკანი წარმოსდგება დეკანოზისაგან-უფროსი მღვდელი. ფაკულტეტის გამგეს დეკანუსს უწოდებდნენ.

პარიზის უნივერსიტეტში იყო 4 ფაკულტეტი. პირველ ფაკულტეტს ეწოდებოდა უმცროსი, დანარჩენს უფროსი.

უმცროსი ფაკულტეტი იყო ფილოსოფიის ან არტისტული ფაკულტეტი. აქ ასწავლიდნენ 7 თავისუფალ ხელოვნე-

ბას. არტისტულ ფაკულტეტს ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტსაც უწოდებდნენ. პროფესორს შეეძლო გაეწკეპლა არტისტი. ისინი ნახევრად ბავშვებად ითვლებოდნენ. ესენი უმთავრესად ჭაბუკები იყვნენ. უფროსი ფაკულტეტი იყო საღვთისმეტყველო, იურიდიული, სამედიცინო. უმცროსი ფაკულტეტის გავლა სავალდებულო იყო. ფაკულტეტის სრულუფლებიანი წევრები იყვნენ: პროფესორები, მაგისტრები.

მედიცინაში დოქტორის ხარისხი იყო უმაღლესი, დანარჩენში-მაგისტრის. პროფესორის ხელფასი დამოკიდებული იყო სტუდენტის რიცხვზე.

სტუდენტები ორგანიზებული იყვნენ სათვისტომოებად. ხდებოდა მათი გაერთიანება პროვინციებად ბოლოს ეროვნების მიხედვით ნაცია იქმნებოდა. ნაცია ირჩევდა პროკურორს-მზრუნველს. მის არჩევაში მონაწილეობდნენ პროფესორები და სტუდენტები. ნაციები იყო შემდეგი: პიკარდიული, რომელიც აერთიანებდა ჩრდ.აღ. საფრანგეთის სტუდენტობას. ნორმანდიული- ჩრდ. დას. საფრანგეთის სტუდენტობას, ფრანგული – ჩრდ. საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის და ყველა აღმოსავლეთის (ჩეხები, უნგრელები, პოლონელები) სტუდენტობას და ინგლისური- ინგლისელ, პლანტაგენეტების სამფლობელოს ფრანგ სტუდენტობას.

დეკანს ირჩევდა ფაკულტეტი. რექტორს კი ირჩევდნენ ნაციის მიხედვით. ნაციას ერთი ხმა ჰქონდა. რექტორის არჩევისთვის 3 ხმა იყო საჭირო. რექტორი – წარმმართველს ნიშნავდა. რექტორს ირჩევდნენ ნახევარი წლით, დეკანს ერთი წლით.

სტუდენტის მოვალეობა იყო შემდეგი:

1. მეცადინეობაზე სიარული. შეეძლო ლექციებზე დიდხანს ევლო და გამოცდა არ ჩაებარებინა.

2. სწავლის ქირის გადახდა.

3. კარგი ყოფაქცევა.

სტუდენტობა ხშირად არღვევდა ამ მოვალეობას. სალექციო სისტემა შუა საუკუნეებიდან მომდინარეობს. ლექციო – ნიშნავს ვკითხულობ. ეს აიხსნება წიგნების ნაკლებობით. წიგნი ძვირი ღირდა. ყველა პროფესორს არ შეეძლო მისი შეძენა. ლექციებს ამუშავებდნენ დისპუტებზე. დისპუტები იმართებოდა სპეციალურ აუდიტორიებში. როცა სტუდენტი დაასრულებდა არტისტულ ფაკულტეტს, შეეძლო პირველი გამოცდა ჩაებარებინა, გამოსულიყო დისპუტზე. იგი ღებულობდა პირველ სამეცნიერო ხარისხს.

უმაღლესი ხარისხი იყო მაგისტრი და დოქტორი. მეცადინეობა წარმოებდა დიდხანს. კანიკულები–არდადეგები იყო სააღდგომოდ და საშობაოდ ორ–ორი კვირა, ზაფხულში კი ერთი თვე. კანიკულები სიტყვა გოშიასაგან (კაშკაშა ვარსკვლავს ნიშნავს) წარმოდგება.

საინტერესოა, რომ შუა საუკუნეებში კარგად იცნობდნენ რომაულ ციფრებს:

I – 1; X – 10, C– 100, D – 500 L- 50, XL– 40, LX – 60, LXX - 70, LXXX – 80, XC – 90, CC– 200, CCC– 300, CCCC– 400, DC – 600, DCC – 700, DCCC – 800, CM– 900, M – 1000.

მაგრამ წყაროების დათარიღება აღნიშნულ ეპოქაში თავისებურად ხდებოდა, და ნაკლებად იყენებდნენ მაღალ ციფრებს. მაგალითად 1546 წელს –MDXLVI, ან 1480 წელს– MCDLXXX– ასეთი რომაული ციფრებით არ აღნიშნავდნენ.

ისმის კითხვა – როგორ გამოსახავდნენ მაგ.1485, 1303, 1482, 1523 წლებს რომაული ციფრებით. შუა საუკუნეების წყაროებში ეს თარიღები 1485. 1303., 1482., 1523. წლები იწერებოდა შემდეგნაირად– XIV^{c} iiij ^{XX} V^{o}, XIII^{c} III°, XIV^{c} iiii ^{xx} II°, XV^{C} XXIII ^{O}.

ძალიან ძნელი იქნებოდა ასეთი თარიღების წაკითხვა, თუ არ შემოვიღებდით შემდეგ პირობას ციფრების აღნიშვნისა:

i-უდრის I–ს, ij უდრის–2, iij-3, iiij-4, O-წელს, iiij^{xx-}°80-ს. ასეთი პირობის მიღების შემდეგ შესაძლებელია წაკითხვა მაგალითად 1485 წლის, რომელიც შედეგნაირად იწერებოდა XIV^{c} iiij ^{xx} V°. ასეთი დათარიღება დამახასიათებელ იყო შუა საუკუნეების წყაროებისათვის. საინტერესოა რატომ იყენებდნენ ასეთ ნიშნებს დათარიღების დროს? და რატომ არ იყენებდნენ რომაულ ციფრებს: M-1000, D-500,L-50 და ა. შ. როგორც ჩანს ათეულის ფარგლებში ციფრების წაკითხვა უფრო უადვილდებოდათ, ვიდრე ათასეულის ფარგლებში. თუმცა ასეთი სახის დათარიღებაც არ უნდა ყოფილიყო მთლად მარტივი.

სქოლასტიკა

შუა საუკუნეების მეცნიერებამ მიზნად დაისახა სარწმუნოების დაცვა. შუა საუკუნეების ეპოქაში იდეოლოგიის უმაღლესი ფორმა იყო თეოლოგია ანუ რელიგიური ფილოსოფია. ქრისტიანული ფილოსოფიის ფუძემდებელი იყო ნეტარი ავგუსტინე -(IV–V სს). მისმა თხზულებამ„ღვთის ქალაქის შესახებ" მისცა საწყისი სქოლასტიკის განვითარებას. სქოლასტიკა ეს იყო ყველაზე გავლენიანი მსოფლმხედველობა-"სკოლის მეცნიერება." სქოლასტიკა იყო თავისებური ქრისტიანული მსოფლმხედველობა, რომლის მიზანი იყო თეოლოგიის მეცნიერული გზით დასაბუთება. ქრისტეს მოძღვრება დიდი ხანია ცნობილი იყო სახარების, ბიბლიის, მოციქულთა წერილების მიხედვით, მაგრამ ზოგჯერ ერთი და იგივე დებულება ხშირად სხვადასხვანაირად განიმარტებოდა. საჭირო იყო ერთიანი დებულების ჩამოყალიბება ქრისტიანული მოძღვრების შესახებ.

სქოლასტიკის ძირითადი ნიშანი იყო ძველი ავტორიტეტისადმი თაყვანისცემა. ახალ გამოცდილებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. უმაღლესი ავტორიტეტი იყო საღვთო წიგნები, ბერძენი მეცნიერების თხზულებები, რომელთაც

ფრაგმენტულად იცნობდნენ ევროპის მეცნიერები. ყველაზე დიდი ავტორიტეტი იყო არისტოტელე, ჰიპოკრატე – მედიცინაში.

იმისათვის, რომ მოსწავლეებში ლოგიკური აზროვნება გამოემუშავებინათ უსვამდნენ კითხვებს. კითხვები იყო უაზრო.

მაგ.: ნემსის წვერზე რამდენი ანგელოზი დაეტევა?

შეიძლებოდა თუ არა იესო ქრისტე ქალად გაჩენილიყო?

ჰქონდა თუ არა ადამს ჭიპი?

შეიძლებოდა თუ არა ღმერთს მეტი სცოდნოდა, ვიდრე იცის?

ასეთი კამათით ადამიანი იძენდა ცოდნას ავტორიტეტიდან. სქოლასტიკოსებმა გამოიმუშავეს ლოგიკური აზროვნება. სქოლასტიკა არ იყო მოწყვეტილი ცხოვრებას. სქოლასტიკოსები სვამდნენ ზოგჯერ მნიშვნელოვან ფილოსოფიურ საკითხებს, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. მნიშვნელოვანი იყო საკითხი უნივერსალის შესახებ. სქოლასტიკოსების მიხედვით ბუნებაში რამდენი საგანიც არსებობს იმდენი უნივერსალია. ისინი სვამდნენ საკითხს: ადამიანის ცნება არსებობს თუ არა ადამიანისაგან დამოუკიდებლად, ან ხის ცნება ხის გარეშე. ფილოსოფოსები ამის მიხედვით გაიყვნენ: რეალისტებად და ნომინალისტებად.

რეალისტები იყვნენ არისტოტელეს, პლატონის მიმდევრები. იდეებს აქვთ რეალური მნიშვნელობა. ჯერ უნდა გაჩნდეს იდეა, შემდეგ ხორციელი სახე. რეალისტი იყო იოანე ერიგენა (IX ს) საფრანგეთში შარლ მელოტის (კარლოს დიდის შვილიშვილის) დროს ცხოვრობდა. ასწავლიდა ღვთისმეტყველებასა და ფილოსოფიას ე.წ. სასახლის სკოლაში. ის ფრანგი იყო ეროვნებით. ერიგენა პლატონის მიმდევარია. მას სურს შეარიგოს ქრისტიანობა პლატონის ფილოსოფიასთან. ერიგენას მიხედვით პირველად იყო ღმერთი. ღმერთმა კი ყველაფერი თავისგან შექმნა. ამიტომ ყველაფერი არის

თავდაპირველად შექმნილი იდეისაგან და შემდეგ იქმნება ღმერთი.

ნომინალიზმს საფუძველი ჩაუყარა პარიზელი პროფესორის გიიომ შამპოს თანამედროვემ როსცელინმა. ნომინალისტების აზრით იდეას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, იგი ცარიელი სახელია. ენგელსი ("ისტორიული მატერიალიზმის შესახებ") წერდა: რეალიზმი იდეალიზმის პირველი გამოსახულებაა, ხოლო ნომინალიზმი მატერიალიზმის.

პიერ აბელიარი 1079 – 1142 წწ) იყო ნომინალისტი. იგი ამტკიცებდა, რომ იდეა არ არსებობს საგნის გარეშე. მაგრამ იგი არის გონების პროდუქტი. უნივერსალი არ არის რეალური, მაგრამ არც ცარიელი საგნებია. იგი გამოხატავს ადამიანის აზრის თავისებურებას და ბუნებაში შეესაბამება რაიმე საგანს. აბელიარმა ადამიანის გონებას პირველი როლი მისცა. მისი დებულება: „უნდა შეიცნო იმისთვის, რომ ირწმუნო". რწმენა არის მეორადი. პირველადი არის შეცნობა. ნამდვილი შეცნობის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტება. ავტორიტეტის აზრი ეჭვის ქვეშ უნდა დააყენო და შემდეგ დაიწყო შეცნობა. ეს იყო ავტორიტეტების წინააღმდეგ გალაშქრება.

პიერ აბელიარი დაიბადა ბრეტანში ჩრდ – დას. საფრანგეთის ქ. პალეში. აბელარმა ორჯერ აჯობა კამათში გიიომ შამპოს. ის გახდა ძლიერი სქოლასტი. მისი ლექციების მოსასმენად მოდიოდნენ შორეული ქვეყნებიდან. ფიქრობენ, რომ მისმა აუდიტორიამ საფუძველი ჩაუყარა პარიზის უნივერსიტეტს. მისი მოწაფეები იყვნენ: პეტრე ლომბარდიელი, არნოლდო ბრეშიელი (იტალია), ოტო ფრაიზინგელი (გერმანელი).

სქოლასტიკის პარალელურად ვითარდება მისტიკა, რომლის ფუძემდებელია კლერმონის მონასტრის აბატი ბერნარი (1091–1153 წწ). მისტიკოსები უარყოფდნენ ადამიანის გონების როლს ჭეშმარიტების შეცნობაში. ჭეშმარიტების შეცნობა ხდება რწმენის საშუალებით. აბელიარსა და ბერნარს შორის მოხდა შეტაკება. საბოლოოდ სინქსის კრებამ

აბელიარი მწვალებლად გამოაცხადა. იგი რომში წავიდა, მაგრამ გზაში დაავადდა და გარდაიცვალა.

სქოლასტიკამ უდიდეს აყვავებას მიაღწია XIII საუკუნეში. უპირველესად ეს არის საქალაქო ცხოვრების გაფურჩქვნა, რაც განაპირობებდა მეცნიერების განვითარებას. გაჩნდა ახალი თარგმანები არისტოტელეს და სხვა ბერძენი ავტორების.

XII საუკუნეში ესპანეთში არაბულიდან ითარგმნა ბერძენი მეცნიერების თხზულებები. ბერძნული ენა შესანიშნავად იცოდნენ არაბულ სამყაროში, რასაც ვერ დაიკვეხნიდა ევროპა, სადაც არ იცოდნენ ბერძნული ენა. ესპანეთში ასევე თარგმნეს ლათინურად ბერძენი ავტორები. ეს იყო თარგმანის თარგმანი (ბერძნული არაბულად, არაბულიდან ლათინურად).

მთარგმნელები იყვნენ იოანე სევილიელი და დომინიკე გუნბისალდა. მთავარ ცენტრს სქოლისტიკისა წარმოადგენდა პარიზის უნივერსიტეტი. აქ მოღვაწეობდნენ ორი ცნობილი სქოლასტი: დომინიკელი ბერი ალბერტი და თომასი.

ალბერტი დაიბადა შვაბიაში (1193–1280 წწ), ეროვნებით გერმანელი იყო. ბუნდოვნად ვიცით მის შესახებ. ის იყო საეკლესიო მწერალი და გამოჩენილი პროფესორი, ლექციებს კითხულობდა პარიზის, კიოლნის უნივერსიტეტებში. ალბერტს შეარქვეს „მაგნუს" დიდი. იგი წერდა და კითხულობდა ლექციებს: თეოლოგიაში, ფილოსოფიაში, ლიტერატურაში, ბუნებისმეტყველებაში. ე. ი. მისი განათლების დიაპაზონი დიდი იყო. მის კალამს ეკუთვნის მრავალი თხზულება, რომლის კრებული XVII საუკუნეში გამოქვეყნდა და მან 21 ფოლიანტი შეადგინა. თავის თხზულებაში იგი ერთმანეთს ადარებს არაბულიდან და რომაულიდან თარგმნილ ნაწყვეტებს. მას აქვს ასეთი თხზულება „ბალახთა, ცხოველთა და ქვათა თვისებების შესახებ", რომელიც მრავლისმომცველი თხზულებაა.

ალბერტი უტოპიური სქოლასტიკოსია და იზიარებს იმას, რომ პირველადია რელიგია, რწმენა, მეორადია მეცნიერება. მეცნიერება უნდა განამტკიცებდეს რწმენას, უნდა მისწვდეს რწმენას. ცოდნა იძლევა საშუალებას უკეთ შევიძინოთ რწმენა.

ამავე დროს ანტიკური მწერლების თხზულების შესწავლის საფუძველზე მან ისეთი დასკვნებიც გააკეთა, რაც ეწინააღმდეგებოდა იმ დროს გაბატონებულ აზრებს. ასე მაგალითად მიღებული იყო, რომ დედამიწა მიაჩნდათ სიბრტყედ. ალბერტ მაგნუსი ამტკიცებდა, რომ დედამიწას აქვს ბურთისებური ფორმა. ალბერტი იზიარებდა არისტოტელეს აზრს დედამიწის სიმრგვალის შესახებ.

მაგნუსს მრავალი მოწაფე ჰყავდა, მათ შორის იყო **თომა აქვინელი**-ცნობილი იტალიელი მეცნიერი (1225–1274 წწ). ის იყო გრაფის შვილი, ჰქონდა უზრუნველი ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ დიდგვაროვანთა შვილები არ მიდიოდნენ მეცნიერების გზით, მან მონტე კასინოში დაიწყო, შემდეგ ნეაპოლში, კიოლნში და პარიზში განაგრძო სწავლა. შემდეგ თვითონ კითხულობდა ლექციებს ბოლონიაში, ნეაპოლში, კიოლნში და პარიზში.

იგი კითხულობდა ფილოსოფიას, თეოლოგიას, ბუნებისმეტყველებას და სხვა. მის კალამს ეკუთვნის მრავალი თხზულება, მისი კრებული გამოიცა XVI ს-ის 70-იან წლებში და შეადგენს 17 ფოლიანტს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ენციკლოპედიური თხზულება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მთელ ეპოქას. ეს იყო თეოლოგიური შეჯამება, რომელიც მეცნიერების ყველა დარგს ეხებოდა. მისი მსჯელობა მდგომარეობდა შემდეგში:

1. საკითხის დასმა, რაში მდგომარეობდა ეს საკითხი და იქვე მოჰყავდა იმ მეცნიერთა აზრები,რომელსაც იგი არ ეთანხმებოდა.

2. ციტატი ავტორიტეტიდან: ბიბლიიდან, სახარებიდან, საეკლესიო მწერლებიდან. რას ამბობს ავტორიტეტი?

3. კომენტირება ამ ავტორების.

4. დასკვნა, კომენტირებული ადგილის კრიტიკა და საკუთარი აზრის დამტკიცება.

მაგალითად: შეიქმნა თუ არა კაცი სამოთხეში? იგი ფიქრობდა, რომ არ შეიქმნა. მის ნაშრომს უწოდებენ სქოლასტური თეოლოგიის ენციკლოპედიას. თომა აქვინელი წერს, რომ არის ორგვარი ჭეშმარიტება: შეცნობადი და შეუცნობადი.

შეცნობადია, როცა ადამიანი შესწვდება თავისი გონებით, შეუცნობადია- ისეთი ჭეშმარიტება, რომელიც ზეგონებრივია, რომელსაც ადამიანის გონება ვერ შესწვდება და უნდა ვირწმუნოთ.

მან ასევე ღმერთის არსებობის 5 დასაბუთება მოგვცა:

1. არ არსებობს საგანი მოძრაობის გარეშე. პირველად ღმერთმა მოიყვანა მოძრაობაში.

2. საგნებს ახასიათებს სხვადასხვა სრულყოფა, ე.ი არსებობს უმაღლესი, ზესრულყოფა – ეს არის ღმერთი.

3. ბუნებაში ბატონობს შემთხვევითობა, რომელსაც საფუძვლად აუცილებლობა უდევს, ხოლო ეს აუცილებლობა ღვთის განგებიდან მომდინარეობს.

4. არსებობს საგნების წარმოშობა, განვითარება და სიკვდილი. პირველი გამჩენი, მიზეზი არის ღმერთი.

5. ბუნებაში რაღაც მიზანშეწონილობა არსებობს, ე.ი არსებობს რაღაც უმაღლესი მიზანშეწონილობა, რაც ღმერთიდან მოდის.

აქედან დასკვნა: ღმერთი არის აბსოლუტური გონება, მიზანშეწონილობა და სხვა. ბიბლიის მიხედვით: ღმერთმა შექმნა სამყარო არაფრისგან, ამის დამტკიცება არ შეიძლება, ეს უნდა ვირწმუნოთ. აი ასეთი იყო თომა აქვინელის სქოლასტიკური შეხედულებანი.

XIV საუკუნეში პაპმა იგი წმინდანად გამოაცხადა ამ თხზულებისათვის. მისი მსოფლმხედველობა დღესაც საფუძვლად უდევს კათოლიკური ეკლესიის ფილოსოფიას.

ანტისქოლასტიკური მიმდინარეობა დაიწყო ჰუმანიზმის ხანაში, მაგრამ პირველად იგი XIII საუკუნეში გაჩნდა. ანტისქოლასტიკური მიმდინარეობის საფუძველი გახდა ის აღმოჩენები და გამოგონებები, რომელსაც ამ დროს ჰქონდა ადგილი. მაგ. XIII საუკუნეში ძალიან განვითარდა გეოგრაფიული მეცნიერება, გაჩნდა ხელსაწყოები, რომელთაც შესაძლებელი გახადეს ზღვაზე გაბედული ცურვა. უპირველესად კომპასის გამოგონება, ძალიან დიდი მიღწევა იყო. ასევე გრადუსთა ბადეს გამოგონება, ვინაიდან საფუძველი ჩაეყარა მეცნიერულ კარტოგრაფიას. ამ დროის მოგზაურები გამოჩენილი კარტოგრაფები იყვნენ.

გაჩნდა ახალი ცნობები შორეული ქვეყნების შესახებ. ასეთი იყო XIII ს. მოგზაურების: **პლანო კარპინის და მარკო პოლოს ცნობები.** მარკო პოლო იყო ვენეციელი ვაჭრის შვილი. მამამისმა და ბიძამისმა ადრეც იმოგზაურა დიდი ყაენის სამფლობელოში, 1217 წელს მე-2 მოგზაურობისას თან წაიყვანეს 17 წლის მარკო. ისინი მივიდნენ დიდი ყაენის კარზე (დღევანდელ პეკინში) ხუბილართან ანუ ყუბლუ ყაენთან. დიდმა ყაენმა დააწინაურა და დანიშნა ჩინეთის დიდი ოლქის გამგებელად, იგი 10 წელი განაგებდა ამ ოლქს. ამავე დროს დიპლომატიური და სხვა მიზნით აგზავნიდა მას სხვადასხვა ქვეყნებში. მარკო პოლომ 20 წლამდე დაჰყო დიდი ყაენის კარზე, დიდი სიმდიდრე შეიძინა და უნდოდა სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ ყაენი არ უშვებდა. ბოლოს გაჩნდა ხელსაყრელი საბაბი: ყაენის ქალიშვილი შეპირებული ჰყავდა ირანის მეფისთვის. მარკო პოლო საპატიო მხლებლად გაგზავნეს. ამით მან ისარგებლა და სამშობლოში დაბრუნდა, 1295 წელს აირჩიეს დიდი საბჭოს წევრად. მისი წიგნი სრულიად შემთხვევით გაჩნდა. 1296 წელს მონაწილეობა მიიღო

გენუის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვენეციელები დამარცხდნენ სასტიკად, ტყვეთა შორის გენუელთა ციხეში აღმოჩნდა. აქ თავის მეგობარს, მასავით ტყვეს **პიზელ რუსტიჩანოს** უამბო და მან ჩაწერა ეს თავგადასავალი ფრანგულ ენაზე. ამ წიგნმა დიდი როლი შეასრულა მოგზაურობისადმი ინტერესის გაღვიძებაში. სწორედ ამ დროს მონღოლთა სამეფო დაიშალა და ყურადღება გადაიტანეს სხვა სამყაროზე. XIII საუკუნეში აღმოსავლეთიდან გადმოიტანეს დენთი და გაჩნდა არტილერია, პირველი ზარბაზანი ასნლიანი ომის დროს კრესისთან ბრძოლის დროს გამოიყენეს ინგლისელებმა. ვითარდება მათემატიკა, ფიზიკა-ქიმია, გაჩნდა ასტრონომიული ტაბულები, რომელთა მიხედვით წინასწარ შეიძლებოდა მაგ. მზის დაბნელების და სხვა მოვლენების დადგენა.

სქოლისტიკა ახალი აღმოჩენებიდან განზე რჩებოდა, ხოლო თუ ეს აღმოჩენა ძველ ავტორიტეტებს ეწინააღმდეგებოდა, მას მწვალებლად მიიჩნევდნენ. სქოლისტიკა ბიბლიურის და ანტიკურის წინაშე ქედს იხრიდა. მაგრამ სქოლასტიკის წიაღში ჩაისახა ანტისქოლასტიკური მიმდინარეობა, რომელიც გამოდიოდა კრიტიკით ანტიკური ავტორიტეტების წინაშე. ასეთია **როჯერ ბეკონი** (ინგლისელი) XIII ს. მეცნიერი. როჯერი ცხოვრობდა 1214 -1294 წწ-ში. ის იყო ღატაკი ოჯახიდან. ჯერ სწავლობდა ოქსფორდის უნივერსიტეტში, სადაც შეისწავლა არისტოტელე. შემდეგ სწავლა განაგრძო პარიზში. აქ სწავლობდა ალბერტ მაგნუსის და თომა აქვინელის ხელმძღვანელობით. მან შექმნა პატარა ლაბორატორია, რომელიც დანტემ ჯოჯოხეთის VII წრეში მოათავსა. ბეკონმა გამოაქვეყნა რამდენიმე ნაშრომი. ის შედგა ბერად. აირჩია ფრანცისკანული ორდენი. ამით მან უზრუნველყო თავისი მატერიალური ცხოვრება, სამაგიეროდ მას უჭირს მეცნიერული მოღვაწეობა. პაპს კლიმენტ IV-ს მან მოუძღვნა თხზულება „დიდი თხზულება." მისი გადაწერა დიდი თანხა ჯდებოდა. მეგობრებმა შეკრიბეს მისთვის თანხა. ეს არის

ენციკლოპედიური თხზულება. მასში გადაწყვეტილია მრავალი პრობლემა. მოიცავს მეცნიერების ყველა დარგს. თავისი მიმართულებით იგი არის ანტისქოლასტიკური და შედგება 4 ნაწილისგან:

1.გრამატიკა

2.მათემატიკა

3.გეოგრაფია – ქრონოლოგია, არითმეტიკა, კლიმატოლოგია, ასტროლოგია.

4.ოპტიკა.

გრამატიკაში მისი აზრით ანტიკური ავტორების ტექსტის სწორად გაგებას აქვს დიდი მნიშვნელობა.

საჭიროა ტექსტის გაწმენდა იმ შეცდომებისაგან, რომელსაც უშვებდნენ გადამწერნი. მან დასვა საკითხი ფილოლოგიური კრიტიკის შესახებ. მან პირველმა დასვა საკითხი ძველი ბერძნული და ძველი ებრაული ენის შესწავლის აუცილებლობის შესახებ. იგი ჰუმანისტების წინამორბედია.

მათემატიკას მაშინ სხვა მნიშვნელობით ხმარობდნენ. მათემატიკა ეწოდებოდა ყველა საბუნებისმეტყველო მეცნიერებას. მის შესწავლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბეკონი. მათემატიკას მისი აზრით შეცდომით თვლიან და საეჭვოდ, რადგან იგი ეკლესიის მამებისათვის უცნობი იყო. მან წინასწარ განჭვრიტა უდიდესი აღმოჩენები. იგი ფიქრობდა მათემატიკის განვითარება ხელს შეუწყობდა წყლის, სახმელეთო, საჰაერო ძრავების აღმოჩენას. ეს უდიდესი წინასწარმეტყველება იყო. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი გეოგრაფიას. აქ დასვა საკითხი გეოგრაფიული გარემოს ზეგავლენის შესახებ. ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ოპტიკას. მას აინტერესებდა დიდი და პატარა შუშების აგებულება, თვალის აგებულება. მან იწინასწარმეტყველა ტელესკოპი. იგი გალილეიმ გამოიგონა. ბეკონის აზრით შუშით პატარა სხეულები დიდად მოგვეჩვენება და წავიკითხავთ წვრილად დაწერილ წარწერებს, დავათვალიერებთ ვარსკვლავებს, უჩინარს

გავხდით ხილულად. ეს უყო მიკროსკოპის წინასწარმეტყველება. ერთი მეცნიერების განვითარება გავლენას ახდენს სხვა მეცნიერებაზე. ბეკონი იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც მაგნიტი შეიცნო. ეს მას ჯადოქრობად ჩაუთვალეს და ჩასვეს საპყრობილეში. მიხრწნილი გამოუშვეს იქედან. სულ მალე გარდაიცვალა. ასე დაიღუპა უვიცებთან ბრძოლაში ბეკონი.

მან პირველმა დასვა საკითხი სქოლასტური მეთოდის უარყოფის შესახებ. არსებობს ჭეშმარიტების 3 წყარო.

1. ავტორიტეტი
2. გონება
3. ცდა

ავტორიტეტის დებულება ყოველთვის უნდა შემოწმდეს. მართალია, პატივი უნდა ვცეთ ავტორიტეტს, მაგ. არისტოტელეს. შეცნობადია ის რასაც არა აქვს გონიერი საფუძველი. ავტორიტეტის უკრიტიკოდ მიღება დაუშვებელია. მაგრამ მარტო გონებით შეცნობა არ კმარა, საჭიროა ცდა. მაგ. ცეცხლი. ავტორიტეტი გვეუბნება ცეცხლი წვავს. მაგრამ სანამ ხელს არ შევახებთ, ან ნავთს არ ჩავაგდებთ ვერ გავიგებთ რომ ის წვავს.

როჯერ ბეკონი გატაცებული იყო ყალბი მეცნიერებითაც. **ასტროლოგიით, ალქიმიით და მაგიით.**

ასტროლოგია – ბედის მრიცხაობაა. მნათობები და ცთომილები გავლენას ახდენენ დედამიწაზე. ზღვის მოქცევა დამოკიდებული იყო მთვარეზე. მთვარეულობა გავლენას ახდენს ადამიანის ბედზე, მნათობი – ვარსკვლავი, ცთომილი – პლანეტა. საჭიროა ვიპოვოთ ადამიანის ბედის ვარსკვლავი. ჰოროსკოპებს ადგენენ, რითაც გამოიცნობდნენ რა მოელოდა ადამიანს. ასტროლოგია საყოველთაოდ იყო გავრცელებული.

ალქიმია – არაბულად ნიშნავს ქიმიას. შეიძლებოდა ძვირფასი ლითონის მიღება. ევროპას ოქროს დიდი ნაკლე-

ბობა ჰქონდა. ალქიმია მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში იყო გავრცელებული. როჯერ ბეკონი განთქმული ალქიმისტი იყო. რეცეპტებს ადგენდა, რითაც ლითონისაგან ღებულობდა ოქროს.

მაგია ეს არის მოძღვრება სხვადასხვა ცხოველთა და ბალახთა ჯადოსნური თვისებების შესახებ, რომელიც ადამიანმა შიძლება გამოიყენოს თავის სასარგებლოდ.

ქართული სქოლასტიკა

საქართველოში სქოლასტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო ეფრემ მცირე. ის იყო შესანიშნავი მეცნიერი. მისი განსწავლულობა განსაკუთრებით გამოვლინდა მთარგმნელობით საქმიანობაში. მან შექმნა საკუთარი თეორია, რომელიც საფუძვლად დაედო შემდგომი დროის ქართულ მთარგმნელობას. მისი აზრით მთარგმნელს უნდა ახსოვდეს თვისება ქართული და ბერძნული ენისა და იმას კი არ უნდა ზრუნავდეს, რომ სიტყვა-სიტყვით გადმოიღოს დედანი, მაშინ თარგმანი უხეში და ულაზათო გამოვა, არამედ იმას, რათა სიტყვა დაახლოებული იყოს დედანთან.

მან ბერძნულიდან თარგმნა იოანე დამასკელის „წყაროი ცოდნისაი", რომელსაც თავისი კომენტარ-განმარტებანი დაურთო.

ეფრემ მცირეს შესახებ ბიოგრაფიული ცნობები ნაკლებად არის შემონახული, არც მისი დაბადებისა და გარდაცვალების წლებია ზუსტად ცნობილი. ვიცით, რომ მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა და ძირითადად ანტიოქიის მახლობლად, შავ მთაზე მოღვაწეობდა.

განსაკუთრებით დიდია ეფრემ მცირეს დამსახურება ქართული ფილოსოფიური ენისა და ტერმინოლოგიის განვითარების საქმეში. მან შემოიღო ტერმინები: არსება (არსება), რაოდენობაი (რაოდენობრიობა), ვითარება (თვისობრიობა), რაისამიმართობაი (დრო), სადაობა (სივრცე), ოდესობა (მი-

მართება), მდებარეობა (მდგომარეობა), ქონება (ქონება), ქმნა (მოქმედება), ვნება (ვნება).ეფრემ მცირეს აზრით, არსება და ბუნება ერთ არსს, მყოფობა-ყოფიერება. ე.ი. ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში შემოიტანა ფილოსოფიური ტერმინები, რომელნიც დღესაც მისაღებია.

მეორე ქართველი სქოლასტიკოსი იყო იოანე პეტრიწი, რომელმაც ევროპელ მოაზროვნეებზე გაცილებით ადრე დაარღვია სქოლასტიკის ტრადიცია და ძველი ბერძენი ფილოსოფოსების, კერძოდ არისტოტელესა და პროკლეს ნაშრომები უშუალოდ დედნებიდან თარგმნა და ხმარებაში შემოიტანა.

იოანე პეტრიწის სახელთან არის დაკავშირებული ანალოგიის პრინციპის შემოღება ფილოსოფიაში. ანალოგიის მეთოდი დიალექტიკური აზროვნების თავისებური გამოვლენაა, რითაც ვადგენთ საგანთა და მოვლენათა შორის მსგავსებასა და განსხვავებას.

პეტრიწის კომენტარებში ერთ-ერთი მთავარი ანალოგიაა ერთის (ღმერთის) შედარება მზესთან. ღმერთი და ღვთაებრივი არსებანი ისეთივე მიმართებაშია ღმერთთან, როგორც მზე გრძნობად საგნებთან -ამბობს პეტრიწი.

შუა საუკუნეების ფილოსოფიაში ანალოგიის მეთოდის ძირითადი დანიშნულება იყო ერთის, ღმერთის გასაგებად მისი გამოყენება. მას უნდა მიეცა განსაზღვრება მიზეზის, მსგავსების, განსხვავების და სხვა კატეგორიებისათვის, რათა შენარჩუნებულიყო სამყაროსა და ღმერთის კავშირი და ამავე დროს მათი პრინციპული განსხვავება.

მისი აზრით, სამყაროში ყოველგვარი კავშირი და კანონზომიერება ღმერთისგან მოდის. სამყაროს წყარო, საწყისი არის ღმერთი. პეტრიწი გონებას უწოდებს სულის ფრთებს, რომელსაც იგი კვლავ შეიძენს შემეცნებითა და სათნოებით. მისი განმარტებით გონება, შემეცნება ცოდნის შეძენის წყაროა.

თავი მეორე

რენესანსი და ჰუმანიზმი

XIV ს-ის იტალიის ქალაქებში ჩაისახა ახალი, ბურჟუაზიული ხასიათის კულტურა. ეს ახალი კულტურა ცნობილია ორი სახელწოდებით: რენესანსი-აღორძინება და ჰუმანიზმი. რენესანსი ფრანგულ სიტყვაა, ჰუმანიზმი ლათინური. რენესანსი და ჰუმანიზმი ადეკვატური ტერმინებია. ორივე აღნიშნავს კულტურის აღორძინებას. ამ ორ ტერმინს შორის არსებობს განსხვავება. **რენესანსი** არის ფართო ცნება. იგი მოიცავს ხელოვნების ყველა დარგის აღორძინებას: სოციალური, ბუნებისმეტყველება, მათემატიკა, ლიტერატურა, მსოფლმხედველობა, ფილოსოფია, პედაგოგიკა. **ჰუმანიზმი** კი ზოგიერთი დარგის აღორძინებას გულისხმობს. მასში შედის: სოციალური მეცნიერებანი, მსოფლმხედველობა, ფილოსოფია, პედაგოგიკა. არ შედის ზუსტი მეცნიერებანი, საბუნებისმეტყველო, ხელოვნების დარგები. ჰუმანიზმი შემოიტანეს XVI საუკუნის გერმანელმა მეცნიერებმა. მასში იგულისხმება დიდი ინტერესი ადამიანის მიმართ. არსებობს ორგვარი მეცნიერება:

1.Studia divina- ღვთის შემსწავლელი მეცნიერება-სქოლასტიკა.

2.Studia humana-ადამიანის შემსწავლელი მეცნიერება-ჰუმანიზმი.

ჰუმანიზმს სხვანაირად ადამიანთმეცნიერებას უწოდებენ. ჰუმანიზმი რენესანსული კულტურის იდეოლოგიური საფუძველი გახდა, განვითარების რამდენიმე სტადიას მოითვლიდა იტალიის მაგალითზე, რომელიც ხსენებული კულტურის კლასიკური ქვეყანაა. განვითარების პერიოდები შემდეგნაირად გამოიყოფოდა:

1. გარდამავალი პერიოდი ანუ პროტორენესანსი, რომლის კლასიკური წარმომადგენელი დანტე ალიგიერი იყო (XIV-XV სს)

2. მაღალი აღორძინება ანუ ჩიკვეჩენტო (XV ს–ის მიწურული და XVI ს–ის პირველი მესამედი).

3. გვიანი ანუ ტრიჩენტო (XVI ს–ის მეორე მესამედი–XVI ს–ის მიწურული.

XIV ს-ში ახალმა ბაზისმა, რომელიც წარმოიშვა იტალიაში, განაპირობა ახალი იდეოლოგიის რენესანსის წარმოშობა. შემდეგში კი დაიწყო იტალიის დაცემა. სავაჭრო გზებმა გადაინაცვლეს დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ ოკეანეებზე და ამიტომ დაწინაურება მოხდა იმ ქვეყნების, რომლებიც ოკეანეებზე გადიოდა: ესპანეთი, პორტუგალია, საფრანგეთი, ინგლისი და ჰოლანდია.

რატომ წარმოიშვა რენესანსი იტალიაში?

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით პროფ. გივი ჟორდანიას მოსაზრებას ამ საკითხთან დაკავშირებით. მისი აზრით რენესანსის წარმოშობის მიზეზი იტალიაში მდგომარეობდა შემდეგში: იტალიაში ყველაზე ადრე დაიწყო ბაზისის განვითარება, კერძოდ კაპიტალისტური ურთიერთობა იწყებს განვითარებას XIII საუკუნეში. სავაჭრო, სამრეწველო და საბანკო კაპიტალიზმი განვითარდა იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებში: ვენეციაში, ფლორენციაში, გენუაში. იტალია აღსავსე იყო ანტიკური კულტურის ძეგლებით, ტრადიციით. იტალია აკვანი იყო რომის სახელმწიფოს და რომაული კულტურის. იტალია შედგებოდა პატარ-პატარა ქალაქ-რესპუბლიკებისა და ტირანებისაგან, რაც მოგვაგონებს ანტიკურის პოლიტიკურ წყობას. იტალიაში რენესანსის კულტურას ჰყავდა მფარველები, როგორიც იყვნენ: სფორცას, მედიჩების გვარი. სახელმწიფო არ იყო ძლიერი და ვერ უწევდა კულტურას მფარველობას, ამიტომ კერძო მეცენატეობას ჰქონდა ადგი-

ლი.ყოველივე ზემოთქმულმა განაპირობა რენესანსის ჩასახვა და განვითარება სწორედ იტალიაში.

ახალ კულტურას- რენესანსს ახასიათებდა თავისი ნიშნები:

1.ანტიკური კულტურის აღორძინება

დაიწყო ლათინური ენის აღორძინება. წარმოიშვა ახალი ლათინური, რომელიც ახლოს იდგა კლასიკურ ლათინურთან. პეტრარკას მიხედვით, ლათინური კულტურის აღორძინებას ფესვები აქვს ბერძნულ კულტურაში. მან ვერ შეისწავლა ბერძნული. პირველი ვინც ბერძნული ისწავლა იყო ჯოვანი ბოკაჩო. მან დაიწყო ბერძნული ხელოვნებათმცოდნეობის შესწავლა. მას იზიდავდა ქალაქი ათენი.

XV ს-ში აღორძინდა ყველა ლათინური ავტორების ნაწარმოებები, ხოლო XVI ს-ში ბერძნულის. ასევე ამავე პერიოდში, ძველი ებრაული ენის ანუ ბიბლიის აღორძინებაც იწყება. ისახება ჰებრაიზმი- მეცნიერება ებრაული ენის შესწავლის შესახებ. ერთი სიტყვით, აღორძინებას იწყებს ლათინური, ბერძნული და ებრაული კულტურა.

ასევე დაიწყო სკულპტურის, არქიტექტურის ახალი სტილის შემუშავება, ძეგლების აღწერა. ისახება ხელოვნებათმცოდნეობა. ეს ჰუმანიზმის განვითარების შედეგია. დაიწყეს გათხრები, რომ მიწიდან ამოეღოთ ძველი ძეგლები. ჩაისახა წერაქვის მეცნიერება ანუ არქეოლოგია.

2. რაციონალიზმი

რაციო ლათინური სიტყვაა და გონებას ნიშნავს. რაციონალიზმის პრინციპი ჰუმანისტებს პირველებს არ წამოუყენებიათ. ჯერ კიდევ ადრე, სქოლასტიკოსმა პიერ აბელიარმა გამოხატა რაციონალური აზრები. მისი აზრით ჯერ უნდა ირწმუნო, რომ შეიცნო. ხოლო როჯერ ბეკონის მიხედვით არ შეიძლებოდა რაიმე დებულების უკრიტიკოდ მიღება.

ფეოდალურ საზოგადოებაში ფეოდალი ტრადიციულად ცხოვრობდა. ის არ აფასებდა დროს. ფული როცა გამოელეოდა, აწყობდა ლაშქრობებს, რათა ამ გზით მოეპოვებინა ის. ფეოდალის მამულში არავითარი ანგარიშიანობა არ არსებობდა. ხოლო –კაპიტალისტური მეურნეობა თავიდანვე ანგარიშიანობას ემყარებოდა. უფრო მეტი ფასი მიეცა დროს. გაჩნდა საკოშკო საათები. საათის ზარის მოსმენა ეს იყო რევოლუცია ადამიანის მსოფლმხედველობაში. რაციონალიზმის პრინციპმა დააჩქარა ხელოსნობის განვითარება. სკულპტურაში დაანგარიშების პრინციპი იმარჯვებს. ლეონარდო და ვინჩი მათემატიკოსიც იყო. ბუნების კანონების ახსნა ხდებოდა რაციონალური პრინციპით. მეცნიერება თავისუფლდებოდა ღვთაებრიობისაგან. რაციონალური პრინციპი უარყოფდა ავტორიტეტების გაღმერთებას. რაციონალისტები უმთავრესად იყვნენ იდეალისტები. მათი კრიტიკა არ მისულა ათეიზმამდე. ავტორიტეტების კრიტიკამ ხელი შეუწყო კოსმოგრაფიის განვითარებას. ჯორდანო ბრუნომ, გალილეო გალილეიმ განავითარეს კოპერნიკის სისტემა.

3.რეალიზმი

ხელოვნებაში, ლიტერატურაში ბატონობდა პირობითობა და სიმბოლიზმი, არარეალისტური გამოსახვა. ჰუმანისტებმა საფუძველი ჩაუყარეს რეალიზმს ლიტერატურასა და ხელოვნებაში. რეალისტურად აღწერდნენ ამბებს, რეალიზმის პრინციპებს ექვემდებარებოდა პეტრარკას შემოქმედება, ბოკაჩოს „დეკამერონი". თუ მანამდე ბუნებას არავითარი მნიშვნელობა არ ეძლეოდა ლიტერატურულ თხზულებაში, ეხლა ის აისახებოდა რეალურად. XV ს-ის მხატვარი ჯოტო მთებს არარეალურად ხატავდა, გამოსახავდა კენჭებს. შემდეგში მხატვრები იცავდნენ რეალისტურ პრინციპს. ხატავდნენ წინა და უკანა ხედს, სიდიდეს და იცავდნენ პროპორციას. ლეონარდო და ვინჩი გვამების გაკვეთასაც კი ახდენდა,

რომ დაეცვა პროპორციები. ვითარდებოდა ადამიანის ანატომია. ხატავდნენ შიშველ ადამიანებს რეალისტურად. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადამიანის გამომეტყველებას. რაფაელი, ლეონარდო და ვინჩი, ტიციანი ხატავდნენ პორტრეტებს. მეფეები ითხოვდნენ, რომ დაეხატათ მათი პორტრეტები, ასე მაგ. ესპანეთის მეფეს ფილიპე მეორეს რამდენიმე პორტრეტი ჰქონდა. გაჩნდა პეიზაჟის ჟანრი. იტალიელი პოეტი პეტრარკა სორგოს ნაპირიდან ადიოდა მაღალ მთაზე, რომ დამტკბარიყო ბუნების სილამაზით. დანტე ალიგიერი დიდ ყურადღებას ანიჭებდა ბუნების სილამაზეს. ის თავის "ღვთაებრივ კომედიაში", ჯოჯოხეთში და სალხინებელში აღწერს ბუნების სილამაზეს.

4.ინდივიდუალიზმი

შუა საუკუნეების ფეოდალიზმის ხანაში ბატონობდა წარმომავლობის, წოდებრიობის პრინციპი. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კი მთავარი გახდა ადამიანის პირადი ღირსება. ჰუმანისტებმა წამოაყენეს ადამიანის კეთილშობილების პრინციპი. ბურჟუაზიულმა სამყარომ დაინახა ადამიანის პირადი თვისებები. ფლორენციელი ჰუმანისტი პოჯო ბრაჩოლინი მიიჩნევდა, რომ ადამიანს კეთილშობილებას ანიჭებს არა წარმომავლობა, არამედ მისი პირადი თვისებები. ფრანსუა რაბლეს მიხედვით ადამიანის უკვდავება არის ის, როცა მისი სახელი რჩება. ჰუმანისტებს სძულდათ ასკეტიზმი. მათი აზრით ადამიანი ბუნებრივი უნდა იყოს. ჰუმანისტები ფეოდალურ არისტოკრატიას უპირისპირებდნენ ბურჟუაზიულს. ისინი ხალხის მასას სიმპათიით არ ახასიათებენ. მათი აზრით ისინი არ იყვნენ დემოკრატები. ლეონარდო ბრუნი ჩომპის აჯანყებაში ხედავდა ბრბოს უჭკუო მოქმედებას. ერთ-ერთი ჰუმანისტი სამართლიანად წერდა, რომ „უსასრულოდ ყველას მოტყუება არ შეიძლება".

5.ეროვნული გრძნობის ჩასახვა

ფეოდალური საზოგადოების დროს არ არსებობდა ეროვნული გრძნობა. გაბატონებული თავადაზნაურული ფენა ყველაზე მაღლა აყენებდა წოდებრიობას. ისმის კითხვა რატომ ჩაისახა ეროვნული გრძნობა ბურჟუაზიული წყობილების დროს? ეს განპირობებული უნდა ყოფილიყო თვით ბურჟუაზიული წყობილების მდგომარეობით. ბურჟუაზიას ესაჭიროებოდა ქვეყნის გაერთიანება, უსაფრთხოება, ერთიანი ფული, ერთიანი კანონმდებლობა. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მტკიცე საფუძველი მიიღო ეროვნულმა გრძნობამ. ეს გამოიხატებოდა ორ რამეში:

1.ქვეყნის გაერთიანება.

2. ეროვნული ენა.

ჰუმანისტების მიხედვით ენა უნდა ყოფილიყო ხალხის მთავარი საუნჯე. მათ კარგად იცოდნენ ლათინური ენა, მაგრამ ამავე დროს საფუძველი ჩაუყარეს იტალიურ ლიტერატურულ ენას და ამ მიზნით გამოიყენეს ფლორენციული დიალექტი. ფრანგული ლიტერატურული ენის ფუძემდებელია ფრანსუა რაბლე, ინგლისური ენის-ჯეფრი ჩოსერი, თომას მორი და უილიამ შექსპირი, ესპანური ლიტერატურული ენის–მიქელ სერვანტესი. გერმანიაში და ნიდერლანდებში გარკვეული ისტორიული პირობების გამო არ შეიქმნა ლიტერატურული ენა. გერმანელი ჰუმანისტები: როიხლინი, ჰუტენი ვერ შეიქნენ ლიტერატურული ენის ფუძემდებლები. ეს როლი გერმანიაში რეფორმატორმა მარტინ ლუთერმა შეასრულა.

დანტე ალიგიერი (1265-1321 წწ)

დანტე იყო შორეული ჩამომავალი კაჩაგ ვინას, რომელიც მოიხსენიება XII საუკუნეში. 1147 წელს კაჩაგ ვინას მონაწილეობა მიუღია III ჯვაროსნულ ლაშქრობაში და კონრად მესამეს „რომის საღმრთო იმპერატორს" იგი უკურთხებია

რაინდად. დანტეს ოჯახი აზნაურული წარმოშობის ყოფილა. ის დაიბადა ფლორენციაში. 1296 წელს დაქორწინდა ჯემა დონატაზე. ამ ქალისაგან დანტეს ჰყავდა რამოდენიმე შვილი. უფროსი ვაჟები-პიეტრო და ჯაკოპო, მე-7 შეეძინათ ასული ბიატრიჩა. დანტე ეტრფოდა ქალს,სახელად ბიატრიჩას. ბიატრიჩა ნიშნავს ნეტარს. ის იყო ფოლკოპონტინარის ასული. 1289 წელს ბიატრიჩას მან უძღვნა „ახალი ცხოვრება". 1310 წელს კი დაწერა „ღვთაებრივი კომედია".

დანტე ჯერ იყო გველფი- პაპის მომხრე. მოგვიანებით გახდა თეთრი გველფი. 1295 წელს კი გველფები ორ ნაწილად დაიყო:

1. თეთრები (ზომიერები), რომლებიც გიბელინებთან შეთანხმებას მოითხოვდნენ

2.შავები, რომლებიც შეურიგებლად იყვნენ განწყობილი გიბელინების მიმართ- დონატი.

1302 წლის 27 იანვარს დანტეს და მის ამხანაგს მიესაჯა სამშობლოდან გადასახლება. ასე დაიწყო მისი ცხოვრება უცხოეთში.1316 წელს გამოაქვეყნეს ამნისტია. ყველა დაბრუნდა ციხიდან. დანტე არ დაბრუნდა გადასახლებიდან. ის არ გაუთანაბრდა ქურდებს, მკვლელებს. ტარდებოდა დამამცირებელი ცერემონიალი გადასახლებულების. ეს კი არ იკადრა დანტემ.

1316 წელს ის დასახლდა რავენაში, რომელსაც განაგებდა ტირანი ვიდე ნოველო დაპოლენტა, რომელმაც ის კარგად მიიღო. ემიგრაციის წლებში ის გიბელინებს დაუახლოვდა და მათი აზრები გაიზიარა. ყოფილი გველფი (ზომიერი) გახდა გიბელინი-იმპერატორის მომხრე. მან 1310 წელს მოაწყო ლაშქრობა იტალიაში. 1313 წელს გარდაიცვალა იმპერატორი, რამაც დანტე სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ჰაინრიხ ლუქსემბურგელზე ის დიდ იმედებს ამყარებდა. ეხლა მას დაეუფლა უიმედობა. თავისი პოლიტიკური შეხედულებანი მან გამოსცა თხზულებაში „დე მონარქიაში", ის აიდეალებდა

რომის „საღმრთო იმპერიას". იმპერიაში ხედავდა იტალიის გამაერთიანებელს. თხზულებაში ის უბრუნდება საკითხს საერო და სასულიერო წოდების ურთიერთობის შესახებ. რომის პაპი ინოკენტ III ქადაგებდა, რომ როგორც მთვარე ღებულობს ბრწყინვალებას მზისაგან, ასევე იმპერატორის ხელისუფლება სამღვდელოებისაგან. დანტე კი მიიჩნევდა: მართალია მთვარე იღებს ბრწყინვალებას, მაგრამ ის არ არის შექმნილი მზისაგან. მზე და მთვარე შექმნილია ღმერთისაგან. დანტე ალიგიერმა „ღვთაებრივი კომედია" ემიგრაციაში ყოფნის დროს დაწერა. კომედია მაშინ ესმოდათ სხვანაირად. დანტეს განმარტებით კომედია არის საშუალო სტილის პოეტური თხზულება, რომელსაც აქვს შემზარავი საწყისი და კარგი დასასრული, რომელიც დაწერილია ხალხურ ენაზე. ტრაგედია არის მაღალი სტილის პოეტური თხზულება, რომელიც მშვიდად იწყება და აქვს საშინელი დასასრული.

"ღვთაებრივი კომედია" არის პოეტური ზმანება, რომელიც აღწერს ჯოჯოხეთს (აქ არიან ცოდვილნი, რომელთაც არ მიუღიათ შენდობა), სალხინებელს, (სადაც არის ისეთი სულები, რომელთაც აქვთ ცოდვები, მაგრამ მათი განწმენდა შეიძლება) და ბოლოს სამოთხეს (სადაც მართალნი, განწმენდილნი სულები განისვენებენ). „ღვთაებრივი კომედია" დაწერილია ლამაზი, იტალიური ენით. დანტემ თავის წიგნს უწოდა მხოლოდ კომედია. სიტყვა დივინა (ღვთაებრივი) დაუმატეს XVI საუკუნეში. პოემა სიუჟეტურად წარმოადგენს ზმანებას, როცა მან მოიარა იმქვეყნიური სამყარო: ჯოჯოხეთი, სადაც გამოუსწორებელი ცოდვილებია, სალხინებელი, სადაც ცოდვილთა სულების განწმენდა ხდებოდა. სამოთხე, სადაც მუდმივი ნეტარებაა. ჯოჯოხეთში და სალხინებელში გზამკვლევი იყო ვერგილიუსი. ის იყო ენეიდას ავტორი, რომელიც გონიერების გამოხატულებას წარმოადგენდა. სამოთხეში კი გზამკვლევი იყო ბიატრიჩა– დანტეს სატრფო.

ღვთაებრივი კომედია დაწერილია ტოსკანური კილოთი. მომდევნო მწერლები: პეტრარკა, ბოკაჩო წერდნენ ტოსკანურ კილოზე. ამიტომ ეს კილო იქცა იტალიური ენის საფუძვლად. აჩრდილებს შორის, რომელიც დაკბენილია იყო პაპი ცელესტინ V, რომელიც იყო ბონიფაციუს VIII-ის წინ. ის აირჩიეს 1294 წელს. მაგრამ სულ მალე კარდინალმა გაეტანიმ, მომავალმა ბონიფაციუს VIII-მ, პაპს შუადღის ლოცვისას სპეციალური ხვრელიდან ჩასძახა: პაპის ტახტზე უარი თქვიო. პაპს ეს ზეციდან მონაწვდენი ხმა ეგონა, გაბრიყვდა და მეორე დღესვე უარი თქვა პაპის ტახტზე. ეს უნდოდა გაეტანს, იგი გხდა პაპი.

ჯოჯოხეთი ორი ნაწილისაგან შედგებოდა I-V წრეში ისჯებოდა ნაკლებ ცოდვილნი. VI-IX წრეში -ყველაზე დიდი ცოდვილები. სამი მდინარე ჩაუდიოდა: აქერონი, სტიქსი, ფლეგეტონი. აქერონი-წუხილის მდინარე იყო, სტიქსი- სიძულვილის, ფლეგეტონი- მცხუნვარების.

პირველად მიადგებიან აქერონს. გენიოსთა შორის დასახელებულია 4 პოეტი, მე-5 პოეტი- ვერგილიუსი, მე-6 დანტე. ის მიიღეს გენიოსთა შორის. გამოდის, რომ დანტე დიდი წარმოდგენისა იყო თავის თავზე.

I წრეში დანტეს მოთავსებული ჰყავს ყველა ანტიკური მწერალი, არა იმიტომ, რომ არ უყვარდა, არამედ იმიტომ, რომ ისინი წარმართები იყვნენ.

II წრე უფრო ვიწროა, წუხილი უფრო დიდია. აქ არის გრიგალი, ქარი, რომელიც დააქროლებს მიცვალებულთა სულებს. მინოსი-ანტიკური მითოლიგიის გმირი აქ იმყოფებოდა. დანტეს მიხედვით, აქ იმყოფება ყველა ის პიროვნება, რომელიც უკანონო სიყვარულს შეუპყრია.

III წრეში არის განუწყვეტელი წვიმა.აქ არის ცერბერი-სამთავა ძაღლი, რომელიც აიდის სამეფოს დარაჯობდა. დანტე ანტიკურ სიუჟეტებს ასხვაფერებს, გამოყავს, როგორც ეშმაკი. მაგ.ჩაკო-ღორი (დეკამერონში), ღორმუცელა

ვინმე იყო, რომლის მსგავსი არავინ დაბადებულა. ის დადიოდა შეძლებულებთან სადილ- ვახშმად.

IV წრეში შესასვლელს დარაჯობს პლუტოსი. იტანჯებიან: ძუნწები, მფლანგველები. ერთმანეთს აწყდებიან ცოდვილები, უდიდეს სიმძიმეებს ესვრიან ერთმანეთს. ძუნწებში მოხსენიებულია: თავტიტველი პაპები და კარდინალები. ისმის კითხვა, რა პრინციპით ჰყოფდა დანტე ალიგიერი ჯოჯოხეთის ზედა ნაწილს ქვედასაგან? მისი აზრით, ზედაში არის ნაკლებ ცოდვილები, ისინი ვინც აფექტის მდგომარეობაში ჩაიდინა ბოროტი საქციელი. ქვედაში კი ისეთი პირები, რომელთაც გულით ჩაიდინეს ბოროტება.

VI წრეში არის მარადიული ცეცხლი. აქ იხილეს ეშმაკები, ფურიები (ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟი). იტანჯებიან მწვალებელნი-ერეტიკოსები. აქ იყო ფარინატა.

1248 წელს გაიმარჯვეს გიბელინებმა. გველფები გააძევეს ფლორენციიდან. მათ შორის დანტეს ოჯახი. ეს გააკეთა ფარინატამ. 1260 წელს მონტაპერტისთან მოხდა ბრძოლა, ფარინატამ გაიმარჯვა, გველფები კვლავ გაყარეს ქვეყნიდან. 1264 წელს ფარინატა გარდაიცვალა. შემდეგ გაიმარჯვეს კვლავ გველფებმა. ფარინატა გამოაცხადეს მწვალებლად.

VII წრეში არის მოძალადენი: ალექსანდრე მაკედონელი, დიონისე, ატილა, ტიროსი.

VIII წრეში არის სხვადასხვა ჯურის ცოდვილნი. აქ იყო 10 ხვრელი:

პირველ ხვრელში მოათავსა მაჭანკლები. აქ იყო იასონი, მედეა რომ შეაცდინა.

მეორეში იყვნენ მლიქვნელები, რომლებიც განავალში ცურავდნენ.

მესამე ხვრელში იყვნენ მკრეხელობისათვის დასჯილები, რომელთაც მოიპარეს საეკლესიო ქონება. დასჯილები თავით არიან ჩაფლული მიწაში. ფეხის ტერფზე ალი ჰქონ-

დათ მოდებული. აქ იყვნენ: ნიკოლოზ მესამე, ბონიფაციუს მერვე და კლიმენტ მეხუთე.

მეოთხე ხვრელში დანტემ მოათავსა ბედის მრიცხველები, მისნები, მკითხავები. მათ თავი შებრუნებული ჰქონდათ ზურგისაკენ და ნელა მოძრაობდნენ.

მეხუთე ხვრელში მოათავსა მექრთამეები. დასჯილები საშინელ ორმოში არიან, სადაც ასხია ადუღებული ფისი. ეშმაკები შოლტით ადგანან თავზე. მხოლოდ ცხვირი აქვთ ამოყოფილი.

მეექვსე ხვრელში იყვნენ პირმოთნენი. აქ მყოფებს წამოსასხამი ჰქონდათ ტყვიის, რომელიც სულ უნდა ეტარებინათ. დანტემ აქ მოათავსა კაიაფა, რომელმაც რომაელებს ურჩია ქრისტეს ჯვარცმა.

მეშვიდე ხვრელში მოაქცია ქურდები. აქ შიშველი ხალხი იყო შხამიან გველებში და კბენდნენ.

მერვე ხველი განკუთვნილი იყო ცბიერი მრჩევლებისათვის. აქ იყო ოდისევსი, დიოგენი. ალები მოძრაობენ. ადამიანი კი მოქცეულია ალში და იწვის.

მეცხრე ხვრელში იყვნენ შფოთის ჩამომგდებლები. აქ ადამიანი გაყოფილია შუაზე. ერთ-ერთში შეიცნო მუჰამედი ისლამის ფუძემდებელი, დოლჩინო იტალიაში გლეხთა აჯანყების ბელადი.

მეათე ხვრელში მოათავსა ფულის გამყალბებლები, რომელთაც ტანზე აქვთ გამოყრილი და აქვთ ქავილი.

ჯოჯოხეთის მეცხრე წრე ოთხი სარტყელისაგან შედგებოდა.

პირველი წრე-კაინა, განკუთვნილი იყო ძმისა და ნათესავების მკვლელებისათვის. ისინი ყინვისაგან იყვნენ დამზრალნი და ცრემლები წამწამებზე ეყინებოდათ.

მეორე წრე-ანტენორა- სამშობლოს მოღალატენი. მათ შორის იყო ბოკა დე ლია ბატი- ფლორენციელი გველფი, რომლის საქციელის გამო 1260 წელს ფლორენცია დამარ-

ცხდა. მან ხელი მოკვეთა მედროშეს, რამაც არევ-დარევა გამოიწვია ფლორენციელებში. დასჯილნი ჩაფლული იყვნენ ყინულში და მხოლოდ ცხვირი უჩანდათ.

მესამე სარტყელში-პტოლემეა-იყვნენ მეგობართა მოღალატენი. აქ მოთავსებულები უკვე იყვნენ გაყინულები.

მეოთხე სარტყელი- ჯუდეკა-იუდას სარტყელი. აქ იყვნენ კეთილისმყოფელთა მოღალატენი. ისინი შეემოსათ ყინვის ლოლუებს. აქ იხილეს დიტე. ის იყო პირველი ანგელოზი, ღმერთის მიერ გამორჩეული, რომელმაც მოაწყო ანგელოზების აჯანყება. ღმერთმა დაამარცხა იგი. დედამიწის შუაგულში გაჩხერილია დიტე, როგორც ეშმაკი. იგი ღრღნის ცოდვილებს: ბრუტუსი, კასიუსი, იუდა ისკარიოტელი.

ამრიგად, დანტეს შემოქმედებაში ჩანს რენესანსის ნიშნები. მოყვანილია ანტიკური პერიოდის პირები: ჰომეროსი, იულიუს ცეზარი, ლუკრეცია (გრაკჰუსების დედა), არისტოტელე, კლეოპატრა, ალ.მაკედონელი, ატილა, იასონი. ასევე შეინიშნება რაციონალიზმის ელემენტები. დანტე სიმბოლისტია, მაგრამ რაციონალისტიც. მას დედამიწა სფეროსებურად მიაჩნდა. ჯოჯოხეთში მოხვედრილი პირები რეალისტურად ისტორიული ტიპებია, ცოცხლად დახატულნი. მოქმედებენ როგორც აჩრდილნი, მაგრამ იტანჯებიან როგორც ადამიანები. დანტე ასევე იძლევა ბუნების სილამაზის აღწერას. დანტეს შემოქმედებაში გამოსჭვივის ინდივიდუალიზმი. ის მოქმედებას ახდენს საკუთარი განცდების სამოსელში. იგი ღრმა ინდივიდუალისტია. მისი მისწრაფება არის სახელის უკვდავება. ის მაღლა აყენებს საკუთარ პიროვნებას. დანტე ახასიათებს ბრუნეტო ლატინს. ვერგილიუსი მეხუთე პოეტია. მათ მოიხმეს დანტე და მეექვსე პოეტად აღიარეს გენიოსთა შორის. დანტე წერს იტალიური ენით, ტოსკანურ-ფლორენციული დიალექტით. მის ნაწარმოებში არის პატრიოტული მოტივები. ფლორენციას სიყვარულით იხსენიებს. მშობლიური მიწის სიყვარულმა განაპირობა, რომ სამშობ-

ლოს მოღალატენი მოათავსა ანტენორაში, სადაც არიან გათოშილნი, გაყინულნი. იგი იტალიის ერთიანობის, იმპერატორის მტრებს სასტიკად სჯის.

პეტრარკა

პეტრარკა დაიბადა ჩრდილოეთ იტალიაში არკოში 1304 წელს და გარდაიცვალა 1374 წელს სორგოში. გეორგ ფოიგტის მიხედვით პეტრარკამ აღმოაჩინა ჰუმანიზმის სამყარო. პეტრარკა დიპარენცო იყო მამის სახელი. მამამისი იყო ფლორენციის ნოტარიუსი. ის ეკუთვნოდა გველფებს, თეთრების პარტიას. 1302 წელს როცა შავებმა გაიმარჯვეს ფლორენციაში თეთრები გააძევეს. გააძევეს პეტრარკას მამაც. მამამისი დასახლებულა ქალაქ არეცოში და აქ დაბადებულა პეტრარკა. შემდეგ გადავიდნენ პიზაში, ხოლო 1312 წელს დასახლებულან საფრანგეთის ქალაქ ავინიონში. როგორც ცნობილია, 1309 წელს პაპის ტახტი გადაიტანეს ავინიონში. პეტრარკას მამა მსახურობდა პაპის კარზე. ოჯახი დასახლებულა მეზობელ ქალაქ კარპეტროში, სადაც გატარებულ ცხოვრების წლებს პეტრარკა თვლიდა უბედნიერეს პერიოდად. მან შეისწავლა ლათინური, გრამატიკა, ლოგიკა, რიტორიკა. მისი თხზულებები დაწერილია ლათინურ ენაზე. უყვარდა მუსიკა. მისი სონეტები დაწერილია სასიმღეროდ. მისი მასწავლებელი იყო კონვენონე დაპრატო. ის იყო უანგარო კაცი. ღარიბ მოწაფეებს ათავისუფლებდა ფულის გადასახადისაგან. უყვარდა პეტრარკა. პეტრარკა მწუხარებით იხსენიებს ძველი რომის გმირებს: ფაბიუსს, ბრუტუსს, რომელთაც ადარებს უბადრუკ რომაელებს. მას უყვარდა ფრინველების გალობის მოსმენა, განმარტოება, ბუნების სილამაზე. პირველი ლექსები დაწერა მასწავლებლის ხელმძღვანელობით. პეტრარკას ხელში ჩაუვარდა ციცერონის რამდენიმე თხზულება. მამამისმა საჭიროდ ჩათვალა იურისპოდენცია შეესწავლა მისთვის. სამხრეთ საფრანგეთში მიიღო განათლება შემდეგ ბოლონიაში გაგზავნა, 7 წელი სწავლობდა.

მისთვის საინტერესო წიგნები მას ლოგინში ჰქონდა შენახული. მამამ ნახა და დაუტოვა ვერგილიუსის და ციცერონის თხზულება. პირველი იქონიე გასართობად, მეორე დამხმარედ იურიდიულ მეცნიერებათა შესასწავლად. 1325 წელს პეტრარკა დაბრუნდა ავინიონში. 1326 წელს დაეხოცა დედამამა. მათ არავითარი ქონება არ დაუტოვებიათ. ის შევიდა სასულიერო წოდებაში. მან ეს წოდება მიიღო იმიტომ, რომ შემოქმედების შესაძლებლობა ჰქონოდა. სწავლობდა ლიტერატურას, ენას. ცოლი ჰყავდა, მაგრამ კანონიერად არ შეიძლებოდა მასზე დაქორწინება, რადგან, როგორც სასულიერო პირზე ვრცელდებოდა ცელიბატი. მას ჰყავდა ორი შვილი: ჯოვანი და ფრანჩესკა. პეტრარკამ გადაწერა ვერგილიუსის ყველა პოემა. როცა ხანში შევიდა საკუთარი კომენტარები და შენიშვნები დაუმატა. ვერგილიუსს წმინდანს უწოდებდა. 1330 წელს დიდი გარდატეხა მოხდა და დაუმეგობრდა ბარონების გვარს- კოლონას გვარს. ორსინი და კოლონა მოსისხლე გვარები იყო. 1330 წლის ზაფხული გაატარა მათ მამულში და ავინიონში დაბრუნდა. აქ შეხვდა თავის სატრფოს ლუარას. 17 წლის იყო პეტრარკა, როცა დანტე გარდაიცვალა. მისი მეგობრის ჯოკონას მიხედვით პეტრარკამ გამოიგონა ლაურას სახელი. იგი ფლობდა ლათინურ პროზას. ის მჭერმეტყველი იყო. პაპი გზავნის მას დიპლომატიური დავალებით. პაპს არაერთხელ უბოძებია მისთვის მამულები. 1333 წლიდან ის იგზავნება დიპლომატიურ საქმეებზე. მოიარა: ნეაპოლი, პარმა, მოდენა, ბოლონია, ვერონა, პარიზი, გენტი, ბრაბანტი, ლიონი აახენი, კელნი. იგი ამავე დროს ახორციელებდა ძველი ხელნაწერების ძიებას. ის იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ძველი ხელნაწერების შესწავლას. იგი პაპების საქმეებში არ ერეოდა. საეკლესიო საქმეები მას არ აინტერესებდა. ავინიონში 30-იან წლებში დაწერა პირველი ლექსი ლათინურად „მიმართვა პაპისადმი". იგი მოუწოდებს პაპს დაბრუნდეს რომში. 1335 წელს კოლო-

ნების შუამდგომლობით პაპმა ბენედიქტე XIII -მ უბოძა ბენეფიციუმი. 1337 წელს ის ჩავიდა პირველად რომში. მან მეორედ მიწერა წერილი პაპს, რომ დაბრუნებულიყო რომში. დაბრუნდა ავინიონში და კლიმენტ VI-ს უძღვნა მე-3 წერილი. დიპლომატიური მოღვაწეობისათვის პაპები მას დიდ წყალობას აძლევდნენ. ავინიონის მახლობლად იყიდა სახლი მდინარე სორგოს მახლობლად, სადაც ცხოვრობდა პეტრარკა და ხნიერი ქალი. თავმდაბლად ეჭირა თავი, გლეხურ საქმელს ჭამდა. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფიზიკურ შრომას. სორგოს სანაპიროზე პეტრარკამ არაერთი ლირიკული ლექსი შექმნა. იტალიაში იგი სარგებლობდა დიდი მფარველობით ნეაპოლის მეფისაგან- რობერისაგან. რობერმა შესთავაზა პეტრარკას დაფნის გვირგვინი. უნდა მოეწყოთ დისპუტი, რომ დაეხურათ მისთვის დაფნის გვირგვინი. 1341 წელს მოეწყო დისპუტი, მეფე რობერი გამოვიდა მის ოპონენტად. პეტრარკამ ამ დისპუტში გამოამჟღავნა ღრმა ცოდნა მეცნიერების, ხელოვნების. 1346 წლის 8 აპრილს დაადგეს მას კიდევ მეორედ დაფნის გვირგვინი. მთავარი მაინც იყო ძველი ხელნაწერების ძიება. მან აღმოაჩინა ციცერონის რამდენიმე სიტყვა. ძიებას აწარმოებდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. 1345 წელს ქალაქ ვერონაში ტაძრის ბიბლიოთეკაში იპოვა ციცერონის წერილები. იგი გაერკვა სხვა რომაელი მწერლების თხზულებებში. შეიძინა ტიტუს ლივიუსის 29 წიგნი რომის ისტორიისა, სულ 142 წიგნი იყო ტიტუს ლივიუსის. მან შექმნა მდიდარი ბიბლიოთეკა. მან დაიწყო ძველი მონეტების და მედლების შეგროვება. მიწაშიც ეძებს ე. ი. არქეოლოგიას უყრის საფუძველს.

კოლა დი რიენცო-რომის რესპუბლიკის მეთაური, პეტრარკამ გაიცნო ავინიონში. მათ ბევრი საერთო ჰქონდათ და დამეგობრდნენ. კოლა ათაყვანებდა ანტიკურ მწერლებს, რომის დიდებას, იულიუს ცეზარს. 1347 წლის აღდგომას პეტრარკას მესამედ დაადგეს დაფნის გვირგვინი და მიანი-

ჭეს რომის მოქალაქის წოდება. მან თავის იდეალად აირჩია კარლ IVლუქსემბურგელი. ლუქსემბურგელი იყო ერთდროულად ჩეხეთის მეფე და იმპერატორიც. პეტრარკამ დაამყარა მასთან მიმოწერა. მიბაძა დანტეს, რომელმაც ჰაინრიხ VII-ში დაინახა ის იმპერატორი, რომელსაც შეეძლო იტალიის გაერთიანება. კარლ IV-მ ზრდილობიანი წერილით უარი თქვა. 1354 წელს აპრილში ქალაქ პადუაში (იტალიაში) ჩავიდა კარლ IV, რომ ეკურთხებინათ იმპერატორად. 1353 წლის მაისში პეტრარკამ სამუდამოდ დატოვა ავინიონი. საცხოვრებლად აირჩია მილანო. ის დაპატიჟა ჯოვანი ვისკონტიმ. მისგან არაფერს მოითხოვდნენ, უნდა ეწერა დიპლომატიური წერილები. კარლ მეოთხემ მიიხმო პეტრარკა ქალაქ მანტუაში (იტალია).1354 წლის 16 დეკემბერს ის ეახლა კარლ მეოთხეს. პეტრარკამ აჩუქა ძველი რომის იმპერატორის მედლები და მონეტები. კარლ მეოთხემ შესთავაზა, რომ გაყოლოდა იგი მას რომში და დასწრებოდა გვირგვინკურთხევას. პეტრარკა არ დათანხმდა. მეფე დარჩა ძველ აზრზე- „მსოფლიო დღეს ის აღარ არის". მას არ უფიქრია ძველი დიდების აღდგენაზე. პეტრარკამ მისწერა: „შენ იმპერატორი მეგონე, მაგრამ ყოფილხარ ბოჰემიის მეფეო". ამის შემდეგ მან 6 წლით შეწყვიტა მიმოწერა კარლ მეოთხესთან, ბოლოს იმპერატორმა შემოირიგა პეტრარკა და მოიხმო იტალიაში. 1362 წელს პერტარკა გადასახლდა ვენეციაში. ვენეციამ მიიღო პეტრარკა კარგად ქალაქ კარარაში. პეტრარკას უყვარდა განმარტოებით ცხოვრება. იგი გარდაიცვალა 1374 წელს სისხლის ჩაქცევით.

პეტრარკამ განაგრძო ლიტერატურული იტალიური ენის შექმნა. მან საფუძველი ჩაუყარა ლირიკულ ტოსკანურ ენას. მას აღონებდა იტალიის დაქუცმაცება. ოცნებობდა მის გაერთიანებაზე. იგი სიხარულით შეეგება რომის რესპუბლიკის შექმნას. პეტრარკა ამაყობდა რომ მას მიანიჭეს რომის მოქალაქის წოდება. იგი გმობდა შინაომებს, ვენეცია- გენუის

ომს, როცა კოლა- დი რიენცო დამარცხდა თავის იდეალად თვლიდა კარლ მეოთხეს. ევედრებოდა ელაშქრა იტალიაში. როცა კარლმა იტალიაში ილაშქრა, ამაში დაინახა მან თავისი მოწოდების შესრულება. მოინახულა მეფე და ძველი ფულების კოლექცია აჩუქა.

პეტრარკას გამოუჩნდა მიმდევრები. პირველ რიგში ისინი იყვნენ მისი მეგობრები, მოსწავლეები და გადამწერები. მათ შორის უპირველესი ჯოვანი ბოკაჩო იყო.

ჯოვანი ბოკაჩო (1313-1375 წწ)

ის დაიბადა მდიდარი ბანკირის ოჯახში ფლორენციაში. მამა იყო ჯოვანი კელნი. ჰყავდა დედინაცვალი. 7 წლის იყო, როცა მიაბარეს ლათინურ სკოლაში, სადაც მიიღო დაწყებითი განათლება, რომლის დასრულების შემდეგ მამამისმა ის გადაიყვანა კომერციულ სასწავლებელში, რომ გამხდარიყო ბანკირი. ის მიაბარეს შეძლებულ ვაჭარს. მაგრამ ბოკაჩოს ვაჭრობა და საბანკო საქმე არ აინტერესებდა. მას უფრო იზიდავდა პოეზია. მამამისმა როცა დაინახა რომ მისგან ბანკირი არ გამოვიდოდა გადაწყვიტა მისი იურისტობა. წაიყვანა ნეაპოლში და მიაბარა იურისტს, რომ ესწავლებინა მისთვის კანონები. ბოკაჩომ 6 წელი დაჰყო იურისტად. ამავე პერიოდში ის გაეცნო რომაელი მწერლების თხზულებებს. წაიკითხა დანტე, პეტრარკა, რასაც ის აღფრთოვანებაში მოუყვანია. ბოკაჩო დაუახლოვდა ნეაპოლელ ჰუმანისტებს. გაეცნო ხალხის ყოფა-ცხოვრებას. მას ჰქონდა შესანიშნავი მეხსიერება. 1338 წლის ზაფხულის მცხუნვარე დღეს ის ყოფილა ეკლესიაში, სადაც უნახავს ერთი ქალი სახელად მარია აქვინო, რომელიც იყო ნეაპოლის მეფის რობერის უკანონო შვილი. მათ შეიყვარეს ერთმანეთი. სწორედ ეს ქალი იქცა მისი თხზულების ერთ-ერთ მთავარ გმირად, რომელსაც ფიამეტას უწოდებს. ფიამეტა- ცეცხლის ალს აღნიშნავს. ბოკაჩო

აღწერს ფიამეტას სილამაზეს. მას ჰქონია ხუჭუჭი, გრძელი და ნაზი თმები. თვალები შევარდენს მიუგავდა.

XIV ს-ის 40-იან წლებში ბოკაჩო ცნობილი მწერალი იყო. ის იყო პირველი ჰუმანისტი, რომელმაც ისწავლა ბერძნული ენა. პეტრარკა წერდა: „მე ვეფერები ჰომეროსს, მაგრამ ის მუნჯი რჩება ჩემთვის". ამას წერდა პეტრარკა იმიტომ,რომ ბერძნული ენა ვერ შეისწავლა.

1348 წელს გარდაიცვალა ბოკაჩოს მამა და მან დატოვა ნეაპოლი. 1348 წელს მძვინვარებდა შავი ჭირი ხუთი თვე. ცნობილია, რომ XIV ს-ის 20-იანი წლებიდან ბოლომდე 32-ჯერ გადაიარა ეპიდემიამ. XV ს-ში კი 40 ჯერ. ბოკაჩო როცა ჩავიდა ფლორენციაში შავი ჭირი მორჩენილი იყო. ქალაქმა დაიწყო გამოცოცხლება. ბოკაჩო გახდა ამქარის წევრი, გველფების პარტიის მომხრე. მას დიპლომატიური მისიით აგზავნიან 1350 წელს რავენაში, შემდეგ კი პაპის კარზე ავინიონში, სადაც ინახულა პეტრარკა. ბოკაჩოს ინიციატივით დაარსდა ფლორენციის უნივერსიტეტში ბერძნული ენისა და ლიტერატურის კათედრა. მან აპულიაში მონტე კასინოს მონასტერში გადაარჩინა ძველი ხელნაწერები.

ბოკაჩოს მეცნიერული მოღვაწეობიდან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დანტეს „კომედიის" კომენტარებს, რითაც მან საფუძველი ჩაუყარა დანტელოგიას. მან ასევე დაწერა დანტეს ბიოგრაფია, რომელიც იტალიურ ენაზეა დაწერილი. 1351 წელს ბოკაჩომ თავისი დიდი მეგობრის პეტრარკას პატივსაცემად დაწერა „ფრანჩესკო პეტრარკას ცხოვრებასა და ადათ-წესებზე".

ბოკაჩოს აღწერილი აქვს ტამპლიერთა ორდენის განადგურება საფრანგეთის მეფის ფილიპე მეოთხე ლამაზის მიერ და მათი დიდი მაგისტრის ჟაკ დე მოლეს მონამებრივი სიკვდილი. მაგრამ ბოკაჩოს უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები, რომელმაც მას დიდება მოუტანა, ეს იყო „დეკამერონი". დეკამერონი ბერძნული სიტყვაა და ათს ნიშნავს. ის დაიწერა

1348-1358 წლებში, რომელიც არის მცირე ზომის მხატვრული მოთხრობების კრებული. შავი ჭირის შემდეგ სამი ჭაბუკი და შვიდი ქალი შეეკედლა ერთ მონასტერს და მათ ნაამბობს გადმოსცემს ბოკაჩო. ერთმანეთს უამბობდნენ ათი დღე. დეკამერონი შედგება 102 ნოველისაგან. ერთი იყო შესავალი ნოველა. პირველი დღის დედოფალი იყო პამპინეა. ეს სახელი ნიშნავდა გაფურჩქვნილს, აყვავებულს. ის ყვებოდა თავისუფალ თემას. მეორე დღის დედოფალი ფილომენა-სიმღერის მოყვარული. მოყვებიან იმათ ამბავს, ვისაც ბედმა ბევრი სიმწარე უჩვენა. მესამე დღის დედოფალი ნეიფილე- მამაცი ახლად შეყვარებული. საუბრობდნენ იმათზე, ვინც თავის ჭკუის გამჭრიახობით დაკარგული დაიბრუნა. მეოთხე დღის ფილოსტატე- მამაკაცი, სიყვარულით გასრესილი. მეხუთე დღე ფიამეტა- მოუთხრობენ უბედურების შემდეგ როგორ უნდა ეწიონ ბედნიერებას. მეექვსე დღე ელიზა- საუბრობენ იმაზე, ვისაც კვიმატი სიტყვით უკბინეს და პასუხობდნენ მოსწრებულად. მეშვიდე დღე დიონეო, ეს სახელი მითოლოგიიდან არის აღებული, საუბრობდნენ იმ ოინების შესახებ, ცოლები თავის ქმრებს რომ უშვებიან. მერვე დღე ლაურეტა, თემა ქალისა და კაცის ოინების შესახებ. მეცხრე დღე ემილია-ალერსიანი, ლაპარაკობენ იმაზე, რაც ყველაზე მეტად მოსწონთ. და ბოლოს მეათე დღე პანფილო- მთლად სიყვარულად ქცეული, სასაუბრო თემა, ვინც სულგრძელი საქმე გამოიჩინა სიყვარულსა თუ სხვა საქმეში.

ბოკაჩო გმობდა ასკეტიზმს. ჭეშმარიტი სიყვარული არის ბუნებრივი უფლება. იგი ყოვლის შემძლეა. მეხუთე დღის პირველ ნოველაში გადმოცემულია, თუ რამდენად მაკეთილშობელია სიყვარული. ნოველებში გატარებულია აზრი, რომ კეთილშობილებას პიროვნებას ანიჭებს არა გვარიშვილობა, არამედ პიროვნული თვისებები. მსგავსი აზრია გატარებული მეორე დღის მეექვსე ნოველაში: „არც ბატონობის წყურვილმა, არც ვერცხლის სიყვარულმა არ წამაქეზა

ასეთი რამ ჩამედინა. მე მიყვარდა შენი ქალიშვილი, რადგან მას ვთვლიდი ჩემი სიყვარულის ღირსად". სიყვარულს რომ წოდება არ აჩენს ეს აზრი სხვა ნოველებშიცაა გატარებული. ჭეშმარიტ სიყვარულს ბოკაჩო უპირისპირებს ყალბ, ფუჭ სიყვარულს. ბოკაჩო განსაკუთრებით ჩერდება სასულიერო წოდების უზნეობაზე (მესამე დღის პირველი ნოველა, მეოთხე ნოველა, მერვე ნოველა). ის ასევე ამათრახებს ბერების პირმოთნეობას (მესამე დღის მეშვიდე ნოველა). მთავარი გმირი ბერების შესახებ ამბობს: „ ბერების ზნე-ჩვეულებას ძალიან კარგად ვიცნობ. მინდა მათი ამბავი მოგიყვეთ. ძველად ისინი წმინდა ცხოვრებას ეწეოდნენ, მაგრამ ეხლა მათ ბერობის არაფერი სცხიათ, გარდა ანაფორისა. თუმცა ეს ანაფორაც აღარ არის ბერული. თავიანთი მოვალეობის შესრულებაზე ისინი ნაკლებად ზრუნავენ. მათი გულისყური იქითკენაა მიმართული, რომ სულელები შეაშინონ მაღალი სიტყვებით, შეიძინონ ქონება და შეაცდინონ სულელი ქალები. მეშვიდე დღის მესამე ნოველაში „მუცლის ჭიის შელოცვა" ბერს ახასიათებს შემდეგნაირად:"ეს ბერი კოხტად იცვამდა, მღეროდა და ერთობოდა. ბერებს არც კი რცხვენიათ გამოჩნდნენ მსუქნები, განებივრებულები. იმათ არც კი რცხვენიათ სხვამ გაიგოს, რომ ნეკრესის ქარებით არიან დაჯილდოებულნი (ეს ავადმყოფობა ბევრი ჭამის შემდეგ ჩნდება). უფალსა ვთხოვ, ხალხს აუხილოს თვალები.

ბოკაჩო სვამს უთანასწორო ქორწინების პრობლემას და სასტიკად ძრახავდა მას. იგი დასცინოდა ხანში შესულ ქმრებს, რომლებსაც ახალგაზრდა ცოლები ჰყავდათ.(მეოთხე დღის მეათე ნოველა). ის ასევე დასცინოდა ცოლ-ქმრის უსაფუძვლო ეჭვიანობას, მოსამართლეებს, ექიმებს. ის არ იყო დემოკრატიულად განწყობილი. ზოგჯერ ძალიან უარყოფითად ახასიათებდა ხალხის მასებს. ამის მიზეზი მისი აზრით ხალხის გაუნათლებლობაა. ის წერდა:" ხალხი ცუდს უფრო დაიჯერებს, ვიდრე კარგს".

ბოკაჩო ტიპიური რეალისტია. ნოველებში მოქმედებს ცოცხალი ხალხი: ფლორენციელები, გენუელები, პიზელები, ვენეციელები, რომაელები, ნეაპოლელები და ა. შ. მოქმედების ადგილებია: იტალიის ქალაქები. მოიხსენიება ფრანგები, ათენელები, ოსმალები, ებრაელები, სომხები,ინგლისელები, უელსის მცხოვრებნი, ჩინეთი, სპარსეთი, კუნძული კვიპროსი, როდოსი. იხსენიება ისტორიული ამბები და მოვლენები, მესამე ჯვაროსნული ლაშქრობა, სიცილიის ამბოხება, ჟამის ეპიდემია. ასევე იხსენიება ისტორიული პირები: კვიპროსის, ტუნისის, საფრანგეთის მეფეები. პაპი, ვენეციის დოჟი და სხვა. არაერთი ნოველა მიუძღვნა შარლ ანჟუელს, ფრიდრიხ მეორე შტაუფენს, ფრიდრიხ ბარბაროსას, სიცილიის მეფე გვილელმოს. თითოჯერ იხსენიებს კარლოს დიდს, უცხოელთა მეფე სალადინს (2-ჯერ), ბიზანტიის მეფე მანუელს, ესპანეთის მეფე ალფონსო, კლუნის აბატი (2-ჯერ).

იდეალური მბრძანებელი მისი აზრით უნდა იყოს: სამართლიანი, დიდსულოვანი, თავმდაბალი, გულუხვი, სიტყვის გაუტეხელი, ლმობიერი. ასეთ იდეალურ მბრძანებლად მას გამოყვანილი ჰყავს არაგონიის მეფე- პეტრე არაგონელი და სალადინი.

პეტრარკასა და ბოკაჩოს შემდეგ ჰუმანიზმი გავრცელდა მთელ იტალიაში. მაღალი ეთიკა, ასკეტიზმის უარყოფა, მიწიერი ცხოვრების წინ წამოწევა, შემოქმედებითი აქტივობა, თავისუფალი აზროვნება. აი რა პრინციპები იყო დამახასიათებელი ჰუმანიზმისათვის იტალიაში.

თემა მესამე

კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვა დასავლეთ ევროპაში (ინგლისი)

XV-XVII საუკუნეები – ეს არის დასავლეთ ევროპაში ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის განვითარების პერიოდი. საწარმოო ძალების განვითარება დაკავშირებული იყო შრომის საზოგადოებრივ დანაწილებასთან. განვითარდა ხელოსნობის სხვადასხვა დარგები. XVI ს-ში 100 -ზე მეტი სახის სახელოსნო წარმოება იყო დასავლეთ ევროპაში, ხოლო XVII ს-ში 250- მდე.

XVII ს-ში განვითარდა სამთო მეტალურგიული წარმოება ევროპის სახელმწიფოებში: ინგლისში, ესპანეთში, გერმანიაში, იტალიაში, უნგრეთში, ჩეხეთში, შვედეთში. აქ ბატონობდა სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალიზმი.

კაპიტალიზმი ევროპის სახელმწიფოებიდან ყველაზე ადრე განვითარდა იტალიაში XIII ს-ში, კერძოდ იტალიის ქალაქ-რესპუბლიკებში: ვენეციაში, გენუაში და ფლორენციაში. ვენეციაში განვითარდა სავაჭრო, გენუაში საბანკო, ხოლო ფლორენციაში სამრეწველო კაპიტალიზმი.

ფეოდალიზმი თავის დროზე იყო პროგრესი წინა საზოგადოებრივ წყობასთან შედარებით, მაგრამ, როცა მის წიაღში ჩაისახა კაპიტალიზმი, ის გახდა რეგრესი, ხელის შემშლელი ახალი კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობილების დამკვიდრებისათვის.

კაპიტალიზმისათვის, განსხვავებით ფეოდალური წყობისაგან, დამახასიათებელია სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება, წარმოება ბაზრისათვის. გამოიყენება დაქირავებული შრომა. ვითარდება ტექნიკა. ბაზრის მოთხოვნილების მიხედვით იზრდება პროდუქციის ოდენობა.

კაპიტალიზმი მოიცავდა ადრეული და გვიანდელი მერკანტილიზმის პერიოდს. ადრეული მერკანტილიზმი ანუ მონეტარული პოლიტიკა გულისხმობდა ოქროსა და ვერცხლის ქვეყნიდან გატანის შეზღუდვას.

გვიანდელი მერკანტილიზმი კი გულისხმობდა წარმოების განვითარების შედეგად ექსპორტის გაზრდას. სხვანაირად რომ ვთქვათ ექსპორტი სჭარბობდა იმპორტს.

კაპიტალიზმის განვითარების სანიმუშო მაგალითს იძლევა ინგლისი, ვინაიდან იქ განვითარდა კაპიტალიზმი კლასიკური ფორმით, საიდანაც გამოცდილება გადაიტანა ევროპის სახელმწიფოებმა, ამიტომ ჩვენ შევჩერდებით კონკრეტულად, ამ ქვეყნის ისტორიაზე.

XV-XVI სს-ში ინგლისში სწრაფად ვითარდებოდა საწარმოო ძალები და ადგილი ჰქონდა დიდ ცვლილებებს ეკონომიკურ ცხოვრებაში. იმ დროისათვის ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობანი და ფეოდალური წარმოების წესი დაცემას განიცდიდა, მიმდინარეობდა ბურჟუაზიული ურთიერთობისა და ბურჟუაზიული წარმოების წესის დამკვიდრება.

ინგლისის მეურნეობაში უმთავრეს ადგილს თანდათან იჭერს მეცხვარეობა, მაუდის წარმოება, რომელიც იყო უძველესი საქმიანობა ინგლისის მოსახლეობისათვის. XV ს-ის დასაწყისში მაუდის წარმოებამ მიაღწია მაღალ დონეს, რამაც განაპირობა დიფერენციაცია სახელოსნო წარმოებაში: ოსტატ- ხელოსან მაუდის მწარმოებლებად და ვაჭარ-შემსყიდველებად დაშლა. შალის წარმოებაში იჭრება სავაჭრო-სავახშო კაპიტალი.

მაუდის წარმოების განვითარება

მაუდის წარმოებამ განვლო ხანგრძლივი ისტორია თავისი განვითარების გზაზე. ადრეულ პერიოდში თითქმის მთელი ნედლეული-მატყლი მიდიოდა ფლანდრიაში, რომელსაც ამუშავებდნენ მსუბუქ და ნაზ მაუდად. მხოლოდ XIV ს-ის მეორე ნახევრიდან ინგლისის მაუდის მრეწველობა მნიშვნელოვნად განვითარდა. ფლანდრიიდან გადმოსახლებულმა მრეწველებმა დააარსეს ლონდონში და ინგლისის სხვა ქალაქებში მსხვილი სახელოსნოები, სადაც მზადდებოდა მაღალი ხარისხის მაუდი. მაგრამ გაცილებით უფრო გავრცელდა სოფლური უხეში და შეუღებავი მაუდის ქსოვილების დამზადება. მასზე დიდი მოთხოვნილება იყო ვესტფალიაში და ფლანდრიაში. იქ ყიდულობდნენ შეუღებავ ინგლისურ მაუდს და აწარმოებდნენ მის შეღებვას და გამოყვანას. შეუღებავი მაუდის დამზადება წარმოებდა ინგლისში შინა მრეწველობის გზით. ამ დროს საქონლის წარმოება და გაყიდვა მოქცეული იყო ერთი და იმავე პირის ხელში, ხოლო სტატუტები ოსტატებს ვაჭრობის ნებას რთავდა იმის შიშით, რომ ერთი ოსტატი არ გამდიდრებულიყო მეორის ხარჯზე. ცალკეულ მწარმოებელს არ შეეძლო უშუალოდ ვაჭრობა ეწარმოებინა მუშტრებთან, რომლებიც შორეული, უცხო ქვეყნებიდან იყვნენ მოსული. მაგრამ მოგვიანებით თანდათანობით, სავაჭრო ოპერაციების განხორციელება დაიწყეს ზოგიერთმა სახელოსნო ორგანიზაციებმა, რომელნიც გამოირჩეოდნენ მოხერხებულობით, ორგანიზებულობით და იცნობდნენ შორეულ ბაზრებს. თავდაპირველად მზა საქონელს ჰყიდდა სახელოსნოს რომელიმე წევრი ან ადგილობრივი ვაჭარი, რომელიც მიემგზავრებოდა შორეულ ბაზრობაზე. ასეთი პირები მომგებიანი სავაჭრო ოპერაციების წყალობით თავს უყრიან დიდძალ კაპიტალს და გამოირჩევიან თავიანთი სიმდიდრითა და მდგომარეობით თავიანთ ამხანაგ- ხელოსანთაგან ამქარ-

ში. ვაჭრობის გაფართოებასთან ერთად წარმოიშვა მოთხოვნა უფრო მეტი რაოდენობის საქონლის წარმოებაზე, რაც არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა სახელოსნო წარმოებას. ვაჭრები დაინტერესდნენ მეტი რაოდენობის კაპიტალის მიცემით ოსტატ-ხელოსნებზე,რათა გაეზარდათ თავიანთი წარმოება. ე.ი. მათ სესხად ეძლეოდათ ნედლეული ან წარმოების საშუალებანი, რაც აიძულებდა ხელოსანს მიეყიდა თავისი ნაწარმი კრედიტორებისათვის. ვაჭარსა და ხელოსანს შორის არსებულმა ასეთმა ურთიერთობამ განაპირობა მრეწველობის ახალი ფორმის გაჩენა-მსხვილი წარმოების საოჯახო ფორმისა უფრო მეტად სოფლებში, სადაც თავმოყრილი იყვნენ ქალაქებიდან საამქრო რეგლამენტაციით შევიწროებული და წამოსული ხელოსნები. ოჯახში წვრილი ოსტატი რამოდენიმე მუშახელთან ერთად გარეგნულად წარმოადგენდა დამოუკიდებელ მწარმოებელს, რომელსაც გააჩნდა საკუთარი მუშახელი და საკუთარი წარმოების იარაღი. მხოლოდ იგი უკვე არ ყიდულობს ნედლეულს, არამედ იღებს მას ვაჭარ-შემსყიდველისაგან, ის არ მიჰყიდის მას მომხმარებელს, არამედ აძლევს შუამავალს. ვაჭარ-კაპიტალისტები ორგანიზაციას უკეთებენ საქონლით ვაჭრობას და ამით აშორებენ ხელოსან- მწარმოებელს ბაზართან უშუალო კავშირისაგან. მსხვილი მრეწველობის საოჯახო ფორმის წარმოშობა ნიშანია მსხვილი კაპიტალის წარმოშობისა.

XIV ს-ის ინგლისში უკვე შეხვდებოდით კაპიტალისტ-მემაუდეს, რომელიც უფრო ახლოს იდგა ახალ დროებასთან, ვიდრე შუა საუკუნეებთან. ის მკვეთრად განსხვავდებოდა ოსტატ-ხელოსნისაგან, რომელიც მუშაობდა ერთ დაზგასთან თავის შეგირდებთან და ქარგლებთან.

მაუდის წარმოების განვითარების დასაყრდენ ბაზას წარმოადგენდა მეცხვარეობა. არ იყო შაირი, სადაც არ ჰყავდათ მოშენებული საუკეთესო ჯიშის ცხვარი. XV ს-ში ყველაზე საუკეთესო ჯიშის ცხვრად ითვლებოდა კოსვოლდის

ჯიშის ცხვარი. ამ პერიოდში ხშირად გვხვდება მდიდარი მეცხვარეები. ხოლო უფრო გვიან, 1534 წლის სტატუსის მიხედვით პირუტყვის რაოდენობა აღწევდა 24 ათასს, 20 ათასს, 6 ათასს. ეს მდიდარი მეცხვარეები თვითონ ხდებოდნენ მაუდის მწარმოებლები. საოჯახო-კაპიტალისტური მრეწველობის მოგება იზიდავდა სოფლებში შალით მოვაჭრეებს, მაუდით მოვაჭრეებს, მიწათმფლობელებს და ქალაქის ხელოსნებს.

შუა საუკუნეების ინგლისში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ტექნიკურ აღმოჩენას, რომელსაც წარმოადგენს წყლის ენერგიის გამოყენება მაუდის წარმოების პროცესში. XIV საუკუნის ბოლოდან მაუდის მწარმოებლები აარსებდნენ თავიანთ სახელოსნოებს მდინარის სათავესთან, სადაც წყლის დინების სიჩქარე მეტი იყო ე.ი. წყლის ენერგია გამოიყენებოდა მაუდის მოთელვის საქმეში. მოგვიანებით სამრეწველო გადატრიალება ხდება. ასეთი სოფელი იქცეოდა ხოლმე ისეთ ქალაქად, რომელსაც კაპიტალისტური წარმოება ედებოდა საფუძვლად.

XV ს-ში სწრაფად გავრცელდა წყლის წისქვილები განსაკუთრებით ჩრდილო-დასავლეთ და დასავლეთ ინგლისში. ერთი სიტყვით, მდინარის ნაპირებზე მაუდის სათელავი წისქვილების გავრცელებამ არა მარტო შეცვალა ხელის შრომა წყლის ენერგიით, არამედ შექმნა შალის მრეწველობის ახალი ცენტრები, რამაც განაპირობა ძველი ცენტრების დაცარიელება. მაუდის წარმოების ცენტრი გადადის ქალაქიდან მდინარის ნაპირა სოფლებში და აქ წისქვილების გარშემო თავს იყრიან ხელოსან-მემაუდეები, ფეიქრები და სხვები.

სასოფლო მრეწველობის განვითარებამ გაფანტული მანუფაქტურის სახით, განაპირობა მთელი „მაუდის წარმოების ორგანიზაციის" ცვლილება, რამაც უზრუნველყო ინგლისისათვის XV ს-ის ბოლოს პირველი ადგილი ევროპაში მაუდის გატანის რაოდენობის მიხედვით.

მატყლის დამუშავება მაუდად მოიცავდა მთელ რიგ ტექნოლოგიურ პროცესებს, რაც მოითხოვდა წარმოების ახალ ორგანიზაციას, რაც არ შეეძლო უზრუნველეყო არც ერთ ვიწრო სპეციალიზებულ სახელოსნო გილდიას. შალის მრეწველობამ გადაინაცვლა სოფლის რაიონებში. დაეცა წარმოების ძველი ცენტრები და აღმოცენდა ახალი. XV ს-ში დაცემას განიცდიან აღმოსავლეთ ინგლისის ნავსადგურები-ბიშოპსი, ლინი, ბოსტონი, კემბრიჯი და სხვა ქალაქები. აგრეთვე ჩრდილოეთით მიდლენდი. აღნიშნულ და სხვა ქალაქებში მოხდა მაუდის წარმოების შემცირება. შემცირდა ხელოსანთა რიცხვი, რომლებიც ეწეოდნენ შალის ქსოვილების წარმოებას, უმთავრესად ფეიქრები. ასეთივე სურათი შეინიშნება ცენტრალურ რაიონებშიც. ფეიქრები ტოვებდნენ ლონდონსაც. 1428 წელს დედაქალაქში დარჩენილა მხოლოდ 17 ხელოსანი.

წარმოების ტერიტორიული გადაადგილებით არა მარტო ვინჩესტერი, არამედ ადრე ისეთი წყნარი ადგილები: გემპშირი, რამზეი, რინგვუდი იქცნენ შალის ქსოვილების წარმოების ცენტრებად.

სწორედ იქ, სადაც იყო წყლის ძლიერი დინება, საჭირო მაუდის სათელავი ნისქვილების მოძრაობაში მოსაყვანად, იქმნებოდა მაუდის წარმოების კერები.

XV საუკუნის ბოლოს შეიმჩნევა ცენტრალიზებული მანუფაქტურის წარმოშობა. მაუდის წარმოების სწრაფი განვითარება XIV საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დასაწყისში დაკავშირებული იყო არა მარტო ტექნიკური სიახლეების დანერგვასთან, არამედ ბატონყმური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებული გლეხებისაგან იაფი მუშახელის რეზერვის შექმნასთან. თავის მხრივ წარმოების საოჯახო ფორმა ხელს უწყობდა დაქირავებული შრომის ბაზრის გაფართოებას ინგლისის სოფელში.

მაუდის წარმოების განვითარება მჭიდროდ იყო დაკავშირებული საგარეო ვაჭრობის განვითარებასთან. XIV ს-ის მეორე ნახევარში და მთელი XV ს-ის განმავლობაში მატყლი, შალი, შალის ნართი წარმოადგენდა ინგლისის ექსპორტის მნიშვნელოვან საგანს. გვიან გამოვიდნენ რა მსოფლიო არენაზე, ინგლისელებს უნდა გამოენახათ საგარეო ვაჭრობის ახალი ფორმები. გაჩნდა ე.წ საწყობი. საწყობის ორგანიზაცია მდგომარეობდა იმაში, რომ ყველა ან ყველაზე მნიშვნელოვანი გასატანი საქონელი უნდა დაედოთ გასაყიდად გარკვეულ ადგილებში, საწყობებში. როდის გაჩნდა პირველად ეს ორგანიზაცია ძნელი დასადგენია. მაგრამ არის ცნობა იმის შესახებ, რომ იგი არსებობდა 1248 წელს.

სენდვიჩში არსებობდა საწყობი 1292 წლიდან და ეს საწყობი არსებობდა ქალაქ კალეს საწყობის დაარსებამდე.(კალე ინგლისელებმა ხელთ იგდეს 1347 წელს ასწლიანი ომის დროს) მატყლის მთავარი საწყობი იყო ბრიუგეში, მაგრამ ზოგჯერ ის გადაჰქონდათ ანტვერპენში. XV ს-ის ბოლოს ანტვერპენი იქცა სასაწყობო ქალაქად და პირველხარისხოვან ნავსადგურად. ამ მხრივ მას არ ჰყავდა მოქიშპე XVI ს-ის ბოლომდე. შალის საწყობი იქმნება 1347 წელს ქალაქ კალეში და მან იარსება იქ 1558 წლამდე.

ამრიგად, მეფის ხელისუფლებამ XIV ს-ში დააკანონა მაღალი ხარისხის მატყლის ვაჭრობის კონცენტრირება ცენტრალურ ბაზარზე- „სტეპლე"-ში, საწყობში, როგორც მას უწოდებდნენ კალეში. გამონაკლისი იყო შოტლანდიის მოსაზღვრე შაირები. კემბერლენდი, ნორტუმბერლენდი, ვესტმორლენდი, რომელთა საწყობიც იმყოფებოდა ნიუკასლში. ინგლისური მატყლის ძირითადი მასა, თუმცა არა მთლიანად, მიდიოდა კალეში. მატყლის ექსპორტის უფლება გარდა ამისა ჰქონდათ იმ პირებს, რომლებსაც გაჰქონდათ მატყლი ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში. ესენი იყვნენ ინგლისელი ვაჭრები ბრისტოლიდან, ასევე ვენეციელები და გენუელები. ვე-

ნეციური ხომალდების დატვირთვის ადგილი იყო ლონდონში, ბოსტონში, ჰულეში. სხვა დანარჩენი მასა მატყლისა მიდიოდა კალეში. ძირითადი გეოგრაფიული რაიონები, რომელსაც ემსახურებოდა კალე, იყო ნიდერლანდები, რაინისპირა გერმანია, ჩრდილოეთ საფრანგეთი და ფლანდრია.

ინგლისი ამ დროისათვის საკმაოდ იყო ეკონომიკურად განვითარებული. ინგლისში ჩამოდიოდნენ სხვადასხვა ქვეყნის ვაჭრები დასავლეთიდან- უნგრეთიდან დაწყებული გალიამდე (საფრანგეთამდე), აღმოსავლეთიდან- შვედეთიდან დაწყებული, სამხრეთამდე თურქეთის ჩათვლით, რათა შეეძინათ მაუდი და მატყლი. ამიტომ ვაჭრობის ორგანიზაცია ამ აღნიშნული საქონლით პირდაპირი გზა იყო ეკონომიკური აყვავებისაკენ და განამტკიცებდა ინგლისის საერთაშორისო მნიშვნელობას. პირველ რიგში საჭირო იყო აეკრძალათ მაღალხარისხოვანი შალის ექსპორტი, რომელთა დამუშავება შრომატევადი იყო, ხოლო შემოსავალი მისი გაყიდვის შემდეგ არ უდრიდა მის ღირებულებას. დანარჩენი შალი შედარებით დაბალი ხარისხის კი უნდა დაემუშავებინათ ქვეყნის შიგნით და გაეტანათ გასაყიდად.

მაუდის წარმოების გაფართოებაზე მიუთითებს XIV- XV საუკუნეებში დაუმუშავებელი მატყლის გატანის შემცირება. მისი ექსპორტი 100 წლის მანძილზე XIV ს-ის შუა ხანებიდან XV ს-ის შუა ხანებამდე შემცირდა 35 ათასიდან 8 ათას ტომარამდე. ინგლისის პარლამენტი აქვეყნებს სტატუტებს, რომელიც კრძალავს მატყლის გატანას ქვეყნიდან იორკთა დინასტიის ბატონობის წლებში. ედუარდ მეოთხის დროს,1464 წელს გამოქვეყნდა ბილი, რომლის თანახმად, იკრძალებოდა ძვირფასი ხარისხის მატყლის ექსპორტი ინგლისიდან. ეს აკრძალვა შეეხებოდა გლოსტერშირს, სომერსეტშირს, გერიფორდშირს, ვუსტერშირს. ე.ი. იმ შაირებს, სადაც გაშენებული იყო ცნობილი კოსვოლდის ჯიშის ცხვარი, რომლის მატყლი წარმოადგენდა ნედლეულს მაღალხარისხოვანი თხელი

მაუდის ქსოვილის დამზადებისათვის ფლანდრიაში და ფლორენციაში.

ვაჭრობის განვითარება

მაუდის წარმოების განვითარებამ ხელი შეუწყო ვაჭრობის განვითარებას ინგლისში. თავიანთი ქვეყნის ნაპირებიდან ინგლისელი ვაჭრები მიდიან შორს. ინგლისელ ვაჭარს შეხვდებოდით დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, წინა აზიაში, ინდოეთში. 1519-1527 წლებში ინგლისელები ვაჭრობდნენ სევილიაში, ლისაბონში, სან-სებასტიანოში, ბილბაოში, ბაიონაში, დანციგში, სან-დომინგოში, კალეში. ისინი ვაჭრობდნენ როგორც ინგლისური საქონლით, ასევე სხვა ქვეყნიდან ჩამოტანილი საქონლითაც. არა მარტო კალე, არამედ ანტვერპენი და მიდლბურგი იქცევა მათი საქონლის საწყობებად. ისინი აღწევდნენ ბისკაის ყურესაც. ძირითადი სავაჭრო პუნქტები აქ იყო XV ს-ის განმავლობაში ბორდო და ბაიონა.

ინგლისელებმა კარგად აითვისეს ირლანდიის ბაზარი. XV საუკუნის მეორე ათწლეულში ინგლისელებმა გამონახეს პირდაპირი გზა ვაჭრობისათვის ისლანდიაში. მანამდე ინგლისური საქონელი ჩაჰქონდათ იქ შუამავლების- ნორვეგიელების საშუალებით. ქალაქ იორკის საქალაქო წიგნში შეტანილია ცნობა იმის შესახებ, რომ ლონდონელი ვაჭრები ვაჭრობდნენ ბალტიისპირეთთან. ინგლისს სავაჭრო კონტაქტები ჰქონდა 16-მდე სახელმწიფოსთან.

გარდა მატყლისა, ექსპორტის ძირითად მასას შეადგენდა ნედლეული და ნახევარფაბრიკატები: კალა, ტყვია, ტყავი, პური, ნაწილობრივ მაუდი, რომელიც გაჰქონდათ ნიდერლანდების, იტალიის ბაზრებზე.

ჰანზელები (გერმანიის ქალაქების კავშირი) კონკურენციას უწევდნენ ინგლისელებს ბალტიისპირეთის, გერმანიის

ბაზრებზე. ედუარდ მეექვსემ ჩამოართვა ჰანზას თავისი პრივილეგიები 1552 წელს, ხოლო ელისაბედმა დახურა მათი კანტორები ლონდონში და ასეთნაირად განადგურდა ჰანზელთა ვაჭრობა ინგლისში.

ინგლისელების არანაკლებ კონკურენტებს წარმოადგენდნენ იტალიელები. ცნობილია, რომ სავაჭრო ინტერესების გამო უფრო ვენეციელები ჩამოდიოდენ ინგლისში, ვიდრე სხვა იტალიელები. ვენეციელები უმთავრესად ჩადიოდნენ 3 ნავსადგურში: ლონდონში, საუტჰემპტონში და სანდვიჩში. მათ აინტერესებდათ განსაკუთრებით ლონდონი, რომელიც იყო მთავარი ექსპორტიორი შალისა და მაუდის. ვენეციელებს და ფლორენციელებს შემოჰქონდათ ფუფუნების საგნები. გაჰქონდათ მატყლი, მაუდი და კალა.

XV საუკუნის ინგლისის საგარეო ვაჭრობაში ჭარბად მონაწილეობდნენ უცხოელი ვაჭრები – ჰანზელები, იტალიელები, ნიდერლანდები, ფრანგები და ესპანელები. ამ პროცესიდან უცხო ელემენტების გაძევებაში დიდი როლი შეასრულეს ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტებმა. მათი ენერგიული მოქმედებით ინგლისის საგარეო ვაჭრობიდან განდევნილ იქნენ უცხოელი ვაჭრები. უფრო მეტიც, ისინი ახლა ფეხს იკიდებდნენ ნიდერლანდებში, ფლორენციაში, ვენეციაში. მათი გემები ბალტიის ზღვამდეც კი აღწევდნენ.

ინგლისის სამეფო ხელისუფლების სავაჭრო პოლიტიკა

ისმის კითხვა: რა სახის სავაჭრო პოლიტიკას ატარებდა ინგლისის სამეფო ხელისუფლება? ინგლისის სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულება უცხოელ ვაჭართა მიმართ არ იყო ერთგვაროვანი. ეს ურთიერთობა შემდეგი ფორმით ვითარდებოდა. XIII საუკუნეში მეფის ხელისუფლება მფარველობდა უცხოელ ვაჭრებს, ამაზე მეტყველებს მათთვის სხვა-

დასხვა პრივილეგიების მინიჭება ისე, რომ ანგარიში არ ეწეოდა ინგლისელი ვაჭრების ინტერესებს.

ედუარდ I (1272-1307 წწ.) ინგლისის იუსტინიანემ 1276 წელს ოფიციალურად გამოაცხადა თავი უცხოელი ვაჭრების მფარველად, რისთვისაც მას არასოდეს უღალატია. უფრო მეტიც მან კანონმდებლობით განამტკიცა უცხოელ ვაჭართა უფლებები. ამ მიზნით 1303 წელს გამოაქვეყნა ქარტია, რომელიც აშკარად საზიანო იყო ინგლისელი ვაჭრებისა და ქალაქის მცხოვრებთა ინტერესებისათვის. ამ ქარტიის მიხედვით, ყველა ქვეყნის უცხოელ ვაჭარს შეეძლო სრულიად თავისუფლად, ინგლისის მეფის მფარველობის წყალობით ამ ქვეყნიდან ისე გაეტანა ინგლისის საქონელი (გარდა ღვინისა), რომ არ გადაეხადა არავითარი გადასახადი. ასევე მათ შეეძლოთ ინგლისში თავისუფლად ეყიდათ და გაეყიდათ საქონელი, ეცხოვრად ამ ქვეყნის ნებისმიერ ქალაქში თუ საგაჭრო პუნქტში იმ გარანტიით, რომ არავითარ შემთხვევაში უცხოელ ვაჭართა საქონელს ხელს არავინ არ ახლებდა და ვერ დააპატიმრებდნენ მათ ინგლისში მეფის ნებართვის გარეშე. რაც შეეხება ქალაქების ბეილიფების, ისინიც ვალდებული იყვნენ დაეცვათ უცხოელ ვაჭართა ინტერესები. აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი ფაქტის შესახებაც: როგორც ცნობილია ედუარდ I-ის დროს 1285 წელს გამოიცა ორდონანსი, რომელიც კრძალავდა უცხოელი ვაჭრების მიერ საქონლის ზედმეტ ფასებში ხელმეორედ გაყიდვას ანუ სპეკულაციას. ორდონანსში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ინგლისში აიკრძალოს გადამყიდველთა არსებობა. ამას თან ახლდა დასჯის ფორმებიც, კერძოდ: ვინც პირველად იქნებოდა ამაში შემჩნეული, ის იხდიდა ჯარიმას და თან ჩამოერთმეოდა საქონლის გაყიდვის უფლება. თუკი იგი მეორედ იქნებოდა შემჩნეული ასეთ საქმეში, მას მიესჯებოდა სამარცხვინო ბოძზე გაკვრა, თუ მესამედ ჩასვამდნენ ციხეში და გადაახდევინებდნენ ჯარიმას, ხოლო ამ დანაშაულის მეოთხედაც

ჩადენის შემთხვევაში აძევებდნენ ქალაქიდან. ასეთი სასჯელი ელოდა ყველა რჯურის სპეკულიანტს, მათ შორის უცხოელებსაც და აგრეთვე, იმათაც ვინც მათ მფარველობას გაუწევდა.

ეს პრობლემა ამით არ გადაწყვეტილა. ის შემდეგაც იყო სამეფო სავაჭრო პოლიტიკის ზრუნვის საგანი. 1390 წელს გამოიცა სპეციალური ბრძანება, რომლითაც იკრძალებოდა სპეკულაცია.

ედუარდ I-ის მიერ გამოცემულ ქარტიას საფუძვლად დაედო უდიდესი მოგების სურვილი, რომელიც ხაზინას შეეძლო მიეღო უცხოელი ვაჭრებისაგან. მათგან უფრო ადვილი იყო გადიდებული საბაჟო გადასახადების აკრეფა, ვიდრე ადგილობრივი ვაჭრებისაგან. ამ ფაქტორის წყალობით უცხოელი ვაჭრები ინგლისში ხანგრძლივი ვადით რჩებოდნენ და ღებულობდნენ დიდძალ მოგებას. ამის გამო ისინი ბაჟების გადახდაზე უარს არ ამბობდნენ, მაშინ როდესაც ინგლისელი ვაჭრები სახელმწიფო გადასახადებსაც ძლივსძლივობით თუ იხდიდნენ.

აქედან გამომდინარეობდა ის, რომ ინგლისის მეფეები უცხოური ვაჭრობის განვითარებას მიიჩნევდნენ თავიანთი ხაზინის გამდიდრების წყაროდ და, ამდენად, არ იყვნენ დაინტერესებულნი ადგილობრივი, ნაციონალური ვაჭრობის განვითარებით. მაგრამ მოგვიანებით აშკარად შეიცვალა ინგლისის სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულება უცხოელი ვაჭრების მიმართ. 1309 წელს ინგლისის მეფემ ედუარდ II-მ (1307-1327) შეცვალა ედუარდ I-ის მიერ შემოღებული ბაჟები და გააუქმა უცხოელ ვაჭართა პრივილეგიები, რისთვისაც იბრძოდნენ ლონდონელები. ეს დიდხანს არ გაგრძელებულა და ედუარდ II-მ 1322 წელს დროებით ასევე აღადგინა უცხოელ ვაჭართა პრივილეგიები, რასაც მოჰყვა ლონდონის მოსახლეობის აჯანყება. მათ დაანგრიეს ფლორენციელ ვა-

ჭართა სახლი, რომლებიც იყვნენ მეფისა და მაგნატების კრედიტორები.

უცხოელ ვაჭრებს დიდხანს არ უსარგებლიათ პრივილეგიებით. 1327 წელს ედუარდ III (1327-1377) იძულებული გახდა ხელმეორედ გამოეცა ქარტია, რითაც საბოლოოდ დააკმაყოფილა ლონდონელი ვაჭრების მიერ წამოყენებული მოთხოვნები და შეზღუდა უცხოელ ვაჭართა უფლებები. ამ ქარტიით მათ აეკრძალათ ინგლისის ტერიტორიაზე სავაჭრო ფაქტორებისა და გილდიების ქონის უფლება, ხოლო რაც შეეხება ჩამოტანილ საქონელს, ის უნდა გაეყიდათ ჩამოსვლიდან 40 დღის განმავლობაში.

ამას თან ერთვოდა ერთი საინტერესო ფაქტორიც. XIV საუკუნის ინგლისის მოსახლეობის თვალსაზრისით უცხოელი ვაჭარი თაღლითს წარმოადგენდა. ამიტომ მათი საქონლის ყიდვას ქალაქებში დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ. ამიტომ ქალაქში წასულ უცხოელ ვაჭარს არ ჰქონდა უფლება ემოქმედა ისე, როგორც მოისურვებდა. მას შეეძლო საქონელი გაეყიდა ბითუმად და არა საცალოდ, არამედ თავიანთი საქონელი მათ უნდა მიეყიდათ მხოლოდ ქალაქში მცხოვრებთათვის. უცხოელს არ ჰქონდა უფლება ეცხოვრა ნებისმიერ ბინაში. ის ვალდებული იყო ბინა დაედო იმ მოქალაქესთან, ვისაც სახლის პატრონად დაუნიშნავდა ქალაქის მაგისტრატი.

სამეფო ხელისუფლების მიერ უცხოელი ვაჭრებისადმი დამოკიდებულების ასეთი ფორმის შემოღება ორმა ფაქტორმა განაპირობა: პირველი, უცხოელი ვაჭრის მიმართ იმ დროის ინგლისში ჩამოყალიბებული შეხედულებების საფუძველზე, დაეცვათ მოსახლეობა უცხოელი თაღლითებისაგან. უფრო მეტიც, იმდროინდელ ინგლისელთა წარმოდგენით, თუ ორი უცხოელი ერთად მოიყრიდა თავს, არ შეიძლედობა მათ რაიმე ბოროტება არ გაევლოთ გულში. მეორე, ასეთი შეზღუდვებით დაეცვათ ინგლისელი ვაჭრების ინტერესები

ისე, რომ ხელისუფლებას უცხოელ ვაჭართაგან მიღებული შემოსავალიც არ დაჰკარგვოდა.

ინგლისში XIV საუკუნეში საფუძველი ჩაეყარა ადრეული მერკანტილიზმის პოლიტიკას ანუ ე.წ. ''მონეტალურ სისტემას''. ამ მხრივ საინტერესოა იმ დროის ის კანონები, რომელთა მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტი ოქრო მიეზიდათ ქვეყანაში. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებოდა რიჩარდ II-ის დროს გამოცემული კანონი, რომელიც მოქმედებდა XVI ს-მდე. მის თანახმად ინგლისური მატყლის ყველა მყიდველს გადასახდელი ფულის ნაწილი უნდა მიეტანა კალეში, ვერცხლის ან ოქროს ზოდის სახით, რათა მოეჭრათ მისგან ინგლისური მონეტა ხოლო 1397 წელს ყველა ვაჭარს როგორც ინგლისელს, ისე უცხოელს, დაეკისრა ქვეყნის გარეთ გატანილ ყოველ ბარდანა ტყავზე ან ყოველ ტომარა მატყლზე ინგლისში შემოეტანა უცხოური უნცია-ოქრო.

აქედან გამომდინარე, ძნელი არაა იმის დანახვა, რომ ინგლისის სამონეტო და საგადასახადო პოლიტიკის ამოსავალი წერტილი იყო მერკანტილიზმი უხეში ფორმით: ''უფრო მდიდარია ის ქვეყანა, რომელსაც ოქროსა და ვერცხლის მეტი მარაგი აქვს'' ამაში გამოიხატებოდა ძირითადად აღნიშნული პოლიტიკის არსი და მასში, რა თქმა უნდა, ასწლიანი ომის შედეგებიც ღრმად აისახა. როგორც ვიცით, ამ ომის დროს სამხედრო ხარჯების გამო ინგლისიდან გავიდა ნახევარზე მეტი ძვირფასი ლითონი. ამიტომ რიჩარდ II-ის დროს (1377-1399 წწ) მკაცრი სასჯელის მუქარით სასტიკად აიკრძალა მისი გატანა ინგლისიდან, დამნაშავე ცხადდებოდა ''სახელმწიფოს მოღალატედ''.

ოქროს ფული ფლორინი ყველაზე ადრე მოიჭრა ფლორენციაში, შემდეგ ვენეციაში- დუკატი, ანუ ცეხინი, მერე ინგლისში–როზენობლი (''კეთილშობილი ვარდი'') – ინგლისში გერბზე აღბეჭდილი ვარდის გამო. თუმცა ინგლისიდან ოქროსა და ვერცხლის გატანა იკრძალებოდა XIV საუკუნის

პირველ მეოთხედში (1331 წელი) ოქროს მონეტები, რომლებიც სპეციალურად იჭრებოდა საგარეო ვაჭრობისათვის მაინც რჩებოდა კონტინენტზე თავისი ხარისხისა და მცირე ოდენობის წყალობით. ოქრო, რომელიც მიმოქცევაში იყო გერმანიაში, ნიდერლანდებში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში ინგლისური როზენობლის გარდა, გამოიყენებოდა ვერცხლის გულდენი. რაინი იყო მეორე ინგლისის შემდეგ ოქროს და ვერცხლის გავრცელების მიხედვით ჩრდილოეთ ევროპაში.

1343 წელს ედუარდ მესამემ მოჭრა პირველი ოქროს მონეტა, რომელიც თავისი მაღალი ღირებულების გამო თითქმის არ გამოიყენებოდა. 1344 წელს მოიჭრა ახალი მონეტები როზენობლები, 77გრანი-, 6 შილ, 8 პენსი. XIV საუკუნეში როზენობლების წონა შენარჩუნებულ იქნა 1351 წლის დონესთან. 120 გრანამდე თუმცა ზოგჯერ ეცემოდა 113 გრანამდე. 1412 წელს იჭრებოდა როზენობლი 108 გრანის წონით და უდრიდა 6შილ, 8პენს. იგი პირველად მოიჭრა 1465 წელს ედუარდ IV დროს. 1470 წლიდან დაიწყეს ანჟელეტების მოჭრა, რომელთაც შეცვალეს როზენობლები იწონიდა 80 გრანს და უდრიდა 6 შილინგს და 8 პენსს. XIV საუკუნის ბოლოს რიჩარდ III –ის (1483-1485 წწ) და ჰენრი VII-ის დროს იჭრებოდა ანჟელები და ანჟელეტები.

უცხოელი ვაჭარი, რომელიც ინგლისში ჩამოიტანდა საქონელს გასაყიდად აღებული თანხის ნახევრით მაინც უნდა ეყიდა ამ ქვეყნის მატყლი, ტყავი, ტყვია, კალა, კარაქი, ყველი და მაუდი ან სხვა ადგილობრივი საქონელი და შეეძლო ინგლისიდან გაეტანა მოგებული თანხის მხოლოდ ნახევარი. მერკანტილიზმის პოლიტიკის მიზანს ემსახურებოდა ჰენრი VII-ის (1485-1509 წწ) დროს გამოცემული კანონები,რომელიც კრძალავდა უცხოური ფულის გამოყენებას. ამავე დროს ინგლისში ძვირფასი ლითონების ანუ ''სიმდიდრის''

შენარჩუნების მიზნით დადგენილი იყო, რომ არავითარი გადასახადი არ უნდა მიეცათ უცხოელებისათვის ოქროთი.

მერკანტილიზმის პოლიტიკა მიზნად ისახავდა ეროვნული მრეწველობის და ვაჭრობის განვითარებას, უცხოელი ვაჭრების შეზღუდვას, მათ მიერ ინგლისში გაყიდულ საქონელში მაღებული თანხის ნახევრით ინგლისური საქონლის შესყიდვით და სამამულო საქონლის გატანას ქვეყნის გარეთ, ე.ი. უცხოელი ვაჭრების მიერ მოგებული თანხის დატოვებას ინგლისში. ამგვარ პოლიტიკას უნდა გამოეწვია ინგლისის ეკონომიკური აყვავება. ამის უდავო გარანტი იქნებოდა სამეფო ხელისუფლების მიერ ქვეყნიდან უცხოეთში ოქროსა და ვერცხლის გატანის აკრძალვა.

საგარეო კონკურენტების ჩამოშორებაში ან მათ შეზღუდვაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სამეფო ხელისუფლების პოზიციას. მერკანტილიზმის პოლიტიკის წყალობით ინგლისელი ვაჭრები თავიანთ მოთხოვნათა განხორციელებაში დაინტერესებული იყვნენ ჰქონოდათ მეფისაგან მხარდაჭერა. სწორედ ამას ნათელოყოფს ედუარდ IV-ის დროს ორჯერ – 1464 და 1478 წლებში პარლამენტის მიერ გამოცემული სტატუტები, რომლებითაც იზღუდებოდა უცხოელების ვაჭრობა ინგლისის ტერიტორიაზე. ეს სტატუტები იცავდა ადგილობრივი, ინგლისელი ვაჭრების ინტერესებს. 1465 წლის სტატუტით უცხოელ ვაჭრებს საქონლის გაყიდვიდან სამი თვის შემდეგ უნდა მოეხდინათ მოგებული ფულის რეალიზაცია, ინლისური საქონლის ყიდვის მეშვეობით და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაეტანათ ძვირფასი ლითონი ინგლისიდან. ეს კიდევ ერთხელ ნათლად ავლენს ქვეყანაში ოქროსა და ვერცხლის დაგროვების მონეტარული სისტემის იდეას, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სახელმწიფო პოლიტიკაზე. ხოლო რაც შეეხება ჩამოყალიბებულ მერკანტილისტურ სისტემას, იგი მონეტარულ იდეას ეფუძნებოდა ე.ი. ქვეყნის კეთილდღეობა იყო არა ძვირფასი

ლითონის გატანის აკრძალვაზე დამოკიდებული, არამედ წარმოების განვითარებაზე, აქტიურ სავაჭრო ბალანსზე.

ამ პოლიტიკის გატარება XV საუკუნიდან დაიწყო და თანმიმდევრულად იმარჯვებდა. მისი მთავარი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ მომგებიანი სავაჭრო ბალანსი შექმნილყო. იმ დროის სახელმწიფო პირები ფიქრობდნენ, რომ, თუ გატანილი საქონელი გადააჭარბებდა შემოტანილ საქონელს, გაიზრდებოდა ქვეყნის სიმდიდრე.

აქვე ისევ ვუბრუნდებით მონეტარული სისტემის იდეას. ამ პრინციპის განხორციელებას ისახავდა მიზნად 1484 წლის სტატუტი, რომელიც მოითხოვდა უცხოელი ვაჭრებისგან, რომ გაყიდული საქონელის მოგებიდან, მათ შეესყიდათ ინგლისური საქონელი. ამავე წელს პარლამენტმა მიიღო ''აქტი იტალიელი ვაჭრების შესახებ'', რომელიც უკრძალავდა მათ საწყობებში თავიანთი საქონელის გაჩერებას იმ მიზნით, რომ დალოდებოდნენ მომგებიან საბაზრო კონიუნქტურას. ისინი ვალდებულნი იყვნენ, რომ გაეყიდათ ჩამოტანილი საქონელი რვა თვის განმავლობაში, ხოლო ის საქონელი კი, რომელიც დარჩებოდა გაუყიდავი ამ ხნის მანძილზე, უნდა გაეტანათ ინგლისიდან მომდევნო ორი თვის მონაკვეთში.

გარდა აღნიშნულისა, იყო სხვა ძირეული მომენტებიც. კერძოდ, უცხოელი ვაჭრები დიდი ოდენობით ყიდულობდნენ მატყლს. ამიტომ ისინი საშიშ კონკურენტს წარმოადგენდნენ ინგლისელი ხელოსნებისა და ვაჭრებისათვის. ცხადია, ამის გამო ადგილობრივი ვაჭრები და ხელოსნები მტრულად იყვნენ განწყობილნი უცხოელი ვაჭრების მიმართ. ადგილი ჰქონდა მათთან სისხლიან შეტაკებასაც, ასეთთა რიცხვს განეკუთვნება 1482 წელს მომხდარი რამოდენიმე შეტაკება ინგლისელებსა და ჰოლანდიელებს შორის, ამან დაუდო სათავე ედუარდ IV-ის სპეციალურ ბრძანებას, რომლის თანახმად, ოსტატები პასუხს აგებდნენ არა მარტო თავიანთ მოქმედებაზე, არამედ ქარგლებისა და შეგირდების მოქმედებაზე.

უფრო მეტიც: ოსტატებიც ისე აგებდნენ მათ დანაშაულზე პასუხს, როგორც საკუთარზე. 1523 წელს ლონდონის სიტიში მოხდა ლონდონელი ვაჭრების გამოსვლა ჰანზელების წინააღმდეგ, რომელიც დროზე ჩაახშვეს. ინგლისელი ვაჭრები აგზავნიდნენ ზღვის გაღმა სხვადასხვა ხარისხის მაუდს – თეთრს და ფერადს, ძვირფასსა და იაფს. ინგლისურ მაუდს მომეტებულად ყიდულობდნენ ლონდონში, ასევე სამხრეთ დასავლეთ ინგლისში, სადაც სწრაფად ვითარდებოდა მაუდის მანუფაქტურა. ამ რაიონში ინგლისელ ვაჭრებს კონკურენციას უწევდნენ ჰანზელები, რომლებიც ვაჭარ-ავანტიურისტებისაგან განსხვავებით, ანგარიშს ასწორებდნენ ნაღდი ფულით. ამის გამო ინგლისელი ვაჭრები ჩიოდნენ, რომ ჰანზელები ყიდულობდნენ ქალაქელი ვაჭრებისაგან ქსოვილს ნაღდი ფულით, ხოლო ეს უკანასკნელნი იხდიდნენ თავიანთ ნივთებზე სურათებით, ტენისის ბურთებით, თევზსაჭერი ანკესებით, ფუნჯებითა და მსგავსი ნივთებით. ისინი ჩიოდნენ აგრეთვე იმის შესახებაც, რომ ჰანზელები ინგლისში სარგებლობდნენ მეტად დიდი პრივილეგიებით და ხელისუფლების მხარდაჭერით, ხოლო მათ, ინგლისელ ვაჭრებს ჰანზელთა ქვეყანაში არ ჰქონდათ რაიმე უფლება გარდა იმისა, რაზეც საბაჟო ხელისუფლება დართავდა ნებას. გარდა ამისა, ინგლისელი ვაჭრები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ჰანზელები მათ ახდევინებდნენ უკანონო ბაჟს.

ინგლისის სამეფო ხელისუფლების სავაჭრო პოლიტიკა XV-XVI საუკუნეებში არ იყო ერთგვაროვანი და თანმიმდევრული. თავდაპირველად უცხოელი ვაჭრების მიმართ მფარველობითი პოლიტიკა, უწინარეს ყოვლისა, ნაკარნახევი იყო მათზე დაწესებული საბაჟო გადასახადებით, სამეფო ხაზინის გამდიდრების აუცილებელი სურვილით, რაც აფერხებდა ნაციონალური ვაჭრობის განვითარებას. მაგრამ XIV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან გატარებულმა მერკანტილიზმის პოლიტიკამ დიდად შეუწყო ხელი ინგლისელი ვაჭ-

რების ინტერესების დაცვას. საკუთრივ მერკანტილიზმის პოლიტიკამ ინგლისში გაიარა ორი ეტაპი:

პირველი ეტაპი – ადრეული მერკანტილიზმის პოლიტიკა ე.წ. ''მონეტალური სისტემა'', რომელიც გულისხმობდა ოქროსა და ვერცხლის მარაგის შექმნას ქვეყანაში. იმ დროს გამოცემული კანონებით (1397წ: 1464წ: 1465წ: 1478წ:) აკრძალული იყო ოქროს გატანა ქვეყნიდან, უცხოელ ვაჭარს მოგებული ფულის ნახევარი უნდა დაეხარჯა ინგლისში ადგილობრივი საქონლის შესასყიდად, არავითარი გადასახადი არ უნდა მიეცათ უცხოელისათვის ოქროთი, ინგლისური მატყლის ყველა შემსყიდველს ფულის ნაწილი უნდა მიეტანა ვერცხლის ან ოქროს ზოდის სახით.

მეორე ეტაპი – გვიანდელი მერკანტილიზმის პოლიტიკა გულისხმობდა ქვეყნის კეთილდღეობის დამოკიდებულებას არა ძვირფასი ლითონების გატანის აკრძალვაზე, არამედ მაუდის წარმოების და ვაჭრობის განვითარებაზე.

ბოიკოტის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა სამეფოს წერილობითი ბრძანება, რომელიც უცხოელ ვაჭრებს უკრძალავდა საცხოვრებლად ინგლისში დარჩენას თუ მათ მეფისაგან სპეციალური ნებართვა არ ექნებოდათ.

აღნიშნული პოლიტიკიდან გამომდინარე, აიკრძალა ძვირფასი და ძვირადღირებული მატყლის გატანა, რომელიც არ მისცემდა ინგლისს იმდენ მოგებას, რაც ამ მატყლისაგან დამზადებული შალის ქსოვილის გატანა მოუტანდა. მთავრობის ეს ღონისძიება პირდაპირ ხელს უწყობდა ადგილობრივი მაუდის მრეწველობის და ეროვნული ვაჭრობის განვითარებას. ეს ფაქტი ცხადად წარმოაჩენს იმას, რომ ინგლისის სამეფო ხელისუფლება დაინტერესებული იყო თავის ქვეყანაში ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებით.

ინგლისის საზღვაო ფლოტის განვითარება

ინგლისის საგარეო ვაჭრობის განვითარებას, დახმარება უნდა გაეწია სამეფოს სავაჭრო ფლოტისა და გემთმშენებლობის განვითარებისათვის. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენს ის სანავიგაციო აქტები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ნაციონალური საზღვაო ფლოტის მშენებლობას.

ინგლისის საზღვაო ფლოტის განვითარებას ორი სახის ამოცანა უნდა გადაეწყვიტა. მას ხელი უნდა შეეწყო, ერთი მხრივ, სავაჭრო და მეორე მხრივ, სამხედრო ფლოტის გაძლიერებისათვის. ინგლისის სავაჭრო ფლოტის წინსვლა ჯერ კიდევ ედუარდ III-ს (1327-1377) დროს დაიწყო. 1369 წელს გამოცემული პირველი''სანავიგაციო აქტის'' ძალით, ინგლისელ ვაჭრებს ეკრძალებოდათ საქონლის გატანა უცხოური გემებით, ხოლო რიჩარდ II-ის მიერ 1381 წელს მიღებული მსგავსი აქტი ადგენდა: ''იმისათვის, რომ გაიზარდოს ინგლისის სავაჭრო ფლოტი, რომელიც ამ დროს დასუსტებული იყო, მოიწონეს და აღიარეს, რომ ამიერიდან მეფის ყოველ ქვეშევრდომს უნდა დაეტვირთა საქონლით მხოლოდ საკუთარი გემები". წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი პირის მიერ ჩამოტანილ საქონელს მოელოდა კონფისკაცია. ამასთანავე საქონლის მესამედი გადაეცემოდა დამბეზღებელს. აღნიშნულ სანავიგაციო აქტს 1382 წელს დაემატა კიდევ ერთი პუნქტი, რომლის თანახმად ინგლისელთა გემები მეტწილად უნდა ყოფილიყო გამოყენებული, ვიდრე უცხოელთა გემები, ხოლო 1390 წლის სანავიგაციო პუნქტში ვკითხულობთ, რომ გემის მეპატრონე ინგლისელებს შეეძლოთ ესარგებლათ თავისი უპირატესობით.

ანალოგიური კანონები გამოქვეყნდა ედუარდ IV-ის (1461-1483) მეფობის დროსაც. 1489 წლის სანავიგაციო აქტის მიხედვით, ვაჭრებს გასკონიიდან მხოლოდ ინგლისური გემე-

ბით შეეძლოთ ჩამოეტანათ ღვინო და საღებავები. ეს მაშინ, როდესაც ამ დროს (XVს) უცხოელ ვაჭრებს (იტალიელებს და ჰანზელებს) ჯერ კიდევ შემოჰქონდათ ლონდონში საქონელი საკუთარი გემებით.

ინგლისელებს ზღვის გაღმა, ძირითადად, საქონელი გაჰქონდათ ადგილობრივი გემებით, რაც იმ დროის საზღვაო ფლოტის განვითრებაზე მიგვანიშნებს. თუმცა უცხოური (ესპანური, ჰოლანდიური, პორტუგალიური, ჰანზის) სამხედრო გემების დაქირავება განპირობებული უნდა ყოფილიყო – ორი გარემოებით: პირველი, როცა გემებს ესაჭიროება სამხედრო დაცვა მტრისაგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით და, მეორე, როგორც ჩანს არ იყო საკმარისი ინგლისური გემები მაუდით ვაჭრობის მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ინგლისის საზღვაო ფლოტის განვითარებას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ ადრე, XIV საუკუნეში, როცა სამეფო ხელისუფლების მიერ გამოიცა სანავიგაციო აქტები, რომელიც პირდაპირ მიუთითებდა ნაციონალური საზღვაო ფლოტის მშენებლობას. შემდეგ პერიოდში შეინიშნება მისი სწრაფად განვითარების ტენდენციები. ამის დასტურად მოვიყვანთ შემდეგ მონაცემებს: 1511-1515 წლებში, ჰენრი VIII –ის მმართველობის პერიოდში ინგლისის საზღვაო ფლოტი ითვლიდა 18 ხომალდს, ხოლო, 1547 წელს კი 50-ს ელისაბედ პირველის გარდაცვალების დროს (1603 წ.) კი ინგლისი ითვლიდა 200-მდე საბრძოლო და სატრანსპორტო გემებს.

ინგლისის საგარეო ვაჭრობის აღმავალი გზით გაფართოებამ ხელი შეუწყო სავაჭრო-სამხედრო ფლოტისა და გემთმშენებლობის განვითარებას.

თემა მეოთხე

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები

ლიტერატურაში არსებობს ზოგიერთი ისტორიკოსის გაზვიადებული წარმოდგენა, რომ ამ აღმოჩენებმა განაპირობეს კაპიტალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარება, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა ხელი შეუწყვეს მის განვითარებას იმ სახელმწიფოებში,სადაც კაპიტალიზმი უკვე ჩასახული იყო.

გეოგრაფიული აღმოჩენები იყოფა ორ ჯგუფად:

1.საზღვაო გზის აღმოჩენა შორეული აზიისაკენ.

2.ახალი კონტინენტის – ამერიკის აღმოჩენა.

ევროპისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლევანტის ვაჭრობას აღმოსავლეთის ქვეყნებთან, მაგრამ იგი შეზღუდული იყო მხოლოდ ხმელთაშუა ზღვის ქალაქების ვაჭრობის განვითარებით.

მეორე ცენტრი ვაჭრობისა იყო ბალტიის ზღვა და თეთრი ზღვა. აქ დიდი როლი ითამაშეს სკანდინავიელმა ვარიაგებმა. მასში ჩაება ჩრდილოეთის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, მაგრამ ეს იყო შეზღუდული ვაჭრობა, ვინაიდან ის ფერხდებოდა ზამთრის პერიოდში.

ევროპაში არსებობდა დაინტერესება ინდოეთის გზით. აქ შედიოდა: ინდოეთი, ინდოჩინეთი, ინდონეზიის კუნძულები, იაპონია-ჩინეთიც, აღმოსავლეთის ქვეყნები. XIII ს-მდე ინდოეთის შესახებ ზღაპრული წარმოდგენები იყო.

პირველი ცნობები ინდოეთის შესახებ მიიღეს მონღოლების დაპყრობების დროს. ასე მაგალითად, 1247-1249 წწ **პლანო კარპინი** იტალიელმა ბერმა ინოკენტ III-მ (1198-1216) გაგზავნა, რათა ყაენი გაექრისტიანებინა. პლანო კარპინმა (ვენეციელმა ვაჭარმა) 11 წელი გაატარა ყაენის კარზე. მან მოიარა ქვეყნები.

ჩინეთში ჩავიდა ცნობილი იტალიელი მოგზაური და მწერალი **მარკო პოლო** (1254-1324 წწ). იგი 1271-1275 წწ ზღვით მივიდა მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, გაიარა სომხეთის მთიანეთი, მესოპოტამია, ირანის ზეგანი, პამირი, კაშგარი და შემდეგ მოხვდა ჩრდილოეთ ჩინეთში. აქ მან ძალიან დიდი ხანი გაატარა და ყაენის ძმის ერთ-ერთი პროვინციის გამგებლადაც კი იყო დანიშნული. ყაენის სამსახურში ყოფნის დროს 1292 წლამდე მან მოინახულა ჩინეთის სხვადასხვა მხარე. 1295 წელს იგი წამოვიდა სამხრეთ ჩინეთიდან. ყაენმა მას გაატანა საცოლე ირანის გამგებლისათვის. მარკო პოლომ გაიარა ირანი და ზღვით დაბრუნდა ვენეციაში. დაახლოებით 1297 წელს მარკო პოლო ტყვედ ჩაუვარდა გენუელებს. მარკო პოლოს წიგნი დაიწერა 1298 წელს იმ ნაამბობის საფუძველზე რომელიც მისგან ჩაიწერა ტუსაღმა **რუსტიჩინომ**. გენუელთა სატუსაღოში ტყვეობაში ყოფნისას დაწერა წიგნი" აღმოსავლეთის ქვეყანათა სასწაულთა შესახებ".

XIV ს-ში ადგილი აქვს თურქების ახალ დაპყრობებს. ოსმალებმა შექმნეს ახალი სახელმწიფო მცირე აზიაში, XIV ს-ის მე-2 ნახევარში წაიწიეს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ისინი მიადგნენ დუნაის, შეიჭრნენ საბერძნეთში. ბიზანტიას ეკუთვნოდა მხოლოდ კონსტანტინეპოლი. ბიზანტიის დღენი დათვლილი იყო. მაგრამ მათ მოევლინა დამხმარე თემურ-ლენგი. ცნობილია 8 შემოსევა თემურ-ლენგის XIV ს 80-იან წლებში – XV ს. დამდეგამდე. 1402 წელს გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ანგორასთან (ანკარა) მცირე აზიაში.

XV საუკუნეში ბიზანტიას ბოლო მოეღო. 1453 წელს სულთანმა მეჰმედ II-მ აიღო კონსტანტინეპოლი და დაიღუპნენ ქალაქის უკანასკნელი დამცველები. მათ შორის კონსტანტინეპოლის XI იმპერატორიც.

თურქები გადავიდნენ დუნაიზე, დაიპყრეს უნგრეთის

ერთი ნაწილი. უნგრეთის მე-2 ნაწილი დაიპყრო ავსტრიამ. სირია, პალესტინა, ეგვიპტე, არაბეთი, ჩრდილოეთ აფრიკაში მავრიტანული სახელმწიფოები დაიპყრეს თურქებმა. ამდენად, ჩაიკეტა სავაჭრო გზა ხმელთაშუაზღვის მიმართულებით.

ხმელთაშუა ზღვის გვერდის ავლით სურდათ პირდაპირი გზის გადაჭრა ინდოეთისაკენ. ინიციატივა ერთი შეხედვით უნდა ჰქონოდა ვენეციას და გენუას, მაგრამ ასე არ მომხდარა.

არსებობდა ზღაპრული წარმოდგენები შორეულ ქვეყნებზე. თითქოს ცხოვრობდა ცალხელა, ცალთვალა, ცალფეხა კაცი და ა.შ. დაბალი იყო საზღვაო ტექნიკა. ამიტომ შუა საუკუნეებში **კაბოტაჟურ** მოგზაურობას ჰქონდა ადგილი. პორტუგალიელებმა გამოიგონეს ახალი იალქნიანი გემი-კარაველა. ეს იყო მსუბუქი, ხის, იალქნიანი ხომალდი, რომელიც იალქნებით ცურავდა. ეს არ იყო პრაქტიკული, რადგან იგი საჭიროებდა ქარს, უქარო ამინდში ვერ გაცურავდა. მაგრამ იმ დროისათვის ასეთი ხომალდი მნიშვნელოვანი იყო. გაჩნდა ახალი ხელსაწყო-კომპასი. კარტოგრაფია, გრადუსთა ბადის შედგენას ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გაჩნდა სხვა ხელსაწყოებიც.

პორტუგალელთა მოგზაურობა იწყება XV ს-ის დამდეგს. მეკობრეთა ბუდე იყო სუეტა-აფრიკის კონცხი გიბრალტარისკენ. 1415 წელს პორტუგალელებმა აიღეს **სუეტა.** ექსპედიციაში მონაწილეობა მიიღო პორტუგალელთა მეფის ჟუან I შვილმა **ენრი კეშმა** ანუ ენრი მეზღვაურმა. მან დაარსა მეზღვაურთა სკოლა. იგი საკუთარი ხარჯით კარაველებს გზავნიდა აფრიკის დასავლეთი სანაპიროების გამოსაკვლევად. პორტუგალელმა მეზღვაურებმა მიაღწიეს კონცხს. ფიქრობდნენ, რომ სამხრეთისაკენ ცურვა არ შეიძლებოდა. ეს იყო კონცხი ნუნ (არა). ვინც გაივლის კონცხს ან დაბრუნდება ან არა-ასეთი წარმოდგენა იყო.

1442 წელს პორტუგალელებმა ზანგების პირველი პარტია ჩამოიყვანეს ევროპაში. დაიწყეს მოგზაურობა მონებზე ნადირობისათვის. მოერეკებოდნენ შავკანიანებს და მონებად ჰყიდდნენ. პორტუგალიის მეფის ჟუან II-ის განკარგულებით, ყოველ დაპყრობილ ადგილზე იდგმებოდა ღერბი (ე.ი. ეს ნიშნავდა რომ იყო პორტუგალიის სამფლობელო). გადასერეს ეკვატორი. 70-იან წლებში ტროპიკი გადალახეს. გაბათილდა თეორია ტროპიკული სარტყლის გაუვლელობის შესახებ.

მნიშვნელოვანია **ბართლომე დიასის** მოგზაურობა. 1496 წელს ის აწყობს ექსპედიციას 3 კარაველათი. მან, როცა გადასერა სამხრეთის ტროპიკი, აიღო გეზი სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, შეიქნა ზღვის ღელვა, გაიტაცა გემები. ექსპედიცია ორი კვირა გაგრძელდა. მან შემოუარა აფრიკას, მიადგა სამხრეთ ნაწილის კონცხს და მას კეთილი იმედის კონცხი დაერქვა ნიშნად იმისა, რომ აღმოაჩინეს ინდოეთი.

როგორ მოხდა რომ ესპანეთი და პორტუგალია ეკონომიკურად და პოლიტიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები უფრო ადრე და აქტიურად ჩაებნენ საზღვაო გზების ძიებაში?

ატლანტიკის ოკეანეზე გავლით ინდოეთისაკენ მიმავალი საზღვაო გზები ხელსაყრელი იყო, ოკეანისა და ჩრდილოეთის ზღვისპირა სახელმწიფოებისათვის – ესპანეთი, პორტუგალია, საფრანგეთი, ჰოლანდია და ინგლისი.

პორტუგალელებს და ესპანელებს გაგონილი ჰქონდათ, რომ აფრიკის მდინარეების თავთხელებში აურაცხელი ოქრო მოიპოვებოდა. ოქრო ის ჯადოსნური სიტყვა იყო, რომელიც ევროპელებს, კერძოდ, ესპანელებს და პორტუგალელებს ატლანტიკის ოკეანით დასავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით ერეკებოდა.

მათ იზიდავდათ აგრეთვე აფრიკის ზანგებიც, რომელთაც მონებად ჰყიდდნენ. ეს საქმე მათ დიდ მოგებას აძლევდა. მთავარი და გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც ჰქონდა,

ამ ქვეყნებში არსებულ საზღვაო ფლოტს-კარაველებს, რომელთა საშუალებით შეიძლებოდა ოკეანეში ცურვა.

ამერიკის აღმოჩენა

ამერიკის აღმოჩენა დაკავირებულია ქრისტეფორე კოლუმბის სახელთან. მან ექსპედიცია მოაწყო ესპანეთიდან. ესპანეთი პოლიტიკურად დაქუცმაცებული ქვეყანა იყო. აქ გამოირჩეოდა ორი სამთავრო:

არაგონიის, რომელსაც მართავდა მეფე ფერდინანდი.

კასტილიას კი დედოფალი იზაბელა.

1479 წელს ფერდინანდი და იზაბელა დაქორწინდნენ და არაგონია და კასტილია გაერთიანდა. 1492 წელს გაერთიანებულმა ესპანეთის სამეფომ იერიში მიიტანა არაბთა უკანასკნელ სამფლობელოზე-გრანადის საემიროზე. 1492 წელს რეკონკისტა დამთავრდა (რეკონკისტა ნიშნავს ესპანეთის მიერ წარმოებულ ბრძოლას არაბების მიერ წართმეული მიწების უკან დაბრუნებისათვის).

რეკონკისტის შემდეგ ათასობით წვრილი აზნაური (ჰიდალგო) მავრებთან (არაბებთან) ბრძოლაში ჩაბმული, განთავისუფლდა და უმუშევარი დარჩა. საზღვაო ექსპედიცია ხელსაყრელი იქნებოდა უმუშევრად დარჩენილი ჰიდალგოსათვის და მთავრებისათვის. ესპანელი ვაჭრები შურის თვალით უყურებდნენ პორტუგალიის ექსპანსიას. კათოლიკური ეკლესია ცდილობდა ახლად აღმოჩენილ წარმართ ქვეყნებში ქრისტიანობა გაევრცელებინა, რითაც თავის შემოსავალს გაზრდიდა. მთავრობა ყველა გამოსავალს მიმართავდა, რომ თავისი დაცარიელებული სალარო აღმოსავლეთის სიმდიდრით შეევსო. ამდენად, გეოგრაფიული აღმოჩენებით დაინტერესებული იყო თითქმის ყველა სოციალური ფენა.

ამერიკის აღმოჩენა, როგორც აღვნიშნეთ, უკავშირდება ქრისტეფორე კოლუმბს. კოლუმბი დაიბადა 1451 წელს შე-

მოდგომაზე გენუაში. მამამისი იყო დომინიგო კოლუმბი, ღარიბი შალის მწარმოებელი. 1470 წ-მდე ქრისტეფორე მუშაობდა შალის სახელოსნოში. 1470 წელს კოლუმბი თავის უმცროს ძმასთან ერთად გადასახლდა ლისაბონში (პორტუგალია). იქ მონაწილეობა მიიღო ექსპედიციებში. კოლუმბმა შეირთო პორტუგალელი მოგზაურის პერესტრელოს ასული, რომელმაც მდიდარი ბიბლიოთეკა დაუტოვა თავის ასულს. კოლუმბი დაეწაფა მის ლიტერატურას მოგზაურობათა შესახებ. 1485 წელს ის გადასახლდა ესპანეთში, რათა ბედი ეცადა ესპანეთის სამეფო კარზე. მას სჭირდებოდა აუდიენცია მეფე-დედოფალთან, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა. კოლუმბი დასახლდა ქ. კორდოვოში და იქ ცხოვრობდა გარკვეული პერიოდი. დედოფალმა იზაბელამ გრანადის აღებისთანავე დანიშნა მოლაპარაკება კომისიასთან, რათა განეხილათ კოლუმბის გეგმა. მაგრამ საბოლოოდ ეს მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა. ამის შემდეგ კოლუმბი გაემგზავრა საფრანგეთში, რათა შარლ VIII-თვის შეეთავაზებინა მისი წინადადება, მაგრამ მალევე იზაბელამ შიკრიკის მეშვეობით უკანვე დააბრუნა, მრჩევლებმა დაარწმუნეს იგი, თუ საფრანგეთი განახორციელებდა კოლუმბის გეგმას, ეს დიდ ზიანს მოუტანდა ესპანეთს. მეფეებმა ფერდინანდმა და იზაბელამ კოლუმბს მიანიჭეს აზნაურობა და უფლება მისცეს ექსპედიციის ჩატარებისა. ის დანიშნეს ადმირალად. სულ გამოუყვეს 3 ხომალდი:

1. სანტა-მარია (დიდი ხომალდი) მისი ტონაჟი 280 ტ.

2. პინტა – უფრო სწრაფმავალი ხომალდი – ძმები პინსონების.

3. ნინია – (ბავშვს ნიშნავს) – სამკუთხიანი იალქნიანი ხომალდი.

შეიქნა სიძნელეები. გაჭირდა მეზღვაურების შეკრება. არავის სურდა წასვლა დაღუპვის შიშის გამო. დედოფლის განკარგულებით გახსნეს ციხეები, რათა ქურდებს, ყაჩაღებს

მიეღოთ მონაწილეობა ექსპედიციაში. ამათ შორისაც ცოტა აღმოჩნდა მსურველი. სულ შეიკრიბა 90 კაცი. სანტა-მარიას ხომალდზე თავი მოიყარა უფრო უდისციპლინო და ავანტიურისტულად განწყობილმა ელემენტებმა.

1492 წელს 3 აგვისტოს დილით, მზის ამოსვლამდე კოლუმბის ფლოტი ნავსადგურ **პალოსიდან** გავიდა კანარის კუნძულების მიმართულებით.

ბევრი მეზღვაურთაგანი ეჭვით უყურებდა ამ ამბავს და მიაჩნდა, რომ ექსპედიცია ვერ მიაღწევდა თავის მიზანს და უშედეგო დალუპვა მოსალოდნელი იყო. ისინი წინასწარ დასტიროდნენ თავის უბედურებას.

კოლუმბმა თავიდანვე შემოიღო ორი დღიური. ერთში ზუსტად აღნიშნავდა ყოველდღიურად განვლილ მანძილს, რაც საიდუმლოდ ჰქონდა შენახული და მეორე, რომელშიც განვლილი მანძილი შემცირებული რაოდენობით შეჰქონდა, რომ შიში არ გამოეწვია მხდალ ზღვაოსნებს შორის ნამდვილად განვლილი დიდი მანძილით.

10 ოქტომბერს სანტა-მარიას ეკიპაჟი აწყობს ამბოხებას. მეამბოხეები მივარდნენ კოლუმბს და შეეცადნენ ზღვაში გადაეგდოთ, მაგრამ მეამბოხეთა შორის აღმოჩნდა გამჭრიახი პირები, რომელთაც შეაჩერეს ბოროტმოქმედების ინიციატორები. მათ შეეშინდათ, რომ დაბრუნებისას შეიძლება გზა აბნეოდათ. აღარ ეყოლებოდათ ისეთი გამოცდილი და გაბედული ზღვაოსანი, როგორც კოლუმბი იყო.

კოლუმბმა აღუთქვა მეამბოხეებს, რომ უკან დაბრუნდებოდნენ, იმ შემთხვევაში, თუ სამი დღის განმავლობაში ვერ მიაღწევდნენ ხმელეთს. პირველი მეზღვაური, რომელიც დაინახავდა მიწას, მისგან მიიღებდა 600 ოქროს მონეტას. 12 ოქტომბერს ღამე დაინახეს მიწა. პირველად ხმელეთი დაინახა მატროსმა **როდრიგო დე-ტრიანამ**. მან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მოითხოვა კუთვნილი ჯილდო.Kკოლუმბი გამოედავა, რომ მან პირველმა დაინახა სინათლე. საქმე სა-

სამართლომდე მივიდა. კოლუმბმა მოიგო.Mმას დაენიშნა პენსია სიკვდილამდე. როდრიგო დე-ტრიანამ იმდენად განიცადა ეს უსამართლობა, რომ მიიღო მაჰმადიანობა, მიატოვა სამშობლო და მაროკოში გადავიდა საცხოვრებლად.

ისინი მიადგნენ ერთ-ერთ კუნძულს ბაჰამის ანუ ლუკაის არქიპელაგს, რომელიც 3 ათასამდე დიდ და მცირე კუნძულს აერთიანებდა. გუანაჰანის კუნძულზე ადმირალმა აღმართა კასტილიის დროშა და იგი ესპანეთის საკუთრებად გამოაცხადა. კუნძულს უწოდეს სან-სალვადორო (წმ. მაცხოვარი). მან განაგრძო მოგზაურობა, მივიდა კუბასთან. მან გაგზავნა ელჩები ყაენის სანახავად, მაგრამ ვერ იპოვეს. მაგრამ იპოვეს: თამბაქო, სიმინდი, კარტოფილი. 1493 წელს ევროპელებმა წითელკანიანი ველურებისაგან ისწავლეს თამბაქო. კოლუმბი მიადგა კუნძულ ჰაიტის, რომელიც თავისი ბუნებით ესპანეთს წააგავდა. კოლუმბმა მას უწოდა ესპანიოლა, რაც "მცირე ესპანეთს" ნიშნავს. 12 დეკემბერს მან ეს კუნძულიც ესპანეთის საკუთრებად გამოაცხადა. აქ დააარსა პირველი ახალშენი. სულ 39 კაცი დასახლდა. პინტა გამოიქცა ევროპაში, გაავრცელეს ხმა კოლუმბი დაიღუპაო. კოლუმბი პატარა ხომალდით – ნინიათი დაბრუნდა. სანტა-მარია ჩაიძირა კუნძულ ესპანიოლასთან. ის დღესაც არის წყალში.

1498 წლის 20 აგვისტოს კუნძულ ესპანიოლაზე დაბრუნებულ კოლუმბს დახვდა აჯანყება. ისინი აჯანყდნენ მისი ძმის **ბარფოლომეას** (ვართოლომეას) წინააღმდეგ. ესპანელები ახდენდნენ ინდიელთა კოლონიზაციას. ყოველ მეამბოხეს ჰქონდა მიწის ნაკვეთი, რომლის დასამუშავებლად მიმაგრებული ჰყავდათ გარკვეული რაოდენობის ინდიელები. გაქცევისათვის ინდიელს ელოდა ან სიკვდილი ან მონად გადაქცევა. სამეფო ხაზინა იღებდა სამარცხვინო შემოსავალს ახალი კოლონიიდან.

ამ დროისათვის 1498 წელს პორტუგალელმა **ვასკო დე გამამ** შემოუარა სამხრეთიდან აფრიკას, გახსნა გზა ინდოე-

თისაკენ, დაამყარა მასთან ვაჭრობა, ხოლო 1499 წელს სამშობლოში სანელებლიბით დატვირთული დაბრუნდა. კოლუმბის მიერ აღმოჩენილ მიწებს არაფერი საერთო არ ჰქონდა მდიდარ ინდოეთთან, ეს უკვე სავსებით გასაგები იყო. თვით კოლუმბი ეგონათ მოლაყბე და მატყუარა.Mმასზე ვრცელდება ახალ-ახალი ხმები. ყველაზე საშიში იყო მისი ბრალდება სამეფო შემოსავლის დამალვის შესახებ. კოლუმბი დაადანაშაულეს. მთავრობამ 1499 წელს გააუქმა კოლუმბის მონოპოლია ახალი მიწების აღმოჩენაზე, რითაც ისარგებლა მისმა მტრებმა, ხოლო 1500 წელს ესპანიოლაზე გაიგზავნა **ფრანჩესკო ბობადილია**, რომელმაც დაიკავა კოლუმბის ადგილი. ქრისტეფორე კოლუმბს უნდა ჩაებარებინა მისთვის ყველა ციხე, გემი, ცხენი, იარაღი და სურსათი. ის დაბინავდა კოლუმბის სახლში, დაეუფლა მის ნივთებს, დოკუმენტებს და ფულს. ბოვადილმა გადაუხადა კოლონისტებს დაკავებული ჯამაგირი. ის გახდა ყველასათვის საყვარელი, როცა დართო ნება ესპანელებს მოეპოვებინათ ოქრო მთელი 20 ნლის ვადით და ხაზინაში უნდა შეეტანათ მოპოვებული ოქროს მეშვიდეთი ნაწილი (ადრე არსებული მესამედის ნაცვლად). მან დააპატიმრა კოლუმბი და მისი ძმები **ბარფოლომეა** და **დიეგო**. გააგზავნა სამივე ძმა ბორკილებით ესპანეთში. ადმირალს ეგონა, რომ მას დასჯიდნენ ესპანიოლაზე, მაგრამ გაუხარდა, როცა გემში ჩასვეს. კაპიტანმა შესთავაზა ადმირალს მოეხსნა ბორკილები, მაგრამ მან უარი თქვა და წარმოთქვა: "მეფეებმა მიბრძანეს მონანიება და ბობადილიამ ბორკილები დამადო, მე დავრჩები მასში მანამ, სანამ მეფეები არ ბრძანებენ მის მოხსნას. მე შევინახავ ამ ჯაჭვს სამახსოვროდ ჩემი დაფასებისა". 1500 წელს ოქტომბერში გემი შევიდა ნავსადგურ **კადისში**. როგორც ირკვევა ესპანეთში კოლუმბმა გაგზავნა წერილი გავლენიან ქალთან **ხუანე ტორესთან**, რომელსაც უნდა ეთხოვა შეწყალება იზაბელასათვის, მაგრამ კოლუმბი იხსნა არა შებრალებამ დედო-

ფალი იზაბელასი, არამედ კოლუმბის ბედით დაინტერესებულმა პირებმა, რომლებიც აფინანსებდნენ კოლუმბის ექსპედიციას. მეფეებმა მათი გავლენით გაათავისუფლეს კოლუმბი. ბრძანეს მიეცათ მისთვის 2 ათასი ოქრო, რათა გამოცხადებულიყო კარზე შესაფერის ფორმაში. ერთდროულად საიდუმლო ინსტრუქციები მიიღო ბობადილიამ. მეფეები ფერდინანდი და იზაბელა კარგად შეხვდნენ კოლუმბს, მისცეს დაპირებები, მაგრამ არც ერთი არ შეუსრულეს.

ბობადილია იყო სამეფო დავალებების დროებითი შემსრულებელი ჰაიტში. ის ხელმძღვანელობდა ოქროს მოპოვებას. ინდიელებს იყენებდნენ, როგორც დაქირავებულ ძალას, მაგრამ ბევრი იხოცებოდა. მეფის ბრძანებით დაიწყეს ესპანიოლაზე ზანგების გადაყვანა. ესპანიოლადან მოდიოდა ოქრო და მარგალიტი. 3 ათასმა კაცმა გამოთქვა სურვილი იქ წასვლაზე. 23 ხომალდი დასჭირდა მათ გადაყვანას ოკეანეზე. 1502 წელს ფლოტილია მიუახლოვდა **სანტო დომინგოს.**

ევროპელი ქრისტიანები საშინელებას სჩადიოდნენ. ინდიელებს როგორც არაადამიანებს ისე ექცეოდნენ: ცოცხლად წვავდნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხმლის ერთი დარტყმით ინდიელს ვინ უკეთ მოკვეთდა თავს, გაჰკვეთდა შუაზე ან შიგნეულს გამოუღებდა. ჩვილებს ფეხებში მოჰკიდებდნენ ხელს და ქვაზე უხეთქავდნენ თავებს, ართმევდნენ დედებს მკერდიდან ან ყრიდნენ მდინარეში. ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა სახრჩობელაზე ჰკიდებდნენ ან ცოცხლად წვავდნენ. თუ ინდიელი ერთ ევროპელს მოკლავდა, უნდა მოეკლათ სანაცვლოდ 100 ინდიელი.

ესპანელთა ასეთი არაადამიანური მოპყრობის შედეგად, ჰაიტის ადგილობრივი მოსახლეობის რიცხვი შემცირდა. 1515 წ–თვის მათი რიცხვი იყო 15 ათასამდე, ხოლო XVI ს-ის შუა ხანებში გაქრა. ჩამოჰყავდათ ინდიელები **კუბიდან, იამაიკიდან და პუერტო-რიკოდან,** სადაც ესპანური დასახლება დაიწყო 1508 წელს. მალე აქაც გაქრა ადგილობრივი

მოსახლეობა. ამის შემდეგ იწყება მონებზე ნადირობა სამხრეთ ამერიკაში. კარიბის ზღვის ნაპირებიდან მალე ესპანიოლაში შემოჰყავთ ზანგები.

კოლუმბმა მოაწყო სულ ოთხი ექსპედიცია. პირველი მოგზაურობა 1492-1493 წლებში მოეწყო 3 ხომალდით. მეორე მოგზაურობა – 1493 წლის 29 მაისს 17 ხომალდით. 1498-1500 წლებში მოეწყო მესამე მოგზაურობა. ამ დროს კოლუმბმა აღმოაჩინა სამხრეთ ამერიკის კონტინენტი. 15002-1504 წლებში IV მოგზაურობის დროს ატლანტიკის ოკეანიდან ინდოეთის ოკეანეში აპირებდა გადასვლას.

1504 წელს გარდაიცვალა დედოფალი იზაბელა, რომელიც მფარველობდა ქრისტეფორე კოლუმბს. ამის შემდეგ მან დაკარგა ყოველგვარი იმედი თავისი უფლებების აღდგენისა.Kკოლუმბი წერდა თავის უფროს ვაჟს იმის შესახებ, რომ მძიმე ავადმყოფობა ხელს უშლიდა გამოცხადებულიყო სამეფო კარზე, ასევე ფულის უკმარისობის შესახებ, რომელიც მან მთლიანად მოახმარა თავისი ამხანაგების ჩამოყვანას ექსპედიციიდან სამშობლოში. 1505 წლის თებერვალში ესპანიოლაზე გაიგზავნა ბრძანება, რომ კოლუმბის ყველა მოძრავი ქონება გაეყიდათ.

1506 წლის 20 მაისს კოლუმბი გარდაიცვალა. მისმა სიკვდილმა ჩაიარა შეუმჩნევლად.

ქრისტეფორე კოლუმბმა სათავე დაუდო სამხრეთი და ცენტრალური ამერიკის აღმოჩენას. მან აღმოაჩინა დიდი ანტილიის კუნძულები: კუბა, ჰაიტი, იამაიკა, პუერტო-რიკო. ბაჰამის არქიპელაგის ცენტრალური ნაწილი, პატარა ანტილიის კუნძულები კარიბის ზღვაში.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირდაპირი გზის აღმოჩენას ინდოეთში. ბართლომე დიასის შემდეგ (1498 წელს) პორტუგალიელმა ვასკო დე გამამ 1497-1498 წლებში მოაწყო ექსპედიცია 4 კარაველათი. მან შემოუარა აფრიკას, შემდეგ მიაღწია მოზამბიკას და არაბეთის სამფლობელოებს. ინდოეთს

განაგებდნენ რაჯები. ყველაზე ძლიერი რაჯა იყო **სამორინი,** რომელმაც კარგად მიიღო პორტუგალელები. ვასკო დე გამამ დატვირთა რა თავისი ხომალდები: პილპილით, დარიჩინით, ძვირფასეულობით, შემოუარა აფრიკას და დაბრუნდა უკან 1499 წელს ლისაბონში. ასე დაიწყო პორტუგალელთა მოგზაურობა ინდოეთში. პორტუგალელებმა აღმოაჩინეს **ზონდის, მოლუკის** კუნძულები. მათ კოლონიზაციას უწოდებდნენ წერტილობრივ კოლონიზაციას, რადგან კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ ზღვისპირა ციხის დაპყრობით, შიგნით ვერ შედიოდნენ ღრმად. ესპანელებმა კი დიდი მიწები დაიპყრეს ამერიკაში: **მექსიკა, ბრაზილია, პერუ** და ა.შ ამის მიზეზი იყო პირველ რიგში წითელკანიანების მიერ საბრძოლო ტექნიკის უცოდინარობა და მეორე ესპანელებს ჰქონდათ ცეცხლსასროლი იარაღი და ცხენი.

1501 წელს მოგზაურობდა ფლორენციელი **ამერიგო ვესპუჩი.** მას დაავალეს ბრაზილიის გამოკვლევა. მოგზაურობის შემდეგ მან გააკეთა დასკვნა, რომ ბრაზილია არ იყო ინდოეთის სახელმწიფო, ის სხვა კონტინენტის სახელმწიფო უნდა ყოფილიყო. 1507 წელს ცნობილმა გერმანელმა გეოგრაფმა **კონრად ბალზე მიულერმა** შესთავაზა ბრაზილიისათვის ამერიგო ვესპუჩის პატივსაცემად ეწოდებინათ ამერიკა. გერმანელმა გეოგრაფმა **მერკატორმა** კი შეიტანა წინადადება, რომ ეს სახელწოდება მთელ კონტინენტზე გაევრცელებინათ.

დედამიწის გარშემო პირველი მოგზაურობა ჩაატარა **ფერნანდო მაგელანმა** 1519-1522 წწ. მაგელანი იყო პორტუგალელი აზნაური მეცნიერი და მოგზაური. მან ესპანეთის მთავრობის დავალებით გადაცურა ატლანტის ოკეანე, სრუტე, რომელსაც მაგელანის სრუტე უწოდეს. გაცურეს წყნარი ოკეანე, ოთხი თვე მიცურავდნენ, მიაღწიეს ფილიპინებს, აქ დაილუპა ფერნანდო მაგელანი. მაგელანის პირველმა მოგზაურობამ 3 წელი გასტანა -1519წ აგვისტო -1522წ სექტემბე-

რი. დაიწყო მოგზაურობა 5 კარაველათი, 265 კაციდან 18 დაბრუნდა ერთი კარაველათი „ვიქტორიათი". ფერნანდო მაგელანის მოგზაურობას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ დამტკიცდა დედამიწის ბურთისებური ფორმა. მის შემდეგ დაიწყო კოსმოგრაფიული გამოკვლევები. ეს გააკეთა პოლონელმა მეცნიერმა **ნიკოლოზ კოპერნიკმა** 1543 წელს, როცა აღმოაჩინა თეორია ციურ სხეულთა მოძრაობის შესახებ.

ინგლისელთა მოგზაურობანი

1487 წელს, როდესაც გენუელმა მოგზაურმა ქრისტეფორე კოლუმბმა ლისაბონში მიიღო მფარველობა, ამ დროს მისი ძმა ბართოლომეო გაემგზავრა ლონდონში, რათა ჰენრი VII დაეინტერესებინა ამ საქმით, მაგრამ გზაში ის მეკობრეებმა გაქურდეს და თავი შეაფარა ინგლისის სამეფო კარს, სადაც ის ადგენდა რუკებს და აკეთებდა გლობუსს. მისი მოგზაურობა ინგლისში უშედეგო დარჩა.

XV- XVI სს-ში ინგლისელთა მოგზაურობა დაკავშირებულია კაბოტის, ჰოუკინზის, ფრენსის, დრეიკის, ფრობიშერის, ჯილბერტის, უოლტერ რელის სახელთან.

პირველი ცდა ინგლისელების დაფუძნებისა ჩრდილოეთ ამერიკაში ეკუთვნის ფრობიშერს და გილბერტს, რომელთაც 1547-1583 წლებში დაიპყრეს კუნძული ნიუფაუნდლენდი, ხოლო 1584 წელს უოლტერ რელიმ დაარსა ჩრდ. ამერიკაში ვირჯინიის კოლონია.

განსაკუთრებით საყურადღებოა **ჯონ კაბოტის ექსპედიცია**. ის ცხოვრობდა ქალაქ ბრისტოლში, სადაც დიდი იყო საზღაო აღმოჩენებისადმი ინტერესი. 1480 წ 15 ივლისს ის ორი ხომალდით, რომელიც ეკუთნოდა ბრისტოლელ ვაჭარს და შერიფს ჯონ ჯეისს, გავიდა ირლანდიის ნაპირებიდან, რომ აღმოეჩინათ კუნძული ბრაზილია. სექტემბერში ისინი უამინდობის გამო დაბრუნდნენ. ზოგიერთი მეცნიერი ვარა-

უდობს, რომ ეს იყო ჯონ კაბოტი, თუმცა არის ვარაუდი, რომ ეს იყო გალიალი სახელად ლოიდი.

ჯონ კაბოტს დაევალა ექსპედიციის ხელმძღვანელობა 1494 წელს. ამერიკის მიწა პირველად დაინახეს 1494 წლის 24 ივნისს დღის 5 საათზე და დაარქვეს ამ მიწას "prima vista" ხოლო კუნძულს წმინდა იოანეს კუნძული.

ბრისტოლელი (ინგლისელი) პედრო 1498 წელს უგზავნის წერილს ესპანეთის მთავრობას, სადაც ვკითხულობთ: "ბრისტოლის მცხოვრებლები უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე აგზავნიდნენ გემებს კუნძულ ბრაზილიის საძებნელად. ინგლისის მეფემ ჰენრი VII-მ გააგზავნა ექსპედიცია ხუთი ხომალდის შემადგენლობით. მათ ჰქონდათ ერთი წლის მარაგი. ერთ-ერთი გემი დაზიანდა და გალატაკებულ მდგომარეობაში დაბრუნდა ირლანდიაში. მე ნანახი მაქვს, წერს იგი, მათი მოგზაურობის მარშუტები და ვფიქრობ, რაც მათ იპოვეს და რასაც ეძებენ უკვე იმყოფება თქვენი (ესპანეთის) ძალაუფლების ქვეშ (კოლუმბის მიერ აღმოჩენილ მიწებზეა საუბარი).

ეს დოკუმენტი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მასში არის საყურადღებო ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ გააგზავნეს ბრისტოლის გემები, სანამ ქრისტეფორე კოლუმბის წარმატებებს გაიგებდნენ.

ჰენრი VII თავის თავზე არ იღებდა ინიციატივას, მაგრამ მზად იყო მფარველობა გაეწია ამ ექსპედიციისათვის. 1496 წელს ჯონ კაბოტი უნდა გამგზავრებულიყო ახალი მიწების აღმოსაჩენად, დაეპყრო ისინი და იქ ინგლისის მეფის დროშა აღემართა.

1497 წ 11 ოქტომბერს ლორენცო პასკვალიგო წერდა თავის მეგობრებს ჯონ კაბოტის მოგზაურობის შესახებ. აი რას ვკითხულობთ: "ჩვენი თანამემამულე ვენეციელი (ჯონ კაბოტი), რომელიც გაემგზავრა ახალი კუნძულების აღმოსაჩენად დაბრუნდა და ამბობდა, რომ მან აღმოაჩინა მიწა, რომე-

ლიც არის დიდი ყაენის სამფლობელო. ის იქ ვერ შეხვდა ვერცერთ სულიერ არსებას, მაგრამ ჩამოიტანა ხაფანგები, რომელიც დადებული ჰქონდათ ნადირის დასაჭერად და ბადის მოსაქსოვი ნემსი. ასევე იპოვა რამდენიმე მოჭრილი ხე. ცურვაში გაატარა 3 თვე, ამიტომ არ ჰქონდა სურვილი ჩამოსვლისა ამ კუნძულზე, რადგან მარაგი უთავდებოდა. ინგლისის მეფე ჰენრი VII ძალიან გახარებული იყო ამ ამბით და დაპირდა კაბოტს 10 გემის გამოყოფას, რომელიც იქნებოდა კარგად აღჭურვილი, ასევე მისცემდა დიდძალ თანხას. გააგზავნა იგი თავის ცოლ-შვილთან ერთად დასასვენებლად ბრისტოლში და ადმირალის ტიტული მიანიჭა. ჯონ კაბოტს ყველა პატივით ეპყრობოდა, ეცვა აბრეშუმის ტანსაცმელი.

1498 წელს გაიცა ახალი ნებართვა მოგზაურობაზე. ჯონ კაბოტი ამ დროს გარდაცვლილი იყო. მის საქმეს აგრძელებს **სებასტიანე**. ის გავიდა ქ. ბრისტოლიდან 5 ხომალდით. მათ აღმოაჩინეს ნიუფაუნდლენდი.

1501 წელს ჰენრი VII-მ გასცა ახალი პატენტი (ნებართვა) მოგზაურობის შესახებ. რიჩარდ უორდს, ჯონ ტომასს, გუგუ ელიოტს, ტომას უშგიორტს და 3 პორტუგალიელს უნდა ჩაეტარებინა ექსპედიცია, აღმოეჩინათ ახალი მიწები, სამაგიეროდ, მიიღებდნენ ამ ქვეყნებთან ვაჭრობის მონოპოლიას. შემდეგ კვლავ შემუშავდა უფრო დიდი გეგმა. ორი ბრისტოლელი ვაჭარი ორ პორტუგალიელთან ერთად აწყობს ექსპედიციას, ახალ აღმოჩენილ მიწაზე შეიქმნა სავაჭრო დასახლება. მეფემ ბრისტოლელ ვაჭრებს მიანიჭა მონოპოლიური უფლება ნიუფაუნდლენდზე 40 წლის განმავლობაში.

1520 წელს ჰენრი VII-ის დავალებით ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტები (ვაჭარ-ავანტიურისთა კომპანია ლონდონში შეიქმნა 1407 წელს. ავანტიურისტი ნიშნავს, მოგზაურ, მოხეტიალე ვაჭარს, რომლებიც მიემგზავრებოდნენ და ვაჭრობდნენ ზღვის გაღმა), ბრისტოლის ვაჭრების მსგავსად, გაემგზავრნენ 5 გემით ნიუფაუნდლენდზე. მეფე ჰპირდებო-

და მათ რომ, 10 წლის განმავლობაში არავინ ივაჭრებდა, გარდა ინგლისელებისა.

1530 წელს **ჰოკინსმა** ჩაატარა ექსპედიცია გვინეაში და ბრაზილიაში. საუტჰემპტონის ვაჭრებმა დაიწყეს აქ ვაჭრობა.

1549 წელს ჩატარდა ახალი ექსპედიცია ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. ინგლისელმა ვაჭრებმა ყურადღება მიაპყრეს ინდოეთისკენ მიმავალ ჩრდ-დასავლეთის გზებს. რამდენიმე ლონდონელმა ვაჭარმა 6 ათასი ფუნტი სტერლინგი კაპიტალით დაარსეს საპაიო კომპანია 1600 წელს და ეწოდა ოსტ-ინდოეთის კომპანია. შეიქმნა სხვა საპაიო კომპანიები 1553-54 წლებში მოსკოვის, 1581 წელს ლევანტის (თურქეთი, საბერძნეთი, მცირე აზია), 1579 წელს აღმოსავლეთის საპაიო კომპანიები. პაი ნიშნავს წილს. ვაჭრებს ჰქონდათ კომპანიაში თავისი წილი და მოგებასაც იღებდნენ წილის მიხედვით. ამავე დროს კომპანია იტოვებდა საბრუნავ კაპიტალს.

1533 წელს მოეწყო ექსპედიცია **რიჩარდ ჩენსლერის** და დიეგო უილობის მიერ. უილობმა გადაწყვიტა გამოეზამთრა ლიფლანდიაში, სადაც მისი მეგობრები დაიღუპნენ. ჩენსლერი უფრო იღბლიანი აღმოჩნდა და წარმატებით მიაღწია არხანგელსკამდე. მცხოვრებლები გაოცებულნი დარჩნენ მისი ხომალდის სიდიდით და დაიწყეს დამალვა. როცა ჩენსლერი მივიდა მათთან, დაუწყეს ფეხების კოცნა. ის აწყნარებდა ხალხს და დაუმეგობრდა კიდეც მათ.

მოსკოვის კომპანიამ დიდი წარმატება მოუტანა ინგლისს. რუსეთიდან შემოჰქონდათ ხე-ტყე (გემთშენებლობისათვის), ზეთი, ქაფი, ცხიმი და ბეწვეული. ასევე რუსი ვაჭრების მოგზაურობებმა დასაბამი დაუდეს ვეშაპებზე ნადირობას შპიცბერგებთან, ხოლო ჯეკინსონმა და სხვა ინგლისელმა ვაჭრებმა სავაჭრო ურთიერთობა დაამყარეს სპარსეთთან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან.

ინგლისისათვის ფრიად მნიშვნელოვანი იყო ნიუფაუნ-დლენდის აღმოჩენა, საიდანაც შემოჰქონდათ დიდი რაოდენობით თევზი (გველთევზა) 1549 წელს პარლამენტმა სპეციალური კანონიც კი მიიღო, რომელიც მხარს უჭერდა თევზჭერას. თევზი იყო ინგლისელი ხალხის მუდმივი საკვები პროდუქტი. მდიდრები მიირთმევდნენ ქაშაყს, ხოლო ღარიბები წვრილ თევზს. მასზე განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა იყო მარხვის დღეებში.

ჰოუკინზი, უოლტერ რელი, დრეიკი, ფრობიშერი, ჯილბერტი ეწეოდნენ მეკობრეობას, გემების ძარცვას. ელიზაბედ I ინგლისის დედოფალი (1558-1603 წწ) არაოფიციალურად მხარს უჭერდა მეკობრეობას. 1578 წელს მან დრეიკის ექსპედიციისათვის გამოყო 5 ათასი ფუნტი სტერლინგი, ხოლო მოგების სახით მიიღო 4 მლნ. ფუნტი სტერლინგი და ძვირფასეულობა. მეტიც, მან დრეიკი და ჰოუკინზი ადმირალებად გამოაცხადა.

გეოგრაფიული აღმოჩენების მნიშვნელობა

სავაჭრო გზებმა, რომელიც ცენტრალურ ევროპაზე გადიოდა, გადაინაცვლა აღმოსავლეთისაკენ ატლანტის ოკეანისა და ჩრდილოეთის ზღვებისაკენ. ბირჟა აღმოცენდა იარმარკიდან. განსხვავება ის არის რომ იარმარკა შეზღუდულ ხასიათს ატარებდა უცხოელი ვაჭრებისთვის, ხოლო შინა ვაჭრობისათვის სასარგებლო იყო. ის ეწყობოდა რამდენიმე დღეს. ბირჟა იყო მუდმივი ვაჭრობის ადგილი. XVI ს-ის I ნახევარში ანტვერპენმა დიდი მნიშვნელობა მოიპოვა. ამერიკაში აღმოაჩინეს აუარებელი განძი. 12 მილიონი ოქრო მარტო მექსიკაში ამოიღეს. მნიშვნელოვანი იყო ცენტრალურ ამერიკაში ოქროს ქვიშრობის საბადოები. მას პოულობდნენ მძიმე შრომის პირობებში. წითელკანიანები ყმებად აქციეს და შემდეგ დაიწყეს მათი დამონება. პაპი და მეფე კრძალავ-

და დამონებას (რადგან მოსახლეობის რაოდენობა მცირდებოდა ამით), ამიტომ დაიწყეს აფრიკელი ზანგების შეზიდვა.

ჟან ბოდენის თეორიის მიხედვით, ევროპაში დიდძალი ოქრო შემოვიდა და გაიზარდა საქონლის ფასიო. დაახლოებით ერთი საუკუნის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ოქროს, ვერცხლის რაოდენობა. 1493 წელს ოქრო იყო 550 ათასი კგ. ვერცხლი 7 მლნ. (გეოგრაფიულ აღმოჩენებამდე) ერთი საუკუნის შემდეგ ოქრო იყო 1 მლნ. 200 ათასი კგ. და ვერცხლი 24 მლნ, კგ. ეს თეორია დღესაც მიღებულია ვულგარულ პოლიტიკურ ეკონომიკაში. ფასების რევოლუციას ჰქონდა დიდი შედეგები. მან გააუმჯობესა სოციალური ფენების მდგომარეობა: ქალაქის, სოფლის ფერმერები იაფად ქირაობდნენ მიწას, მუშას და ძვირად ჰყიდდა სასოფლო და სამრეწველო პროდუქტებს. კოლუმბის, მაგელანის და სხვა აღმოჩენებმა ახალი წარმოდგენები შექმნეს სამყაროზე.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ საზღვაო გზებმა გადაინაცვლეს წყნარ და ატლანტიკის ოკეანეზე, ამიტომ დაწინაურდა ის ქვეყნები, რომელთაც ჰქონდათ გასასვლელი ოკეანეზე. ასეთი ქვეყნები იყო: ესპანეთი, პორტუგალია, ინგლისი, ჰოლანდია და საფრანგეთი, რომლებიც ფართოდ ჩაებნენ საზღვაო ვაჭრობაში. გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა კი ხელი შეუწყო კაპიტალისტური ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

თემა მეხუთეე

რეფორმაცია და მისი იდეოლოგიური შემზადება

რეფორმაციული მოძრაობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის წინამორბედ მოძრაობას, რომელიც ჰუმანიზმის სახელითაა ცნობილი. თავდაპირველად, როგორც ცნობილია, ჰუმანიზმი იტალიაში აღმოცენდა და შემდეგ დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებსაც მოედო. მან ფართო გავრცელება ჰპოვა XV საუკუნის 70-იანი წლების გერმანიაშიც.

გერმანული ჰუმანიზმი იტალიური ჰუმანიზმის ერთგვარ გაგრელებას წარმოადგენდა. მისი წარმომადგენლების კვლევის საგანს უმთავრესად წარმოადგენდა რელიგიის, მეცნიერების და მორალის საკითხები, უპირველეს ყოვლისა კი ბრძოლა სქოლასტიკის წინააღმდეგ. ჰუმანისტები აშკარად ესხმოდნენ თავს კათოლიკურ სამღვდელოებას, მის ანგარებას, მომხვეჭელურ პოლიტიკას, მათ უმეცრებას, გმობდნენ შინაომებს, მთავრების თვითნებობას, გამოდიოდნენ გერმანიის სახელმწიფოებრივი ერთიანობის მომხრედ.

გერმანული ჰუმანიზმი ამავე ქვეყნის ეკონომიკური ცვლილებების პარალელურად აღმოცენდა და განვითარდა. გერმანიაში იმ ხანად გზას იკაფავდა კაპიტალისტური ურთიერთობების ელემენტები, რომელთაც საკუთარი იდეოლოგია სჭირდებოდათ. სწორედ ასეთ იდეოლოგიას წარმოადგენდა ჰუმანიზმი.

გერმანული ჰუმანიზმის ადრეული წარმომადგენლები არიან: რუდოლფ აგრიკოლა (1444-1485), სებასტიან ბრანტი (1457-1521), ჰაინრიხ ბებელი (1472-1518), იაკობ ვიმპფელინგი (1450-1528), კონრად ცელტესი (1459-1508) და სხვა.

გერმანელ ჰუმანისტთა საქმიანობა განსაკუთრებით გაიშალა XV საუკუნის 90-ან წლებში. ამ დროის ჰუმანისტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სებასტიან ბრანტი და ჰაინრიხ ბებელი.

სებასტიან ბრანტი (1456-1521) იყო ცნობილი იურისტი, ლიტერატორი და პოეტი, რომელმაც 1494 წელს ბაზელში გამოაქვეყნა სატირულ-ეპიკური ჟანრის დიდაქტიკური ნაწარმოები„სულელთა ხომალდი" (Das Narrenschiff), რომელშიც მხილებულია რაინდთა ძალადობა, სამღვდელოების მომხვეჭელობა, დაგმობილია ეგოიზმი, ანგარება, ლოთობა, გაიძვერობა, მრუშობა და ა.შ.

ავტორი მოგვითხრობს სულელთა ბრბოზე, სადაც საზოგადოების ყველა ფენა იყრის თავს და განსაკუთრებით აკრიტიკებს რომის პაპების უვიცობას, მღვდლების უზნეობას, რომლებიც ფულის მოხვეჭის მიზნით არ ერიდებიან არავითარ დანაშაულს. თხზულებაში ნათქვამია, რომ უგუნურებს ხელთ უპყრიათ ხელისუფლების სადავეები და ისინი განაგებენ ადამიანთა ბედს. ბრანტი წერდა, რომ გერმანიაში მალე იფეთქებდა აჯანყება, ამას კი გერმანელი ხალხისთვის უდიდესი უბედურება მოჰყვებოდა, რამეთუ ის წერდა„იქნება დიდი ქარიშხალი და ბევრი მწუხარება". ეს ნაწარმოები მრავალ ენაზე ითარგმნა და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ევროპაში სატირული ჟანრის ლიტერატურის განვითარებას.

ჰაინრიხ ბებელი (1472-1518) ავტორია პოემისა-"ვენესის ტრიუმფი", სადაც მოთხრობილია სიყვარულის ღმერთზე, რომელიც თავისი არმიის პარადს იღებს. ნიშანდობლივია, რომ პარადს წინ მიუძღვის პაპი და უმღლესი სამღვდელოების სხვა წარმომადგენლები, აშკარაა, ბებელი გმობს სამღვდელოებაში დაბუდებულ უზნეობას.

გერმანიაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა 1498 წელს გამოცემული უცნობი ავტორის სატირული პოემა„რაინიკე მელა", რომელშიც მხილებულია ფეოდალთა მანკიერი

მხარეები. პოემის მოქმედი პირები მხეცები არიან, მათ სათავეში უდგას ლომი, რომელიც გერმანიის საიმპერატორო ხელისუფლების გამოხატულებაა. დათვები და მგლები გერმანიის მთავრები არიან, მელა კი ლომის პირველი მრჩეველია.

გერმანიის სქოლასტიკური მეცნიერების ცენტრი იმხანად იყო კელნის უნივერსტეტი (1388). ჰუმანისტების ცენტრად ითვლებოდა ერფურტის უნივერსიტეტი (1392). ასევე ქალაქები: სტრასბურგი, აუგსბურგი, ნიურნბერგი, ვიტენბერგი, მაინცი.

გერმანელი ჰუმანისტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია **ერაზმ როტერდამელი** (1466-1536), რომლის ნამდვილი სახელია Gerhard Gerhards. ერაზმი წარმოშობით ჰოლანდიელი იყო, მაგრამ თავისი სიცოცხლის ხანგრძლივი პერიოდი გერმანიაში გაატარა, ამიტომ მისი მნიშვნელობა გერმანიისთვის განეული სამსახურით უნდა შეფასდეს. როტერდამელი თავის თავს„მსოფლიოს მოქალაქეს" უწოდებდა.

ერაზმსა და როიხლინს თანამედროვენი„გერმანიის ორ თვალს" უწოდებდნენ. ესპანეთში ასეთი მოარული გამოთქმაც კი იყო:„ვინც ერაზმზე ცუდს იტყვის, იგი ან ბერი უნდა იყოს, ან ვირიო''. მოგვიანებით ერაზმ როტერდამელი„XVI საუკუნის ვოლტერადაც" კი აღიარეს.

ერაზმის ბავშვობისა და ყრმობის შესახებ მეტად მწირი მასალა მოგვეპოვება, იგი ბიურგერთა წრიდან ყოფილა. მამამისს გერჰარდი რქმევია. გერჰარდის მშობლებს შვილისთვის სასულიერო განათლების მიცემა სურდათ, რაც გერჰარდის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა და ამის გამო იგი სახლიდან გაქცეულა. გაქცევამდე მას ჰყოლია საცოლე – აფთიაქარის ქალიშვილი მარგარიტა. რამდენიმე თვის შემდეგ ქვეყანას მოევლინა ერაზმი. მარგარიტას მშობლები გერჰარდთან თავიანთი ქალიშვილის ქორწინების წინააღმდეგნი იყვნენ და როცა შეიტყვეს, რომ გერჰარდი რომში

იმყოფებოდა, აცნობეს მარგარიტა გარდაიცვალაო, რამაც გერჰარდი მელანქოლიაში ჩააგდო და ბერად აღიკვეცა. რამდენიმე ხნის შემდეგ გერჰარდი როტერდამში დაბრუნდა და რაოდენ სამწუხარო იყო რომ იხილა ცოცხალი მარგარიტა. ეს იყო მათი უკანასკნელი შეხვედრა.

პატარა ერაზმის აღზრდა მისმა ბიძამ – პეტრე ვინკელმა იკისრა. ყმაწვილ ერაზმს შესანიშნავი ხმა ჰქონდა და ღვთისმსახურების დროს უტრეხტის კათოლიკური ეკლესიის გუნდში გალობდა. იტალიურ კულტურას ერაზმი ეზიარა **ალ. ჰეგიუსის** და **აგრიკოლას** მეშვეობით. შეისწავლა ბერძნული, ლათინური ენები, ლოგიკა, მეტაფიზიკა და ფიზიკა.

ერაზმი მოხვდა ერთ-ერთ მონასტერში, რომელსაც მდიდარი ბიბლოთეკა ჰქონდა. ის დაინტერესდა თუ როგორ შეიძლება იქ არსებული წიგნების გაცნობა და როცა შეიტყო, რომ წიგნებით სარგებლობა მხოლოდ მონასტრის მსახურთ შეეძლოთ, აღიკვეცა მონასტერში, მაგრამ ვერ შეეგუა იქაურ ყოფას, თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი უწყლოდ. აქ მან ხუთი წელი დაჰყო. 1496 წელს გადავიდა პარიზში, სადაც ერთ-ერთ კოლეჯში იწყებს სწავლას. ერთი წლის შემდეგ კი სწავლა განაგრძო პარიზის უნივერსიტეტში. მაგრამ მძიმე ეკონომიკური პირობების გამო გაუჭირდა და 1505 წელს გადავიდა იტალიაში, ვენეციაში. 1506 წელს ერაზმი ბოლონიაში პაპ იულიუს II-ის საზეიმო ცერემონიალს დაესწრო და თავისი თვალით იხილა ის ფუფუნება, სიმდიდრე და დიდება, რომელიც გარს ეხვია რომის პაპს. იტალიაში გამგზავრებამდე ერაზმმა გაიცნო ინგლისელი ჰუმანისტი და სახელმწიფო მოღვაწე ტომას მორი, შემდგომში „უტოპიის" ავტორი. იტალიიდან დაბრუნებულმა ტომას მორის რჩევით დაწერა თხზულება „ქება სისულელისა". აქ წინასიტყვაობაში წერს: „გულში ვტკბებოდი დატოვებული მეგობრების მოგონებით და ერთ-ერთ პირველთაგანს ძვირფასო მორ, შენ წარმოგიდგენდი."

ერაზმ როტერდამელი სიცოცხლის ბოლომდე ჭეშმარიტი ჰუმანისტი იყო, ამას ადასტურებს მისი ანდერძი, რომელიც 1536 წლის 12 თებერვალს დაიბეჭდა. ანდერძის მიხედვით საკუთარ ბიბლიოთეკას უტოვებდა თავის ნაცნობს, წარმოშობით პოლონელ პოლ ივან ლასკისს, ხოლო ფულად თანხას – 7 ათას დუკატს ყოფდა სამ ნაწილად: პირველი გადაეცემოდა ღარიბებსა და ავადმყოფებს, მეორე ქალაქ ბაზელის ღარიბ ქალიშვილებს მზითევისათვის, ხოლო მესამე ახალგაზრდებს, რომელთაც სურდათ სწავლა-განათლების მიღება.

დიდი ჰუმანისტი გარდაიცვალა 1536 წლის 12 ივლისს ქალაქ ბაზელში, სადაც დაკრძალეს ადგილობრივ კათედრალურ ტაძარში.

ერაზმ როტერდამელის შემოქმედებაში მთავარი ადგილი უჭირავს რელიგიის, მორალისა და განათლების საკითხებს, ხოლო მეორეხერისხოვანი ადგილი პოლიტიკას უკავია.„ხოტბა სისულელისაში" რომელიც გამოქვეყნდა 1509 წელს, ავტორი აკრიტიკებს სამღვდელოებას, შუასაუკუნოებრივ ჩამორჩენილობას, უმეცრებას, ხელისუფალთა სახარბეს და თვითნებობას. პოლიტიკური, კულტურული და საეკლესიო ყოფა-ცხოვრების ყველა სფეროში იგი ხედავს უხამსობას, ცარიელ ფორმალიზმს, უაზრო დოგმატიკას და უპირველეს ყოვლისა სისულელეს.

ერაზმი მკაცრად ესხმოდა თავს კათოლიკურ ეკლესიას და სქოლასტიკურ სწავლებას. კაცობრიობის მთელი ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა რაღაც კომედია, რომელშიც ყველა ადამიანი ნიღაბს ამოფარებული თამაშობს თავის როლს. რომ ადამიანები ყველაფერში თურმე სისულელეს უნდა უმადლოდენ. სისულელე არის ცხოვრების მამოძრავებელი ზამბარა და ადამიანთა მეგობრობის დულაბი, გართობის საშუალება და ომების მიზეზი. სისულელით მეტ-ნაკლებად დაავადებულნი არიან საზოგადოების სხვადასხვა წოდე-

ბისა და პროფესიის ადამიანები: გრამატიკოსები, პოეტები, ფილოსოფოსები და ვაჭრები, მატყუარა ექიმები, აზნაურები, დიდებულები და სხვა. ღვთისმეტყველებაზე ის ამბობს: უკეთესია არ შეეხო ამ აყროლებულ ჭაობს, არ მიეკარო ამ შხამიან მცენარეს. ამ ჯილაგის ადამიანები მეტად ფხუკიანი და გულფიცხნი არიან. ასევე აღნიშნავს, რომ გერმანია იცლება დოვლათისაგან, სამაგიეროდ კი იზრდება რომის პაპების ავლა-დიდება და სიმდიდრე. გერმანიის ღვთისმსახურები არამცთუ კრძალავენ ქვეყნიდან ყოველგვარი სიმდიდრის გატანას, არამედ პირიქით, ცდილობენ ამას ხელი შეუწყონ და სხვა. ერაზმი ეხება სოციალურ საკითხებსაც:„მე რომ არა – ამბობს სისულელე – ხალხი ვერ შეძლებდა თავისი მეფის დიდხანს ტარებას, ყმა – თავის ბატონისას, მოსამსახურე – თავისი ქალბატონისას. საზოგადოების ყველა სფეროში გამეფებულია სისულელე.

ერაზმ როტერდამელის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მშვიდობის თემას. 1517 წელს გამოქვეყნდა მისი ტრაქტატი„მშვიდობის ჩივილი“.

მშვიდობა ამბობს:„მე ვარ წყარო, მასაზრდოებელი, კაცთაგან და ღმერთთაგან ქებული. ვამბობ: რაც კი ოდესმე ცაზე თუ დედამიწაზე ყოფილა, უჩემოდ არსად და არაფერი იქნება აყვავებული, არაფერი იქნება საიმედო, არაფერი იქნება სუფთა და წმინდა, უჩემოდ არაფერია კაცთათვის საამური და ღმერთთათვის სასურველი. ომი კი პირიქით ყველა სულდგმულისთვის საძულველია. ყოველი ბოროტებისა და უბედურების წყარო – ომი – უძირო ოკეანეა, რომელიც ყოველივეს განურჩევლად შთანთქავს. ომების გამო ყოველივე აყვავებული იხრწნება, ყველა ჯანსაღი ილუპება, ყველა სიმტკიცე ირღვევა, ყოველი მშვენიერი და სასარგელო ნადგურდება, ტკბილი მწარდება.

ყველაზე მძვინვარე ველურ მხეცებშიც კი სუფევს თანხმობა. ლომს არასდროს მოსწყურდება ლომის სისხლი, ტახი

თავისი ბასრი ეშვებით არ გაფატრავს ტახს, ფოცხვერთა შორისაც კი მშვიდობაა. განრისხებული ურჩხული ურჩხულს თავს არ ესხმის, მგლებში თანხმობის არსებობა კი ანდაზადაც არის ქცეული.

ადამიანებს კი, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდებათ ერთსულოვნება, ვერ არიგებს ვერც ძლიერი და კეთილი ბუნება, ვერც აღზრდა, ვერც აშკარა სარგებელი, რაც ერთსულოვნებას მოსდევს ხოლმე შედეგად. ყველაზე ძლიერ განსაცდელს და ყველაზე მწარე გამოცდილებასაც ვერ ძალუძს ადამიანების გაერთიანება და მათთვის სიყვარულის შთაგონება.

ბუნებამ ყველა სხვა ცოცხალ არსებას მოჰმადლა იარაღი და თავდაცვის საშუალება. მხოლოდ ადამიანი დატოვა უძლური, უიარაღო, რომელსაც საერთო საფრთხისაგან მხოლოდ სხვა ადამიანებთან თანამეგობრობით შეუძლია თავის დაცვა. აუცილებლობამ შექმნა ქალაქები, საზოგადოება, ასწავლა ადამიანებს გაერთიანება ველურ მხეცებთან და მომხდურ ყაჩაღებთან გასამკლავებლად.

იოჰან როიხლინი (1455-1522) დაიბადა პფორცჰაიმში, ღარიბი ხელოსნის ოჯახში. პატარა იოჰანს შესანიშნავი ხმა აღმოაჩნდა და ქალაქის ეპისკოპოსმა აიყვანა მგალობელთა გუნდში. მონასტერში როიხლინი ეუფლებოდა მგალობელთა ენებს და მალე გააგზავნეს იტალიაში, სადაც 1482 წელს ჩაირიცხა ბერძენ **იოანე აგრიპუპულოს** აუდიტორიაში. იოანე მოსწავლეებს აცნობდა ელინისტურ კულტურას, ასწავლიდა ბერძნულ ენასა და ლიტერატურას. აგრიპუპულომ როიხლინს სათარგმნელად მისცა ნაწყვეტი თუკიდიდედან. მასწავლებელი გაოცებული დარჩა შეგირდის მიერ შესრულებული თარგმანით.

იოჰან როიხლინი სამშობლოში დაბრუნდა როგორც ღრმად განსწავლული იურისტი. იგი თავის თავს სამართლის დოქტორს უწოდებდა. ის მუშაობდა ადვოკატად შტუდგარტდში. ათი წლის მანძილზე იყო უმაღლესი მოსამართლე.

როიხლინი მოღვაწეობდა **ტიუბინგენისა** და **ინგოლ-შტატის** უნივერსიტეტებში. მან შექმნა ბერძნული ენის გრამატიკა, ლათინური ლექსიკონი და პირველმა გამოსცა ებრაული გრამატიკა, რომელსაც ეპიგრაფად წარუმძღვარა სიტყვები:„მე აღვმართე მტკიცე ბრინჯაოს ძეგლი". მას ჰქონდა ზედმეტი სახელი- კამპიონი, რაც ნიშნავს პატარა კვამლს.

1509 წელს როიხლინთან გამოცხადდა უცნობი პიროვნება, რომელმაც მას უჩვენა გერმანიის იმპერატორ მაქსიმილიანე I-ის ბრძანება ებრაული რელიგიური წიგნების, კეძოდ თალმუდისა და კაბალის განადგურების შესახებ. თავდაპირველად როიხლინმა მისთვს უცნობი პიროვნება პატივით მიიღო, მაგრამ როცა მისი სტუმრობის მიზანი შეიტყო, გაყოლაზე უარი განაცხადა. უცნობი აღმოჩნდა ქრისტიანულად მონათლული ებრაელი **იოჰან პფეფერკონი**, რომელმაც გაილაშქრა თანამორწმუნეთა წინააღმდეგ და სცადა დაემტკიცებინა, რომ ებრაელები ქრისტესა და ქრისტიანთა წინაშე დანაშაულს სჩადიან და მათ დასაყრდენს ებრაული საეკლესიო წიგნები წარმოადგენენ. სწორედ ამიტომ ის მოითხოვდა ებრაული რელიგიური წიგნების კონფისკაციასა და დაწვას. თავისი ვანდალური მიზნის მისაღწევად პფეფერკონმა მიმართა იმპერატორ მაქსიმილიანე I-ს. მან ებრაელთა წინააღმდეგ გამოაქვეყნა წიგნები:„ებრაული სარკე",„ებრაული ქადაგებანი",„წიგნი აღდგომაზე",„ებრაული მტრები" და სხვა, რომელშიც იგი დასცინოდა ებრაულ წესებს, ცერემონიალს, დღესასწაულებს.

იოჰან პფეფერკონის წინააღმდეგ ხმა აიმაღლეს ებრაელებმა. მათ დანიშნეს კრება, რომელზეც იოჰან როიხლინიც მოიწვიეს. მართალია კრება არ შედგა, მაგრამ როიხლინმა დაასაბუთა, რომ ებრაული რელიგიური წიგნები კი არ უნდა განადგურდეს, არამედ მოხდეს მათი დაცვა, რადგან ისინი ფრიად საჭირო ლიტერატურას წარმოადგენდა ქრისტიანული რელიგიის შესასწავლად.

კელნის თეოლოგების ბანაკში გაერთიანებულნი იყვნენ თეოლოგიის ის პროფესორები, რომლებიც უნივერსტეტებში ქადაგებდნენ სქოლასტიკურ მოძღვრებას. როიხლინის მხარეზე კი იდგნენ ერფრუტის უნივერსიტეტის ჰუმანისტები, მათ შორის ულრიხ ფონ ჰუტენი. 1514 წელს გამოვიდა„ცნობილი ადამიანების წერილები", სადაც გაკრიტიკებული იყო კელნის თეოლოგების სქოლასტიკური მოძღვრება. 1515 წელს კი„ბნელი ადამიანების წერილები", სადაც აღნიშნულია, რომ სულიერ მამებს თავი მოაქვთ საკუთრი განსწავლულობითა და კეთილშობილებით, აგრეთვე ლათინურის ცოდნით, მაგრამ ისინი წერენ ისეთ ბარათებს, რომლებშიც აშკარად ვლინდება მათი ცრუმორწმუნეობა და ფანატიზმი, უვიცობა და ამპარტავნება, გონებრივი სიბეჩავე და შეზღუდულობა. მასში მხილებულია გერმანული სინამდვილის უხამსი მხარეები, სქოლასტიკური მოძღვრება, დაცინვის საგნადაა ქცეული კლერიკანობა და თვით კათოლიკური ეკლესია, ინდულიგენციებით ვაჭრობა და სხვა.

1510 წელს იოჰან როიხლინის მიმდევრებსა და კელნის თეოლოგთა შორის დაწყებული დავა 1618 წლამდე გაგრძელდა.

გერმანელ ჰუმანისტთა შორის აღსანიშნავია **ულრიხ ფონ ჰუტენი** (1488-1523). იგი დაიბადა ფრანკონელი რაინდის ოჯახში. მშობლებმა მოისურვეს, რომ იგი სასულიერო პირი გამხდარიყო და ამიტომ მიაბარეს **ფულდის** მონასტერში, რომელიც ეკუთვნოდა ბენედიქტთა ორდენს, მაგრამ ყმაწვილი ულრიხი მონასტრიდან გაიქცა და ხელი მიჰყო მოხეტიალე ცხოვრებას. იგი დაუკავშირდა გერმანელ ჰუმანისტებს, მიიღო კარგი განათლება და დამკვიდრდა ერფრუტის უნივერსიტეტში. მისი სახელი გერმანიაში ცნობილი გახდა XVI საუკუნის ათიან წლებში. ის ზიზღით უყურებდა ტიტულებს, რომელთა მიღმაც ქედმაღალი და უვიცი ადამიანები იდგნენ. იგი თავის სატირაში„Nemo" (არავინ) აღნიშნავს,

რომ ნამდვილი მაღალი ცოდნა და ჰუმანისტური ზნეობა იმ ადამიანს გააჩნია, ვინც მოკლებულია ოფიციალურ მდგომარეობასო.

1513 წელს იტალიაში მოგზაურობის შემდეგ ჰუტენმა გაილაშქრა რომის პაპის იულიუს II-ის (1503-1513 წწ) წინააღმდეგ. თავის ეპიგრამებში იგი აკრიტიკებდა ინდულგენციებით ვაჭრობას, დასცინოდა რომის პაპს და მას „ვაჭრუკანას" უწოდებდა. „სირცხვილია, იულიუს, – წერდა ჰუტენი, – გაჰყიდო ის, რაც შენ უფრო გჭირდება".

ჰუტენის შრომებიდან გამოირჩევა „ვადისკუსი ანუ რომის სამება" (1521). ამ ნაშრომში ჰუტენი თანამოსაუბრეს უყვება თავისი მეგობრის, ვადისკის მიერ რომში მიღებულ შთაბეჭდილებებსა და კათოლიკური ეკლესიისა და რომის პაპის შესახებ მის შეხედულებებზე. ჰუტენი წერს: „არ არის განკურნება შხამთაგან, რომელსაც ამოისუნთქავს პაპი თავისი მკერდიდან". რომი საუკეთესო თავშესაფარია დამნაშავეთათვის. სამ რამეს შეუძლია გამოასწოროს რომი: 1) გერმანელი თავკაცების სიმკაცრეს; 2) ქრისტიანთა მოუთმენლობას; 3) თურქთა ლაშქარს რომის კედლებთან.

სამმა რამემ არ მისცა გერმანიას მოჭკვიანების საშუალება: მთავრების უდარდელობამ, მეცნიერთა უმეცრობამ და ხალხის ცრუმორწმუნეობამ. სამი რამეთი ინარჩუნებს რომი ყველაფერს: ძალდატანებით, ეშმაკობით, პირმოთნეობით. სამი რამეა მოგონილი რომში სხვა ქვეყნებიდან ოქროს შემოსაზიდად: ინდულგენციებით ვაჭრობა, თურქებთან არ არსებული ომი, პაპის ლეგატთა ძალადობა ბარბაროსთა ქვეყანაში. სამი რამის შესახებაა რომში შეუძლებელი სიმართლის თქმა: პაპის, ინდულგენციებისა და უღმერთოების შესახებ. სამი რამითაა სავსე რომი: მეძავი ქალებით, მღვდლებით, მწირავებით.

ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ ჰუტენის თანამოსაუბრე შესძახებს: „ეხლა მე ნათლად ვხედავ, რომი არის ყოველგვა-

რი გადამდები სენის წყარო, ყველა მანკთა ოკეანე, ყოველ-
გვარი უბედურების ბუდე და რომ ამ გადამდები სენის მოს-
პობისაკენ უნდა იყოს მიმართული გერმანიაში ყველა პატი-
ოსანი ადამიანის მთელი ძალ-ღონე".

ჰუტენი თავისი დროის პოლიტიკური მოვლენების შუა-
გულში იდგა და ერთიანი წარმატებით იბრძოდა როგორც
კალმით, ასევე ხმლით. 1519 წელს ულრიხ ფონ ჰუტენი მიემ-
ხრო ფრანც ფონ ზიკინგერის ამბოხებულ რაინდებს და ამ
მოძრაობის ერთ-ერთი ბელადი გახდა. იგი მოითხოვდა გაუქ-
მებულიყო ყველა სამთავრო, მომხდარიყო სასულიერო სამ-
თავროებისა და მამულების სეკულარიზაცია. ამასთანავე
მოითხოვდა, რომ მონარქიის მეთაურობით დამყარებულიყო
თავადაზნაურული დემოკრატია. ჰუტენისა და ზიკინგერის
აჯანყება მარცხით დამთავრდა. ჰუტენი გადაიხვეწა შვეიცა-
რიაში და შეეკედლა გამოჩენილ რეფორმატორს ჰულდრაიხ
ცვინგლის. 1523 წლის გაზაფხულზე ჰუტენი ტუბერკულო-
ზისგან ციურიხში გარდაიცვალა. სიმბოლურია, რომ მას
დარჩა ერთადერთი ქონება – ბატის ფრთის კალამი.

მარტინ ლუთერი დაიბადა აისლებენში, გლეხის ოჯახ-
ში. მალე ლუთერის ოჯახი გადასახლდა **მანსფელდში**, რო-
მელიც ეკუთვნოდა მანსფელდის გრაფის საგვარეულოს.
მარტინ ლუთერის მამა -ჰანსი იქვე მუშაობდა მაღაროელად.
ლუთერის ბავშვობა მეტად მკაცრ პირობებში მიმდინარეობ-
და. გერმანელი ისტორიკოსი კ. ლამპრეხტი აღნიშნავს, რომ
მარტინის მშობლები იყვნენ უაღრესად მკაცრი აღმზრდე-
ლები, მორწმუნე და ურყევი პატრიარქები. 1497 წელს ყმაწ-
ვილი მარტინი მანსფელდის სკოლიდან გადაიყვანეს ჯერ
მაგდენბურგის, შემდეგ **აიზენახის** სკოლაში, სადაც იგი გა-
ეცნო იტალიელი დიდებული ვაჭრის კონრად კოტის ოჯახს,
რომლის დიასახლისმა – ურსულა კოტიმ მას დედობრივი
მზრუნველობა გაუწია. სწორედ ამ ოჯახის შემწეობით მარ-
ტინ ლუთერმა დაასრულა აიზენახის სკოლა და მოახერხა

ერფრუტში გამგზავრება. იქ 1501 წელს ჩაირიცხა ადგილობრივ უნივერსიტეტში, რომელიც 1505 წელს დაამთავრა და მიიღო თავისუფალ ხელოვნებათა მაგისტრის წოდება.

იმხანად ლუთერს კონფლიქტი მოუვიდა მამასთან, რომელსაც სურდა მისი ვაჟი იურისტი გამხდარყო, რათა უზრუნველად ეცხოვრა. ამ კონფლიქტის შედეგად მარტინი, მამის საწინააღმდეგოდ ბერად აღიკვეცა **ერფრუტის ავგუსტინურ მონასტერში,** რომელიც მკაცრი ასკეტიზმით გამოირჩეოდა.

1502 წელს საქსონიის კურფიურისტმა ფრიდრიხ ბრძენმა, რომელიც მფარველობდა ლუთერს, დაარსა ვიტენბერგის უნივერსიტეტი და ახალგაზრდა მარტინი 1508 წელს არისტოტელეს ეთიკაში სემინარების ჩასატარებლად მიიწვია. ცოტა მოგვიანებით მას ღვთისმეტყველებაში ლექციების წაკითხვაც შესთავაზეს.

1511-1512 წლებში ლუთერმა იმოგზაურა რომში. როცა ის ჩავიდა ქალაქში, დაეცა მიწაზე და წარმოთქვა:„მოგესალმები, წმინდა რომო", მაგრამ ლუთერს სამწუხაროდ იმედების გაცრუება ელოდა, ვინაიდან რწმენის ქალაქი მას გარყვნილ ქალაქად წარმოუდგა. 1512 წელს ლუთერი რომიდან გერმანიაში დაბრუნდა. იმავე წელს მიღო ღვთისმეტყველების დოქტორის ხარისხი.

რომის პაპების – იულიუს II-ის და ლეო X-ის ხანაში ეკლესიისა და პაპების ფინანსური მოთხოვნილებანი სულ უფრო იზრდებოდა. ლეო X-ს წმინდა პეტრეს ტაძრის ასაგბად ესაჭიროებოდა ფული და მის მოსაპოვებლად მან გერმანიაში ინდულიგენციების გაყიდვის უფლება მისცა მაინცის არქიეპისკოპოსს ალბრეხტს.

1519 წელს ლაიფციგში გაიმართა დისპუტი, რომელიც მოაწყო ცნობილმა ღვთისმეტყველმა, პროფესორმა **იოჰან გეიერმა** (იოჰან ეკი).

1520 წლის ლუთერი წერდა: „თუ ქურდებს, ავაზაკებს

ჩვენ სახრჩობელაზე ვკიდებთ, ბოროტებს სასტიკად ვებრძვით. მაშინ ყველაზე დიდი ქურდების — რომის პაპისა და მისი აგენტების, კათოლიკური ეკლესიის მესვეურების სისხლით რატომ არ ვიბანთ ხელებს?"

ჰულრაიხ ცვინგლის რეფორმაცია

შვეიცარიელი რეფორმატორი ჰულრაიხ ცვინგლი დაიბადა 1484 წლის 1 იანვარს ტოგენბურგის საგრაფოს სოფელ ვილდჰაუზში, მამასახლისის ოჯახში. იგი იზრდებოდა ბუნების წიაღში, მწყემსებთან და პატარაობიდანვე გატაცებული იყო ვილჰელმ ტელის შესახებ არსებული ლეგენდით. ბავშვობაში მას მუსიკალური ნიჭი აღმოაჩნდა და ბიძამისმა პასტორმა ბართოლომეოსმა სათანადოდ იზრუნა რათა ძმისწულს სათანადო სწავლა-განათლება მიეღო. 1494 წელს იგი მიაბარა ბაზელის **წმინდა თევდორეს** სკოლაში, სადაც მან შეისწავლა ლათინური ენა, გრამატიკა, დიალექტიკა, დაეუფლა გალობას. შემდეგ ცვინგლი გაემგზავრა ქალაქ ბერნში და შევიდა ადგილობრივ უნივერსიტეტში, შემდეგ ვენის უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტზე. 1502 წელს ვენის უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ცვინგლი სწავლას აგრძელებს ბაზელის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტზე.

აღსანიშნავია, რომ სწორედ იმ დროს ბაზელში მოღვაწეობდნენ ცნობილი ჰუმანისტები: სებასტიან ბრანტი, ერაზმ როტერდამელი, ტომას ვიტენბახი, მხატვარი ჰანს ჰოლბანი.

1506 წელს ცვინგლიმ დაამთავრა ბაზელის უნივერსიტეტი და ცხოვრების მიზნად დაისახა ხალხის სამსახური. იმავე წელს იგი აირჩიეს ქალაქ გლარუსის ტაძრის მღვდლად. თუ როგორ ესმოდა მას მოძღვრის მოვალეობა ეს კაგად ჩანს მოგვიანებით დაწერილ მის თხზულებაში„მოძღვარი" (1523 წ.). ცვინგლი მოძღვარს ადარებდა მწყემსს, რადგანაც მიაჩ-

სდა, რომ მოძღვარი ადამიანს აძლევს რჩევა-დარიგებას, ეხმარება და მფარველობს ღვთის შვილებს, მაგრამ თუ მან გაჭირვების ჟამს ფარ-ხმალი დაყარა და გაექცა მრევლს, ის დაემსგავსება იმ მწყემსს, რომელიც მგლის დანახვაზე საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით ბედის ანაბარა მიატოვებს ფარას.

ცვინგლიმ ორჯერ მიიღო მონაწილეობა იტალიურ ლაშქრობებში (1498-1559 წწ) რომის პაპის მხარდასაჭერად და ორივეჯერ წარმატებით – 1512 წელს პავიასთან და 1513 წელს ნავარასთან. მაგრამ 1515 წელს მარინიანოსთან რომის პაპის დაქირავებულნი სასტიკად დამარცხდნენ. მხოლოდ მაშინ მიხვდა ცვინგლი, რომ შვეიცარია საფრანგეთის მეფისა და რომის პაპის ვაჭრობის მსხვერპლი გახდა. ამდენად მისი გალაშქრება სამხედრო დაქირავების წინააღმდეგ ცალმხრივი იყო, რადგან მას დამღუპველად მხოლოდ საფრანგეთთან კავშირი მიაჩნდა და არ უარყოფდა სამხედრო შეთანხმებას რომის პაპთან. შედეგად იგი დარწმუნდა, რომ შვეიცარია პაპის ვაჭრობის მსხვერპლს წარმოადგენდა.

ციურიხის რეფორმაციის დასაწყისად ითვლება 1519 წლის 1 იანვარი, როცა **გროსმიუნსტერის** ტაძრის კათედრაზე ავიდა 35 წლის ჰულრაიხ ცვინგლი და მშობლიურ ენაზე დაიწყო საღმრთო წერილის მიხედვით ქადაგება. მან თავადვე თარგმნა სახარება გერმანულად. ცვინგლიმ 1523 წელს გამოაქვეყნა 67 თეზისი. იგი მოითხოვდა დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას. მისი აზრით მღვდელი თავად თემს უნდა აერჩია, ხოლო ეკლესიაზე კონტროლი მთავრობას უნდა დაჰკისრებოდა. ცვინგლის აზრით ყველაზე დიდი სიკეთე, რაც კი ადამიანს გააჩნია არის თავისუფლება, მაგრამ იგი მიმართული უნდა იყოს არა ერის დასაჩაგრად, არამედ მის საკეთილდღეოდ. მისი ღრმა რწმენით ქვეყნისთვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს უცხოელთა ფული, რომელიც ხალხში ნერგავს შუღლსა და მტრობას, ზრდის სიძუნ-

წეს. ცვინგლი კატეგორიულად უარყოფდა სამხედრო კავშირებს და აღნიშნავდა, რომ მცირე შრომით მეტ სიკეთეს მოიპოვებ, ვიდრე სხვისი ოქროთი, უცხოელთა ჯარში სამსახურს მოსდევს ზნეობის დაცემა და ხალხის გაღატაკება. იქ, სადაც იმარჯვებს იარაღი – დუმს კანონი.

ცვინგლიმ ხელი მიჰყო რეფორმების განხორციელებას. კერძოდ, ყველა მონასტერს ჩამოართვა მიწები, ბერებს და მონაზვნებს დაევალათ ხელობის შესწავლა, გაუქმდა რელიგიური დღესასწაულები, აიკრძალა ზარების ხშირი რეკვა, გალობა, მუსიკა, ეკლესია იქცა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებად. ტაძრებში იკითხებოდა ლექციები, შემოიღეს დაბადების და ქორწინების აღრიცხვის წიგნები და ა.შ.

ცვინგლი უარყოფდა კათოლიკური ეკლესიის იერარქიულ სტრუქტურას, მის მონოპოლიურ უფლებას ცოდვათა გამოსყიდვის საქმეში, ინდულგენციებსა და ხატებს, ცელიბატს.

ღმერთი არის ის, რაც არის, ღმერთი თვითონ არსებობაა. რწმენა ცოდვისგან ხსნის ერთადერთი საშუალებაა – ქადაგებდა ცვინგლი, რომლის აზრით ღმერთთან დაახლოების საშუალება საღმრთო წერილია.

ცვინგლი რაციონალურად უდგებოდა ქრისტეს სისხლს და ქრისტეს ხორცს. მისი აზრით არც სისხლი და არც ხორცი არ არის პურსა და ღვინოში.

ცვინგლიანურმა რეფორმაციამ გაიმარჯვა **ბერნში, ბაზელში, შაფჰაუზენში, სენ-გალენში, გლარუსში**. გამარჯვებულები შეუერთდნენ ქალაქ ციურიხს.

1531 წელს კაპელთან მოხდა ციურიხის ჯარის და კათოლიკური რაზმის შეჯახება, რომლის დროს ცვინგლი მძიმედ დაიჭრა. იგი მოწინააღმდეგებმა იცნეს, შეიპყრეს, მოჰკვეთეს ჯერ თავი, მერე ხელ-ფეხი, ხოლო შემდეგ დაწვეს.

1531 წლის ბრძოლის შემდეგ ციურიხის კავშირი დაიშალა და ცვინგლიანურ რეფორმაციას მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობაღა შერჩა. რეფორმაციამ ჟენევაში გადაინაცვლა.

ნდა, რომ მოძღვარი ადამიანს აძლევს რჩევა-დარიგებას, ეხმარება და მფარველობს ღვთის შვილებს, მაგრამ თუ მან გაჭირვების ჟამს ფარ-ხმალი დაყარა და გაექცა მრევლს, ის დაემსგავსება იმ მწყემსს, რომელიც მგლის დანახვაზე საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით ბედის ანაბარა მიატოვებს ფარას.

ცვინგლიმ ორჯერ მიიღო მონაწილეობა იტალიურ ლაშქრობებში (1498-1559 წწ) რომის პაპის მხარდასაჭერად და ორივეჯერ წარმატებით – 1512 წელს პავიასთან და 1513 წელს ნავარასთან. მაგრამ 1515 წელს მარინიანოსთან რომის პაპის დაქირავებულნი სასტიკად დამარცხდნენ. მხოლოდ მაშინ მიხვდა ცვინგლი, რომ შვეიცარია საფრანგეთის მეფისა და რომის პაპის ვაჭრობის მსხვერპლი გახდა. ამდენად მისი გალაშქრება სამხედრო დაქირავების წინააღმდეგ ცალმხრივი იყო, რადგან მას დამღუპველად მხოლოდ საფრანგეთთან კავშირი მიაჩნდა და არ უარყოფდა სამხედრო შეთანხმებას რომის პაპთან. შედეგად იგი დარწმუნდა, რომ შვეიცარია პაპის ვაჭრობის მსხვერპლს წარმოადგენდა.

ციურიხის რეფორმაციის დასაწყისად ითვლება 1519 წლის 1 იანვარი, როცა **გროსმიუნსტერის** ტაძრის კათედრაზე ავიდა 35 წლის ჰულრაიხ ცვინგლი და მშობლიურ ენაზე დაიწყო საღმრთო წერილის მიხედვით ქადაგება. მან თავადვე თარგმნა სახარება გერმანულად. ცვინგლიმ 1523 წელს გამოაქვეყნა 67 თეზისი. იგი მოითხოვდა დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას. მისი აზრით მღვდელი თავად თემს უნდა აერჩია, ხოლო ეკლესიაზე კონტროლი მთავრობას უნდა დაჰკისრებოდა. ცვინგლის აზრით ყველაზე დიდი სიკეთე, რაც კი ადამიანს გააჩნია არის თავისუფლება, მაგრამ იგი მიმართული უნდა იყოს არა ერის დასაჩაგრად, არამედ მის საკეთილდღეოდ. მისი ღრმა რწმენით ქვეყნისთვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს უცხოელთა ფული, რომელიც ხალხში ნერგავს შუღლსა და მტრობას, ზრდის სიძუნ-

წეს. ცვინგლი კატეგორიულად უარყოფდა სამხედრო კავშირებს და აღნიშნავდა, რომ მცირე შრომით მეტ სიკეთეს მოიპოვებ, ვიდრე სხვისი ოქროთი, უცხოელთა ჯარში სამსახურს მოსდევს ზნეობის დაცემა და ხალხის გაღატაკება. იქ, სადაც იმარჯვებს იარაღი — დუმს კანონი.

ცვინგლიმ ხელი მიჰყო რეფორმების განხორციელებას. კერძოდ, ყველა მონასტერს ჩამოართვა მიწები, ბერებს და მონაზვნებს დაევალათ ხელობის შესწავლა, გაუქმდა რელიგიური დღესასწაულები, აიკრძალა ზარების ხშირი რეკვა, გალობა, მუსიკა, ეკლესია იქცა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებად. ტაძრებში იკითხებოდა ლექციები, შემოიღეს დაბადების და ქორწინების აღრიცხვის წიგნები და ა.შ.

ცვინგლი უარყოფდა კათოლიკური ეკლესიის იერარქიულ სტრუქტურას, მის მონოპოლიურ უფლებას ცოდვათა გამოსყიდვის საქმეში, ინდულგენციებსა და ხატებს, ცელიბატს.

ღმერთი არის ის, რაც არის, ღმერთი თვითონ არსებობაა. რწმენა ცოდვისგან ხსნის ერთადერთი საშუალებაა — ქადაგებდა ცვინგლი, რომლის აზრით ღმერთთან დაახლოების საშუალება საღმრთო წერილია.

ცვინგლი რაციონალურად უდგებოდა ქრისტეს სისხლს და ქრისტეს ხორცს. მისი აზრით არც სისხლი და არც ხორცი არ არის პურსა და ღვინოში.

ცვინგლიანურმა რეფორმაციამ გაიმარჯვა **ბერნში, ბაზელში, შაფჰაუზენში, სენ-გალენში, გლარუსში**. გამარჯვებულები შეუერთდნენ ქალაქ ციურიხს.

1531 წელს კაპელთან მოხდა ციურიხის ჯარის და კათოლიკური რაზმის შეჯახება, რომლის დროს ცვინგლი მძიმედ დაიჭრა. იგი მოწინააღმდეგებმა იცნეს, შეიპყრეს, მოჰკვეთეს ჯერ თავი, მერე ხელ-ფეხი, ხოლო შემდეგ დაწვეს.

1531 წლის ბრძოლის შემდეგ ციურიხის კავშირი დაიშალა და ცვინგლიანურ რეფორმაციას მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობაღა შერჩა. რეფორმაციამ ჟენევაში გადაინაცვლა.

ნდა, რომ მოძღვარი ადამიანს აძლევს რჩევა-დარიგებას, ეხმარება და მფარველობს ღვთის შვილებს, მაგრამ თუ მან გაჭირვების ჟამს ფარ-ხმალი დაყარა და გაექცა მრევლს, ის დაემსგავსება იმ მწყემსს, რომელიც მგლის დანახვაზე საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით ბედის ანაბარა მიატოვებს ფარას.

ცვინგლიმ ორჯერ მიიღო მონაწილეობა იტალიურ ლაშქრობებში (1498-1559 წწ) რომის პაპის მხარდასაჭერად და ორივეჯერ წარმატებით – 1512 წელს პავიასთან და 1513 წელს ნავარასთან. მაგრამ 1515 წელს მარინიანოსთან რომის პაპის დაქირავებულნი სასტიკად დამარცხდნენ. მხოლოდ მაშინ მიხვდა ცვინგლი, რომ შვეიცარია საფრანგეთის მეფისა და რომის პაპის ვაჭრობის მსხვერპლი გახდა. ამდენად მისი გალაშქრება სამხედრო დაქირავების წინააღმდეგ ცალმხრივი იყო, რადგან მას დამღუპველად მხოლოდ საფრანგეთთან კავშირი მიაჩნდა და არ უარყოფდა სამხედრო შეთანხმებას რომის პაპთან. შედეგად იგი დარწმუნდა, რომ შვეიცარია პაპის ვაჭრობის მსხვერპლს წარმოადგენდა.

ციურიხის რეფორმაციის დასაწყისად ითვლება 1519 წლის 1 იანვარი, როცა **გროსმიუნსტერის** ტაძრის კათედრაზე ავიდა 35 წლის ჰულრაიხ ცვინგლი და მშობლიურ ენაზე დაიწყო საღმრთო წერილის მიხედვით ქადაგება. მან თავადვე თარგმნა სახარება გერმანულად. ცვინგლიმ 1523 წელს გამოაქვეყნა 67 თეზისი. იგი მოითხოვდა დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას. მისი აზრით მღვდელი თავად თემს უნდა აერჩია, ხოლო ეკლესიაზე კონტროლი მთავრობას უნდა დაჰკისრებოდა. ცვინგლის აზრით ყველაზე დიდი სიკეთე, რაც კი ადამიანს გააჩნია არის თავისუფლება, მაგრამ იგი მიმართული უნდა იყოს არა ერის დასაჩაგრად, არამედ მის საკეთილდღეოდ. მისი ღრმა რწმენით ქვეყნისთვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს უცხოელთა ფული, რომელიც ხალხში ნერგავს შუღლსა და მტრობას, ზრდის სიძუნ-

წეს. ცვინგლი კატეგორიულად უარყოფდა სამხედრო კავშირებს და აღნიშნავდა, რომ მცირე შრომით მეტ სიკეთეს მოიპოვებ, ვიდრე სხვისი ოქროთი, უცხოელთა ჯარში სამსახურს მოსდევს ზნეობის დაცემა და ხალხის გაღატაკება. იქ, სადაც იმარჯვებს იარაღი – დუმს კანონი.

ცვინგლიმ ხელი მიჰყო რეფორმების განხორციელებას. კერძოდ, ყველა მონასტერს ჩამოართვა მიწები, ბერებს და მონაზვნებს დაევალათ ხელობის შესწავლა, გაუქმდა რელიგიური დღესასწაულები, აიკრძალა ზარების ხშირი რეკვა, გალობა, მუსიკა, ეკლესია იქცა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებად. ტაძრებში იკითხებოდა ლექციები, შემოიღეს დაბადების და ქორწინების აღრიცხვის წიგნები და ა.შ.

ცვინგლი უარყოფდა კათოლიკური ეკლესიის იერარქიულ სტრუქტურას, მის მონოპოლიურ უფლებას ცოდვათა გამოსყიდვის საქმეში, ინდულგენციებსა და ხატებს, ცელიბატს.

ღმერთი არის ის, რაც არის, ღმერთი თვითონ არსებობაა. რწმენა ცოდვისგან ხსნის ერთადერთი საშუალებაა – ქადაგებდა ცვინგლი, რომლის აზრით ღმერთთან დაახლოების საშუალება საღმრთო წერილია.

ცვინგლი რაციონალურად უდგებოდა ქრისტეს სისხლს და ქრისტეს ხორცს. მისი აზრით არც სისხლი და არც ხორცი არ არის პურსა და ღვინოში.

ცვინგლიანურმა რეფორმაციამ გაიმარჯვა **ბერნში, ბაზელში, შაფჰაუზენში, სენ-გალენში, გლარუსში**. გამარჯვებულები შეუერთდნენ ქალაქ ციურიხს.

1531 წელს კაპელთან მოხდა ციურიხის ჯარის და კათოლიკური რაზმის შეჯახება, რომლის დროს ცვინგლი მძიმედ დაიჭრა. იგი მოწინააღმდეგებმა იცნეს, შეიპყრეს, მოჰკვეთეს ჯერ თავი, მერე ხელ-ფეხი, ხოლო შემდეგ დაწვეს.

1531 წლის ბრძოლის შემდეგ ციურიხის კავშირი დაიშალა და ცვინგლიანურ რეფორმაციას მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობაღა შერჩა. რეფორმაციამ ჟენევაში გადაინაცვლა.

თემა მეექვსე

გერმანია XVI ს-ის I ნახევარში. რეფორმაცია და გლეხთა ომი

გერმანია წარმოადგენდა კულტურული განვითარების ცენტრს. მდინარე რაინისა და დუნაის ნაპირებზე აღმოცენდა და განვითარდა მრავალი ქალაქი. განვითარებული იყო მრეწველობა, მაღაროს დამუშავება. ქალაქების კეთილდღეობა ემყარებოდა ვაჭრობას იტალიასთან, ნიდერლანდებთან. სამხრეთ გერმანიაში იყვნენ აუგსბურგელი ბანკირები: **ფუგერები, ველზერები** და **ჰოჰშტეტერები**. მათი ფული თვით გვირგვინოსან პირებს ემართათ.

ფრიდრიხ III ჰაბსბურგი მეფობს 1440-1493 წწ. ამ დროისათვის გერმანიაში მნიშვნელოვანი იყო მაინცის მოქალაქის **გუტენბერგის** მიერ წიგნის ბეჭდვის აღმოჩენა 1492 წელს. თავდაპირველად ასოებს ამზადებდნენ ხისგან, შემდეგ დაიწყეს ლითონის ასოების ჩამოსხმა. გუტენბერგი თავდაპირველად ბეჭდავდა მცირე წიგნებს, შემდეგ კი გამოსცა გერმანული პოემა – სიბილას წიგნები, ასტრონომიული კალენდარი და გრამატიკის მოკლე სახელმძღვანელო, ბოლოს ინდულიგენციები. გუტენბერგი გარდაიცვალა 1498 წელს უზომო სიღატაკეში.

ჰაბსბურგების განკარგულებაში იყო შემდეგი ტერიტორია: ავსტრია, რაინისა და დუნაის ნაპირის მიწები, ჩრდილოეთი შვეიცარიის ნაწილი. ამას დაემატა ახალი მიწები. 1477 წელს როცა ბურგუნდიის ჰერცოგი შარლ თამამი დაიღუპა, მისი ქალიშვილი მარგარიტა ცოლად გაჰყვა გერმანიის იმპერატორს მაქსიმილიანე ჰაბსბურგს და ამით გერმანიამ შეიძინა ნიდერლანდები. ატვერპენი იქცა სავაჭრო ბირჟად, რამაც დიდი როლი ითამაშა ჰაბსბურგების სამეფოს ამაღლებაში. მაქსიმილიანე ჰაბსბურგელი მხარს უჭერდა ესპანეთს.

ფერდინანდ არაგონელს და იზაბელას ჰყავდათ ასული ხუანა (შემდეგ გაგიჟდა). მაქსიმილიანეს ჩარევის შემდეგ იგი მიათხოვეს მაქსიმილიანეს ვაჟს ფრიდრიხს, რომელთაც შეეძინათ ვაჟი სახელად კარლოსი. 1516 წელს კარლ ჰაბსბურგი გახდა ესპანეთის მეფე. 1519 წელს, როცა გარდაიცვალა მაქსიმილიანე ჰაბსბურგი ის გერმანიის იმპერატორი გახდა კარლოს V-ის სახელით (1519-1556 წწ). მის განკარგულებაში იყო სარდინია, სიცილია, იტალიის მნიშვნელოვანი ნაწილი: ნეაპოლის სამეფო, მილანოს საჰერცოგო, კოლონიები ამერიკაში: ანტილიის, ბაჰამის კუნძულები, სამხრეთ ამერიკის: პერუ, ჩილე, ჩრდილოეთ ამერიკაში- მექსიკა. ერთი სამფლობელოდან მეორეზე მზე არასოდეს არ ჩადიოდა-ამბობდნენ მასზე, ვინაიდან მის ხელში იყო აღმოსავლეთის და დასავლეთის მიწები. კარლოსი ისწრაფოდა მსოფლიო ბატონობისაკენ. ბრძოლის ძირითადი არენა იყო იტალია. იტალიური ომები წარმოებდა ესპანეთსა და საფრანგეთს შორის 1498-1559 წლებში. რეფორმაციული მოძრაობა დაიწყო გერმანიაში

რა არის რეფორმაცია?

რეფორმაცია – ეს არის უდიდესი სოციალური, პოლიტიკური, კულტურული მოვლენა, რომელიც ამოძრავებს ფართო ფენებს: ბიურგერობას, ბურჟუაზიას, თავადაზნაურობას, დემოკრატიულ და პლებურ მასებს. რეფორმაცია ჩაისახა გერმანიაში. რატომ იქცა გერმანია ამ მოვლენის ბუდედ? ამას განაპირობებდა გერმანიის განვითარების თავისებურობა. იგი იყო მოწინავე ქვეყანა და შემოსავლის მთავარი მიმცემი რომის კურიისათვის. ჰუმანისტები დაინტერესებულნი იყვნენ ეკლესიის რეფორმით. გერმანიაში შეიქმნა ეროვნული ოპოზიცია კათოლიკური მოძრაობის წინააღმდეგ. მისი ბელადი იყო **მარტინ ლუთერი** (1483-1546 წწ). იგი იყო შესანიშნავი მოღვაწე, დაწერა თავისი ავტობიოგრაფია. მამამისი იყო ღარიბი გლეხი, მარტინ ლუთერი უფროსი შვი-

ლი იყო. მშობლები მკაცრად ეკიდებოდნენ თავიანთ შვილებს. ლუთერის მამა გადასახლდა საქსონიაში და მაღაროს მუშა გახდა, შემდეგ კი შეძლებული ბიურგერი. მან მოინდომა მისი შვილი განათლებული ყოფილიყო. მარტინ ლუთერმა 1505 წელს დაასრულა ერფურტის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტი და მიიღო თავისუფალ ხელოვნებათა მაგისტრის I ხარისხი. მამამისი მოითხოვდა, რომ მას გაეგრძელებინა სწავლა იურიდიულ ფაკულტეტზე. ლუთერი არ დაეთანხმა, ეს იყო პირველი შემთხვევა მშობლის წინააღმდეგ წასვლისა. ამის შემდეგ ის აღიკვეცა ბერად ავგუსტინეს მონასტერში, რამაც მამამისის უკმაყოფილება გამოიწვია. მას სტანჯავდა აზრი, რომ ცოდვილი იყო და ჯოჯოხეთში მოხვდებოდა. სტანჯავდა თავის სხეულს და ფიქრობდა, რომ ამით უფრო გასპეტაკდებოდა, ე.ი. იგი იყო ასკეტი. მარხულობდა, ღამეებს უძილოდ, მარხვაში ატარებდა, იგვემავდა სხეულს. შემდეგ საღვთო წიგნების კითხვით ლუთერმა ჰპოვა გამოსავალი. დიდი როლი ითამაშა პავლე მოციქულის წერილმა. წერილი I, „მართალი სარწმუნოებით სცხონდეს". წერილი მესამე„ვიტყვით განმართლებას კაცისასა რწმენითა, თვინიერ საქმითა სჯულისა".

იგივე აზრს ატარებს **ნეტარი ავგუსტინე**. ლუთერი ამბობს: „ადამიანი არა ასკეტიზმით, სხეულის ტანჯვით შეიძლება განიწმინდოს ცოდვებისაგან, არამედ ჭეშმარიტი რწმენით." ეს გახდა მისი დედააზრი. აქედან გამოდიოდა დასკვნები: მაშ რა საჭიროა პაპის ხელსუფლება, საეკლესიო იერარქია, საეკლესიო წესები, ეკლესიის სიმდიდრე? მაგრამ ლუთერი ამ დასკვნებს ვერ აკეთებდა.

საქსონიაში, ვიტენბერგში ფრიდრიხმა გახსნა უნივერსიტეტი, სადაც მიიპატიჟეს ლუთერი, როგორც ღვთისმეტყველი. მან არ გაიხადა ბერის ანაფორა და დაიწყო ლექციების კითხვა. ის ამავე დროს მოძღვარიც იყო. დაიცვა დისერტაცია ღვთისმეტყველებაში და დახდა დოქტორი. ის მჭევრ-

მეტყველი იყო, ამიტომ სტუდენტებზე დიდ ზეგავლენას ახდენდა.

1510 წელს იმოგზაურა რომში, ნახა ინდულგენციებით ვაჭრობა, კარდინალების უნამუსობა პაპის კარზე. იგი მაინც არ შეეჭვებულა პაპისადმი ერთგულებაში.

1517 წელს ის პირველად გამოვიდა ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ, ამ დროს რომში აშენებდნენ წმინდა პეტრეს ტაძარს, რომლის მშენებლობა ლეონარდო დე ვინჩიმ დაიწყო და შემდეგ სხვებმა განაგრძეს. ამისათვის საჭირო იყო ფული. პაპი ლეო X (იტალიელი მედიჩების გვარიდან) ვაჭრობს ინდულიგენციებით. გუტენბერგის მიერ ბეჭდვითი ხელსაწყოს გამოგონების შემდეგ სწრაფად იბეჭდებოდა ინდულიგენციები. ამიტომ ყველაზე მეტად ის გერმანიაში ვრცელდებოდა, რომელსაც ბერი **იოჰან ტეცელი** ავრცელებდა. ინდულიგენციებით შეიძლებოდა მომავალი დანაშაულის პატიებაც. 1517 წელს ლუთერმა გამოაქვეყნა თხზულება„95 თეზისი“, რომელიც გააკრა ვიტენბერგის ეკლესიის კარზე (რომლის მოძღვარიც იყო). იგი ამტკიცებდა, რომ ინდულიგენციებით ვაჭრობა ეწინააღმდეგება საღმრთო წერილს. ადამიანი მხოლოდ ჭეშმარიტი რწმენით გამართლდება ღვთის წინაშე და არა ინდულიგენციებით. სამი კვირის განმავლობაში„95 თეზისი“ მთელს გერმანიაში გავრცელდა. იგი არ მოელოდა თავისი აზრების ელვისებურად გავცელებას. ის თავის აზრებს ბოლომდე არ ასაბუთებდა. 1519 წელს **იოჰან ეკმა** ლაიფციგში მოაწყო დისპუტი, მას სურდა მარტინ ლუთერის აზრების გამომჟღავნება. დისპუტი ორი დღე გაგრძელდა. ისინი კამათობდნენ რწმენის გამართლებასა და სხვა საკითხებზე. იოჰან ეკი იყო ცნობილი მჭერმეტყველი, იგი მოხერხებულად სვამდა კითხვებს, სადაც ლუთერმა გამოამჟღავნა თავისი მოსაზრება:“ სულის გადასარჩენად არ არის საჭირო პაპის შუამდგომლობა ღვთის წინაშე, ეკლესია-

საც შეუძლია დაუშვას შეცდომა. მაგალითად, იან ჰუსი შეცდომით დაწვეს."

1519 წელს პაპმა ლეო X-მ გამოგზავნა ბულა, რითაც ლუთერი განკვეთა ეკლესიისაგან, როგორც მწვალებელი. 1520 წლის დეკემბერში ლუთერმა შეკრიბა აუდიტორია ვიტენბერგის გარეთ. აქ მან დაანთო კოცონი და დაწვა პაპის ბულა, რითაც მან საბოლოოდ ჩატეხა ხიდი მასსა და პაპს შორის.

„95 თეზისის" გამო გერმანიაში დაწყებულ მღელვარებას ბიურგერობა და რაინდობაც გამოეხმაურა.

გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაში ცვლილებები ხდება. ლუთერი არ ერიდება თავისი აზრების გავრცელებას. წერს რამდენიმე თხზულებას, მათ შორის –„მოწოდება იმპერატორისა და გერმანელი მთავრების მიმართ", რომელშიც ჩამოაყალიბა თავისი მოძღვრება და წამოაყენა ორი ძირითადი დოგმა:

1.უმაღლესი ავტორიტეტი რწმენის საკითხში არის საღვთო წერილი. ეკლესიაში ყველაფერი, რაც ეწინააღმდეგება საღმრთო წერილს, უარსაყოფია. ეს დაუპირისპირა საეკლესიო ტრადიციას: პაპების, საეკლესიო კრებების დადგენილებებს, სქოლასტიკურ თხზულებებში გამოთქმულ აზრებს. იგი ასაბუთებს, რომ ყველაფერი უნდა უარვყოთ, რაც ეწინააღმდეგება საღმრთო წერილს: იერარქია, საეკლესიო კრება.

2.რწმენის დახსნა. მოითხოვს ეკლესიის გამარტივებას. ენგელსის შეფასებით: „ეს იყო ეკლესიის ბურჟუაზიული რეფორმა".

ლუთერი უარყოფდა ეკლესიის წესებს. ის მოითხოვდა შვიდი საიდუმლოდან (1. ნათლობა, 2. ზიარება, 3. მირონცხება, 4. ქორწინება, 5. მღვდლობა, 6. აღსარება, 7. ზეთის კურთხევა) დარჩეს ორი- ნათლობა და ზიარება, რაც საღმრთო წერილშია მოხსენიებული.„გატეხა პური, მიაწოდა მოციქულებს: ეს არის ხორცი ჩემი, მიაწოდა ღვინო და უთხრა: ეს

არის სისხლი ჩემი". პური პურია, მაგრამ მასში რაღაცნაირად არის ქრისტეს ხორცი, ღვინო ღვინოა, მაგრამ მასში რაღაცნაირად არის ქრისტეს სისხლი". ლუთერი მოითხოვს მარხვის, ხატების, წმინდა ნაწილების მოსპობას, რთული ღვთისმსახურების წესების გაუქმებას. ერთადერთი რასაც ტოვებს ეს არის მუსიკა (ორღანი). მოითხოვდა ასევე საეკლესიო იერარქიის მოსპობას. ასეთი იყო მოთხოვნები რომლებიც წამოაყენა ლუთერმა.

ლუთერი და გერმანელი ჰუმანისტი ჰულრაიხ ფონ ჰუტენი დიდ იმედებს ამყარებდნენ კარლ V-ზე. იმედოვნებდნენ, რომ ის რეფორმაციას ჩაუდგებოდა სათავეში. კარლ V ოცნებობდა მსოფლიო იმპერიის შექმნაზე, მისი დასაყრდენი კი კათოლიკური ეკლესია უნდა ყოფილიყო. გერმანიაში იგი პირველად 1521 წელს ჩავიდა, ქალაქ ვორმსში. მოიწვია რაიხსტაგი. მას ესწრებოდნენ მთავრები. გამოიძახეს მარტინ ლუთერი. მეგობრები მას ურჩევდნენ არ წასულიყო. ლუთერი მაინც წავიდა. გზაზე ლუთერი ჩერდებოდა და ქადაგებდა, ხალხი მის სანახავად მოდიოდა და უსმენდა. გაზაფხულზე იგი გამოცხადდა ვორმსის რაიხსტაგზე. მას მოუტანეს თხზულებები და მოსთხოვეს უარეყო თავისი აზრები. ლუთერმა განაცხადა: „დამიმტკიცეთ ჩემი აზრების მცდარობა საღმრთო წერილის საფუძველზე და ვიტყვი უარსო". მან კამათში გამოიწვია კარლ V, რომელმაც უარი განაცხადა ამაზე.,, მე არ შემიძლია დავუმორჩილო ჩემი სინდისი პაპებს, საეკლესიო კრებებს. მე ამაზე ვდგევარ, ღმერთი არის ჩემი შემწე" – განაცხადა ლუთერმა. ლუთერის მომხრე მთავრებმა სიამოვნებით მოისმინეს ეს საამაყო სიტყვა. კარლ V-მ ვერ გაბედა მისთვის ხელი ეხლო და უბრძანა წასულიყო.

26 მაისს კვლავ განაახლეს რაიხსტაგი. დაადგინეს: ლუთერს მისცეს 3 კვირა, რათა უარეყო თავისი აზრები, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოელოდა ინკვიზიციის კოცონი. ლუთერი დამალეს **ვარტბურგის** სიმაგრეში. ის ცხოვრობდა

რაინდი გეორგის სახელით 1522 წლის გაზაფხულამდე. 1 წელი ის მშვიდად ცხოვრობდა და ამ ხნის მანძილზე სულ წერდა, ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. თარგმნა საღმრთო წერილის წიგნები. ლუთერი იყო გერმანული სალიტერატურო ენის ფუძემდებელი.

ანაბაბტისტური მოძრაობა დაიწყო 1520 წელს მთის მიდამოებში, ქალაქ **ცვიკაუში**, გავრცელდა **ვიტენბერგში**. იგი შეესაბამებოდა დემოკრატიული ფენების ინტერესებს. მისი მონაწილენი იყვნენ: ხელოსნები, მაღაროს მუშები. მათ **ნიკოლაო შტორხის** მეთაურობით შექმნეს სექტა ე.წ. **ცვიკაუს მოციქულები**. ყველა სექტა ღებულობს **ანაბაბტიზმის** სახელწოდებას, რაც ხელმეორედ მონათლვას ნიშნავს. გარდა შტორხისა მეთაური იყო **კარლ შტადტი**

რა არის ანაბაბტიზმი?

ისინი მოითხოვდნენ ეკლესიის სრულ გამარტივებას, ამბობდნენ, რომ მთავარი წყარო არის საღმრთო წერილი. მაგრამ ეს არის ზეშთაგონება, უფრო მნიშვნელოვანია შინაგანი შთაგონება, რომელსაც ადამიანი ღებულობს ღმერთისგან. ისინი იღებდნენ ლუთერის საღმრთო წერილს. არავინ არ უნდა ერეოდეს ღმერთსა და ადამიანს შორის, ე.ი. არავითარი სამღვდელოება არ არის საჭირო. ლუთერი უარყოფდა იერარქიას. ანაბაბტისტები მოითხოვდნენ საყოველთაო მღვდლობას. ლუთერი ტოვებდა ორ საიდუმლოს: ნათლობას და ზიარებას, ხოლო ანაბაბტისტები ტოვებდნენ მხოლოდ ნათლობას, ამასთან უნდა მოინათლოს ყველა მოზრდილი და არა ბავშვი (უჭკუო, პატარა). მათ არ სწამდათ არავითარი დიდი ეკლესია. არსებობდა რამდენიმე ათეული სექტა, ესენი უმთავრესად მშვიდობიანი სექტები იყო, მაგრამ მათ გვერდით იყო რევოლუციური ცვიკაუს ანაბაბტისტები. აქ მოღვაწეობდა **თომას მიუნცერი,** რომლემაც დიდი გავლენა მოახდინა ანაბაბტისტების შეხედულების ჩამოყალიბებაზე.

თომას მიუნცერის პიროვნებით დაინტერესდა ისტორიკოსი მოსე სმირინი. ტომას მიუნცერი დაიბადა ჩალცის ოლქში, მიიღო კარგი განათლება, დაამთავრა უნივერსიტეტი. იყო ღვთისმეტყველი. მიიღო თეოლოგიის დოქტორის წოდება. მისი თხზულებებიდან ირკვევა, რომ მან კარგად იცოდა ჰუმანისტური ლიტერატურა. მისი გამოსვლა კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ იწყება 1513 წელს, როცა ქალაქ **ჰალეში** მოძღვრად იყო. ის ლუთერზე ადრე იწყებს საღმრთო წერილის გამართლებას. 1517 წელს, როცა ლუთერი გამოდის, მიუნცერი მას მიემხრობა და გაგრძელდა 1519 წლამდე – ლაიფციგის დისპუტამდე. 1520 წელს დასახლდა ცივიკაუში, სადაც ნიკოლაი შტორხის მიერ წარმოიშვა სექტა. აქ გამოვიდა ფრანცისკანული ბერების წინააღმდეგ. მიუნცერმა შეიმუშავა საკუთარი თეორია, რომელიც განსხვავდება ლუთერის მოძღვრებისგან. მისი თეორია ნაწილობრივ უახლოვდება ათეიზმს.

როგორია მიუნცერის მოძღვრება?

ის უარყოფს ღმერთის ზეარსებობას, რომელიც განაგებს მთელ სამყაროს, რომლის ნებაზეა დამოკიდებული მთელი სამყაროს არსებობა. ის უარყოფდა ღვთაებას და ამტკიცებდა, რომ ღმერთი არის ჩვენთან, ადამიანთა შორის, ამით ის უახლოვდება პანთეიზმს, რომელიც ყველგან ხედავს ღვთაებას. ის უარყოფდა იმქვეყნიურ სამყაროს: ჯოჯოხეთს, სალხინებელს, სამოთხეს. ციური ცხოვრება, ეს არის მიწიერი ცხოვრება განწმენდილი ბოროტებისაგან. ანუ ჩვენი ცხოვრება თუ გაიწმინდა ბოროტებისაგან, ის გახდება ციური. საჭიროა მოისპოს ბოროტი ექსპლოატატორები, მებატონეები, მთავრები, მჩაგვრელები რევოლუციის გზით. ექსპლოატატორების ძალაუფლების დამხობის შემდეგ ის უნდა გადასულიყო ხალხის ხელში.

მიუნცერი და მისი მომხრეები გააძევეს ცვიკაუდან. ისინი განიცდიდნენ დევნას და ბოლოს მივიდნენ **ვიტენბერგში.** ზოგიერთმა ლუთერანელმა მხარი დაუჭირა რევოლუციურ ანაბაბტისტებს. მათ შორის იყო **კარლ შტატი.** ანაბაბტისტების რევოლუციური მოძღვრების შედეგად დაიწყო ხატმებრძოლეობა, სპობდნენ ხატებს, სამღვდელოების ჩასაცმელს და ა.შ. რევოლუციური ანაბაბტისტები ქადაგებდნენ ქონების გათანაბრებას. ამან შეაშფოთა ბიურგერობა, რომელიც ლუთერის მთავარ სოციალურ საყრდენს წარმოადგენდა. 1521-1522 წლებში ლუთერი, როგორც ვიცით იმალებოდა. მაგრამ როცა გაიგო ვიტენბერგის პლებური მოძრაობის შესახებ, ჩამოვიდა და დაიწყო ქადაგება რევოლუციური პლებეების წინააღმდეგ. მისი აზრით:„საეკლესიო რეფორმა არაა ხალხის საქმე, ეს არის საერო ხელისუფლების საქმე, ისინი დააყენა ღვთის ძალამ". თხზულებაში„საერო ხელისუფლების შესახებ" წერს: „მიეცით კეისარს კეისრის და ღმერთს ღვთის სული. ხალხმა უარი უნდა თქვას რაიმე რეფორმის გატარებაზე". ლუთერმა გამოამჟღავნა თავისი კლასობრივი ბუნება. მიუნცერმა დაიწყო მისი კრიტიკა. მან განგებ დაუმახინჯა სახელი და ლუგერი უწოდა, რაც მატყუარას ნიშნავს. ვიტენბერგის საბჭოს დადგენილებით მიუნცერი და მისი მომხრეები აქედანაც გააძევეს, რადგან აქ ლუთერს უფრო უჭერდნენ მხარს.

ისინი ჩავიდნენ **მიულჰაუზენში.** ლუთერმა ვიტენბერგში ჩამოაყალიბა ლუთერანული თემი. ლუთერანული ეკლესია შემდეგნაირია – აქ მოსპობილია საეკლესიო იერარქია, ძირითადი უჯრედი არის მორწმუნეთა თემი. ის ირჩევდა მღვდელს, ე.წ. პასტორს (სულიერ მწყემსს), რომელიც იყო საერო პირი. იგი ისევე ღებულობს ორი სახის ზიარებას, როგორც მრევლის ჩვეულებრივი წევრი. მღვდელს ჰყავს ოჯახი, ანუ მოსპობილია ცელიბატი (ქორწინების აკრძალვა).:„ბურჟუაზიას ესაჭიროება იაფი ეკლესია". შვიდი საიდუმლოდან დატოვა ორი : ზიარება და ნათლობა. პური გარ-

დაიქმნება ქრისტეს ხორცად, ხოლო ღვინო სისხლად. ლუთერი ამბობს, რომ არ გარდაიქმნება ქრისტეს ხორცად ან სისხლად, მაგრამ მასში მაინც არის ქრისტეს ხორცი და სისხლიო. მოსპობილია ხატების თაყვანისცემა. წირვა-ლოცვა და ღვთისმსახურება გერმანულ ენაზე შემოიღო. მანვე შემოიღო საკურთხეველი. გაამარტივა ღვთისმსახურებაც და ბიბლიის ქადაგებაც. კათოლიკური ეკლესიიდან მხოლოდ ორღანი დატოვა.

წარმოიშვა სამი ბანაკი:

1.რეაქციულ-თავადაზნაურული;

2.ზომიერი- რეფორმაციული – ბიურგერული ოპოზიცია;

3.სახალხო -პლებური ოპოზიცია;

პირველ ბანაკს ეკუთვნის: იმპერატორი, მთავრები, განაკუთრებით სამხრეთის მთავრები, ქალაქის გაბატონებული ფენა-პატრიციატი.

მეორეს: ბიურგერობა, რაინდობა (იმპერიის) მთავრების და თავადაზნაურობის ნაწილი.

მესამე-ს: პლებეები, მაღაროს მუშები და წინაპროლეტარული ელემენტები.

პირველი ბანაკის მიზანია არსებული წყობილების დაცვა და კათოლიკური ეკლესიის შენარჩუნება. მეორის – საეკლესიო რეფორმა და მიწების სეკულარიზაცია. მესამე ბანაკის მიზანი იყო სოციალური უთანასწორობის მოსპობა.

გერმანიის რეფორმაცია დაკავშირებულია სახალხო მოძრაობასთან. 1521-1522 წლებში ადგილი აქვს ხატმებრძოლეობას. 1522 წელს სამხრეთ-დასავლეთ გერმანიაში მოხდა რაინდების აჯანყება **ზიკინგენის** ხელმძღვანელობით. მასში მონაწილეობდა ჰუმანისტი **ჰულრიხ ფონ ჰუტენიც.** ზიკინგერმა აჯანყება მოაწყო მთავრების წინააღმდეგ, კერძოდ ტრირის არქიეპისკოპოსის **რიჰარდის** წინააღმდეგ. აჯანყება ცუდად იყო ორგანიზებული. ჰყავდა სულ 15 ათასი კაცი,

5 ათასი ცხენოსანი, 10 ათასი დაქირავებული ქვეითი ჯარი. ტრირის არქიეპისკოპოსს მიეშველნენ **პფალცის, ჰესენის ლანკგრაფი.** მთავრებმა აჯანყება ჩაახშეს. ზიკინგენი დაიღუპა, ჰუტენი შვეიცარიაში გაიქცა და 1523 წელს ციურიხში დალია სული.

ლუთერი უკმაყოფილო იყო რაინდების გამოსვლით, ამიტომ იგი ამტყუნებდა ზიკინგენს და ჰუტენს. 1523 წლის მაისში საბოლოოდ ჩააქრეს რაინდების აჯანყება. 1524 წლის ზაფხულში დაიწყო დიდი აჯანყება გერმანელი გლეხების მიერ. მას დიდი გლეხთა ომი ეწოდა.

რამ განაპირობა ეს აჯანყება?

გლეხთა მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობა გაუარესდა. სამხრეთ-დასავლეთ გერმანიაში ადგილი აქვს დიდ ეკონომიკურ აღმავლობას. გაიზარდა მოთხოვნები სამრეწველო პროდუქტებზე, ხოლო სასოფლო პროდუქტებმა დაკარგა ფასი. მებატონეები ზრდიან ვალდებულებებს, ცდილობენ დაიტაცონ სათემო მიწები. ხდება პროცესი, რომელსაც ენგელსმა ბატონყმობის ხელმეორე გამოცემა უწოდა. 1500 წელს ლეგისტების გავლენით რაიხსტაგმა გამოიტანა დადგენილება. გლეხის ქალამანი იყო გამოსახული მათ დროშაზე.

კათოლიკური ეკლესია გლეხობის ერთ-ერთი ექსპლოატატორი იყო. ყოველი მორწმუნე ვალდებული იყო მიეცა მეათედი. იყო დიდი და მცირე მეათედი, იყო აგრეთვე სისხლის მეათედი. ხშირად მეტსაც ახდევინებდნენ. რეფორმაციული იდეები ვრცელდება გლეხებში, იქმნება რაზმები. 1525 წელს ეს მოძრაობა ფართო ხასიათს ღებულობს. იგი მოედო სამ რაიონს:

1) შვაბია – სამხრეთ-დასავლეთი გერმანია;
2) ფრანკონია – ცენტრალური რაიონი;
3) საქსონია – ტიურინგიის რაიონი;

შვაბიაში შეიქმნა **ჰანს მიულერის** რაზმები. მათ წამოაყენეს აჯანყების ორი პროგრამა. 1524 წელს მიუნცერის მომხრეებმა შეადგინეს აჯანყების პროგრამა ე.წ.„მუხლობრივი წერილები", რომელიც მოითხოვდა ყველა მეამბოხის გაერთიანებას, შეიარაღებულ ბრძოლას, უნდა მოესპოთ ფეოდალთა ციხე-სიმაგრეები. ზომიერმა გლეხებმა მემინგერში 1524 წლის მარტში შეადგინეს მეორე პროგრამა ე.წ.„12 თეზისის" სახით. მისი მოთხოვნები განსხვავდებოდა პირველისაგან. ეს არის შემდეგი მუხლები:

1) ამიერიდან გლეხებმა თვითონ უნდა აირჩიონ პასტორი, რომელიც გერმანულად იქადაგებს სახარებას;

2) მოისპოს„მცირე მეათედი" და დარჩეს მხოლოდ„დიდი მეათედი" (ჭირნახულიდან). იგი უნდა შეკრიბონ საყდრის მამასახლისებმა- არჩეულებმა ხალხის მიერ. მისი ნაწილი მიდის პასტორის რჩენაზე, მეორე ურიგდებათ ღარიბებს, მესამე ნაწილს ინახავენ ომისათვის;

3) ისპობა პირადი ყმობა;

4) გლეხებს უნდა მისცემოდათ ტყეებში ნადირობისა და მდინარეებში თევზჭერის უფლება;

5) ტყეები უნდა დაბრუნებოდა ხალხს;

6) საბატონო ბეგარის შენარჩუნება;

7) საიჯარო ქირის შემცირება;

8) საბატონო ღალის შემცირება;

9) სასამართლო ჯარიმების ზომიერად გადახდევინება;

10.გლეხებს გადაეცემოდა სათემო მიწები;

11. მკვდარი ხელისუფლების მოსპობა, ანუ მკვდარი ხელის გადასახადი;

12. გლეხები უარს იტყვიან მოთხოვნაზე, რომლის წინააღმდეგობას საღმრთო წერილთან მათ დაუმტკიცებენ.

ფრანკონიაში შეადგინეს ოთხი რაზმი:

1. **შავი რაზმი – ჰაიერი, გეიერი, მეცინგერი** ბელადები;

2. **ჰაილბრონის რაზმი** – გლეხის **გიორგ მეცლერის** და აზნაურ **ვენდერ ჰიპლერის** რაზმი;

3. **ნეკარის რაზმი – გლეხი რორბახი;**

4. **ნათელი რაზმი – გეოც ფონ ბერლიხინგერი**

ფრანკონელმა მეამბოხეებმა შეადგინეს პროგრამა.

აქ გლეხთა მოთხოვნებზე არაფერია ნათქვამი, მხოლოდ პოლიტიკური რეფორმების მოთხოვნებს შეიცავს. ერთიანი ზომისა და წონის ერთეულის, ერთი მონეტის შემოღება, ყოველგვარი თავადური, ქალაქური კავშირების მოსპობა. ეს იყო გერმანიის გაერთიანების პროგრამა. გლეხთა მოთხოვნებს„12 მუხლი" ეწოდა, რომელშიც შეიტანეს დამატება: გლეხებმა ხელი არ უნდა ახლონ თავადაზნაურთა მიწებს, სამაგიეროდ გლეხებს შეუძლიათ თავი დაიკმაყოფილონ მიწებით ეკლესიის ხარჯზე – სეკულარიზაციის გზით.

საქსონია-ტიურინგიაში აჯანყება მოიცავდა წინაპროლეტარულ ელემენტებს. იდეური ხელმძღვანელები არიან მიუნცერი და რევოლუციური ანაბაბტისტები. ვიტენბერგის შემდეგ 1525 წლის მარტში ქალაქ **მიულჰაუზენში** მოხდა აჯანყება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო და უხელმძღვანელა კიდეც მიუნცერმა. გატარდა დემოკრატიული რეფორმები, **ფრანკენჰაუზენთან** შეიქმნა დიდი სამხედრო ბანაკი. თომას მიუნცერი გზავნიდა პროკლამაციებს, რათა გაენადგურებინა მჩაგვრელები, მოწოდებებს უგზავნიდა გლეხებსა და მუშებსაც. ეს ბანაკი ჩეხების ტაბორიტების ბანაკს მოგვაგონებს.

შვაბიაში აჯანყება ჩააქრო ე.წ შვაბურმა კავშირმა – ქალაქების კავშირმა. პირველად მასში შედიოდა 24 ქალაქი. მას ჰყავდა კარგი ჯარი, არტილერია. სათავეში ედგა **ფონ ვალბურგი ტრუხზესი.** ჰყავდა 12 ათასი ქვეითი და 1200 ცხენო-

სანისაგან შენდგარი ჯარი. ის იყო ცბიერი, პირობებს აძლევდა ბელადებს, ატყუებდა და ცალ-ცალკე ამარცხებდა.

აჯანყება დამარცხდა. დამარცხების მიზეზი იგივეა, რაც დამახასიათებელია ფეოდალურ აჯანყებისათვის.

დიდი სისხლი დაიღვარა. გამოიტანეს **10 ათასი კაცის** სასიკვდილო განაჩენი. **130 ათასი კაცი** დაიღუპა აჯანყების დროს.

როგორი პოზიცია დაიკავა რეფორმაციის ბელადმა მიუნცერმა და ლუთერმა? მიუნცერი ხალხის ერთგული დარჩა ბოლომდე და სიკვდილის განაჩენი მიიღო.

ლუთერი თავდაპირველად, 12 თეზისის პროგრამის შედგენამდე, 1525 წლის მარტამდე, ესარჩლებოდა გლეხებს, მხარს უჭერდა პროგრამას. მოუწოდებდა მთავრებს წასულიყვნენ დათმობაზე, რომ სისხლისღვრა აეცდინათ. მაგრამ როცა გლეხებმა არ მოუსმინეს მას, ლუთერმა მათი აჯანყებაც დაგმო.

მის ეკლესიაშიც ბევრი რამ შეიცვალა. პასტორს ნიშნავდა მთავარი. საერო ხელისუფლებამ დაიჭირა პაპის ადგილი. რეფორმაცია ხელსაყრელი აღმოჩნდა მთავრებისთვის. გერმანელმა მთავრებმა გაიმარჯვეს, ჩააქრეს რაინდების აჯანყება, მოახდინეს საეკლესიო მიწების სეკულარიზაცია. პაპი კლიმენტ VII დათმობაზე წავიდა, მიწების სეკულარიზაცია აქაც მოხდა. ის ადგილი, სადაც რეფორმაციამ გაიმარჯვა, მოექცა მთავრების გავლენის ქვეშ.

თემა მეშვიდე

რეფორმაცია შვეიცარიაში და კონტრრეფორმაცია

კალვინიზმის ფუძემდებელია **ჟან კოვენი** – ლათინურად **კალვინუს**. ის დაიბადა 1509 წელს ჩრდილოეთ საფრანგეთში, ქალაქ **ნუაიონში**, ხოლო 1554 წელს გარდაიცვალა ჟენევაში. დაიბადა ფრანგის ოჯახში, მამამისი იყო ადგილობრივი ეპისკოპოსის მდივანი, მისი უფროსი ძმა იყო ტაძრის კაპელანი. მამამ მოისურვა მეორე შვილი – კალვინი იურისტი გამხდარიყო. იგი სწავლობდა ორლეანის უნივერსიტეტში, სადაც იურიდიულ მეცნიერებასთან ერთად შეისწავლა უცხო ენები: ლათინური, ბერძნული. გაეცნო ჰუმანისტების ლიტერატურას და იოჰან როიხლინისა და ერაზმ როტერდამელის ძლიერი გავლენა განიცადა. კალვინი გაიტაცა თეოლოგიამ და ლუთერის მოძღვრების გაცნობის შემდეგ მისი მიმდევარი გახდა. იწამა ორი რამ:

1. რწმენის საკითხში მთავარია ბიბლია – საღმრთო წერილი.

2.ადამიანს შეუძლია სულის გამართლება ჭეშმარიტი რწმენით.

ამ დოგმებს ავითარებდა ფრანგი ლეფევრ დ'ეტაპლი (ჰუმანისტი). კალვინი განეწყო კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ. მამა და შვილი ეკლესიიდან განკვეთეს. ის იურიდიულ საქმეს კი არ ეწეოდა, არამედ ქადაგებდა. 1535 წლისათვის საფრანგეთში პროტესტანტებს დევნიდნენ, კალვინმა თავი შეაფარა შვეიცარიის ქალაქ ბაზელს. აქ მან 1536 წელს დაწერა ფუნდამენტალური თხზულება„ქრისტიანული რელიგიის მოძღვრება", აგრეთვე„მოწოდება საფრანგეთის მეფისადმი" და სხვა. ეს თხზულებები დაიწერა ლათინურ ენაზე, ხოლო ორი წლის შემდეგ ამ თხზულებების ფრანგუ-

ლი თარგმანი გამოაქვეყნა. კალვინიზმი მიმართული იყო კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ. უმაღლეს ავტორიტეტს რწმენის საკითხში წარმოადგენს საღმრთო წერილი, ეს დებულება ჯერ კიდევ ლუთერმა წამოაყენა. კალვინმა იგი ლოგიკურად დააბოლოვა. იგი მიდის უფრო შორს, მისი აზრით ბიბლიას და საღმრთო წერილს უნდა შეესაბამებოდეს არა მარტო ეკლესია, არამედ მთელი საზოგადოება. ის იყო თეოკრატი და ამტკიცებდა, რომ **ჭეშმარიტი ეკლესია უნდა ბატონობდეს საზოგადოებაზე**. რაკი ადამიანს არ შეუძლია კეთილი საქმეებით თავის გამართლება, ის არის დამოკიდებული ღმერთზე. ღმერთს ადამიანები განაწილებული ჰყავს ორ კატეგორიად:

1. სულის ცხონება უწერია რჩეულებს – elect.
2. წარწყმედა, ჯოჯოხეთში მოხვედრა, განდევნილებს – Dumnat.

ადამიანმა არ იცის რომელ კატეგორიას ეკუთვნის. ყოველი მორწმუნე უნდა იქცეოდეს ისე, თითქოს ის არის რჩეული. მთელი თავისი ძალა უნდა დაძაბოს, რომ იქნეს ღირსი ღვთის არჩევისა. ადამიანმა, რომელიც მისდევს კანონებს, უნდა იგრძნოს სიმართლე. ქვეყანაზე სუფევს სიმდედრე და სიღატაკე, ორივე გამოცდაა მორწმუნისათვის, ორივე ღვთის მოციქულია. სიმდიდრე აიძულებს მორწმუნეებს არ გაამპარტავდნენ, არ დაივიწყონ მოყვრის სიყვარული, ერთგულება საზოგადოებისადმი. სიღარიბე კი უჩვენებს, რომ უნდა იყონ პატიოსანი, არ ჩაიდინონ მრუდე საქმე. ყოველი დარგის სამუშაო საპატიოა და აუცილებელი. ადამიანის წარუმატებლობა პროფესიაში არის ღვთის სასჯელი იმიტომ, რომ მორწმუნემ გვერდი აუარა სწორად გაგებულ მოვალეობას. ამ მოძღვრებას ეწოდა **მოწოდება ბედისწერისადმი.** კალვინიზმის დოგმა შეესაბამებოდა მაშინდელი ბურჟუაზიის ყველაზე გაბედული ნაწილის მოძღვრებას. მოწოდება ბედისწერისადმი იმ ფაქტის სარწმუნოებრივი გამოხატულება

იყო, რომ ვაჭრობა ან ეკონომიკური სფერო დამოკიდებულია არა პიროვნებაზე, არამედ მათგან დამოუკიდებელ გარემოებაზე.

კალვინი მოითხოვდა მომჭირნეობას, მოთმენას, შეამცირეს დღესასწაულების რაოდენობა, კალვინისტს უნდა უარეყო განცხრომა. 1536 წელს კალვინი დაბრუნდა საფრანგეთში, აქ დევნიდნენ პროტესტანტებს, ამიტომ გაემგზავრა სტრასბურგში, მაგრამ ვერ მიაღწია პირდაპირი გზით იმიტომ, რომ უნდა გაევლო ლორენი. იგი გაემგზავრა სამხრეთით, ჩავიდა ჟენევაში, სწორედ აქ დარჩა იგი საბოლოოდ. ჟენევა იყო ფრანგული შვეიცარიის მთავარი ქალაქი. ის იყო დამოუკიდებელი და მასზე გადიოდა სავაჭრო გზები, ჰქონდა საკუთარი თვითმმართველობა. XVI საუკუნის 20-იან წლებში ქალაქი ჟენევა დაუკავშირდა შვეიცარიის კავშირს და 1533 წელს ეპისკოპოსი გააძევეს ქალაქიდან. ქალაქმა მიიღო რესპუბლიკის ხასიათი. ფრანგმა **გიიომ ფარელმა** ჩააცარა საეკლესიო რეფორმა **ცვინგლის** შესაბამისად. აიკრძალა ღრეობა, ცეკვა-თამაში, ულირსი სიმღერები. ებრძოდნენ ზნეობრივ გარყვნილებას, დაიწყეს საეკლესიო რეფორმის ჩატარება. სწორედ ამ დროს ჩავიდა კალვინი ჟენევაში და გაეცნო ფარელს, მას ჟენევაში ურჩიეს დარჩენა, სადაც გაუჩნდა მიმდევრები და ქალაქის საბჭოზე გავლენა მოიხვეჭა. კალვინის მოღვაწეობა ჟენევაში 1538 წლამდე გაგრძელდა. ქალაქის საბჭოს არჩევნებში ხმის უმრავლესობა მისმა მოწინააღმდეგეებმა მიიღეს. კალვინი სტრასბურგში წავიდა, ხოლო 1541 წელს ჟენევაში კალვინისტების გამარჯვების შემდეგ იგი დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა რასპუბლიკას. მოწინააღმდეგეებმა მას პაპი უწოდეს. მან გააუქმა საეკლესიო იერარქია, ხატები, წმინდა ნაწილები, საეკლესიო მოსართავები, აგრეთვე გაუქმდა მრავალდღესასწაულობა. მან დააწესა, რომ ყოველ უქმე დღეს ყველა მოქალაქე უნდა დასწრებოდა წირვა-ლოცვას. აკრძალული იყო თეატრალური

წარმოდგენები – ის, რაც ახარებს თვალსა და ყურს, მოსპეს ორღანი ეკლესიაში. ღვთისმსახურება გამოიხატებოდა შემდეგში: ბიბლიის კითხვა, ქადაგება, გალობა.

კალვინმა ზიარების საიდუმლოს თავისი განმარტება მისცა. ცვინგლი ამტკიცებდა, რომ ზიარებაში არავითარი ხორცი და სისხლი კი არ არის, არამედ ეს მოგონილი იყო, მაცხოვარმა უამბო ხალხს, რომ უნდა გამოისყიდოს დანაშაული.

კალვინის თანახმად, ზიარება არის მორწმუნის მოწყვეტა ამ ქვეყნიდან და კავშირის დამყარება ქრისტესთან. ქრისტე მართლა ზეცაშია, მაგრამ კვებავს ჩვენს გონებას. კალვინის მოძღვრება არის დემოკრატიული და რეპუბლიკური. მარტინ ლუთერის მოძღვრება იყო მონარქიული. მორწმუნეთა კრება ირჩევდა მოძღვარს, ლათინურად მინისტრს, რომელიც ეწევა ღვთისმსახურებას. არ ატარებს სასულიერო ტანსაცმელს. მართალია მინისტრს ირჩევს მრევლი, მაგრამ დემოკრატიზმი მხოლოდ გარეგნულია. სინამდვილეში ძალაუფლება კონსისტორიის ხელშია და მასზეა დამოკიდებული მინისტრის არჩევა. **კონსისტორია** არის საეკლესიო საბჭო, საერო უხუცესები, რომლებიც შეძლებულ კლასს ეკუთვნიან და მათ ნიშნავს ქალაქის საბჭო. პრესვიტერები მართავენ კალვინისტურ ეკლესიას, რომელსაც პრესვიტორიული ეკლესია ეწოდა.

მთელი მმართველობა მცირე საბჭოს ხელში მოექცა, რომელიც 25 ადამიანისაგან შედგებოდა. კალვინმა შემოიღო მკაცრი წესები, მოისპო თავისუფალი აზრი, ურჩებს სჯიდნენ საპყრობილით, ჯარიმებით, ეკლესიიდან განკვეთით. მინისტრებს უფლება ჰქონდა გაეკონტროლებინათ მოსახლეობა. კალვინისტები შეუბრალებელი იყვნენ მოწინააღმდეგის მიმართ – ხშირად გამოჰქონდათ სასიკვდილო განაჩენი. ესპანელ ექიმს და ღვთისმეტყველს **მიგელ სერვეტს** (1511-1547) შემდეგი ბედი ეწია: მან აღმოაჩინა სისხლის მოძრაო-

ბის მცირე წრე. ამას გარდა ინგლისელმა მეცნიერმა **ჰალე-მაც** აღმოაჩინა სისხლის მოძრაობის წრე, მაგრამ სერვეტმა უფრო ადრე შეძლო ეს. მან უარყო ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება და მის მოძღვრებას ეწოდა **ანტიტრინიტარული**. სერვეტი გაიქცა საფრანგეთში და ვენას შეაფარა თავი. აქ დაბეჭდა თხზულება ქრისტიანობის აღდგენა. მას სურდა, რომ შეეთანხმებინა თავისი აზრები კალვინის მოძღვრებასთან, მაგრამ კალვინმა არ მოინდომა მასთან თანამშრომლობა და დაასმინა იგი. სერვეტი დააპატიმრეს მაგრამ მეგობრებმა იგი გაათავისუფლეს, რის შემდეგაც იმალებოდა. ერთ-ერთ წირვაზე სერვეტი იცნეს და დააპატიმრეს. მისი სასამართლო პროცესი ორი თვე გაგრძელდა რომელზეც კალვინი გამოვიდა სერვეტის საწინააღმდეგოდ.

სერვეტი აცხადებდა, რომ კალვინი ზღუდავს თავისუფალ აზროვნებას. სასამართლომ მას მწვალებლობაში დასდო ბრალი. კალვინის სახელით მას შენდობა აღუთქვეს თუ თავის შეხედულებაზე უარს იტყოდა, მარამ მან უარი განაცხადა. 1547 წელს იგი კოცონზე დაწვეს.

1553 წელს დაარსდა ე.წ. კალვინისტური აკადემია, რომელიც კალვინისტებს ამზადებდა. 1554 წელს გარდაიცვალა კალვინი, მისი მოძღვრება გავრცელდა ნიდერლანდებში, საფრანგეთში (ჰუგენოტების), ინგლისში (პურიტანისტული).

როგორი იყო კალვინისტური ეკლესია?

ეკლესიას განაგებდა საეკლესიო საბჭო. ოლქებს განაგებდნენ კონსისტორიების წარმომადგენლები. სინოდები კი კალვინისტური ეკლესიის ბედ-იღბალს განაგებდა.

ამრიგად, რეფორმაცია ვრცელდებოდა სხვადასხვა ქვეყანაში. პროტესტანტიზმის წარმატება განპირობებული იყო იმითაც, რომ კათოლიკური ეკლესია გახრწნას განიცდიდა. დომინიკანურმა ორდენმა მარცხი განიცადა ჰუმანისტებთან

ბრძოლაში. ესპანეთში, პორტუგალიაში, იტალიაში, პოლონეთში და საფრანგეთის ნაწილში რომის კათოლიკების ხელში იყო ძალაუფლება. ამ კათოლიკებში იწყება მოძრაობა, რომელიც მიმართულია პროტესტანტიზმის წინააღმდეგ. ეს ისტორიაში შევიდა როგორც **კონტრრეფორმაცია**. იგი სამგვარად გამოვლინდა:

1. იეზუიტთა ორდენი
2. რომის ინკვიზიცია
3. ტრიდენტის საეკლესიო კრება.

ადრე იქმნებოდა სხვადასხვა მონასტრული ორდენები, მაგალითად ფრანცისკანული, ურსულიდების, კარამელიტების ორდენი. ყოველ მათგანს ჰქონდა საკუთარი დანიშნულება. **ურსულინების** მიზანი იყო ბავშვების აღზრდა კათოლიკური სულისკვეთებით და ა.შ. ამათგან განსხვავდებოდა იესოს მიმდევართა ანუ **იეზუიტთა ორდენი.** მისი დამაარსებელი იყო ესპანელი იდალგო – იგნასიო ლიოლა. დაიბადა 1491 წელს, გარდაიცვალა 1556 წელს. ჭაბუკი ლოიოლა მსახურობდა პაჟად ფერდინანდ კათოლიკეს კარზე, ხოლო შემდეგ დაიწყო სამხედრო სამსახური და ომში დაკოჭლდა. ამის შემდეგ მან გადაწყვიტა მისიონერად პალესტინაში გამგზავრება. მან ხელი მოჰკიდა მეცნიერებისა და ღვთისმეტყველების შესწავლას. იყვნენ ესპანელები, იტალიელები, ფრანგები და მათ გადაწყვიტეს მოეწყოთ ჯვაროსნული ლაშქრობა მაჰმადიანთა წინააღმდეგ. მაგრამ შემდეგში შეიცვალეს გადაწყვეტილება და დაიწყეს პროტესტანტებთან ბრძოლა. დაარსეს თავიანთი საზოგადოება იეზუიტთა ორდენი, რომელიც პაპმა პავლე III-მ დაამტკიცა 1540 წელს. ეს ორდენი გამოირჩეოდა ყველა დანარჩენისგან, ორდენში შედიოდა 60 კაცი, გენერალი 7 მრჩეველით ემორჩილებოდა პაპს. მათ შეეძლოთ ეცხოვრათ როგორც მონასტერში, ასევე მის გარეთ, შეეძინათ უძრავი ქონება. ისინი თავიანთ წევრებს ასწავლიდნენ

თუ როგორ ევლოთ, ესაუბრათ, როგორი კილო მიეღოთ იმისდა მიხედვით, თუ ვის ესაუბრებოდნენ.

იეზუიტთა ორდენი გავრცელდა ესპანეთში, იტალიაში, საფრანგეთში, პორტუგალიაში, პოლონეთში, ამერიკის ახალშენებში (მათ დააარსეს პარაგვაი). იეზუიტები ეწეოდნენ მისიონერულ საქმიანობას. მათ ჰყავდათ 16 ათასი წევრი, ორდენში არსებობდა მკაცრი დისციპლინა, იეზუიტები ერთმანეთს ადევნებდნენ თვალყურს, მათთვის დამახასიათებელი იყო ენატანიაობა, გაუტანლობა. იეზუიტს ეკრძალებოდა წიგნის კითხვა. სულ არსებობდა თანამდებობრივი იერარქიის ხუთი საფეხური. ორდენის მეთაურს გენერალი ეწოდებოდა.

ისინი იყვნენ საუკეთესო მქადაგებლები, პედაგოგები, მეცნიერები. ისინი არ უარყოფდნენ მეცნიერების მიღწევებს. იეზუიტებმა პირველებმა დაყვეს სკოლა კლასებად, ბავშვებს ასწავლიდნენ დაბეზღებას, ჰქონდათ დაახლოებით 600–მდე სკოლა. მთავარი ამოცანა იყო ბრძოლა პროტესტანტიზმის წინააღმდეგ და ეკლესიის ერთგული მსახური. ისინი არ ერიდებოდნენ ტერორისტულ აქტებსაც.. 1582 წელს მოკლეს ნიდერლანდების ბელადი ვილჰელმ ორანელი, 1610 წელს პარიზში მეფე ანრი IV გამოასალმეს სიცოცხლეს. იეზუიტების პუბლიცისტებმა შეიმუშავეს თეორია, რომ უკეთუ ადამიანი ღალატობს ეკლესიას, უნდა შეეცადონ მოაბრუნონ, თუ არა და უნდა მოკლან. იქ, სადაც იყვნენ პროტესტანტები, მოქმედებდნენ იეზუიტებიც.

1542 წელს პაპმა პავლე III-მ რომში **საინკვიზიციო ტრიბუნალი** დააწესა. 1559 წელს კი შეადგინეს „აკრძალულ წიგნთა ინდექსი“, რომელშიც შედიოდა არა მარტო ის წიგნები, რომლებიც მიმართული იყო კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ, არამედ ახალი მეცნიერული ხასიათის შრომებიც, კერძოდ შრომები ასტრონომიაში, სადაც სამყაროს წარმოშობის საკითხი ბიბლიისგან განსხვავებით იყო განხილული.

1545 წლის 15 მარტს პაპმა პავლე III-მ ტრიდენტში (სამხრეთი ტიროლი) მოიწვია მსოფლიო საეკლესიო კრება, რომლის მიზანი იყო კათოლიკური ეკლესიის დოგმების დაცვა და მწვალებლობის დათრგუნვა. ეს კრება დიდხანს გაგრძელდა, ქრონოლოგიურად იგი სამ პერიოდს მოიცავდა:

1. 1545-1547 წლები; 2. 1551-1552 წლები; 3. 1562-1563 წლები.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა კრების მესამე სესიას. იეზუიტების ინიციატივით კრებამ ცნო პაპის ხელისუფლების უზენაესობა ეპისკოპოსებსა და საეკლესიო ხელისუფლებაზეც კი. საეკლესიო იერარქია, სასულიერო წოდების ცელიბატი, ხატები, წმინდა ნაწილები, ლათინური ენა ღვთისმსახურებაში ძალაში დარჩა.

კონტრრეფორმაციამ წარმატებას მიაღწია განსაკუთრებით იქ, სადაც ფეოდალიზმის ბურჯები ჯერ კიდევ მყარი იყო: პოლონეთში, ესპანეთში, იტალიაში, ჩეხეთში.

კათოლიკური რეაქციის შედეგად სახელმწიფოები მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ. მაგალითად პოლონეთი ეკონომიკურად და პოლიტიკურად იმდენად დაეცა, რომ XVIII საუკუნეში შეწყვიტა დამოუკიდებელად არსებობა. იტალია პოლიტიკურად ვერ გაერთიანდა, ესპანეთი XVII საუკუნის შუა ხანებში მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ გადაიქცა.

თემა მერვე

იტალია XVI-XVII ს-ის I ნახევარში

ეკონომიკური განვითარება

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად, საზღვაო გზების გადანაწილებამ ატლანტიკის ოკეანეში დიდი დარტყმა მიაყენა ევროპის ქვეყნებიდან გერმანიასა და იტალიას, თუმცა იტალიის ეკონომიკური დაცემა დაიწყო XV საუკუნიდან. იტალიისთვის დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, მართლაც, სავაჭრო და საფინანსო ძლიერების დასასრულს წარმოადგენდა.

იტალიაში XIII ს-ში განვითარებული იყო სავაჭრო, სამრეწველო და საბანკო კაპიტალიზმი. მართალია, იტალია ვითარდებოდა კაპიტალისტური გზით, მაგრამ ეს პროცესი შეჩერდა XV ს-ში. ევროპის მეზობელ სახელმწიფოებში: ესპანეთში, საფრანგეთში, ინგლისში ყალიბდებოდა აბსოლუტური რეჟიმი. აბსოლუტური მონარქიების წარმოშობას თან ახლდა ბურჟუაზიული კლასის კონსოლიდაცია, საშინაო ბაზრის განვითარება, საგარეო ვაჭრობის გაღრმავება.იტალიაში კი დაეცა მრეწველობა და ვაჭრობა, ძლიერი სახელმწიფოები თავს ესხმოდა მას, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა იტალიის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაზე.იტალიის ბურჟუაზია, რომელსაც აძევებდნენ ვაჭრობიდან და მრეწველობიდან, ხელს ჰკიდებდა სავაჭრო და ფინანსურ ოპერაციებს, იძენდა მიწას და ექსპლუატაციას უწევდა ყმა გლეხებს, რომლებიც ამ მიწაზე ცხოვრობდა, ესე იგი ეწეოდა მევახშეობას და ნახევრად ფეოდალურ სანახევრო მევახშეობას, (mezzadria მენახევრეობა), იგივე იჯარა, პროდუქციის ნაწილის მიღებით, ასეთი პროცესი მიმდინარეობდა: გენუაში, მილანოში, ვენეციაში, ფლორენციაში.

პოლიტიკური წყობა

XV საუკუნეში იტალია არ წარმოადგენდა ერთიან სახელმწიფოს. ის იყო დაქუცმაცებული ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად. ჩრდილოეთით საფრანგეთის მეზობლად მდებარეობდა სავოიის საჰერცოგო, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ყველაზე ძლიერი იყო ორი სავაჭრო რესპუბლიკა: გენუა და ვენეცია. ლომბარდიის დაბლობის ცენტრში მდებარეობდა მილანო. XV ს-ში მილანო ისეთი ძლიერი სახელმწიფო იყო, რომ მას ზოგჯერ გენუაც ემორჩილებოდა. ცენტრალურ იტალიაში მნიშვნელოვანი იყო ფლორენციის რესპუბლიკა და პაპის ოლქი, მთელი სამხრეთი კუნძული სიცილიის ჩათვლით ეკავა ნეაპოლის სამეფოს, რომელსაც 1435 წლიდან მართავდა არაგონელთა დინასტია.

ჩრდ. და ცენტრალური იტალიის მდიდარი სავაჭრო რესპუბლიკები უმთავრესად ეწეოდნენ სატრანზიტო ვაჭრობას ან ამზადებდნენ ნაწარმს საგარეო ბაზრისთვის. აქ არცერთი ფენა, არ იყო დაინტერესებული საშინაო ბაზრის განვითარებით. მხოლოდ სატრანზიტო და საგარეო ვაჭრობა, მოგების მიღება და კაპიტალის დაგროვება- აი, რა იყო მთავარი მიზანი ქალაქ– რესპუბლიკებისა. ქალაქ-სახელმწიფოებში ძალაუფლებას დაეუფლა ტირანები, მდიდარი გვარის ხალხი. **მილანოში** ვისკონტის გვარის დაცემის შემდეგ ძალაუფლებას დაეპატრონენ კონდოტიერები გვარად **სფორცა.** 1432 წელს მილანოს ჰერცოგი გახდა ჯან გელეანო სფორცა, მაგრამ ფაქტიური მმართველი იყო მისი ბიძა ლოდოვიკო მორო. **ფლორენციაში** ძალაუფლება გადავიდა მდიდარი ბანკირების **მედიჩების** ხელში. **პაპის ოლქს,** პაპის სახელმწიფოს განაგებდა პაპი, რომელიც მემკვიდრეობით გადასცემდა ტახტს. ვინაიდან პაპებად ირჩევდნენ მოხუცებს, ამიტომ ხშირად იცვლებოდნენ ისინი, ყოველი მათგანი ცდილობდა გაემდიდრებინა, დაეწინაურებინა თავისი ნათესავები (ნეპოტიზმი). **პაპი ალექსანდრე VI ბორჯია,** როდრიგო დე ბორ-

ჯია წარმოშობით იყო ესპანელი- ვალენსიიდან (1492-1503 წწ). ეს იყო ყოვლად ვერაგი, უზნეო, მაგრამ ამავე დროს, ძალზე ჭკვიანი და ძლიერი პიროვნება, რომელმაც ტახტი დაიკავა 1492 წელს კარდინალთა მოსყიდვის გზით, მისცა მათ სიმდიდრე, ციხე-სიმაგრეები და თვალ-მარგალიტი. ის უფრო თავისი გვარის გაძლიერებაზე ზრუნავდა, ვიდრე პაპობის გაძლიერებაზე. მან კავშირი შეკრა თურქეთის სულთანთან ბაიაზიდთან, ინახავდა მის ძმასა და პრინცს, რისთვისაც თურქეთის სულტანისაგან ყოველწლიურად იღებდა 40 ათასს დუკატს. ხოლო პრინცის მოწამვლისათვის აიღო 300 ათასი დუკატი. შემდეგ სულთანთან შეკრა კავშირი საფრანგეთის მეფის შარლ VIII-ის წინააღმდეგ, როცა ეს უკანასკნელი ნეაპოლში თავის გამარჯვებას ზეიმობდა.

ალექსანდრე VI ისტორიაში შევიდა, როგორც ძლიერი პოლიტიკოსი, მაგრამ გახრწნილი არამზადა, მოღალატე, მუხთალი მკვლელი. თავი ისახელა ფლორენციელი მქადაგებლის სავონაროლას დაწვით, მრავალი საყვარლითა და შვილით, თუმცა სამღვდელოებას ქორწინებას უკრძალავდა. თვითონ ოფიციალურად ჰყავდა ოთხი ვაჟი და ორი ასული. ერთი მათგანი ლუკრეცია იყო მისი ასულიც, ცოლიც და რძალიც. ზრუნვას არ აკლებდა არც ვაჟს ცეზარ ბორჯიას, რომელსაც ჩააბარა საეპისკოპოსო და მერე მთელი პაპის ოლქის გამგებლობა.

ცეზარ ბორჯიას სურდა მამის ძალაუფლებით ესარგებლა და მთელი იტალიის ხელმწიფე გამხდარიყო, ის არაფერს ერიდებოდა არც იარაღს და არც მოტყუებას.

ალექსანდრე VI შეცვალა პაპმა **იულიუს II-მ ჯულიანო დელა როვერემ** (1503–1513 წწ), იტალიელი (გენუიდან), რომელმაც მმართველობა ომებში გაატარა. ის იყო მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველი, დიდი გონებისა და გემოვნების ადამიანი, რომელმაც თავის საზრუნავად გაიხადა რომის გამშვენება, პაპობის ამაღლება და არაფერს არ ერიდებოდა

ამ მიზნების მისაღწევად. მან იმდენად აამაღლა პაპის ავტორიტეტი, რომ მეფეები უწევდნენ ანგარიშს, როცა ბარონიც ათვალწუნებით უყურებდა მათ. მან ჯერ ვენეციის წინააღმდეგ დადო ხელშეკრულება გერმანიის იმპერატორ მაქსიმილიანესთან, საფრანგეთის მეფე ლუი XII-თან და ესპანეთის მეფე ფერდინანდ კათოლიკესთან. შემდეგ ვენეციას შეუთანხმდა საფრანგეთის წინააღმდეგ, თურქებიც დაეხმარნენ, მაგრამ 1512 წელს ფრანგებთან დამარცხდა.

იულიუსის დიდი დამსახურებაა მიქელანჯელოს გენიის დაფასება, რისი შედეგიც იყო სიქსტის კაპელას ჭერის მოხატვა და პაპის საფლავის ძეგლისათვის მოსეს ქანდაკების შექმნა. მის დროს ასევე განახლდა წმინდა პეტრეს ტაძრის შენება, რომელსაც 22 პაპი აშენებდა 160 წლის განმავლობაში. ძლიერი ნებისყოფის პაპი ყიდდა თანამდებობებს, ვაჭრობდა ინდულგენციებით, აძლიერებდა ინკვიზიციას, ებრძოდა ჩეხ ერეტიკოსებს, ესპანელ ებრაელებს, **მავრებს,** თურქებს.

შემდეგი პაპი **ლეო X, ჯოვანი მედიჩი** (1513-1521 წწ) ფლორენციელი, ლორენცო მედიჩის მეორე შვილი, რომელიც მფარველობდა მეცნიერებასა და ხელოვნებას. მან წმინდა პეტრეს ტაძრის ასაშენებლად ბრძანა ინდულგენციებით ვაჭრობა, რითაც დააჩქარა რეფორმაციული მოძრაობა. ერისკაცი იყო, უყვარდა ფუფუნება და მხიარული ცხოვრება, თავს ირთობდა ნადიმებით, თეატრალური წარმოდგენებით. ის უფრო თავის ფლორენციაზე ფიქრობდა, ვიდრე პაპობის დიდებაზე და თვით იესოზე. ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ გამოვიდა მარტინ ლუთერი 1517 წელს და 1521 წელს დაწვა პაპის ბულა. იმ დროს რომს ფარდა ახადა გერმანელმა ჰუმანისტმა ულრიხ ფონ ჰუტენმა თავის "რომის ტრიადაში": სამი რამით ვაჭრობს რომი – ქრისტეთი, სამღვდელო ადგილითა და ქალებით.... სამი რამ ფასობს რომში: ქალის სილამაზე, კარგი ცხენი და პაპის სიგელი.....

სამი რამ არის უხვად რომში: მეძავები, მღვდლები და მდივ-ნები", პაპმა დაკარგა გერმანია – მეწველი ძროხა"-წერდა ჰუტენი.

იტალიური ომები

იტალიის ყურადღებას იპყრობდა საფრანგეთი და ესპა-ნეთი. ლუი XI–ის შვილი შარლ VIII 1492 წელს თავს დაესხა იტალიას, გადალახა ალპები, დაიპყრო ჩრდ და შუა იტალია, ფლორენცია ნეაპოლი. იტალიაში ფრანგებს ბევრი აღ-ფრთოვანებით შეხვდა. მილანოს ჰერცოგი ლოდოვიკო მო-რო იმედოვნებდა ფრანგების დახმარებით თავისი ძალაუფ-ლების განმტკიცებას და მთელი იტალიის ხელში ჩაგდებას, მაგრამ ფრანგებმა მათ იმედები არ გაუმართლეს. შარლ VIII-ის მიერ ლაშქრობის წამოწყებამ ფლორენციაში სახალ-ხო აჯანყება გამოიწვია მედიჩთა ტირანიის წინააღმდეგ და ისინი გაიქცნენ ქალაქიდან. ამ დროს გამოდის დომინიკელი სავონაროლა, რომელიც ამხელდა მდიდრების უსამართლო-ბას, იგი ქრისტეს მიიჩნევდა რესპუბლიკის მეთაურად და ფრანგების გამოჩენაში ხედავდა "ღვთის რისხვას", რომელ-საც იტალია სიბილწისგან უნდა განეწმინდა. რესპუბლიკის დიდი საბჭოსგან იგი მოითხოვდა პროგრესული გადასახა-დის შემოღებას, ღატაკთათვის ვალების პატიებას, მევახშე-თა განდევნას და ლომბარდის მოწყობას, სადაც უღარიბესი მოსახლეობა სულ მცირე პროცენტიანი სესხების მიღებას შეძლებდა. იგი მკაცრად გამოდიოდა მდიდრების წინააღ-მდეგ თუმცა ის კერძო საკუთრების წინააღმდეგ არ ილაშ-ქრებდა. მდიდრები ითვისებდნენ მდაბიო ხალხის ხელფასს, ტირანები და მათი თანამდებობის პირები კი თავის სასარ-გებლოდ იყენებდნენ ყველა შემოსავალს და გადასახადს. და სურდათ, რომ გლეხებს მუქთად ემუშავათ მათთვის. ის სვამდა კითხვებს: ქრისტიანია თუ არა პაპი, სწამდა თუ არა ღმერთი. ის აკრიტიკებდა კათოლიკურ ეკლესიას.ფრანგებმა

მალე დაანახეს იტალიას თუ რისთვის მოვიდნენ, იტალიის მმართველებმა კავშირი შეკრეს მაქსიმილიანესთან (რომის საღვთო იმპერატორთან) და საფრანგეთის მეფე შარლს VIII დაამარცხეს. პაპმა დააპატიმრა სავონაროლა და როგორც მწვალებელი კოცონზე დაწვა 1498 წელს. 1512 წელ მედიჩებმა კვლავ ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება.

ფრანგები ამის შემდეგ არაერთხელ შეიჭრნენ იტალიაში, ძარცვავდნენ, წვავდნენ, აპარტახებდნენ იტალიას. 1519 წელს კარლ V გახდა გერმანიის იმპერატორი. იტალიის ქალაქ-რესპუბლიკის მმართველები ხან საფრანგეთის მხარეზე გადადიოდნენ, ხან გერმანიის. ამ პოლიტიკამ არაფერი კარგი არ მოუტანა იტალიას. პავიასთან 1525 წელს გერმანიის იმპერატორის ჯარებმა დაამარცხეს საფრანგეთის ჯარები, პაპმა კლემენტ VII გამარჯვებულის შიშით, მის წინააღმდეგ შეკრა კავშირი საფრანგეთთან, ინგლისთან და იტალიის ზოგიერთ მმართველთან. იმპერატორის ჯარი ამის საპასუხოდ თავს დაესხა რომს (ჯარში უმეტესობა გერმანელი ლუთერანები იყვნენ) და გაძარცვეს, ისინი ფლეიტების ჰანგებით ალყას არტყამდნენ სახლებს და ულეტდენ ყველას, ვინც კი იმალებოდა. გერმანელები მკრეხელობდნენ, დადიოდნენ ქალაქის ქუჩებში პაპის წამოსასხამით მხრებზე, იკრიბებოდნენ ვატიკანში **კონკლავებზე,** რომელზეც პაპი გადაყენებულად გამოაცხადეს და წაბილწეს პაპის იულიუს II საფლავი. გერმანელები დაერივნენ შემდეგ მოსახლეობას, ფულის გამოძალვის მიზნით ისინი მოსახლეობას უმტვრევდნენ ფეხებს, კბილებს, სჭრიდნენ ყურებს, რომელთაც შემდეგ წვავდნენ და აიძულებდნენ უბედურებს, რომ ეჭამათ.

იტალიის ბურჟუაზიის ყველაზე შორსმჭვრეტელი წარმომადგენლებისათვის ნათელი იყო, რომ უცხოელთა შემოსევა და იტალიის უბედურება სწორედ მისი დაქუცმაცებულობა იყო. ფლორენციელი პოლიტიკოსი და ისტორიკოსი ნიკოლო მაკიაველი (1469–1527 წწ) ფლორენციაში მედიჩების

განდევნის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში იყო ფლორენციის რესპუბლიკის მრჩეველი საგარეო და სამხედრო საქმეებში. 1512 წელს მედიჩები დაბრუნდნენ და მაკიაველი, როგორც რესპუბლიკელი, იძულებული გახდა საქმეებს ჩამოშორებოდა. მას ბრალი დასდეს შეთქმულებაში მონაწილეობა მთავრობის წინააღმდეგ და დააპატიმრეს. შემდეგ ფლორენციიდან გადაასახლეს და თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები სიღარიბეში გაატარა.

წიგნში "მთავარი" ის ბევრ საინტერესო მოსაზრებებს წერდა. მოვიტანთ ზოგიერთ მათგანს: მთავრის ბუნებას უბრალო მოქალაქე შეიცნობს უფრო უკეთ. ის მთავარიც კი, რომელიც მაინცდამაინც დიდი ჭკუითა და გამჭრიახობით არ გამოირჩევა, ყოველთვის შეინარჩუნებს ძალაუფლებას, თუკი რაღაც უჩვეულო და საგანგებო ძალადობის შედეგად არ დაკარგა იგი; მაგრამ კიდევაც რომ დაკარგოს,კვლავ დაიბრუნებს მას, როგორც კი მოძალადეს რაიმე უბედურება დაატყდება თავზე. ერთი ცვლილება ყოველთვის გზას უხსნის მეორეს.ხალხს ჰგონია, რომ ახალი მთავარი უკეთესი იქნება ძველზე და ამიტომ, დროს იხელთებს თუ არა, უჯანყდება ამ უკანასკნელს რაც აგრეთვე ბუნებრივია და ჩვეულებრივი, ვინაიდან დამპყრობელი გამუდმებით ავიწროებს ახალ ქვეშევრდომთ. რაგინდ ძლიერიც უნდა იყოს მთავრის ლაშქარი, მაინც ვერ შესძლებს ამა თუ იმ ქვეყანაში შეღწევას ადგილობრივი მცხოვრებლების დაუხმარებლად. მბრძანებელი, რომელსაც ამბოხება გაკვეთილად გამოადგება, უფრო გადამჭრელ ზომებს მიმართავს თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად: არ მოერიდება არც ურჩთა დასჯას, არც ეჭვმიტანილთა მხილებას და წინდახედულად გაამაგრებს ყველა სუსტ ადგილს. ქვეყანა ვერ ითმენს გაპარტახებას მთავრის მოხელეთაგან.ადამიანები ან ალერსით უნდა მოინადირო, ანდა სულაც თავიდან მოიშორო ისინი; რადგან თუ ხალხი შურს იძიებს მცირეოდენი წყენის გამო, სამაგიე-

როდ, მძიმე შეურაცხყოფისათვის სამაგიეროს გადახდის თავი არა აქვს; მაშასადამე, კაცისთვის მიყენებული შეურაცხყოფა იმნაირი უნდა იყოს, რომ შურისგების არ გეშინოდეს.თუ შეიძლება გართულებების წინასწარ განჭვრეტა, არც მათთან ბრძოლა იქნება შეუძლებელი; მაგრამ თუ მათ მოახლოებას დაუწყებ ლოდინს, ყოველგვარი ღონისძიება ნაგვიანევი აღმოჩნდება, რადგანაც უკურნებელი გახდება სენი. დრო სრულიად გულგრილია ჩვენს მიმართ და თანაბრად გვახვევს თავზე როგორც სიკეთეს, ისე ბოროტებას. ომის თავიდან აცილების მიზნით, არამც და არამც არ უნდა მისცე ამა თუ იმ ბოროტებას ზრდის ნება, ვინაიდან ამ გზით ომს კი ვერ იცილებენ თავიდან, არამედ თავისდა საზიანოდ, მხოლოდ დროებით გადასდებენ მას.თავისუფლებას ნაჩვევი ქალაქის შენარჩუნება უფრო ადვილია მისი მოქალაქეების მეშვეობით, ვინემ სხვა რამ საშუალებით, თუკი მისი დაქცევა არა სურთ.მას, ვინც დაეუფლება, მაგრამ ბოლოს კი არ მოუღებს თავისუფლებას ნაჩვევ ქალაქს, თვითონ მოეღება ბოლო მისი ხელით, ვინაიდან ეს ქალაქი ყოველთვის ეცდება ამბოხების გზით დაიბრუნოს თავისუფლება და თავისი ძველი წესრიგი, რომელთაც მას ვერ დაავიწყებს ვერც დროის დინება და ვერც დამპყრობლის ქველმოქმედება. კაცნი თითქმის ყოველთვის სხვების მიერ გაკვალული გზებით დადიან და მოქმედებითაც თავიანთ წინამორბედთ ბაძავენ, თუმცაღა არ ძალუძთ განუხრელად მისდიონ სხვის გზას, ანდა სიქველით გაუტოლდნენ მათ, ვისაც ბაძავენ. დიახ, მთავარი უნდა ბაძავდეს ჭკვიან მოისართ, რომელნიც თუკი მიზანი ძალზე დაშორებული ეჩვენებათ, ვინაიდან მშვენივრად იცნობენ თავიანთი მშვილდის ძალას, მაინც მონიშნულ ადგილზე უფრო მაღლა სატყორცნელად მომართავენ ხოლმე სამიზნეს, არა იმიტომ, რომ საკუთარი ძალით ანდა ისრით მიაღწიონ ამ სიმაღლეს, არამედ რათა ესოდენ მაღალი სამიზნის წყალობით უწიონ მიზანს. სულიერი შემართების გარეშე ფუჭი იქნებოდა გარემოებათა ყოველგვარი დამთხვევა.უნდა ვიცო-

დეთ, რომ არ არსებობს უფრო ძნელი, წარმატების თვალსაზრისით უფრო საეჭვო და უფრო სახიფათო საქმე, ვიდრე ახალი წესრიგის დაფუძნება, რადგანაც სიახლის დამნერგავს მტრად ექცევა ყველა, ვისთვისაც ხელსაყრელი იყო ძველი წესრიგი, ხოლო ისინი, ვისთვისაც, პირიქით, ახალი უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, ძალზე დუნედ და გაუბედავად იცავენ მას.ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხის ბუნება ცვალებადია და ამიტომ დარწმუნებით კი შეგიძლია ადვილად დაარწმუნო იგი, მაგრამ მასაც ასევე ადვილად შეუძლია უღალატოს შენს რწმენას. ამიტომ ყოველთვის მზად უნდა იყო საიმისოდ, რომ თუ ხალხი რწმენას შეიცვლის, ძალით აიძულო, კვლავინდებურად ირწმუნოს ის, რაც სწამდა სახელდახელოდ შექმნილ სახელმწიფოებს, ისევე როგორც ყველაფერს, რაც სწრაფად იზრდება ბუნებაში, არ შეიძლება ღრმად ჰქონდეთ ფესვი გადგმული, რათა ქარიშხლის პირველსავე შემოტევას გაუძლონ.კაცთა ყოველგვარ მტრობას შიში ან სიძულვილი უდევს საფუძვლად. ამა თუ იმ სახელმწიფოს ხელში ჩაგდებისას დამპყრობელმა ერთბაშად, ერთის დაკვრით უნდა გამოიჩინოს მთელი სისასტიკე, რათა შემდეგ ყოველდღიურად აღარ დასჭირდეს მისი გამოყენება, და, ამრიგად, შესძლოს ხალხის დაშოშმინება და, ქველმოქმედების წყალობით, მისი გულის მოგება. სისასტიკე ერთბაში და ერთჯერადი უნდა იყოს, რათა ხალხს გონს მოსვლის საშუალება არ მიეცეს და, ამრიგად, ნაკლებ მტკივნეულად განიცადოს იგი, ქველმოქმედება კი ნელ-ნელა, წვეთ-წვეთობით უნდა გამოავლინო, რათა ხალხმა უკეთ შესძლოს მისი შეტკბობა.

გაჭირვების ჟამს არც ბოროტის ქმნა დაგაყრის ხეირს და არც სიკეთე წაგადგება რამეში, ვინაიდან, რაკიღა იძულებითი იქნება, ვერავის მოიმადლიერებ იმით.ბრძენ მთავარს დიახაც მართებს იმაზე ფიქრი, თუ როგორ უნდა მოიქცეს, რათა მისი ძალაუფლება ყოველთვის და ყოველგვარ ვითარებაში აუცილებელი იყოს მოქალაქეებისათვის, და მა-

შინ ისინი ყოველთვის უერთგულებენ მას.კაცნი ყოველთვის ცდილობენ თავი აარიდონ იმნაირ საქმეს, რომლის წარმატებაშიაც წინასწარვე ეჭვი ეპარებათ, ხოლო თავდასხმა მთავარზე, რომელიც საიმედოდ დაცულ ციხე-სიმაგრეში ზის, და რომელიც არა სძულს ხალხს, შეუძლებელია იოლ საქმედ იქნეს მიჩნეული.ხალხის ბუნება კი ასეთია, რომ სხვებისათვის გაწეული სამსახური მოვალეობის ისეთსავე გრძნობას აღუძრავს, როგორც სამსახური, რომელსაც სხვები უწევენ მას.ყოველი სახელმწიფოს – როგორც ახლის, ისე ძველის თუ შერეულის უმტკიცესი საფუძველი კი კარგად განვრთნილი ლაშქარი და კარგი კანონები გახლავთ, მაგრამ რაკი კარგი კანონები წარმოუდგენელია კარგად განვრთნილი ლაშქრის გარეშე, ხოლო კარგად განვრთნილი ლაშქარი თავისთავად განაპირობებს კარგ კანონებს. სხვისი საჭურველი ან ცუდად გადგას ტანზე, ან გამძიმებს, ან კიდევ მარწუხებივით გიჭერს და გსრესს.

ჭკუათხელი კაცი რომ საქმეს წამოიწყებს, წინასწარ ტკბება წარმატების იმედით და ამ სიტკბოებაში გარეულ შხამს კი ვერ ამჩნევს. მთავარს, რომელიც მაშინლა ამჩნევს ბოროტებას, როცა მან უკვე ღრმად გაიდგა ფესვი, არასდიდებით არ ეთქმის ბრძენი, რაც მცირერიცხოვან რჩეულთა ხვედრია მხოლოდ.

ბრძენკაცნი ყოველთვის შეგვაგონებდნენ, რომ „არაფერია უფრო სუსტი და უმწეო, ვიდრე მოჩვენებითი ძლიერება, რომლის საფუძველიც მხოლოდ მითქმა მოთქმაა და არა ნამდვილი ძალმოსილება იქ, სადაც ერთი მხარე ზიზღითაა აღვსილი, ხოლო მეორე იჭვით, შეუძლებელია ნაყოფიერი თანამშრომლობა.ბევრს შეუქმნია, თავისი წარმოსახვით, რესპუბლიკები თუ სამთავროები, რომლებიც არავის უხილავს და არც ის სმენია, რომ ისინი მართლაც არსებობენ სინამდვილეში. არაფერს არ შეუძლია თავისი თავი გალიოს ისე, როგორც სიუხვეს. მთავარი იშვიათად უნდა უფრთხოდეს რაიმეს უფრო მეტად, ვიდრე სიძულვილსა და ზიზღს, გუ-

ლუხვობა კი ერთსაც დაგატეხს თავზე და მეორესაც. ამიტომ უფრო გონივრულია, შეურიგდე ძუნწის სახელს, რომელიც იწვევს სირცხვილს სიძულვილის გარეშე, ვიდრე მიელტვოდე გულუხვის სახელს და, ძალაუნებურად, მტაცებლად იქცე, რაც თავს დაგატეხს სირცხვილსაც და სიძულვილსაც.მეგობრობა, რომელსაც წყალობის ფასად იხვეჭ და არა სულიერი სიდიდისა და კეთილშობილების შედეგად, მართალია, დანახარჯს კი გინაზღაურებს, მაგრამ გასაჭირში იარაღად არ გამოგადგება. სიყვარული მხოლოდ მოვალეობის გრძნობაზეა დაფუძნებული, რომელიც, კაცთა სულმოკლეობის გამო, დაუყოვნებლივ ქარწყლდება, როგორც კი მას ანგარება დაუპირისპირდება, მაშინ როდესაც შიშს განაპიროებებს ისევ შიში, სასჯელის შიში, რომელიც გამუდმებით ემუქრება ხალხს. ადამიანები უფრო ადვილად ურიგდებიან მამის სიკვდილს, ვიდრე სამკვიდროს მოშლას.ბრძენი მთავარი უნდა ეყრდნობოდეს იმას, რაც მასზეა დამოკიდებული, და არა იმას, რაც სხვის ნებაზე ჰკიდია;არსებობს ბრძოლის ორი სახე: ერთია ბრძოლა კანონების, ხოლო მეორე – ძალის მეშვეობით. პირველი ნიშნეულია ადამიანებისათვის, მეორე კი – მხეცებისათვის. მაგრამ რაკი პირველი ხშირად არასაკმარისია, ძალაუნებურად უნდა მივმართოთ ხოლმე მეორეს. მთავარი, და მით უმეტეს, ახალი მთავარი, ვერ უერთგულებს იმას, რის გამოც ადამიანს კაი კაცად თვლიან, ვინაიდან, სახელმწიფოს შესანარჩუნებლად, ხშირად იძულებულია იმოქმედოს ერთგულების, მოყვასისადმი სიყვარულის, ადამიანობის, სარწმუნოების საპირისპიროდ. ბრბოს მხოლოდ საქმის გარეგნული მხარე და საბოლოო შედეგი ხიბლავს;ამ ქვეყნად კი ბრბო ყველაფერია, მაშინ როდესაც ცალკეულ პიროვნებებს მხოლოდ მაშინ ენიჭებათ ერთგვარი მნიშვნელობა, როცა უმრავლესობამ აღარ იცის, ვისზე შეაჩეროს არჩევანი.

თუ ხალხს, საერთოდ, არც საკუთრებას წარსტაცებ და არც

პატივს აჰყრი, ის კმაყოფილია. სიძულვილს კეთილი საქმეც ისევე იწვევს ხოლმე, როგორც ბოროტი.ყველაზე უკეთესი სიმაგრე ისაა, რომ არ სძულდე ხალხს, ვინაიდან ციხე-სიმაგრეები რომც გქონდეს, მაგრამ საძულველი იყო ხალხისთვის, ისინი არას გარგია: რადგან ხალხი იარაღს ნუ მოჰკიდებს ხელს, თორემ ყოველთვის აღმოჩნდებიან მისი დახმარების მოსურნე უცხოელები.გამარჯვებაც არასოდეს არ არის ისეთი სრული, რომ გამარჯვებულს აღარავინ აღარ სჭირდებოდეს და აღარაფერს უწევდეს ანგარიშს, მით უმეტეს, სამართლიანობას. თვით სინამდვილეა ისეთი, რომ ვერასოდეს ვერ შესძლებ თავიდან აიცილო ერთი უბედურება ისე, რომ მეორე უბედურება არ დაგატყდეს თავს; კეთილგონიერება კი სწორედ ისაა, რომ შეიცნო ამ უბედობათა თავისებურება და ბედნიერად მიითვალო უმცირესი უბედურება. ადამიანები ყოველთვის ბოროტნი არიან, თუკი აუცილებლობა არ აიძულებთ სიკეთის გზა აირჩიონ. ადამიანებს აწმყო უფრო უყვართ, ვიდრე წარსული, და თუ დღევანდელი დღით კმაყოფილნი არიან, სხვას აღარ დაგიდევენ. მყუდრო ამინდში ვის ახსოვს ქარიშხალი? – ეს ნაკლი ხომ საერთოა ყველა კაცისთვის! **ბედისწერა** განაპირობებს ჩვენი მოქმედებების ნახევარს, ხოლო მეორე ნახევარს, მთლიანად თუ არა, ოდნავ ნაკლებს მაინც, ჩვენვე გვანდობს.

ბედისწერას მე ვამსგავსებ ბობოქარ მდინარეს, გამძვინვარებული რომ გადმოლახავს ნაპირებს, წალეკავს ხეობებს, ძირფესვიანად თხრის ხეებს, ანგრევს შენობებს, ერთი ადგილიდან გლეჯს და მეორეზე გადააქვს მიწა; ყველა გაურბის, ყველა უკუიქცევა მისი სიშმაგის წინაშე, არავის ძალუძს წინ აღუდგეს მის მძვინვარებას.მე ისიც მგონია, რომ ბედნიერია ის, ვისი მოქმედებაც დროის თავისებურებას ეთანხმება და ესადაგება, და ზუსტად ასევე, უბედურია ის, ვისი მოქმედებაც დროს არ შეესაბამება. არ არსებობს იმდენად კეთილგონიერი კაცი, რომ მიესადაგოს დროის მოთხოვნებს.

ბედისწერა – ქალია, და მის მოსათვინიერებლად არ უნდა იშურებდე მუჯლუგუნებსა და წიხლებს: ვინც არ იშურებს, უფრო ადვილად იურვებს მას, ვიდრე ფრთხილი და მოკრძალებული კაცი, ამიტომ ბედისწერა, ქალისა არ იყოს, ყოველთვის სიჭაბუკეს ამჯობინებს, რადგანაც სიჭაბუკე უფრო თამამია და უფრო თავდაჯერებულად მბრძანებლობს მასზე.

მხოლოდ ის იარაღია წმინდა, რომელიც ერთადერთ სასოებად დაუსახავს ხალხს.ღმერთს არა ნებავს, რომ ყველაფერი თვითონ მოიმოქმედოს, რათა არ მოგვხადოს თავისუფალი ნება და ჩვენი კუთვნილი დიდება."ხელმწიფე მოქმედებს უხეში ძალით, მსგავსად მხეცისა–იგი უნდა ათავსებდეს ლომისა და მელიის თვისებებს. თუ მას მარტო ლომის თვისებები ექნება, ის ვერ შესძლებს თავის დაცვას მტრისაგან. ხელმწიფემ არ უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულებები თუ ეს ვნებს მის გეგმებს. ის დაუფლებული უნდა იყოს სიცრუის და ფარისევლობის დიდ ხელოვნებას." (ნიკოლო მაკიაველი მთავარი. თბ.,1984)

მაკიაველს სურდა მმართველის იდეალი დაენახა ალექსანდრე VI-ის საშინელ ვაჟში ცეზარ ბორჯიაში,რომელიც ყველა გზით მოწამლით, მკვლელობით ცდილობდა შეექმნა თავისთვის სახელმწიფო. მაკიაველს ამოძრავებდა ქვეყნის ერთიანობის იდეა.

იტალიური აღორძინება

XVI ს–ის I ნახევარი წარმოადგენდა იტალიური აღორძინების უკანასკნელ პერიოდს. აღორძინების ეს უკანასკნელი პერიოდი მისი ჭკნობის პერიოდი იყო. ეს ის პერიოდია, როცა მოღვაწეობდა ხელოვნების და მეცნიერების გენიოსები **ლეონარდო და ვინჩი** (1452–1519), **მიქელანჯელო ბუანაროტი** (1475–1564), **რაფაელი** (1483–1523), და **ტიციანი**(1477–1576).

ლეონარდო და ვინჩის „საიდუმლო სერობა". მან ასევე გენიალური აზრები გამოთქვა ფიზიკაში, ასტრონომიაში, გეოლოგიასა და ქიმიაში. ის იყო მუსიკოსი და პოეტი. ფრინველი მისი აზრით არის აპარატი, რომელიც მათემატიკური კანონების საფუძველზე მუშაობს. მომავალი გენიოსის მამა, პიერო და ვინჩი მდიდარი ნოტარიუსი და მიწათმფლობელი, გახლდათ ყველაზე ცნობილი ადამიანი ფლორენციაში, ხოლო მისი დედა – კატერინა, უბრალო ქალი იყო. ლეონარდო მათ უკანონოდ შეეძინათ; იგი ბავშვობიდანვე გატაცებული იყო ხატვით. 1466 წელს, 14 წლის ასაკში, ლეონარდო და ვინჩი საცხოვრებლად ფლორენციაში გადავიდა, სადაც მამამ სასწავლებლად სამხატვრო სახელოსნოში – ანდრეა ვეროკიოს მიაბარა. 1460-1476 წლები ლეონარდომ ვეროკიოს სახელოსნოში გაატარა. 20 წლის ასაკში ის უკვე ჩამოყალიბებული მხატვარი იყო. შეიძლება ითქვას, რომ ლეონარდო უმეტესწილად თავისით სწავლობდა. 1478 წელს მან საკუთარი სახელოსნო გახსნა. 1482 წელს ლეონარდო და ვინჩი ტოვებს ფლორენციას და საცხოვრებლად მილანში გადადის, რომელსაც იმ პერიოდში მართავდა ლუდოვიკო მორო ("მავრი"), სფორცას გვარის დიდებული. მან ლეონარდო, როგორც ხუროთმოძღვარი და მუსიკოსი ისე მიიწვია. მანვე დაავალა აკადემიის დაარსება, რომლისთვისაც ლეონარდომ დაწერა "ტრაქტატი ფერწერაზე" — ყველა დროის მხატვართა სამაგიდო წიგნი. მოროსგან ლეონარდო პირველ შეკვეთასაც იღებს: მან უნდა ააგოს დიდი ძეგლი ლუდოვიკოს მამისათვის — "ფრანჩესკო სფორცა". 1499 წელს სფორცა ფრანგებმა მილანიდან განდევნეს და ლეონარდოსაც გაცლა მოუხდა. მომდევნი წლისათვის უკვე ფლორენციაში ჩავიდა, სადაც, დაახლოებით, ექვსი წელი დაჰყო, მხოლოდ ათი თვით მიატოვა იგი პაპის კონდოტურის – ჩეზარე ბორჯიას დავალებით, სიმაგრეების მშენებლობასთან დაკავშირებით. შემდეგ კვლავ მილანში დაბრუნდა. მილანში მოღვაწეო-

ბის დროს ლეონარდო და ვინჩიმ შექმნა ერთ-ერთი საუკეთესო ფერწერული ტილო "მადონა ლიტა". მსოფლიო ხელოვნების უდიდესი ქმნილება "საიდუმლო სერობა" (1496-1497), რომელიც აგრეთვე მილანში, "სანტა მარია დელა გრაციას" მონასტრის ერთ-ერთ კედელზეა დახატული. სურათზე არ იგრძნობა რელიგიური სიუჟეტებისათვის დამახასიათებელი სტატიურობა, ღვთიურობა. ლეონარდომ შეძლო სრულიად განსხვავებული, ადამიანური განცდების მქონე სახეების აღბეჭდვა. ცნობილია, რომ მხატვარი დადიოდა მილანის ქუჩებსა და სამიკიტნოებში, სწავლობდა ადამიანების სახეებს, ეს კი მას დიდ დროს ართმევდა. ფრესკა ტაძრის ნესტიან კედელზეა დახატული, რის გამოც ძალიან დაზიანდა, 1954 წელს მოხდა მისი რესტავრაცია. სიცოცხლის ბოლო ორი ათწლეული ლეონარდო და ვინჩიმ მოგზაურობაში გაატარა, რადგანაც ვერ პოულობდა ადგილს, სადაც საკუთარი თავის რეალიზებას შეძლებდა.

1513-დან 1519 წლამდე იგი მონაცვლეობით ცხოვრობდა რომში, პავიაში, ბოლონიასა და საფრანგეთში. 1506-1513 წლებში ლეონარდო კვლავ მილანშია, უკვე ფრანგთა მეფის — ლუი XII-ის სამსახურში. საერთო ჯამში, მან 23 წელი დაჰყო მილანში. ლეონარდოს ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია "მონა ლიზას" პორტრეტი, რომელიც საფრანგეთში ყოფნის დროს შექმნა და "ჯოკონდას" სახელითაა ცნობილი. სურათში პორტრეტის იმდროინდელი ხატვის ტენდენცია სრულიად დარღვეულია, მონა ლიზა მუხლებამდეა დახატული, თითქმის მთელი ტანით მაშინ, როდესაც პორტრეტებში ადამიანს მხოლოდ გულ-მკერდამდე ხატავდნენ. 1513-1514 წლებში ლეონარდო რომშია, სადაც პაპმა ლეო X-მ მიიწვია, 1516 წელს კი ფრანგთა მეფის, ფრანცისკ I-ის მიწვევით ჩადის საფრანგეთში. მეფემ ლეონარდოს ამბუაზის მახლობლად მდებარე კლუს ციხე-სიმაგრე უბოძა. ლეონარდო

და ვინჩი რამდენიმე პროფესიას ფლობდა, იგი ერთდროულად მხატვარი, სკულპტორი, არქიტექტორი, მეცნიერი და ინჟინერი იყო. ლეონარდო და ვინჩი 1519 წლის 2 მაისს გარდაიცვალა კლუს ციხე-სიმაგრეში. გადმოცემით, იგი ფლობდა დიდ ფიზიკურ ძალას. მასზე ამბობდნენ რომ „ხელით თავისუფლად შეეძლო ცხენის ნალის გაღუნვა“.“საიდუმლო სერობის“ შექმნის დროს ლეონარდო და ვინჩი უდიდესი პრობლემის წინაშე დადგა: მას უნდა განესახიერებინა სიკეთე იესოს სახით და ბოროტება – იუდას სახით. ლეონარდომ ხატვა შეწყვიტა და მხოლოდ მას შემდეგ განაგრძო, როდესაც იდეალურ მოდელებს მიაგნო. ერთხელ მხატვარი მომღერლების გუნდის გამოსვლას ესწრებოდა და ერთ-ერთ ყმაწვილ მომღერალში ქრისტეს ნათელი, სრულყოფილი სახე შეიცნო. ახალგაზრდა სახელოსნოში მიიწვია და რამდენიმე ჩანახატი გააკეთა. სამ წელიწადში მხატვარმა ტილო თითქმის დაასრულა, მაგრამ ვერაფრით ვერ მიაგნო ტიპაჟს, რომელიც იუდას დასახატად გამოდგებოდა. ფრესკის დამკვეთი კარდინალი აჩქარებდა. გარკვეული ხნის შემდეგ ლეონარდომ მთვრალი, ბინძური, ჩამოძონძილი, ნაადრევად დაბერებული კაცი აღმოაჩინა, ეტიუდის შესაქმნელად დრო აღარ რჩებოდა და მხატვარმა თანაშემწეებს უბრძანა, ტაძარში წაეყვანათ იგი. გაჭირვებით მიათრიეს ეკლესიაში და ლეონარდომ დახატა იუდა – მის სახეზე აღბეჭდილი იყო ცოდვა, ეგოიზმი, ბედუკულმართობა. როდესაც მხატვარმა სამუშაო დაასრულა, გამოფხიზლებულმა მათხოვარმა თვალი გაახილა, გაოცებულმა მიმოიხედა და როგორც კი ნახატი დაინახა, შეშინებულმა წამოიყვირა:“ეს ნახატი მე ნანახი მაქვს!კი მაგრამ, საიდან?. – გაუკვირდა ლეონარდოს.- სამი წლის წინ, სანამ ყველაფერს დავკარგავდი, გუნდში ვმღეროდი, მომავლის იმედი მქონდა...ერთმა მხატვარმა წამიყვანა და ჩემი სახე ქრისტეს დასახატად გამოიყენა...“

მიქელანჯელო ბუონაროტი. მან დახატა მოსე, დავითი, ბრუტუსი, შებოჭილი მონა, ძველი აღთქმის მოციქულები. მან ასახა მეამბოხე სული, თავისი სამშობლოს ტრაგიკული ბედი. ის მონაწილეობას იღებდა 1530 წელს ქალაქის დაცვაში კარლ V-ის ბანდების წინააღმდეგ. მიქელანჯელო დაიბადა ლუდოვიკო ლეონარდო ბუონაროტის ოჯახში 1475 წლის 6 მარტს ქალაქ კაპრეზში (ახლანდელი პროვინცია არეცო), ფლორენციის მახლობლად. მამამისი ადგილობრივი თვითმმართველობის თავი იყო. ის სასტიკი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ საკუთარი შვილი მოქანდაკე ყოფილიყო და მის მომავალთან დაკავშირებით სხვა გეგმები ჰქონდა. ამან განაპირობა მიქელანჯელოს გადაწყვეტილება,13წლის ასაკში, გადასულიყო დომენიკო გირლანდაიოს სახელოსნოში, მის ასისტენტად. სადაც ის, სამი წლის განმავლობაში, ფრესკის ხელობას ეუფლებოდა და ცნობილი მხატვრების ნამუშევრების ხატვას ცდილობდა, რასაც ისე ახერხებდა, რომ ხშირად ორიგინალისაგან გარჩევა შეუძლებელი იყო. სწორედ გირლანდაიოს რეკომენდაციით სწავლობდა და მუშაობდა მიქელანჯელო, 1490–1492 წლებში, ფლორენციის იმდროინდელ მმართველ, ლორენცო მედიჩის ვილაში. ამ პერიოდის ნამუშევრებია, "კენტავრების ბრძოლა" და "მადონა კიბესთან".

ლორენცოს გარდაცვალების შემდეგ, ფლორენციის ახალმა მმართველმა, პიერო მედიჩიმ უარი თქვა მიქელანჯელოს ვილაში დარჩენაზე. 1492 წელს გადავიდა ახალგაზრდა ხელოვანი ბოლონიაში.

20 წლის მიქელანჯელო მიიღო ალდოვრანდის ოჯახის ერთ–ერთმა წევრმა, რომლის დავალებითაც მან წმინდა პეტრონიუსის ეკლესიაში, წმინდა დომინიკუსის სამარხისათვის, ორი წმინდანის ფიგურა და ერთი ანგელოზის ქანდაკება შექმნა. ერთი წლის შემდეგ, როცა მისმა ხელოვნებამ ბოლონიაში დიდ წარმატებას ვერ მიაღწია, მიქელანჯელო სავონაროლაში დაბრუნდა.

მიქელანჯელო რომში 1496 წლის 25 ივნისს 21 წლის ასაკში ჩავიდა. იმავე წლის 4 ივლისს, კარდინალ რაფაელ რიარიოს დავალებით მან მუშაობა ბახუსის ქანდაკებაზე დაიწყო, თუმცა კარდინალს მისი ნამუშევარი არ მოეწონა და ქანდაკებამ ადგილი ბანკირი ჯაკოპო გალის ბაღში დაიდო.

რომში მიქელანჯელო სანტა-მარია-დი-ლორეტოს ეკლესიის მახლობლად ცხოვრობდა. მიქელანჯელოს სახლი 1874 წელს დაანგრიეს, ხოლო შემორჩენილი არქიტექტურული ელემენტები 1930 წელს განადგურდა. მისი სახლის რეკონსტრუქცია დღეისთვის იანიკულის ბორცვზე მდებარეობს.

1546 წელს მიქელანჯელო ვატიკანში დაინიშნა წმინდა პეტრეს ბაზილიკის არქიტექტორად. წმინდა პეტრეს ბაზილიკის დასრულებამდე, 1564 წელს მიქელანჯელო 88 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი სურვილის მიხედვით ის რომიდან ფლორენციაში გადაასვენეს და დაკრძალეს სანტა კროჩეს ბაზილიკაში.

რაფაელი. აღორძინების მხატვრობის ნათელი და ხალისიანი ფიგურა იყო რაფაელ სანტი. რაფაელი ებრაულად "ღვთის წყალობას" ნიშნავს. სწორედ ასეთი წყალობა მოევლინა ქალაქ ურბინოს, სადაც 1483 წელს დაიბადა რაფაელი. თავდაპირველად ხატვა მამამ ასწავლა, შემდეგ ოსტატმა ვიტემ, ბოლოს კი პერუჯაში მხატვარ პიერო პანუჩის (პერუჯინოს) მოსწავლე ხდება. რაფაელმა მხატვრობის ნიჭი ადრეული ასაკიდან გამოავლინა, 17 წლის ასაკში ის უკვე ავტორია ნახატების " რაინდის სიზმარი", "სამი გრაცია" და "პერუჯინოს პორტრეტი". 1504 წელს იგი მიდის ფლორენციაში, სადაც ამ დროს მოღვაწეობენ მიქელანჯელო და ლეონარდო და ვინჩი. ამიტომ პირველ ხანებში რაფაელი განიცდის ლეონარდოსა და მაზაჩოს ზეგავლენას და ზურგს აქცევს წმინდა საეკლესიო მხატვრობას. სწორედ ფლორენციაში შექმნა მისი ცნობილი მადონების დიდი ნაწილი. "მადონა

მწვანეში"(1505 წელი ვენა, სამხატვრო–ისტორიული მუზეუმი), "მადონა მშვენიერი მებაღე", "მჯდომარე მადონა"(1516წ ფლორენხია, პიტის გალერეა),"დიდი ჰერცოგის მადონა" და ა.შ. ამის გამო რაფაელის მოღვაწეობას ფლორენციაში "მადონების პერიოდი" უწოდეს. 25 წლის რაფაელი მიდის რომში, სადაც რომის პაპის დავალებით იწყებს ვატიკანის სასახლის მოხატვას.1509-17 წლებში მოხატა სამი დიდი დარბაზი, მათ შორის "ხელმოწერის დარბაზი", რომლის ოთხივე კედელი უკავია უზარმაზარ ფრესკებს "პოეზია", "ღვთისმეტყველება" "მართლმსაჯულება" და "ფილოსოფია". გარდა კედლის მხატვრობისა რაფაელი არაჩვეულებრივი პორტრეტისტიც იყო, სადაც კარგად გამოხატავდა ადამიანის ხასიათს, მაგ: "იულიუს მეორის პორტრეტი". რაფაელ სანტი ფერწერასთან ერთად შესანიშნავი გობელენების ოსტატი და დიდებული არქიტექტორიც იყო. რამდენიმე წლის განმავლოვაში ის ხელმძღვანელობდა მსოფლიოში უდიდესი გუმბათოვანი ეკლესიის წმ. პეტრეს ტაძრის მშენებლობას. 1520 წლის 5 აპრილს თავის დაბადების დღეზე გარდაიცვალა. მისი ნამუშევრებია:

1. "მადონა კონესტაბილე" – ერმიტაჟის მშვენება, თავდახრლი, ფიქრიანი, ნაზი ღვთისმშობელი.
2. "წმინდა გიორგი"
3. "წმინდა ოჯახი" – ეს სურათი დახატა ფლორენციელი ვაჭრის ანჯელო დონის შეკვეთით, რითიც უკვდავყო დონის სახე.
4. "ქრისტეს კუბოში ჩასვენება"
5. "მადონა მწვანეზე" – კომპოზიციურად განსხვავებული სურათი.
6. "მშვენიერი მებაღე" – ეს ტილო დედის მშვენიერების აპოტეოზად ითვლება

7. "მადონა სედია" – მადონა სავარძელში, პიტის გალერეა, ღვთისმშობელი ნრეშია დახატული. ასეთი მრგვალი სურათები აღორძინების ეპოქაში იშვიათად გვხვდება.

8. "ჯვრის ზიდვა" – პალერმოს საკურთხევლისთვის შექმნილი უკვდავი ტილო. გემი, რომლითაც ეს ტილო პალერმოში გადაჰქონდათ ჩაიძირა, ყუთი უვნებლად გაირიყა გენუაში და ასე გადარჩა.შემდეგ კი ფილიპე მეოთხემ მადრიდში ჩაიტანა.

9. "მადონა ალბა"სიქსტეს მადონა".აქ რაფაელმა დედის სრულყოფილ სახეს მიაგნო, ღვთისმშობელისა და ღვთაებრივი ყრმის სახე სიცოცხლით სავსე და ადამიანურია.

ბიბლიური სცენებიდან კი აღსანიშნავია "ნადირთა შექმნა", წარღვნა" და "იოსების სიზმარი.

ტიციანი, ან ტიციანო ვეჩელი (Tiziano Vecelli; დაახ. 1488-90 – 27 agvisto, 1576) – მე-16 საუკუნის იტალიური რენესანსის ვენეციური სკოლის წამყვანი ხელოვანი. დაიბადა პიევე-დი-კადორეში, ფრიულის პროვინცია, იტალია, და გარდაიცვალა ვენეციაში. სოცოცხლეში ხშირად მოიხსენიებდნენ როგორც **და კადორე**, მისი დაბადების ადგილის მიხედვით.

თანამედროვეთა მიერ შეფასებული როგორც "მზე მცირე ვარსკვლავთა შორის", ტიციანის შემოქმედება იტალიელ მხატვართა შორის ყველაზე მრავალფეროვანი და ყოვლისმომცველი იყო. მოიცავდა რა პორტრეტებსა და პეიზაჟებს (ორი მთავარი ჟანრი, რითაც სახელი გაითქვა), ასევე მითოლოგიურ და რელიგიურ მოტივებს. 40 წლის ასაკში რომ გარდაცვლილიყო, მას უკვე ექნებოდა მისი დროის ყველაზე გავლენიანი ხელოვანის სახელი მოხვეჭილი. თუმცა ის ნახევარ საუკუნეზე მეტს ცოცხლობს და ბოლო წლებში პოლარულად იცვლის ხატვის სტილს, რის გამოც მრავალ ხელოვნებათმცოდნეს არ ძალუძს დაიჯეროს, რომ მისი ადრეული და გვიანდელი ნამუშევრები შესაძლებელია ერთი პიროვნე-

ბის ხელს ეკუთვნოდეს. მისი კარიერის ორი პოლარული ნაწილის გამაერთიანებელია მისი ღრმა ინტერესი ფერებში. და მიუხედავად იმისა, რომ მისი გვიანდელი ნამუშევრები არ გამოირჩევა იმდენად მკაფიო ულერადი ფერებით, როგორც ეს მის ადრინდელ ტილოებს ახასიათებდა, მისი ფუნჯის ჰაეროვან მოსმებსა და პოლიქრომატულ ფერთა გამებს მანამდე დასავლეთის ხელოვნების ისტორიაში პრეცედენტი არ ჰქონდა

იტალიის დიპლომატია XIII-XV სს–ში

საელჩო სამსახურის ორგანიზაციაში ვენეციელებს ბადალი არ ჰყავდათ. იტალიის დანარჩენმა სახელმწიფოებმა მისგან გადაიღეს მაგალითი.

თავდაპირველად ელჩების უცხოეთში ყოფნის ხანგრძლიობა დამოკიდებული იყო ამა თუ იმ განსაკუთრებულ გარემოსა და სათანადო საქმეების სერიოზულობაზე.

ელჩს ეკრძალებოდა ხელფასთან ერთად რაიმე სხვა შემოსავლის ქონა. დიდი საბჭოს ელჩებს ევალებოდათ ყველა იმ მონაცემების წარდგენა, რის შეგროვებასაც ისინი უცხოეთში ყოფნისას მოახერხებდნენ და რაც სახელმწიფოს გამოადგებოდა. ვენეციელ ელჩებს უფლება არ ეძლეოდათ პირად საკუთრებაში ჰქონოდათ სამფლობელოები იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც ისინი იმყოფებოდნენ. ელჩებს ანგარიში უნდა წარედგინათ იმ ქვეყნის შესახებ, სადაც ისინი იმყოფებოდნენ. ელჩებს ეკრძალებიდათ პოსტის დატოვება ნებართვის გარეშე.

XIII ს-დან ვენეციის მთავრობა ელჩს ნიშნავდა 3 ან 4 თვით. XV ს-ში ეს ვადა 2 წლამდე გაიზარდა. მომდევნო საუკუნეებში კი 3 წლამდე. ელჩს უფლება არ ჰქონდა თან წაეყვანა მეუღლე, რადგან შეიძლებოდა ჭორებში გახვეულიყო და საქმისთვის ზიანი მოეტანა. ელჩს შეეძლო პირადი მზარეული

წაეყვანა, რათა უცხოელ მზარეულებს არ მოეწამლათ და მაინც ვენეციის ელჩის თანამდებობა არ იყო სახარბიელო. ელჩები არცთუ იშვიათად ამ თანამდებობაზე ყოფნისას ღარიბდებოდნენ და ვალებში ვარდებოდნენ. თუმცა ვენეციის ხელისუფლება აღმოსავლურ სამფლობელოში სხვადასხვა თანამდებობაზე დანიშვნით აჯილდოვებდა, მატერიალური მდგომარეობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა კოსტანტინეგპოლში **ბაილოს** თანამდებობა თურქთა სამფლობელოში. ეს იყო ყველაზე საპასუხისმგებლო თანამდებობა. ბაილო უნდა ყოფილიყო ძირითადად ასაკოვანი და დახელოვნებული დიპლომატი. ამ თანამდებობის მიღებას გარკვეული სირთულეებიც ახლდა: პირი მთლიანად მოწყვეტილი იყო ოჯახურ სიმყუდროვეს.

1271 წელს დეკრეტის მიხედვით, ვენეციელი, ვინც უარს იტყოდა ელჩის თნამდებობის მიღებაზე, ჯარიმდებოდა საკმაოდ დიდი თანხით. ანალოგიური წესები არსებობდა ფლორენციაში: აქ პირველი დეკრეტი „წესები ელჩებისთვის" 1421 წელს გამოიცა.მასში მითითებული იყო: ელჩი, რომელიც არ გამოირჩოდა დაკავებული თანამდებობაზე მორჩილებით, სასტიკად დაისჯებოდა მოქალაქეობის უფლების ჩამორთმევით. ცნობილია, რომ XVI ს–ში ფლორენციელები უარს ამბობდნენ დიპლომატიური დავალების შესრულებაზე, რის გამოც მთავრობა იძულებული იყო ელჩებად დაენიშნათ კლერკების და მოსამსახურეთა რიგებიდან.

XV-XVI საუკუნეში იტალიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუდმივი დიპლომატიური მისიების დაარსებას. ამიერიდან ელჩები აკრედიტებული იქნებოდნენ სხვადასცვა ქვეყნების დედაქალაქებში. მართალია პაპები ჯერ კიდევ 1453 წლიდან გამუდმებით ნიშნავდნენ მუდმივ წარმომადგენლებს ანუ აპოკრისარიას) ბიზანტიის კარზე და რევენას არქიეპისკოპოსს დიდი ხნის მანძილზე წარგზავნილი ჰყავდა რომის კარზე, მაგრამ პირველი მუდმივი საელჩო თანამედროვე გაგებით

აკრედიტებული იყო 1450 წელს მილანის ჰერცოგის ფარჩესკო სფორტას მიერ კოზიმო მედიჩის (ფლორენც) კარზე.

შემდგომი 15 წლის განმავლობაში ამ მაგალითს მიბაძეს ევროპელმა და იტალიელმა სახელმწიფოებმა. ასეთ წარმომადგენლებს თავიდან „ელჩებს" კი არ უწოდებდნენ, არამედ „ორატორ–რეზიდენტებს". სიტყვა ელჩი კელტური სიტყვის რომანიზებული ვარიანტია და მსახურს ნიშნავს. თავიდან ელჩებს არც წარჩინებული ფენიდან ირჩევდნენ და არც მმართველი კლასიდან. ასე მაგ: ლუი XI თავისი დალაქი დანიშნა ელჩობის სათავეში მარია ბურგუნდიელთან. ფლორენციის ელჩობას ნეაპოლში აფთიაქარი ხელმძღვანელობდა (მატეო პალმერი). დოქტორი დეპუებლა 10 წლის მანძილზე იყო ესპანეთის ელჩი ლონდონში. ის ისეთი ბინძური და გაუთლელი ყოფილა, რომ ჰენრი VII მის შეცვლას მოითხოვდა. ინგლისის პირველი ელჩები: „ჯონ სტაილი" და „რიჩარდ პეისი" დაბალი ფენის წარმომადგენლები იყვნენ.რომის კურიაში კი მიიჩნევდნენ, რომ დიპლომტიური წარმომადგენლები მაღალი წრიდან უნდა აერჩიათ. დიდი ხნის მანძილზე მუდმივი ელჩები სერიოზულ ეჭვებს იწვევდა, რადგან მათ შეეძლოთ ჯაშუშობის მიზნით გამოეყენებინათ დიპლომატიური იმუნიტეტი.ჰენრი VII გააუქმა საელჩო პრაქტიკა. შვეიცარიაში მიაჩნიათ, რომ პარლამენტის ნებისმიერი წევრი, რომელიც კონტაქტში შევა უცხოელ ელჩთან, თანამდებობას დაკარგავს. მოსკოვში XVII საუკუნეში უცხოელ დიპლომატებს სამხედრო ტყვეებივით ექცეოდნენ. თურქეთში ელჩებს სტამბულში ედი–ყულეს ციხესიმაგრეში ამყოფებდნენ, რათა გავლენა მოეხდინათ მთავრობაზე.

რენესანსის ეპოქაში ჩამოყალიბდა ინსტრუქციები ელჩებისადმი. პირველ რიგში, კარგ ელჩს, ინტელექტის გარდა, შემდეგი 9 თვისება უნდა ჰქონოდა:

1. უნდა ყოფილიყო კარგი ლინგვისტი და პირველ რიგში ლათინური ენის კარგი მცოდნე.

2. უნდა დაემალა ეშმაკობა და მიეღო მაღალი საზოგადოების წარმომადგენლის თავაზიანი იერი.

3. უნდა ყოფილიყო სტუმართმოყვარე და ჰყოლოდა შესანიშნავი მზარეული.

4. უნდა ჰქონოდა კარგი გემოვნება.

5. გამოირჩეული უნდა ყოფილიყო ღრმა ერუდიციით.

6. ნაცნობობა უნდა ჰქონოდა ცნობილ ადამიანებთან – მწერლებთან, მეცნიერებთან და მსახიობებთან.

7. უნდა ყოფილიყო ბუნებით მომთმენი.

8. აუჩქარებლად უნდა ეწარმოებინა მოლაპარაკებები.

9. ელჩი უნდა ყოფილიყო აუღელვებელი. არასასიამოვნო ინფორმაციის მიღებისა და აბუჩად აგდების შემთხვევაშიც კი არ უნდა გამოევლინა თავისი გრძნობები, რათა მტერისთვის არ მიეცა საბაბი სკანდალური ხმების გავრცელებისათის. კარგი დიპლომატი არასოდეს მიმართავს მუქარას და ლანძღვა–გინებას.

უცხო ქვეყნებში გაგაზავნილ ელჩებს აძლევდნენ ორი სახის ინსტრუქციას. ერთი ხალხზე იყო გათვლილი, მეორე საიდუმლოს წარმოადგენდა.

რენესანსის ეპოქაში და შემდგომში XVIII ს–მდე სახელმწიფო მოხელეებისთვის მისაღებად ითვლებოდა ფულადი საჩუქრების მიღება სხვა ქვეყნებისაგან. სასახლის სეფექალები და რომის კარდინალები საჩუქრებს ელოდნენ უცხოელი ელჩებისგან. მაგრამ იყო გარკვეული შეზღუდვები ელჩების მიმართ.

დაუშვებლად ითლებოდა ფულის აღება საკუთარი ქვეყნის ინტერესების ღალატის მიზნით. ნაკლებად საძრახისად ითვლებოდა რამდენიმე ათასი დუკატის ერთბაშად მიღება, ვიდრე რეგულარული სუბსიდიების მიღება.

რენესანსის ეპოქაში საინფორმაციო საშუალებების ვაკუუმი იყო, ამიტომ უპირველეს და უმთავრეს წყაროს ელჩი წარმოადგენდა. XV ს-მდე არ არსებობდა მუდმივი დიპლომა-

ტიური წარმოდგენები, ელჩის სტაბილური თანამდებობა კი პრაქტიკაში მხოლოდ XVI საუკუნეში შემოვიდა. ვენეციის პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობები ისეთ მასშტაბებს აღწევდა, რომ აუცილებელი გახდა წარმომადგენლობები გაგზავნილიყო რომში, ესპანეთში, საფრანგეთში, ინგლისში, და კონსტანტინოპოლში.

რაც შეეხება ფლორენციელებს, იგი უცხო სახელმწიფოებსაც ამარაგებდა დიპოლამატებით. მაგალითად პაპმა ბონიფაციუს VIII-მ 1300 წელს პირველი საიუბელიო წელი გამართა მრავალრიცხოვან ელჩებს შორის, რომელებიც რომში ჩამოვიდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან. 12 ფლორენციელი იყო, ისინი წარმოადგენდნენ არა მარტო საკუთარ ხალხს არამედ ინგლისს, საფრანგეთს ჩეხეთს... ამ უნივერსალობის გამო პაპმა ფლორენციელებს მეხუთე სტიქია უწოდა.

იტალიურ დიპლომატიურ ეტიკეტს პომპეზური ცერემონიები არ ახასიათებდა. წარგზავნილი პირდაპირ ცხადდება იმ მესაკუთრესთან, ვისთანაც საქმის წარმოება ევალებოდა და პირდაპირ უხსნიდა თავისი აკრედიტაციის საჭიროებას. ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხები პირდაპირ შეხვედრაზე წყდებოდა, ზოგ შემთხვევაში კი ელჩი რამდენიმე თვეს ყოვნდებოდა, სანამ არ მიაღწევდა შედეგს. როგორც წესი, ელჩებს თან ახლდათ დიდი ამალა მდიდარი გარდერობით, ძვირფასი საჩუქრებით, რომელსაც თავიანთი ქვეყნის სახელით გადასცემდნენ მასპინძელ მხარეებს. ელჩისა და მისი ამალის მდიდრული ტანსაცმელი და ძვირფასი საჩუქრები იმ ქვეყნის სიმდიდრეს და ძალაუფლებას წარმოადგენდა, საიდანაც ის იყო წარგზავნილი. იმის გამო რომ მოგზაურობა არც თუ უხიფათო იყო, ამიტომ მასპინძელი ქვეყანა ელჩს საზღვარზე ახვედრებდა შეიარაღებულ დაცვას, რომელიც მას დედაქალაქამდე მიაცილებდა. შემდგომში ეს დაცვა გადაიქცა მასპინძელი ქვეყნის სამხედრო ძლიერების გამოხატვის ფორმად, რაც გავლენას ახდენდა უცხოელზე და არწმუნებდა მათ სამხედ-

რო სიძლიერეში. ბიზანტიაში ჩასვლისთანავე საგანგებო ამალა საზღვრებზე ხვდებოდა. საპატიო დაცვის სახით მათ უნიშნავდნენ გამჭრიახ და ფხიზელ მეთვალყურეს, რომლებიც ელჩებს რანგის მიხედვით აბინავებდნენ შენობებში. რაც მათთვის ერთგვარ ციხედ იქცეოდა,რადგან ბადრაგის გარეშე შენობიდან არც გასვლა და არც შესვლა არ შეეძლოთ. ბიზანტიის მსგავსად, იტალიაშიც ელჩები არასოდეს იმსახურებდნენ ნდობას, განსაკუთრებით კი ვენეციაში, სადაც მათთან საუბარიც კი სასტიკად იკრძალებოდა. (ი.ხუბაშვილი. ვენეციისა და ფლორენციის დიპლომატია XIII-XV) სს-ში. თბ., 2005)

XVII ს-ში იტალია კვლავ პოლიტიკურად დაქუცმაცებულ ქვეყანას წარმოადგენდა. საფრანგეთის სამეფო ტახტზე ანრი IV- ის ასვლის შემდეგ და ნიდერლანდებში ესპანეთის მეფის ფილიპე II-ის პოლიტიკური კრახსა და ავსტრიაში ჰაბსბურგებს შორის არსებულ შინაბრძოლას, წესით იტალიისათვის უცხოელთა გავლენისა და უღლის შესუსტება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ დაქუცმაცებულ და გაპარტახებულ ქვეყანას არ გააჩნდა გადამწყვეტი მოქმედების უნარი, ქვეყნის გაერთიანება და ერთიანი ძალებით უცხოელთა ბატონობისაგან განთავისუფლება. ნეაპოლი, სიცილია კვლავ რჩებოდა ესპანეთის პოლიტიკური გავლენის ქვეშ. ისეთი საფეიქრო ცენტრი, როგორიც იყო ფლორენცია დაქვეითების გზაზე იყო. ის ძლივს აკმაყოფილებდა საკუთარი ქვეყნის მოთხოვნილებას მაუდზე. გენუა დაქვეითების გზაზე იდგა, მაგრამ მაინც ინარჩუნებდა ნაწილობრივ თავის პოზიციას მსოფლიო ვაჭრობაში. მხოლოდ ვენეციას შერჩენოდა წინანდელი ძლევამოსილების ნაშთები. მაგრამ 1645 წელს თურქთა ძლიერი ფლოტი მიადგა ვენეციას და აღმოსავლეთით მნიშვნელივან დასაყრდენს კუნძულ კრეტას. ვენეციამ მთელი მისი ძალების მობილიზება მოახდინა, რათა დაეცვა კუნძული. ბრძოლას ხელმძღვანელობდა ვენეციელი პატრიტი ფრანჩესკო მოროზინი, რომელსაც ეხმარებოდნენ საფრანგეთიდან და სხავა-

დასხვა ქვეყნიდან ჩამოსული მოხალისეები. მაგრამ 1669 წლის 5 სექტემბერს 24 წლიანი ბრძოლა დასრულდა კრეტას დაპყრობით. მაგრამ შემდეგ ვენეციამ, რომელიც რევანშისათვის ემზადებოდა ისარგებლა ომით, რომელიც თურქეთსა და გერმანიის იმპერიას შორის იყო და გაგზავნა ფლოტი იმავე მოროზინის მეთაურობით და დაიპყრო მთელი მორეის ნახევარკუნძული, რომელიც მიაკუთვნეს მას კორლოვიცის ზავით 1699 წელს. იტალიამ კვლავ იხილა თავის მიწა–წყალზე უცხოეთის ჯარები, როდესაც საფრანგეთის მეფემ ლუი XIV-მ დაიწყო ომი ევროპის სახელმწიფოთა კოალიციასთან. ომი თითქმის 25 წელი მიმდინარეობდა, რამაც იტალიას მოუტანა დიდი უბედურება. ესპანეთის უღელი შეიცვალა ავსტრია–გერმანული უღლით. მოიგო მხოლოდ სავოიამ, რომელიც ღალატისა და მოსყიდვის გზით გადამწყვეტ მომენტში ძლიერის მხარეზე გადავიდა. მისმა ჰერცოგებმა მიიღეს სიცილია და მეფის ტიტული, რაზეც დიდი ხნის მანძილზე ოცნებობდნენ. ესპანეთი კვლავ ცდილობდა აღედგინა გავლენა იტალიაზე თავისი ფრანგი ნათესავების მხარდაჭერით. ამიტომ შემდეგში კვლავ შეიცვალა იტალიის პოლიტიკური რუკა, 1748 წელს ბურბონებსა და ჰაბსბურგებს შორის დადებული აახენის ზავით. ნეაპოლი და სიცილია (რომელიც სავოიას ჩამოერთვა) გადაეცა ესპანეთს. ხოლო ჰაბსბურგებმა თავისი გავლენის ქვეშ შეინარჩუნეს ლომბარდია მილანოთი და ტოსკანა ფლორენციით. სავოიის საჰერცოგომ აახენის ზავით სიცილიის ნაცვლად მიიღო სარდინია. მოდენის საჰერცოგო, რესპუბლიკები გენუა, ლუკა და სან–მარინო განაგრძობდნენ თავიანთ უბადრუკ არსებობას. ხოლო ვენეცია კი იძულებული გახდა 1718 წელს პასაროვიცის ზავის ძალით თურქეთისათვის გადაეცა ყველა თავისი სამფლობელო.

ერთადერთი, რაშიც იტალიამ შეინარჩუნა დამოუკიდებლობა, ეს იყო მისი კულტურა, რამაც დიდი კვალი დატოვა მსოფლიო ხელოვნებისა და კულტურის ისტორიაში.

თემა მეცხრე

ნიდერლანდების ბურჟუაზიული რევოლუცია

XV საუკუნიდან ნიდერლანდების ქვეყანაში შედიოდა დღევანდელი ბელგიის და ჰოლანდიის ტერიტორიები, მდინარე შელდას, მაასის და რაინის ნაპირები.

პოლიტიკურად იგი ბურგუნდიის ჰერცოგს ჟან უშიშარს (1467-1477წწ) ემორჩილებოდა. მის განკარგულებაში იყო არა მარტო ბურგუნდია, არამედ ნივერნე, პიკარდია და ნიდერლანდები. მიისწრაფოდა რა შეენარჩუნებინა თავისი დამოუკიდებლობა ის შევიდა ინგლისელებთან კავშირში. 1467 წლიდან მას უკვე განაგებს შარლ უშიშარი, რომელიც დაქორწინდა ინგლისის მეფის ედუარდ IV- ის დაზე, მარგარიტაზე.

ბურგუნდიის ჰერცოგის – შარლ უშიშარის სიკვდილის შემდეგ, 1477 წელს, საფრანგეთის მეფემ ლუი XI-მ შემოიერთა პიკარდია, ნივერნე და ბურგუნდიის საჰერცოგო. ხოლო ბურგუნდიის საგრაფო (ფრანშ-კონტე) და ნიდერლანდები დარჩა შარლ უშიშარის ქალიშვილს მარია (მარგარიტა) ბურგუნდიელს, რომელიც მისთხოვდა ავსტრიის ჰერცოგს მაქსიმილიანე ჰაბსბურგს. ეს უკანასკნელი 1493 წელს გახდა იმპერატორი (1493-1519 წწ) და ამდენად, ნიდერლანდები მოექცა ჰაბსბურგთა გვარის ძალაუფლების ქვეშ.

ინგლისურ წყაროებში, კერძოდ წერილებში, რომელსაც ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტები უგზავნიდნენ დედოფალ მარგარიტას, მოიხსენიებენ მას შემდეგნაირად: „დედოფალი ბურგუნდიისა, ავსტრიისა და გერმანიისა."

ამდენად, ჰაბსბურგთა განკარგულებაში იყო რომის საღვთო იმპერიის მიწები, ნიდერლანდები, ბურგუნდიის საგრაფო და ავსტრიის სამეფო თავისთავად.

1519 წელს მაქსიმილიანეს შემდეგ იმპერატორი გახდა

კარლ V (1519-1556 წწ),რომელმაც თავის ხელში გააერთიანა არა მარტო გერმანია და ესპანეთი, არამედ, სამხრეთ იტალია (ნეაპოლის სამეფო) და ახლად აღმოჩენილი ამერიკის მიწებიც.

სწორედ კარლ V-ის დროს დაიწყო და გაგრძელდა ფილიპე II-ის მმართველობის პერიოდში (1556-1598 წწ) ნიდერლანდების ბურჟუაზიული რევოლუციის მოვლენები. ნიდერლანდების ქვეყანა დიყო პოლიტიკურად დაქუცმაცებული, მას განაგებდა პროვინციალური შტატები. სულ იყო 17 პროვინცია.

რას წარმოადგენდა ნიდერლანდები ეკონომიკური თვალსაზრისით?

ნიდერლანდები იყო მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა, რომელიც მოიცავდა 300-მდე ქალაქსა და სოფელს. მოსახლეობა შეადგენდა 3 მილიონ კაცს. გამოირჩეოდა ქალაქები: იპრი, გენტი, ბრიუგე, ანტვერპენი, ამსტერდამი, არასი, კამერიკა (ზელანდიის ქალაქი). ქვეყნის მიწების უმეტესი ნაწილი იმყოფებოდა ზღვის დონეზე დაბლა, ამიტომ ამ მხარეს „ დაბლობი მიწების ქვეყანა ეწოდებოდა. მცირემიწიანობა განაპირობებდა მიწების გაფართოებას, რისთვისაც ზღვის მხრიდან და მდინარეების გასწვრივ აგებდნენ „შლუზებს", კაშხალებს და მტკაველ-მტკაველ ტაცებდნენ ზღვას მიწებს.

ნიდერლანდებში, კერძოდ ფლანდრიაში განვითარებული იყო მაუდის წარმოება. მათ კარგად იცოდნენ ინგლისური, ესპანური შალისაგან მაუდის დამუშავება, ღებავდნენ, პარსავდნენ და ამზადებდნენ ნაზ მაუდს, რომელიც გაჰქონდათ სხვადასხვა ქვეყნებში. ნიდერლანდებს გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა გერმანიასთან (ჰანზასთან), საფრანგეთთან, ინგლისთან, სკანდინავიის ქვეყნებთან. გერმანიასთან და საფრანგეთთან ვაჭრობა ძირითადად წარმოებდა სახმელეთო გზით, ხოლო ინგლისსა და სკანდინავიას უკავშირდებოდა ზღვით.

ჩრდილოეთის სამრეწველო რაიონები იყო ჰოლანდია და ზელანდია. ცენტრალურ სამრეწველო რაიონებს წარმოადგენდა ფლანდრია და ბრაბანტი. ხოლო სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებს– ლუქსემბურგი, ფლანდრიის და ბრაბანტის სამხრეთი ნაწილი.

ჩრდილოეთის რაიონებში ჰოლანდიასა და ზელანდიაში განვითარებული იყო ნაოსნობა, თევზჭერა, გემთმშენებლობა და ვაჭრობა. ისინი კონკურენციას უწევდნენ ბალტიის ზღვაზე ჰანზას და თვითონ იგდებდნენ ხელში საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას აქ. გამოჰქონდათ პური და ხე-ტყე. XVI ს-დან სელის შემოზიდვა დაიწყეს მოსკოვის სახელმწიფოდან. საფრანგეთიდან შემოჰქონდათ მარილი და ღვინო. თევზჭერამ მაღალ დონეს მიაღწია. ცნობილი იყო გამოთქმა ამსტერდამი ქაშაყების ძვლებზე გაიზარდაო. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვეშაპების სარეწავს. განვითარდა მიწათმოქმედება, მეცხოველეობა. განთქმული იყო ჰოლანდიური ყველი და კარაქი. დღეს ჰოლანდია განთქმულია აგრეთვე ყვავილების გაშენებით. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში საგანგებოდ იგზავნება ჰოლანდიური ვარდები და რაც მთავარია დიდხანს ძლებენ.

სამრეწველო რაიონებში – ფლანდრიასა და ბრაბანტში განვითარებული იყო მაუდის მრეწველობა. ნედლეულის ძირითადი მიმწოდებელი იყო ესპანეთი–მირინოსის და ინგლისი–კოსვოლდის ჯიშის ცხვარი. მაუდის წარმოება დამოკიდებული იყო ნედლეულის მიწოდებაზე. თუ ინგლისი შეწყვეტდა მის მიწოდებას, რასაც ადგილი ჰქონდა XV-XVI სს-ში, იხურებოდა წარმოება. ხელოსნები უმუშევარი რჩებოდნენ, რის შედეგად აწყობდნენ აჯანყებებს. მაგალითად 1539-1540 წლებში გენტში ადგილი ჰქონდა ამქრების აჯანყებას. ამქრებმა უარი თქვეს სუბსიდიის გადახდაზე. ეს აჯანყება ჩააქრეს.

გამოირჩეოდა ქალაქი ანტვერპენი, სადაც ინგლისელი ვაჭრები წელიწადში ოთხჯერ აწყობდნენ ბაზრობას:

Sinxon mart–საზაფხულო

Bamas mart–საშემოდგომო

Cold mart–საზამთრო

Parch mart–საგაზაფხულო,საალდგომო

როდესაც ინგლისელი ვაჭრები ანტვერპენში ვერ ახერხებდნენ იარმარკის ანუ ბაზრობის მოწყობას, მაშინ ზოგჯერ გადაჰქონდათ იგი ბრიუგეში.

ნიდერლანდებსა და ინგლისს შორის იყო გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა XV-XVI სს-ში, მაგრამ ზოგჯერ ის ირღვეოდა. მაგ. ედუარდ IV-ის მეფობის დროს (1461-1483 წწ) ბურგუნდიის ჰერცოგმა ფილიპე კეთილმა 1464 წელს აკრძალა ინგლისური მაუდის იმპორტი თავის სამფლობელოში ნიდერლანდებში, რასაც მოჰყვა ინგლისის პარლამენტის მიერ ინგლისური ბაზრის სრული დახურვა ნიდერლანდებისათვის. 1464, 1465, 1466 წლებში არ იყო არავითარი სავაჭრო ურთიერთობა ნიდერლანდებსა და ინგლისს შორის.

1484 წელს ინგლისს აკრძალული ჰქონდა ვაჭრობა ნიდერლანდებთან. 1485 წელს რიჩარდ III-ის დროს (1483-1485 წწ) გამოიცა სტატუტი, რომელიც უკრძალავდა მის ქვეშევრდომებს წასულიყვნენ ქალაქ ბეროუში, ბრაბანტში, არ უნდა გაეყიდათ იქ საქონელი და არაფერი ეყიდათ მათგან.

ინგლისის მეფე ჰენრი VII-ის (1485-1509 წწ) დროს 1486, 1487, 1488 წლებში არ იყო ნიდერლანდებთან სავაჭრო ურთიერთობა. 1489 წელს უკვე ჩანს ეს კონტაქტები.

ირკვევა, რომ გენუელი ვაჭრები ყიდულობდნენ ინგლისურ მაუდს იპრის, არასის ვაჭრებისაგან ჯერ კიდევ XII საუკუნეში (1198-1203 წწ). ეს ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ინგლისსა და ნიდერლანდებს შორის სავაჭრო ურთიერთობას ჰქონია უძველესი ტრადიციები.

შედარებით ჩამორჩენილი რაიონი იყო სამხრეთი და სამხრეთ- დასავლეთი რაიონი. აქ სჭარბობდა ფეოდალური წყობის ნიშნები. ყმა-გლეხების შრომას ფართოდ იყენებდნენ და განვითარებული იყო ძირითადად მიწათმოქმედება.

პოლიტიკური ვითარება

ნიდერლანდების პოლიტიკური წყობა ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი ბურგუნდიის საჰერცოგოს შემადგენლობაში შედიოდა და საბოლოო ფორმა მიიღო კარლ V-ის დროს. არსებობდა 17 პროვინციალური შტატი, რომელსაც სუბსიდია (გადასახადი) უნდა დაემტკიცებინა. ყველაზე მეტ სუბსიდიას ფლანდრია და ბრაბანტი იხდიდა. ნიდერლანდებში მეფე ნიშნავდა თავის ნაცვალს, გენერალ-შტატჰალტერს. კარლ V-ის დროს გენერალ- შტატჰალტერი იყო მისი და მარგარიტა უნგრელი, ხოლო ფილიპე II-ის დროს არამკვიდრი და მარგარიტა პარმელი.

რომის საღმრთო იმპერატორებმა კარლოს V-მ და ფილიპე II-მ ფეოდალური მონარქიის მარწუხებში მოაქცია ნიდერლანდები, ზღუდავდნენ და ხელს უშლიდნენ მის განვითარებას, კერძოდ, მრეწველობის განვითარებას კაპიტალისტური ფორმით, რომელიც ინგლისში და ევროპის სახელმწიფოებში გამოვლინდა სამი ფორმით: ჰეტეგონერული (გაფანტული), მანუფაქტურული (ცენტრალიზებული) და მანქანური ცენტრალიზებული წარმოება.

კარლოსი ნიდერლანდებს უყურებდა, როგორც გამდიდრების წყაროს. იგი ყოველწლიურად თვისი სამფლობელოებიდან იღებდა 5 მლნ ოქროს, აქედან ნიდერლანდები 2 მლნ ოქროს იძლეოდა, მაშინ როდესაც ამერიკის კოლონიებიდან მხოლოდ ნახევარ მილიონს იღებდა. კარლოსი აწარმოებდა ომებს საფრანგეთისა და ინგლისის წინააღმდეგ, რომლის ხარჯები დააწვა ნიდერლანდებს. გარდა ამისა ნიდერლანდე-

ბი იყო მნიშვნელოვანი არა მარტო, როგორც სავაჭრო ცენტრი, არამედ ეს იყო ციხე-ბურჯი, საიდანაც კარლოსი მართავდა თავის იმპერიას, ამიტომ კარლოსი ცდილობდა მორჩილებაში ჰყოლოდა ნიდერლანდების ქვეყანა. ის სერიოზულ საფრთხეს ხედავდა მწვალებლობაში – პროტესტანტიზმში: ლუთერანობის და კალვინიზმის სახით.

მწვალებლობა დაკავშირებულია რეფორმაციულ მოძრაობასთან ევროპაში. რეფორმაციული მოძრაობა გავრცელდა XVI ს-ში მთელს ევროპაში. თითქმის ყველა ქვეყანაში მქადაგებლები მოუწოდებდნენ ხალხს უარი ეთქვათ რომის კათოლიკურ ეკლესიაზე და შეექმნათ ახალი „სახალხო ეკლესია", რომლის მმართველი იქნებოდა არჩეული პრესვიტორები.

კათოლიკური ეკლესია ცდილობდა ერეტიკოსთა, მწვალებელთა მოძრაობა ჩაეხშოთ ცეცხლითა და მახვილით. რეფორმაციულმა მოძრაობამ მოიცვა ჩეხეთი, გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი და ნიდერლანდები. ჩრდილოეთ ევროპის სახელმწიფოები: შვეცია დანია, ნორვეგია ერთსულოვნად გამოვიდნენ რომის ეკლესიის მორჩილებიდან, მათი მეფეები კი აღიარებდნენ რეფორმაციას და შექმნეს ახალი რელიგიური მოძღვრება. იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში პროტესტანტულმა იდეებმა ვერ ჰპოვეს ფართო გავრცელება, ისინი კათოლიციზმის ერთგულნი დარჩნენ. რეფორმაციული მოძრაობა გერმანიაში დასრულდა 1555 წლის აუგსბურგის რელიგიური ზავით, რომლის მიხედვით გერმანელ მთავრებს უფლება ჰქონდათ აერჩიათ რელიგია. რელიგიურმა დაყოფამ შეაჩერა გერმანიის გაერთიანება XIX ს-ის შუა ხანებამდე. ხოლო ინგლისში რეფორმაციული მოძრაობის შედეგად 1534 წელს წარმოიშვა ახალი ანგლიკანური ეკლესია მეფის მეთაურობით. ნიდერლანდებში კალვინიზმის იდეები ვრცელდებოდა საფრანგეთიდან და ინგლისიდან.

კარლ V პროტესტანტიზმში დიდ საშიშროებას ხედავდა და შეუდგა მწვალებელთა დევნას ნიდერლანდებში.

1550 წელს კარლ V-მ გამოსცა ბრძანება „პლაკატი", რითაც შეეძლო ბრალდების წაყენება მისთვის ყველა არასასურველი ადამიანისათვის და ეს ბრალდება იყო მწვალებლობა, ერეტიკოსობა. არსებობდა მხოლოდ ერთი სასჯელი სიკვდილი და ქონების კონფისკაცია. ხოლო 1553 წელს კარლოსმა საფრანგეთთან ომის საწარმოებლად ესპანეთის ჯარები ჩააყენა ნიდერლანდებში. ჯარის შენახვა მძიმე ტვირთად დააწვა მოსახლეობას. განსაკუთრებით მძიმე იყო მათთვის ინკვიზიცია. ყოველივე ეს კი იწვევდა ხალხის უკმაყოფილებას.

ფილიპე II კიდევ უფრო აძლიერებს ნიდერლანდებში მოსახლეობის შევიწროებას. მან დააწესა მუდმივი გადასახადი 1% უძრავ და 2% მოძრავ ქონებაზე. მან დაიწყო მწვალებელთა დევნა. შემოიღო თოთხმეტი საეპისკოპოსო კათედრა. მანამდე იყო ექვსი. ფილიპე II-ის პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ ნიდერლანდები გადაქცეულიყო ესპანეთის აბსოლუტური მონარქიის ერთ-ერთ პროვინციად. მისი პოლიტიკით უკმაყოფილო იყო მოსახლეობის დაბალი ფენა, მდიდარი არისტოკრატიის წარმომადგენლები: გრაფი ეგმონტი და პრინცი ვილჰელმ ორანელი. ჯერ კიდევ 1544 წელს კარლ V-მ დაიბარა თავისთან ბრიუსელში თერთმეტი წლის ვილჰელმ ორანელი.

1549 წელს პირველად ჩამოვიდა პრინცი ფილიპე (მომავალი მეფე ფილიპე II) ნიდერლანდებში. 1553 წელს მარია ტიუდორი დაქორწინდა პრინც ფილიპეზე. მომდევნო წელს 1555 წელს კარლოს V გარდაიცვალა. ნიდერლანდებს და ესპანეთს მართავს ფილიპე II (1556-1598). სწორედ 1556 წელს ნიდერლანდებში ადგილი ჰქონდა პროტესტანტების პირველ მასობრივ გამოსვლას. ფილიპემ გააგზავნა იეზუიტები. თვითონ ნიშნავდა იქ ეპისკოპოსებს და აბატებს.

ფილიპემ 1559 წელს შეიმუშავა პროექტი ყველა ერეტიკოსის განადგურების შესახებ. 1562 წელს კათოლიკებმა მოაწყვეს პირველი ომი ჰუგენოტების (პროტესტანტების) წინააღმდეგ. ნიდერლანდების რეგენტმა მარგარიტა პარმელმა შემოიღო პირველი კანონი ერესის ჩახშობის შესახებ, პატრიოტების ვილჰელმ I ორანელის, გრაფი ეგმონტის და ჰორნის დასჯის შესახებ. პროტესტანტები ტოვებენ ნიდერლანდებს, სადაც 1564 წელს ინკვიზიცია დაიწყო.

1565 წელს შეიქმნა თავადაზნაურთა კავშირი ესპანური ინკვიზიციის წინააღმდეგ. მომდევნო წელს 1566 წელს ბრიუსელში ჩავიდა რამდენიმე ასეული თავადაზნაური და წარუდგინეს მარგარიტა პარმელს კონსტიტუციის პროექტი, სადაც ჩამოყალიბებული იყო მათი მოთხოვნები: პლაკატის შერბილება, გენერალური შტატების მოწვევა და პლაკატების შეჩერება. მეფისნაცვალი არ წავიდა დათმობაზე. ერთერთმა დიდებულმა დაკონკილ ტანსაცმელში გამოწყობილ თავადაზნაურებს კონკიაჟლარუნები, გიოზები, გეოზები უწოდა. შემდეგ ეს სახელი ეწოდა ესპანეთის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ ყველა ამბოხებულს.

დაიწყო რევოლუცია, რაც გამოიხატა ხატმებრძოლეობაში. დაიწყეს ეკლესიების, მონასტრების რბევა ფლანდრიაში, ბრაბანტში. პროცესმა ყველაზე მძაფრი ხასიათი მიიღო ანტვერპენში. ისინი ამსხვრევდნენ ხატებსა და „წმინდა" ქანდაკებებს. გარეთ ერეკებოდნენ მღვდლებს და ბერებს, წვავდნენ ეკლესიის სასარგებლოდ დანესებულ გადასახადებების ჩანაწერებს. ეკლესიიდან წამოღებულ ფულსა და ძვირფას ნივთებს აჯანყებულები თავიანთ რაზმებს გადასცემდნენ შესაიარაღებლად.

ფილიპე II-მ გადაწყვიტა გაეგზავნა ჰერცოგი ალბა 10-ათასიანი ჯარით ნიდერლანდებში. 1567 წელს იგი ზეიმით შევიდა ბრიუსელში. დაიწყო ციხე-ბურჯების აგება და გადამჭრელი ზომების მიღება აჯანყებულთა წინააღმდეგ.

ვილჰელმ I არ გადავიდა ჰერცოგის მხარეზე, მან დატოვა სამშობლო და გერმანიაში გაიქცა. გრაფი ეგმონტი და ჰორნი დანებდნენ ჰერცოგ ალბას. მათ შეეშინდათ ხალხთა მასების მრისხანე გამოსვლების და ალბას წინაშე ფიცი დადეს.

1567 წელს ჰერცოგი ალბას მიერ დაარსდა ე. წ. სისხლიანი საბჭო. დაიწყო კომპრომისის წევრთა და მწვალებელთა დაპატიმრება, წამება.

1568 წელს მოხდა პირველი მასობრივი დაწვა ერეტიკოსების (მწვალებლების). სულ 84 კაცი დაწვეს კოცონზე. იმავე წლის მარტის თვეში დააპატიმრეს 1500 ერეტიკოსი. სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს ვილჰელმ I-ს. ივნისში სიკვდილით დასაჯეს გრაფი ეგმონტი და ჰორნი. ამ საბჭომ 6 წლის განმავლობაში სიკვდილით დასაჯა 6-8 ათასი კაცი, მათი ქონების კონფისკაციის შედეგად სამეფო ხაზინამ შეიძინა 500 ათასი ოქრო.

მოსახლეობა გარბოდა ტყეებში (მათ ეწოდათ ტყის გიოზები). მეზღვაურები ასევე ხელს ჰკიდებენ იარაღს (მათ ზღვის გიოზები ეწოდათ).

ვილჰელმ ორანელი გერმანიიდან თავის ძმასთან ლუისთან ერთად ჩამოვიდა და შეიჭრა ნიდერლანდებში. 1569 წელს ვილჰელმ I მოელაპარაკა ადმირალ კოლინს, რომ საფრანგეთის ნავსადგური ლა-როშელი ღია იქნებოდა გიოზებისათვის.

ჰერცოგმა ალბამ ვილჰელმი რამოდენიმეჯერ დაამარცხა. ამის შემდეგ ჰერცოგმა განახორციელა მოსახლეობის ესპანიზაცია. შემოიღო მძარცველი გადასახადი უძრავ და მოძრავ ქონებაზე 1%, მიწის გაყიდვაზე 5%, ხოლო მოძრავი ქონების გაყიდვაზე 10%. ეს იყო იგივე არაბული ალკაბალა. ამ გადასახადმა ნიდერლანდებში გამოიწვია სამეურნეო ცხოვრების დაქვეითება. განსაკუთრებით იგი დააწვა ვაჭრებსა და ხელოსნებს. ანტვერპენის შემოსავალმა 80 ათასი

ფლორინიდან 14 ათასამდე იკლო. შეწყვიტეს ლუდის ხარშვა, პურის ცხობა. დაიწყო უმუშევრობა. საჭირო იყო მცირე ბიძგის მიცემა აჯანყებისათვის და ეს ბიძგი მისცა ზღვის გაიოზებმა.

ჰოლანდიის და ზელანდიის გიოზები თავს აფარებდნენ ინგლისს, მაგრამ ფილიპე II-ის მოთხოვნის შემდეგ ინგლისმა შეწყვიტა გიოზებზე ხელის შეწყობა. 1572 წლის პირველ აპრილს დატოვეს მათ ინგლისის ნავსადგური. სურსათის ძებნის დროს მათ ხელში ჩაიგდეს მდინარე რაინის შესართავთან ქალაქი ბრილი. ეს დღე აჯანყების სიგნალად გადაიქცა. გიოზებმა მოიგერიეს ესპანეთის რაზმების თავდასხმა, მათ ხელში აღმოჩნდა შელდას და რაინის შესართავში კუნძულები. გიოზები ძარცვავდნენ მონასტრებს, ეკლესიებს. ჩრდილოეთ პროვინციების მმართველად ვილჰელმ ორანელი გამოაცხადეს. ვილჰელმის ძმამ ლუიმ აიღო ქალაქი მონსი. ვილჰელმ ორანელი გაემართა ქალაქ მონსისკენ. ალბა გადამწყვეტ იერიშს თავს არიდებდა. ის ფიქრობდა, რომ დიდხანს ვერ გაძლებდა ვილჰელმის დაქირავებული ჯარი და დაიშლებოდა. მართლაც ასე მოხდა. ჰერცოგმა აიღო ქალაქი **მონსი**. ვილჰელმი იძულებული გახდა ჰოლანდიაში წასულიყო. ამის შემდეგ ალყაში მოაქციეს ქალაქი **ჰაარლემი**. ქალაქმა 7 თვეს გაუძლო ალყას. ბოლოს ის დანებდა მტერს. ჰერცოგმა ალბამ ჰაარლემის მამაცი გარნიზონი ზღვაში ჩაახრჩო. ჰერცოგი სასტიკად უსწორდებოდა მოსახლეობას. დაიღუპა ვილჰელმ ორანელის ორი ძმა.

1574 წელს ესპანელებმა ალყა შემოარტყეს ქალაქ **ლეიდენს**. მოსახლეობა მედგრად იგერიებდა მტრის იერიშებს და გაბედულად უტევდნენ. მალე მათ სურსათ-სანოვაგის მარაგი შემოელიათ და დაიწყო შიმშილობა. ესპანელებმა ქალაქელებს დანებება შესთავაზეს, მაგრამ მათ ამაყად უპასუხეს: „სანამ ამ კედლებში ძაღლების ყეფა და კატების კნავილი გესმით, იცოდეთ რომ ქალაქი მედგრად დგას. თითოეული

ჩვენთაგანი თავის მარცხენა ხელს მოიჭამს, რათა მარჯვენათი თავისუფლება დაიცვასო" ბოლოს ჰოლანდიის შტატებმა გასცეს ბრძანება გაეხსნათ შლუზები, რომლებიც ქვეყანას წყალდიდობისაგან იცავდა. ზღვის გიოზებმა ფლოტით მიაწოდეს მათ სურსათი. ქალაქის დამცველებმა მოიკრიბეს ძალები და კვლავ მედგრად იბრძოდნენ. ესპანელები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. ლეიდენთან გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჰერცოგი ალბას დამარცხებამ, ომის ხარჯების გაზრდამ განაპირობა 1575 წელს, ესპანეთის მეფის მიერ მისი უკან გაწვევა.

ესპანელი ჯარისკაცების ძარცვა-გლეჯამ და უწესრიგობამ ნიდერლანდების სამხრეთ პროვინციებში, მოსახლეობის სიძულვილი გამოიწვია. აქ მოსახლეობა ყველგან იარაღს ჰკიდებს ხელს. პირველი მაგალითი ბრიუსელმა მისცა. აჯანყდა ფლანდრია, ბრაბანტი. 1576 წლის სექტემბერში პატრიოტებმა გადატრიალება მოახდინეს ბრიუსელში. დააპატიმრეს სახელმწიფო საბჭოს წევრები. ბრაბანტის შტატებმა ძალაუფლება ხელში აიღო. მოწვეულ იქნა გენერალური შტატები, რომელმაც ესპანეთის მეფის ხელისუფლება აღიარა, მაგრამ წამოაყენა მოთხოვნა ესპანეთის ჯარების ქვეყნიდან გაყვანის შესახებ.

ესპანეთის ჯარებმა 1476 წლის 4 ნოემბერს გაარღვიეს ალყა ქალაქ ანტვერპენში. დაარბიეს ქალაქი. 500-ზე მეტი მარმარილოს სასახლე დაწვეს, 8 ათასამდე მოქალაქე გაუჟლიტეს ნაძარცვი ქონება 6 მლნ ოქროს შეადგენდა. ქალაქის საერთო ზარალმა კი 24 მლნ გულდენი შეადგინა.

1576 წლის ნოემბერში შედგა ქალაქ გენტში ჰოლანდიის და ზელანდიის შტატების წარმომადგენელთა მოლაპარაკება. გადაწყვიტეს გაეთავისუფლებინათ ქვეყანა ესპანელი ჯარისკაცებისაგან. გააუქმეს ჰერცოგი ალბას კანონები მწვალებლების დევნისა და მათი ქონების კონფისკაციის შესახებ.

გენტის შეთანხმებამ ვერ შეამჭიდროვა ჩრდილოეთის და სამხრეთის პროვინციები. სამხრეთის პროვინციებში ფეოდალური ელემენტები გავლენას ინარჩუნებდნენ და ისინი მოითხოვდნენ მთავრობასთან შეთანხმებას.

1577 წლის შემოდგომაზე ქალაქ ბრიუსელში გამოვიდნენ ქალაქის წვრილი ბურჟუაზია და პლებსი. მათ მოითხოვეს ესპანური ოკუპაციის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა. მათ წამოაყენეს დემოკრატიული პროგრამა: ქვეყნის მართვა-გამგეობაში ყველა მოქალაქის მონაწილეობა. ბრიუსელში აირჩიეს „18-ის კომიტეტი". ის მართავდა ყველა საქმეებს. რენტის გადახდა შეწყვიტეს. ბრიუგეში, იპრში, გენტში შეიქმნა „18-ის კომიტეტები". შემოიღეს პროტესტანტული ლოცვა- წირვა, დევნიდნენ კათოლიციზმს.

რეაქციის კერას წარმოადგენდა გენეგაუს და არტუას შტატები. 1579 წელს ქალაქ არასში ამ ორმა შტატმა დადო შეთანხმება. **არასის** თავადაზნაურობის შეთანხმებას დაუპირისპირდა 1579 წელს **უტრეხტის უნია:** ჰოლანდია, ზელანდია, ბარაბანტი, ფლანდრიის ქალაქები: ანტვერპენი, გენტი, იპრი, ბრიუგე. გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა ჰოლანდიამ თავისი სავაჭრო ბურჟუაზიით.

ვილჰელმ I-ის ბრძოლა სამხრეთში მიეღწია შერიგებისათვის კათოლიკებსა და კალვინისტებს შორის უშედეგო აღმოჩნდა. ელისაბედ I ინგლისის დედოფალი პირველად დაინტერესდა ნიდერლანდებით, როგორც მისი მოკავშირით.

1578 წელს ვილჰელმ I იწვევს ფრანგ პრინცს ფრანსუა ალანსოელს ნიდერლანდების პროტექტორად.

ალექსანდრე პარმელი ფილიპე II-ის ნაცვალი ახალი არმიით ჩავიდა ნიდერლანდებში და დაიწყო სამხრეთის ქალაქების დამორჩილება.

ლუთერანული სამხრეთი ნდობას უცხადებდა ვილჰელმ I-ს, მაგრამ სამხრეთში ბრძოლა კათოლიკებს და კალვინისტებს შორის არ შემწყდარა.

ანტვერპენმა მართალია მოიგერია ალ. პარმელის ჯარების იერიში, მაგრამ საბოლოოდ დანებდა ესპანეთს.

რადიკალი კალვინისტები ეწეოდნენ აგიტაციას ვილჰელმ I-ის და ყველა ჩრდილოეთის ლუთერანების წინააღმდეგ.

უტრეხტის უნია დაიდო, როგორც აღვნიშნეთ 1579 წელს და მასში შევიდა: ჰოლანდია, ზელანდია, ფლანდრია, უტრეხტი,გელდერნი, გრონინგენი, ოვერეისლი.

1580 წელს ფილიპე II-მ ვილჰელმ I გამოაცხადა არაკანონიერად. გენერალურმა შტატებმა კი აღიარა პრინცი ფრანსუა ალანსოელი ნიდერლანდების პროტექტორად, ხოლო ფილიპე არა კანონიერად. სახელმწიფოს მმართველობას სათავეში ჩაუდგა „18-ის კომიტეტი", რომლის შემადგენლობაში შევიდა ვილჰელმის ვაჟი პრინცი მორიცი და მის თავმჯდომარედ დანიშნეს.

1581 წელს 7 პროვინციის გენერალურმა შტატებმა ესპანეთისაგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

1582 წელს ალ. პარმელი აწარმოებს ბრძოლას ზღვაზე. ნიდერლანდები დაიყო სამხრეთად და ჩრდილოეთად. სამხრეთში იყვნენ კათოლიკები, ხოლო ჩრდილოეთში – პროტესტანტები, კალვინისტები.

1583 წელს ფრანსუა ალანსოელი შეეცადა დაეპყრო ანტვერპენი,რაც მარცხით დამთავრდა. ვილჰელმ I მოუწოდებს გენერალურ შტატებს, რომ ფრანსუა ალანსოელთან კავშირი აუცილებელია ალ. პარმელის წინააღმდეგ. ვილჰელმის პოპულარობა დაეცა ნიდერლანდებში. 1584 წელს ფრანსუა ალანსოელი გარდაიცვალა, ხოლო იმავე წელს ვილჰელმი მოკლულ იქნა ესპანელების მიერ დაქირავებული მკვლელის ხელით.

ნიდერლანდების სამხრეთმა ნაწილმა აღიარა ალ. პარმელის ხელისუფლება, რომელსაც გერმანიასთან და საფრანგეთთან სახმელეთო ვაჭრობა ჰქონდა. ჩრდილოეთში არსე-

ბულმა 7 პროვინციამ **ჰოლანდიის** მეთაურობით მოიპოვა დამოუკიდებლობა და მიაღწია საზღვაო ძლიერებას.

1585 წელს დაიდო სამხედრო კავშირი ჰოლანდიასა და ინგლისს შორის ესპანეთის წინააღმდეგ. 1588 წელს ესპანეთის უძლეველი არმადა (131 ხომალდისაგან შემდგარი) ინგლისთან დამარცხდა. ეს ფილიპე II-ის პოლიტიკის კიდევ ერთი მარცხი იყო.

საბოლოოდ, 1609 წელს დაიდო ზავი ესპანეთსა და ჰოლანდიას შორის. ესპანეთმა ცნო ჩრდილოეთის პროვინციების დამოუკიდებლობა. ჰოლანდიას ესპანეთის კოლონიებთან ვაჭრობის უფლება მიეცა.

ნიდერლანდების ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად შეიქმნა ჰოლანდიის ბურჟუაზიული სახელმწიფო. ომიდან, რომელიც 40 წელი გაგრძელდა, სამხრეთი ნიდერლანდები გაპარტახებული გამოვიდა. ანტვერპენი დაარბიეს და მოწყვიტეს ზღვას, ხოლო ამსტერდამი დაწინაურდა. განადგურდა ფლანდრია, ბრაბანტი. მრეწველობა და ვაჭრობა განვითარდა ჩრდილოეთში, ემიგრაციის ტალღაც იქ მიემართებოდა. ჰოლანდიამ ინდონეზიიდან გააძევა პორტუგალია, გაჩნდა ჰოლანდიური დასახლება ჩრდ. ამერიკაში, სამხრეთ აფრიკაში.

თანამედროვე ნიდერლანდების სამეფო ტერიტორია გაყოფილია ორ პროვინციად: ჩრდ. ჰოლანდია ცენტრით ჰაარლემი და სამხრეთი – ცენტრით ჰააგა. ნიდერლანდებს ზოგჯერ არაოფიციალურად ჰოლანდიას უწოდებენ. ჰოლანდია ინდონეზიის ქალაქ ჭაიაპურის ყოფილი სახელწოდებაა.

თემა მეათე

საფრანგეთი XVI-XVII საუკუნეების I ნახევარში

XVI ს-ში დასრულდა საფრანგეთის გაერთიანება. ბრეტანის საჰერცოგო 1492 წელს საფრანგეთმა შემოიერთა ანა ჰერცოგინიას და ლუი XII-ის დაქორწინებით. ბურგუნდია, პროვანსი და ბრეტანი საფრანგეთის ტერიტორიის შემადგენლობაში შედიოდა. მოსახლეობა დაახლოებით 15 მილიონს შეადგენდა. იგი უფრო მჭიდროდ იყო დასახლებული, ვიდრე ესპანეთი და 5-ჯერ უფრო მეტად, ვიდრე ინგლისი. პარიზში კი ცხოვრობდა 300 ათასი ადამიანი.

ქვეყნის ეკონომიკურ საფუძველს შეადგენდა სოფლის მეურნეობა. მოსახლეობა ძირითადად თავმოყრილი იყო სოფლად. საფრანგეთის მრეწველობა ხელოსნურ ხასიათს ატარებდა. არც ბურჟუაზია, არც თავადაზნაურობა არ იყო დაინტერესებული სამეწარმეო ტიპის სოფლის მეურნეობის განვითარებით. მათ არ სურდათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების არც ტექნიკისა და არც მისი დონის შეცვლა. ისინი გაურბოდნენ საკუთარი მიწების დამუშავებას. ცდილობდნენ ნატურალური რენტა ფულად რენტად გადაექციათ და თანდათან ჩამოსცილდნენ სოფლის მეურნეობას. იმის გამო, რომ ფეოდალური რენტის ფულადი ფორმა ვითარდებოდა და ეცემოდა საბატონო ბეგარა, აზრს კარგავდა გლეხის პირადი ყმობაც. XV ს-ის დამლევისთვის გლეხობის ძირითადი მასა საფრანგეთში წარმოადგენდა პირადად თავისუფალ წვრილ მიწის მესაკუთრეებს, რომელთაც უფლება ჰქონდათ წასულიყვნენ, სადაც მოისურვებნდენ და ხელი მოეკიდათ ისეთი საქმიანობისთვის, რომელიც უფრო მომგებიანი იქნებოდა მათთვის.

საფრანგეთში კაპიტალის დაგროვების მთავარ წყაროს წარმოადგენდა საგადასახადო სისტემა. XVI ს-ში გლეხის

მთავარი გადასახადი იყო სახელმწიფო გადასახადი, რომელსაც ხშირად ვერ იხდიდა, რაც იწვევდა მის დავალიანებას. ამის შედეგად ჩნდება მევახშური კაპიტალი. იზრდება ადგილობრივი სოფლის ბურჟუაზიის გავლენა.

მრეწველობა

ვითარდებოდა ქსოვილის, ტყავის წარმოება, ტიპოგრაფიული საქმე, სამთო მრეწველობა. მაუდის წარმოება იყო განვითარებული პუატიეში, ოვერნში, რუერგეში, ლანგედოკში და დოფინში. მაუდი გაჰქონდათ ლევანტსა და ესპანეთში.

შალის, ატლასის, ხავერდის, ფარჩის წარმოება ვითარდებოდა შამპანში, ილდე-ფრანსში, პიკარდიაში, ნორმანდიაში, ბრეტანში, ოვერნში, დოფინში.

ჩამოყალიბდა ერთიანი საშინაო ბაზარი. 1489-1515 წლებში სამეფო ედიქტით ნება დართეს გაეხსნათ 400-მდე იარმარკა და ბაზარი.

ფრანგები მონაწილეობას იღებდნენ ზღვისპირა ექსპედიციებში დიდი გეოგრაფიული არმოჩენების შემდეგ. ფრანგი ზღვაოსნები აღწევდნენ სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის ნაპირებთან, აღწევდნენ აფრიკამდე. მათ მიაღწიეს მაგადასკარამდე 1529 წელს და სუმატრამდე 1530 წელს. ჩინეთამდე 1531 წელს.Fფრანგი ვაჭრები მონაწილეობდნენ ესპანეთთან და პორტუგალიასთან ომში. დიდი როლი შეასრულა ჟან-ანგო (დეპიდან) ფრანციისკო I-მა. რომელმაც მოაწყო ექსპედიცია ამერიკაში, აფრიკაში და აზიაში. ფრანგი კორსარები და მეკობრეები (როგორც ინგლისელები) ძარცვავდნენ ესპანურ გემებს, რომელიც დატვირთული იყო ძვირფასი საქონლით.

რაც შეეხება რეფორმაციულ მოძრაობას საფრანგეთში, იგი იყოფოდა პერიოდებად:

1. 20-30-იანი წლები.
2. 1534-1559 წლები.

საფრანგეთის ტერიტორიულმა ერთიანობამ, სამეფო ხელისუფლების განმტკიცებამ ხელი შეუწყო იმას, რომ საფრანგეთის ეკლესიამ, რომთან კავშირის გაუწყვეტლად, შესძლო თავის დაცვა პაპის პრეტენზიებისაგან, რომის კურიის მყვლეფელობისაგან და ხელი შეუწყო ნაციონალური ეკლესიის თავისუფლებას. ეკლესია გახდა სახელმწიფო დაწესებულება, საეკლესიო შემოსავალი გახდა თავადაზნაურობის დასაჩუქრების საშუალება.

მიუხედავად ამისა რეფორმაციული იდეები საფრანგეთში მაინც იკვლევდნენ გზას. მწვალებლობა ცოტად თუ ბევრად თანაბრად ვრცელდება მთელ საფრანგეთში. მწვალებლები არიან მხოლოდ მესამე წოდების ადამიანები– ბურჟუაზია და ხელოსნები, მაგრამ არა გლეხები. გლეხთა მასა საფრანგეთში დარჩა რეფორმაციის გარეშე.

1534 წელს რამდენიმე პროტესტანტის დაპატიმრებასთან დაკავშირებით პარიზში და თვით მეფის სასახლეში გაკრეს მწვალებლებმა აფიშები. ისინი უარყოფდნენ კათოლიკურ მესას, ამტკიცებდნენ – პაპი, მისი კარდინალების ხროვა, ეპისკოპოსები და მღვდლები მატყუარები და ღვთის მგმობელნი არიანო. აგიზგიზდა კოცონები. 1535 წელს დაწვეს 35 ლუთერანი, დააპატიმრეს 300–ზე მეტი. ვინაიდან აფიშები ნაბეჭდი იყო, დაიწყო რეპრესიები ბეჭდვითი საქმის წინააღმდეგ.

40–იანი წლებიდან იწყება რეფორმაციის მეორე პერიოდი. ის დაკავშირებულია კალვინიზმთან. ამავე პერიოდში ხდება საფრანგეთის დაყოფა პროტესტანტულ სამხრეთად და კათოლიკურ ჩრდილოეთად. მრავალრიცხოვანი ჰუგენოტები, რომლებიც გამოდიოდნენ პარიზისა და მეფის წინააღმდეგ, თავიანთ ყურადღებას მიაპყრობდნენ ინგლისსა და გერმანიას. სამხრეთის სენიორები ვერ შეურიგდნენ პოლიტიკური თავისუფლების დაკარგვას და ხალისით გადადიოდნენ კალვინიზმში. სამხრეთის ქალაქების ბურჟუაზია კალვი-

ნიზმში თავისი წონისა და გავლენის გაძლიერების შესაძ-ლებლობას ხედავდა. ცენტრალური ხელისუფლების გაძლი-ერებას თან ახლდა მათი პრივილეგიების დარღვევა, და კალ-ვინიზმი, რომელიც ბურჟუაზიის რიგებს ამჭიდროვებდა, ქა-ლაქებში ოპოზიციის დროშად გადაიქცა მეფის წინააარმდეგ. ხოლო ჩრდილოეთის ბურჟუაზია გამოდიოდა ლოზუნგით „ერთიანი მეფე და ერთიანი (კათოლიკური) სარწმუნოება. აქ ჩრდილოეთში იყო ცენტრი პარიზი. გლეხობა დარჩა ძველი რელიგიის ერთგული. მწვალებლობა ქალაქში იშვა და ძირი-თადად ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობასთან იყო დაკავ-შირებული.

ჰუგენოტების აშკარა ომს კათოლიკების წინააღმდეგ დასაბამი მისცა მკვლელობამ ვასიში. ფრანსუა გიზი, რომე-ლიც თავისი რაზმით დაბა ვასის მახლობლად მიდიოდა 1562 წელს დაერია შეკრებილ ჰუგენოტებს, რომლებიც თავიანთ ჰიმნებს მღეროდნენ. მოკლეს 23, დაჭრეს 100–მდე კაცი. კალვინისტების ხოცვა–ულეტას ადგილი ჰქონდა ანჟერში, ოქსერში, ტურში, ტრუაში, კაგოში.ვასის ამბების შემდეგ პა-რიზი მიესალმა გიზს, როგორც გმირს. მკვლელობამ ვასიში ორი ბანაკის აშკარა ბრძოლა გამოიწვია.

ბრძოლის პირველი პერიოდი 1562–1572 წლებს მოიცავს. კათოლიკების მხარე მატერიალურად და იდეურად ეყრდნო-ბოდა პარიზს. მის პროგრამას წარმოადგენდა ერთიანი მეფე და ერთიანი სარწმუნოება. სამხრეთი, რომელიც გაერთიან-და ბურბონების და სხვა მსხვილი ფეოდალების გარშემო, პირველ ყოვლისა თავადაზნაურული იყო. ქალაქები უფრო სუსტი იყო აქ, ვიდრე პარიზი და მოძრაობაში მეორეხარის-ხოვან როლს თამაშობდნენ. პირველი ომის დროს დაილუპნენ ანტუან ბურბონი (პროტესტანტი) და ფრანსუა გიზი (კათო-ლიკე), რომელიც მოკლა კოლინის მიერ მიგზავნილმა კაცმა. ახლა პროტესტანტებს დარჩათ ანტუან ბურბონის ვაჟი ანრი ნავარის მეფე, მომავალი მეფე ანრი IV და კოლინი. კათოლი-

კების სათავეში იყო ფრანსუა გიზის ვაჟი ანრი გიზი. 1570 წელს სენ–ჟერმენში დაიდო ზავი. ეს იყო ჰუგენოტების გამარჯვება. პროტესტანტული ღვთისმსახურება დაშვებულ იქნა მთელ სამეფოში.

XVI საუკუნის პირველ ნახევარში საფრანგეთში მეფობს ლუი XI-ის სამი მემკვიდრე კარლ VIII (1483-1498 წწ), ლუი XII (1498-151 წწ) და ფრანსუა I (1515-1547 წწ) ეს არის აბსოლუტური მონარქიის შექმნის პერიოდი. გენერალურ შტატებს უკვე აღარ იწვევდნენ. მეფეს თავის განკარგულებაში ჰყავდა არმია და თვითონ კრეფდა გადასახადებს.

ფრანცუა I იყო ორლეანის ჰერცოგის და სავოიის ჰერცოგის ლუიზას შვილი და იყო ბიძაშვილი საფრანგეთის მეფის ლუი XII-ის. როცა მას შეუსრულდა ორი წელი, გარდაიცვალა მისი მამა. დედამისს ლუიზას ყოველთვის თავს ეხვეონენ პოეტები, განათლებულები, თაყვანისმცემლები. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ის ტოვებს სამეფი კარს და შვილებთან: ფრანსუასთან და მარგარიტასთან ერთად მიემგზავრება მშობლიურ სასახლეში, რომელიც მდებარეობდა ქალაქ კონიაკთან ახლოს. სწორედ ამ ქალაქში პირველად აწარმოეს ღვინის სპირტისგან სასმელი მუხის კასრებში.

რამდენიმე წლის შემდეგ ფრანსუა დანიშნეს ლუი XII-ის ქალიშვილზე-კლაუდიაზე, მილანის საგრაფოს მემკვიდრეზე. ლუიზა სავოიელი გადავიდა სასახლეში, სადაც ის ზრდიდა შვილებს. მან ორივეს მისცა შესანიშნავი განათლება. მარგარიტა ცოლად გაჰყვა ნავარის მეფეს. ის მფარველობდა მწერლობას, განათლებას. მას ეკუთვნის წიგნი გემპტამერონი – დეკამერონის მიბაძვით. ხოლო ფრანსუა იყო გამბედავი, მოხერხებული რაინდი, ამაყი და პატივმოყვარე. ის იყო მაღალი და ლამაზი. ჰქონდა უამრავი სასიყვარულო თავგადასავალი თავისი მომხიბლავი გარეგნობის გამო.

ლუი XII-ის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტი დაიკავა მისმა უახლოესმა ნათესავმა ფრანსუა I-მა. მან მიზნად

დაისახა ორი ამოცანა: დაეპყრო მილანი, მისი ცოლის სამემკვიდრეო მიწა და მიეღწია რომის საღმრთო იმპერატორის გვირგვინისათვის.

ახალგაზრდა მონარქი თავდაპირველად წარმატებას აღწევდა. მისი არმია გაემართა იტალიაში. გადალახა მთები და ააფეთქა უამრავი კლდე, რომლებიც მას მიზნის მიღწევაში უშლიდა ხელს. მისი არმიაც საკმაოდ კარგად იყო შეიარაღებული.

ნავარის (ბურგუნდიის) სამეფო მდებარეობდა საფრანგეთისა და ესპანეთის საზღვარზე. კავალერიას გაუჭირდა უღელტეხილის გადალახვა. ფრანსუა I-მა დაამარცხა შვეიცარიის დაქირავებული ჯარი, რომელიც იცავდა მილანს და დაუბრუნა ის საფრანგეთის სამეფოს.

მაქსიმილიანეს – რომის საღმრთო იმპერეტორის გარდაცვალების შემდეგ ფრანსუა ფიქრობდა მისი ტახტის დაკავებას. ის დაპირდა კურფიურსტებს 3 მილიონ ოქროს ფლორინს, თუ მას აირჩევდნენ. მაგრამ იმპერატორი გახდა კარლ V. მან კავშირი დადო ინგლისის მეფესთან ჰენრი VIII-თან, რომელსაც სურდა საფრანგეთისთვის წაერთმია ძველი ინგლისური მიწები (ეს მიწები ხომ პლანტაგენეტების საკუთრება იყო ანრი II-ის დროიდან, 1154 წლიდან) და ფრანსუა აღმოჩნდა მტრების გარემოცვაში. ინგლისელები ემუქრებოდნენ ჩრდილოეთიდან, კარლოსი ესპანეთიდან, ნიდერლანდებიდან და როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ავსტრიიდან. რომის პაპი გადავიდა ფრანსუას მოწინააღმდეგეების მხარეზე და კარლ V-მ დაძრა თავისი ჯარი იტალიისკენ, რომ დაეპყრო მილანი.

რამდენიმე წელი ჯარი აღწევდა წარმატებებს. ფრანსუამ დაიკავა ქალაქი პავია. აქ გმირულად იბრძოდა იგი. ბრძოლაში მას მოუკლეს ცხენი, რამაც მისი დამარცხება განაპირობა და ტყვედ ჩავარდა. იგი დედამისს წერილსაც კი წერდა, რომ დაკარგა ყველაფერი, ღირსების გარდა. (1525 წ.)

მადრიდში ფრანსუამ ხელი მოაწერა ზავს, რითაც უარი თქვა მილანზე. მან კარლ V-ს დაუთმო ბურგუნდია და ესპანელებთან ერთად უნდა ებრძოლა თურქების წინააღმდეგ. ასეთი იყო ზავის პირობა. საფრანგეთის მეფემ ბიბლიაზე ხელის დადებით დადო ფიცი და კარლ V-მ გაუშვა თავისი ტყვე პარიზში.

განთავისუფლდა რა ფრანსუა, მალე გამონახა საბაბი, უარი თქვა თავის დაპირებებზე. მან იცოდა, რომ რომის პაპი უკმაყოფილო იყო იმით, რომ კარლოს V-ს სურდა გაბატონება არა მარტო თავის იმპერიაში, არამედ მთელს კათოლიკურ სამყაროში. რომის პაპი შიშობდა, რომ ის აღმოჩნდებოდა მეორე ადგილზე, ამიტომ მან გაათავისუფლა ფრანსუა I საღმრთო ფიცისგან, რადგან იმედოვნებდა მის მოკავშირეობაზე. პაპმა გამოაცხადა, რომ ეს ეხებოდა არა მარტო მას პირადად, არამედ მთელს საფრანგეთს, ხოლო კარლ V-მ დაატყვევა მარტო ფრანსუა I და არა მთელი საფრანგეთი. მის შემდეგ საფრანგეთის სახელმწიფო მოხელეებმა უარი თქვეს შეთანხმებაზე.

ამის შემდეგ კარლ V-მ ომი გამოუცხადა რომის პაპს. რომისკენ გაეშურა არა მარტო ესპანეთის ჯარი, არამედ გერმანელი პროტესტანტი კურფიურისტები, მანამდე გერმანელები წინააღმდეგნი იყვნენ ეომათ იმპერატორის სასარგებლოდ და მოითხოვდნენ, რომ მათთვის, როგორც დაქირავებულებისათვის, გადაეხადათ ჯამაგირი. ხოლო ახლა რომში წავიდნენ უფასოდ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ რომის გაძარცვის ხარჯზე გამდიდრდებოდნენ.

რომი დაეცა. პაპმა თავს გაქცევით უშველა. მან თავი შეაფარა წმ. ანგელოზის სასახლეში. ხოლო გერმანელმა ჯარისკაცებმა გადაიცვეს კარდინალების ტანსაცმელი, ერთ ჯარისკაცს ჩააცვეს პაპის ტანსაცმელი და გაიძახოდნენ: პაპი ლუთერი, პაპი ლუთერი.

ფრანსუა არ დაეხმარა თავის ახალ მოკავშირეებს და პაპს მოუხდა გადაეხადა კარლ V-სთვის უზარმაზარი გამოსასყიდი, ხოლო ჯარისკაცებს დარჩა მილიონი ოქრო.

ომი კარლოსსა და ფრანცისკოს შორის გაგრძელდა 20 წელი. საფრანგეთის მეფე არაერთხელ დამარცხდა. მან თურქეთის სულთანთანაც კი დადო სამოკავშირეო ზავი. თურქმა მეკობრეებმა დაიწყეს ძარცვა ხმელთაშუა ზღვის ევროპული სანაპიროების. აღშფოთებულმა კარლ V-მ დუელშიც კი გამოიწვია ფრანცისკო, მაგრამ ის არ დათანხმდა.

მიუხედავად მარცხისა, ფრანსუა I ისტორიაში შევიდა, როგორც საფრანგეთის დიდი მეფე. სწორედ ამ დროს დაიწყო ფრანგული აღორძინება. მის დროს აშენდა სამეფო სასახლეები, მოიწვია პოეტები, განათლებულები - ლეონარდო და ვინჩი, ბენვენტო ჩელინი. მან რაფაელს სურათებიც კი შეუკვეთა. მის დროს ააშენეს ძვირფასი შამბორის და ფონტენბლოს სასახლეები.

ამავე დროს ფრანსუა იყო მტერი პროტესტანტებისა. ის პარიზის მოედანზე ესწრებოდა, თუ როგორ წვავდნენ ერთდროულად თოთხმეტ კოცონზე ერეტიკოსებს. ფრანცისკოს და მარგარიტა იყო პოეტი, რომელიც თავის გარშემო იკრებდა ჰუმანისტური მოძრაობის გამოჩენილ წარმომადგენლებს. ფრანგი ფილოლოგის, ბიუდეს ინიციატივით, 1530 წელს გაიხსნა სამი კოლეჯი, რომელსაც ჰქონდა ბერძნული ენის 3 კათედრა.

დრამატულად განვითარდა მოვლენები პროტესტანტებსა და კათოლიკებს შორის საფრანგეთში, ფრანსუა I-ის გარდაცვალების შემდეგ. ფრანსუამ თავისი ვაჟი დააქორწინა რომის პაპის ნათესავზე, ეკატერინე მედიჩზე, რომლის გვარი მოდიოდა იმ მედიჩებიდან, რომლებიც იყვნენ ფლორენციელი ბანკირები.

ეკატერინე მედიჩმა ინტრიგების შემდეგ ტახტზე აიყვანა თავისი ვაჟი კშარლ IX. იმ დროს მას შეუსრულდა ცხრა

წელი და სახელმწიფო მმართველობა გადავიდა დედის, ეკატერინეს ხელში. ეკატერინე მედიჩი მხარს უჭერდა პროტესტანტებს ანუ "ამხანაგებს ფიცით". მათი ბელადი იყო ადმირალი კოლონი და სამეფო კარის ნათესავი ნავარის მეფე-ჰენრი ბურბონი. ესენი იყვნენ გაბედული და მეომარი ხალხი, რომლებიც მზად იყვნენ დაეცვათ თავიანთი რწმენა იარაღით. მხარეების შესარიგებლად ეკატერინე მედიჩმა გადაწყვიტა თავისი ასული მარგარიტა დაექორწინებინა ანრი ბურბონზე. კათოლიკები წინააღმდეგნი იყვნენ ამ ქორწინების, მაგრამ ქორწინება მაინც შედგა. ახალგაზრდებს ერთდროულად აკურთხებდა ორი მღვდელი-კათოლიკი და პროტესტანტი. პარიზში ქორწილზე თავი მოიყარა პროტესტანტებმა, მაგრამ ეს ქორწინება შერიგების ნაცვლად გადაიქცა ჰუგენოტების ხოცვა- ულეტის ღამედ.

კათოლიკების პარტიის მეთაური ჰერცოგი ფრანსუა გიზი არწმუნებს ეკატერინე მედიჩს ჰუგენოტების განადგურების აუცილებლობაში. მიიღეს თანხმობა. ღამით წმ. ბართლომეს ღამეს (1572 წლის 24 აგვისტო) კათოლიკებმა თავი მოიყარეს ქალაქის რატუშთან. ყოველ მათგანს სახელოზე ჰქონდა თეთრი ნიშანი, რომ ეცნოთ ადამიანი. იმ ღამეს მოკლეს ადმირალი კოლონი. ანრი ბურბონმა მიიღო კათოლიკობა.

ანრი ბურბონმა 3 წელი დაჰყო საფრანგეთის სამეფო კარზე როგორც ტყვემ. მალე ის გაიქცა, ისევ მიიღო პროტესტანტობა და სათავეში ჩაუდგა ჰუგენოტებს. დაიწყო სამოქალაქო ომი. მიუხედავად გამარჯვებისა საფრანგეთის დიდი ნაწილი მაინც რჩებოდა კათოლიკების ერთგულად. მათ ხელში გადავიდა 4 ციხე-სიმაგრე: კონიაკი, ლაროშელი, მონტობანი, ლაროშიტე. პროტესტანტებს მიეცათ სჯულის თავისუფლება ყველგან გარდა პარიზისა და სამეფო კარის ტერიტორიისა.

1575 წელს მეფედ აკურთხეს კათოლიკე ანრი III (1575-1589). 1577 წელს მან გამოსცა ედიქტი, რითაც არ ცნობდა

არავითარ რელიგიას გარდა კათოლიკურისა. მიმდინარეობს ბრძოლა 3 ანრის: ანრი III–ს, ანრი გიზს და ნავარის მეფე ანრის შორის. ანრი III იყო კათოლიკი, ანრი გიზი (ფრანსუა გიზის ვაჟი) იყო ასევე კათოლიკი. ანრი გიზი მოკლეს, ეკატერინე მედიჩი გარდაიცვალა, ანრი III მოკლა დომინიკანელმა ბერმა 1589 წელს.

ანრი IV ბურბონი საფუძველს უყრის საფრანგეთში ბურბონთა დინასტიას. პირველ ცოლს მარგარიტას გაშორდა. ის დაქორწინდა მარია მედიჩზე ტოსკანის ჰერცოგის ნათესავზე, იმ მედიჩების გვარიდან, საიდანაც იყო ეკატერინე მედიჩი. მარია მედიჩთან ანრის შეეძინა ლუი XIII. ისტორიკოსების ცნობით მარიამმა მოაწყო შეთქმულება ანრიზე და ის მოკლეს პარიზის ქუჩაში ხმლით. ანრი IV – ეს სიკვდილის შემდეგ საფრანგეთს მართავს მცირეწლოვანი ვაჟი. მის დროს დაწინაურდა სამეფო კარზე ახალგაზრდა ეპისკოპოსი რიშელიე. იგი მარგარიტამ შეიყვანა სამეფოში და იყო მისი პირადი მრჩეველი.

ახალგაზრდა მეფემ ლუი XIII-მ მმართველობას ჩამოაშორა დედა და რიშელიე. კერძოდ ისინი გადაასახლა. მაგრამ მალე რიშელიე ბრუნდება საფრანგეთში და თავისი გავლენის ქვეშ მოაქცევს ლუი XIII-ს. რიშელიემ მიიღო კარდინალის წოდება და გახდა პირველი მინისტრი. ჭკვიანი, ანგარიშიანი, მკაცრი კარდინალი დროზე ახშობდა შეთქმულებას, კარგად მართავდა საფრანგეთს და გადააქცია იგი ევროპის ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ.

მარია მედიჩი შეეცადა ჩამოეგდო შუღლი შვილსა და კარდინალს შორის. დაეპირისპირებინა მეფისთვის დედოფალი ანნა ავსტრიელი, მაგრამ უშედეგოდ. მის შემდეგ მარია მედიჩი გაიქცა ბრიუსელში, შეაგროვა ჯარი და გამოვიდა საფრანგეთის არმიის წინააღმდეგ. რიშელიემ ამჯერადაც გაიმარჯვა. მეამბოხეები დამარცხდნენ, მარია მედიჩის ჯარის მეთაური ჰერცოგი მონმორანსი ჩავარდა ტყვედ და სიკ-

ვდილით დასაჯეს. კარდინალი რიშელიე თითქმის 20 წელი მართავდა საფრანგეთს, მან გააძლიერა სამეფო ხელისუფლება, დაამარცხა ფრანგი პროტესტანტები. წაართვა მათ უკანასკნელი ციხე-სიმაგრე ლა-როშელი.

რიშელიე მფართველობდა მეცნიერებას და ხელოვნებას. მან დააარსა ცნობილი ფრანგული აკადემია, ააშენა ციხე-სიმაგრე პალე-როიალი, რომელიც გადასცა მეფეს. შემდეგში ეს სასახლე გადაიქცა სამეფო რეზიდენციად.

გარდაცვალებამდე რიშელიემ რეკომენდაცია მისცა მომავალ მინისტრს მაზარინს, რომელიც გახლდათ შესანიშნავი დიპლომატი. იგი დაიბადა ნვრილი აზნაურის ოჯახში სიცილიის კუნძულზე. მიღებული ჰქონდა კარგი განათლება. შეისწავლა ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, სამართალი, მოიპოვა დოქტორის წოდება. შემდეგ მაზარინი მსახურობდა პაპის არმიაში და მიიღო კაპიტნის უმაღლესი წოდება. ის იყო პაპის წარმომადგენელი პარიზში. რიშელიემ მაზარინი ადრე პაპს გააცნო დიპლომატიური მილაპარაკების დროს. პაპმა მოიწონა ჭკვიანი ახალგაზრდა იტალიელი, მიიწვია იგი სამეფო კარზე და დატოვა პირველ მინისტრად საფრანგეთში.

ლუი XIII-ის სიკვდილის შემდეგ ანნა ავსტრიელს შეუყვარდა მაზარინი და ფარულად დაქორწინდა მასზე. სამეფო კარის დიდებულებს სძულდათ უცხოელი მაზარინი და მტრობდნენ კიდეც მას. საფრანგეთში იფეთქა ფრონდის აჯანყებამ, რომელთაც საფრანგეთში ქუჩის ბიჭებს უწოდებდნენ. მაზარინს დედოფალთან ერთად მოუხდა საფრანგეთის დატოვება. მაგრამ მაზარინმა მოახერხა და ერთმანეთს დაუპირისპირა დიდებულები. გაატარა რიშელიეს მსგავსი პოლიტიკა მათ მიმართ და შეძლო მათი დამარცხება. და ბოლოს იგი ზეიმით შევიდა პარიზში. მისი მინისტრობის დროს საფრანგეთი კარნახობდა თავის კანონებს ესპანეთს, გერმანიას და ინგლისს.

პირველმა მინისტრმა ბევრი რამ გააკეთა საფრანგეთის-

თვის, მაგრამ არ დაივიწყა თავისი თავი. მისი პირადი ქონება შეადგენდა 100 მილიონ ლივრს. ის ბევრ მონარქზე უფრო მდიდარი იყო. როდესაც ის მძიმედ იყო ავად და კვდებოდა ლუი XIV-მ ჰკითხა მას თუ ვინ დაენიშნა პირველ მინისტრად. მან უპასუხა, უმჯობესია საფრანგეთს არ ყავდეს პირველი მინისტრი. მისი აზრით, სამეფო ხაზინა მიიღებდა აქედან დიდძალ თანხას (ის ხომ უმდიდრესი კაცი იყო სამეფოში).

საფრანგეთის კულტურა

იტალიაში ლაშქრობებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფრანგული აღორძინებისთვის.

1494 წელს როცა ფრანგები შევიდნენ იტალიაში, საფრანგეთის თავადაზნაურობის წინაშე გადაიშალა საოცრებათა ქვეყანა: მდიდარი სასახლეები, აურაცხელი სიმდიდრე, ტანსაცმელების მოხდენილობა, თავაზიანი ქცევა, რაც გაბატონებული იყო იტალიის კულტურულ საზოგადოებაში.

ფრანგული აღორძინება თავადაზნაურულ-არისტოკრატიულ ხასიათს ატარებდა. შენდებოდა ელეგანტური ციხე-სიმაგრეები და რენესანსის სტილის სასტუმროები ლუარის ნაპირზე პარიზში და მის მიდამოებში. ფრანსუა I-მა მოიწვია ფლორენციელი ბენევენტო ჩელინი, ლითონის ჭედვის შესანიშნავი მოქანდაკე. ჩელინის წყალობით ხმარებაში შემოიღეს ოქროს და ბრილიანტის სამკაულები.

საინტერესოა თავადაზნაურული პამფლეტის ერთ-ერთი ავტორი – ბრუტუსი, რომელიც ავითარებდა აზრს იმის შესახებ, რომ ხალხი მეფეზე ადრე არსებობდა. ხალხმა მეფეები თავისი კეთილდღეობისათვის შექმნა და ამიტომ ისინი ვალდებული არიან მათ სასარგებლოდ იღვწოდნენ. მეფის წოდება პატივი კი არ არის, არამედ საზოგადოების სამსახურია. უნდა დავუბრუნდეთ ძველ წესებს. აღვადგინოთ მეროვინგების და კაროლინგების მმართველობა, როცა მეფეებს ხალხი ირჩევდა. ასეთი იყო პამფლეტის ავტორის იდეები.

თემა მეთერთმეტე

ინგლისი XVI-XVII საუკუნის დასაწყისში

ალისფერი და თეთრი ვარდების ომი დასრულდა 1485 წელს, როდესაც ბოსვორტის ველზე მოხდა უკანასკნელი შეტაკება ორი დინასტიის – ლანკატერებისა და იორკების ჯარს შორის. დამარცხდა იორკების ბელადი რიჩარდ III (1483-1485 წწ), გაიმარჯვა პლანტაგენეტების შორეულმა ჩამომავალმა (ნათესავმა) ჰენრი VII ტიუდორმა, რომელმაც ცოლად შეირთო ედუარდ IV–ის (1461-1483 წწ) შვილი ელისაბედი.

ჰენრი VII მეფობდა 1485-1509 წლებში. მას სამი შვილი ჰყავდა. მისმა უფროსმა ვაჟმა ჰენრიმ (შემდეგში ჰენრი VIII) ცოლად შეირთო ესპანელი ქალი ეკატერინე არაგონელი. მეორე შვილი იყო მარგარიტა. ის ცოლად გაყვა შოტლანდიელ მეფეს იაკობ IV (ჯეიმს), მათი შვილი იყო იაკობ V, რომელსაც ჰყავდა ასული მარი (სტიუარტი) შოტლანდიის დედოფალი. იგი ცოლად გაყვა საფრანგეთის მეფის ანრი II ვაჟს ფრანსუა II. მარი სტიუარტის და ფრანსუა II-ის შვილი იყო იაკობ I სტიუარტი (1603-1625 წწ) ინგლისის მეფე, ხოლო შოტლანდიაში იაკობ VI-დ წოდებული.

მესამე შვილი იყო მერი, რომელიც ცოლად გაყვა შარლ ბრანდონს – სელფოლკის გრაფს, მათი შვილი კი იყო ფრანცისკა ბრანდონი. ის მისთხოვდა სეფოლკის გრაფს ჰენრი გრეის და მათ შეეძინათ ასული ჯეინ გრეი – ერთადერთი მემკვიდრე, რომელიც სიკვდილით დასაჯეს 1554 წელს



ინგლისის ეკონომიკურ განვითარებას ხელი შეუწყო იმ გარემომოებამ, რომ გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ ინგლისი მოექცა მსოფლიო სავაჭრო გზების ცენტრში. გარდა ამისა, ინლისში XIV ს-ის II ნახევარში ბატონყმობა ფაქტობრივად გადავარდა. განვითარდა სასაქონლო ფულადი ურთიერთობა, რასაც ხელი შეუწყო მაუდის მრეწველობის განვითარებამ შალის, მატყლის ნედლეულის ბაზაზე. ინლისში ცნობილი იყო კოსვოლდის ჯიშის ცხვარი.

XVI ს-ში მანჩესტერში განვითარდა საფეიქრო მრეწველობა-ქსოვილების წარმოება, რომლის ნედლეული შემოდიოდა ლევანტიდან ინგლისელი ვაჭრების საშუალებით. ნორიჩში, კოლჩესტერში აწარმოებდნენ ტყავს, სელს, აბრეშუმს. ლონდონში, ბრისტოლში-მინას, საპონს. ბირმინგემში, შეფილდში-რკინა-კავეულის ნაწარმს. ამავე პერიოდში დაიწყეს შაქრის წარმოება. გაჰქონდათ ის ნიდერლანდებში და გერმანიაში. შაქრის ნედლეული შემოჰქონდათ ინგლისელ ვაჭრებს მაროკოდან. კორნუოლში – ტყვიას, კალას სპილეძს აწარმოებდნენ.. მისი მოპოვება 1550-1560 წლებში გაიზარდა 6-8 ჯერ.

ნიუკასლში ხდებოდა ქვანახშირის მოპოვება. 1540-1640 წლებში მისი მოპოვება გაიზარდა 8-ჯერ.

შემოლობვის შედეგად მოხდა გლეხობის, როგორც კლასის პაუპერიზაცია. 1536-1537 წლებში ადგილი ჰქონდა ლინკონშირში, იორკშირში გლეხთა გამოსვლებს. ხოლო 1549 წელს სამხრეთ-დასავლეთ ინგლისში – დაიწყო დიდი აჯანყება, რომელმაც მოიცვა დემონშირი, ნორფოლკი, სეფოლკი, დევონშირი, კორნუოლი. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა წვრილი აზნაური რობერტ კეტი და მისი ძმა უილიამი. აჯანყება ნარიმართა ჩრდილო ინგლისის მიმართულებით ნორიჩში. მათ მიიღეს პროგრამა, რომელიც მიმართული იყო მსხვილი მიწათმფლობელების წინააღმდეგ. 1549 წლის 27 აგვისტოს აჯანყება ჩაახშეს.

ჰენრი VIII (1509-1547)

ედუარდ VI (1547-1553)	მერი ტიუდორი (1553–1558)	ელისაბედი (1558–1603)

ინგლისის აბსოლუტიზმი. 1485-1603 წლებში ინგლისს მართავენ ტიუდორები, რომელთაც განამტკიცეს აბსოლუტური ხელისუფლება. ჰენრი VII–მ შემოიღო "ვარსკვლავიანი პალატა", რომელიც თვალყურს ადევნებდა სტატუსების შესრულებას და მას სასამართლო უფლება გააჩნდა.

ბიუროკრატიული აპარატი ადგილებზე იყო სუსტი. საგრაფოებში მთავარი ადგილები ეჭირა ჯენტრის და ქალაქის ბურჟუაზიის პრივილეგირებულ ფენას.

პარლამენტის თემთა პალატა, ლორდთა პალატა ემორჩილებოდა მეფეს. სახელმწიფოს არ გააჩნდა მუდმივი არმია. გეოგრაფიული მდებარეობის გამო მეტი ყურადღება ეთმობოდა საზღვაო ფლოტის განვითარებას.

საშინაო პოლიტიკა. ტიუდორები გამოხატავდნენ ფეოდალური თავადაზნაურობის ინტერესებს. შემოლობვის შედეგად უამრავი უმუშევარი და მათხოვარი გაჩნდა. 1489 წელს პარლამენტმა აკრძალა შემოლობვის დროს სახლების

და შენობების განადგურება. უნდა დაეტოვებინა 20 აკრი სახნავი მიწის ფართობი. 1534 წელს პარლამენტის სტატუტით აკრძალეს იჯარით აეღოთ ორ ფერმაზე მეტი და ჰყოლოდათ 2 ათას ცხვარზე მეტი.

1593 წელს ელისაბედმა გააუქმა შემოლობვის აკრძალვა.

1597-98 წლებში მიიღეს ახალი აქტი მონათმოქმედების და მიწათსაკუთრების შესახებ, რომელმაც აკრძალა საძოვრებად მიწის ნაკვეთების გადაქცევა. აღნიშნულ აკრძალვებს არ შეეძლოთ შემოლობვის კანონზომიერი პროცესის შეჩერება.

ირლანდიის ექსპანსია. ირლანდიის მიწების ძარცვა გადაიქცა ინგლისის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ.

1541 წელს ჰენრი VIII მიითვისა ირლანდიის მეფის ტიტული (ჯერ კიდევ XII ს-ში რომის პაპმა მისცა ინგლისის მეფეს ირლანდიის ლორდის ტიტული). ირლანდიის ნლიური შემოსავალი იყო 110 ათასი გირვანქა სტერლინგი. აქ იყო 56 მონასტერი. ინგლისის მიერ ირლანდიაში განხორციელდა რეფორმაცია. სეკულარიზაციის შედეგად სამონასტრო ქონება გადავიდა ინგლისის ხელში. ეს განხორციელდა დუბლინში 1536–1541 წლებში პარლამენტის მიერ. ამით ირლანდია დაექვემდებარა ინგლისს, თუმცა ნაწილი ირლანდიისა დარჩა კათოლიკური.

პირველი მასობრივი კონფისკაცია მიწებისა ირლანდიაში განხორციელდა 1557 წელს, მერი ტიუდორის დროს.

1594 წელს ჩრ.ირლანდიაში – ოლსტერში, ადგილი ჰქონდა განთავისუფლებისთვის ბრძოლას ტირონის და ტირკონელის მეთაურობით. მასში 16 ათასი კაცი იღებდა მონაწილეობას. ელისაბედმა გაგზავნა გრაფი (ესკესის) 22-ათასიანი არმიით. აჯანყება ჩაახშეს მხოლოდ 1603 წელს. ახალმა მეფემ იაკობ I სტიუარტმა მოახდინა მიწების კონ-

ფისკაცია ოლსტერში, რომელიც გადასცა ინგლისის და შოტლანდიის კოლონისტებს.

ელისაბედის დროს ზღვაოსანმა ფრენსის დრეიკმა 1578 წელს მიაღწია მაგელანის სრუტის გავლით ჩილეს და პერუს. შემდეგ გადავიდა წყნარ ოკეანეში და გასცილდა კეთილი იმედის კონცხს. ე. ი. შემოვლით მოგზაურობა მოახდინა და 1580 წელს დიდი ნადავლით დაბრუნდა ინგლისში.

მალე დედოფლის ფავორიტმა უოლტერ რელიმ დაიკავა ჩრ. ამერიკის ნაპირები. 1585 წელს ინგლისმა მოაწყო სამხედრო ექსპედიცია ვესტ-ინდოეთში, გაანადგურა ესპანეთის დასახლებანი და გემები. ინგლისში დაბრუნდა დრეიკი დიდი ნადავლით. ინგლისი ელისაბედის მხარდაჭერით ეწეოდა მეკობრეობას ესპანეთის გემებზე. ანადგურებდნენ მათ და ძარცვავდნენ. მეკობრეობა ინგლისს აძლევდა 3 მლნ დუკატ წლიურ მოგებას.

1562 წლიდან ინგლისელებს გამოჰყავს ესპანეთის აფრიკული კოლონიებიდან ზანგი მონები.

შოტლანდია.

1502 წელს ჰენრი VII ტიუდორმა თავისი ასული მარგარიტა მიათხოვა შოტლანდიის მეფეს იაკობ IV-ს, ხოლო ჰენრი VIII-მ აწარმოა რამდენიმე ომი შოტლანდიასთან. ედუარდ VI-ის და მარია სტიუარტის ქორწინება არ შედგა. შოტლანდიის დიდკაცობა გაიყო ორად – ფრანგების და ინგლისელების მომხრეებად.

1542 წელს შოტლანდიის მეფე იაკობ V გარდაიცვალა. ტახტი გადაეცა ჰენრი VII ტიუდორის შვილიშვილს მერი სტიუარტს. ის გაგზავნეს საფრანგეთში, სადაც იზრდებოდა და დააქორწინეს ანრი II–ის უსუსურ შვილზე ფრასუა II–ზე. შოტლანდიას მართავდა მისი დედა მარია გიზი. დაწინაურდა ფრანგული არისტოკრატია. შოტლანდიაში გავრცელდა

კალვინიზმი. შეიქმნა კალვინისტთა კავშირი-კონვენანტი. შოტლანდიის რეფორმაციის მამამთავარი იყო ჯონ ნოკსი (1514-1572 წწ.)

როცა შოტლანდიაში დაიწყო სახალხო მოძრაობა კათოლიკეების წინააღმდეგ, კალვინისტებმა დაიწყეს სამხედრო მოქმედება საფრანგეთის წინააღმდეგ. ამით ისარგებლა ელისაბედმა და ეხმარებოდა შოტლანდიის კალვინისტებს იარაღით და ფულით.

1560 წელს ედინბურგში დაიდო ზავი, რითაც საფრანგეთის არმიამ დატოვა შოტლანდია და ძალაუფლება გადავიდა 12 არისტოკრატის ხელში. აქედან 5 დაამტკიცა პარლამენტმა, ხოლო 7 კი მეფემ. გამოცხადდა სჯულის თავისუფლება. მარია სტიუარტს და მის მეუღლეს უარი უნდა ეთქვათ ინგლისის სამეფო ტახტზე. მარია სტიუარტი არ ცნობდა ედინბურგის ზავს. ამ დროს გარდაიცვალა ფრანსუა II. მარია სტიუარტი მისთხოვდა ლორდს ჰენრი დარნლეის.

1567 წელს შოტლანდიის კალვინისტებმა მოაწყვეს შეთქმულება მარია სტიუარტის წინააღმდეგ. დაადანაშაულეს მისი ქმრის დარნლეის მკვლელობაში. 1587 წელს მარია სტიუარტი სიკვდილით დასაჯეს. შოტლანდიის მეფედ გამოცხადდა მარიას ვაჟი იაკობ VI. ელისაბედის სიკვდილის შემდეგ 1603 წელს შოტლანდია შეუერთდა ინგლისს.

მარის სიკვდილით დასჯამ გამოიწვია კათოლიკური ეკლესიის რეაქცია. ევროპაში პაპი პიუს V მოუწოდებდა ბულით კათოლიკებს ომისაკენ. ფილიპე II-მ მოამზადა ფლოტი 134 ხომალდით ე.წ. "უძველესი არმადა", რომელიც შედგებოდა 20 ათასი ჯარისკაცისა და მეზღვაურისაგან 2500 ქვემეხით.

პაპი არ ცნობდა კანონიერ მეფედ ელისაბედს. მან 1570 წელს გამოსცა ბულა, რომლითაც ელისაბედი გამოაცხადა უკანონო მეფედ.

1588 წელს უძველესი არმადა განადგურებულ იქნა ინგლისის მიერ. 1603 წლიდან ძალაუფლება გადავიდა სტიუარტების ხელში და მეფე გახდა იაკობ I (1603-1625 წწ.).ის იყო იგივე იაკობ VI შოტლანდიაში. 1640 წელს დაიწყო ინგლისში ბურჟუაზიული რევოლუცია. იაკობ I სტიურტის შემდეგ მეფობს ჩარლზ I (1625-1649 წწ.), რომელსაც ეშაფოტი არგუნა ღმერთმა.

კულტურა.

კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად, ინგლისის ეკონომიკურმა და ტერიტორიულმა გაერთიანებამ ხელი შეუწყო ინგლისელი ხალხის ეროვნულ კონსოლიდაციას. ინტენსიურად მიმდინარეობდა ადგილობრივი დიალექტების შერწყმა ერთიან ინგლისურ ენასთან. ამას ხელს უწყობდა ექსპორტირებული გლეხებისა და ღარიბების სამუშაოს ძებნისთვის გადაადგილება.

XVI საუკუნეში ინგლისში წარმატებით ვითარდება ჰუმანისტური კულტურა. ჰუმანიზმის ცენტრი იყო ოქსფორდის უნივერსიტეტი, სადაც იყვნენ: ლინეკრი, გროსინი, ჯონ კოლეტი. მათთან იყო დაკავშირებული ერაზმ როტერდამელი, რომელიც გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა ინგლისში. მათი მოღვაწეობა განისაზღვრებოდა ანტიკური და ძველი ენების შესწავლით, ასევე რელიგიის და მორალის შესწავლით. ჰუმანისტებმა წინა პლანზე წამოსწიეს სოციალურ–ეკონომიკური პრობლემები, რაც აღელვებდა ინგლისის საზოგადოების სხვადასხვა ფენას.

უდიდესი ჰუმანისტი იყო თომას მორი (1477-1535 წწ.). იგი დაიბადა ლონდონელი ადვოკატის ოჯახში, განათლება მიიღო ოქსფორდის უნივერსიტეტში. ჰენრი VIII დროს ეკავა მაღალი სახელწიფო თანამდებობები. 1504 წელს აირჩიეს თემთა პალატის წევრად.1510 წელს აირჩიეს დეპუტატად

იმუშავა შერიფის თანაშემწედ (1510-1515 წწ).1515 წელს ფლანდრიაში გაგზავნეს დიპლომატიური მისიით. 1521 წელს დაინიშნა ხაზინადარის თანაშემწედ. იყო თემთა პალატის თავმჯდომარედ 1523 წელს. 1525 წელს ლანკასტერის საჰერცოგოს კანცლერი, 1529 წელს ინგლისის ლორდ- კანცლერი. 1532 წელს მორი გადადგა ლორდ-კანცლერის თანამდებობიდან. ის არ ეთანხმებოდა ჰენრი VIII–ის საეკლესიო პოლიტიკას. 1535 წელს ის სიკვდილით დასაჯეს.

მორმა დაწერა "უტოპია", "რიჩარდ III ისტორია". მან ძველ ბერძენთა ნაწარმოებები გადათარგმნა ლათინურ ენაზე. მანვე დაწერა პოლიტიკური ტრაქტატები. ასევე დაწერა 240 -მდე ეპიგრამა და რამდენიმე პოემა, ჯონ კოლეტი თომას მორს უწოდებდა "ინგლისის ერთადერთ გენიოსს"

XVI ს-ის II ნახევარში ვითარდება დრამატურგია. ლონდონში იყო რამდენიმე თეატრალური შენობა, კერძო თეატრები მდიდარ სახლებში. მათ შორის ერთ-ერთი დიდი თეატრი იყო "გლობუსი",რომელიც დაარსდა 1599 წელს უელსის შეწირულობების ხარჯზე

ინგლისის დრამატურგია განიცდიდა ჰუმანისტების გავლენას. ეს აისახა უილიამ შექსპირის შემოქმედებაში. შექსპირის (1564-1616 წწ) მამა დასახლდა სტენფორდ-ეივონში, სადაც ეწეოდა ხელოსნობას და ვაჭრობას. ამ ქალაქში განვლო მისმა ბავშვობამ და ყმაწვილობამ. ადგილობრივი სკოლის დამთავრების შემდეგ 1585 წელს გადავიდა ლონდონში, სადაც გახდა მსახიობი, ხოლო შემდეგ თეატრის ფუძემდებელი. ის წერდა თეატრისთვის პიესებს. მისი დრამატურგიული მოღვაწეობა გაგრძელდა 1590-1610 წლამდე. მისი ტრაგედიები: ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი, იულიუს ცეზარი, რიჩარდ III, ჰენრი VI, ჰენრი IV, ჰენრი V, ჰენრი VII და სხვა.

ცნობილი დრამატურგი XVI ს II ნახევარში იყო ქრისტეფორე მარლო ბენ ჯონსონი. ისინი დიდ ყურადღებას უთმობ-

დნენ ინგლისის წარსულის შესწავლას. ფრენსის ბეკონი (1561-1626 წწ) იყო ინგლისელი ჰუმანისტი და ფილოსოფოსი. მან მიიღო განათლება კემბრიჯის უნივერსიტეტში, ხოლო იურიდიული პრაქტიკა მიიღო ლონდონში. 1584 წელს გახდა პარლამენტის წევრი, ხოლო იაკობ I სტიუარტის დროს ლორდ ბეჭედის შემნახველი, ინგლისის კანცლერი.

გრძნობა არის წყარო მისი ცოდნისა. ინდუქცია, ანალიზი, შედარება, ექსპერიმენტი, ჭეშმარიტების დადგენა და სხვა ფილოსოფიური საკითხები შეისწავლა მან.

"ადამიანი არის ოსტატი (შემქმნელი) თავისი ბედის". ბედნიერების მიღწევისათვის მთავარი არის არა ფული, არამედ სულიერი ფასეულობანი ადამიანისა – მისი ნიჭი, ვაჟკაცობა, თავდაჭერილობა, სიძნელეების დაძლევის უნარი. ის ამართლებდა გამდიდრებას და მის საშუალებებს. ნუ დაივიწყებთ ახლობლებს, ქვეყანას. იყავით სამართლიანი სხვების მიმართ, განსაკუთრებით შენი ქვეყნის მიმართ.

მან დაწერა "ახალი ატლანტიდა" 1613-1614 წლებში, რომელიც გამოვიდა მისი გარდაცვალების შემდეგ 1627 წელს. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სამეცნიერო – ტექნიკურ პროგრესს საზოგადოების განვითარების, წარმოების და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საქმეში.

თავისი პოლიტიკური შეხედულებებით ბეკონი იყო აბსოლუტური მონარქიის, ძლიერი მეფის მომხრე, რომელიც უნდა დაეყრდნოს მმართველობის დროს პარლამენტს.

მხატვრობაში ვითარდება პორტრეტის ჟანრი. დიდი გერმანელი მხატვარი ჰანს ჰოლბეინ უმცროსი იყო ჰენრი VIII-ის პორტრეტების ავტორი. ჰოლანდიელი პორტრეტისტი კი იყო ვან ეიკი.

XVI საუკუნეში გაჩნდა ინგლისის ნაციონალური არქიტექტურული სტილი – ტიუდორი.

რეფორმაციული მოძრაობა ინგლისში დაიწყო ჰენრი VIII-ის მეფობის დროს. ისევე როგორც ყველგან ევროპაში,

XVI ს-ს ინგლისში დამყარდა აბსოლუტური ხელისუფლება.

ინგლისის აბსოლუტიზმის ძირითადი დასაყრდენი იყო ფეოდალური კლასი. ფეოდალური დიდკაცობის ნაწილი დაიღუპა ალისფერი და თეთრი ვარდების ომის დროს. ტიუდორების დინასტიის მეფემ ჰენრი VII-მ სპეციალურად ფეოდალური დიდკაცობის ძლიერების მოსასპობად, გასანადგურებლად შექმნა "ვარსკვლავიანი პალატა" – უმაღლესი სასამართლო პოლიტიკური ღალატის საქმეების გასარჩევად. ეს პალატა სიკვდილს და ქონების კონფისკაციას უსჯიდა ფეოდალებს, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ მეფეს. კონფისკირებულ მიწებს ჰყიდნენ, მათი მყიდველები კი იყვნენ მეტწილად ბურჟუაზიის წრიდან. ისინი ფეოდალურ მამულებთან ერთად თავადაზნაურის წოდებას იძენდნენ.

XVI საუკუნის ინგლისის ბურჟუაზია სწრაფად იზრდება და ძლიერდება. აწარმოებს ფართო ზღვისმიერ ვაჭრობას და ფეხს იკიდებს კოლონიებში. ყოველივე ამისათვის ის საჭიროებდა ძლიერ სახელმწიფოს, რომელიც მას დაიცავდა.

პარლამენტს XIII საუკუნეში დადგენილი წესჩვეულებების მიხედვით ირჩევდნენ. XV ს-ის 30-იან წლებში ამ წესჩვეულებებში შეტანილ იქნა ზოგიერთი ცვლილება. შემოიღეს ქონებრივი ცენზი. ამომრჩეველთა წრიდან გამორიცხეს კოპიჰოლდერები. ინგლისის რეფორმაციას ბიძგი მისცა ჰენრი VIII-ის ეკატერინე არგონელთან განქორწინების პროცესმა. ეკატერინე იმპერატორ კარლ V-ის ნათესავი იყო და პაპს, რომელიც იმპერატორის ხელში იყო არ შეეძლო შეურაცყოფა მიეყენებინა თავისი თანხმობით იმპერატორისთვის. ჩამოვარდა უკმაყოფილება ინგლისის სამეფო ხელისუფლებაში და ქვეყანამ გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი პაპის კურიასთან (რომის ეკლესიასთან).

ინგლისის მეფე და პარლამენტი ყოველთვის იმის წინააღმდეგი იყვნენ, რომ პაპს საეპისკოპოსო კათედრებზე ინგლისში უცხოელები დაესვა. ჯერ კიდევ 1351 წელს გამოიცა

სტატუტი, რომელიც კრძალავდა საეპისკოპოსო კათედრების დაკავებას უცხოელთა მიერ. 1352 წელს "პროვიზორები" ანუ ის პირები, რომლებიც სხვადასხვა საშუალებით ცდილობდნენ რომის პაპს ისინი ინგლისის საეპისკოპოსო კათედრებზე დაენიშნა, კანონგარეშეც კი იყვნენ გამოცხადებული, რასაკვირველია, თუ ისინი ინგლისელები არ იყვნენ.

ჯერ კიდევ XIV საუკუუეში ინგლისის სასამართლოები სულ უფრო და უფრო ხშირად აცხადებდნენ პროტესტს სასამართლო საქმეების რომში გადატანის წინააღმდეგ, რომის კურიის სასამართლოსთვის მიმართვის წინააღმდეგ. ინგლისის სამეფო კარი აწარმოებს ბრძოლას საეკლესიო მიწათმფლობელობის წინააღმდეგ, რამაც XVI ს-ში სეკულარიზაციის ხასიათი მიიღო. ჯერ კიდევ 1279 წელს გამოიცა სტატუტი, რომელიც კრძალავდა საეკლესიო მიწათმფლობელობის შემდგომ ზრდას. ვიკლიფი და ლოლარდები XIV ს-ში მოითხოვდნენ საეკლესიო მამულების კონფისკაციას.

1521 წელს ჰენრი VIII-მ რომში გაგზავნა ლუთერის წინააღმდეგ მისი სახელით დაწერილი წიგნი "შვიდი საიდუმლოების შესახებ" კათოლიკური ეკლესიის მოძღვრების დასაცავად და პაპისგან ძღვნად მიიღო ოქროს ვარდი და "სჯულის დამცველის" ტიტული იმ გულმოდგინებისათვის, რომელიც გამოიჩინა ლუთერანობასთან ბრძოლაში. სამაგიეროდ ლუთერმა თავის პასუხში სასტიკად გამოლანძღა ჰენრი. როდესაც პაპის კურიისაგან მიიღო უარი განქორწინებაზე, მაშინ ჰენრი VIII-მ გადაწყვიტა პაპის გადაწყვეტილება გაესაჩივრებინა. მეფე ცდილობდა თავი მოეჩვენებინა ინგლისის ნაციონალური სამღვდელოების დამცველად პაპის გამომძალველობისაგან. სინამდვილეში ხელმძღვანელობდა პირადი მოტივებით. კავშირის გაწყვეტა რომთან მოხდა შემდეგნაირად: 1533 წელს გამოცემულ იქნა სტატუტი, რომელიც აუქმებდა პაპის იურისდიქციას ინგლისის საქმეებში. 1534 წლის "აქტით სუპრუნტიის" ანუ უზენაესობის შესახებ გამოცხა-

დებულ იქნა მეფე ინგლისის ეკლესიის მეთაურად. ამასთან ხაზგასმული იყო, რომ კათოლიკური ეკლესიის არცერთი დოგმატი გაუქმებული არ იქნება, რომ შეიცვლება მხოლოდ საეკლესიო მმართველობის ხასიათი.

ჰენრი VIII ებრძოდა პაპს, მაგრამ ერთიანად კათოლიციზმთან კავშირის გაწყვეტა მას არ სურდა. მეფე შეეცადა კათოლიციზმთან გარკვეული კომპრომისისათვის მიეღწია, თუმცა ამართლებდა სამონასტრო ქონებათა დაწყებულ სეკულარიზაციას. წირვა-ლოცვის ენა ხდება ინგლისური. მეფემ დაიწყო არა მარტო კანდიდატების შერჩევა საეკლესიო თანამდებობებზე, არამედ თვით სჯულის მოძღვრების განსაზღვრა. მეფე, როგორც ეკლესიის ერთიანობის დამცველი თავის თავზე იღებს მწვალებლობასთან ბრძოლის საქმეს მით უფრო, რომ მწვალებლობაში გამოხატულებას პოულობდნენ მასების უკმაყოფილება და პოლიტიკური ოპოზიციის პირველი ნიშნები. მთავრობა კრძალავს ისეთი წიგნების კითხვას, რომლებშიც მწვალებლური აზრებია გამოთქმული. თვით სახარების და ძველი აღთქმის კითხვა წოდებრივ ხასიათს ღებულობს. მისი კითხვა შეუძლით ვაჭრებს და იომენებს – თავისთვის. სხვებისთვის სახარების კითხვა შეუძლიათ მხოლოდ ჯენლტმენებს, წვრილ გლეხებს, ხელოსნებს, შეგირდებს, ქარგლებს, დღიურ მუშებს და მსახურებს საერთოდ არ აქვთ უფლება იკითხონ დაბადება.

ძირითადი მიზეზი სამეფო რეფორმაციისა ინგლისში მდგომარობდა შემდეგში. მეფეს სურდა საეკლესიო ქონება გაბატონებული კლასისა და თავისი ხაზინის ინტერესებისთვის გამოეყენებინა. 1534 წელს, როცა გამოქვეყნდა "აქტი სუპრემატიის" შესახებ დაიწყო სამონასტრო მიწების და ქონებათა ნაწილობრივი სეკულარიზაცია. 1535 წელს ჩატარდა ყველა მონასტრისა და ეკლესიის შეფასება და ამის შემდეგ დაიწყო მონასტრების დახურვა ჯერ წვრილი, ლატაკი, შემდეგ კი მსხვილი მონასტრების მიწების კონფისკაცია. მონას-

ტრებში გაიგზავნა მეფის ემისრები, რომლებიც ეპატრონებოდნენ სამონასტრო ქონებას, მიჰქონდათ ძვირფასეულობა, ტყვიისაგან გაკეთებულ სახურავებსაც კი ხსნიდნენ და ყველაფერს ამას მეფის ხაზინაში გზავნიდნენ. ჰენრი VIII-მ დაიწყო სამონასტრო მიწების მაღალ ფენებში გაყიდვა. მისი ყიდვა შეეძლო მხოლოდ ფინანსისტებს, მანუფაქტურისტებს, მაგრამ მიუხედავად ამისა მთავრობამ ვერ შეძლო საფინანსო სიძნელეებისაგან თავის დაღწევა.

სამონასტრო ქონებათა სეკულარიზაციამ გააღრმავა განხეთქილება ინგლისსა და რომს შორის და შეუძლებელი გახდა ძველ ურთიერთობათა აღდგენა.1549 წელს კრანმერმა დაამთავრა ანგლიკანური ეკლესიის ახალი ლიტურლიის შედგენა და საიდუმლოებათა შესრულების სახელმძღვანელო. ზიარება გამოცხადდა უბრალო მოგონებად. 1552 წელს პარლამენტმა მიიღო კრანმერის ახალი წირვა-ლოცვის წესი – მისი ლიტურლია და ახალი სჯულის 42 მუხლი.

ეკლესიების ძარცვა კვლავ გრძელდებოდა. ეკლესიებიდან გაჰქონდათ ხატები, საცეცხლურები, შანდლები, მდიდრული სამოსელი. ზოგიერთმა ეკლესიის ქონებით ძვირფასი სასახლე აიშენა.

ედუარდ VI მემკვიდრის მერი ტიუდორის მეფობის დროს (1553-1558 წწ) რელიგიური რეფორმაციის ადგილი კათოლოკურმა რეაქციამ დაიკავა, რამაც ხელი შეუწყო კათოლიკურ ესპანეთთან ინგლისის დაახლოებამ, მერის დაქორწინებამ ფილიპე II ესპანელთან.

უარყვეს კრანმერის ლიტურლია, კვლავ აღადგინეს კათოლიკური მესა ლათინურ ენაზე. კათოლიციზმის რესტავრაციას თან ახლდა მწვალებლობის და სექტანტების დევნა. მწვალებლებს კოცონზე წვავდნენ. კრანმერს ბრალად დასდეს ჰენრი VIII–ის განქორწინება ეკატერინე არგონელთან, მერის დედასთან. ეს განქორწინება უკანონოდ გამოაცხადეს და ამდენად უკანონოდ გამოცხადდა ჰენრი VIII და ანა ბო-

ლეინის ასული – ელისაბედი, რაც საპარლამენტო აქტით გამოაცხადეს. მერი ისტორიოგრაფიაში შევიდა "სისხლიანი"-ის ტიტულით.

1558 წელს გარდაიცვალა მარია და დედოფლად გამოაცხადეს ელისაბედი. გვირგვინის კურთხევის დროს ელისაბედმა კათოლიკური ეკლესიის ერთგულების საზეიმო ფიცი მისცა. მაგრამ პაპმა პავლე IV-მ არ მოისურვა ელისაბედის უფლებების აღიარება, როგორც უკანონოდ შობილისა და კანონიერ მემკვიდრედ ცნო მარიამ სტიუარტი. ელისაბედმა თავი პროტესტანტობის დამცველად გამოაცხადა. ის გერმანელ მთავრებს არწმუნებდა, რომ პროტესტანტული რელიგიის მიმდევარია. ელისაბედმა კავშირი გაწყვიტა რომთან და კათოლიკობის ბურჯთან – ესპანეთთან და აღადგინა რეფორმირებული, ანგლიკანური ეკლესია. კვლავ შემოიღეს წირვა-ლოცვა ინგლისურ ენაზე კრანმერის გასწორებული სალიტურღიო სახელმძღვანელოს მიხედვით. განაახლეს აქტი სუპრემატიის შესახებ და ჰენრი VIII-ისა და ედუარდ VI-ის სხვა სტატუტები. ელისაბედი გამოაცხადეს ეკლესიის "უმაღლეს მმართველად".

სახელმწიფოში ეწყობა კათოლიკების შეთქმულებები. ინგლისელი ემიგრანტები თავს აფარებენ ესპანეთს. რომში სპეციალური კოლეჯი დაარსდა მწვალებლურ ინგლისში მომავალი მღვდლების, მქადაგებლების და კათოლიციზმის მისიონერების მოსამზადებლად. მარია სტიუარტი მონაწილეობს კათოლიკთა შეთქმულებაში. ის შოტლანდიიდან განდევნეს პროტესტანტებმა, რომლებსაც ფულით ეხმარებოდა ელისაბედი. მარია იძულებული იყო ინგლისში გაქცეულიყო და ხელში ჩაუარდა ელისაბედს, რომელსაც მკაცრ პატიმრობაში ჰყავდა იგი.

ინგლისში გამოცხადდა ბრძოლა კათოლიკებთან. იეზუიტებსა და კათოლიკური კოლეჯის აღზრდილებს უნდა დაეტოვებინათ ინგლისი, წინააღმდეგ შემთხვევაში ელოდათ

სიკვდილი. კათოლიკე ინგლისელებს შეუზღუდეს სახელმწიფოში მიმოსვლის უფლება. საერთო მღელვარება ძლიერდება პროტესტანტების ბელადის ვილჰელმ ორანელის მოკვლასთან დაკავშირებით. იგი გახდა კათოლიკე შეთქმულის მსხვერპლი 1587 წელს. ინგლისში ელისაბედის ბრძანებით სიკვდილით სჯიან მარია სტიუარტს.

XVI ს-ს 60-იან წლებში ინგლისში გაძლიერდა **პურიტანიზმი** (ლათინური სიტყვიდან PurusP -სუფთა) მისთვის დამახასიათებელია ზიზღი კათოლიკური გარეგნულობისადმი, ამ მიმდინარეობის მომხრენი გამოდიოდნენ საეკლესიო სასამართლოების წინააღმდეგ, საეკლესიო საქმეებში დედოფლის უზენაესობის პრინციპის წინააღმდეგ. მოითხოვდნენ მღდვლების არჩევას თემის მიერ. კალვინიზმმა ინგლისში მიიღო პურიტანების სახელწოდება და გამოხატავდა ახალი თავადაზნაურობის და ბურჟუაზიის ინტერესებს იაფი ეკლესიის შექმნის, კულტის გამარტივებისა და განწმენდისადმი. ინგლისური პურიტანობა ეს არის ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის რელიგია.

პურიტანობის ორი მომდევრობა იყო:

1. ზომიერი – კალვინის მოძღვერებას იცავდნენ და მის საეკლესიო ორგანიზაციას. მათ სურდათ ინგლისში შემოეღოთ პრესვიტერიანული სახელმწიფო ეკლესია მსგავსად იმისა, რომელიც დამკვიდრდა შოტლანდიაში.

2. რადიკალური– უარყოფდა თვით სახელმწიფო ეკლესიის პრინციპს. ყოველი ადგილობრივი საეკლესიო თემი დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო, მათ ეწოდებოდათ ინდეპენდენტები.

თუ გერმანელი ანაბაბტისტები სამშობლოში რელიგიური დევნისაგან თავს აფარებდნენ აღმოსავლეთ ინგლისის სავაჭრო- სამრეწველო ქალაქებს. ახლა იწყება პურიტანების ემიგრაცია ინგლისიდან ნიდერლანდებში, სადაც დიდი რელიგიური თავისუფლება არსებობდა. შემდეგში XVII საუკუ-

ნიდან სტიუარტების დროს, პურიტანელები იწყებენ გადასახლებას ჩრ. ამერიკაში. ინგლისის რეფორმაციული მოძრაობის საკითხი შეისწავლა რუსულ ისტორიოგრაფიაში ა. ისაენკომ, ხოლო ლოლარდიზმის საკითხი ე. ვ. კუზნეცოვამ. ი. ე. ივონინმა შეისწავლა ჰენრი VIII-ის რეფორმაცია და ინგლისის საგარეო პოლიტიკა.

თანამედროვე ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში ინგლისის რეფორმაცია და მისი კლასობრივი ბუნება სათანადოდ არ იყო შესწავლილი. ნეოკონსერვატორული მიმართულების ისტორიოგრაფიის (ა. სიმპსონის, ჯ. ნიუს, ჩ, და კ. ჯორჯის და სხვების) კრიტიკა მოგვცა ა.ვ. ისაენკომ თავის ნაშრომში "ინლისური პურიტანიზმი XVI-XVII ის-ს დასაწყისში ინგლისურ-ამერიკულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში".

ნეოკონსერვატორებს რეფორმაცია მიაჩნდათ რელიგიურ მოვლენად, რომელსაც არ ჰქონდა კლასობრივი საფუძველი, ხოლო სხვები (მოდერნისტები) აიდიალებდნენ ნორმებს ეთიკისა, რომლის პროპაგანდას ახდენდნენ – ტომას კრანმერი, ჯონ უიტგიფტი, ედვინ სენდისი ასევე უფრო რადიკალი პროტესტანტები – პურიტანები ტომას კარტრაიტი, უოლტერ ტრავერსი და სხვები.

ინგლისელი მოდერნისტები: სმიტი, დევისი და ვუდვორტი, უილიამსონი (ამერიკელი) ამტკიცებენ, რომ ინგლისური პროტესტანტიზმი არის ორგანული შერწყმა სახალხო რეფორმაციის – ლოლარდიზმისა ლუთერის ინტელექტუალურ ერესთან და ჰუმანიზმთან.

რუსი მედიევისტი ი.ივონინის აზრით ჰენრი VIII, რომლის ფეოდალურ-აბსოლუტური ხელისუფლება ეყრდნობოდა ახალ თავადაზნაურობას და ბურჟუაზიას, იძულებული იყო თავის პოლიტიკაში გაეთვალისწინებინა ამ ფენის ინტერესები, რომლებიც მოითხოვდნენ საეკლესიო და სამონასტრო მიწების სეკულარიზაციას და იაფი ნაციონალური ეკლესიის შექმნას.

ხაზინას აცარიელებდა ასევე ომების ხარჯები საფრანგეთთან და შოტლანდიასთან. 1522 წელს ჰენრი VIII-ის პირველმა მინისტრმა კარდინალმა უოლსიმ დიდი სიძნელეებით აკრიფა იძულებითი გადასახადი 200 ათასი ფუნტი სტერლინგის ოდენობით. დაცარიელებული ხაზინის შევსება სურდა მეფე ჰენრი VIII-ეს მოეხდინა სამონასტრო და საეკლესიო მიწების სეკულარიზაციის ხარჯზე, რაზეც მეტყველებს მისი ბრძანება დაეხურათ ყველა ეკლესია, რომლის წლიური შემოსავალი აღწევდა 200 ფუნტს.

1536 წლის პარლამენტის სტატუტით დაიხურა 376 მონასტერი. იმავე წელს დაიხურა წვრილი საეკლესიო მონასტრები, რომლის შემოსავალი აღწევდა 200 ფუნტს წელიწადში.

XVI საუკუნის 40-იან წლებში სეკულარიზაციის განხორციელების შედეგად მიიღო დიდი მამულები გრაფებმა, ჰერცოგებმა სეფოლკში, ნორფოლკში, გერტფორდში, სომერსეტში, რასელში, რეტლენდში და სხვა.

ინგლისური რეფორმაციის განხორციელებით ირლანდიაში ინგლისელი კოლონიზატორები ვარაუდობდნენ, რომ ჰენრი VIII, რომელიც სათავეში ჩაუდგა ირლანდიის ეკლესიას, მალე მიაღწევდა პოლიტიკურ გაბატონებას ირლანდიაზე. არანაკლები იყო ფისკალური ანგარიში. საეკლესიო ქონების სეკულარიზაციას უნდა გაემდიდრებინა ინგლისის მეფის შემოსავალი ირლანდიაში. წლიური შემოსავალი კათოლიკური ეკლესიისა აღწევდა ირლანდიაში 110 ათას ფ. სტერლინგს. რეფორმაციის დასაწყისში ირლანდიაში იყო 563 მონასტერი და პრიორატი. გარდა ამისა მთელს ირლანდიაში გაფანტული იყო 2 ათასი სამონასტრო სახლი. ირლანდიის საეკლესიო მიწების სეკულარიზაცია განხორციელდა 1536-1538, 1541 წლების პარლამენტის გადაწყვეტილებით.

ჰენრი VIII-მ ნაწილი ჩამორთმეული მიწებისა მიჰყიდა მსხვილ ინგლისელ მოხელეებს, ხოლო დანარჩენი დაურიგა

როგორც წყალობა (სიგელი) საერო ხელისუფალთ, მათ შორის ირლანდიის მსხვილ ფენას.

1560 წელს ირლანდიის პარლამენტმა ისევ დაამტკიცა აქტი ინგლისის მეფის საეკლესიო სუპრემატიის შესახებ.

ჰენრი VIII-მ 1532 წელს მიიღო აქტი ანატების შეზღუდვის შესახებ. საეკლესიო ხელისუფლების დამორჩილების შესახებ. 1536 წელს მიიღეს ახალი ლიტურღია ინგლისის სარწმუნოებისა.

1536 წელს გაიხსნა სხდომა უმაღლესი საეკლესიო საკანონმდებლო ორგანოს – კონვოკაციის. მეფის უშუალო ხელისუფლებით მიიღო ე.წ. "რწმენის სიმბოლო". მის შედგენაში მონაწილეობა მიიღო კენტერბერის არქიეპისკოპოსმა კრანმერმა, 17 ეპისკოპოსმა, 40 აბატმა და 50 არქიდიაკონმა.

მასში მოწონებულია პროტესტანტული დოგმები "რწმენის გამართლების შესახებ", "საღვთო სჯულის" შესახებ (ბიბლიის) როგორც ერთადერთი წყარო რწმენისა."რწმენის სიმბოლოს" მიხედვით ინგლისურ ეკლესიაში დარჩა იერარქია და ადმინისტრაციული დაყოფა დიოცეზებად (ეპარქიად), რომელსაც სათავეში ედგა ეპოსკოპოსი და არქიდიაკონი. ნათლობა და ზიარება დარჩა. მრავალრიცხოვანი ლოცვების კითხვა. ცნობდა წმინდანთა დღესასწაულებს და ხატებს.

გარდა ამისა, შეინარჩუნეს "ნონრეზიდენტობა", რომელიც დამახასიათებელი იყო კათოლიკური ეკლესიისათვის, როცა ერთი სასულიერი პირი ემსახურებოდა ერთდროულად რამოდენიმე (ზოგჯერ 10) სამრევლოს. ზოგიერთ საგრაფოში 20 კმ-ის მანძილზე არ ისმოდა ქადაგება. უმრავლესობა კათოლიკური მსახურებისა იყვნენ უწიგნურნი, უმოქმედო ბრბო, ევანგელიის უცოდინარი, ღორმუცელები და ლოთები, ატარებდნენ ტატუირებულ (სვირინგიან) ჯვრებს,აღიარებენ თავიანთ ერთგულებას "სამეფო სუმპრემატიისა" – ასე აკრი-

ტიკებდა ჯონ ბრედფორდი – ლანკაშირის რადიკალური მოძღვარი სულიერ მამებს.

სამეფო რეფორმაციის შედეგად შექმნილმა ეკლესიამ დაიკავა საშუალო მდგომარეობა კათოლიკურსა და პროტესტანტობას შორის. ამან განაპირობა სასულიერო პირთა შორის რადიკალური მიმართულების წარმოქმნა, რომლის მიმდევარნი მოითხოვდნენ კათოლიკური ეკლესიის შეცვლას. ეს გამოიხატა ე. წ. "პროტესტში", რომელიც მიიღეს 1536 წელს. "ყველა ცერემონია, რომელიც ჩანერილი არ არის საღვთო წერილში – არ უნდა შესრულდეს. ისინი უარყოფდნენ საკურთხეველს, ლოცვებს, წმინდანთა ხატებს, ჯვრებს. მე-5 სტატიაში "1536 წლის პროტესტისა " ეწერა, რომ ეკლესია უნდა ყოფილიყო კონგრეგაცია მხოლოდ კეთილშობილი და წესიერი მსახურებისა. "პროტესტის" ავტორები მოითხოვდნენ, რომ მოენათლათ მოზრდილი ბავშვები, როცა პასუხს აგებდნენ თავიანთ საქციელზე. მე-12 სტატიაში ეწერა, იმისათვის, რომ მოეწესრიგებინათ სასულიერო პირთა ცხოვრება ნება დართეს ქორწინებისა. კატეგორიულად უარყოფდნენ ნონრეზიდენტობას და მოითხოვდნენ უზრუნველეყოთ ყოველი სამრევლო განათლებული მღვდელით, რომელსაც ექნებოდა აბსოლუტური ნდობა ყველა მორწმუნისა.

ამრიგად, 1536 წლის პროტესტი არის პირველი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა ინგლისის სასულიერო პირთა შორის უკმაყოფილებას ეკლესიის რეფორმაციის დაუსრულებლობის შესახებ.

მთავარი მოვლენა, როგორც აღვნიშნეთ, ინგლისის რეფორმაციისა იყო 1534 წლის "სამეფო სუპრემატიის აქტი". მასში ხასგასმული იყო, რომ მეფე უმაღლესი ხელისუფალი ქვეყნის შიგნით არის ღმერთის მიერ დაკანონებული. სამეფო ხელისუფლება ღმერთის მიერაა დაწესებული.

ვინჩესტერის ეპისკოპოსი გარდინერი, წერდა არქიეპისკოპოს კრანმერს, რომ მთავარი და აუცილებელი მოვალეო-

ბაა მეფისა ეკლესიის მიმართ, მდგომარეობს იმაში, რომ შეინარჩუნოს მასში წესრიგი, სახელმწიფოსთვის გამოსადეგი. მეფეს შეუძლია უზრუნველყოს უშიშროება ქვეყანაში, ხოლო სასულიერო პირებს შეუძლია იცხოვროს მშვიდად და შეასრულოს თავისი მოვალეობა. ბუცერი სამართლიანად შენიშნავდა, რომ გარდინერი იმეორებდა ჰენრი VIII-ის არგუმენტებს, რომელიც 1525-28 წლებში ლუთერს ადანაშაულებდა გლეხთა ომის დაწყებაში. მისმა ქადაგებამ "რწმენის თავისუფლებამ" გაუღვიძა გლეხებს აჯანყების სურვილი.

რელიგიურ-პოლიტიკური კავშირი ინგლისსა გერმანიის პროტესტანტულ თავადაზნაურობასთან არ დამყარდა, ვინაიდან დიდი იყო ინგლისის ფეოდალთა შიში სახალხო რეფორმაციის მიმართ.

ჰენრი VIII-ის სიკვდილის შემდეგ ვითარება ქვეყანაში გართულდა. ბევრ საგრაფოში დაიწყო გლეხთა მღელვარებანი. კათოლიკურმა სამღვდელოებამ, რომელმაც მიიღო ფორმალურად მეორე ინგლისური "რწმენის სიმბოლო"– ლიტურღია შეძლო ეს გამოსვლები წარემართა კათოლიკური რეფორმაციის წინააღმდეგ. ისინი აშინებდნენ გლეხებს, რომ "მეფე წაართმევდა მათ მიწებს". სამეფო კარზე შეიქმნა კათოლიციზმის მომხრენი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მერი (ტიუდორი) ფანატიკოსი კათოლიკე და ლორდ-კანცლერი გრაფი საუტგემტონი. ისინი არ მალავდნენ კათოლიკური წესების აღდგენას ინგლისში.

კრანმერმა მოიწვია ინგლისში ბუცერი, მარტირი და მელანხტონი, რომელთაც ჰქონდათ დიდი გამოცდილება სახალხო რეფორმაციასთან ბრძოლისა და მიუნსტერის ანაბაბტისტებთან, რომელთაც ლუთერანი ლიდერები უწოდებდნენ ცრუ ერეტიკოსებს. 1533 წელს სტრასბურგში ბუცერის მეთაურობით ჩატარდა საერთო ევროპული ლუთერანული სინოდი, რომელზეც განიხილეს და უარყვეს გერმანელი ანაბაბტისტები, როგორც ცოცხლები, ისე მკვდრები: ბალთაზარ ჰუმბაიერი,

ჰანს დენკი, მელხიორ ჰოფმანი, სებასტიან ფრანკი, შვენკფელდი. მათ რიცხვში შეიყვანეს ასევე ტომას მიუნცერი.

სამეფო რეფორმაციის იდეალი კარგად გამოხატა ლონდონის ეპისკოპოსმა ე. სენდისმა: "ერთი ღმერთი, ერთი მეფე, ერთი რწმენა, ერთი ღვთისმსახურება – აი, ის რაც მიესადაგება ჩვენს მონარქიულ სახელმწიფოს."

XVI ს-ის 80-იან წლებამდე ინგლისური პურიტანიზმი ფორმალურად ისევ რჩებოდა შიდა საეკლესიო მოძრაობად, რომელიც გამოხატავდა კალვინისტების ინტერესებს ჯენტრისა და ბურჟუაზიის. ისინი მიისწრაფოდნენ შეექმნათ ისეთი ეკლესია, რომელიც შეესატყვისებოდა ბურჟუაზიის ინტერესებს, რომელიც უფრო იაფი და ხელსაყრელი იყო, ვიდრე ინგლისური კათოლიკური. პურიტანულ მოძრაობაში გარდატეხა მოხდა XVI ს-ის 80-იან წლებში, როცა მან შეიცვალა თავისი ხასიათი. ინგლისური ეკლესიის მიმართ გაუბედავი პროტესტის ნაცვლად გადაიქცა ნამდვილ ოპოზიციად ხელისუფლების მიმართ საეკლესიო პოლიტიკის საკითხში. ფორმალურად რელიგიური პურიტანიზმი გადაიქცა ჯენტრისა და ბურჟუაზიის ფართო საზოგადოებრივ მოძრაობად ეს პროცესი განუხრელად დაკავშირებულია საპარლამენტო ოპოზიციის წარმოშობასთან და დაპირისპირებასთან ხელისულებასა და პურიტანიზმს შორის.

რეფორმაცია ფართო მასების თვალსაზრისით ინგლისში გარკვეულ მომენტამდე იყო არა სახალხო საქმედ მიჩნეული, ხოლო პროტესტი არსებული რეჟიმის წინააღმდეგ არაერთხელ იღებდა კათოლიციზმის მიმართ სიმპათიის ფორმას. ასე იყო 1588 წლამდე, ესპანეთთან ომამდე. ამის შემდეგ ვითარება შეიცვალა, პურიტანული მოძრაობა გამოხატავდა კლასობრივ წინააღმდეგობას. ისინი პირდაპირ ეწეოდნენ სოციალურ პროპაგანდას და მოითხოვდნენ თანასწორუფლებიანობას, სიმართლეს, სიმშვიდეს საეკლესიო საქმეების და დამოუკიდებელი თემების.

XVI ს-ის 80-იანი წლების კალვინისტები არ იყვნენ მზად დაერაზმათ ხალხო ფეოდალების წინააღმდეგ. მხოლოდ დიდი ხნის დევნისა და იატაქქვეშა მოღვაწეობის შემდეგ ინდეპენდენტები გადაიქცა პარტიად, რომელმაც მოამზადა აჯანყება, ხოლო კალვინიტურმა რწმენამ მოამზადა იდეოლოგიური ნიადაგი რევოლუციისათვის.

ინგლისის თავადაზნაურობის და სამეფო ხელისუფლების მისწრაფება ეკლესიის გადაქცევისა აბსოლუტიზმის იარაღად და ამავე დროს მისი მიწების და ქონების ხელში ჩაგდება. აი, რა იყო მთავარი მიზეზი ჰენრი VIII-ის "რელიგიური რეფორმისა". მწვავე პოლიტიკური და ფინანსური კრიზისი, რომელშიც აღმოჩნდა ჰენრი VIII-ის მთავრობა XVI ს-ის 20-იან წლებში მოითხოვდა კავშირის დამყარებას მეფის ბურჟუაზიასა და ჯენტრის ნაწილთან, რომელნიც დაინტერესებულნი იყვნენ რეფორმის გატარებით. XVI ს-ის 30-იან წლებში გაჩნდა უფრო რადიკალური ანგლიკანები – კათოლიკური ეკლესიის "განწმენდის" მომხრენი, ანგლიკანური ეკლესიის შემოღებით, რომელმაც კორუფციის ძალით (სამღვდელოებისა) ვერ მოახდინა მორალურ-რელიგიური ზეგავლენა ხალხზე. მაგრამ თანდათან პოპულარული ხდება რადიკალური ანგლიკანური, კალვინისტური მიმართულება, რომელმაც XVI-ის 50-იან წლებში შეიმუშავა კათოლიკური ეკლესიის რეფორმის ბურჟუაზიული მოდელი.

საერო ხელისუფლების ღვთიური წარმოშობა ნასესხები იყო ანგლიკანების იდეოლოგთა მიერ მარტინ ლუთერის "ბიურგერული ერესიდან", რაც ტიუდორთა აბსოლუტიზმის ინტერესებს შეესაბამებოდა.

ანგლიკანური ეკლესიის მთავარი პრინციპი – სამეფო სუპრემატია ადასტურებს ინგლისის აბსოლუტიზმის ფეოდალურ ბუნებას XVI ს-ში.

თემა მეთორმეტე

გერმანია აუგსბურგის ზავიდან 30-წლიანი ომის ბოლომდე

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ დაიწყო გერმანიის ეკონომიკური დაქვეითება, რაც გაგრძელდა XVIII საუკუნემდე, მაგრამ ეკონომიკური დაქვეითება ყველა რაიონს როდი შეეხო. სამხრეთ გერმანიის ქალაქები აუგსბურგი, ნიურნბერგი, ზოგიერთი რაინისპირა ქალაქი წარმატებით ეგუებოდა ახალ სავაჭრო გზებს. სამხრეთ და დასავლეთ გერმანიიდან ვაჭრები მიემგზავრებოდნენ გენუაში ან მარსელში, იქედან კი ესპანეთში, და პორტუგალიაში. სამხრეთ გერმანიის ქალაქების ეკონომიკურ დაახლოებას ესპანეთთან ხელს უწყობდა პოლიტიკური ურთიერთობანი XVI საუკუნის I ნახევარში, როცა ორივე ქვეყანა კარლ V-ის ვრცელი იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. მდგომარეობა შეიცვალა XVI საუკუნის ბოლოს, როდესაც ფილიპე II-ის დროს დაიწყო ესპანეთის დაქვეითება, რაც ძირს უთხრიდა გერმანელ ბანკირებს, მევახშეებს, ვაჭრებს.

ნიდერლანდების ბურჟუაზიამ გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა მსოფლიო ვაჭრობაში. მისი კონკურენციით იღუპებოდა არა მარტო ესპანეთი და პორტუგალია, არამედ ქალაქები რაინზე და ჩრდ. გერმანიაში. გლეხთა ომის შემდეგ გაძლიერდა ფეოდალური რეაქცია. ასევე რელიგიურმა ბრძოლამ გამოიწვია ხელოსნების მასობრივი ემიგრაცია და ამით დააჩქარა ქალაქების ეკონომიკური დაქვეითება.

გერმანიის შინა ისტორია ამ პერიოდში სავსეა მთავრებისა და სხვა გერმანელი ფეოდალების ურთიერთ ბრძოლით. კათოლიკე მთავრები პროტესტანტ მთავრებს ებრძოდნენ იმპერიაში პოლიტიკური გავლენის განაწილებისათვის. ტერიტორიულად მათი ძალები შემდეგნაირად განაწილდა: სამ-

ხრეთი, სამხრეთ–აღმოსავლეთ გერმანია კათოლიკების ხელში იყო. ისინი ბატონობდნენ რაინის ქვედა და შუა წელზე. მათ ბანაკში ხელმძღვანელი როლი ბავარიის ჰერცოგებს ეკუთვნოდათ. ხოლო ლუთერანული რეფორმაციის ცენტრად რჩებოდა საქსონია, მას ემხრობოდა ჩრდ. და ჩრდ. აღ. სამთავროები. ზემო რაინზე ანტიკათოლიკურ ძალებს სათავეში ედგა ჰფალცი, რომელიც XVI საუკუნის II ნახევარში ზომიერი კალვინიზმის დასაყრდენი გახდა. ლუთერანები მხარს უჭერდნენ იმპერატორის პოლიტიკურ ღონისძიებებს, ხოლო პროტესტანტები (ზომიერი კალვინისტები) მხარს უჭერდნენ გადამწყვეტ ბრძოლას კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ.

მეტოქეობა საქსონიასა და ჰფალცს შორის ასუსტებდა ანტიკათოლიკურ ბანაკს, ამიტომაც კათოლიკებმა შეძლეს გამარჯვების მოპოვება საიმპერიო მასშტაბით. იმპერატორის არჩევნების დროს გაიყვანეს თავიანთი კანდიდატი რუდოლფ II (1576–1612 წწ). რუდოლფ II იეზუიტებმა აღზარდეს ესპანეთის მეფის ფილიპე II კარზე. მან სრული თავისუფლება მიანიჭა კათოლიკური რეაქციის მოღვაწეებს. კათოლიკური რეაქციისათვის გერმანიაში რომის კურიამ დაარსა განსაკუთრებული იეზუიტთა სკოლა, რომელიც მომავალ მქადაგებლებს, ეპისკოპოსებსა და პროფესორებს ამზადებდა.

პროტესტანტების პირველი შეტაკება კათოლიკებთან მოხდა რაინზე. კიოლნის არქიეპისკოპოსი ტრუხზესი 1582 წელს გადავიდა პროტესტანტობაში. კიოლნის არქიეპისკოპოსის თანამდებობა კათოლიკების აზრით ვაკანტური დარჩა და ამ თანამდებობაზე წამოაყენეს თავიანთი კანდიდატი. პაპმა, ესპანეთმა და ბავარიამ თავიანთი ძალები დარაზმეს, რათა კიოლნი კათოლიკებისათვის შეენარჩუნებინათ. ესპანეთის ჯარებმა ქვეყნის ნაწილი დაიკავეს. პროტესტანტებს მხარი არ დაუჭირეს საქსონიამ და სხვა ლუთერანულმა სამთავროებმა. პროტესტანტები იძულებული გახდა დაეთმო,

კიოლნის გამარჯვების შემდეგ კათოლიკური რეაქცია მთელ ჩრდილო–აღმოსავლეთ გერმანიაზე გავრცელდა. აქ ძალაუფლება კათოლიკების ხელში გადავიდა. კათოლიკების შემდეგ წარმატებებს აფერხებდა ანრი IV–ის ასვლა საფრანგეთის ტახტზე 1589 წელს, იგი გერმანელი პროტესტანტების მოკავშირედ გამოვიდა. სამხრეთ და დასავლეთ გერმანიის პროტესტანტმა მთავრებმა ჯერ კიდევ 1608 წელს დაარსეს უნია სამხედრო–პოლიტიკური კავშირი, რომელსაც ჰფალცის კურფიურისტი ფრიდრიხ V ჰფალცი ხელმძღვანელობდა. ამის საპირისპიროდ 1609 წელს ჩამოყალიბდა კათოლიკური ლიგა. მას დიდი სახსრები გააჩნდა და 1610 წელს შეუდგა საკუთარი არმიის შექმნას ტილლის სარდლობით. პროტესტანტებს მხარს უჭერდა საფრანგეთი, ხოლო კათოლიკურ ლიგას – ესპანეთი. ორივე მხარე 1609 წელს გაძლიერებით ემზადებოდა ომისთვის ამის საბაბიც გამოჩნდა.

შუა საუკუნეების გერმანიის სამხრეთ და აღმოსავლეთ საზღვრები დაცული იყო სლავური სახელმწიფოებითა და უნგრეთით, რომელსაც დააწვა თათართა შემოსევის მთელი სიმძიმე. ბულგარეთი და სერბია XIV ს-ის დამლევს თურქებმა მიიტაცეს, ხოლო XVI საუკუნეში თურქეთთან ხანგრძლივი ომებით დაუძლურებული უნგრეთი და ჩეხეთი იძულებული გახდნენ ჰაბსბურგების მფარველობა ეთხოვათ 1526 წელს.

ჩეხეთ-უნგრეთის არმიაზე მოგაჩთან თურქეთის ჯარების გამარჯვების შემდეგ 152 წელს ერცჰერცოგ ფერდინანდს (1521–1564 წწ) წილად ხვდა ჩეხეთის და უნგრეთის ის ნაწილი, რომელიც თურქეთს არ დაუპყრია. ავსტრიის მსგავსად უნგრეთში, ჩეხეთში შემოიღეს: სამეფისკარო საბჭო, როგორც სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანო, საგარეო საიდუმლო საბჭო საფინანსო საბჭო, სამხედრო საბჭო.

ჩეხეთის თავადაზნაურობის ოპოზიციური ჯგუფი მხარდაჭერას პოულობდა ქალაქის მაცხოვრებლებში, გლეხებში, რომლებიც ჰუსიტური ომების დროიდან მტრულად იყვნენ განწყობილები კათოლიზმის და გერმანელი ფეოდალების წინააღმდეგ. 1546–1547 წწ ჩეხეთში პროტესტანტები მხარს უჭერენ შმალკადენის (გერმანიის პროტესტანტთა) კავშირს, რის გამოც დაიწყო ჩეხეთის მცხოვრებთა სასტიკი რეპრესიები.

ფერდინანდ პირველის შემდეგ ჰაბსბურგთა სამფლობელოები გაიყო მისმა ვაჟებმა. მაქსიმილიანეს და შემდეგ მის ვაჟს რედოლფ II–ს ხვდა წილად ავსტრია, ჩეხეთი, უნგრეთი. 1611 წელს მათე ჩეხეთის მეფედ ეკურთხა, ხოლო რედოლფ II–ის სიკვდილის შემდეგ გერმანიის იმპერატორი გახდა. (1612–1619 წწ). ვენის არქიეპისკოპოსი – მელქიორ კლეზერი იყო, მათეს თანამოღვაწე ავსტრიაში პროტესტანტების მოსპობაში. იგი სათავეში ჩაუდგა საიდუმლო საბჭოს და თავისი შეხედულებების მიხედვით წარმართავდა საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

ჩეხეთში გამოიცა „უდიდებულესობის სიგელი" რომელიც კათოლიკური სჯულის თავისუფლებას ცნობდა და კრძალავდა პროტესტანტული ეკლესიების აგებას თავის მიწებზე. ჩეხეთში დაიწყო აჯანყება თავადაზნაურული ოპოზიციის გამოსვლით. მას გრაფი ტურნი ხელმძღვანელობდა, 1618 წელს თავადაზნაურთა დელეგაციამ პრაღის ციხე–დარბაზის ფანჯრიდან გადმოჰყარა მთავრობის წევრები, რომლებიც იქ არ მყოფ მეფეს ცვლიდნენ. ეს იყო შეიარაღებული აჯანყების სიგნალი. ძალაუფლება გადავიდა 30 დირექტორის-კაცის ხელში. შეიკრიბა სეიმი ერთი თვის შემდეგ, რომელმაც დააწესა სამხედრო გადასახადი, არმიის შესაქმნელად. იეზუიტები და კათოლიკები ეკლესიის საძულველი ბელადები განდევნილი იქნენ ვენის მთავრობის მიერ, რომლის პოლიტიკას კლეზელის გადაყენების შემდეგ ფერდინანდ II

შტირიელი (1619–1637) წარმართავდა, რომელმაც 14-ათასიანი არმია შეკრიბა. თავის მხრივ პროტესტანტულმა უნიამ ჩეხეთში გადაისროლა თავისი ჯარები. იმპერატორის გენერლებმა 1618 წელს მთელი რიგი დამარცხებები განიცადეს. ჩეხეთის არმიამ ვენის გარეუბანიც კი დაიკავა 1619, მაგრამ უკან დაიხია, რადგან ავსტრიელი პროტესტანტებისგან დაპირებული დახმარება ვერ მიიღეს.

საერთაშორისო მდგომარეობა იმპერატორისთვის ხელსაყრელი აღმოჩნდა. რომის პაპი პავლე V, ესპანეთის მეფე ფილიპე III და მათი მოკავშირე ტოსკანის ჰერცოგი იმპერატორს ფულად და ნაწილობრივ სამხედრო დახმარებას უწევდნენ. მოსკოვში პოლონელი ინტერვენტების დამარცხების შემდეგ, მეფე სიგიზმუნდი დასავლეთში ეძებდა კომპენსაციას და ჩეხების და ავსტრიელი პროტესტანტების წინააღმდეგ 4 ათასიანი რაზმი გაგზავნა. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა თეთრ მთასთან პრაღის მახლობლად. 1620 წელს, ჩეხეთის არმია სასტიკად დამარცხდა. მეფემ არ დაუცადა ბეტლენ გაბორს, რომელიც მის დასახმარებლად მოდიოდა. გაიქცა და ქვეყანა გამარჯვებულთა ანაბარა მიატოვა. დაიწყო კათოლიკური რეაქციის სისხლიანი ხანა. განსაკუთრებით ცუდი ბედი ეწია გლეხობას. ჩეხეთის თავადაზნაურობა ან მოსპეს ან იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა. თავადაზნაურთა მამულების კონფისკაციის შემდეგ დაურიგეს გერმანელებს, იტალიელებს და იმპერატორის არმიის ოფიცრებს, ჩეხეთმა დაკარგა თავისი დამოუკიდებლობა და გადაიქცა ავსტრიის პროვინცია ბოჰემიად. ამრიგად ომის პირველი პერიოდი, რომელიც 1618 წლის აჯანყებით დაიწყო, კათოლიკური ლიგის გამარჯვებით დამთავრდა. ომის პირველი პერიოდის შემდეგ კათოლიკების გამარჯვებამ დაარღვია პროტესტანტ და კათოლიკე მთვრებს შორის 1555 წლის შემდეგ დამყარებული ძალთა თანასწორობა. ლუთერანი მთავ-

რები შიშობდნენ, რომ მათ შეიძლება მოსთხოვონ კათოლიკური ეკლესიისათვის წართმეული მიწები.

დანიური პერიოდი

ესპანეთის მეფის ფილიპე IV–ის მინისტრი ოლივარესი შეუდგა საფრანგეთის გარემოცვისა და ჰოლანდიის სავაჭრო ძლევამოსილების მოსპობის გეგმის განხორციელებას, როდესაც 1624 წელს გამწვავდა ესპანეთ საფრანგეთის ურთიერთობა. რიშელიე დაუბრუნდა ჰენრი IV–ის ტრადიციებს და გერმანელი (პროტესტანტი და კათოლიკე) მთავრების დახმარებით ბრძოლა დაიწყო ესპანელი და ავსტრიელი ჰაბსბურგების წინააღმდეგ. მისი ხელშეწყობით 1625 წელს ინგლისს, ჰოლანდიასა და დანიას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც ავსტრიელი და ესპანელი ჰაბსბურგების წინააღმდეგ იყო მიმართული. ჰოლანდიისა და დანიის სუბსიდიებმა გადააწყვეტინა დანიის მეფეს ხრისტიან IV–ს სათავეში ჩადგომოდა ჩრდილოეთ გერმანიის პროტესტანტ მთავრებს. მისი მიზანი იყო არა მარტო თავისი ტერიტორიის დაცვა კათოლიკური რეაქციისაგან, არამედ დანიის ტერიტორიული გაფართოება. მისი ძალები რიცხობრივად სჭარბობდა კათოლიკური ლიგის სამხედრო ძალებს.

1625 წელს ფერდინანდ II შტირიელმა ჩეხ თავად ვალენშტეინს დაავალა საკუთარი ხარჯით დაექირავებინა ლიგისგან დამოუკიდებელი არმია. ვალენშტეინს ჩეხეთში დიდი მამულები ჰქონდა. განსაკუთრებით ის გამდიდრდა თეთრ მთასთან ბრძოლის შემდეგ, ჩეხ თავადაზნაურთა სიკვდილით დასჯისა და მათ ქონებათა კონფისკაციის დროს. მან მოკლე ხანში შეაგროვა დიდი არმია. მთელი ჩრდ. გერმანია ვალენშტეინის ხელში აღმოჩნდა. ჯილდოდ მან მიიღო მეკლენბურგის საჰერცოგო და ბალტიისა და გერმანიის ზღვების ადმირალის წოდება. გაიმარჯვეს მეფის ჯარებმა 1629

წელს დაიდო ზავი ლიუბეკში. დანიამ შეინარჩუნა თავისი სამფლობელო, მაგრამ, ვალდებულება იკისრა გერმანიის პოლიტიკურ საქმეებში არ ჩარეულიყო. იმპერატორმა ვალენშტენის გამარჯვებები კათოლიკური რეაქციის ინტერესებისათვის გამოიყენა. 1629 წლის ედიქტით უბრძანა პროტესტანტებს დაებრუნებინათ ყველა საეკლესიო მიწა, რაც ხელთ იგდეს.

ამრიგად, ომის მეორე პერიოდი იმპერატორის არმიის გამარჯვებით დამთავრდა. მაგრამ **შვეციის** ჩაბმამ ომში შეცვალა ძალთა თანფარდობა. შვეციის მეფემ გუსტავ–ადოლფმა 1611–1632 წწ თავისი წინამორბედებისგან მემკვიდრეობით მიიღო ომები დანიასთან, პოლონეთთან და რუსეთთან. ეს ომები მან მნიშვნელოვანი ტერიტორიების შეძენით დაამთავრა. XVII ს-ში შვეციის არმიას, თავისი საბრძოლო თვისებებით პირველი ადგილი ეკავა ევროპაში. მის ძირითად ბირთვს შეადგენდა პირადად თავისუფალი გლეხები, რომლებსაც სამხედრო ბეგარის წესით იწვევდნენ. მოქირავნეებს შვეციაში მცირედი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროს, როცა ევროპის ყველა დანარჩენი არმია მხოლოდ და მხოლოდ მოქირავნეებისაგან შედგებოდა. მისი არმია მოწინავე ტექნიკით განირჩეოდა.

ვალენშტეინის გადაყენება რიშელიეს პოლიტიკის დიდ წარმატებას წარმოადგენდა. 1631 წელს კი ხელი მოაწერეს საფრანგეთ–შვეციის ხელშეკრულებას. იმპერიის წინააღმდეგ ომში შვეციის მეფე გუსტავ–ადოლფი კისრულობდა ჰყოლოდა გერმანიაში 36 ათასიანი არმია, რისთვისაც საფრანგეთი მას ყოველწლიურად გადაუხდიდა 400 ათას ტალერს.

კათოლიკური ლიგის მხედარმთავარმა ტალლიმ დაიკავა ქალაქი მაგდენბურგი, რომელიც გუსტავ–ადოლფის მხარეზე იყო. ხანგძლივი ალყის შემდეგ ქალაქი აიღეს. 1631 წელს ლაიპციგის მახლობლად მოხდა შეტაკება ტალლის არმიასა

და გუსტავ–ადოლფს შორის. შვედებმა გაიმარჯვეს. კათოლიკური ლიგის ჯარების მეთაური ფერდინანდ II შეუთანხმდა ვალენშტეინს ახალი საიმპერიო არმიის შექმნაზე. მან მიიღო უდიდესი უფლებები როგორც არმიის მთავარსარდალმა. მას შეეძლო თავისი სურვილისამებრ მოეხმარა სამხედრო დავლა. 1632 წელს მოხდა ბრძოლა შვედებსა და ვალენშტეინს შორის ლიუცენთან. გაიმარჯვა კიდევ შვედებმა, მაგრამ გუსტავ–ადოლფი ბრძოლაში დაეცა. 1633 წელს შვედი გენერლები წარმატებით მოქმედებდნენ. ვალენშტეინი კი კმაყოფილდებოდა უმნიშვნელო გამარჯვებებით. ის აწარმოებდა მოლაპარაკებას საქსონიასთან, ლუთერანულ სამთავროებთან, რათა შვეციისათვის ჩამოეშორებინა მოკავშირეები. აგრეთვე აწარმოებს მოლაპარაკებას შვეციასთან და საფრანგეთთან. ამ მოლაპარაკების შინაარსს ის ყოველთვის როდი ატყობინებდა მთავრობას. ამიტომ მასზე როგორც სახელმწიფო დამნაშავეზე მიიტანეს ეჭვი, მთავრობის მიერ მოსყიდულმა ოფიცრებმა შეთქმულება მოაწყეს ვალენშტეინის წინააღმდეგ და 1634 წელს მოკლეს ის. ახალ მთავარსარდლად დაინიშნა იმპერატორის ვაჟი ფერდინანდი. საიმპერიო არმიამ დამარცხება აგემა შვედებს 1634 წელს, რის შემდეგაც შვეციამ დაკარგა მთელი სამხრეთი გერმანია.

1635 წელს განახლებული იქნა საფრანგეთ- შვეციის კავშირი. საფრანგეთმა დაიწყო მოქმედება გერმანიაში, ნიდერლანდებში, ესპანეთში. ჰაბსბურგების წინააღმდეგ ომში ჩაება ჰოლანდია, სავოია, ვენეცია. პოლონეთმა ნეიტრალიტეტის დაცვის პირობა მისცა შვედებს. ჩრდ. გერმანიაში და რაინზე შვედი გენერლები ამარცხებენ საიმპერიო არმიას და ლუთერანი მთავრების სამხედრო ძალებს, რომლებიც საიმპერიო არმიასთან იყვნენ გაერთიანებული.

1640–1641 წლებში რაიხსტაგი მოითხოვდა ზავის დადებას, მაგრამ იმპერატორი თავს არიდებს მოლაპარაკებას. მას იმედი ჰქონდა რომ დანია შვეციის წინააღმდეგ გამოვიდოდა.

მაგრამ დანია–შვეციის ომმა ვერ შეაჩერა საომარი მოქმედება გერმანიაში. 1643–1645 წლებში დანია ახდევინებდა ბაჟს შვეციას. შვეციამ აიღო რიგი ტერიტორიები ზუნდის სრუტეში. 1645–1648 წლებში საფრანგეთ–შვეციის გაერთიანებულმა არმიამ ვენას ორივე მხრიდან შეუქმნა საშიშროება, რამაც ფერდინანდ III აიძულა მიეღო იმპერიისათვის მეტად მძიმე ვესტფალიის ზავის პირობები.

1618–1648 წლების 30 წლიანი ომი დამთავრდა. ეს ომი მოიცავდა შემდეგ პერიოდებს:

პირველი – 1618–1620 წლები. ჩეხური პერიოდი, როდესაც კათოლიკურმა ლიგამ გაიმარჯვა.

მეორე – 1625–1629 წლები, რომელიც დასრულდა ლუბეკის ზავით. ეს იყო დანიური პერიოდი, კათოლიკებმა გაიმარჯვეს.

მესამე – 1631–1634 წლები შვედური პერიოდი, სადაც საიმპერიო არმიამ გაიმარჯვა. მეოთხე – 1645–1648 წლები, როცა შეიქმნა საფრანგეთ – შვეციის კავშირი.

საფრანგეთმა მიიღო: ვერდენი, მეცი, ელზასი, ტული.**შვეციამ** მიიღო: გერმანიის მდინარეთა ყველა შესართავი, ბრემენი, ვერდენი, საარქიეპისკოპოსო და საეპისკოპოსო. კონტრიბუცია 5 მლნ ტალერი. ომის შედეგები მძიმე იყო გერმანიისათვის ვესტფალიის ხელშეკრულებამ აღიარა, რომ გერმანიის მთავრებს უფლება აქვთ კავშირი დადონ ურთიერთშორის, აგრეთვე უცხოეთის სახელმწიფოებთანაც. მხოლოდ დადებული ხელშეკრულებები იმპერიის წინააღმდეგ არ უნდა ყოფილიყო მიმართული. ოცდაათწლიან ომს **გერმანიის** აოხრება და გაპარტახება მოყვა შედეგად.

ამრიგად, კაპიტალიზმის განვითარებას თან ახლდა მთელ რიგ ქვეყნებში ერების ჩამოყალიბება, ეროვნული ინტერესების გაღრმავება. XVI საუკუნეში მრავალი ქვეყანა ინგლისი, საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია, დანია, შვეცია აღწევს მნიშვნელოვან წარმატებას ნაციონალური გან-

ვითარების გზაზე. XVI სის მეორე ნახევარში ნიდერლანდეების ბურჟუაზიული რევოლუციის ცეცხლში გაჩნდა ახალი ნაციონალური სახელმწიფო – შეერთებული პროვინცების რესპუბლიკა. მაგრამ ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი არ იყო დასრულებული. ცალკეული ქვეყნების საზღვრები ყველგან არ იყო მკვეთრად განსაზღვრული მაგალითად: საფრანგეთის, ესპანეთის, გერმანიის, დანიის, ინგლისის, შოტლანდიის,ამიტომ სასაზღვრო ოლქები წარმოადგენდა ობიექტს განუწყვეტელი ბრძოლისა.

თემა მეცამეტე

დასავლეთ ევროპის კულტურა XVI-XVII ს-ის პირველ ნახევარში

ევროპის ხალხთა სულიერი განვითარება შევიდა ახალ ფაზაში. დაიწყო ძველი საზოგადოებრივი წყობის კრიზისი და მის წიაღში ჩაისახა ბურჟუაზიული ურთიერთობანი. ევროპის კულტურა მთლიანობაში თავისი სოციალური და იდეური შინაარსით არ იყო ერთგვაროვანი. განაგრძობდა არსებობას შუა საუკუნეების ტიპის კულტურა, რომელიც ეყრდნობოდა სქოლასტიკას და საეკლესიო დოგმებს.

შუა საუკუნეების კულტურის შესახებ დაიწყო მსჯელობა ისტორიულ ლიტერატურაში, ასევე მისი ისტორიული მნიშვნელობისა და რენესანსის ქრონოლოგიური ჩარჩოების შესახებ.

XIX ს-ის შუა ხანებში ი. ბურკხარდტმა მოგვცა სხვაგვარი დახასიათება აღორძინების კულტურის, რომელიც მიმართული იყო სამყაროს შესახებ რელიგიური წარმოდგენების წინააღმდეგ. ჰუმანიზმის მთავარ ნიშნად ის მიიჩნევდა

ინდივიდუალიზმს. რენესანსული კულტურის შეფასება გაგრძელდა XX ს-ში. ზოგიერთი ისტორიკოსი სათანადოდ ვერ აფასებდა აღორძინების მნიშვნელობას. შემოფარგლავდა მას ვიწრო ჩარჩოებით. ხაზს უსვამდნენ მასში წარმართობის ელემენტებს- ანტიკური ავტორების გავლენას, რაც ართმევდა მას დამოუკიდებლობას.

აღორძინების კულტურის არსის განსაზღვრაში დიდი მნიშვნელობა მიიღო უცხოელი მკვლევარების ნაშრომებმა, რომელთაც პროგრესული პოზიციები გააჩნიათ თანამედროვე ისტორიოგრაფიაში (ე. გარენი, გ. ბარონი და სხვები). ისინი განიხილავდნენ ჰუმანიზმს და აღორძინებას, როგორც ფართო კულტურულ-იდეოლოგიურ მოძრაობას, რომლის მთავარ შინაარსს წარმოადგენდა ახალი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება და მისი ნოვატორული მნიშვნელობა.

რუსი ისტორიკოსებიდან: ბ. ვიპერი, მ. გუკოვსკი, ვ. ლაზარევი, ს. სკაზკინი, ვ. რუტენბერგი სწავლობდნენ აღორძინების ცალკეულ მხარეებს და ხაზს უსვამენ მათ პროგრესულ მნიშვნელობას ახალი კაპიტალისტური იდეოლოგიის განვითარებაში.

უმრავლესობა თანამედროვე მეცნიერებისა, მათ შორის, ბ. ვიპერი აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანი როლი კულტურის განვითარებაში, რომელიც ჩამოყალიბდა XVII ს-ის რთულ პირობებში (აბსოლუტიზმის განმტკიცების, ძველისა და ახალი ძალების წინააღმდეგობების პირობებში), შეასრულა რენესანსის ეპოქამ, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა ახალი ტექნიკისა და ახალი მეცნიერების განვითარებას.

ყველაზე ადრე და ყველაზე გაბედული სიახლე მომზადდა იმ ქვეყანაში, სადაც კაპიტალისტური ურთიერთობა ადრე განვითარდა. ეს იყო იტალია. შემდეგ საფრანგეთი, გერმანია, რომლებიც დაუკავშირდნენ იტალიას.

იტალიის, ჩრდილო საფრანგეთის და სამხრეთ გერმანიის ქალაქებში საფეიქრო წარმოება იღებს მანუფაქტურულ

სტრუქტურას და ტექნიკურ გაუმჯობესებას. ვითარდება წყლის ენერგიის გამოყენება საფეიქრო წარმოების დროს. ასევე ვითარდება მეტალურგია. ხოლო XVI ს-სთვის გაფართოვდა დენთის გამოყენება. ლითონს მოითხოვდა არტილერია, რაინდის აღჭურვილობა აბჯრით. ამიტომ აუმჯობესებენ მისი დამუშავების ტექნოლოგიას. ლითონის სადნობი ღუმელების სიდიდე იზრდებოდა, რამაც შესაძლებელი გახადა ჩქარა და დიდი რაოდენობით მიეღოთ რკინა. შემუშავდა თუჯის ჩამოსხმის წესი ანუ ბრძმედული პროცესი, რაც მეტალურგიის საფუძველს წარმოადგენდა.

XVI-XVII საუკუნეებსა და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ვითარდება ევროპის ქვეყნებში მანუფაქტურული წარმოება. ერთ ჭერქვეშ ბინაზე მუშაობს ასობით მუშა. იქმნება მანუფაქტურული წარმოება კერამიკულ წარმოებაში, მეტალურგიაში და ლითონდამუშავებაში. მანუფაქტურული წარმოება იყო შემდეგი სახის: 1.ჰეტეგონერული, საოჯახო ანუ გაფანტული. 2. ცენტრალიზებული მანუფაქტურული. 3. ცენტრალიზებული მანქანური.

მათემატიკა განვითარდა ჯერ კიდევ XV ს-ში, სწრაფად მზარდი ვაჭრობის განვითარებასთან ერთად. ლუკა პიაჩოლი (1445-1514 წწ). გამოირჩევა მისი შრომები: "ღვთაებრივი პროპორციის შესახებ", "არითმეტიკის, გეომეტრიის, პროპორციისა და პროპორციულობის ჯამის შესახებ". ეს შრომები არის არა მარტო შეჯამება იმ მათემატიკური ცოდნისა, რაც იყო შუა საუკუნეებში, არამედ იძლევა ახალ ცნობებსაც.

ლეონარდო და ვინჩი (1452-1519) იყო არა მარტო გენიალური მხატვარი, არამედ მათემატიკოსი, მექანიკოსი, ინჟინერი. ის იყო ტოსკანის პატარა ქალაქ ვინჩის ნოტარიუსის უკანონო შვილი. მან ჩვეულებრივი ხელოსნური განათლება მიიღო. მის შემდეგ განათლება დაამთავრა ფლორენციაში და შეუდგა დამოუკიდებელ მუშაობას. ის დაინტერესდა ტექ-

ნიკის პრობლემებით. მან შექმნა სამშენებლო მანქანები, რომლებმაც შესაძლებლად გახადა სამუშაოთა მექანიზაცია, შექმნა შლიუზებიანი არხები (შლიუზები მისი გამოგონილია). მილანოში გადასვლის შემდეგ ის ღებულობს ჰერცოგის ინჟინრის თანამდებობას.

მეცნიერება-მეთაურია, პრაქტიკა-ჯარისკაცები – ეს სიტყვები ვინჩის ეკუთვნის. მან წინ წამოსწია ემპირიული ცოდნის პრაქტიკით დასაბუთება. მან დაწერა შრომა თეორიული მექანიკის შესახებ. მას აინტერესებს ოპტიკის საკითხები. მისმა ოპტიკურმა აღმოჩენებმა საფუძველი ჩაუყარეს ფიზიკურ და ბიოლოგიურ ოპტიკას. როგორც მხატვარი დაინტერესდა ანატომიით. იგი თვითონ ახდენდა ანატომიურ განკვეთებს და აკეთებდა ასობით ჩანახატს, რომელიც აშუქებდა ადამიანის შინაგან აგებულებას. ის სწავლობდა დედამიწის აღნაგობის ანალიზს ე.ი. დაინტერესდა გეოლოგიის პრობლემებით. ის მოკვდა შორეულ საფრანგეთში. პირად ბედნიერებას ის ვერ ელირსა.

ამასთან ერთად ვითარდებოდა ტექნიკური აღმოჩენები, რომელიც ეკუთვნის: დ. ალბერტის, იტალიელ მათემატიკოსს და მექანიკოსს **ჯერონიმო კარდანოს** (1501-1576), **ფრანგ ჟან ბესონს, იტალიელ ვიტორიო ცონკოს**.

განვითარდა ასტრონომია. კოპერნიკმა შექმნა სურათი, თეორია შექმნილი სამყაროს შესახებ. ეკლესიამ ის შერისხა, რადგან კოპერნიკის მოძღვრება უარყოფდა ბიბლიურ წარმოდგენებს, რომ სახელმწიფო შეიქმნა ღმერთის მიერ.

ნიკოლოზ კოპერნიკი (1473-1543 წწ) დაიბადა პოლონურ-გერმანულ ქალაქ ტორნში. კრაკოვისა და ვენის უნივერსიტეტში სწავლობდა მედიცინას და ასტრონომიას, შემდეგ 10 წელი გაატარა იტალიაში, სადაც კარგად შეისწავლა იტალიური მეცნიერებანი. სამშობლოში როცა დაბრუნდა მიიღო მცირე საეკლესიო თანამდებობა ფრაუენბერგში. მან თავისი სიცოცხლის 40 წელი მოანდომა ასტრონომიული

თხზულების შექმნას. ტრაქტატი "ციურ სხეულთა მოქცევის შესახებ" გამოქვეყნდა ავტორის გარდაცვალების დღეს. ის ამბობს, რომ დედამიწა შედის ერთ-ერთ ციურ სისტემაში, ის ბრუნავს საკუთარი ღერძის გარშემო და ხუთ სხვა პლანეტასთან ერთად მოძრაობს მზის გარშემო.

კოპერნიკის გენიალური თეორია გაიზიარა დანიის მეფეებისა და შემდეგ იმპერატორ რუდოლფ II-ის ასტრონომმა **ტიხო-დე-ბრაგემ** (1546-1601 წწ), მაგრამ ვერ ბედავდა ამის აშკარად აღიარებას.

კოპერნიკის თეორია დაასაბუთა კონკრეტული მასალებით საბოლოოდ ტიხო-დე-ბრაგეს მემკვიდრემ **იოჰან კეპლერმა** (1571-1630 წწ) პრაღის სამეფისკარო ასტრონომმა. მის კალამს ეკუთვნის (1609 წ) დაწერილი ასტრონომიული თხზულება "ახალი ასტრონომია".

გალილეო გალილეი (1564-1642 წწ) იყო გალატაკებული აზნაურის შვილი. დაამთავრა ქალაქ პიზის უნივერსიტეტი. 25 წლის ასაკში დაიკავა საუნივერსიტეტო კათედრა. იგი საკუთარ ცდას და მეცნიერულ რწმენას არისტოტელეს ავტორიტეტზე მაღლა აყენებდა. იგი იძულებული გახდა პიზიდან გადასულიყო პადუას უნივერსიტეტში, სადაც განაგრძობდა დამოუკიდებელ ექსპერიმენტულ გამოკვლევებს. 1608 წელს გამოქვეყნდა გალილეის პირველი ასტრონომიული შრომა. მან გამოიგონა ტელესკოპი და მისი საშუალებით შეუდგა რეგულარულ დაკვირვებებს. თანამედროვენი გალილეის აღმოჩენას ადარებენ ამერიკის აღმოჩენას. მის მიღწევათა შორისაა ტელესკოპის გაუმჯობესება, რიგი ასტრონომიული დაკვირვებებისა. მას ხშირად თანამედროვე ასტრონომიის მამად მოიხსენიებენ, ისევე როგორც თანამედროვე ფიზიკისა და მეცნიერების მამად. მისი ექსპერიმენტალური ნაშრომები ფართოდ აღიარებულია, ფრენსის ბეკონის შრომებთან ერთად და თანამედროვე მეცნიერული მეთოდის ფუძემდებლად. გალილეის კარიერა თანხვდება იოჰანეს კეპლერისას.

გალილეოს ნამუშევრები მნიშვნელოვანი გადახვევა იყო არისტოტელეს ნააზრევისგან. ამასთან ერთად მისი კონფლიქტი კათოლიკურ ეკლესიასთან განიხილება როგორც მნიშვნელოვანი ადრეული მაგალითი ავტორიტეტთან კონფლიქტისა და აზროვნების თავისუფლების, განსაკუთრებით მეცნიერების დარგში. იგი იყო თანამედროვე მეცნიერების ფუძემდებელი. როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით განათლება **პიზასა** და **ფლორენციაში** მიიღო, 25 წლის ასაკში ლექციებს კითხულობდა პიზაში, სადაც არისტოტელეს, ევკლიდესა და პტოლომეოსის ნაშრომებს განმარტავდა. 1592 წელს პადუაში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც 1610 წლამდე გააგრძელა მოღვაწეობა, შემდეგ ფლორენციაში დასახლდა და ტოსკანის დიდი მთავრის „მათემატიკოსისა და ფილოსოფოსის" სახელი დაიმკვიდრა. უმნიშვნელოვანესია გალილეოს როლი ფიზიკისა და ასტრონომიის განვითარებაში. გალილეოს მიხედვით, მეცნიერება ერთადერთ საშუალებას – ექსპერიმენტს ფლობს, რომელშიც ინდუქციას მათემატიკური გაანგარიშება ავსებს: **დაკვირვება, განმარტების ძიება, გამოთვლა, შემოწმება ამ მეთოდის ეტაპებია**

ა) დაკვირვება: მოცემულ ეტაპზე ფენომენები იმ სახით აღინიშნება, როგორც მათ ბუნება წარმოგვიდგენს. რა თქმა უნდა, ფაქტებზე დაკვირვებისას მეცნიერს გონიერება ესაჭიროება, რათა მკაფიოდ განსაზღვროს ისინი

ბ) ვარაუდი: დაკვირვების შემდეგ მეცნიერი აკეთებს სავარაუდო განმარტებას, ეს თეზისზე უფრო დაბალი საფეხურია, ანუ ვარაუდი, რომელიც მოცემულ მომენტში აღნიშნავს ფენომენს, როგორც დაკვირვებაში მყოფი ფენომენის განმარტებას. აქ არ არის საუბარი არსისა და ფორმების ძიებაზე, როგორც ბეკონთან, არამედ ხდება ფენომენის ან სხვა ფაქტის დაფიქსირება, რომელიც ასახსნელი ფენომენისთვის წინამორბედის როლს შეასულებს.

გ) შემოწმება: ამ ეტაზპე მეცნიერი ექსპერიმენტის, ანუ სავარაუდო განმარტების სახით წამოყენებული სხვა ფენომენების მეშვეობით გამოწვეული განმეორების საფუძველზე ვარაუდის მართებულობასა და საკმარისობას ამოწმებს. თუ ვარაუდი ბუნებისთვის შეკითხვის დასასმელად არის საჭირო, ექსპერიმენტი ამ შეკითხვაზე ბუნების პასუხს გვაძლევს.

დ) დედუქცია: ექსპერიმენტის ჩატარების შემდეგ მისი შედეგი წინასწარ მათემატიკური გათვლის საშუალებით მიღებულ უეჭველობათა ერთობლიობას ემატება ისე, რომ შედეგი იზოლირებულ ფაქტად არ დარჩეს

ე) კანონის ჩამოყალიბება: ექსპერიმენტისა და გათვლის მეშვეობით მოიპოვება საჭირო ელემენტები საბოლოო განმარტების ჩამოსაყალიბებლად, რომლის თანახმადაც ფენომენი სხვა ფენომენებს უკავშირდება. ეს არის თვით ფენომენის კანონი.

გალილეი ამბობდა: **„მე არასდროს შემხვედრია იმდენად გაუნათლებელი ადამიანი, რომ არ შემეძლოს მისგან ვისწავლო“.** იგი შეძლებისდაგვარად პატივს სცემდა ყველა ინდივიდს და ცდილობდა მათი აზრი გაეთვალისწინებინა. გალილეო თვლიდა რომ ერთი კარგი იდეა თითოეულ ადამიანში იდო, ბრძენი კი უნდა შეეცადოს იგი მათ დასცინცლოს სათავისოდ გადმოიბიროს-გადმოაკეთოს. იგი ასევე თვლიდა, რომ ბუნების უდიდესი წიგნი დაწერილი იყო მათემატიკური სიმბოლოებით და მოცალეობის ჟამს ყოველთვის ეძიებდა სიმბოლოთა შინაარსა და მნიშვნელობებს.

გალილეისთვის ყოველთვის უპირატესი იყო მეცნიერება და არა რელიგია, მაგრამ ამავდროულად ფიქრობდა, რომ ისინი ერთურთის არსებობასა და განვითარებას არ უშლიდნენ ხელს. **„დიდად არ ვარ დავალებული იმით, რომ იგივე ღმერთი, რომელმაც დაგვაჯილდოვა გრძნობებით, ცნობიერებითა და ინტელექტით, გვაიძულებს უარი ვთქვათ მათ გამოყენებაზე“.** იგი კატეგორიულად ეწინააღმდეგებო-

და რელიგიურ დოგმატიკას და თვლიდა, რომ ადამიანს თავისი შესაძლებლობები მაქსიმალურად უნდა გამოეყენებინა ყველა ასპექტში. როგორც ყველა ერუდირებული პიროვნება, მასაც მიაჩნდა, რომ განვითარების უმაღლესი მწვერვალი განათლება იყო. ვითარდება მათემატიკური მეცნიერება. ფრანგი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი იყო **რენე დეკარტე** (1596-1650 წწ), **რენე დეკარტე** დაიბადა საფრანგეთის ქალაქ ლაეში 1596 წელს. მისი ლათინიზირებული სახელია რენატუს კარტეზიუსი. მომავალ მათემატიკოსს, ფიზიკოსსა და ფიზიოლოგს ლოგიკური მსჯელობისადმი სიყვარულის გამო ჯერ კიდევ ბავშვობიდან შეარქვეს პატარა ფილოსოფოსი. 1604-1612 წლებში სწავლობდა ლა ფლეშის სკოლაში. იგი სწრაფად და იოლად ასრულებდა საშინაო დავალებებს ყველა საგანში, განსაკუთრებით კი მათემატიკა უყვარდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ქალაქ პუატიეს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. ახალგაზრდა დეკარტი წარმატებით ეუფლებოდა მეცნიერების საფუძვლებს. მისი ინტერესები მხოლოდ მათემატიკით არ შემოიფარგლებოდა. აინტერესებდა მექანიკა, ოპტიკა, ბიოლოგია, ფილოსოფია. ამ დროს დეკარტი უკვე პარიზში ცხოვრობდა. ზოგჯერ საქმე პარიზის ქუჩებში დუელამდეც მიდიოდა; ეს იყო მუშკეტერების დაუვიწყარი ეპოქა, რომელსაც ასე კარგად ვიცნობთ ალექსანდრე დიუმას "სამი მუშკეტერის" წყალობით. 1618 წელს რენე დეკარტი მოხალისე მუშკეტერად ჩაეწერა ესპანეთის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში, მაგრამ ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღია. სანამ მოხალისე მუშკეტერების არმია ქალაქ ბრედში იდგა, უსაქმურობისაგან გაბრაზებული ახალგაზრდა მეცნიერები იმით ერთობოდნენ, რომ თავსატეხ ამოცანებს იგონებდნენ, ქალაქის ქუჩებში აკრავდნენ და ყველას იწვევდნენ მათ ამოსახსნელად. ასეთ შეჯიბრებებში რენე დეკარტიც მონაწილეობდა და ამ გზით მალე გაეცნო ადგი-

ლობრივ მეცნიერებს. 1619 წლის 10 ნოემბერს, შთაგონების წუთებში მეცნიერს მოეჩვენა, რომ აღმოაჩინა უნივერსალური მეთოდი – კოორდინატთა მეთოდი. ამ აღმოჩენამ მასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. 1621 წელს დეკარტმა არმიაში სამსახური მიატოვა და მთელი სიცოცხლე მხოლოდ მათემატიკის პრობლემებზე მუშაობას მიუძღვნა..

სახელგანთქმული ფრანგი სწავლული შვედეთის დედოფალმა მიიწვია, რომელსაც სურდა მისი ხელმძღვანელობით მეცნიერებას დაუფლებოდა. იგი შვედეთის მეცნიერებათა აკადემიის შექმნასაც აპირებდა და ამ საქმეში დეკარტის დახმარების იმედი ჰქონდა. დეკარტი 1629-49 წლებში ცხოვრობდა სტოკჰოლმში, სადაც 1649 წელს დასტამბული გეომეტრია გამოსცა. რენე დეკარტი გარდაიცვალა 1650 წლის 11 თებერვალს სტოკჰოლმში. ითვლება რომ გარდაცვალების მიზეზი იყო პნევმონია. გერმანელი ფილოსოფოსი თეოდორ ებერტი მიიჩნევს, რომ ის მოწამლა რომის კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლობამ სტოკჰოლმში, რადგან მის რადიკალურ შეხედულებებს თეოლოგიაზე შეეძლო ხელი შეეშალა ლუთერანი ვედეთის მონარქის კათოლიციზმისკენ შემობრუნების საქმეში.

ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორი **ბონავენტურია კავალიერიმ** შექმნა ნაშრომი "განუყოფელთა გეომეტრია".

ოპტიკის განვითარებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ბოლონიის იეზუიტთა კოლეგიის მათემატიკის პროფესორმა იეზუიტმა **ფრანჩესკო-მარია გრიმალდმა** (1618-1663 წწ). მისი გამოკვლევა "სინათლის, ფერების, ცისარტყელას და სხვათა შესახებ.

ისააკ ნიუტონი (1643-1727 წწ) იყო ხელმოკლე აზნაურის შვილი. განათლება მიიღო კემბრიჯის უნივერსიტეტში, სადაც შემდეგ პროფესორად დარჩა. მისი ცხოვრება იყო ღარიბი, ხოლო მოხუცებულობაში მიაღწია თავის განსაკუთრე-

ბულ მეცნიერულ დამსახურებას და მიიღო სამეფო ზარაფ-ხანის მმართველის ადგილი.ის ჯერ კიდევ სტუდენტობისას დაინტერესდა ასტრონომიის და ოპტიკის შესწავლით. 1704 წელს გამოქვეყნდა თავისი შრომა "ოპტიკის" სახელწოდებით. ის შემდეგ განაგრძობს მუშაობას მექანიკის პრობლემებზე. ახალგაზრდობაში ნიუტონი ხატვით იყო გატაცებული და მშვენივრად ხატავდა, ერთხანს ლექსებსაც წერდა. 18 წლის ნიუტონმა კი მხოლოდ არითმეტიკა იცოდა. ნიუტონის ფიზიკოსად ჩამოყალიბება ხდება მისი კემბრიჯში სწავლის წლებში. აქ იგი გამოსცემს წიგნს:„ნატურალური ფილოსოფიის მათემატიკური საწყისები", სადაც კოპერნიკისეულ ჰიპოთეზას ამტკიცებს და რამოდენიმე წიგნად აყალიბებს საკუთარ შეხედულებებს. 1664–1667 წლებში ინგლისში შავი ჭირი მძვინვარებდა და ნიუტონი იძულებული შეიქმნა სახლში, სოფელში 2 წლით დაბრუნებულიყო. ამ ორი წლის განმავლობაში მან დაწერა: "უსასრულ მცირეთა ანალიზი", "დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვა", ჩაატარა სინათლის დაშლისა და შეკრების ისტორიული ცდები. დაიწყო ამრეკლი ტელესკოპის აწყობა, აქ დაებადა აზრი მსოფლიო მიზიდულობის შესახებ. ეს ორი წელი მისი მუშაობის ყველაზე ნაყოფიერი წლები იყო, მაგრამ მოხდა უბედური შემთხვევა. ნიუტონს ჰყავდა ძაღლი, რომელიც ისე იყო გაწვრთნილი რომ მუშაობაში გართულ ისააკს ჭამის დროს ყეფით ახსენებდა. ერთხელაც ნიუტონი ისე იყო მუშაობით გართული, რომ ძაღლის ყეფა ვერ გაიგო. ძაღლმა ყურადღების მიქცევის მიზნით მაგიდაზე გადაფარებული სუფრას მოქაჩა, მაგიდაზე დადგმული სანთელი წაიქცა და მთელ მის ნამუშევრებს ცეცხლი წაეკიდა. ამის გამო მას ფსიქოლოგიური პრობლემები დაეწყო და მისმა უაღრესმა ღვთისმორწმუნეობამ იხსნა და ეს უდიდესი ფსიქოლოგიური სტრესი გადაატანინა.ნიუტონი მთელი ცხოვრების განმავლობაში ორჯერ აირჩიეს პარლამენტის წევრად, მაგრამ არც ერთხელ გამო-

სულა სიტყვით და აზრი გამოუხატავს. ერთადერთი რაც მისი პარლამენტში მოღვაწეობიდან ახსოვთ, ისაა, რომ მას განკარგულება გაუცია კარისკაცისთვის ფანჯარა დაეკეტა.ნიუტონს უკავშირდება ოქროს მონეტების სიდიდეებით დახარისხება და მათვის რიცხვობრივი ნიშნულის დაწესება, რომელ პრინციპსაც დღესაც ვიყენებთ. ისააკი ძალიან ცუდი მასწავლებელი და ლექტორი იყო. მის ლექციებს 2–3 სტუდენტი თუ ესწრებოდა მხოლოდ, ისევე როგორც აინშტაინს. საქმე ისაა, რომ მას რთული საკითხები მარტივად ეჩვენებოდა, რის გამოც ლექციის დროს მას არ ხსნიდა.

ისააკ ნიუტონი 1727 წლის 21 მარტს გარდაიცვალა. სიკვდილის წინ კი მან თქვა:„მე არ ვიცი კაცობრიობას როგორ მოვეჩვენები, მაგრამ ჩემი თავი მე მეჩვენება მხოლოდ პატარა ბიჭად, რომელიც ზღვის პირას თამაშობს და იმით ერთობა, რომ ხანგამოშვებით ფერად კენჭებს იპოვის, ხანაც ლოკოკინას წითელ ნიჟარას გამოძებნის, ეს მაშინ როდესაც მის წინ ჭეშმარიტების დიდი ოკეანეა გადაშლილი, როგორც გამოუკვლევი. "ნიუტონის გარდაცვალების შემდეგ ინგლისელები ამბობდნენ: "ბუნება და მისი კანონები წყვდიადით იყო მოცული. მაშინ ღმერთმა თქვა: "დაე იყოს ნიუტონი" და ყველგან სინათლე.

ანატომიის დარგში განსაკუთრებით შესანიშნავია ნიდერლანდელი ექიმის **ანდრია ვეზალიუსის** შრომები. სასულიერო და საერო ხელისუფლების დევნის მიუხედავად ის სისტემატურად ახდენდა გვამების განკვეთას და სწავლობდა ადამიანის აღნაგობას. მას პალესტინაში მომლოცაობა მიუსაჯეს. მოგზაურობის დროს ხომალდი დაიღუპა, ტალღებმა ვეზალიუსი უკაცრიელ ნაპირზე გამოაგდო, სადაც ის შიმშილით მოკვდა. მისი ნაშრომი "ადამიანის სხეულის მუშაობის შესახებ". მან შექმნა თანამედროვე ანატომია.

დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის მიმოქცვის აღმოჩენას, რაც წილად ხვდა ესპანელ **მიგელ სერვეტს** (1509-1555),

რომელიც კალვინმა კოცონზე დაწვა მისი მეცნიერული გამოკვლევების გამო. მან აღმოაჩინა მცირე წრე სისხლის მიმოქცევის. ხოლო ინგლისელმა ექიმმა და ანატომმა **ვილ-ჰელმ ჰარვეიმ** (1578-1665 წწ) აღწერა "ცხოველთა გულისა და სისხლის მოძრაობის ანატომიური გამოკვლევა".

მეცნიერების განვითარების შედეგად იქმნება აკადემიები. იტალიაში წარმოიშვა XV საუკუნეში **პლატონის აკადემია**-ფლორენციაში. ყველა აკადემია არსებობდა ფეოდალ-მეცენატების ხარჯზე.

პირველი მუდმივი აკადემია შეიქმნა ლონდონში ინგლისის რევოლუციის დროს 1645 წელს.

1666 წელს კოლბერის მიერ დაარსდა პარიზის მეცნიერებათა აკადემია. 1725 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემია.

პირველი სამეცნიერო ჟურნალი გამოვიდა პარიზში "სწავლულთა ჟურნალი"-1665 წელს.

ფილოსოფია

კოპერნიკი, კეპლერი და გალილეი თავიანთი შემოქმედებით ძირს უთხრიდნენ კათოლიკურ-სქოლასტიკურ მსოფლმხედველობას, ნიადაგს აცლიდნენ მას.

ჯორდანო ბრუნო (1548-1600 წწ) სამხრეთ იტალიის თავადაზნაურული ოჯახიდან იყო. ის ჯერ კიდევ ბავშვი შევიდა დომინიკელთა მონასტერში, მაგრამ იქ ჩქარა გაეცნო ბერმონაზვნური ცხოვრების სიყალბეს, გაეცნო კოპერნიკის მოძღვრებას და ზეპირად დაიწყო გაბედული აზრების გამოთქმა, რისთვისაც მას მწვალებლობა დასწამეს. იტალიიდან ის ჯერ ჟენევაში გაიქცა, შემდეგ პარიზს შეაფარა თავი. პარიზიდან გადადის ლონდონში ელისაბედის სამეფო კარზე, სადაც შეხვდა შექსპირს.

ბრუნო ბრუნდება სამშობლოში-ვენეციაში, სადაც ვარ-დება ხაფანგში, ინკვიზიციის ხელში. 8 წელი იტანდა ის წამებას, მაგრამ უარი არ უთქვამს თავის შეხედულებებზე. 1600 წელს ის კოცონზე დაწვეს ყვავილთა მოედანზე.ჯორდანო ბრუნო სწავლობდა სამყაროს პრობლემებს, ეთიკას, შემეცნების თეორიას. მის ფილოსოფიურ თხზულებებში არის მატერიალობის ელემენტები.

ინგლისელი ფილოსოფოსი **ფრენსის ბეკონი** (1561-1626 წწ). ის იყო კანცლერი. ხაზინის ქურდობისათვის გაასამართლეს და ჩასვეს ციხეში. თავისი სიცოცხლე ემიგრაციაში დაასრულა. ბეკონი მატერილისტია, ის ცდას თვლის ჭეშმარიტების ერთადერთ კრიტერიუმად. ცრუ კრიტერიუმად მიაჩნია საეკლესიო ავტორიტეტი. ის იყო გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, პოლიტიკური მოღვაწე და ემპირიზმის ფუძემდებელი, რომელიც ჯერ კიდევ 23 წლის ასაკში არჩეულ იქნა პარლამენტში, 1620 წელს აღიარებდა იმ უნიკალურ გავლენას, რაც ტექნოლოგიურმა ინოვაციებმა მოუტანეს კაცობრიობას და რომელზეც აიგო თანამედროვე სამყარო. ეს ინოვაციური პროდუქტები მისი ღრმა რწმენით გახლდათ : ბეჭდვა, დენთი და კომპასი. ბეკონის მოსაზრებით ამ სამმა გამოგონებამ მთელი მსოფლიო შეცვალა. ბეჭდვამ ცვლილებები შემოიტანა ლიტერატურაში, დენთმა ომის წარმოებაში და კომპასმა კი ნავიგაციაში. ბეკონის აზრით თავად ამ ინოვაციებზე მეტად მნიშვნელოვანი ის ცვლილება გახლდათ, რაც მათ მოუტანეს კაცობრიობას. ფრენსის ბეკონს შესანიშნავად ესმოდა და წერდა კიდეც, რომ „ადამიანებზე არც ერთ იმპერიას, სექტას თუ ვარსკვლავს არ მოუხდენია ისეთი გავლენა, როგორიც ამ მექანიკურმა აღმოჩენებმა მოახდინეს“. ამ გამოგონებებით კი ევროპაში რენესანსის ხანა დაიწყო. ევროპა ფაქტიურად ხელახლა დაიბადა. თუმცა ეს არ გახლდათ ბერძნული და რომაული სამყაროს ხელახლა დაბადება. ეს სამი გამოგონება–

ბეჭდვა(გერმანია), კომპასი (ჩინეთი) და დენთი(ჩინეთი) გახლდათ სრულიად ახალი ინოვაციები, რომლებიც ევროპელებმა და მსოფლიოს ხალხებმა აიტაცეს და თავიანთ მიზნებსა და გემოვნებას შეუსაბამეს.მისი მოძღვრება გაიზიარეს **თომას ჰობსმა და ჯონ ლოკმა.**

ბენედიქტე სპინოზა (1632-1677 წწ) ამსტერდამში დაიბადა შეძლებული ებრაელი კომერსანტის ოჯახში. მან დაწერა ნაშრომი „ეთიკა." ადამიანის უმაღლესი ბუნება – ამბობს სპინოზა – სხვა არაფერია, თუ არა შეგნება ერთიანობისა, რომელშიაც ცხოვრობს სული მთელ ბუნებასთან ერთად. ადამიანი ბუნების უმაღლესი გამოვლენაა.

სპინოზამ ასევე განავითარა თავისი შეხედულებანი სახელმწიფოზე, რაც უდავოდ საინტერესოა. მისი აზრით, სახელმწიფოს მიზანი ის კი არ არის, რომ ადამიანები გონიერი არსებიდან ცხოველებად, ანუ მის ნებას დამორჩილებულ მექანიზმად აქციოს, არამედ ის, რომ ადამიანთა სული და სხეული ასრულებდნენ თავიანთ ფუნქციას უშიშრად. ხოლო ადამიანები სარგებლობდნენ ბორკილებახსნილი გონებით. მაშასადამე, სინამდვილეში სახელმწიფოს მიზანია თავისუფლება. გამოსავალი სახელმწიფოს გონივრულ წყობაშია. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ადამიანთა უშიშროება. რაც უფრო მეტად ცდილობენ წაართვან ადამიანებს თავისუფლება, მით უფრო მედგრად ეჭიდებიან ისინი მას. აზროვნების თავისუფლების აკრძალვის კანონი ბადებს სიყალბეს, პირმოთნეობას. მე ისეთი სახელმწიფოსა და საზოგადოების მომხრე ვარ, სადაც ყველას შეუძლია იფიქროს, როგორც სურს და ილაპარაკოს, რასაც ფიქრობს... გონიერ ხელისუფლებას არ შეუძლია ადამიანებს მოსთხოვოს... ვთქვათ ის, რომ ადამიანები პატივისცემით მოეპყრან იმას, რაც მათში დაცინვასა და ზიზღს იწვევს.

ბევრს ეგონა, რომ სპინოზას ფილოსოფია მოკვდებოდა მისი შემქმნელის გარდაცვალებასთან ერთად. მაგრამ 215

წლის შემდეგ ჰააგაში 1882 წელს მისი ძეგლის გახსნის ცერემონიალზე ერნსტ რენარმა თქვა:" თუ ოდესმე არსებობდა ღმერთთან ეგზომი მიახლოება, ალბათ, არსებობდა ამ ადამიანის სულში. სასაცილოა სპინოზა, რომ ქრისტიანად დაბადებულიყო, ალბათ კოცონზე დაწვავდნენ, როგორც ერეტიკოსს, მაგრამ იგი, რომ დაბადებულიყო ხუთი საუკუნით ადრე მუსლიმანთა ეპოქაში, მას ალბათ აღიარებდნენ ისეთად, როგორიც იყო– თავისი დროის უდიდეს ფილოსოფოსად."

მან წამოაყენა ღვთისმოსაობის, თავისუფლების, სამართლიანობის, რაციონალიზმის, სამყაროს მოვლენათა კანონზომიერების პრინციპების იდეა.



მეფე ჰენრი VII-ის ოჯახი



დასავლეთ ევროპა V-VI საუკუნეებში



დასავლეთ ევროპა XV საუკუნეში

ძირითადი წყაროები

1. ავგუსტინე ნეტარი, ღვთიური სახელმწიფოს შესახებ, ლათინურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბ. ბრეგვაძემ, თბ., 1999.
2. ჯ. ბოკაჩო, დეკამერონი, 2 წიგნად, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, თბ., 1970.
3. დანტე ალიგიერი, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე ჭიჭინაძისა და კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ., 1941.
4. ეინჰარდი, კარლოს დიდის ცხოვრება, თარგმანი გ. კუტალიასი. – შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, IV, თბ., 2002.
5. "კონსტანტინე ნაბოძვარი", თარგმანი გ. კუტალიასი. – შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, V, თბ., 2003.
6. ფ. რაბლე, გარგანტუა და პანტაგრუელი, თარგმანი ე. ბაგრატიონისა, თბ., 1973.
7. სიმღერა როლანდზე, თარგმანი რ. გვეტაძის, ხ. ვარდოშვილისა და ა. აბაშელისა, თბ., 1948.
8. უფროსი ედა, სიმღერა ნიბელუნგებზე, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, თბ., 1948.
9. ფრანცისკ ასიზელი, მზის საგალობელი, იტალიურიდან თარგმნა ბ. ჯავახიამ, ჟურნ. „კრიტერიუმი", თბ., 2000.
10. ცხოვრება მეფეთა მეფის თამარისი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959.
11. ჯ. ჩოსერი, კენტერბერიული მოთხრობები, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, თბ., 1977.
12. თავისუფლების დიდი ქარტია, შუა საუკუნეების სამართალი, ტ. II, შეადგინა და კომენტარები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1962.
13. სალიკური სამართალი, ადრეული ფეოდალური სამართლის ძეგლები, შეადგინა და კომენტარები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1950
14. Восстание 1381 года в Англии: Из анонимной хроники, принадлежащей аббатству св. Марии в

Йорке//Хрестоматия по истории средних веков, т. 2, с. 324-336.
15. Гай Юлий Цезарь. Записи о галльской войне//Древние германцы, Сб. док., Вводная статья и ред. А. Удальцова, М., 1937, с. 10-33.
16. Из Сен-Жерменского политика//Хрестоматия по истории средних веков. В 2-х т. Под. ред. С.Д. Сказкина, М., 1961-1963, т. 1, с. 446-452.
17. Капитулярий о поместьях//Хрестоматия по истории средних веков. В 2-х т. Под ред. С.Д. Сказкина, М., 1961-1963, т. 1, с. 437-446.
18. Публий Корнелий Тацит. Германия//Древние германцы. Сб. док., с. 55-126.
19. Памятники истории Англии. XI-XIII вв. Пер. и введ. Д.М. Петрушевского. М., 1936.
20. Первое городское право Страсбурга//Хрестоматия по истории средних веков. В 2-х т.. Под ред. С.Д. Сказкина, М., 1961-1963, т. 2, с. 459-472.
21. Регистры ремесел и торговли города Парижа. Пер. Л.И. Киселевой под ред. и с предисл. А.Д. Люблинской // Средние века. Вып. 10, М., 1957, с. 306-364; Вып. 11. М., 1958, с. 171-224.
22. Социальная история среднекековья. Под ред. Е.А. Косминского и А.Д. Удальцова. М., Л., 1927, т. 1-2.
23. Среднеквековье в его памятниках. Под ред. Н. Егорова. М., 1913.
24. Стасюлевич М. История средних веков в ее писателях и исследованиях новейших ученых. СПб., Разн. Изд., т. 1-3.
25. Уставы Франциска Ассизского, Франциск Ассизский. Сочинения. Ред., пер., коммент. В.Л. Задворского. М., 1995.
26. Хрестоматия памятников феодального государства и права стран Европы. Под ред. В.М. Корецкого. М., 1961.
27. Хрестоматия по зарубежной литературе: Литература средних веков. Сост. Б. И. Пуришев, Р.О. Шор. М., 1953.

28. Хрестоматия по зарубежной литературе. Литература средних веков Сост. Б.И. Пуришев. З.О. Шор. М., 1953.
29. Хрестоматия по истории средних веков. В 2-х т. Под. ред. С.Д. Сказина. М., 1961-1963.
30. Хрестоматия по истории средних веков. Под. ред. Н.П. Грацианского, С.Д. Сказкина. 3-е изд., т. 1, М., 1953; т. 2, М., 1950.
31. Абеляр П. История моих бедствий. М., 1959.
32. Анна Комнина. Алексиада. М., 1965.
33. Анна Комнина. Алексиада. М., 1965.
34. Баллады о Робин Гуде. Разные издания.
35. Бедье Ж. Роман о Тристане и Изольде. М., 1955.
36. Валла Л. Рассуждение о подложности так называеьщй Дарственной грамоты Константина//Итальянские гуманисты о церкви и религии М., 1903.
37. Валла Л. об истинном и ложном благе. О свободе воли. М., 1989.
38. Документы по истории университетов Европы XI-XV вв. Воронеж, 1973.
39. Европейская новелла Возрождения. М., 1974.
40. Зарубежная литература средних веков: немецкая, испанская, итальянская, английская литературы. Сост. Б.И. Пуришев. М., 1975.
41. Зарубежная литература средних веков: латинская, кельтская, скандинавская, провансальская, французская литературы. Сост. Б.И. Пуришев. М., 1974.
42. Исландские саги. Ирландский эпос. М., 1973 (Б-ка всемир. лит.).
43. Ленглеяд У. Видение Уильяма о Петре Пахаре. М., Л., 1941.
44. Младшая Эдда. Л., 1970 (Лит. пяматники).
45. Песни трубадуров. М., 1979.
46. Песень о Нибелунгах. М., 1972.

47. Песень о Сиде: Староиспанский геройческий эпос. М., Л., 1959 (Лит. памятники).
48. Петрарка Ф. Избранная лирика. Разные издания.
49. Поэзия трубадуров. Поэзия миннезингеров. Поэзия вагантов. М., 1974 (Б-ка всемир. лит.).
50. Поэмы французского Возрождения: Антология. Л., 1938.
51. Путешествия Христофора Колумба. Дневники, письма, документы. М., 1961.
52. Ронсар П. Лирика. М., 1963.
53. Саккети Ф. Новеллы. М. Л., 1962 (лит. памятники).
54. Средновековый роман и повесть. М., 1974 (Б-ка всемир. лит.).
55. Эйнгард. Жизнь Карла Великого//Прометей. Историко-биограф. алманах серии «Жизнь замечательных людей». М., 1977, т. II.

ლიტერატურა

1. ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან. ოთხი საისტორიო ნარკვევი, პარიზი, 1929.
2. შ. ბადრიძე, ჯვაროსნები და საქართველო, თბ., 1973.
3. ი. ბელთაძე-ხინიკაძე. ინგლისის სავაჭრო კომპანიები და კოლონიური ექსპანსია (XV-XVII ს. დასაწყისში.
4. გ. თევზაძე, შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია. თბ., 1996.
5. ა. იასტრებიცკაია, XI-XIII საუკუნეების დასავლეთ ევროპა. ეპოქა, ყოფა, ჩაცმულობა, თბ., 1981.
6. ა. ლევანდოვსკი, ჟანა დ'არკი, თბ., 1973.
7. შ. მესხია, ძლევაÁ საკვირველი, თბ., 1972.
8. გრ. ნათაძე, Capitulare de villis, უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, 1936.
9. ნ. ნათაძე, თომა აქვინელის ფილოსოფია, თბ., 1973.
10. მ. პაპაშვილი, საქართველო–რომის ურთიერთობა, თბ., 1995.

11. მ. სტეფნაძე, ტრაპიზონის იმპერიის დაარსების მიზეზებისათვის, ქართული დიპლომატია. ნელინდეული, ტ. VII, თბ., 2000.
12. ლ. ხუბაშვილი, ბოკაჩოს შემოქმედების ისტორიული ასპექტი, თბ., 1996.
13. გ. ტივაძე, შუა საუკუნეების ისტორია, ტ. 2–2, თბ., 1967, 1970.
14. შუა საუკუნეების ისტორია, ტ. 1, ა. უდალცოვის, ე. კოსმინსკისა და ო. ვაინშტეინის რედაქციით, თბ., 1946.
15. ე. ჯაჭვაძე-ხმალაძე. რენესანსი. თბ., 2012.
16. Барг М.А. Категории и методы исторической науки. М., 1974.
17. Баткин Л.М. Данте и его время. Поэт и политика. М., 1965
18. Введенин в специальные исторические дисциплины. М., 1990.
19. Всемирная история. М., 1957, т. 3.
20. Гельмут Кёнигсберг. Средневековая Европа, 400-1500 годы. М., 2001.
21. Гутнова Е.В., Историография истории средних веков. 2-е изд. М., 1985.
22. История европы с древнейших времен до нших дней. В 8 тт., М., 1992, т. 2, Средневековая Европа.
23. История крестьянства в Европе. Эпоха феодализма. В 3-х тт., т.1,2. М., 1985, 1986.
24. История средних веков: 1 т. Под общей ред. С.Д. Сказкина. М., 1977.
25. История средних веков: 1 т. Учебник для вузов по спец. «История» под. ред. З. В. Удальцовой и С.П. Карпова, т. 1. М., 1990.
26. История средних веков: Учебник. под. ред. С.П. Карпова, т. 1. М., 1977.
27. Косминский Е.А. Историография средних веков. V – середина XIX в., М., 1963.
28. Культура и искусство средневекового города. М., 1984.

29. Культура эпохи Возрождения и Реформации. М., 1981.
30. Культура Западной Европы в эпоху Возрождения. М., 1996.
31. Люблинская А.Д. Источниковедение истории средних веков. Л., 1955.
32. Самарский В.В. Историческая география Западной Европы в средние века. М., 1976.
33. Баткин Л. М. Итальянское Возрождение в поисках индивидуальности, М., 1989.
34. Баткин Л.М. Итальянское Возрождение. Проблемы и люди. М., 1995.
35. Баткин Л.М. О социальных предпосылках итальянского Возраждения//Проблемы итальянской истории. М., 1975.
36. Белов Г. Городской и городская жизнь средневековой Германии. М., 1912.
37. Берман Г.Д. Западная традиция права: эпоха формирования. М., 1994.
38. Бессмертный Ю. Л. Феодальная деревня и рынок в Западной Европе XII-XIII вв., М., 1969.
39. Бессмертный Ю. Л. Жизнь и смерть в средние века. Очерки демографической истории Франции. М., 1991.
40. Бицилли П.М. Элементы средневековой культуры. СПб., 1995.
41. Бицилли П.М. Салимбене (Очерки итальянской жизни XIII в.). Одесса, 1916.
42. Бицилли П.М. Место Ренессанса в истории культуры. СПб., 1996.
43. Близнюк С.В. Мир торговли и политики в королевстве крестоносцев на Кипре. 1192-1373. М., 1994.
44. Блок М. Характерные черты французской аграрной истории. М., 1957.
45. Брагина Л.М. Идеи гражданского в речах флорентийских магистрантов XV в. //Средние века. М., 1984. Вып. 47.

46. Брагина Л.М. Итальянский гуманизм. Этические учения XIV-XV веков. М., 1977.
47. Брагина Л.М. Социально-этические взгляды итальянских гуманистов (Вторая половина XV века). М., 1983.
48. Буданова В.П. Готы в эпоху Великого переселения народов. М., 1990.
49. Буркхардт Я. Культура Италии в эпоху Возрождения. М., 1995.
50. Быховский Б.Э. Сигер Брабантский. М., 1979.
51. Варьяш О.И., Черных В.П. Португалия дороги истории. М., 1990.
52. Виноградов П.I. Средневоковое поместье в Англии. СПб., 1911.
53. Гарэн Э. Проблемы итальянского Возрождения. М., 1986.
54. Горфункель А. Х. Философия эпохи Возрождения. М., 1980.
55. Грацианский Н.П. Бургундская деревня в X-XII столетиях. М., Л., 1935.
56. Грацианский Н.Г. Из социально-экономической истории западноевропейского средневековья. М., 1960.
57. Грин О. История английского народа, в 3-х томах. М., 1891
58. Гуревич А. Я. История с сага. М., 1972.
59. Гуревич А.Я. Норвежское общество в раннее средневековье. М., 1977.
60. Гуревич А.Я. Походы викингов. М., 1996.
61. Гуревич А.Я. Категории средневековой культуры. 2-е изд. М., 1984.
62. Гуревич А.Я. Культура и общество средневековой Европы глазами современников. М., 1989.
63. Гуревич А.Я. Средневековый мир: культура безмолвствущего большинства. М., 1990.
64. Гусарова Т.П. Город и деревня Италии на рубеже позднего средневековья. М., 1983.

65. Гутнова Е.В. Классовая борьба и общественное сознание крестьянства в средневековой Западной Европе (XI-XV вв.). М., 1984.
66. Гутнова Е.В. Возникновение английского парламента (Из истории английского общества и государства (XIII в.). М., 1960.
67. Данэм Б. Геро и еретики. Политическая история западной мысли. М., 1967.
68. Даркевич В.П. Народная культура средневековья. М., 1988.
69. Джеймс П., Мартин Дж. Все возможные миры. История географических идей. М., 1988.
70. Дживелегов А. К. Средневековые города в Западной Европе. СПб., 1902.
71. Дитмар А.В. От Птолемея до Колумба. М., 1989.
72. Добиаш-Рождественская О. А. Культура западноевропейского средневековья. М., 1987.
73. Добиаш- Рождественская О.А Западные паломничества в середине века. Пг., 1924.
74. Заборов М.А. Крестоносцы на Востоке. М., 1980.
75. Заборов М.А. Папство и крестовые походы. М., 1960.
76. История эпохи каролингов. М., 1999.
77. Карнов С.П. Итальянские морские республики и Южное Причерноморье в XIII-XV вв.: проблемы торговли. М., 1990.
78. Карпов С.П. Путями средневековых мореходов: черноморская навигация Венецианской республики в XIII-XV вв. М., 1994.
79. Карсавин Л.П. Монашество в средние века. М., 1992.
80. Карсавин Л. Г. Очерки религиозной жизни в з Италии XII-XIII вв. СПб., 1912.
81. Колесницкий Н.Ф. «Священная Римская империя»: Притязания и действительность. М., 1977.

82. Колесницкий Н.Ф. Исследований по истории феодального государства в Германии (IX-первая половина XII в.) М., 1959
83. Корсунский А.Р. История Испании IX-XIII вв. М., 1976.
84. Корсунский А.Р. Готская Испания. М., 1969.
85. Корсунский А.Р. Образование раннефеодального государства в Западной Европе. М., 1963.
86. Котельникова Л.А. Феодализм и город Италии в VIII-XV веках. М., 1987.
87. Лебедев Г.С. Эпоха викингов в Северной Европе. Л., 1985.
88. Леви-Провансаль Э. Арабская культура в Испании. М., 1967.
89. Левицкий Я.А. Город и феодализм в Англии. М., 1987.
90. Ле Гофф Ж. Цивилизация средневекового Запада. М., 1992.
91. Левандовский А.П. Карл Великий. Через Империю к Европе. М., 1995.
92. Лосев А.Ф. Эстетика Возраждения. М., 1978.
93. Майоров Г.Г. Формирование средневековой философии. Латинская патристика. М., 1979.
94. Мельникова Е.А. Меч и лира. Англосаксонское общество в истории и эпосе. М., 1987.
95. Немилов А.Н. Немецкие гуманисты XV века. Л., 1979.
96. Неусыхин А.И. Судьбы свободного крестьянства в Германии в VIII-XII вв. М., 1964.
97. Неусыхин А.И. Проблемы европейского феодализма. Избр. тр. М., 1974.
98. Неусыхин А.И. Возникновение независимого крестьянства как класса раннефеодального общества в Западной Европе VI-VIII вв.. М., 1956.
99. Петров М. Т. Итальнская интеллигенция в эпоху Ренессанса. Л., 1982.
100. Петрушевский Д.М. Восстание Уота Тайлера. 2-е изд. М., 1914.

101. Петрушевский Д.М. Очерки из истории английского государства и общества в середине века. 4-е изд. М., 1937.
102. Пискорский В.К. Кастильские кортесы в переходную эпоху от средних веков к новому времени (1188-1520). Киев. 1997.
103. Райцес В.И. Жанна д'Арк: факты, легенды, гипотезы. Л., 1982.
104. Репина Л.П. Сословие горожан и феодальное государство в Англии XIV века. М., 1979.
105. Ревякина Н.В. Проблемы человека в итальянском гуманизме второй половины XIV – первой половины XV в. М., 1977.
106. Рутенбург В.И. Италия и Европа накануне нового времени. Л., 1974.
107. Рутенбург В.И. Титаны Возрождения. Л., 1976.
108. Рутенбург В.И. Итальянский город от раннего средновековья до Возрождения. Л., 1987.
109. Рутенбург В.И. Народные движения в Италии в XIV-начале XV вв. М., Л., 1958.
110. Савин А.Н. Английская секуляризация. М., 1906.
111. Сапрыки Ю. М. От Чосера до Шекспира: этические и политические идеи в Англии. М., 1985.
112. Сапрыкин Ю.М. Английское завоеванин Ирландии (XII-XVII вв.). М., 1982.
113. Сапрыкин Ю.М. Социально-политические взгляды английского крестьянства в XIV- XVII вв. М., 1972.
114. Сванидзе А.А. Деревенские ремесла в средневековой Европе. М., 1985.
115. Сванидзе А.А. Ремесла и ремесленники средневековой Швеции (XIV-XV вв.).
М., 1967.
116. Сидорова Н.А. Очерки по истории ранней городской культуры во Франции. М.,
1953.

117. Силюнас В. История испанского театра XIII-XVI вв. М., 1995.
118. Сказкин С.Д. Очерки по истории западноевропейского крестьянства в средние века. М., 1968. См. также в кн.: Сказкин С.Д. Избрнные труды по истории. М., 1973.
119. Смирин М.М. К истории раннего капитализма в германский землях (XV-XVI
вв.). М., 1969.
120. Стоклицкая-Терешкович В.В. Основные проблемы истории средневекового города X-XV веков. М., 1960.
121. Удальцова З.В. Италия и Византия в VI веке. М., 1959.
122. Уколова В.И. Античное наследие и культура раннего средневековья (конец V- середина VII вв.). М., 1989.
123. Уколова В.И. «Последний римлянин» Боций. М., 1987.
124. Уотт У. М., Какиа П. Мусульмнская Испания. М., 1976.
125. Хачатурян Н.А. Возникновение Генеральных Штатов во Фрнции. М., 1976.
126. Хачатурян Н.А. Сословная монархия во Франции XII-XV вв. М., 1989.
127. Хёйзинга И. Осень средневековья. М., 1988.
128. Хоментовкая А.И. Лоренцо Валла-великий итальянский гуманист, М., Л., 1964.
129. Шарль Пти-Дютай. Феодальная монархия во Фрнции и в Англии X-XIII вв. М., 1938.
130. Шервуд Е.А. От англосаксов к англичанам (К проблеме формирования английского народа). М., 1988.
131. Штокмар В.Б. История Англии в середине века. Л., 1973.
132. Штокмар В.Б. Очерки по истории Англии. Л., 1957.

შინაარსი

წინასიტყვაობა 5

ნაწილი პირველი

თემა პირველი – შესავალი 8

თემა მეორე – ძველი გერმანელები. ხალხთა დიდი გადასახლება და ბარბაროსული სამეფოების წარმოშობა 13

თემა მესამე – ხალხთა დიდი გადასახლება. დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა და ბარბაროსული სამეფოების წარმოშობა 34

თემა მეოთხე – ფრანკთა სამეფო მეროვინგების მმართველობისა და პიპინიანთა მაიორდომების ხანაში 49

თემა მეხუთე – ფრანკთა სამეფო კაროლინგების ხანაში 71

თემა მეექვსე – საფრანგეთი IX-XI საუკუნეებში 87

თემა მეშვიდე – საფრანგეთი XII-XIV საუკუნეებში 91

თემა მერვე – ინგლისი ადრეულ შუა საუკუნეებში (IX-XI სს.) 100

თემა მეცხრე – გერმანია, იტალია და პაპობა IX-XI საუკუნეებში 112

თემა მეათე – ევროპის ეკონომიკური განვითარება XI საუკუნეში, ქალაქების წარმოშობა და განვითარება 128

თემა მეთერთმეტე – ჯვაროსნული ლაშქრობანი (1096-1270 წწ) 142

თემა მეთორმეტე-ინგლისი XI-XIII სს-ში 170

თემა მეცამეტე – გერმანია და იტალია XII-XIII საუკუნეებში 189

თემა მეთოთხმეტე – იტალია XIII-XV საუკუნეებში 202

თემა მეთხუტმეტე – ასწლიანი ომი (1337-1453 წლები) ...225

თემა მეთექვსმეტე – ინგლისის განვითარება ასწლიანი ომის I და II პერიოდში.....243
თემა მეჩვიდმეტე – საფრანგეთი ასწლიანი ომის შემდეგ.....255
თემა მეთვრამეტე- ინგლისი XIV- XV საუკუნეებში. ალისფერი და თეთრი ვარდების ომი 260

ნაწილი მეორე

თემა პირველი – შუა საუკუნეების კულტურა, განათლება და აზროვნება XIII-XV სს–ში.....266
თემა მეორე – რენესანსი და ჰუმანიზმი.....289
თემამესამე – კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვა დასავლეთ ევროპაში (ინგლისი) 310
თემა მეოთხე – დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები.....331
თემა მეხუთე – რეფორმაცია და მისი იდეოლოგიური შემზადება.....349
თემა მეექვსე გერმანია XVI ს-ის I ნახევარში. რეფორმაცია და გლეხთა ომი 364
თემა მეშვიდე – რეფორმაცია შვეიცარიაში და კონტრრეფორმაცია.....378
თემა მერვე – იტალია XVI-XVII ს-ის I ნახევარში 386
თემა მეცხრე – ნიდერლანდების ბურჟუაზიული რევოლუცია 413
თემა მეათე – საფრანგეთი XVI-XVII საუკუნეების I ნახევარში.....427
თემა მეთერთმეტე- ინგლისი XVI-XVII საუკუნის დასაწყისში 439
თემა მეთორმეტე- – გერმანია აუგსბურგის ზავიდან 30 წლიანი ომის ბოლომდე 461
თემა მეცამეტე – დასავლეთ ევროპის კულტურა XVI-XVII ს-ის პირველ ნახევარში.....470
ლიტერატურა 489

ISBN 978-9941-26-667-6